



1 1 4
1 9 2 7.



№ 5-6

1927

პრელუცარუმთ ყვლაჲ ძჳყანისა, შერთღით!



12882

№ 5-6

წელიწადი მეოთხე



ჟორჯელთვიური სალიბრატიურო, სამხატვრო
და სამეცნიერო ჟურნალი

მანისი — ივნისი

თბილისი: სახელგამი. 1927.





ქართული
ბიბლიოთეკა

ს. მ. უ. ს.
პოლიგრაფიულ
ტრესტის მე-3
სტამბა.



ქართული
ბიბლიოთეკა

მხატვრული ლიტერატურა

საქართველო
რუსეთი
დასავლეთი

შათი ვერა გრძნობს ფიქრი და ბაგე, რომ შცხეთის ახლო, ახალ ნათებით
ელექტრონების გაჩნდა ქალაქი ათასეული კილოვატებით.

იყო ქალაქი, იყო საგანი —ოდესმე მძლავრი და ალიერი,
ეხლა ცივია გზა შინაგანი და იღუმალი სიცალიერი...



ეროვნული

ბიბლიოთეკა

„ტეოდორ ნეტტე“ ეხლა ისეენებს, და ფრინველების დასცხრა გუნდები.
მშვიდობით! ხსოვნათ დაკარგულ ფენებს არას დროს აღარ დაუბრუნდები.

1927

აფხაზეთი.

უბღმაგარ მტრების უსახებ

წლობით გვიქედავს ჩვენ ეს გულისთქმა,
ბრძოლების აღში გამოწრთობილი;
და მიტომ ისევ მაღალია ხმა,—
და მიტომ უფრო ძლევამოსილი!..

დრომ რაოდენი მტერი დასძალა,
და ეხლა ავდარს ვინ გაგვითენებს!—
როცა ცხოვრებას რკინულ ფარად
ჩვენი მკერდები ამოუშენეთ...

არ არის მხარე,—ჩვენი ხსენება
მტარვალის თვალებს რომ არ აქრობდეს,
და მძიმე შრომით დაცემულ ტკივილს
იმედათ მაინც რომ აღარ ჰქონდეს.

ყოველი წუთით იზრდება ცეცხლი,
რომ მიწის ყოველ კიდეს მოედოს,—
და გვინდა ერთხელ უკანასკნელად
თქვენი დახსნილი ძვლები მოვტეხოთ!

წარსულმა წლებმა ამდენი ლეში
ფეხით გადუვლელ მთებათ დაგტოვათ,—
მაგრამ მხე გულად ამონასროლი
უფრო მხარმაღალ მთებზე გადმოვა.

მანიფესტი ჩინეთის ხალხს

ამხანაგებო

დრო პირდაპირ გვესაუბრება.
შევკრათ კუნთები,
ჩვენ ბრძოლისათვის მაინც ვეცდებით
მოვძებნოთ ლექსი
და ლექსებით გაბრუებულმა
აზიის ზეცა გადავქედოთ მანიფესტებით.
ჩინელო ხალხო!
თქვენს თვალებში,
ელამ თვალებში
რამდენჯერ შევად ვადამტყდარა მზე-ამოსული.
იმდენჯერ გული გალხობილა სიმხურვალეში
და ალტაცება უმიზეზო ცრემლით დასერილა.
რამდენჯერ გადგა ყომრალივით
დღე ნალმოსნები
რომ შენს ველებზე
რკინის ქუსლი ღრმად დაებჯინა
ეყარა მტერი....
შენს კარებში შემომტვრეული
ტრიალ ველებზე გაფანტული ყვითელ ბრინჯივით.
მიდიან დრონი
შენს კედელთან ჩანაჩოქები
შენ დგეხარ ისევ ძველებურად მუხლ-მოკეცილი
საკუთარ თმებზე
ბავშვებივით ჩამოხრჩობილი
საკუთარ ისრით,
უბედური,

გულ ამოცრილი.
ხელავ ზღვის სიერცეს
დრედნოუტი როგორ მოარღვევს,
მოდინ მწყობრად ნაპირებზე კრეისერები....

ჩინელო ხალხო!

ვგრძნობ გიფეთქავს ყველა ძარღვები
და ელი ტყვიას,

რომ გადახნას შენი კისერი.

სვეტივით სდგება საუკუნის ბრაზი და შხამი.

თითქო იხევა დღეს შენს თავზე მაღალი ზეცა.

გესმის მომაკვდავ მებრძოლ შეილთა თვალის ხამხამი.

რომ ჰყრიან ოხრად დახოცილნი პურის ბზესავით.

ჩინელო ხალხო!

თქვენი ბოღმა გულში გვეშვება
უფროსო ძმებო!

მიაშურეთ შორეულ კიდეს

დასცალეთ ზღვები, ოკეანე ურიცხვ პეშვებით,

რომ მტრის გემები

ზღვის უფსკრულის ყბებში აკივლდეს.

მაგრამ ფსკერიდან თუ კი მტერი ამოიფორთხებს

დასცალეთ გზა,

ასპარეზი დიდი ტრიალი,

სადაც ქარბუქი

გულად რკინა ეაჯკაცსაც აბრთხობს,

იქ უდაბნოში მტერი უღვთოდ გაატიალეთ.

როცა აიწივს მთა ჩეცისკენ შუბლით მკვეთარით

და შეაგუბებს შავ ოშხივარს,

მკერდში ნაბოლებს,

უბელო ცხენით გადაირბენს მინდორს მხედარი

და ცეცხლის ალით აეკრობა სისხლიან ფოლებს.

დაიწივს გობი

და გუგუნით ჰაერს შეარყევს,

რომ კეთილშობილ სისხლის დადგეს მეორე ღვარი.

ვიცი მტრის სისხლი გააშავებს მდინარეს, არბებს,

და უმანკო მთებს

შეახველებს შავ ოშხივარით.

ვართ აზიელნი

და ჩვენს გულში ხელებს ვერ ჩაჰყოფს

მტრის სიბრალული,

გამრთელდება ჩინეთის ზეცა.

სისხლით დანესტილ მშობელ მიწის მწვენიერ ნაყოფს



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მშრომელი მაჯა უწმინდურ სისხლს შემოარეცხავს.

ჩინელო ხალხო!

შენი გული,

გული მართალი

კიდევ მეორეთ ამოატრევს მოწოლილ ბოდმებს,
აცეკვებს სივრცეს

და სივრცეზე სხეულს გამართავს,

რომ დაამსხვრიოს მტრის ხუნდები და ბოქლომები.

როცა გატყდება ლურჯ ზეცაზე ელამი თვალი,

როცა ჩინელი დაეყრდნობა ჯოხზე მოხრილი,

შეარხევს თავს, მოგონების ამბებს გადათვლის

და ზღაპრათ დასცლის წარსულ დღეებს კენესით და ოხერით....

მაშინ ჩინელი დედა უბით ამოალაგებს

უმანკო ბავშვებს.

რომ ბაბუას გარს შემოარტყას....

ის ამბობს ზღაპარს ისტორიულ სისხლით დალაქულს

და ბავშვები კი

მას უსმენენ როგორც ბარტყები.

დაითვლის წამებს ის ცახცახით,

კრემლების ღვარით,

მუსლ-მოკვეთილი წამოდგომას ველარ ეცდება,

შეხედავს კავკაზს

და სიწითლით წარბ-შეკრულ მყინვარს,

რომ ბავშვებს ზღაპრათ უთხრას



ჩვენი მანიფესტები.

14 ნაისი 27 წ.

თბილისი.



კ ა ვ კ ა ს ი

ზაფხულის დღე იყო. ყაზბეგი თბე ბოდა.
თერგი ღრიალებდა ხევში ჩანაჩეხა.
ცა იფშენებოდა დერბენდის მთებამდი,—
როცა გორგასლანმა დაგადგა ფეხი.

ვინ მოვიწყო ცივ გერეტის დრეკა—
ცას თუ სვამდი ქუხილის წინ მყივარს.
ღრუბლების ქვეშ, რომ გაისმა რეკა—
მზე დაემსხერა დარ-ავდრიან მყინვარს.

სად წყაროს თვალთა—ცრემლები ლოდოდან,
სად ნადირთ ღმუილმა ხევი ხმით აავსო:
ბარ-მინდვრით მოსულნი მწყემსები ამბობენ:
— მთაში ცხვრის ფარასო, ხეთის მადლი ფარავსო.

ბარს, ვინ დაუთმო კლდე-ღრე ფრიალო,
მთა თუ გრგვინავდა ვაჟას გვარადა?!
მთაო, შამილის სისხლით მყვირალო —
დევხარ ჩრდილოდან ქართა მფარადა.

ცხრა-მთის ზღაპრიდან დევი დაიბადა, —
დეემა იალბუზი მხრებზე გაგიბანდა;
გცივა და ცამდე ხარ, ცა კი — მალაღია,
დრომ თუ ვერ გაგტეხა, — რა შენი ბრაღია?!.

ვის ხიბლავდა მწვერვალების ბრწყინვა,
მშობელ მიწას თუ ლაქავდა სისხლი?!
კლდეს გინგრევდა ამირანის გმინვა,
გულს გიკლავდა ივერიის ნისლი.

ვიდრე ქავჭავაძის წიგნიდან გხედავდი:
 ჰქუხდი და ელაედი მყინვარის მთობაში,
 ღრუბლით ივსებოდი პირქუშა ხევამდი,
 მთა გედგა მთობილათ ვაჟკაცთა ძმობაში.



დღეს კი—შეზუი ეამთა გაქრობას,
 თოვ და ზვავდიდობ თეთრად ნალესი;
 არ გიპირდება ბარზე ლაშქრობას—
 ფშაველას ლექსით დამთვრალი მწყემსი.

მეწყერი მოვარდა, —კლდე მოღუშენა ხავსური,
 ცამ ხილვის გადაღმა ლაქვარდი ჩაიგდო;
 ხევდახევ მღერიან ლექნი და ხევსურნი:
 — მთამ სისხლი დალია, ფრანგული ჩაიგო.

რამდენი ღრუბელი ქუხილით გმოსავდა,
 იმდენი მზე გინდა —ბინდი რომ გათელო.
 გცივა და ღრიალეზ: —ვულკანის მოსვლამდი
 გულში ჩარგულია დრო და საქართველო.

ს. ლორთქიფანიძე



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

საბარგო ავსტომობილი

სალამო იყო, მგზავრებთა ლანდებს
ძირს იტაცებდა ხიდიდან წყალი;
მაშინ გიხილე და სიკვდილამდე
შეიტენ ჩემთვის დაუვიწყარი.
ნანინასავით იმ წამსვე ვიცან
ჩემთან შეზრდილი შენი ხმაური,
მოგიახლოვდი და გულის ფიცარს
ეხეთქებოდა ზღვა სიხარული.
მოგუგუნებდი რკინის მხედარი,
აბნევიდი სუნთქვას კვამლის რგოლებად.
მე შენზე ტკბილი შესახედავი
ჯერ არ მყოლია, არც მეყოლება.
რა სასიამოდ მიძგერდა გული
წუნარ ღამეებით მდუმარე პოეტს,
ასე მეგონა, რომ დაკარგული
მშობელი დედა მაშინ ვიპოვე.
გიცქერ და გულში ისევ ღვივდება
ის ძველი ცეცხლი და სითამამე,
და ხელმეორედ თითქოს იბრდღვინება
საბედისწერო ოქტომბრის ღამე.
ქარბუქი, თოვლი, თეთრი ველები...
თვალთან ვერ იტან თითს, ისე ბნელა;
ასეთ ღამეში ლენინელები
წამოდგენ მტერთან შესარკინებლად.
რამდენი დარჩა კიდევ ცოცხალი,
რომ სისხლის ტბა არ გადარებია;
გახსოვს ის კაცი გასაოცარი,
მხრით რომ შვილივით გიტარებია.
გახსოვს ლენინი, გახსოვს იმ ღროთა
მკლავები, რისხვით ამოკირული.
ტალღა, ბალტიის სანაპიროდან
უკანასკნელად გამორიყული.
ათასი წელი კიდევ გადიარს,

დაიმარხება შავი დროება,
 მაგრამ ლენინის ძველი გვარდია
 მოდგმიდან მოდგმას მოაგონდება.
 იტყვიან:— ჩვენსა წინაპრებს თურმე
 გადაუხდიათ მწარე ომები,
 ლუკმა პურისტვის იბრძოდენ, ქუხდენ,
 დეხზე დამდგარი მილიონები.
 იყვნენ მეფენი, იყო მონობა,
 — ხალხი ათასგვარ ზნე ჩვეულებით,
 მათ შორის მტრობა, შურიანობა
 წყალივით იყო გამოუღევი.
 გაიკვირვებენ და ერთი წამით
 ეს ლეგენდები მათ ღიმილს მოჰგვრის,
 მაგრამ იგრძნობენ, თუ რა სიმწარით
 შევატრილეთ მიწისა მორგვი.
 თუ გაცოფებულ მეომართ კრებას
 ხმალ და ხმალ ქუჩებს რატომ ვაყრიდით,
 იგრძნობენ, მათი ბედნიერება
 ამ ხალხის სისხლით არის ნაყიდი.
 მუდმივ შრომაში აღარ გვრჩებოდა
 უბრალო წუთიც შესასვენებლად,
 იგრძნობენ, ლექსებს რად გვირჩვენოდა
 მათხოვრებისთვის სახლის შენება.
 ათასი წელი კიდევ გადიარს,
 დაიმარხება შავი დროება,
 მაგრამ ლენინის ძველი გვარდია
 მოდგმიდან მოდგმას მოაგონდება.



* * *
 მართლა გმირი ხარ, ტყვიით დატენილს
 არ შეგვიკვლია ნაბიჯი ვზიდან,
 რევოლუციის მოლაღატენი
 შენ დასახვრეტად გადაგიზიდაეს.
 დანის პირებში გამოყვანილნი
 გადიქცეოდით ომში დევებად,
 რა დრო გინახავს! ეხლა ყვავილიც
 საქართველოში არ ითვლება.
 სინშვიდის ტალღა უხვად დაღვრილა,
 დამცხრალა ცეცხლი ჩვენი თვალების,
 მაგრამ იცოდე, ძირს არ დახრილა
 წითელი დროშა კომუნარების.
 თუ გუშინ დროშებს ცისკენ ვარხევდით,

ეხლა სხვაგვარი ბრძოლა გვახარებს;
 გვსურს ცის მავიერ, ბოლი ქარხნების
 გადავახუროდ სამშობლო მხარეს.
 მათხარი, დაგრჩა მაინც ოდნავად
 ის ძველი ღონე, ცეცხლი შეშლილი!
 დაბერებულხარ და საცოდავად
 საგარაჟოში გდიხარ ლეწივით.
 ეხლა იქნება ვინმე უვიცი
 შენი ბორბლებით ართობს პატარებს,
 ნუთუ, ძნობილო, ამის გულისთვის
 'ხურგზედ გრიგალი გადაატარე!
 დღეს ინდუსტრიამ რკინის კივილით
 ქუჩებს მოჰფინა ჩქარი ფორდები;
 იმათ წინაშე ინვალიდით
 გამოჩნდი, ვილას მოაგონდები!
 მკერდი, ქარიშხლით გამოხვეული,
 ეხლა ნაგავით არის მოყრილი,
 მძიმე, ვეება შენი სხეული
 დადის კუსავით, დადის მოხრილი.
 რა უყოთ მერე ნაგავს ათრევდეს
 ვისაც ლენინის მხართან უვლია,
 როგორც ხვალინდელ დღის გათენებას,
 ჩვენ მძიმე შრომას შეჩვეული ვართ.
 ბოლშევიკების ავტომობილიც
 ბოლშევიკივით თუ არ იშრომებს,
 გუწინდელ ტყვიით გულ-გაპობილი
 ქვეყანა, წყლულებს ვერ მოიშორებს.
 —ხედავ, ფორდები მიაქროლებენ
 ზაპესში, შენთან ნაომარ მოძმეთ
 და სიამაყით კვამლს აბოლებენ.
 ქიქის ჩიტებით აასებულ ბოძებს.
 რამდენი კირი და მანქანები
 მიგიტანია ქშენით და ოფლით,
 ეხლა გწყურია შენი თვალებით
 იბილო მძიმე შრომის ნაყოფი.
 გწყურია დასტკბე შრომით გვირგვინით
 და მწუხარებით გული ღონდება,
 არ შეგიძლია ჩქარი სირბილი,
 ფორდივით მთაზე გადაგორება.
 ჩამონგრეულა შენი გვერდები,
 მტვრით დაფარული სიარულს ირცხვენ:
 მტკივა და ვამბობ: მოვა დღეები,
 მტვერს ცხელი სისხლით ჩამოგირეცხენ.
 გაქალარებულს, გულგანაცეებს
 შენოგესმება ცეცხლის გალობა,
 და სადღაც დაყრილ ბორბლის ნაწილებს
 დაუწყებს ძებნას ჩვენი თაობა.

ტფილისი

5 მაისი





სისხლი

რომანი

(გაგრძელება*)

ქუთაისში ამ უამად კომიტეტის მხოლოდ ორი წევრი იმყოფებოდა. დიდი-ვასო, უწინარეს მათთან მოსათათბირებლად გაეშურა.

ქუთაისის ციხის სიმაგრის გარღვევა და იქ მომწყვდეული ამხანაგების განთავისუფლება პარტიულ წრეებში მორიგ ამოცანად იყო გადაქცეული.

არა ერთი და ორი აქტიურად მომუშავე ამხანაგის ფიქრი დასტრიალებდა „გაქცევის“ მოწყობის იდეას, განსაკუთრებით ამაზე ბევრს ფიქრობდნენ დაპატიმრებულები, რომელთაც სიკვდილით დასჯა ან კატორღა მოელოდათ.

ამხანაგი თომა კი მოსვენებას არ აძლევდა გარედ მყოფ მეგობრებს:—გაქცევის სენი სჭირდა.

ვასოს წინადადებას აფრთოვანებით შეხვდნენ კომიტეტის წევრები.

მაგრამ თომას გეგმის პირველმავე, ზერულე გააზრებამ ისინი დიდ დაბრკოლებათა წინაშე დააყენა.

უპირველესად ყოვლისა, საქმე ძალიან დიდ მასიურ ორგანიზაციას მოითხოვდა.

ვასოს გათვალისწინებით სულ ცოტა ოცამდის კაცი მაინც დაჭირდებოდა ამ გეგმის შესრულებას. მას ყველაზე უფრო ის აწუხებდა, რომ ამოტელა ხალხში ძალიან ძნელი იქნებოდა კონსპირაციის დაცვა ამ რეაქციისა და საერთო უკუქცევის დროს. მით უმეტეს, რომ ასეთ საქმისთვის მოკლე დრო არ კმაროდა, ხოლო დიდი—ამ მხრით სახიფათო რამ იყო.

— ჩვენს შორის ყველაზე უფრო ამ საქმისთვის ნიკოა ზედ გამოქრილი, — უთხრეს ვასოს კომიტეტის წევრებმა. — უიმისოდ ფონს ვერ გავაღოთ ამ შემთხვევაში.

ამ განცხადებაზე დიდი-ვასო დიპლომატურად ჩაფიქრდა. სიტყვით არ უთქვამს, მაგრამ სახე კი ისეთი დაანახვა ამხანაგებს, თითქოს ეს მითითება ძალიან არ მოსწონებოდეს.

*) იხ. „მნათობი“ № 4.



გულში კი გაუხარდა, რომ არჩევანი კომიტეტის წევრებმაც დაუდასტურეს. „თუ ნიკომ სათანადოდ შეასრულა დავალება, ხომ კარგი და პატიოსანი, თუ ვერ შესძლო, ან რაიმე მისებური გაუჩიო, პასუხისმგებელი ყოველ შემთხვევაში ნე არა ვარო“. გაუელვა თავში.

მერე აცნობა ამხანაგებს, რომ თუმცა დიდი უკმაყოფილო იყო ნიკოთი და ფოთში დატრიალებულ ამბის შემდეგ გულში გადაწყვეტილად დასრულდა „შინაპარტიული“ დისციპლინის წესით პასუხისმგებამაც მიეცა იგი, მაგრამ ამ შემთხვევაში პარტიულ სიწმინდეზე ფიქრს თავს ანებებს და ძალაუწიებურად იზიარებს მათ არჩევანს.

— მით უმეტეს, საქმე ძალიან სასწრაფოა და დაგვიანება შეუძლებელიაო. იქვე გადაწყვეტეს, შელამდებოდა თუ არა ნიკოს სწვეოდენ და მოლაპარაკებოდენ.

ლამე იყო, როცა სამივენი კოტეს ბინაზე გამოცხადდნენ.

ნიკო, ცოტა არ იყოს, თავშეკავებით შეეგება ამხანაგებს.

— მთელი კომიტეტი ერთად?... ისიც გაუფრთხილებლად! რა ამბავია: დასაჭერად ხომ არ მოსულხართ?— უხუმრა მან სტუმრებს.

მაგრამ მცირედი შეოცება მაინც ვერ დაჰფარა.

„ფოთისთვის პასუხს ხომ არ მთხოვენო“, გაურბინა ეჭვად გულში.

— შენი დაჭერა სხვა დროისთვის გადაიდვა, ამხანაგო ნიკო!— გადაკრული ხუმრობითვე მიუგო ვასომ. — რა საჩქაროა: ჩვენ კი ვერსად ვერ დაგვემალეები!... ამ დროებით კი სხვა რამე განზრახვა გვაქვს, საიდუმლო... პირადად...

— და იქ მყოფთ სათითაოდ გადახედა: უცხო ვინმე ხომ არ არის.

ნიკოს ოთახში ამ დროს კოტეს გარდა, ანდრო ქარივაძეც იმყოფებოდა. მისმა აქ ყოფნამ შეაკვირვა ვასო.

„ეს არჩილის ძიძისშვილი აქ რამ მოიყვანაო?“

და დაწყებული წინადადება ასე დაასრულა:

— ჰმ... პირადად შენთან და კოტესთან მოვედით... მოსალაპარაკებელი რამ გვაქვსო...

თან ანდროს ერთხელ კიდევ ესროლა თვალის ეჭვთმიმტანი სხივი.

ანდროს თქმა არ დასჭირებია. მიხვდა, რომ ზედმეტი იყო. წამოდგა, კარისკენ გადადგა ნაბიჯი და ერთდროულად კოტეს გადახედა: — სად წავიდეთ?

— ეს ჩემი შემთხვევით სტუმარია, მაგრამ ძალიან საიმედო... — განაცხადა ახლა ნიკომ ანდროს წამოსაჭომაგებლად.

— ვიცნობ, — გააწყვეტინა ვასომ, — დადიშინის ძიძისშვილი საიმედოა, რა თქმა უნდა... დღეს გავიცანი კიდევაც: სანდრო გერგაძე...

გაეღიმა ნიკოს.

— სახელი და გვარი ზედმიწევნით დაგინახსოვრებია, ვასო, მაგრამ... მაინც სცდები. უთხრა მან ვასოს. — ამ კაცის ამბავი, ალბად, ჯერ კიდევ არ გექნება აღნიშნული შენი კომიტეტის დავთარში... ხუმრობა გაშვებით, მასთან ყველაფრის თქმა შეიძლება... ჩვენი კაცია...

ვასომ მაინც ბოდიში მოითხოვა და ანდროს სთხოვა სულ ცოტა ხნით დაეტოვებინა ისინი.

ანდროც გავიდა ოთახიდან.

ვასომ კი უმაღვე თომას საიდუმლო წერილზე ჩამოუვლო ნიკოს და კოტეს სიტყვა.

თითქმის სიტყვა-სიტყვა გადასცა წერილის შინაარსი და დაკვირვებაც გაუნაწილა.

ციხეში გარედან გვირაბის შეყვანის იდეამ ნიკოზე ისე იმოქმედა, როგორც მოულოდნელ, მაგრამ მოხერხებულ ადგილას ნადირის გამოჩენა მოქმედობს ხოლმე მთელი დღის ამო ძებნით მოქანცულ მონადირეზე.

ჩახმახზე შესდგა და ასე სმენად გადაიქცა.

ვასოს სახის მოძრაობის არც ერთი ხაზის გაკრთომაც არ გამოპარვია მას. ისე შეეცვივებია თვალები თითქოს ამხანაგის სახის გამომეტყველებას უურო უჯეროდა. ვინემ მის დალაგებულ სიტყვას.

როცა ვასომ ყოველივე გადასცა, რაც საგანს შეეხებოდა, კითხვით შეხედა თვალეში ნიკოს, — ამაზე, აბა, რას იტყვიო.

ნიკომ პასუხად მარჯვენა ხელი თართოდ მოიქანია და ვასოსკენ ასე შორიდან, გამოაქანა ჩამოსართმევად.

— ეს კი მესმის... კარგი კომიტეტი ყოფილხარ!... აჰა, ჩემი ხელი! — უთხრა და ვასოს მიერ საპასუხოდ გამოწვდილ ხელის გულზე ტკაცანით დაჰკრა თავის ხელი...

შუალამემდის ითათბირეს. თომას გეგმა ათასჯერ გაზომეს. ისიც სულ იზრდებოდა ყოველ ახალ გაზომვაზე.

ყველა მხრიდან მიუდგნენ. თითოული წვრილმანი გაითვალისწინეს. ნემსის ყურის ოდენა არ დაუტოვებიათ გაუჩხრეკავი.

გადასწყვიტეს გვირაბის გასათხრელად მალაროს ორი გამოცდილი მუშა მოეწვიათ ჭიათურიდან, პარტიული და საიმედო, შესატერისი ხელსაწყოებით.

სხვა ამხანაგებრიც ჩამოსთვალეს, აღნიშნეს, ვისთვის რა დაევალებიათ.

ბოლოს თავიანთ შორისაც გაინაწილეს სამუშაო:

საქმის საერთო ხელმძღვანელობა და საორგანიზაციო სადავეები დიდ-ვასოს ჩააბარეს, რომელსაც ციხეში მყოფ ამხანაგებთან სათანადო მუდმივი კავშირიც უნდა დაეჭირა.

პატარა თეთრი სახლიდან ციხემდის გვირაბის გაყვანა და ამასთან დაკავშირებული მთელი შავი სამუშაო ჭიათურაში საიმედო მუშების არჩევით ნიკომ თავის თავზე მიიღო.

პატარა სისხლის „კომენდანტად“ ამ თავითვე კოტე დანიშნეს.

გათენდებოდა თუ არა, საქმეს უნდა შესდგომოდენ.

XIX

არჩილ დადიშვიანს ციხეში დღე არ უღამდებოდა და ღამე არ უთენდებოდა, ისე გაერთიანებოდა დრო.

უცნობ ტყეში დაბნეულივით დაწრიალობდა თავის ახალ სამყოფელში — პაწია, უჯრის ოდენა „სეკრეტში“.

მთვარეულსა ჰგავდა.

თუ ორ-სამ სიტყვას მოუსმენდა ვისმე მთელი დღის განმავლობაში, და ამდენსავე ტყოდა, მეტისთვის მოთმინება არ ყოფნიდა. თითქოს არ ეცალა, და დიდად დატვირთული იყო ამ უსაქმოდ მიმდინარე ციხის „გოსტელსა“ და გვიან დღე-და-ღამეში.

რალაც დიდი წუხილი აწვა გულზე, დამალონებელი და უაღრესად მწვავე, რომლისგან ხშირად ხორციელ ტკივილსაც კი გრძნობდა.

გაორების ნიშნებიც მოძალებოდენ.

წინადაც ამჩნევდა თავს გაორებას, მაგრამ ამით უფრო ერთობოდა, ვინემ მას სერიოზულად განიცდიდა.

ახლა კი სულ სხვაგვარი რამ ემართებოდა.

ისე იცვლებოდა რომ თავის თავს ველარ ცნობილობდა.

ცხადი იყო არჩილისთვის:—დიდი და ღრმა გარდატეხის წინაშე იდგა და მისი აზროვნება, რალაც მისთვის გაუგებარი აუცილებლობით ნაჩვევ კალაპოტიდან ამოვარდნას აპირებდა.

აქამდე უჩინარი, უცნობი აზრები შეთქმულ ყაჩაღებივით თავს ესხმოდნენ ხოლმე და ისეთ დარბევის ქარს დაუტრიალებდნენ, რომ არჩილისაგან აღარათერო არ რჩებოდა: ხელალებით შეუგინებდენ მთელ წარსულს და მისი სულის ფაქიზად მოვლილ სამლოცველოებს ძირიან-საფუძელიან მიუნგრ-მოუნგრევდენ.

არჩილსაც თითქოს ახალი ყური და თვალი ეხვრიტებოდა:—ქვეყანას ახალ ხმასა და ფერს ამჩნევდა, წინად რომ არ გაეგონა და არ ენახა.

ეწინოდა არჩილს ამ ახალი აზრების.

ცდილობდა შებრძოლებოდა.

მაგრამ ისინი ცოდვასავით იზიდავდენ მას, ჰხიბლავდენ და იტაცებდენ.

არჩილის უბედურება უფრო ის იყო, რომ ეს ახალი აზრები მართლა ყაჩაღებივით სძარცავდენ მას:—უარყოფდენ იმას, რასაც არჩილი შეზრდოდა, ხოლო დადებითად სამაგიეროს არაფერს არ აძლევდენ.—მათ გადამკიდე არჩილმაც მარტოოდენ ის იცოდა, თუ რა არ უნდოდა, მაგრამ რა უნდოდა, ეს კი ველარ ვაერკვია.

და ამისგან იყო, რომ მოსვენება არ ჰქონდა და დღე-და-ღამ იტანჯებოდა.

საერთო კამერიდან თომას გვერდით ცალკე „სეკრეტში“ გადაყვანამ არჩილის სულის ფორიაქს უფრო შეუწყო ხელი, ვინემ დააწყნარა.

თომას მისთვის არ სცალოდა. ათასი საქმე ჰქონდა. იგი პოლიტიკურების მამასახლისად აერჩიათ და ახლა კიდევ მთელი დღე ციხის ცხოვრების განწესრიგებას უნდებოდა.

სხვა ამხანაგები კი არჩილს გარიდებოდენ. მის განდგომილობაში ეჭვი შეეტანათ, პარტიული ხასიათის, და განცალკევებაზე განცალკევებითვე ეპასუხნათ.

ზოგს კიდევ უკადროსობა დაეწამებინა.

მეოთხე კამერიდან ის აზრიც გამოსულიყო, თითქოს არჩილი სწორ მარქსისტულ მსოფლმხედველობის ხაზიდან გადახრილიყოს და განსაკუთრებით ეროვნულ საკითხში პარტიულ პროგრამას ძალიან დაშორებულყო.

ეს ეჭვი იმაზე ემყარებოდა, რომ არჩილი მეოთხე კამერის ამხანაგებს ლექციებს უკითხავდა მარქსიზმსა და სოციალიზმზე.— (ეს მოვლენები უკვე მოსკვის მეორე დღესვე დაეკისრებიათ მისთვის) და შიგანაშვიტის მსმენელების დასკვნით, შეუფერებელ და თავისუფალ აზრებს გამოსთქვამდა, ხოლო მიუხედავად მთელი კამერის მოთხოვნისა, ეროვნულ საკითხს სულაც არ ეხებოდა და თავის გადაჭრილ აზრს ამ საგნის შესახებ მალავდა.

ამ ეჭვების ავტორი ნამდვილად, არჩილის ორი ღამის მეზობელი საერთო ნარის მარცხენა მხრით და ენგელსის—„ანტიდიურიგის“ ძილ გამტყდარი კრიტიკოსი იყო, რომელსაც თავისებური ანალიზი გაეკეთებინა არჩილის სულიერი განწყობილებისთვის.

ქორმა არჩილამდისაც მიაღწია.

გაუკვირდა.

ნეტავი, ვინ შეიჭვრიტა მის სულში?

თომამაც ერთხელ „შინაურულად“, მაგრამ სერიოზულად ჰკითხა:

— არჩილ, ჩვენს ეროვნულ პროგრამას ხომ იზიარებო?

არჩილმაც მყისვე გასცა პასუხი:

— რა თქმა უნდა!..—მერე, თითქოს ქორისთვის ყურიც არ მოეკრას კითხვა შეუბრუნა:—რატომ მკითხავო?

— ფედერალისტები რაღაც ქორს ავრცელებენ შენს შესახებ...—დაცდილი დიპლომატიური ხერხით უთხრა თომამ.—მოდით ერთი გაჰთანტე ეს ქორი, რომ გაუგებრობას ადგილი არ ექნეს. ერთი დიდი ლექცია წაიკითხე ამ საგანზე ხომ იცი, ავტორიტეტი არ უნდა დაჰკარგო... გესმის... უთუოდ გააკეთე მოხსენება.—

— ბატონი ბრძანდები.—ავტომატიურად დასთანხმდა არჩილი.

მაგრამ შიგ გულში კი მთელ ამ ამბავს ისე განიცდიდა იგი, თითქოს ხმალამოღებულ ჯალათები თავზედ დასდგომოდენ და მისი განკითხვის დღეც დამდგარიყო.—

დავალებული ლექცია არჩილს ყოველი მხრით არაჩვეულებრივი გამოუვიდა. თითქოს ვიღაცის ჯიბრზე, თავის თავსაც გადააქარბა და ძველი ალტჰმის შთაგონებული წინასწარმეტყველივით დიდი რისხვითა და გადაჭრილობით გაილაშქრა იმათ წინააღმდეგ, ვინც სავსებით არ იზიარებდა რ. ს. დ. მ. პ. პროგრამის სათანადო მუხლებს ეროვნულ საკითხზე.

ეს იყო იშვიათი პათოსისა და უგულწრფელესი რწმენის სამაგალითო დემონსტრაცია.

არჩილი მთელი თავისი შეგნებით უარყოფდა ეროვნულ საკითხის პრაქტიკულად დაყენების საჭიროებას საერთოდ რუსეთში და განსაკუთრებით კ

ჟურნალი „მნათობი“ № 5—6.

29867

210



ისეთი უმნიშვნელო კუთხეებისათვის, როგორც იყვნენ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიები.

(მიუხედავად აფრთოვანებისა, არჩილს პარტიული შეხედულებების წმინდა ფორმის დაცვაც არ დაეიწყებოდა:—წამოცდენითაც კი ერთხელადაც არ წამოსცდენია სიტყვა „საქართველო.“)

ლექციის დასასრულიც შაბლონი იყო. მაგრამ არჩილმა მსწავლეს უწესძლო, რომ ცეკხლი შეუკეთა გაცვეთილ აზრებს და მსმენელებს იხეშოთ მათი იმინი, თითქოს პირველად ისმენდენ:—

ეროვნული საკითხის სახით მომავალი რეაქცია. საერთაშორისო გაერთიანება, როგორც ისტორიის გზა. სახელმწიფოთა შორის საზღვრების მოსპობა. ეროვნული პრობლემა, როგორც ბურჟუაზიული იდეოლოგიის მიერ გადმოსროლილი ანკესი მერყევთა დასაჭერად და გაერთიანებული მებრძოლი პროლეტარიატის დასაშლელად.

თითქოს სასხლით ლაპარაკობდა, ისეთი იყო არჩილის გამეხება.

აუდიტორიის დიდმა უმრავლესობამ ორატორი ტაშით დააჯილდოვა. ოვაცია გაუმართა.

ზოგი ამხანაგი ისე აფრთოვანდა, რომ არჩილთან მიიჭრა და ხელის მხურვალე ჩამორთმევით გამარჯვება მიულოცა.

მეოთხე კამერის ფილოსოფოსს და „ანტიდიურინგის“ კრიტიკოსს ჩვეულებრივი სიდიხეც კი დაეიწყებოდა. ნარზე მალდა შემდგარიყო და დიდი ტრიბუნივით ხელი ჰაერში შეეტყორცნა, ფანატიური ანთებით ჰყვიროდა:

— ძირს ავტონომია, ძირს ბურჟუაზია, ძირს იდეალისტ-ნაციონალისტ-ფედერალისტ-მატყუარები! გაუმარჯოს რუსეთის სოც. დემოკრატიულ მუშათა პარტიას, გაუმარჯოს სოციალიზმს, გაუმარჯოს მსოფლიოს!

მაგრამ თუათონ არჩილს კი უცნაური რამ დამართოდა.

თითქოს აუდიტორია ნაშდვილად მის წინააღმდეგ ამხედრებულიყო, კუთხეში საწკლურად მიჩქმალულიყო და საჯაროდ სილა გაწნილივით სირცხილისაგან იწოდა.

თვალებს ჯერ ახელდა.

როცა „ანტიდიურინგის“ კრიტიკოსს შეხედა და მის ცალ-ცალკედ და სამ-სამად გაზომილად დაწყობილ „ძირს“ და „გაუმარჯოს“ ყური მოჰკრა, ველარ გასძლო კამერაში და გასაუღლი კარისკენ გატყორცნილივით გაიჭრა.

— ვაშა! ვაშა! გაუმარჯოს არჩილ დადიშთანს. — ზედ კართან ერთხელ კიდევ მიაძახეს ამხანაგებმა.

პანლურივით მოხვდენ ეს სიტყვები არჩილს.

არც კი მოუხედნია, ისე გაჰქანდა თავის „სეკრეტისკენ.“

„სეკრეტში“ შესვლისთანავე კარი ჩაირაზა და ლოგინზე პირდაღმა დაემხო. გაყუჩდა.

დერეფანში ტუსალები მოსმენილ ლექციაზე განაგრძობდენ კამათს. ხმაურობა არჩილის „სეკრეტშიც“ შემოდინდა.

არჩილმა ყურები თითებით დაიკვია.—არ შეეძლო მისი გაგონება.

მალე თომაც მოადგა „სეკრეტის“ კარს. ჩარაზული რომ ნაბა, სარკმელში შეიჭვრიტა.

— გამიღე. მე ვარ, არჩილ.

თომას ხმის გაგონებაზე არჩილი უცებ გიჟივით წამოიქრა ლოგინიდან.

თითქოს შებმას უბირებსო, ისე გაემართა სარკმლისკენ. სარკმელშიაღივლია თომას მოცინარი ცალი თვალი შემოიციქრებოდა.

„ეს ხომ ის თომაა, რომელმაც არჩილს ლექციის წაკითხვა ჩააგონა და იმის შინაარსიც განუსაზღვრა, რაც უნდა ეთქვა“.

— გამიღე, გამარჯვება მინდა მოგილოცო.—გაიმეორა თომამ შეტკბილებული ხმით.

არჩილმა რაზას ხელი აჰკრა.

თომა შემოვიდა. შემოიღიმა.

მწვიდი სახე ჰქონდა. თვალების ურყეველი გამომეტყველება, შიგ არჩილისადმი მიმართული ალერსი უკიაფობდა, მოწონება, სიყვარული.

დაჭიმული კუნთები ისევ მოეშვნენ არჩილს. თვალები ვერ გაუსწორა ამხანაგს. ძირს დახარა.

— მომილოცავს არჩილ... ძალიან „დაგიცხია“ — მიულოცა თომამ.—მითხრეს, მოწინააღმდეგეებს ენა ჩაუგდო, ისეთი იყო. ყოჩაღ! ვწუხვარ: შემთხვევით ვერ დავესწარი! და ხელი ჩამოსართმევად გაუწოდა.

არ უპასუხა არჩილმა. ხელიც არ მისცა. ზურგს უკან დაიმაღა. სახეზე მოულოდნელად რაღაც მღვრიე მორევმა დაუტრიალა და თვალებში უსაზღვრო შიში ჩააფრინდა.

— თომა... სუ.. სუ... თორემ...—ძლივს წარმოსთქვა და აკანკალებული მარცხენა ხელის თითები ზედ სახესთან მიუტანა რაღაც გაუგებარი ნიშნის ჩვენებით, რომელიც უფრო გაუბედავ მუქარას გამოხატავდა.

— რა ამბავია?— გაუკვირდა თომას და შეკრთომით შეათვალიერა იქაურობა: ვერ მიუხვდა:— უცხო ხომ არ იმალება, რომ ლაპარაკს მიშლისო.—აგრე რას შეუშინებინარ?—ჰკითხა შერე.

თვალებში შეხედა. შეეცოდა.

— რა მოგივიდა, ბიჭო?—და უცნაურად აკანკალებულ გამოშვებულ ხელზე მოფერებით ხელი მოჰკიდა.

ამ ლექციამ არჩილი იმ დასკვნამდის მიიყვანა, რომ მისი პიროვნება განადგურების გზაზე იდგა და ამ თავითვე ხსნა იყო საჭირო, რათა სულ არ დაღუპულიყო. მის გაორებას საზღვარი უნდა დადებოდა.

ლექციის ანალიზმა საშინელი შედეგები მისცა. უფსკრულები აღმოაჩინა. ძალიან რთული ფსიქოლოგიური ხლართის გაშლა დასჭირდა.

უწინარეს ყოვლისა მისი ყურადღება იმ ფაქტმა მიიპყრო, რომ რამდენადაც აფრთოვანებული და ბეჯითი იყო მისი გალაშქრება ეროვნული საკითხის წინააღმდეგ, იმდენად იგი არ შეეფერებოდა მის ნამდვილ აზრს და მის ნამდვილ რწმენას არ გამოხატავდა.—არჩილი სტყუოდა.

მაგრამ სტყუოდა ისე, რომ მაშინ მისი შეგნება არ ერია ამ ტყუილში. შეგნებამ მხოლოდ შემდეგ აღმოაჩინა იგი.

აი, ეს მომენტი ჰქონდა არჩილს ანალიზის ნიშანში ამოღებულთ.

ეჩვენებოდა, რომ ვილაცის ჯადო-შთავგონება ალაპარაკებდა და მის ნებისყოფას ისეთი სალტე ჰქონდა შემორტყმული, რომ სხვანაირად ვერ მოძქეოდა. თითქოს სხვა მეტყველებდა მისი პირით.

რა იყო ეს?

ერთს გარემოებას ადვილად ითვალისწინებდა:—ეს იყო თვითონ აზროვნების სისტემა.

გასაგებად მიაჩნდა: იყო დიდი გაელენა, გიპნოზის ძალამდის აყვანილი. მან გიმნაზიის სკამიდანვე დაიპყრო არჩილის გონება: მზა-მზარეული აზრები ჩაულაგა თავში. შეუღედა. შეუხორცა.

გონება კონსერვატორია:—აზრები შერჩენ არჩილს.

გაუგებარი იყო სხვა რამ ამბავი:

გაუგებარი იყო ის, თუ საიდან აღმოაჩნდა არჩილს ის იშვიათი პათოსი, ექვმიუტანელი აფრთოვანება, რწმენის ძალა, რამაც ასე მოხიბლა მსმენელთა აუდიტორიაც?

რომელი წყაროდან მომდინარეობდა იგი?

საიდან იყო, რომ არჩილის ლექცია ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა, თითქოს ყველა მისი ფიქრის, გრძნობის, მთელი მისი არსების ერთად ერთი მამოძრავებელი ის იყო, რასაც ამბობდა, და გარეშე ამისა არჩილისათვის თითქოს არაფერი არ არსებობდა.

და ეს კი ნამდვილად ტყუილი იყო.

არჩილის უფსკრულიც სწორედ აქ იწყებოდა.

ვერ გარკვეულიყო.

უფრო მისტიციზმის ბილიკებით მიმოდიოდნენ მისი აზრები.

რომელიღაც გრძნობით კი გრძნობდა, რომ რაღაც გამოუცხადებელს, ფარულად მოქმედს შიშს ჰყავდა იგი ტყვედ, მაგრამ მის დასაბამს ვერ მისწვდებოდა. ხან ახლოს ეჩვენებოდა იგი, საკუთარ არსებაში, ხან კიდევ შორს...

რ. ს. დ. მ. პ.-ის მადგიურ ბრჭყალებსაც კი ხსნიდა და იქ ეძებდა უცნაური მოვლენის ფსიქოლოგიურ კვანძს. თვითონ მარქსისტული აზროვნების სისტემის შორეულ კუნჭულებშიც იჭვრიტებოდა და საკუთარი შეგნების ფორმაციის საფეხურებსაც სინჯავდა ათასნაირი მიდგომითა და სხვა-და-სხვა თვალსაზრისით, მაგრამ ამაოდ, მიზანს ვერ სწვოდა.


ძალიან შორეულმა და მისთვის სრულიად უცხო აზრმაც რამდენიმეჯერ კი გადაურბინა მისტიური მოლანდებით შორს გაჭრილ ფიქრების წინ, მაგრამ ისევ მიეფარა შეუცნობელის ფარდას.

ეს იყო ჯერ კიდევ უსახო აზრის პირველი გაელვება არჩილის შეგნებაში, — უფრო ინსტინქტით მომავალი, ვინემ ცნობიერებით.

მართლაც მოლანდება —

მოლანდება არჩილის მიერ უხსენებელი საქართველოს ისტორიისა და ოდე-სლაც ძლიერის, მაგრამ ამ უამად განადგურებულის მოდგმის დაშინებული სულისა, რომელსაც საკუთარი თავის უარყოფა დაშთენოდა თავდაცვის უკანასკნელ და ერთად ერთ საშუალებათ, რომ არსებობა განეგრძო.

მაგრამ ამ წამიერ ინსტიტუტურ ცხადებას არჩილის შეგნებაჰმდის ჯერ კიდევ ვერ მიეღწია.



XX

შალვა რამაძის ხელით არჩილმა რომ ცაცას გამოსათხოვარი წერილი გაუგზავნა, ეს იყო შედეგი მისი ახალი სულიერი განწყობილებისა, რომელსაც, განსაკუთრებით უკანასკნელი ლექციის შემდეგ, გარკვეული სახე და შინაარსი მიეღო.

სულიერი მთლიანობის აღსადგენად, არჩილს გადაეწყვიტა, უწინარეს ყოვლისა, შინაგანი დამოუკიდებლობა და ხასიათის სიმტკიცე მოეპოვებინა.

ცხადი იყო: მისი შერყეული, დაქსაქსული და დაბნეული პიროვნება დიდ განწმენდას საჭიროებდა.

ამ მიზანს რომ სწეოდა, ფიქრობდა თავისავე თავს შებრძოლებოდა და ამით ისეთი ტანჯვის ცეცხლი შეეკიდებინა სულისათვის, რომ შიგ საბოლოოდ გამოეწეა და გამოებუვა, რაც კი შეგნებასა და სინილისზე მოუშორებელ ლექად აწვა აქამომდე.

თავდაპირველად ცაცასაგან უნდოდა თავი გაენთავისუფლებინა.

იგი იმ ბედისწერის ხორციელ სახეთ ჰყავდა წარმოდგენილი, რომელიც ასე ბრძად და უკუღმართად გადაკიდებოდა მთელი სიცოცხლე.

თავიც უნდოდა გამოეცადა ცაცაზე: გამოდგებოდა თუ არა იმ დაბრკოლებათა დასაძლევეად, რომლებიც უთუოდ გადაელობებოდენ წინ.

დარწმუნებული იყო, რომ წერილის მიწერით საქმე არ გათავდებოდა, ასე ადვილად ცაცას ბორკილებისაგან თავს ვერ იხსნიდა.

წერილის გადაცემის მეორე დღესვე ცაცასაგან პასუხს მოელოდა ან თვითონ მის გამოცხადებას ციხეში განსაკუთრებული ნებართვით.

ამისთვის ემზადებოდა.

მაგრამ ისე მოხდა, რომ ცაცამ არც წერილი მოიწერა და არც თვითონ გამოცხადდა ციხეში.

ცაცას პასუხის მაგივრად შალვა რამაძემ ქართული „სახარება“ შემოუგზავნა ენის შესასწავლად და დავალებულის შესრულების საბუთად უბრალოდ და მოკლედ აცნობა:

„ამადა ამ დღეს ცაცა მოსკოვს მიემგზავრება ამხანაგებთან ერთადო“.

მოულოდნელი იყო არჩილისათვის ასეთი იოლი გამარჯვება.

გახარების მაგიერ გული დაწყდა.

სიცალიერისებური რამ იგრძნო იქ, სადაც ცაცა ეგულებოდა და სადაც პირველი იერიშის მიტანას ლამობდა. — მტერი არსად იყო.

ნუ თუ ასე უბრალოდ გათავდა ის დიდი, ხანგრძლივი კავშირი, რომელიც მას ცაცასთან აერთებდა?

ასე უბრალოდ: თითქოს არაფერი მომხდარიყო.

მაშ, არაფერიც არ ყოფილა!

შეუძლებელია: უთუოდ იყო რაღაცა, მცირეოდენი მაინც იმ დიდი კავშირისა, რომელსაც სიყვარული ჰქვია.

სად არის ეს მცირეოდენიც?

„ამა-და-ამ დღეს ცაცა მოსკოვს მიემგზავრება“.

მერე? —

მეტი არაფერი.

— აჰაა... თუ ასეა, რა დიდი მიხვედრის კაცი ყოფილა არჩილი, რომ ცაცაში ეჭვი შეჰქონდა და მისი სიყვარული არა სჯეროდა! გაუმართლდა, რასაც ფიქრობდა: თვალთმაქცობა იყო ყოველივე.

„რა სკოდნია ამ ციხეს: აი, ესეც რა ამბავი გამოაშკარავა.“

ჰმ... იქნება, გაუხარდა კიდევაც ცაცას არჩილის კატეგორიული წერილის მიღება. ისე გაუხარდა, რომ წაკითხვის უმალვე ბარგის შეკვრას შეუდგა. თანამგზავრებთანაც ცნობა აფრინა: — მომილოცეთ, გაენთავისულდი და მოვდივარო!

ცაცას თანამგზავრებსაც ყველას იცნობს არჩილი!

ამის შემდეგ განა გაემტყუნება არჩილს, რომ აღარ სწამდეს, რაც სწამდა და მთელი თავისი ცხოვრების გადასინჯვისა და გადაფასების საჭიროებას გრძნობდეს?

მაშ, გაიყარენ არჩილისა და ცაცას გზები.

— გზა მშვიდობისა, ქალბატონო რამაძის ქალო!

არჩილს წინ სულ სხვა, ახალი გზა უდევს. — ეს არის წამების გზა, რომელმაც ახალი არჩილი უნდა დაბადოს, ცეცხლში ფოლადივით გამოწვრთნობილი, ძლიერი, დიდი.

რა იყო არჩილი აქამდე?

არჩილ დადიშინის სახელწოდებას ატარებდა მხოლოდ, არჩილ დადიშინი კი არ იყო.

და ეს უმთავრესად, იქნება, ცაცას წყალობით სჭირდა მას!

ამ ტანჯვის გზას, რომელიც არჩილს ახალმა ბედმა არგუნა, იგი მარტოდ მარტო გაივლის! — ციხე, ბორკილები, კატორღა... იქნება, სახრჩობელაც... ეს იმ დიდი კიბის სანატრელი საფეხურებია, რომელმაც არჩილის ცხოვრება საბოლოოდ უნდა გარდაქმნას და ახალ შემეცნებას აზიაროს.

არა თუ თანამგზავრი, თანამგრძნობიც კი არ ესაჭიროება არჩილს ამ გზაზე.

რა ტანჯვა იქნებოდა ქრისტეს ტანჯვა, რომ მისი ტვირთი ვისმეს გაენაწილებია! — მახარობლებმა უთუოდ იცოდნენ, რასაც სწერდნენ.

— გზა მშვიდობისა ცაცა რამაძის ქალო!

არჩილმა ამიერიდან კარგად იცის, თუ რა უნდა მოიმოქმედოს. ახლა ერთია იგი, მარტო. ცაცას ხუნდის სოლები არ უჭერენ სულსა და გულზე. მით უფრო ადვილად შესძლებს იგი მოიპოვოს საკუთარი „მე“, რომელსაც აქამომდე



ეროვნული
გამომცემლობა

სხვები ათრევდენ და სთელავდენ განუკითხავედ, — სხვები, ყველა, მთელი ქვეყანა: პარტიიდან დაწყებული და რამაძის ქალით გათავებული...

ეს ის დღე იყო, როცა არჩილმა შალვა რამაძისაგან ცნობა მიიღო მისი წერილით გამოწვეული ცაცას გადაწყვეტილების შესახებ, და არჩილიც თავის პატარა გალიიდან სამუდამოდ და უკვე დაუუარავედ ემშვიდობებოდა ცაცას და მასთან ერთად კიდევ ბევრს რასმე, რაც მას გარეშე ქვეყანასთან უკავშირებდა.

ამ დღეს თომა დილიდანვე არაჩვეულებრივად აღელვებული და მოუსვენარი იყო. — ძალზე შემკრთალი და შეშინებული სახე ჰქონდა. ასე დარბოდა მთელ ციხეში ბორკილების ჩხარუნით.

არავინ უწლიდა ხელს, რადგანაც „მამასახლისი“ იყო. მერე კიდევ ანტონა-ფერშალს დაეძებდა, და ეგონათ, რომ ტკივილი რამ აწუხებდა და წამალს სასწრაფოდ საჭიროებდა.

უფრო ხშირად მალლიდან ქვემო სართულში ჩარბოდა, სადაც ციხის საავადმყოფო იყო გამართული. აქ პატარა აფთიაქში შედიოდა — ისევ იმავე ფერშალს კითხულობდა.

ეს ფერშალი კი ჯერ კიდევ არ მოსულიყო, თომა ბრაზობდა. ივინებოდა. კბილებს აკრაკუნებდა.

— იქნებ, მოვიდა და სადმე კამერაშია, „შეხოვლაზე“!

მერე ისევ მალლა ამორბოდა შეწუხებული და პოლიტიკურების დერეფანს მიაშურებდა.

აქ წალმა-უკულმა დაიწყებდა მიმოსვლას ქუჩის მხრით ჩამწკვრივებულ ფანჯრების გასწვრივ. ზოგ ფანჯარასთან ნაბიჯს შეანელებდა, ზოგთან შედგებოდა და თვალებს მალულად მოავლებდა ციხის პირდაპირ, ქუჩის პირად მდგარ პატარა, ერთსართულიან თეთრ სახლს:

სახლის წინ ეჭლი იდგა და ურემი. კურტნიან მუშებს სახლიდან ბარგი გამოჰქონდათ: ზოგს ურემზე ალაგებდენ. ზოგიც თვითონ მიჰქონდათ სადღაც. სახლი იცლებოდა.

ეჭვგარეშე იყო, რომ თომას თეთრი სახლის მდგმურები მიდიოდნენ, ბინას სცლიდენ.

თომას კი ვასოსაგან თავის წერილზე ჯერ კიდევ პასუხი არ მიეღო, და არ იცოდა, თუ რა ეწია მის გეგმას, რომლის ბედი თეთრი სახლის ძველი მდგმურების გადასვლისა და ახლების შემოსვლის მომენტს უნდა გადაეწყვიტა.

ეს მდგმურები კი მიდიოდენ, ამას თომა დილიდანვე ხედავდა, მაგრამ მათ შემდეგ ვინ აპირებდა სახლის დაქვრას, ეს არსაიდან არ სჩანდა.

ანტონა-ფერშალს თომა იმიტომ დაეძებდა მთელ ციხეში, რომ ის დღეს მორიგე იყო და ვასოსაგან პასუხიც მას უნდა მოეტანა.

ეს ანტონა პარტიული იყო. ციხის ფერშლის ადგილზე ვასოს მოხერხებით ჩარიცხული, რომ საჭიროებისამებრ გამოეყენებია იგი, როგორც ცოცხალი კავშირი ციხესა და პარტიას შორის.

დიღხანს კიდევ არ გამოჩნდა ციხეში ეს ვასოს ცოცხალი კავშირი.

თომას კი თითქმის იმედი გადაუწყდა, — მისი თეთრი სახლის მობინადრეები აიყარნენ, წავიდნენ. და დაცალკიერებული სახლის დაბალ აივანზე ახლა პატრონის მძიმე ფიგურა გამოჩნდა: „კაკარდიანი“ რუსული ქუდით თავზე, გადმოშვებული ფართე შალვრით და უმასრო, უხანჯლო ჩოხით ტანზე.

ის-იყო საშინელი გინება უნდა მოსწყდომოდა თომას ენაზე და ფანჯარას გაშორებოდა, რომ სახლის წინ ჩამავალ ქუჩაზე ამხანაგე, ყოველ უწყობილოდ სახლს ჩაუარა კარგა მანძილზე და მერე უცბად ციხისკენ მიიქცა.

სახის დაღრეჯითა და ხელის ნერვიულ ქნევით შეხვდა მის მოხედვას თონა.

კოტემ პასუხად ცალი ხელი მალლა შეისროლა და თითები ისე აათამაშა, თითქოს თომას ანიშნაო: არხეინად იყავი, ყველაფერი მოეწყობაო.

მერე მიიმალა.

თომა ვერ მიხვდა ამხანაგის ნიშნის აზრს. ამან უფრო გააბრაზა.

შესაგინებელი სიტყვა რომ ჰქონდა მონზადებული, შესისინებით დაადევნა კოტეს და ფანჯარას სასოწარკვეთილი ხელის ჩაქნევით მოშორდა. თავის სეკრეტისკენ გაეშურა.

გულმა მაინც არ უქნა, რომ ერთხელ კიდევ საავადმყოფოში არ ჩასულიყო და ის „მამაძალდი“ ანტონა არ მოეკითხა.

კიბეზე რომ ჩადიოდა ანაზღად წინ ფერშალი შემოეყარა.

— სად ხარ, კაცო, ამდენხანს? — ხმამალლა შეუწყრა თომა ანტონას, თითქოს მისი უფროსი ყოფილიყო.

— რაშია საქმე? რა ამბავია? — წარბების შეკვრით შეუტია სამაგიეროდ ფერშალმაც და ცოტა არ იყოს ოფიციალური პოზა მიიღო.

სხვებიც ჩადიოდ-ამოდოდენ კიბეზე. თომამ იგრძნო, რომ უხერხულად მოიქცა. მოეწონა რომ, ანხანაგი არ დაიბნა და თავი შესაფერისად დაიჭირა.

— რა ამბავია და, ჩემო ძმაო, აქ ხალხი უწამლოდ იხოცება და ექიმები დროზე ყურადღებას არ გვაქცევთ! სხვა რა იქნება! — ერთხელ აღებული ტონის დაცვით მიუგო თომამ. — რა ჰქენი, წამალი მომიტანე?

— არის. ნუ გეშინია, მოთმინება იქონიე!

— მაშ, მომეცი რაღა!

ძირს დაეშვენ. პატარა საათთიაქო ოთახში შევიდნენ.

— „დღეს საღამოს ჩვენები ჩასახლდებიან. დაინახავ, ვინც იქნებიან. საქმე დავიწყეთ. დაწვრილებით „ნახვაზე!“ — სიტყვა-სიტყვით ეს დამაბარა ვასომ. აი, შენი წამალიც. — უთხრა ანტონა ფერშალმა თომას.

— მეტი არაფერი? — გაუბრწყინდა შავი სახე თომას.

— ისე მითხრა კიდევ, ამის შესახებ სიტყვა სულ არავისთან არ დასძრანო.

— კეთილი, ჩემო ანტონ! გადაეცი: ვუთხარიტქო და ძალიან გაეხარდა-ტქო. ცნობა ყოველთვის დროზე მომაწოდეთქო და „ნახვის“ დღეს მაინცა-დამაინც ნუ უცდათქო... ასე. თუ კიდევ რამე დასაბარებელი მექნა, სანამ წახვალ, შეგატყობინებ.

და თომა ჩხარაჩხურიანი ფრენით ისევ მალლა სართულში ამოფრინდა.

ახლა არჩილთან შეიჭრა „სეკრეტში“.

თითქოს თავად ქორი ყოფილიყოს და არჩილი კი წიწილა, ისე თავზე დააფრინდება თომა მეგობარს.

ფართოდ გაშლილ ხელებს ზურგზე ორივე მხრით სალტესავით ამოსდებს და ასე გულში მაგრად ჩაიკრავს. მერე ბურთივით მალლა აქვრჩხნუნუნებს.

— გაიხარე არჩილ: მივდივართ! მივდივართ! მივდივართ! — გარეშე თავის-უფლებაზე... სადაც ცხოვრება სდულს და გადასდულს!.. რომ იცოდე, რა ბედნიერი ვარ!

მერე ლოგინზე ჩამოჯდება. არჩილს გვერდით მოისვამს. სიტყვის ამოღებასაც არ აცლის, ისევ თვითონ განაგრძობს.

დაწვრილებით უამბობს თავის გეგმის ისტორიას. ტრაბახსაც არ დაერიდება.

ამ დილის ამბავსაც გადასცემს, რაც შიში განიცადა, და ახლა კი რად არის აგრე გახარებული.

— შე კი არსად არ მივდივარ, ჩემო თომა. შენთვის გზა დამილოცნია. — ცივ წყალს გადაასხამს ალტაცებულ მეგობარს არჩილი.

— ბიჭოს! ეს ვითომ რატომო?

— სად წავიდე, ან რისთვის? გარედ რა დამრჩენია?

— თავისუფლება, არჩილ! თავისუფლება! ამაზე უკეთესი რა იქნება, ან ამაზე დიდი!

— სულ ტყუილია, თითქოს იქ, გარედ, თავისუფლება იყოს... არა, თომა, ჩემი ბედი სხვა არის. ნუ ვილაპარაკებთ ამაზე.

— რა ბედი, რისი ბედი! მებუმრობი და ეს არის. ჩვენი ბედი ჩვენ თვითონა ვართ! მაშ! რას მიჰქარავ! ჩვენი ამხანაგები ჩვენთვის რომ თავს სწირავენ, ეს არაფერი არ ყოფილა, შენი აზრით, თუ რაღაც ბედზე ვართ დამოკიდებული!.. ხომ ხუმრობ, არჩილ, მითხარი, თუ ძმა ხარ?

ბალღივით გაიბუტება არჩილი. თავის გაქნევით ეტყვის:

— არა... არ ვხუმრობ, თომა.

— მაშ, მითხარი, შენს თავს რა ამბავია? აი, გისმენ...

— მაგდენიც არაფერი. შენ გიხარია, რომ ციხიდან მიდიხარ და თავისუფლება მოგელის. მე კი აქ, ციხეში, ვფიქრობ თავისუფლება მოვიპოვო.

— არაფერი არ მესმის. აქ ციხეში მხოლოდ აბლანდია არის თავისუფალი... მე კიდევ მგონია, რომ ხუმრობ. კარგია, გეყოფა: დიდი სამუშაო მოგველის და მზად იყავი. ჯერ ეს ამბავი აქ, მხოლოდ ორმა ვიცით: მე და შენ.

— მუშაობით ვიმუშავებ, მაგრამ წამსვლელი არა ვარ!

— გცემ, იცოდე, გაჩუმდი თორემ... შენ რაღაც ცხვირი ჩამოუშვი ამ ციხეში. მგონია, იმ ლექციაზეც ცუდად იმოქმედა შენზე. ალბად, ვინმემ გაწყენინა. რა მერე? ჯანდაბას ყველა ლექცია მისი ფილოსოფიითა და ათასნაირი პრობლემებით. დაანებე თუ ძმა ხარ თავი. ოღონდ ჩვენ ვიყოთ კარგად და თავისუფლები და დანარჩენი ყველაფერი თავისთავად მოგვეცემა: ავტონომია

გინდა, ცენტრალიზაცია, თუ ფედერაცია. რას აკლავ თავს? მართალი გითხრა, ამაზე ძალიან ნაკლებად ვფიქრობ. სისულელეა. დავიცადოთ. მოვესწრებით. ჯერ გავიმარჯვოთ, დათვი მოვკლათ და მერე, მერწმუნე, ადვილად მოვახერხებთ მისი ქონისა და ტყავის განაწილებას!

— ყოველივე, რაც სთქვი, მე ახლა ნაკლებად შემეხება, თომა. ჩე სულ სხვა ფიქრებიდან გამოვდივარ. როგორც გინდა გაიგე: იმდენს ვინაობა არ წარმოვადგენ პარტიისათვის, რომ მან ჩემთვის მსხვერპლი გაიღოს!..

— ჰიი, კარგია ერთი! სტუმარივით ნუ გიჭირავს თავი... რა დროს მორცხობაა!.. თუ მაინცა-და-მაინც ასე გინდა ამ საქმეს მიუდგე, მაგ შენი ღირებულების საკითხის გადაწყვეტა ჩვენ მოგვანდევია... შენ ამას არაფერს გკითხავს. რაც შეეხება იმას, რომ რაღაც მოშველებულხარ ყაზახი და თავში ქალაქუნა აზრები გაგჩენია, ეს იმის ბრალია, რომ, ალბად, უსაქმობით ამ ციხეში მალარია მოგერია და ავად ხარ. აი, საქმეს რომ შევუდგებით, უცბად გაგივლის. მე დამიჯერე.

ამაზე პასუხი არ დაანება თომამ არჩილს. ხელის გული პირზე წიაფარა და ასე გააჩუმა.

— სუ, სიხარულს ნუ მიწამლავ, თორემ მოგახრჩობ! — შეჭიდებით უხუმრა და ერთხელ კიდევ ხელი მოხვია, გულში ჩაიკრა.

ამ დროს კარზე დაუკაკუნეს.

თომას ნაცნობი ციხის მეკარის თანაშენწე, ქერა რუსი, სარკმელთან მომდგარიყო და სეკრეტში იჭვრიტებოდა.

არჩილ დადიშიანს კითხულობდა.

წამოხტა თომა. კარი გაუღო.

— რა გინდა, პავლიკ? შემოდი.

რუსი მორიდებით შემოვიდა. ხელში სუფთა თეთრ ხელსახოცში გახვეული შეკრვა ეჭირა.

— დადიშიანი არჩილ. — იკითხა კიდევ ერთხელ.

— რა გნებავთ? — ახლა არჩილიც წამოდგა და მოულოდნელ სტუმარს შეეგება.

მეკარე არჩილის პაწია მაგიდას მიუახლოვდა და ზედ ფრთხილად დადვა შეკრული. მერე არჩილისკენ მობრუნდა და დაბალ, მაგრამ საზეიმო ხმაზე განაცხადა:

— უფროსის მეუღლე დადიშიანს სადილით მოიკითხავს. — ამ სიტყვებით თავს დაუკრავს არჩილს და ორანჯოვანი ქვეშევრდომულ გაღიმებით კუთხეში მიდგება.

არჩილი დაიბნა. გაკვირვებით გადახედა თომას.

მაგრამ თომასათვისაც ენა ჩაეგდო მასი ნაცნობ პავლიკის მოულოდნელ და საკვირველ მისიას.

მეკარემ კი აშასობაში ერთხელ კიდევ დაუკრა თავი მეგობრებს და სეკრეტიდან გავიდა.

— რაო, რაო? რაღაც გაუგებრობაა, მგონია... ვერ გავიგე კარგად.—
სთქვა ბოლოს თომამ და შეკვრას დაუწყო თვალღერება.

— ეს ამბავი რაღაც ზღაპარს ჰგავს, თომა... ალბად, მისამართი შეეშალა
რუსს...—როგორც იქნა, არჩილმაც დასძრა ენა.

— კი, მაგრამ შენს გვარს რომ გარკვევით ამბობდა!.. მოდი, გაეხსნათ,
რა ამბავია,—და თომამ ხელსახოცის დამარყუშებული წვეტი გაშალა.

ორ რიგად ერთმანეთზე ელაგენ ლაბაქებ გადმოხურული ყურები.
ფხრილად გადმოაღაგა ისინი თომამ.

ერთზე შემფურზე ახლად შემწვარი დაბრაწული ვარია იდგა. მეორეზე—
სულგუნის დიდრონ ნაქრებით ამოვსებული ცხელი ლომი ეგო.

საქმელს ოხშივარი აღიოდა და გარშემო ნერწყვის მომგვრელ სურნელს
აყენებდა,

— ბიჭოს! აი, ნამდვილი მეგრული სადილი. არჩილ, მართალია რუსი.
უთუოდ შენ გეკუთვნის! იცოდე, რომ წერილიც იქნება... აი, ნახავ.

თომამ ხელსახოცი აიღო. დაბერტყა.—იატაკზე მართლა დავარდა ოთხად
გაკეცილი ქალაღდი.

ქალაღდს არჩილი დაწე და აიღო. გაშალა.

— ბიჭოს... ვიღაცა მართლა მე მწერს... მოიცა... ა?... „ვარდო ვარაძის
ქალი“... თომა, მოდი... შენც წაიკითხე. ხომ ასე სწერია?

— სწორეა: ვარდო ვარაძის ქალი... თავიდან წაიკითხე ბარემ...

— „ძვირფასო და პატივცემულო არჩილ, დედათქვენმა დამავალა ხანდა-
ხან ჩვენებური სადილით გაგიმასპინძლდეთ. იმედია, მოგაგონდებით თქვენი მე-
ზობელი და ბავშობიდანვე თქვენი მოყვარული და პატივის მცემელი ვარდო
ვარაძის ქალი“.

არჩილის განცვიფრება აუწერელი იყო. ხან წერილს დახედავდა დაბნეუ-
ლი, ხან თომას შეხედავდა.

— კი, მაგრამ „უფროსის მეუღლემ“ გამოაგზავნაო, რუსმა რომ წამოა-
ყრანტალა, ეს საიდან სჩანს... რა შუაში იყო! სჩანს, ვიღაცა ვარდო გზავნის
დედაშენის დავალებით. არჩილ,—არ გაგონდება ეს ვარდო?

— დაიცა, თომა. როგორ არა... ის ვარდო... ის ვარდო... ანდროს
ვარდო...

— ჰო, ერთი სიტყვით, ვარდო!

არჩილს რაღაცა პანიკური შიში გამოხატოდა სახეზე.

თითქოს ახლა გაემეორებოდა ანდროს ფოთში გულის ამოზიდვით ნათქვა-
მი: „ვარდო გაათხოვესო“, ისე ხელახლად მოესმენ ეს სიტყვები.

„ნაშ, აქ ყოფილა გათხოვილი“.

მერე ანდროს ციხეში მოულოდნელი გამოჩენაც ეოცა.

— ჰა...—თითქოს გამოიცნო, ისე წარმოსთქვა ბოლოს.

-- არჩილ, აბლანდიას ცოლი მეგრელის ქალი არისო, ამბობენ... ეს
შენი ვარდო მართლა მისი ცოლი არ იყოს, კაცო! ა? ვერ გაიხსენე?

— ა? — ახლა კიდევ სხვა ეჭვი ეცა სახეში არჩილს. — რალაც ამბავია, იცოდეთ... მოდი, რა ჰქენი, იცო, თომა: ნახე ერთი ის შენი პავლიკი-რუსი და კარგად გამოჰკითხე, ვისგან არის... ვინ მისცა, სად მისცა და რა პირობებში.

სალამოს ბინდი მოახლოვებულყო. ციხე ჩაისთვის ემზადებოდა. / ზოგი ცხელ წყალს იმარაგებდა, ზოგი პურს. იყო შაქრის დასესხება, კამერებიდან კამერაში.

მორიგეები „პარაშკებს“ ასუფთავებდნენ. თავიანთ კამერებში ეზიდებოდნენ. თითოეული რალაცას აკეთებდა, ფაცაფუცობდა ჩაკეტვის მოლოდინში.

საქმეს უფრო ადრე მორჩომილებიც იყვნენ. ახლა ესენი კუთხე-კუთხე შეჯგუფებულიყვნენ, დიდ კამერებში მეტწილად, და სიმღერა გაემართათ. — გურულებს ცალკე, მეგრელებს კიდევ ცალკე.

კრიმანჭულის ჯიბრი გაჩაღებულიყო.

თომა ამ დროს განცალკევებით იდგა დერეფნის კუთხეში და ფანჯრის ყურეს მიყუდებული თვალების მოუცილებლად გადასცქეროდა „თავის“ ერთ-სართულიან თეთრ სახლს.

იგი მოუთმენლად მოელოდა ახალ მდგმურებს, რომლებიც მიღებული ცნობისდა მიხედვით, სადაც იყო, უნდა გამოჩენილიყვნენ.

ის-იყო ქუჩის ფარნებიც აინთო აქა-იქ ქალაქში, რომ ეტლმაც სახლის მახლობლად გაირახრა. მერე ციხის მხრით ჩამავალ ქუჩაში შემოუხვია და თეთრ სახლს გაუპირდაპირა.

თომამ კარგად დაინახა გარშემო, წინ და უკან ბარგებ შემოწყობილი ორი ქალი — ერთი ქუდიანი მეორე უბრალო თავსაკრავიანი — რომელთაც ეტლი მოაქროლებდა.

კოფოზე, მეეტლესთან, დიდი კოლოფით ხელში ვინმე ყაბალახ-ჩამოფხატული ყმაწვილი იჯდა და ყაბალახქვეშიდან მალვით ციხისკენ იმხირებოდა.

„ნუ თუ ესენი არიან?.. მერე: ქალები?..“ — შეიკვირვებს თომა.

მაგრამ უცბად კოფოზე მჯდარი ყმაწვილი ეცნაურება მას. დააკვირდება.

„უთუოდ ის ბიჭია, არჩილის დედასთან ერთად სანახავად რომ იყო! სწორედ ის! არჩილის ბარგი რომ თომას გადმოსცა“...

სიხარულისა და გაკვირვებისაგან შეაცახცახებს თომას:

ეტლი სახლის წინ დადგება.

მაშინ თომა გიჟივით მოწყდება თავის ადგილს და არჩილის სეკრეტისაკენ გაეჭანება.

გამოიხმბობს არჩილს. ხელს მარწუხივით მკლავებზე ჩაავლებს და დერეფანში განოიყოლიებს.

— მოდი, რა გაჩვენო... მაგრად იყავი, გაკვირვება არავინ შეგატყოს.

ფანჯარასთან მიიყვანს. გადაახედებს.

ეტლიდან ქალები ჩამოსულიყვნენ, და მათ მხლებელს, ყაბალახიან ყმაწვილს ახლა ბარგი ჩაჰჭონდა ძირს.

თითქოს უცნაურ ძალას თვალები მოეჭრას არჩილისათვის, ისე შეაქანა თავი ამ ყმაწვილის დანახვაზე და ფანჯარასაც მყისვე მოშორდა.

— ანდრო!!!

ძლივს წარმოსთქვამს ამ სიტყვას და ფერი შეუკრთება სახეზე. თვალბ-ში შიშისანი რამ სიბნელე ჩამოაწვება.

— იცანი?— გაუღიმებს თომა და ხელს წელზე შემოავლუბს, თავისკენ მოი-ზიდავს.— ის არის ხომ... შენი...

ახლა უცებ, მოულოდნელად, აენტება არჩილი.

სისხლი სახეზე წამოაწვება. უცნაურად გამოიცვლება.

— ნუ შვრებით ამას მეთქი, თომა! დაილუპება ის ბიჭი... უთუოდ დაი-ლუპება!.. ამის ნებას კი არ მოგცემთ! გესმის: არ იქნება!—

ძლივს შეკავებული კივილით იტყვის.

— სუ... სეკრეტში წამოდი, იქ მოვილაპარაკოთ.— ხელის რბილი მითა-თუნებით მოეფერება მას თომა გასაჩუმებლად და ფანჯარას მოაშორებს.

ერთს კი ვერ გაარკვევს თომა: შიშით იყო არჩილის პროტესტი გამო-წვეული, თუ ასე სხვა რასმე გრძნობას აელვლებინა იგი.

XXI

თეთრი სახლის სარდაფიდან ციხის მთავარი კორპუსის მიმართულებით გვირაბის გასაყვანად მიწის თხრა უკვე დაწყებულიყო.

სულ სამი კაცი აწარმოებდა მუდმივად მუშაობას: ორი ჭიათურის მაღა-როებიდან ჩამოყვანილი მუშა, ხელის ლომითა და წერაქვით, და მესამე ანდ-რო ქარივაძე ნიჩბით.

მათ კი თავზე ნიკო აღვა დარაჯად.

მუშაობა დილით იწყებოდა, როგორც კი ციხე ახმაურდებოდა, და საღამოს სწყდებოდა, როგორც ციხის დღე გათავდებოდა და კამერები ჩაირაზებოდნენ.

უკვე გაერღვიათ სარდაფის კედელი, სიღრმისკენ დაექანებინათ გვირაბის ხაზი და ქუჩის ქვეშ გამართვით მიწაში შეჭრილიყვნენ.

დასაწყისში სიგრძე სიგანეზე საკმაოდ დიდი არე მოექრათ გარშემო: შიგ კაცი გაიმართებოდა.

საკუთრივ გვირაბი აქედან იწყებოდა.

სარდაფიდან აქ, თუმცა მკრთლად, მაგრამ ჯერ კიდევ აღწევდა დღის სინათლე.

სახლის გამორღვეულ საძირკვლის ყურესთან ოთხი თოფი იყო მიყუდებუ-ლი სავაზნეებითურთ. იქვე ეწყო რამდენიმე ხელის ბომბა.

შორი-ახლო წყლის თავდაცული დიდი დოჭი და ღვინის მოზრდილი ხე-ლადა იდგა.

გვირაბის შესავალთან, თოფების გვერდით, ნიკო აყუდებულიყო, შავი, ჩუმი და უძრავი.

მის იქ ყოფნას ორი თვალის შავი ბრწყინვალეობა და ააშკარავებდა.

თვალთაგან შეუდრეკელი ნებისყოფის ანთებულ მუგუზლებს ჰყრიდა და სახეზე ნაკვეთ-ნაკვეთ სწყდებოდა გამარჯვების მტკიცე რწმენის ფოლადი.

მისი ტანი თოფებთან ერთად ისე იყო კედელზე შემართული, თითქოს თავადაც თოფი ყოფილიყოს, ჩახმახ-შეყენებული და მტერს დამიზნებული.

შიშისა თუ ეჭვის ლანდიც კი ახლოს არ უნდა გაკარებოდა სარდაფს.

სიღრმეში კი, მაღაროებში სახმარებელი ფარნის მბეჭეტავ სინათლეზე, ოქროს ფრად მოკიაფე მტვრის ბუჭი იდგა და მის მორევში, როგორც მარწუხები, ისე იშლებოდნენ და იკეცებოდნენ სამი ადამიანის შიშველი, ~~კუნთებ-აბურთებულ~~ ძარღვმაგარი მკლავები.

გამოზომილი, ფრთხილი თანდათანობით, ყრულ თვალებს უმჯობესად ირღვეოდა ნიწა და ფენ-ფენად იკვეთებოდა და იშლებოდა ნისი ნიადაგი.

ჭიათურელ მუშებს კვალდაკვალ უკან ანდრო მიჰყვებოდა. მორღვეულ მიწას ნიჩბით ტომარაში ჰყრიდა, რომელსაც გავსების უმაღლეს საგანგებოდ დაფენილ ფიცრებზე გაასრიალებდა და სარდაფის წინა კუთხეში სკლიდა.

ოფლი სდიოდა სახეზე წურწურით. ზედ მტვერიც დაჰკროდა სქლად. მთლად შემურულიყო და გაწავებულიყო.

ისეთი ხალისითა და სიხარულით მუშაობდა, თითქო ტანი უცეკვავდა.

არ ისვენებდა: სამუშაო არ ყოფნიდა.

რომ გახმაურების შიში არ ჰქონოდათ და ნება ყოფილიყო, იგი ღამითაც იმუშავებდა და ციხეს ფრჩხილებით გამოუთხრიდა ძირს, რომ არჩილამდის მალე მიეღწია და გასაქირისაგან ეხსნა.

წინ რომ ნელა მიიწევდნენ, მოთმინება არ ჰყოფნიდა, დაგვიანების ეშინოდა

სახლის ზემოდ კი — ოთახებსა და აივანზე — სინშვიდე იყო და მყუდროება.

ახალ მდგმურებს აქ საქსოვი და საქარგავი სახელოსნო გაემართათ და დაბინავების მეორე დღიდანვე საქმეს შესდგომოდნენ.

ესენი იყვნენ ვითომდა გურიიდან ჩამოსული ცნობილი ოსტატი ქალები, რომელთაც თავიანთი ვინაობა მორცხვით აღენიშნათ რუსულად, შესავალ კართან, გამოკიდებულ აბრაზე.

სახლის ფანჯრებზე ფარდა იყო ჩამოფარებული. ფარდაზე კი ნაქსოვისა და ნაქარგის ნიშნები აეკრათ.

შუა ფანჯრიდან ხელის მანქანა მოსჩანდა, ზინგერის მარკიანი, რომელსაც ციხისაკენ ზურგშებრუნებულად ოსტატი ქალი უჯდა და თავაუღებლად მუშაობდა.

აივანზე, განდაგან გამბულ თოკზე, უცხო რამ ხურჯინი იყო გადაკიდებული. ამ ხურჯინს ერთი ტოტი შავი ჰქონდა, მეორე კი თეთრი.

იგი, პირდაპირ, პოლიტიკურების დერეფნის კიდურ ფანჯარას შეჰყურებდა. თომას რომ დღეში ასჯერ შეეველო თვალები ამ ხურჯინისათვის, ცოტა იყო. მას უაღრესად მნიშვნელოვანი საიდუმლო დანიშნულება ჰქონდა, რომელიც ციხეში მხოლოდ თომამ და არჩილ დადიშინაძე იცოდნენ.

პირველი ის იყო, რომ თუ ამ ხურჯინს ზედ რამე გადაეფარებოდა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ გვირაბში მუშაობა რაიმე მიზეზით არ სწარმოებდა.

მეორე დანიშნულება კი ხურჯინის ტოტების დამოკლება — გაგრძელებაში იფარებოდა: რამდენად თოკის ერთი მხრით გადმოშვებული ტოტი მოკლდებოდა და მის ხარჯზე მეორე გრძელდებოდა, იმდენად გვირაბი თანდათან მოიწვედა ციხისაკენ და გასათხრელი მანძილიც ილეოდა.

თომაც სულ იმის ნატვრაში იყო, რომ ეს უცნაური ხურჯინი, რაც შეიძლება მალე ერთი ტოტის წვერზე ჩამოკიდებულიყო, მთელ სიგრძეზე გაშლილი. მაგრამ ხურჯინის ტოტები მაინცა-და-მაინც არ ჩქარობდნენ ერთმანეთს დასცილებოდნენ.

მათი ერთი საათი მთელი დღის ოდენა იყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორც ციხის გარედ, ისე ციხეშიც დიდი მუშაობა სწარმოებდა.

გარედ კოტეს და დიდ-ვასოს დღე მოსვენება არ ჰქონდათ, ღამე ძილი. ამზადებდნენ ბინებს, პასპორტებს, ტანსაცმელებს, ფულს.

არ სტოვებდნენ, ვინც კი საიმედო იყო და მცირეოდენ გამოსადეგი: არ ზოგავდნენ არავის, არც პარტიულს, არც გარეშეს.

შალვა რამაძეც კი ჩაეთრიათ მუშაობაში, რომელსაც ახლა არჩილის ციხიდან გამოსვლამდის გადაედვა თავისი გამგზავრება რუსეთს.

ცაცას წასვლა ვასოს „ღალატად“ მოენათლა და მისი წილი საქმე ზედმეტად შალვასათვის დაეკისრებია.

ციხეში კი თომა ძალიან ფრთხილად მოქმედებდა. გადაეწყვიტა, უკანასკნელ დრომდის არჩილს გარდა სხვა ამხანაგებისათვის არ გაენდო საიდუმლო.

მანამ კი არჩილთან ერთად „გასაქცევთა“ სიას ადგენდა, დაწვრილებით ამუშავებდა „წასვლის“ გეგმას და „დასარჩენ“ ამხანაგებს შორის ეძებდა ისეთებს, რომლებიც შესძლებდნენ „წასვლის“ ბოლომდის წესრიგიან ჩატარებას, რაკი თვითონ თომას მახლობელ ამხანაგებითურთ პირველ რიგშივე გასვლა მოუხდებოდა.

ხოლო არჩილის მდგომარეობა ახლა დღითი დღე რთულდებოდა.

ფოთის ექსპროპრიაციის საქმის გაუორმებას უკვე შესდგომოდნენ: საგანგებო გამომძიებელი ყოველ მეორე დღეს მოდიოდა ციხეში ვილაც სამხედრო პირის თანხლებით. — ჯერ სრულიად განცალკევებით დამწყვდეულ მიხელა-იმერელს გამოიძახებდნენ საგამომძიებლო ოთახში, რომლის დაკითხვის შემდეგ რიგი არჩილზე მიდგებოდა.

დაკითხვის საგანი ფოთის ექსპროპრიაცია იყო.

არჩილის წამება ყოველ საზღვარს გადასცდენოდა. მტერი საშინელ, სამარცხვინო დაღუპვას უმზადებდა.

და ის „ტანჯვის ფილოსოფია“, რომელსაც არჩილი ახლად უნდა ეშვა, თანდათან უმიზნო, უშინაარსო თავისმოტყუილება ხდებოდა.

არჩილის თვალეზიკ ახლა, თითქოს ძალაუნებურად, უფრო და უფრო ხშირად თეთრი სახლის აივანზე გამოფენილ ხურჯინისკენ იცქირებოდნენ და სულ სხვა გეზის დაჭერას ლამობდნენ.

ასე გავიდა მთელი ერთი კვირა. მერე — მეორეც.

სადაც იყო მესამეც უნდა მიწურულიყო.

თეთრი სახლის აივანზე ჩამოკიდებული ხურჯინის ერთი ტოტიც იმდენად დამოკლებულიყო, რომ ერთი ტკაველის სიგრძეზე ლა იყო გადმოფენილი.

ხურჯინის მთელ სიგრძეზე გაშლით დაკიდების სანატრელი დღევ ახლო-
ვდება.

XXII



მაგრამ ერთ დღეს, დილას, ციხეში მოულოდნელი რამ ამბავი დატრიალდა-
ეს იყო ორშაბათს, გათენებისას.

ლამის ბინდი ქალაქიდან ჯერ კიდევ არ აყრილიყო და ციხის მოსახლე-
ობასაც ღრმა ძილით ეძინა.

მხოლოდ ქვემო სართულში ამ დროს, კანცელარიასა და დერეფანში, ცი-
ხის ადმინისტრაციას უკლებლივ თავი მოეყარა და უფროსის ოთახსა და შემო-
სავალ ალყაფის კარებს შორის რაღაც გაუგებარი, საიდუმლო ნიშნებიანი ფეხ-
აკრეფილი მიმოსვლა გაემართა.

გულჩათხრობილად მიდი-მოდდიოდნენ მსახურნი. უხმოდ. სწრაფად. მომარ-
თული ავტომატებივით.

ყველა ფორმაში იყო: მარცხნით გვერდზე ყვითელ ტარიანი ხმალი. მარ-
ჯვით—ქამარზე რევოლვერი მონწვანო ზონარით კისერზე შეკიდებული. ხელში
კი—გასაღებების აკიდო.

აბლანდია თავის კაბინეტში იმყოფებოდა. ფანჯარასთან იდგა და მარ-
ცხენა ხელში თასმის შოლტი ეჭირა, რომელსაც ნერვიული მოუთმენლობით
თითებსა-და-თითებს შუა წალმა-უკულმა ატრიალებდა.

მასთან მორიგეობით წამ-და-უწუმ უფროსი ზედამხედველები შემოდდიოდნენ
და ყურების ცქვეტითა დი თვალების გამოშტერებით შორი-ახლოს სდგებოდნენ
ტანის სამხედრო ყაიდაზე მოჭიმვით.

აბლანდია მათ რაღაც უცნაურად განკარგულებას აძლევდა, თითქოს ნაჩუ-
მათევად, თვალების ახამხამებით, რის შემდეგ ზედამხედველები ისევ უკან მიი-
ქცეოდნენ.

უმცროსიდან დაწყებული უფროსამდე, ყველანი დელავდნენ, ფაციფუცობდნენ.
ხოლო თითოეული თავისთვის, მალულად, რომ მეორეს არ შეემჩნია, და ექვი
რამ არ შეეტანა. — თვალებს არიდებდნენ ერთმანეთს.

შიშინანი, უნდობელი გამომეტყველება ჰქონდათ.

სჩანდა, რომ დიდ ამბავს მოელოდნენ, და არ იცოდნენ, თუ ვის რა უბედურე-
ბას დაატეხდა იგი თავს.

ეს დიდი ამბავი ციხის მორიგი, გენერალური ჩხრეკა იყო, რომელიც წუ-
ხელ ნაშუაღამევს ამ დილის ექვსი საათისვის უეცრად დაენიშნა ქუთაისის პოლი-
ცმეისტერს პროკურორთან შეთანხმებით და რომელსაც ციხის ადმინისტრაციის
მუშაობის რევიზიაც უნდა მოჰყოლოდა აუცილებლად.

აბლანდიას მახლობელ შტატიტურთ მთელი ღამე არ სძინებია. დავთრებში
იჩხრიკებოდნენ, თავდარიგს იჭერდნენ და ამ განსაცდელისთვის ემზადებოდნენ.

ის-იყო ექვსი საათიც უნდა შესრულებულიყო, რომ ყაზახ-რუსების ერთი ქვე-
ითა ასეული სამი ოფიცრის შეთაურობით და პროკურორისა და პოლიცმეისტრის
თანხლებით ციხის ალყაფის კარებს მოადგა, და ნელად კარის ზარიც ჩამოირეკა.

საგანგებოდ მომართულებივით გამოიშალენ გარედ აბლანდია და მისი თანამშრომლები.

მყისვე უხმოდ, მაგრამ ფართოდ გაიღო ციხის კარები, და სამხედრო წესით დარაზმული ჯარი მოკლე, გაზომილი ნაბიჯით ეზოში გაუნაწივრებლად შემოიკრიბა.

გაიჩხარუნენ დეზებმა, და უფროსები ერთმანეთს მიესალმნენ. მერე გახზე გაიწიეს. შეთქმულებივით ჩუმად მოითათბურებოდნენ. არ გასულა ხანი, რომ ყაზახთა რაზმი ორად გაჰყვეს, ერთი ნაწილი ყარაულის უფროსს გააყოლეს შენობის გარშემო შემოსარიგებლად, მეორე კი დამხვთური და მოსული აღმინისტრაციის წინამძღოლობით, ენის დადუმებითა და ფეხის აკრეფით შიგ ციხეში შეიმართა.

თვალის დახამხამებაში დერეფნებში ჩარიგდნენ, და მძინარე კამერების კარებთან თოფიანი ყაზახები საფრთხობელასავით აეტუზენ.

შეიკრა ციხე ქვევით და ზევით.

მერე ისევ უცებ, მოულოდნელად, თითქოს მეწყერი გრიალ-ხრიალით მოვარდაო, ისე გაისმა დილის სიჩუმეში დოლების ერთდროული და უეცარი არახუნება ყოველი მხრიდან, — როგორც ეზოში, ისე ზემო და ქვემო სართულებში.

უცებ აფეთქდა ციხის მყუდროება.

შიშით ხარდაცეცხლი ტუსალები ნარებიდან წამოცვივდნენ. — ზოგი ფანჯარას მივარდა, ზოგი კარს.

ზე წამოიჭრა თავის ლოგინიდან შეფეთებული თომაც.

დოლების არახრახება სმენაში ისე შეჭროდა, რგორც თოფების უეცარი დაშინება.

პირველად „სეკრეტის“ კარის პაწია სარკნელს მიაპყრო ნამძინარევი თვალები.

კარზე მოძღვარი ყაზახის ბანჯგვლიანი უცნობი სახე რომ დაინახა, შიშისაგან უმაღვე ისევ დახუჭა თვალები, — სიზმარში ხომ არა ვარო.

შემდეგ თვალები მოიფშენიტა და ისევ გააღო.

უცნობი ყაზახი კვლავ მის სარმკელში იჭვრიტებოდა.

საშინელი ეჭვი შანთივით შეერჭო თავში.

ხელმეორედ დახუჭა თვალები და ასე თვალებ-დახუჭული, მთვარეულივით კარისკენ გამოემართა.

დოლის ხმა მეხის ბორძალივით შიგ ყურებში ურტყამდა.

თავში კი საშინელი ეჭვი ხანძარივით შეჰკიდებოდა.

— სად მოძვრები ხოჭოსავით? დაიხი! — შემოაძახა ყაზახმა.

შესდგა თომა, თვალ ბი გაახილა.

უეჭველი იყო: სარკელიდან ნამდვილი ყაზახ-რუსი შემოსცქეროდა.


„აღმოუჩენიათ!“ დაუდასტურა ახლა ეჭვი შეგნებამაც.

და უცებ შებარბაცდა. შეჰქანდა და ფართოდ გაშლილ ხელების რაღაც გიჟური გასავ ავევით კედელს მთელი ტანით მიეჯახა და ზედ მიეკრა.

— ვაიმე! — აღმოხდა გულიდან.

მის წარმოდგენაში ელვის სისწრაფით საშინელმა სურათმა გაიბინა: გვირაბი აღმოაჩინეს. ამხანაგები შეიპყრეს, და ახლა ჯერი ციხეზე მიდგაო. დიდხანს ვერ მოვიდა გონს. ადგილიდან ვერ დაიძრა. დოლის ცემა შემწყდარიყო..

ახლა დერეფანში ადამიანები ხმაურობდნენ: ლაპარაკობდნენ, შიმოდოდნენ. მალე ვიღაცა თომას სეკრეტის კარსაც მოადგა, გაისმა ~~გასაღების~~ კლიტეში მომარჯვების ხმა.



გაიღო კარი.

— ნაბრძანებია, დასცალოთ კამერა!— მოესმა თომას ნაცნობი ხმა.

სეკრეტში მეკარე პავლიკმა შემოჰყო თავი.

— ჩქარა!— შემოსძახა მან მრისხანედ.

როდესაც იცნო თომამ, მოიკრიბა ღონე და მისკენ გადახტა. მკლავზე ხელი დასტაცა.

— რა ამბავია, პავლიკ? მითხარი ახლავე!

რუსმა ჯერ თითქოს იტყობოვა თომას საქციელი. მარჯვედ გაინთავისუფლა მისგან მკლავი, ერთი უკან მოიხედა. ვინმე ხომ არ მითვალთვალეზსო, და მერე თომას სულ მდაბლად წაუჩურჩულა:

— არაფერია. გენერალური ჩხრეკაა... მორიგი, წლიური. — მერე მყისვე უკან დაიხია დერეფნისკენ, და ერთხელ კიდევ მრისხანედ შეჰყვირა სეკრეტში: — გარედ-მეთქი, დაუყოვნებლივ!

გულზე მოეშვა თომას. ნამდვილ სიკვდილს შემთხვევით გადარჩენილივით გაუნათლა თვალები.

„მაშ, თეთრი სახლი არაფერ შუაშია“.

მოიაზრა მდგომარეობა.

ახლა კიდევ სულ სხვა მიმართულებით აუზმუშავდა აზრი.

უწინარეს ყოვლისა დიდი ვაი-ვაგლახით შეძენილი და შემონახული ქლიბი მოაგონდა, რომელსაც დიდი მოხერხებით ინახავდა თავის პატარა სეკრეტში.

ჩხრეკის დროს მისი აღმოჩენა თომასთვის უდიდესი უბედურება იქნებოდა: როცა წასვლაზე საქმე მიდგებოდა, ბორკილიანი საღ უნდა წასულიყო?

მიუხედავად მეკარის ფიცხელი განკარგულებისა, მაინც შეიგვიანა სეკრეტში: ხალათის ჩაცმა დაიწყო. ვითომ სასთუმალთან შებრკოლდა.

ამით ისარგებლა და ქვესაგებიდან ნამალავად ქლიბი გამოაძვრინა. მიიხედ-მოიხედა. საიმედო დასამალავი ადგილი ვერსად ვერ ნახა. თითქოს დაიბნა. დაუყოვნებაც არ შეიძლებოდა. სეკრეტში დატოვებას ამჯობინა ჯიბეში ჩაედვა.

ამ სახით მობრუნდა და დერეფნისკენ გამოეშურა. კარს რომ დაუახლოვდა, ანაზღად მისი ყურადღება იქვე კუთხეში ჩანოკიდებულმა თარომ მიიპყრო, რომელზედაც მონარჩენი პურის კარგა მოზრდილი ნაქერი იდგა.

უცებ გაუბრწყინდა თვალები. შესდგა. პური ჩამოიღო. მოსტეხა ლუკმის ოდენა და პირში ჩაიჩარა. გაიხედ-გამოიხედა და ისეთი უცნაური სიხარბით დაუწყო ლუკმას ღეჭვა, ვითომ დიდიხნის დამშეული ყოფილიყო.

ერთდროულად კი გამოცდილი ჯამბაზის სიმარჯვით ქლიბი ჯიბიდან ამოიღო და პურის გულში ღრმად შეარჭო. მერე ისევ თაროზე დააგდო და გამარჯვებულვით დერეფანში გამოვიდა.

— ხელები მალლა! — შეტევით შესძახა მას რუსმა, სეკრეტრიდან გასვლისთანავე. დააყენეს, ჩხრეკა დაუწყეს.

დერეფნის კუთხეში „სეკრეტების“ მობინადრეთათვის ^{სეკრეტების} _{სეკრეტების} თავი.

მათ შორის თომამ არჩილიც შენიშნა.

გაჩხრიკეს თუ არა, თომასაც იმ კუთხისაკენ უჩვენეს გზა, სადაც მისი ამხანაგები იდგვნ.

— ა? რა იფიქრე, არჩილ? — ხელების მეგობრული მოხვევით ჩასჩურჩულა თომამ შეგობარს და თვალებში ჩახედა.

არჩილს ხმა არ ამოუღია. შეხედა ოლონდ, ტუჩების უცნაურად მოკუმშვით და თავის გასაფრთხილებით: სთხოვა ვითომ, ნულარ მეკითხებო.

თომამ შეატყო, რომ მართლაც არ ითქმებოდა, რაც, ალბანდ, მის მეგობარსაც თავს გადაწყდა.

— ამ ორშაბათს თუ გადავრჩით, იმ ორშაბათის არ მეშინია... აქ აღარ ვიქნებით! — ჩაულაპარაკა მან არჩილს და უკვე წელში განართულად შეავლო თვალები ციხეში დატრიალებულ საყოველთაო ჩხრეკის სურათს.

მალე თვითონ აბლანდიაც გამოჩნდა „სეკრეტების“ პატარა დერეფანში. ბრძანება გასცა, ახლა აქაც შესდგომოდნ ჩხრეკას.

უცნაური ფერი გადაკრავდა. მთელი სხეული უკრთოდა, უცახცახებდა. ხმაც ჩახლჩოდა.

თვალებიდან რაღაც ავი, ბოროტი სბივები უცვივოდნ და სახე, დაუფარავი შურისძიებით ჰქონდა ანთებული.

კამერების ჩხრეკას უკვე მოეცა შედეგი.

აბლანდიაც სწორედ ამ შედეგს შეეხურებინა.

კატორღელების კამერებიდან უკვე გამოჰქონდათ ნაწილ-ნაწილ იქ აღმოჩენილი „დოკუმენტები“, რომლებიც აბლანდიასა და მისი თანამშრომელების ერთგულებას დიდი ეჭვის ჩრდილს აყენებდნ მალალ ადმინისტრაციის თვალში.

ეს იყო: დანები, ბებუთები, ხელის პატარა ლომები, ქლიბები, ბურღები, პატარა ხელის ხერხები და სხ. ასეთი ხელსაწყო, რაც ტროფეის სახით ჯერ თითოეულ კამერაში გროვდებოდა და მერე ერთად თავმოყრილი დიდი ამბითა და ხეიმით თოფ-მომარჯვებულ ყაზახებს ქვეშ ჩაჰქონდათ კანტორაში.

მგელივით შესცქეროდა თავის ხელქვეით მოსამსახურებს აბლანდია. ყველას სწამებდა ლალატს და ტუსაღებთან კავშირის დაჭერას აბრალებდა.

კბილებს აკრაქუნებდა ბრაზისაგან. უშვერად იგინებოდა, ლაფდასხმულივით. აქ, „სეკრეტების“ დერეფანში იმიტომ გამოცხადებულყო, რომ სხვა კა-

მერებში აღმოჩენილ საშინელებისათვის თავი გაერიდებინა და საკუთარი თვალებით არ ეცქირნა თავს დატეხილ უბედურებისათვის.

ამასობაში ერთმა მჩხრეკავმა ზედამხედველთაგანმა არჩილ დადიშანის „სეკრეტადან“ გაუბედავად გამოჰყო თავი და დერეფნის შესავალთან მდგარ აბლანდიასკენ მიიხედა. მერე ორი წიგნით ხელში გარედ გამოვიდა და ციხის უფროსს მიუახლოვდა.

— წიგნებს რა ვუყოთ, თქვენო კეთილშობილებავ! — ჰკითხა და წიგნები გაუწოდა.

— რა წიგნებია? მე ვუჩვენებ მათ წიგნებს! აქაც რა ამბავია? — დაიღრიალა აბლანდიამ. — დააგროვეთ ერთად... კანტორაში ჩაიტანეთ!

მერე ერთი წიგნი ჩამოართვა. დახედა. — ქართული სახარება იყო, შალვა რამაძის მიერ შემოგზავნილი.

— ვისი „სეკრეტია“?

— დადიშანის.

— ჰმ... სოციალისტია რაღა! სახარებას კითხულობს! — ზიზღით გამოსცრა კბილებში აბლანდიამ და წიგნი მოქნევით იატაკზე ისროლა. — ყველა წიგნი კანტორაში ჩაიტანეთ... იქ გაარჩევენ!

ამ სცენას უხმოდ შესცქეროდნენ დერეფნის კუთხიდან იქ შეჯგუფებული პოლიტიკურები. თომას ამაზე უნდოდა რაღაც ეოხუნჯებინა, მაგრამ ალბანდია უცბად მოსწყდა თავის ადგილას და არჩილის „სეკრეტისკენ“ გაემართა. კარის ზღურბლთან შესდგა.

— კიდევ რა წიგნებია მანდ? — იკითხა და „სეკრეტში“ შევიდა.

მაგიდაზე მდებარე წიგნები დაათვალიერა. ქართულიც იყო, რუსულიც. ყველა ნებადართული. უწყინარი.

მაინც არ მოეწონა.

— კანტორაში! — მოკლედ უბრძანა მჩხრეკავთ.

ამ დროს მოულოდნელად აბლანდიას ყურადღება მაგიდის ბოლოში, კედელთან, მიგდებულმა ნახევრად გაშლილმა ხელსახოცმა მიიპყრო.

მისმა დანახვამ უცებ სასწაულებრ შეაოცა იგი. მაგიდაზე გადმოფენილ ინიციალებიან წვეტს დააკვირდა.

მერე მიუახლოვდა.

თვალები გიჟივით გაუფართოვდნენ.

ხელი დასტაცა უცნაურ ხელსახოცს. ინიციალები ზედ თვალებთან მიიტანა.

„მ. ა.“

თითქოს არ დაიჯერაო, მიიხედ-მოიხედა:

— „მართლაც ხომ არ გაგიყებულა?! უთუოდ ეჩვენება, თორემ მის ხელსახოცს აქ რა უნდოდა?... აქ, ციხეში... სეკრეტში!“

კიდევ დახედა.

კიდევ: „მ. ა.“

გაშალა. დაათვალიერა. უთუოდ მისი ინიციალები, თვითონ რომ შეუკვეთა ცოლის შერთვამდის. მერე თვითონ რომ ხმარობდა და ახლაც ყოველ დღეს ხმარობს.

შეეშინდა.

ისევ მაგიდაზე დაავდო ხელსახოცი.

— ვისი „სეკრეტია“?—თითქოს დაავიწყდაო, რომ ამას წინად იკითხა.

— დადიშიანის!—მიუგეს.

„დადიშიანის?!“ რალაც გაუგონია!.. „დადიშიანის?..“ როგორ არ გაუგონია?.. ჰმ... ვარდოს სოფლიდან რომ არის... მის შესახებ ამას წინად რალაც კიდევაც ჰკითხა თუ სთხოვა ვარდომ!

ღიან, ჰკითხა რალაცა... აბლანდიას აგონდება, რომ ვარდოს რალაც შეშინებული სახე ჰქონდა ამ დროს და ხმა უკანკალებდა...

სწორედ ასე იყო. შეშინებული სახე ჰქონდა და ხმა უკანკალებდა.

საშინელმა ექვმა უცებ სახე მოუქცია.

თოფნაკრავივით გამოვარდა სეკრეტიდან.

— დადიშიანი!—შეკავებული, მაგრამ რისხვით გატენილი ხმით გამოიძახა არჩილი, როცა დერეფანში გამოვიდა.

გაკვირვებით შეხედეს კუთხიდან ფერავარდნილ უფროსს. მაგრამ არჩილი ადგილიდინაც არ დაინძრა.

— დადიშიანი!—გაიმეორა აბლანდიამ და თვალებიდან წითელი ალი გადმოისროლა.

წინ წამოდგა ახლა არჩილი.

— რა გნებავთ?—ჰკითხა სრულიად დამშვიდებით.

ვითომ პირველად ხედავდა, ისე დააცქერდა არჩილს აბლანდია. რალაცა უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვერ მოეხერხებინა.

შემდეგ უცებ თასმის შოლტი ხელში შეატრიალა და ჩექმის ყელზე მუქარით გაატკაცუნა.

სიტყვა არ დაუგდია. მოტრიალდა და მოკლე ნაბიჯით დერეფნიდან გასავალს მიაშურა.

თომამ და არჩილმა ერთმანეთს შეკვირვებით გადახედეს.

— რამ უკბინა ნეტავი?—ჩაილაპარაკა თომამ.

მაგრამ ათიოდე ნაბიჯიც არ გაუვლია, რომ ისევ შესდგა აბლანდია.

უკან დაბრუნდა. ისევ არჩილის „სეკრეტში“ შეიჭრა.

უმალვე ისევ გარედ გამოვარდა. ახლა ხელში შეჭუჭმნილი ხელსახოცი ეჭირა.

შეუჩერებლად განშორდა იქაურობას და ქვემო სართულში ჩასავალ კიბეს დაუპირდაპირა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახლა კი პირველი თომა მიხვდა, რაც არჩილის სეკრეტში აბლანდიას მოუვიდა.

— არჩილ... მგონი, დავლუპეთ ის შენი მოყვარე ვარაძის ქალი, სადილს რომ გიგზავნი... აბლანდიამ უთუოდ თავისი ხელსახოცი გამოიკნო. ინიციალები თუ ჰქონდა? ხომ შეხედე, თან წაიღო... კაცო, როგორ მოგივიდა, რომ მომტანს უკანვე არ გაატანე...

არჩილს კი ენა ჩავარდნოდა. — შიში, წყენა, უმწურობა და გაკვირვება ერთდროულად ჩასახოდენ თვალებში.

. . .

როგორც კი გათავდა ჩხრეკა და, რაც კი ადმინისტრაციას კამერებში ნადავლი ხვდა, ცალკე ოთახში მოათავსეს, ჩარაზეს და დალუქეს, მელიტონ აბლანდია არჩილის სეკრეტში ნაპოვნი ხელცახოცითა და განუყრელი თასმის შოლტით ილლიაში თავის ბინისკენ მოუთმენლად გაემართა.

ვარდო სახლში მარტო იყო, ოთახებს ალაგებდა.

ქნრის უდროვო-დროს დაბრუნებამ მცირედ შეაკვირვა.

უნდოდა ეკითხა, მაგრამ სახეზე რომ შეხვდა, დადუმება არჩია: ისეთი იყო, რომ კაცს არ შეეხედებოდა. დაუფარავი ავი განზრახვით ანთებოდენ უძინარი გაწითლებული თვალები და პირიდან დორბლი გადმოუდიოდა.

ტანის შეუვალი რბევითა და წინასწარი სასტიკი განაჩენის სახეზე აღბეჭვდით მიუახლოვდა იგი ვარდოს.

— ამის პასუხი დალაგებით! თავიდან ბოლომდის! — ხმის უცნაური ჩახრიალებით მიმართა და შეკუმშული ხელსახოცი სახეში ესროლა. — ჩქარა, დაიბნა ვარდო.

— რისი პასუხი გინდა, კაცო? — ჰკითხა გაუბედავად.

— სად იყო ეს?

ვარდომ დახედა ხელსახოცს. მაგრამ ვერ მიუხვდა, რას ეკითხებოდა.

— მე რა ვიცი?

აბლანდიამ შოლტი ამართა.

— სთქვი!

შეკრთა ვარდო, ხმა ვერ ამოიღო.

— საიდან გაჩნდა ეს ხელსახოცი ციხეში?

უცვებ გაწითლდა ვარდო. ახლა კი მიხვდა, რაც უბედურება თავს ატყდებოდა.

ამოიკვნესა უნებლიედ და სახეზე ხელის გული აიფარა.

— სთქვი-მეთქი! — დაიჩხავლა ახლა აბლანდიამ. ხელი წაავლო ხელზე და სახეზე მოჰკლიჯა. — ვარდოს საქციელმა თითქოს ეჭვი დაუდასტურა.

— რა გინდა, კაცო!

— სთქვი-მეთქი, უკანასკნელად გაფრთხილებ!

ვარდომ უთხრა, რომ არჩილთან სადილს გზავნიდა მისი დედის თხოვნით.

- რა არის წენი დადიშიანი?
- მეზობელი, ნაცნობი. მოყვარე.
- მაშ, რად მიმალავდი?
- ვიცოდი გაწყობობდი.
- მართალი სთქვი!
- მართალს ვამბობ.
- სტყუი!
- არა, ღმერთმანი.
- წერილი არ მიგიწერია?
- ვაცნობე, სადილს გიგზავნი მეთქი.
- სტყუი!.. სხვა რასმეს მისწერდი!.. ვისი ხელით?
- აქ რომ შეკარე დადის!..
- რამდენჯერ მისწერე?
- ერთხელ მხოლოდ.
- სტყუი!, ქოფაკო! მალავ: დადიშიანის საყვარელი იყავი!

ზიზლის შხამი ჩაენტხია ვარდოს თვალებში. არ მოელოდა ასეთ ბრალდებას. ენა ვერ დასძრა.

— მაშ! მიგიხვდი თუ არა! ჰა, ქალბატონო... იქნება, შენ გზავნიდი ციხეში ქლიბებსაც, ხერხებსაც... შე ბოზო! კახპავ!

ვარდომ შიშით უკან დაიხია.

— გამოატყდი მეთქი, რომ დადიშიანის საყვარელი ხარ!.. ალბად მისი მყრალი თესლისაგან გჭირს, რომ უკვე მუცელი გებერება! ჰაჰა... რამდენჯერ ჩაგქცევია იგი ამ მურტალ მუცელში...—და აბლანდიამ შოლტის ენა ზიზლის შენტხევით შეახო ვარდოს მუცელს.—რამდენჯერ, სთქვი მეთქი, შე გავარდნილო ქოფაკო.

— გაჩუმდი! მხეცო!—დაჰკარგა მოთმინება ვარდომაც და გამოწვდილ შოლტს ხელი დასტაცა. ჩაეჭიდა. გამოგლეჯა დაუპირა.

მაგრამ საბედისწერო შეიქმნა ეს შეჭიდება ვარდოსთვის.

აბლანდიამ, თითქოს ბრძოლის დაწყებას მოელოდაო, ღვედივით მოიქნია მთელი ტანი და მკლავების მძლავრი გაშლით ვარდოს ხელიდან შოლტი გამოსხლიტა.

გაიწივლა გამოსხლეტილმა თასმამ ჰაერში, თითქოს პატრონს ნიშანი მისცაო. მერე ელვის ხაზივით ერთი გაიელვა ოთახში და ვარდოს სახეზე ლარივით სწორი სისხლის დაღი აღბეჭდა.

არ მოელოდა ვარდო.

გაქვავდა. ქანდაკებასავით ჩამოისხა.

ასე დაუდგა წინ ჯალათ ქმარს და გასისხლიანებული, მაგრამ სრულიად უძრავი მინის თვალებით პირდაპირ მხერა დაუწყა.



— ნუ მიმზერ აგრე მეთქი!.. დახუკე თვალები! დახუკე მეთქი!—უფრო შიშისაგან შესწივლა ახლა აბლანდიაშ და, თითქოს საშინელ მტერს იგერიებსო, შოლტის თვალშეუსწრებელი, სწრაფი მონაცვლებით დაუწყო ცემა ვარდოს თავში, სახეში, მთელ ტანზე, სადაც კი ხელი მიუწვდებოდა...



უკუშტეული, დამფრთხალი გლაბა ყაჩაღივით გამოდიოდა აბლანდია ვარდოს ოთახიდან.

გასავალ კართან შემდგარიყო და პირუტყულ სიჩლუნგემდის მისული სახე უაზროდ ზედ კარის დაფასთან შეეყენებინა.

ყურთა სმენა კი იმ კუთხისკენ მიეპყრო, სადაც მისგან გათელილი ვარდო იატაკზე დავარდნილი ეგულებოდა. უნდოდა გაეგონა მისი კენესა ან ოხვრა, კივილი—სულ ერთი იყო რა—ოღონდ სიცოცხლის რაიმე ნიშნისთვის ყური მოეკრა.

მაგრამ არაფერი არ არღვევდა ოთახში გამეფებულ მძიმე სიჩუმეს.

აბლანდიაშ ჩუმიად გამოალო კარი. პარვით გაიტანა გარედ ნახევარი ტანი მაგრამ ისევ შესდგა.

„ნეტავი ხომ არ შემომაკვდა?“

უცებ თმა აებურძგნა. ტანში შიშის ჟრუანტელმა დაუარა.

ველარ გაბედა კი ეჭვი შეემოწმებინა. ვერც წასვლა გაებედნა.

ბოლოს ის ღა მოახერხა, რომ კარს შიგნიდან გასაღები გამოაძრო და სწრაფად გარედ გავიდა. კარი მოიხურა. ჩაჰკეტა. გასაღები გამოიღო და ჯიბეში ჩაიდვა.

ბინის გვერდით ჩამავალ გარე დერეფანს გაჰყვა და ციხის ეზოთი თავის კანცელარიას გაუპირდაპირა.

ვარდო თითქოს მის ოთახიდან გასვლას უცდიდა.

როგორც კი კარი მიიხურა აბლანდიაშ და გარედან ჩაჰკეტა, ძალა მოიკრიბა, წამოდგა.

თმა ჩამოფარებოდა სახეზე

ტანზე დაფლეთილი იყო. შეკავეებით ქშინავდა მკერდს შიგნით.

ნელა გაიმართა წელში. თმა უკან გადაიგდო.

სახე სისხლიან ღარებათ ჰქონდა დახეთქილი. ნამდვილი გამომეტყველება არ უჩნდა.

მხოლოდ ბაგეების მარცხენა კუთხეში უცნაური რამ ხაზი მიკვდომოდა, გამოურკვეველი ციმციმით. არც ღიმილისა იყო, არც წუხილის.—გამოუთქმელ სულიერ ყოფას აღნიშნავდა. ფარულს. მიუწვდომელს.

გამართა წელში თუ არა, ერთხანს სუნთქვა-შეყენებით დაფარდა. მერე თითქოს ჩვეულებრივი დილა გათენებოდეს, ისე დაფაცურდა და მორთვას შეუდგა.

ხელსაბანზე სისხლი მოიბანა სახეზე, კარგად შეიმშრალა. სარკესთან მივიდა. თმა უკან დაიკრიფა. მერე ხელის ჩანთა მონახა. შიგ რაღაცეები ჩაილაგა. დიდი შალი თავსა და ზედატანზე მოიხურა. შიგ სახეც დაიმალა. აიღო ჩანთა და ციხის მხრით აივანზე გამავალ ფანჯარასთან მივიდა. გააღო. ხელს შედგა. გადააბიჯა. მერე მობრუნდა. ისევ მიხურა ფანჯარა და აივნის გადაჭრით ქუჩაში გამავალ კარებს მიაშურა.

გადაეწყვიტა: ბორანით რიონს გაღმა გასულიყო და პირველივე მატარებლით ქუთაისიდან სადმე შორს, უკვალოდ და სამუდამოდ გადაკარგულიყო.

როცა ვარდომ ფანჯარა გააღო, აბლანდია ციხეს უახლოვდებოდა. ხმაურობა რომ მოესმა, შესდგა და პირი თავის ბინისკენ მოიბრუნა. ფანჯრის მოაჯირით გადმომავალი ვარდომ დაინახა. გაუკვირდა. ერთხანს ვერ მოიაზრა, როგორ მოქცეულიყო. იმის შიშმა კი გადაუარა, რომ ვარდომ მკვდარი ეგონა. ახლა კიდევ ახალმა შიშმა შეაკრთო.

აივანი რომ გამალებით გაიარა ვარდომ და სახლს მიეფარა, მოსწყდა თავის ადგილს და ბინისკენ გამოიქცა. აივანზე აირბინა. ფეხი აიკრიფა და ვარდომს ასე კედელ-კედელ დაედევნა.

ქუჩაში გამავალი კარი ღია დახვდა. გავიდა. გაიხედა.—ვარდომს პირდაპირ რიონზე მიმავალ ვიწრო ქუჩაში შეეხვია. თვალი მოჰკრა. საშინელმა ექვემა თავსხარი დასცა. გაიქცა.

ვარდომ ახლა რიონის პირის გაყოლებასე საცალფეხო გზით მიდიოდა ბორანის გაპირდაპირებით.

მოეშვა გულზე აბლანდიას. ცხადი იყო, ვარდომ თავის დახრჩობას არ აპირებდა.

ახლა გათანამდა კიდევაც. სირბილით განვლო რამდენიმე ნაბიჯი და ხმამალლა გასძახა:

— შესდექი! სად მიხვალ?

თითქოს ზურგში მოულოდნელი ტყვია მოხვდაო, ისე იმოქმედა აბლანდიას ხმამ ვარდომზე.

შესდგა. მოიხედა.

შოლტიანი ხელი მალლა აეშვირა აბლანდიას და მუქარით მისკენ გამოარბოდა.

თითქოს ყოველი ნხრიდან უცებ გზა მოეჭრა ვარდომს.

უმწეოდ მიმოიხედა: წასავალი არსად იყო.


— ღმერთო!

აბლანდია კი უახლოვდებოდა შოლტ-მომართული.

— დაბრუნდი, გიბრძანებ! — თითქოს თასმის შოლტმა ყურთან დაუწივლო ვარდომს.

და ისიც მყისვე მოწყდა მდინარის ნაპირს.

უცებ, ერთ წამში ყველაფერი გამოიცვალა.



თავში იტაცა ხელი აბლანდიაშ. რიონისკენ ტანი გაისროლა და იქითკენ გაიხედა, სადაც ვარდო გაჰქრა.

რიონის ტალღებში ცალკე შალს მოჰკრა თვალი, ცალკე ვარდოს ხელებსა და თმას.

— ჰაა!—დაიღრიალა და შესდგა.

ლაჩრის გონება უფრო იმ საშინელმა შერცხვენამ შეარქმევდა ახლა მოელოდა მას, თუ აქ დარჩებოდა.

უკვე ყოველ მხრიდან გამორბოდა ხალხი ვარდოს საშველად. ბორანიდან ვიდაცა მდინარის შუა ტანში გადამბტარიყო და ტალღებს მიაპობდა.

უცებ მოტრიალდა აბლანდია. სახეზე ხელები აიფარა და, რამდენადაც შეეძლო მის შიშით წამხდარ მუხლებს, უკან, ციხისკენ, გამოიქცა... თავის დასამალად.

(გაგრძელება იქნება).



ტ ა რ ი ბ ი

თავი პირველი

წიხპვილი ტავრის ბოლოს

მიწას წიაღი აუსუყა ჯანყმა, ფიფქმა დაუღბო ტევრს გული და დანა-კირხლი ტყე დაიზნიქა. ნაფიფქს შევამჩნიეთ კაცის ნავალი. მივყევით ნავალს და ოდეს ჯანყი მის კალთას შემოეხვია, ოდეს ამოზენაქარებული რთვილი შეეყინა მის სახეს, იგი შეჩერდა დიდ მუხასთან. გავარჩიეთ მის საბიდან: თვალნი სააკაძისა—ქორისებურნი. თითოეული ნაკეთი სახისა დანატანჯი, ხოლო შუბლ-ამოზიდული ვითა კოშკის კედელი, ხოლო მკერდ დანასერი ფერდა დანალარ მთის კალთასავით. ჯანყი-კი ეხვეოდა. ჯანყი-კი ელეოდა.

და დაიხარე ტარიგო! კეთილო ჭაბუკო! მუხის ძირას შეამჩნიე ხუხულათა სოფელი! კაჭაჭის ქოხთაგან აგებული სოფელი. ალბად ბალღმა-მწყემსებმა დაჰლა-ლეს გონება მისი აგებით. ჰხედავ: პატარა ლელე. ვაღმა-გამოღმა სოფლები. დიდხანს შეჰხაროდი და დასასრულს გააკვესე ტალი, წაუკიდე ცეცხლი ნამას-ხარეც სოფელს და გადანაშოლტი შეჰმზერდი სოფელს გაძაბულ ხანძარსა. ასეთი იყო პირველი ბოროტება შენი.

ეგებ მწყესებმა ნახონ დამწყვარი სოფელი? ეგებ წყევლა-კრულვით აივსოს მათი გული? რად მოუსპე ნაშრომი?! რად ჩაუკალი ოცნება?! ნუთუ არ იცოდი, რა სიყვარულით აგებდა მათი თათი თითოეულ ხუხულას? უმზერდი ნასოფლარს და თვალწინ გედგნენ ბოღვერა ბაღლები თვალდანასისხლნი:

— დაუწვიათ ხელმოსაგლეჯებს.

— თითო კაჭაჭი მაინც წავიღოთ შინ — შესძახდნენ ერთურთს ძვირფასი ბაღლები.

თოთომ მოიტანა ქუდით წყალი და ნიაღვარს გაატანა ნასოფლარი. უმზერ-დი, ტარიგო და გრცხვენოდა. დასტოვე პატარა ნასოფლარი—ხუხულათა. შეე-რჩიე ტევრს. მაშინ დაისევდა მუხა. ქარმა შეანამქერა და ნასოფლარი დაჰფლა. დაეშვი ტევრიანის ბოლოს წისქვილისაკენ. იქნებ იქ იყვეს გაგაი.

ეგებ იხილო გაგაის ბნელი თვალი.

გარეთ თოვდა და ხევი ღმუოდა. ერთ ჟამს აქოთდებოდა ცა, ერთ ჟამს აწიოკდებოდა ტევრიც. მხოლოდ მაშინ ისმოდა გაგაის წისქვილის მოთქმა—გაგაის წისქვილისა, ტევრის ბოლოს რომ დაყუდებულიყო.

ბერი-გაგაი მისჯდომოდა ავარვარებულ ბუხარსა. ღრმა თვალითა მხომავდა გარემოს—უსმენდა წისქვილის მაგიურს ძახილს, უსმენდი, გაგავ, დედის ნანას. მდინარე კლდიპირსა ლესავდა და შენ მოგესმა ლექსი—
 ჯაღარაჲსა მხანათაჲსა
 მამაშინ
 ბიჭაჲსა მისაჲსა

— გაგავ!

— ტარიგო! შეჭკივლეთ ერთმანეთს. იცანიით.

— მომიხველ მშვიდობით, ტარიგო!.. შვილო!.. კეთილო!—მოგმართა გაგამ:—მიოხარი რამ. მიაშბე.

ჩუმათ იყავი ტარიგო, რადგან გული სავსე გქონდა. მორვევით ტრიალებდა ბალღამი და ველარ გადმოსულიყო. აგვსებოდა გული და ველარ გადმოლახულიყო კიდენი გულისა.

— გაგავ ბნელი იყავი, უფრო დაბნელებულხარ—მიმართე გაგასა.

— ბნელი უნდა იყვეს ადამიანი, შვილო ჩემო! შენც უნდა დაბნელდე, რომ გასცდე ტევრს, რომ იხილო უკუნეთი, რომ იხილო შუქი. ბნელი უნდა იყვეს ადამიანი, რათა შეიყვარონ, რათა ამაღლდეს. ბნელი იყავ, რათა წუმპე ვერ შემოგწვდეს. დაბნელდი და მიუწდომელ იყავ.

— მიუწდომელ ვიქნე?!

— დიახ, მიუწდომელ იყავ! ეგებ ვერ შემოგწვდნენ. და თუ მოგწვდნენ, ვაი შენ: გაგთელავენ უღლეო ლეკვივითა.

— გაგავ! წისქვილმა თუ გამოგაყრუა?!

— შვილო კეთილო! წისქვილმა მიხსნა. წისქვილმა შემახარა ტა, გამბადრა.

— გამოუყრუებიხარ ხევეს. აქ სიჩუმეა და სიმარტოვე.

— მხოლოდ გამოყრუებულებს ესნით ხევის ძახილი. მხოლოდ ყრუთ ესმით საგალობელნი წისქვილისა.

— ეგებ რახრახი ქვათა?—გადაიხარხარე ტარიგო!

— კმარა...—გასჩუმდი, გაგავ! შეჭხედე ჭაბუკს. ტარიგმა თავი დაჰხარა.

— ბაღლო გიყვარდეს სიმარტოვე. შენი თვალები მწვერვალს იხილავენ, შენი თვალები ჯურღმულს მიაგნებენ. ნუ მიხვალ სოფლისკენ, დაუბრუნდი ტევრს, ეგებ განემზადო მწვერვალისათვის.

გაჩუმდა გაგაი. გასცქერდა სამყაროს, ლოცულობდა წისქვილის ქადაგანობასთან. მაშინ კი გამოიპარე. ჭაბუკო, და ნალიმილვეი ბაგენი სოფელს დააკერე.

თავი მეორე

ხელმოღვაწეული ხარხარაი

ნისლმა აიკრიფა კალთა. ნისლმა გადააგლისა გესლი მთის კალთასა და ფერდას შეეფინა ფარა ცხვრისა. ჩვენმა თვალმა მიატანა ცხვარსა და ვიხილეთ:

— მემრე?..

— წამოგცდება მისი სახელი.

— დედი, მის სახელს ვერ ვიტყვი. გაჰსრესავენ. ვმალავ, რადგან ჩემო, რადგან თვით ჩემგანაცა მსურს დავმალო მისი სახელი. შენი დაღარული სახის-
მხეშ, მსურს მოვირიდო რათა არ წაიბილწოს, რათა დიადი სიქარწიბე არ მოჰ-
შორდეს.

წიგნი
წიგნი

დედა გაგცილდა.

მამლის ყვილისას, ოდეს თვალნი გაახილე, სანათურს შეამჩნიე: ყელმო-
ღერებულ ქალთათავად.

— ქალთათავო!—წამოგცდა მისი სახელი. სანათურს იდგა წყალით საესე
ყარყარად დედა გასცილდა კარიბჭეს.

— ყარყარავ, რად დამაახლოვე მასთან! ესე არის დასაწყისი სიძულვი-
ლისა—ჰკიოდი ტარიგო და შენ წინ იშლებოდა: ქალის ნაწნავები, მკერდი
თვალეები.

ნეტა რა გემართებოდა?!

თავი მესამე

სიყვამე

ერთხელ ტევრიანის ბოლოს ჩირგვიანს ჩასჯდომოდი. თავს წამოგადგა ცხვა-
რი, ფარას გამოესხლიტა კრავი, შენთან მოვიდა. დიდხანს ჩაჰმხერდი უბიწო
თვალში. გათრობდა სისპეტაკე მისი. თავს წამოგადგა მწყემსი ქალი, ტყავნო-
ბარდნილი.

ნუ თუ არ ამჩნევ, ქალო, ვაჟს? რატომ არ გინდა მოერიდო. წამოსდექი
ტარიგო. ხელთ გეპყრა კრავი, მგონი სიყრმის დასაფარავად. აილეწე.

— ქალთათავო! ხატიფერო! ნუ მოხვალ ახლო. ნუ დაეშვები დაბლა.
ქალთათავო, შენნი თვალნი ფუცის ანგელოზისებურნი არიან. შენი სახე ვითა
ფიფქი გათენებისას. იყავი სპეტაკი და შორეული, იყავი უბიწო, რათა შესძლო
აღზდა კრავთა. ნუ ჩახვალ ხევში, დაიჩრდილები.—უკიოდი ქალს და უკან მირ-
ბოდი, რათა არ წაჰბილწულიყავ.

— ტარიგო! ავეარვარდი შენი მხერით. დავივნებ შენი სახიზოლებით.

— ნუ მოხვალ, ქალწულო!

— მწყურრიან შენი ხორცი, ვაჟო! მწყურრიან სიტკბო.

— ნუ, ქალწულო! შეიბღალეები. მომერიდე, რათა ძვირფასად იყვე მუ-
დამყამს.

რათ გევრიხება ტანი იფნის სახრესავით?! რად აბრიალებ თვალთ. ქალ-
თათავო?! რაღა გაზმორებს? ნუთუ ძუ ვეფხი ხარ სანადიროთ გამზადებული?
ნუ თუ არა სურს შენს ხელებს ჩენი მკერდი? ჩაიხედე ტარიგო ხატითვა-
ლებში.

ავივარდა ქშინვა. ქალი გადაიზნიქა ბექს, მოსხლიტა ტანი და შენს კალ-
თასთან დაეცა. ხელიდან გაუშვი უბიწო კრავი და ქვეყნიდან დაიკარგე.

სიყრმე დაიბნელე.

დასასრულს ხელი აიფარე თვალთ, გაიქეცი, რათა აღარ გემზირა ნაწუმ-პისათვის. ზიზლით აგვესო გული, დაიწყო სიძულვილი.

კრავმა უბიწომ ასტეხა ბლავილი. მიხვედი აბლო, დაეცი მუხლო და აქვი-თინდი.

— ყველაფერი გაპქრა, სიყრმე დაბნელდა. ნულარ მიმხედა, მჭინჭარდა-სო, ეგებ არ წაგებილწოს თვალები. ქალთათავაო! ციუზის ბრწყინ და წმინდა შენ, გაითხუპნე წუმპით. ბოლოს დაეშვი წისქვილისაკენ, ტარიგო! — გაგაის სა-ნახავად.

გამოგეგება გაგაის თეთრი წვერი.

— გაგავ! მცხოვანო! სად არის სიყრმე? კრავის ბლავილმა სული შემიხუთა. რალად გასჩუმდი, ტევრო?! იკივლე შენაც, შეხუთეთ სული — შებორკეთ.

— შვილო ჩემო! ნუთუ დაიშალა შენი სამყარო ნეტარ ტკბილი. ნუთუ დაიფუშა ვითა ხუხულათა სოფელი მწყემსი ბაღლებისა? დიახ, უნდა დაშლილიყო შენი სიყრ-მეც. ესე არს ბედი შენი. — შემოგლეღუნებდა გაგაი.

— გაგავ!

— შვილო! ჩვენი თვალი ხუხულებსა ჰბედავს, ჩვენი გული ხუხულებსა ჰზომავს.

— მცხოვანო! ზღაპრული კოშკი ნაკუწებად დაეცა ჩემ წინ. ქალი გადი-შოლტა, ვითა ნანასხარევი ძიძიქალაი.

— ძიძიქალაი არს — გითხრა გაგამა და აქადაგდა წისქვილი. აშრიალდა ტევრი. აჩურჩულდა ხევი და გაგაის მკერდს დაიწერა უბიწო კრავის სისხლით ლეგენდა:

და მზე დააცხრა მიწასა. და ტევრიანიდან გამოვიდა კაცი — შიშველი და ნაქარწიბალი. აღემართა კაცი იგი მწვერვალს, რათა შეერთებოდა ღმერთსა. უნდა მოსწვეტიყო მიწას. და გამოუხტა ქალი — ქსელად და მახეთ. ქალმა აჩვენა მიწურობა და დაიფნიანებული შიშველი ტანი. ვაჟი დაეცა ეინს ქალისას. და კაცი იგი დარჩა ქალთანა.

ერთ ჟამს გაემართა ვაჟი აღმართად. მაგრამ წინ აღუდგა: თმებგაშლილი ენება. მას სურდა მწვერვალი და წაეპოტინა. დაუხვდა ქალის სიყრმე. დაილაღრა მკერდი, გადაიკარგა შორეულ ქვეყნისკენ.

და ხევმა გვიამბო: ნახეს ბეწვაყრილი ვაჟი. ეძებდა რალაცასა. ხელები მიჰქონდა სახისაკენ, რათა დაეთხარა თვალნი, რომ აღარ ეხილა მიდამო. ეგებ მისწდომოდა ჯურღმულს, ეგებ ღირსებოდა მწვერვალი.

გარინდდა გაგაი. ბუხარს-უსმენდი ტარიგო!

თავი მეოთხე

ვეზხი

და ერთ ღამეს სოფლის თავს გაისმა ადამიანის ძახილი. ძაღლებმა ას-ტებეს წკმუტუნი. ძაღლებმა დერეფანს მიაშურეს. სოფელი აქოთდა. ხალხი აიშალა და სოფლის თავიდან ჩამოვიდა დანაჩლეჩი კაცი და უამბო ხალხს:

— მოვარდა უჩვეულო, ფარებს დაეცა და მთვარის შუქმა გაგვარჩინა მისი ბეწვის ნახაზიანობა.

— მგელი იქნებოდა!..

— არა! ძალღებმა თავგზა დაკარგეს. ცხვარი მიწასთან გაასწარი, ხალხი კი ჰკვირობდა.

მოვარდი ვეფხოს დაღეწე სოფელი. თვალნამღვრევი დატყვევებული მთად და ბარად. დაიბუნავე ტევრიანს დიდ მუხის ფესვებთან. იხილეს — დასწვს მთა ხუბულების ნასოფლარი, თითქოს შენი ტანისფრად ანაჰრელები. დიდხანს დამხვრდი და ოდეს თვალთ ლული მოვადგა, შენ წინ დაეცა მკვდარი ნიბლია. დასტაცე თათი ჩიტს და მიღეულ ფრთით მოიხოცე ცოდვა თვალთაგან. გასჩიჩქნე მიწა და დაასამარევე. ტევრი ფიქრობდა, ტევრი გესაუბრებოდა. ზღაპრებს გიამბობდა, გმირო კეთილო!

დილით იკივლებდი და ბუზლუნით დაჰყვებოდი ტყესა, რათა მოგესმინა დასასრული ტყის ზღაპრისა.

და ყოველ ცისმარე დილას სოფელს აწიოკებდა ვეფხის კივილი.

და შეჰყევი ტევრიანს, უცნაურო ჰაბუკო! ახალ ნაფიფქს აეხატა შენი თვალეები, ტარიგო! და იხილე ნავალი შენი. რალამ შეგაკრთო? ნაკვალევს ემჩნეოდა ჭუჭყი და ნაწუმპი. მაშინ დაბრუნდი უკან, გაიძერ ქალამნები და გაუდექი გზას. სპეტაკი თოვლი შიშველ ფეხით გადაჰლახე. წააწყდი ვეფხს ხუბულათა ნასოფლართან. აიმრიზე და აეტუზე მუხასა. მოიკუმშა ნადირი თვალანაწვეთები. იმის გამოხედვა ხანძარი იყო. გამოგექანა, მაგრამ შედრკა. თოვლში ჩაწვა.

ჰკვირობდი ტარიგო!

ბინდისას მიაშურა სოფელს ვეფხმა. შენაც გაჰყევი სოფლის თავს გადაელობე და აუძრახე:

— ძმაო! მოგხელე!

ერთურთს კი ერიდებოდით. ტკბილი იყო შორიდან მზერა. მუხა და წისკვილი დაძმობილებულთა ჰიმნს გიგალობდათ. თქვენ, სმენად ნაქცევნი, ერთმანეთს უმზერდით.

ქალთათავო! გიხილეთ ცხვართა და ჰირშაით, მთის კალთას რომ აეტმასნე. ნისლი დააწვა ფერდას. ცხვარი დაბრთხა და დაისხლიტა. ჰირშაი დაიტიშა სოფლისაკენ. ოდეს ჩახვედი კლდის ძირას, დაგხვდა რიყედ დაყრილი ცხვარი — ყელდაღადრილი. წააწყდი ვეფხსაც. თმა აგელეწა. აიზუზე ქალო, მხრებში ჩამალე სახე და, ვითა ძუ კატა, გაექანე ნადირისაკენ. კუდამოძუებული ვეფხი დაიტიშა ტევრიანისაკენ. გამოედევნე ქალთათავო და კიჟინა გააყოლე შეშინებულ გმირსა. მიაშყვდიე ფლატესთან და წაატანე ხელი დასაჰერად.

რა საცოდავად დაიღრიალე ვეფხეო ძვირფასო? რამ შეგაშინა?!..

გაუსხლტი ქალის კლანჭებსა და დაეცი ტარიგის წინ დიდ მუხასთან. თქვენმა თვალეებმა დიდხანს ისაუბრეს:

თვალნი ტარიგისა: რამ გამოგიფრინა, ძვირფასო?

თვალნი ვეფხისა: ქალმა ხატითვალეზიანმა, ქალმა ძუ-კატისებურმა. ვნებამ დანტიზა ქალისამა.

თვალნი ტარიგისა: ეგებ ქალთათავაი იყო?!

თვალნი ვეფხისა: თვალგადანაზიდი მღვენიდა. ცხვარი გაუნელე.

თვალნი ტარიგისა: დაწყველილია მისი მკერდი.

თვალნი ვეფხისა: ნუ თუ სცნობ მის სხეულს?

თვალნი ტარიგისა: შორეული და მალალი დიად ფერად მოვიდა ახლო გაეძაგრა მიწასა. დავკარგე მანძილი.

თვალნი ვეფხისა: ნუ თუ იმის გამო გამიბრთხი რათა არ იცვალოს ჩემმა ფერმაც?

თვალნი ტარიგისა: მსურს ბნელი იყვე, რომ ვიფიქრო და ვილოცო.

თვალნი ვეფხისა: ახლო რომ მოვიდე?!

თვალნი ტარიგისა: ლოცვა ხრიალად გადაიქცევა. ერთურთს დაეხოცავთ. და ყოველთვის შორს იყავით. შენ გალმა იდეგ ტარიგო და ვეფხი გამომლა, შუა—დიდი მანძილი. სოვლად ქოთობდნენ:

— ტევრი დაიპყრეს..

— ტარიგმა და...

— ვეფხმა.

დიახ, დაიპყარიო.

თავი მესამე

ნადირობა

სოფელი შეიყარა. ბჭობას დაესწრო ტარიგიც.

— გუშინ ხადისათვის ამოუხაპავს ტვინი.

— საქონელი გააწყო სოფლისა.

— ქალთათავაის ცხვარი დაუსხლეტავს, გაუთელია მიწასთან.

სოფლის თავს გადმოჩნდა ქალთათავაი. ჭაბუკნი მიეგებნენ, ვითა პირიმზის ხატსა. ჭაბუკნი დაეცნენ მის ფერხათა წინ.

— ჰოი ბრწყინვალე! — შესძახდნენ ჭაბუკნი და გული გიბალღამიანღებოდა, ნორჩო ტარიგო!

— ბეჩავნო! რა იცით რომ მისი სიღიადე ჩემ წინ უკვე დაეცა? თქვენ სპეტაკად გეჩვენებათ ისევ და, რომ დაგანახვათ წუმპიანობა მისი, ზიზლით აგევისებათ გული. შეგძულდებათ ქალთათავაი — უსიყრმო. რა იცით, ბეცებო, რომ ბრწყინვალე ქალი მისაწდომი გახდა? საბრალოა თქვენი თვალი.

ჩაიბუტბუტე, ტარიგო, და ტვერიანს გაუზიარე გულნადები. გასცდი ყრილობასა, რათა არ შეგეხედნა ქალისათვისა.

— ქალთათავო! დაუხოცავს შენი ცხვარიცა!..

— ხალხნო! კმარა ლოდინი, გაემზადენით სანადიროთ. უნდა მოვიშოროთ ვეფხი—დაიკივლე ქალთათავო და ყალხზე დადგა სოფელი. ქალი დედოფლობდა. ნადირობას წინამძღოლობდა. მონადირენი მიჰყვნენ ნაკვალევს.

ხალხი მგლურად მინადირობდა.

ქალი ჰლესავდა თვალებს.

ვეფხი და ტარიგი გაეშურნენ მწვერვალისაკენ. შორეულმა ვეფხუმ შე-
გაჩერა ტარიგი! ვეფხი გაუშვი წინ. ჩულუნი დაეკრა მთას და ნისლია გამცნო
მონადირეთა მოახლოვება. სახე აგელეწა. გაარჩიე წინამძღოლი ქალი და წამო-
იკნაველე—გადაელობე ხალხსა.

— შესდექით! სიკვდილია იქით. ხალხნო, გონს მოდიეთ—^{შეგვივლე} ხალხს.
იგი დადგა.

— ჩამოგვეცალე ტარიგი. ჩამოგვეშორდი, შენს სიყრმესა, — შემოგვიპასუხა
ერთმა.

— სადა მაქვს სიყრმე! სიყრმე მომისპეს და, ხალხო, ნუ თუ მისპობ ვეფხ-
საც—ფერსა და სახეს ჩემსას! ჰოი, ძვირფასო ჭაბუკნო, ნუ დააბნელებთ ჩემს
გულს, დარჩით ჩემთან. ნულარ დაძფუშავთ სამყაროს.

ხალხი დაილუნა, ველარ უმზერდა მუდარას ტარიგისასა.

— დაგვლუბა ვეფხმა, მაშ რა ვუწამლოთ?

გადმოდგა ჭაბუკი აპარეკაი:

— გადავკარგავ საითმე. ის მივალის მწვერვალისაკენ. ნუ თუ გგონიათ
რომ დაბრუნდეს იქიდან?!

— სიკვდილი ვეფხსა! — ჰკიოდა ქალთათავაჲ.

— ქალთათავო! ვეფხვი ძმა არის ჩემი.

— უნდა მოკვდეს, რადგან შენი ფერია, რადგან გამექცა, ვითა შენ, ოდეს
შეეხვდით ერთურთს ჯაგიანში.

— ქალთათავო! სიყრმე მომტაცე. ნუ თუ შენვე მომტაცებ ვეფხსაც?!

-- დიახ, — გიპასუხა.

მაშინ მიუბრუნდი ხალხს:

— ძვირფასნო! ნაჩუქეთ ძმა. დარჩით აქ.

ხალხი გაქვავდა. შენ კი ათრობდი ნამუდარევე თვალით, ეგებ დაგეთრო,
ეგებ გადაგერჩინა ვეფხვი.

ქალი გაგეპარათ და ნაკვალევს გაჰყვა გაქნილ ნეძებარევით.

ხალხი ეახლა ტარიგს.

იკვალავდი და მიეშურებოდი მწვერვალისაკენ ვეფხო კეთილო! ტყე დახ-
რილიყო, ტყე ლოცვად იდგა უკან მოგდევდა ნაჩულუმევი ნისლი და ქალთა-
თავაი შხამ-ანალეს ბებუთით. გადაგიდგა წინ ქალაი. ნეტავ რა სურს? ნეტავ რად
გდევნის? მოიკუნტე, გაიტრუნე, წინ გინდა წასვლა. აღარ გეშეება. მაშინ კი
დააცხრი მის ბროლის მკერდსა და კბილები ჩაუტარე. ქალამ იკივლა. ბებუთი
გაგივლო გულში. მოგეწამლა სხეული.

გაუსხლტი, ქალო, და უმზერდი დაკრილს ვეფხს. ამოვარდა ხენაქარი და
თოვლი ცას შეუერთა, ვითა სამუში. ვეფხმა მობდღვნა გარემო.

მოცვივდნენ სოფლელნი და შეჰკნაველე:

— მოკალი.

ტარიგმა წაგგლიჯა ბებუთი და სამიწე გული ამოგათალა. ზმუოდი, ტარიგო, ვითა ვეფხი სიკვდილის წინ. მოაქუჩე სისხლი ვეფხისა მუკაში და დაეწაფე, ვითა ზიარებასა.

გმირი წამოასვენეს საკაცეთი. ნუხის ჩრდილს დაასვენეს.

სუსხი დაეცა სოფელს. ტევრი დაიჭირხლა და გაგაჩნა წინაშის ქვამ შეაჩერა ტრიალი, და გაგაის ბუხარმა ჩაიქრო ცეცხლი. თითქოს ხვეი ჩაიკმინდა. ხალხმა ქალთათავაი ჩაუფინა დედასა.

გაგაი შფოთავდა უღვთოდ.

თავი მეთექვსე

ოლოლის ძახილი

დაენხო, ტარიგო, შენს წინ ხუხულათა სოფელი. მოჰკლეს ვეფხი. დიდხანს ჩამხერდი თვალებში.

— როგორ უსულოდ იმზირებიან შენი თვალები! სად დაეკარგად ცეცხლიანობა! მიპლევია ძალა შენს თვალებს—ჩაჰღნუოდი ვეფხს. რა უყავი სული, ძვირფასო ძმაო?! როგორ მოგდუნებია კუნთები! როგორ მომწყურდა გმირო შენი კივილი! რად გაგთელეს, დიადო ვაჟო? ნუ თუ, ჩემი გულის მოსაკოდავად?! გაგავ, კვლავ დამეფუშა სამყარო.

გვერდს გიმშვენებდა გაგაი.

— ეძიე ახალი,—გიპასუხა გაგამა.

— საბედისწერო იყო სიკვდილი ვეფხისა. მწვერვალის გზა გადაგვიქრეს. ყველაფერი დაიშალა.

— ბაღლებს კვლავ აუგიათ ხუხულათა სოფელი, შვილო ჩემო, შენ რომ დაუბუგე.

— ალბად დანწყევლეს ბაღლებმა?

— ბაღლებმა გინება იციან.

— როგორ მინდა, ჩემს მკერდს აეტმასნოს მათი გინება! ეგებ მომკაკვოს მათმა წყევლამა.

გსურს გულითა, ტარიგო! ნეტავ აგისრულდებოდეს.

სოფელს შეერიე ამღვრეულ თვალებითა. დიდ დარბაზის წინ წუმბე იდგა. შესტოპე ლაფში. ნამცხრაღევი მთვარე დაგმზერდა გაგაის მზრუნველობით. დარბაზს გამოსცდა პირბადრი ქალი.

— ჯავარო!

— ტარიგ!

— ჯავარავ, მიყვარხარ! ქალო, დამლია შენმა სიყრმენა.

ქალმა თავი დაჰხარა, გამოქანდა და მკერდს დაგაკრა სევდიანი თვალები. გულში ჩაიკარ ქალაი. დაიბინდე და დაისიყრმე.

და ოდეს ხომლი დასავლეთისაკენ დაქანდა, ოდეს ჯავარაის მამამ გააბა

ყვილი, ხელიდან გაუსხლტი, ტარიგო, ვნებასა და ხევს შეერიე. ნეტავ შეგე-
შინდა? უთუოდ!

გარბოდი და ერთხელაც აღარ მოგიხედავს უკან. ეგებ არ გაქვავებულიყვე-
ეგებ შემოგეხვია ნისლი ხევიდან.

— ტარიგო, ნუ მღუპავ! — ჰკიოდა ჯავარაი.

— ნისლო გადამარჩინე. ნისლო მომეხვიე, რომ აღარ დაგეგნებო ჩემი
ნავალი წაბილწული და შავი, — ღრიალებდი, ტარიგო, და მზადდებოდა ქელის
გულსაკლავი კივილი.

ხევს ჩაეფარე წისქვილთან. ეგებ იხილო გაგაი.

მოეკვეთე გაგაის კალთასთან.

— მოხვედ, შვილო ჩემო, დანისლული, სულ ნაქოთები. თვალთ გემჩნევა
წვეთები წუმპიდან. დაწმენდა არის საჭირო. დაწმენდა უფარგლო. — გითხრა
გაგამა და ბუტბუტი ბუხრის საცოდავ გრიალს შეუერთა.

— დაწმენდა? გაგავ!

— დიახ, შვილო ჩემო! მწვერვალი გელის.

— მწვერვალი?

— დიახ, შვილო ჩემო! იქ იქნება ხსნა. ეზიარები ჯურღმულსა.

— იქ იქნება ხსნა? ჯურღმული?

— დიახ! იქ აღსდგება შენი სამყარო. მომწიფდი და რაღას უცდი?

— შვილებსა, გაგავ!

— ახალ ხუხულებსა? — გაგკივლა გაგამა და გადაიხარხარა. მაშინლა შეჰ-
ხედე პირველად გაგაის გესლით სავსე სახესა.

— გველი ხარ! საწამლაია შენი სახიფერი, საწამლაია შენი განო-
ხედვა. — შესძახე მეწისქვილესა და ზიხლმა დაგინაოჭა გული.

— მართალი ხარ, შვილო ჩემო!

— ჯადოვ!

— მესმის შენი ბედისაცა.

— ჩემს ბედს რაღა სურს? — ჰკითხე.

— მწვერვალი, საბრალო შვილო.

რაღათ აბრუებ ჭაბუკს, გაგავ?

— შაბრუებ ქოფაკო! — შეჰკივლე ტარიგო!

— გაბრუვდი, ეგებ დაისვენო.

— დასვენება მსურს, მაგრამ აღარ მასვენებ. დასვენება მსურს და შხანიო
ავსებ ჩემს სიჭაბუკეს.

— შხამიანი იყო ხანძარი, ხუხულაოა სოფელს რომ მოედო. — გიპასუხა
მოხუცმა.

დაგეკარგა თავგზა, ტარიგო. ხელი ჰკარი გაგასა და ტევრიანს ჩაესაფარე-
კვლავ უკუნეთი ღამე. კვლავ ჩურჩული ტყისა.

— ვერ იპოვე? — გესმის კივილი სევდიან, ობოლ ოლოლისა.

— ოჰოჰოჰო! — ისმის კვლავ — პასუხად.

რა გულსაკლავია ოლოლთა გაბაასება! დანასევდი მისდევ ტევრიანსა. გა-
თენებისას უნდა შეუდგე მწვერვალს! არ გასვენებს ოლოლთა ძახილი და პასუ-
ხი ჩამომდნარ ტყისა. ნუ ოუ მათმა კივილმა დაადნო ტყეცა! შენაც გიდნება და
გელევა გული მათი ძახილით. თმები მალლა იწვევენ და მაინც უსმენ. ილევი შე-

ნაც, მაგრამ დიად ტკბილი ყოფილა ოლოლთა დაობლებული ვალობა მთვართ
 ნამცხრალევ ტყეში.
 გსურს შენაც დაიკივლო ოლოლისავით. ეგებ ამოჰყვეს კენესა,
 ველარა ჰკენესოდი.

თავი მეხვიდე



ეროვნული

ტარიგი გადმოაღვა მწვერვალს ბიბლიოთეკა

ალიონისას შეუდექი მწვერვალსა. ოდეს გადასდექი, გადაგეშალა: უსაზ-
 ღვროება, ბნელი ჯურღმული, მთები და მთები დაუსრულებლივ, დაბლა ნისლი
 და სიბნელე. ნისლთა დეხა იყო და აქა-იქ მოსჩანდა თითო-ოროლა მწვერვა-
 ლები. წინ თითქოს დაქანება. წინ-კი ფლატე-უშირო. დიახ, დაქანება.

ჰაი ვაგავ! ეხლა უამბე ტარიგს ლეგენდა გულის მალამოდ. რადგან იხი-
 ლა მწვერვალი და ჯურღმული. რადგან გაუჩნდა დაქანებაც.

— გიამბობ ლეგენდასა, შეილო ჩემო!— გითხრა უცნაურმა ვაგამა.— ჩამო-
 გაწოდა სიტყვა და ამოხუხუნდა სიო:

— და ოდეს ნავი მოსწყდა ხმელეთსა, და ოდეს ნავი დაემონა ზღვასა, მე-
 ნავემ გზა გაიკვლია. იმ დროს ადარაბებულ და დახშულ ნავის სენაკნი ისხდ-
 ნენ თანამგზავრები: იქ იყვნენ შეყვარებულები, იქ იყვნენ მტრები. თანამგზავ-
 რებთან იყო შველი. თანამგზავრებთან იყო კრავი უბიწო. თანამგზავრებთან
 იყო მაიმუნიცა.

ნოეს კიდობანივით დაეგელებოდა ნავი ზღვაში. მენავე, გადნომდგარი ბა-
 ქანზე, იკვლევდა გზასა. მენავე ჰედავდა ყველაფერსა. შეყვარებულთ არა და-
 უნახავთრა ერთურთის გარდა. არც მტრებმა მოარიდეს თვალი ერთმანეთსა და
 ოდეს უბედურება ეწვიათ, ოდეს ტალღამ დააპირქვავა ნავი— მხოლოდ მენავემ
 იკივლა, მხოლოდ მან იგრძნო ბოლოცურვა ნავისა. მან მიუშვირა მკერდი მო-
 ზიდულ ტალღასა და ნიჩბებს ჩაებლაუჭა.

შენდეგ, გამორიჯა ზღვამ მკერდმაგარი მენავე ნიჩბებითა. მასთან იყო
 კრავი უბიწო. მასთან იყო შველიცა. შველო ძვირფასო, მხოლოდ მენავემ გა-
 დიტანა საშინელება. მხოლოდ წინამძღვრები გრძნობენ რისხვას ბუნებისასა. მხო-
 ლოდ შეკვლე იგნებს დაქანებასა.

გიამბო ვაგამა და ჩაჩუმიდა. ნისლი წამოერია ფერდას და შენ ატოკდი,
 ტარიგო.

— დამნისლე. დამბინდე. ეგებ უხილავ ვიყვე, ეგებ დავსაიდუმლოვდე—
 გაიძახოდი.

და აშენებდი ხუხულათა სოფელს, ტარიგო! აგებდი და ქარი ჰშლიდა.
 ააგე ტარიგო, ეგებ ბაღლებმა გაიხარონ, ეგებ აღარ დაგწყევლონ. ააგე, რათა
 შენმა შტომაც იაილოს ხუხულათა სოფელი. ხომ შვილი დაგრჩა?!

ნისლმა ჩამოიტანა ამბად: ოდეს სოფელი დამშვიდდებოდა და საღამო ჩა-
 აჩუმებდა — აღმუვლდებოდა სული ვეფხისა მუხის ფესვიდანა. აიკრიფებოდა
 ნისლი და მწვერვალიდან ჩამოვიდოდა ტარიგი და შეჰბანებდა ვეფხსა.

ხომ ოლოლთა შეძახილსა ჰგავდა? ხომ დალეული იყო სოფელი მათი ძა-
 ხილითა? სოფლად აღნავლდებოდნენ ბაღლები.

მაშინ ვაგაის ჩუმი ბუზღუნნი აფთარის სიცილივით მოსდევდა ხეობასა.

ტარიგის დედა ჩამოიღებდა სანათურიდან ყარყარასა, ჩაჰკიოდა დიდხანს
 და უაზროდ.

ოდეს კი ტყე ლოცვად დადგა. ტევრი დადუმდა და ტარიგი გადმოაღვა
 თურნე მწვერვალსა.



მოხალისე კალაზი

კომედია 4 მოქმედებად

მოქმედნი პირნი:

ედიშერ ყიასაშვილი.
ვერიკო—ცოლი მისი.
სიკო მარუაშვილი.
თამრო—ცოლი მისი.
სალომე—დედა თამროსი.
ფეფიკო ხრუტუნაშვილისა.
პონტიო.
ანტონო.
მარიაში ანტონიოს ცოლი.
სახლის პატრონი.
მაშო—ხელზე მოსამსახურე ვერიკოსი.
პოლინა.
ირაკლი.
ხარაბუზა.
პელო.
ბავშვები და სხვა სტუმრები უსიტყვოთ.

მოქმედება პირველი

ევროპიულად მოწყობილი ოთახი. ფარდის ახდისას გამოდიან წასასვლელად გამზადებული სიკო და ვერიკო.

ვერიკო. მალე დაბრუნდები?

სიკო. მალე, მალე.

ვერიკო. რას მეუბნებოდი წელან, ვინ უნდა მოვიდნენო?

სიკო. ძველი მეგობრები: ანტონიო და პონტიო.

ვერიკო. უთუოდ დღეს მოვლენ?

სიკო. უთუოდ.

ვერიკო. შენი მარშრუტი?

სიკო. მცირე ხნით გამომცემლობაში, თუ უჩემოდ მოვიდნენ, არ გაუშვია.

ვერიკო. იყოს ნება შენი, ჩემო მბრძანებელო!

(პკოცნის. სიკო გადის, ვერიკო შედის თავის ოთახში. ხარი გარედან.)

მაშო. (გავა კარის გასაღებად და შემოუძღვება ფეფიკოს) ჩინ გინახვო, მობრძანდით! (ვერიკოს ოთახს შეაღებს და ეტყვის) ქალმაცონო, სტუმარია. (გადის).

ვერიკო. (გამოდის და აღტაცებით შესძახებს) ამას ვისა ვხედავ! ფეფიკო, ჩემო კარგო ფეფიკო! (გადაკოცნიან ერთმანეთს).

ფეფიკო. არ მომელოდი, განა!

ვერიკო. ამდენი ხნის უნახაობის შემდეგ, გეკითხები, რა საბუთი მქონდა მოლოდინისა?!

ფეფიკო. ეხლა მაპატიე ჩემო კარგო, და გაძღვე პირობას, ამიერიდან კვირაში ერთხელ მაინც გინახულო. (სხდებიან).

ვერიკო. ვნახოთ, ვნახოთ.

ფეფიკო. სხვა შიამბე, რასა იქ, როგორა ხარ, ან როგორის ტემპით მიმდინარეობს შენი რომანი სიკოსთან?

ვერიკო. ჯერ-ჯერობით ყველაფერი წესიერად მიდის, შემდეგ რა იქნება, არ ვიცი.

ფეფიკო. რომ იცოდე, ვერიკო, თუ რამდენი მითქმა-მოთქმაა შენზე საზოგადოებაში...

ვერიკო. ფეფიკო, თუ გიყვარდე, ამ საგანზე ამიერიდან სიტყვა აღარ ჩამომიგდო. მე რომ ფილისტერებისა მშინებოდა, ამ ნაბიჯსაც არ გადავსდგამდი. ჩემო ლამაზო, უმჯობესია შენზე ვილაპარაკოთ. გავიგე, გათხოვებას აპირებსო, და გულით გავიხარე.

ფეფიკო არაფერი მაგის მსგავსი.

ვერიკო. მაშ გათხოვებას არ ფიქრობ?

ფეფიკო. ეფიქრობ, მაგრამ... ეხ! (ხელს ჩაიქნევს).

ვერიკო. ეს რა მესმის, ვინ შენ და ვინ ასეთი უიმედობა?!

ფეფიკო. მეშინიან, ვერიკო, მეშინიან.

ვერიკო. ვისი?

ფეფიკო. მამაკაცების.

ვერიკო. ხა, ხა, ხა! აი კიდევ ახალი ამბავი! ჩენს დროში ქალს მამაკაცისა ეშინიან. მე კი მგონია, მამაკაცებს უფრო მეტად ეშინიათ ჩენი.

ფეფიკო. დამიჯერე, ეხლა უფრო არიან საშიშნი ვიდრე ოდესმე

ვერიკო. რაშია საქმე?

ფეფიკო. უნდონი, გაქსუებულნი.

ვერიკო. მეც რა მეგონა! განა ყველანი მაგეთები არიან?

ფეფიკო. რა ვიცი, მე კი ასე მეგონა და...

ვერიკო. ვინ იცის, რამდენი ვინმე გეარშიყება.

ფეფიკო. ვინ მოსთელის. ნამეტნავათ კი წყეული იუმორისტი პონტიო. ისე გადამეკიდა, რომ საცა კი გადაედგი ფუხი, წინ ამეტუხა ნოჩვენებასავით, მაგრამ ვერ მივართვი. ხომ არ იცნობ?

ვერიკო. ჯერ არა, მაგრამ დღეს კი ვავიცნობ.

ფეფიკო. სად? როგორ?

ვერიკო. დღეს ჩვენთან მოვა სადარბაზოთ.

ფეფიკო. ღმერთო ჩემო, ის კაცი ჩემი ბედისწერაა სწორედ. (უხეცორობს) მაგრამ დავანებოთ ამას თავი. შენ ეს მითხარი, შეგიძლიან თუ არა მიშველო ერთ საქმეში?!

ვერიკო. რა საქმეში?

ფეფიკო. მამაკაცის შერჩევაში.

ვერიკო. რატომ, მიფდგეთ-მოფდგეთ.

ფეფიკო. გამოვიტყდები, სწორედ მაგისტვის მოველი შენთან.

ვერიკო. მართლა?

ფეფიკო. დედას გეფიცები.

ვერიკო. საწყალი ქვრივი! როგორ მოგწყურებია ბედნიერება!

ფეფიკო. ბარემ რომ სირცხვილია ქალისაგან ამაზე ლაპაოაკი, მაგრამ რა ვქნა, როდესაც 28 წლისას სისხლი მიდუღს, სისხლი თხოულობს. შენთან რა მაქვს დასამალი, მეგობარი ქალი ხარ, მასთან ასე განვითარებული და გამოცდილი.

ვერიკო. კარგი ერთი, ნუ აზვიადებ.

ფეფიკო. ვერიკოჯან, უნდა მიშველო, და თუ ნებას მომცემ გზასაც მე გიჩვენებ.

ვერიკო. ამას რაღა ემჯობინება.

ფეფიკო (ახლოს მიიწევს) ვერიკო, მოდი შენი ქმარი დამითმე. (კისკისებს).

ვერიკო. (გაოცებული) როგორ თუ ქმარი!

ფეფიკო. რა ძალიან იტყვიც! სიკოს შემდეგ ის ხომ შენთვის ზედმეტი ბარგია.

ვერიკო. მაშ არ ხუმრობ?

ფეფიკო. ედიშერი უნდა დავისაკუთრო, ეს შეგნებულად გადავსწყვიტე.

ვერიკო. განა სხვა კაცი არ იყო, რომ იმაზე შეჩერდი? ან იქნებ შენც ცნობილ კაცებზე დაიწყე ნადირობა?!

ფეფიკო. აგრე მსურს. ბევრს ნუ შალაპარაკებ. მე ვარ და ჩემი ნაბადი.

ვერიკო. კარგი, გენაცვა, კარგი. თუ შენ იმას ბურანიდან გამოიყვან და რასმე გამოჩენი, ბარაქალას გეტყვი. ნუ დაივიწყებ, რომ მე ის მიყვარდა და ვალმერთებდი მთელი ჩემის არსებით, მაგრამ ჩემს თავს მეცნიერება ამჯობინა და მერე რაც მოხდა, შენც კარგად იცი.

ფეფიკო. ჰო, მოხდა, რაც არ უნდა მომხდარიყო.

ვერიკო. რატომ ფიქრობ ასე?

ფეფიკო. ამაზე მერე იყოს. ჯერ ეს მითხარი, ეხლა რას აკეთებს?

ვერიკო. რაღაც დიდ სამეცნიერო შრომას სწერს.

ფეფიკო. თუ შენი ნებაც იქნება, მე მინდა დღესვე დავიწყო ნადირობა.

ვერიკო. ჯერ ენახოთ, როგორ გუნებახვა. (გადის).

ფეფიკო. (აღელვებული დადის და სარკის წინ თმებს ისწორებს).

ვერიკო. ჩასძინებია, მერე იყოს.

ფეფიკო. ძალიან კარგი. აგერ ცოტა ხნით ბაბულიასთან მინდა შევიყო; გამობრუნებისას შემოვივლი და მერე მე ვიცი. (მიდის). (ვერიკო თვალს გააყოლებს მხრების აწევით).

მაშო. (შემოდის) ელიკომ „თუ გცალიან, ცოტა ხნით გადმოდიო“.

ვერიკო. კარგი, წავალ. აქ ორი კაცი მოვა. სახლში შემოუძებ და მეც შემატყობინე. სიკოც მალე მოვა თქო. (გადის).

მაშო. (შედის სასადილო ოთახში, გამოიტანს იქიდან სარძევე ფინჯანს და მიდის სამზარეულოსაკენ. კედლის საათი დაჰკრავს თერთმეტს. რამოდენიმე წამის შემდეგ დაირეკება ზარი).

მაშო. (მიდის და შემოუძღვება პონტიოს და ანტონიოს და შემოილაპარაკებს) „სიკომ მალე დავბრუნდებიო“, გთხოვთ დაუცადოთ. ქალბატონი კი აგერაა მეზობლისას, ეზლავე დაუძახებ.

პონტიო. ჯერ არა, ჯერ არა, თქვენი სახელი, კეთილო?

მაშო. მაშო.

პონტიო. გვარი?

მაშო. კრიჭინაშვილი.

პონტიო. (ანტონიოს) ჩასწერე, ანტონიო, პოეტური გვარია.

ანტონიო. (სწერს წიგნაკში და მაშოს) სულიერო დაო, რა მოვალეობას ასრულებ ამ ოჯახში?

მაშო. ხელზე მოსამსახურე გახლავართ.

ანტონიო. რამდენი ხანია დაქირავებულ შრომას ეწევი?

მაშო. ვის ახსოვს!...

პონტიო. ჯამაგირი?

მაშო. ეგენი ჩვენს კარაბადინში არ სწერია.

ანტონიო. მაშ უჯამაგიროთ?

მაშო. ამ ოჯახს შევაბერდი—რათ მინდა ჯამაგირი?

პონტიო. კლასიური შეგნების იშვიათი ნიმუში. ჩასწერე, ანტონიო!

ანტონიო. (სწერს) ხაზეინი ციხეში, ეს კი მუზეუმში.

პონტიო. როდის დაიბადე?

მაშო. იჰ, თავი დამანებეთ, ვის ახსოვს!...

ანტონიო. სად დაიბადე?

მაშო. სოფელში.

ანტონიო. რისთვის დაიბადე?

მაშო. კარგია ერთი, ნუ გამიწყალეთ გული!

ორივენი. მაინც, მაინც?

მაშო. რისთვის იბადებიან—წვალებისათვის.

პონტიო. ჩასწერე, ანტონიო, ყოველი სიტყვა ოქროა.

პონტიო. (მიმავალ მაშოს) ქრისტეს მიერ დაო, მოილე მოწყალეობა და ნახევარი ჭიქა წყალი მომართვის!..

მაშო. (მიართმევს).

ანტონიო. ქრისტეს მიერ დაო, ნახევარი ჭიქა და ერთი ჩარქი მეც მომართვი.

მაშო. (თავისთვის) გამოუზომე ეხლა ამას ნახევარი და ერთი ჩარქი (მიართმევს).

პონტიო. (მიმავალ მაშოს) ქრისტეს მიერ დაო, წუმწუმა!

მაშო. წუმწუმა რა არის?

პონტიო. ასანთი.

მაშო. არც ეს ვიცი.

ანტონიო. სპიჩკა.

პონტიო. მდაბიურათ პრიჭკა.

მაშო. აი, ეგრე სთქვით, ქრისტიანულად. (მიართმევს).

პონტიო. აი რას ნიშნავს გაეროვნება! ქრისტეს მიერ დაო, საფერფლე.

მაშო. (მიართმევს).

პონტიო. ქრისტეს მიერ დაო, ტანისამოსის საწმენდი ჩოთქი!

მაშო. (თავისთვის) ვინ ოხრებია, თერღები ჩამაწყვიტეს. (მიართმევს).

პონტიო. (მიუშვერს ზურგს) აბა ერთი გაუსვ-გამოუსვი!

მაშო. ეხლა კიდევ გაუსვ-გამოუსვი!

ანტონიო. (მიუშვერს ზურგს) აბა ერთი მეცა! ნათქვამია: „ურობა წყალს მიჭკონ-და გზაც იქით ჰქონდა“-ო.

მაშო. იჰ, თქვენი ჭირიმე, ეს ვის გადავეკიდე!... (ზარი: მაშო შემოუძღვება სიკოს)

სიკო. (იმათ დანახვაზე) ა-ა-ა!

ორივენი. ა-ა-ა (ხელს ართმევენ ერთმანეთს).

პონტიო. ფრთხილად, სიკო, სარევიზიოთ მოვსულვართ.

ანტონიო. ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენ თამროს ძმად-ნაფიცნი ვართ.

სიკო. ჰო, ვიცი, და ისიც კი ვიცი, რომ რალაც მისიითაც ხართ აღკურვილნი, მაგრამ მაგაზე მერე. უმჯობესია ვერიკოზე ვილაპარაკოთ. მაშ გუშინ ქუჩაში შეხვედრისას მოგეწონათ?!

ორივენი. გავგიჟდით, გავგიჟდით.

პონტიო. ქ—ნი ვერიკო რომ ასეთი მომხიბლავი არ იყოს, იცოდე, მაგ ვერაგობას არ შეგარჩენდით. (საქანებელში ჩაჯდება)

ანტონიო. უყვარს სიკოს კეთილი ცხოვრება.

პონტიო. უყვარს სიკოს განცხრომა.

სიკო. კარგია ერთი...

ანტონიო. ახ, სიკო, სიკო, რა ქალი ნიატოვე, შე ურჯულო, რა ქალი!...

პონტიო. რამდენად ძლიერი უნდა იყოს სიყვარული, რომ კაცს თამროც კი გაამეტებინოს!..

სიკო. კარგი, კარგი. ამ გაცვეთილმა სიტყვებმა საგრძნობლად მომკვეთეს კბილები. სხვა, ანტონიო, როგორ მიდის შენი რომანი მკერავ ქალთან?

ანტონიო. მიდის ისე, ჩაქჩაქით.

სიკო. (იციინის) თუ ცოლმა გაგიგო, ჩაქჩაქი მაშინ ნახე.

ანტონიო. ასეც იქნება. მგონი უსუნა ხიფათს.

პონტიო. ეგ ყველა კარგი, მაგრამ სად არის დიასახლისი?

სიკო. ეხლავ მოვიყვან, ალბათ სამზარეულოშია.

ანტონიო. "შენ კი დაგვპატიე, მაგრამ იმას კი ვესიამოვნებოდა?"

სიკო. პირიქით, როცა გაიგო, რომ თქვენ დღეს უნდა მოსულიყავით, სიხარულისაგან ცას ეწია. ის თქვენ გიცნობსთ შორიდან და გაფასებსთ კიდევ ღირსებისამებრ.

ვერიკო. (გამოჩნდება კარებში. პონტიო და ანტონიო წამოხტებიან და აქეთიქით დადგებიან)

სიკო. აი, ვერიკო, ისინი, ვისაც შენ ასეთი სიხარულით ელოდი!

ვერიკო. (ღიმილით) დიდად სასიამოვნო, დიდად სასიამოვნო!

სიკო. (ანტონიოზე) ჩვენი დამსახურებული რეპორტიორ-მუშკორი—ანტონიო ხრიკი, პსევდონიმით—შიპლიპიტო.

ანტონიო. (რევერანსს გაუკეთებს და ხელზე ეამბორება ვერიკოს)

სიკო. (პონტიოზე) მაქვს პატივი წარმოგიდგინო ჩემი ახლო მეგობარი, ნიჭიერი მწერალი—იუმორისტი—პონტიო ბზიკი, პსევდონიმით დიპლიპიტო.

პონტიო. (რევერანსს აკეთებს და ხელზე ეამბორება ვერიკოს).

ანტონიო. (პონტიოზე) ამნაირათ ეს გახლავს: პონტიო დიპლიპიტო ბზიკი.

პონტიო. (ანტონიოზე) ანტონიო შიპლიპიტო ხრიკი. (სიკო და ვერიკო გულიანად იციინიან)

სიკო. აბა, ვერიკო ნიდექ-მოდექი შენებურად.

ვერიკო. უკაცრავად, ეს უკვე ჩემი საქმეა, გთხოვთ, მანამდე აივანზე მიბრძანდეთ.

სიკო. მართლა გავიდეთ აივანზე, ნახეთ, რა ჩინებული გადასახედია! (გადიან და მიეფარებიან. იმათ იქ ყოფნის დროს ვერიკო და მაშო მაგიდას სუფრას გადაათარებენ და აწყობენ მცირე საუზმეს.

მაშო. მე მაგ ოხრებს საუზმეს კი არა, შავ ჭირს მივართმევდი.

ვერიკო. რას ამბობ, მაშო, რას ერჩი, რა დაგიშავეს?

მაშო. დამიშავეს კი არა, ჩემი წონა სისხლი გამიფუჭეს.

ვერიკო. როგორ, როდის?

მაშო. ეს წუმწუმიო, ეს ნახევარი ჭიქა წყალიო, ნახევარი და ერთი ჩარექიო, ვინა ხარო, როდის დაიბადეო, რისთვის დაიბადეო.

ვერიკო. (იციინის) უხუმრიათ, მაშო, უხუმრიათ.

მაშო. კარგია, შენ გენაცვალე, მე კი ჩემი დამემართა და.. (ათვალიერებს) მგონი, ყველაფერია.

ვერიკო. ჰო, შეგიძლიან წახვიდე.

(მაშო გადის)

ვერიკო. (შუა კარებიდან გასძახის:) სიკო, მობრძანდი!

(სიკო, პონტიო და ანტონიო შემოდნიან).

- ვერიკო. აბა შეეჭეცით, ძვირფასო სტუმრებო, მცირედისათვის ნუ დაგვძრახავთ.
პონტიო და ანტონიო. რასა ბრძანებთ, რასა ბრძანებთ! (სხდებიან ერთად)
- სიკო. არაფერია, დასაწყისისთვის ესეც ვიკმაროთ, (ჯდება ვერიკოსთან ახლოს, სტუმრების პირდაპირ)
- ვერიკო. (სიკოს) აბა, მამასახლისო, უპატრონე ამას.
- სიკო. მიირთვით ღვინო, „ოპორტოა“!
- პონტიო. ჩასწერე, ანტონიო, ახალი სიტყვაა.
- ანტონიო. (სწერავს, უეცრივ აიღებს ჭიქას) სალანი თქვენდა, დიასახლისო! (გადაჰკრავს)
- პონტიო. მოიცა, ბიჭო, რომ ჰხუხე, განა კახურია?!
- ანტონიო. მაშ რა ვქნა, ნერწყვი ვყლაპო?
- პონტიო. უნდა წრუპო.
- ანტონიო. მოდი ეხლა და ქართველ კაცს ღვინის წრუპვა დააწყებინე.
- სიკო. ყურს ნუ უგდებ, ჰხუხე, რამდენიც გინდა. ღვინო კიღევ გვაქვს.
- პონტიო. შეუღღენო, მრავალ ჭამიერ! (გადაჰკრავს)
- ანტონიო. შენც კარგათ ჰხუხე?!
- პონტიო. მე რას მეტოლები, განა ერთი ვართ?!..
- ანტონიო. ჰო, მართლა, შენ ხომ ლიტერატურის პოლკონიკი ხარ, მე კი უბრალო ჯარისკაცი.
- პონტიო. საქმეც ეგ არის, და! (უეცრივ) მართლა, ბიჭო, ცირკიდან მაიმუნი გაქცევიათ, გირჩევ, ამ ორ-სამ დღეში ქუჩაში არ გახვიდე. ეშმაკს არ სძინავს, რაკი განსხვავებას ვერ ნახვენ, დაგიპერენ და უმტკიცე მერე, რომ შენ ხარ ანტონიო და არა მაიმუნი. (იციინიან)
- ვერიკო. სიცილის ქურუმნო! თქვენი კარგათ ყოფნისა და ჩვენი მომავალი მეგობრობისა! (მიუჯახუნებს ჭიქას და მოწრუპავს) ალტაცებული ვარ თქვენით, ალტაცებული.
- სიკო. ბუდემ ნე ზაბუდემ (მიუჯახუნებს და მოწრუპავს).
- ანტონიო. (იწერავს წიგნაკში და ამბობს) დედა ქალაქი, ამა წლის ივნისის ოც-სა დღესა, ქვითკირის ქუჩაზე გავიცანით ის, ვინც ჩვენს დიდ მწერალს თავს დაადგა მოელვარე გვირგვინი უმწვერვალესი სიყვარულისა.
- ვერიკო. კარგია ერთი, ნუ დამცინით.
- ანტონიო. თუ ეს დაცინვა იყოს, დამცინოს ეშმაკებმა და ჯოჯოხეთშიაც წამიღონ.
- ვერიკო. მართლა, ამხანაგო პონტიო, დღეს ჩვენთან იყო ერთი თქვენი ნაცნობი მანდილოსანი.
- პონტიო, შეიძლება, ვიკითხოთ ვინაობა მისი?
- ვერიკო. ქვრივი ფეფიკო ხრუტუნაშვილისა.
- ანტონიო. (სიცილი წასქდება)
- პონტიო. (ანტონიოს) მოიცა! (ვერიკოს) ხშირად დადის აქ?



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვერიკო. დიდი ინტერვალის შემდეგ ნხოლოდ დღეს მეწვია და შემპირდა, ამიერიდან ხშარათ გინახულებო.

(ამ დროს მოისმის ელიშერის მაგარი დახველება)

პონტიო და ანტონიო. (შეკრთებიან) აი!

ანტონიო. ვინ იყო?

პონტიო. ვინა და იელოვა - ღმერთი.

ანტონიო. როგორ, ჩამოსულა?

პონტიო. აი დოყლაპია! ამის შემდეგ, შენც იტყვი, გამოცდილი რეპორტიორი აკეგარო.

ანტონიო. მოდი, ესეც ჩავწერო და ხვალ ქრონიკაშიც გამოუვშვა. ნეტა, რას თებს?

პონტიო. ხომ იცი, ურია—ღმერთიც ვაჭარია. თავდაპირველად გენერლებთან ერთად ისიც პაპიროსებს ჰყიდდა ქუჩაში. გამოიჩინა ვაჭრობის დიდი უნარი და როცა წელი გაიმაგრა, გამოეწყო შნოხე, აბრაამის წვერ-ულვაში შეიკრიჭ-შეილამახა, გავიდა ბირჟაზე და ისეთი კორიანტელი ააყენა, რომ, ლამის, გადასკამონ ერთმანეთი.

ანტონიო. თურმე, ვინ ყოფილა, ჩვენ კი ვფიქრობდით, იყო ღრმა ერთი.

პონტიო. რა ბედნიერია ოჯახი, საცა ბინადრობს ყოფილი ღმერთი!..

ანტონიო. წავიდეთ, პონტიო, წავიდეთ, თორემ, ვინ იცის, კიდევ ვის არ გადავეყაროთ!..

პონტიო. წავიდეთ, წავიდეთ!

ვერიკო. ასე მალე, რა ამბავია?

სიკო. მართლა, რომელმა ქარმა დაგიბერათ?

ვერიკო. ყმაწვილებო, დარჩით, კიდევ!

პონტიო. დრო ნებას არ გვაძლევს.

ანტონიო. არაფერია, რაკი ნავსი გატყდა, მორჩა, ეს ოჯახი ჩვენია. (ვერიკოს ხელზე ეამბორებიან. სიკოს ხელს ჩამოართმევენ).

პონტიო. (სიკოს) ვაშა, სიკო, ვაშა! შენი რომანით მთელი ჩვენი საზოგადოება აღტაცებულია.

ანტონიო. გვასახელა, გვასახელა. (ხელს უჭერს მაგრათ).

სიკო. მოიკათ, მიწდა გაგაცილოთ.

პონტიო. ეგ საჭიროცაა. (გადიან საშივე).

ვერიკო. (ლიმილით გააცილებს და შუა კარებიდან თავს უკრავს) ნახვამდის, ნახვამდის, იმედია, არ დაგვივიწყებთ.

იმათი ხმები. არა და ათასჯერ არა.

ვერიკო. (ურეკავს მაშოს. შემოდის მაშო). აბა, მაშო, ავალაგოთ (სასწრაფოთ აალაგებენ. ზარი).

ვერიკო. ალბათ ფეფიკოა, მაშო, ელიშერმა გაიღვიძა?

მაშო. გაიღვიძა და პირიც დაიბანა.

ვერიკო. ეხლა რას აკეთებს?

მაშო. კითხულობს (მიდის კარების გასაღებათ).



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფეფიკო. (ვერიკოს) როგორაა საქმე, ღვიძავს?

ვერიკო. ღვიძავს, ღვიძავს.

ფეფიკო. მაშ ვიწყებ. ნახე, ერთი თვის შემდეგ როგორი ჩაგაბარო.

ვერიკო. მიედივარ და მონყავს (გადის. ფეფიკო მიუჯდება პიანინოს და ნელა უკრავს რალაც ტკბილ მელოდიას). ფეფიკო! მზათ იყავ, მოდის.

ედიშერ. (გამოდის 35 წლის სიმპატიური კაცი, შავი ხუჭუტა, იმიტანი, უკეთია პენსნე, უჭარავს გაზეთით. გამოსვლისას ხელში უჭერდა ცხელი ჭოჭოლის გაივლ-გამოივლის, შემოდის ხალაში და მაგიდასთან, ჩაჯდება საყარ-ძელში, პაპიროსს მოუკიდებს და შეუდგება კითხვას).

ვერიკო. ედიშერ, განა მე ესა გთხოვე?

ედიშერ. რაცა მთხოვე, აგისრულე.

ვერიკო. რას ამისრულე?

ედიშერ. რალაცას. კარგათ არ მახსოვს. თუ არა ესტდები... მგონი, აბანოში წა-სვლა მთხოვე.

ვერიკო. ეგ იყო გუშინ.

ედიშერ. გუშინ და დღეს, დღეს და გუშინ, აი საკითხი ნუღან წყეული და თავ-სატეხი.

ვერიკო. ედიშერ, შეაჩერე მუშაობა, აკი გითხარ, ერთ ვინმე ქვრივს უნდა შენი ნიხვა-მეთქი.

ედიშერ. ვინ არის? გათხოვება თუ უნდა!

ვერიკო. ალბათ!

ედიშერ. კარგი, მაგრამ ჯერ გვითხრას, თუ პირველი ქმარი რისთვის გადაასა-ხლა საიქიოს.

ვერიკო. ედიშერ!

ედიშერ. ნუ ნიშლი, ერთი ახალგაზრდა მეცნიერის სადისერტაციო შრომას ვეცნობი.

ვერიკო. სიტყვა ბანზე ნუ შეაგდე.

ედიშერ. ნახე ბიჭი, ამიღია და სიტყვა ბურთივით ბანზე ამიგდია. განა აღვი-ღია!

ვერიკო. ედიშერ, გადაჭრით გეკითხები, შეგიძლიან თუ არა სტუმრის მიღება?

ედიშერ. რა გვარია?

ვერიკო. არ გეტყვი, შენ თვითონ უნდა გამოიცნო.

ედიშერ. (თავს ასწევს და რა შენიშნავს ფეფიკოს, წამოიძახებს) ა-ა-ა, ამას ვისა ვხედავ! რამდენი ზამთარი, რამდენი ზაფხული (წამოხტება და ხელზე ეამბორემა)! ..

ფეფიკო. მიცნო, მიცნო, ვაშა!

ვერიკო. (ფეფიკოს) ეხლა შენ იცი! (გადის)

ედიშერ. (ფეფიკოს) გთხოვთ! (მიუთითებს სკამზე მაგიდასთან, თვითონ კი თავის ალაგას ბრუნდება) ეხლა მიაშვით! როგორ დაახწიეთ თავი ციხეს? (ჰკითხულობს).



- ფეფიკო. პირჯვარი გამოისახეთ. ციხეში რა მინდოდა?!
 ედიშერ. ბარემ არ გინდოდათ, მაგრამ ძალით ჩაგსვეს.
 ფეფიკო. მე თქვენი არა მესმის რა.
 ედიშერ. რომელ ენაზე გნებავთ გელაპარაკოთ?
 ფეფიკო. აქ რალაც გაუგებრობაა, გეკითხებით: მიცანით თუ არა?
 ედიშერ. გიცანით, როგორ არ გიცანით. თქვენ ხომ გარეუბნის გეგბა ხართ—
 აბორტების დიდი სპეცი, რისთვისაც სამარტუღში იყავით მიცე-
 მული და ციხეშიაც იჯექით.
 ფეფიკო. არაფერი მაგის მსგავსი. ბებიანობა ფიქრადაც არ მომსვლია.
 ედიშერ. ნაშ ვინა ხართ?
 ფეფიკო. არ გეტყვით და არც მოგშორდებით, სანამ თვით არ გამოიცნობთ.
 ედიშერ. დაბრძანდით, დაბრძანდით! (კითხულობს).
 ფეფიკო. არც დაბრძანდები და არც არაფერი.
 ედიშერ. როგორც გნებოთ.
 ფეფიკო. აბა, კარგათ დამაცქერდით.
 ედიშერ. (დააცქერდება) ჰო, მართლა...
 ფეფიკო. დაამთავრეთ, დაამთავრეთ!
 ედიშერ. ოდესღაც ქართული ბო-მონდის წვეწება, დღეს მგონი რომელიღაც კო-
 მისარიატის შემანქანე ხართ და იმავე დროს საქმეთა მმართველის
 საყვარელი.
 ფეფიკო. უკაცრავად, არც ესაა მართალი.
 ედიშერ. იცით რა: ვერიკო თუ გნებავთ, სამსარეულოშია.
 ფეფიკო. ვიცი, ვიცი. ეგ საქმეს არ შეეხება.
 ედიშერ. ქალბატონო, იქნება ბაღში გაისეირნოთ.
 ფეფიკო. მხოლოდ თქვენთან ერთად.
 ედიშერ. ან იქნება მუსიკით გაერთოთ?
 ფეფიკო. ჯერ მიცანით და მერე.
 ედიშერ. ამაზე აღვილი რაღაა. თქვენა ხართ იულიოს კეისრის თანამედროვე
 ბანოვანი, ბრუტოსის ცოლის პორციას გულითადი მეგობარი, რო-
 მელსაც ნაკვერჩხლების უღაბვაში ეჯიბრებოდით.
 ფეფიკო. (კისკისებს) არა და არა.
 ედიშერ. თქვენა ხართ ის, ვინც შეისრუტა ევროპა-აზიის ცივილიზაციები, მია-
 დგა ტრანსცენდენტის ჩაკირულ კარებს და გაბედულათ შეალო იგი,
 რითაც დაამტკიცა, რომ „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, გინდა
 ხვადია“.
 ფეფიკო. (კისკისებს) უფრი მიგდეთ, პროფესორო!
 ედიშერ. (წამის შემდეგ თავ-აუღებლივ) ვერიკო, შენა?
 ფეფიკო. მე ვარ.
 ედიშერ. წავიდა ის თავქარიანი დედაკაცი?
 ფეფიკო. დამიდგეს თვალები! წავიდა.

- ელიშერ. ძალზე აფიცებულა საწყალი, ეტყობა, ქმარი უნდა, მოდი, იცხონე სული და ითავე ეს საქმე.
- ფეფიკო. ღმერთო, რამდენი შეურაცყოფა, რამდენი დაცინვა! ბატონო ელიშერ! როდემდის უნდა მაწვალოთ?
- ელიშერ. გეთაყვა, სანამ საქმეს მოვრჩებოდე, დამდეთ ხათრი და ათასაუღე დაითვალეთ. შერე უკან დაბრუნდით და როცა ერთზე ჩამოხვიდეთ, შემანჯღრიეთ.
- ფეფიკო. მგონი, ისე შეგანჯღრიო, რომ „ვაი დედა“ იძახო. (წიგნს წაართმევს და ცალკე მისდებს პიანინოზე).
- ელიშერ. (წამოხტება) ეი, თქვენ, რომელი ხართ მანდა!.. დამაქციეს, თავს დამეცნენ, გამცარცვეს!
- ფეფიკო. (კისკისებს, გვერდით მიუდგება და ცალ ხელს მოხვევს) აი სად მიუყვანიხართ გადამეტებულ მუშაობას!.. განა შეიძლება ყველაფერზე ხელის აღება? ვიცი, თქვენ ამაზე მიპასუხებთ, რომ „საქვეყნო საქმეს ვაკეთებო“, მაგრამ მე ვაგონებაც არა მსურს ამისი. იცით რა, პროფესორო, რომ ბევრი ლაპარაკით თავი არ შეგაწყინოთ, გეტყვით პირდაპირ, რომ მე სრული შეგნებით გადავსწყვიტე თქვენი გამოყვანა ამ ბურუსიდან, რათა შერე წაგიძღვეთ ბედნიერებისაკენ.
- ელიშერ. წამიძებით, წამიძებით! (ხელს წაავლებს მკლავზე).
- ფეფიკო. (უკან დაიხევს) არც ასე მალე, ბატონო, არც ასე მალე.
- ელიშერ. განა რა წითელი კოჭი ხართ, რომ ასე ბაქიბუქობთ?
- ფეფიკო. (გაეცინება) უკაცრავათ, ბაქიები და კოჭები სხვაგან მოიკითხეთ.
- ელიშერ. ეს რა ჩიტო მოფრენილა, საიდან და სადაური?!
- ფეფიკო. დიახ, ჩიტო, რომელიც გაგაფრენთ ცაში, ღმერთებთან.
- ელიშერ. დამიყრია ფარ-ხმალი, ვერა გცნობთ, მითხარით ვინაობა თქვენი.
- ფეფიკო. სიამოვნებით: მე გახლავართ თქვენი ოჯახის ძველი მეგობარი, ქვრივი ხრუტუნაშვილისა.
- ელიშერ. ა, ა, ა! ამას ვის ვხედავ!.. ფეფიკო, ჩვენი კუდრაჭა ფეფიკო! (ხელზე უთათუნებს, ორივენი გულიანათ იცინიან).
- ვერიკო. (შემოდის და რა დაინახავს ამ სურათს) უკვე?
- ფეფიკო. აღსრულდა, აღსრულდა! (საერთო სიცილი).

ფ ა რ დ ა.

მეორე მოქმედება

შნოიანათ მოწყობილი, ერთსა და იმავე დროს სასტუმრო და სასადილო ოთახი. ერთ კუთხეში პუფეტი, შუაში სასადილო მაგიდა, სამოვარი, ჩაი.

სალომე. (გამოდის ოთახიდან, იმავე დროს ისმის კულისებში მარტო მარტო ხმები).

პელოს ხმა. სალომე, შინა ხარ?

სალომე. შინა ვარ, მოდი, მოდი.

პელო. გამარჯობა!

სალომე. გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს.

პელო. დაგებარებზე და აი მეც არ დავაყოვნე.

სალომე. გმადლობ, ჩემო პელო, გმადლობ.

პელო. თამრო შინ არის?

სალომე. თამრო გაკვეთილზეა ერთ ოჯახში.

პელო. სამსახურიც, გაკვეთილიც... რას უშვრებით ანდენ ფულებს?

სალომე. იპ, შენ კი გაიხარე, რაღაც გროშებს იღებს, ღირს კი სათქმელათ!

პელო. კარგი, არ ავიხირდები. შენ ეს ნითხარი, იყავი თათართან?

სალომე. ვიყავი ხუთშაბათს.

პელო. მერე?

სალომე. ყველაფერზე მოველაპარაკე და ჯადოც გამოვართვი. (შევა სასწრაფოთ ოთახში და იქიდან გამოიტანს სამკუთხედათ შეკერილ ნაკუწებს და დაუდებს წინ) მე ჩემი მოვათავე, დანარჩენი შენთვის მომინდვია.

პელო. კეთილი, კეთილი.

სალომე. პელო ჩემო, როგორც მაშინ ვითხარი, ეს თილისმა სამ ალაგს მოლაღატე სიძის პერანგს უნდა მიეკეროს უთუოდ.

პელო. ბატონი ბრძანდები, ამაზე ადვილი რაღაა!.. შენ ეს მითხარი, თამრომ ხომ არა იცის რა ამ საქმისა?

სალომე. რას ამბობ, დედაკაცო, იმან რომ გამიგოს, ჯვარს მაცმევს. განა არ იცი ნასწავლი ხალხის ამბავი?!

პელო. რაო, რა სთქვა თათარმა?

სალომე. ნულარა მკითხავ, აშავსო იმედებით. „მოხიბლულაო“ და პირობაც მომცა, რომ „თქვენი სიკო სინანულით და ცრემლთა ფრქვევით ორ კვირაში დაუბრუნდება ოჯახსაო“.

პელო. აგრეც იქნება, აგრეც იქნება.

სალომე. გისმინოს უფალმა, გისმინოს უფალმა. (ზარი დაირეკება) სსს... ალბათ თამროა, ეხლა კი ენას მაგარი კლიტე!...

პელო. (ნაკუწებს შეინახავს ჯიბეში და წამოდგება).

სალომე. როგორ, მიდიხარ?

პელო. მივდივარ, სხვაგან მიმეჩქარება.

სალომე. ჩაის არ დალევ?

პელო. არა. მაშ ასე, ხვალ ან ზევ ყველაფერი ასრულდება.

სალომე. დაგიფასებ ამაგს დაგიფასებ, იცოდე.

პელო. კარგი, კარგი.

სალომე. პელო, შენი ჭირიმე, არ დაჰკარგო. თვალის ჩინივით გაუფრთხილდი, რვა მანეთი მიმიცია, ეცადე არ გახშიანდეს—თორემ მოგვექრება თავი. (გააცილებს და წუთის შემდეგ შემოუძღვება ხმამაღლა).

თამრო. არავინ ყოფილა?

სალომე. პელოს გარდა არავინ ყოფილა. აბა, გამოიცვალე ტანისამოსი, მანამ ნე ჩაის მოვიმზადებ.

თამრო. (შევა ოთახში).

სალომე. (ჩაის უმზადებს).

თამრო. (გამოდის საშინაოთ გამოწყობილი).

სალომე. აბა მოდი. (სალომე და თამრო შეექცევიან ჩაის. მალე დაირეკება ზარი).

სალომე. (გადის და წამს შემდეგ ისმის მისი ხმა კულისებში)—იორამ. შვილო! იორამის ხმა. არ მომელოდით, განა! ხა-ხა-ხა.

სალომეს ხმა. თამრო, გაიხარე, ბიძაშვილი მოგივიდა.

იორამი. (შემოდის სალომე, იორამი და გლეხი ივანე, მოზრდილი ხურჯინებით).

თამრო. (გახარებული წამოხტება)—იორამ, ჩემო კარგო! (გადაკოცნის).

იორამი. გამარჯობა, დაბრაკულო, გამარჯობა.

თამრო. ვერ წარმოიდგენ, ბიჭო, როგორ გამახარე შენი მოსვლით.

იორამი. თუ არ დაგიშლია, დე იყოს ასე. (ივანეზე) აბა გაიცანი—ივანე დე-მეტრაშვილი—სრუნდიაკი. ყოფილი კულაკი, მომავალი ბატრაკი.

ივანე (გულიანათ იცინის) კარგია ერთი.

თამრო და სალომე (გაიცინებენ და ხელს ჩამოართმევენ).

სალომე. აბა, გეთაყვა, დაჯექით!

იორამი. (ივანეს) ივანე ჩემო, აქ ცოტა შევისვენოთ, თითო ჭიქა ჩაიც ვხუხოთ და მერე კი გავსწიოთ შენი ბიჭას ბინისაკენ.

ივანე. კეთილი, კეთილი.

სალომე. (იმათაც ჩაის მიაართმევს).

იორამი. სხვა ხალხნო, როგორ გიკითხოთ, რასა იქნა? (თამროს) ბიძაშვილო, მივიღე შენი წერილი და აი, დავერქვე კიდევ.

თამრო. გმადლობ.

იორამი. (სალომეს) როგორ ხართ მეთქი, ჰა?

სალომე. განა არ იცი, როგორ ვიქნებით?!

იორამი. თამრიკო, შენ თითქოს ისევ ჩამოგტირის სახე. დავიჯერო, იარები კიდევ ვერ მოგიშუშდა?!

თამრო. მაგაზე მერე, უმჯობესია შინაურებზე გვიამბო რამე: რასა იქნა, როგორ ხართ!?

იორამი. ჯერჯერობით არა გვიშავსრა. მოგიკითხეს სიყვარულით, გამომატანეს ათასი კოცნა, მილიონი სალამი. ამასთან ისიც დამაბარეს, რომ „თამ-

რიკომ უთუოდ აიღოს შვებულება და გვეწვიოსო... რა თქმა უნდა, ეს ასეც იქნება.

თამრო. შენც კარგათ გამოიყურები.

იორამი. რა ნიჭირს, აგრონომი ბიჭი ვარ, ვმუშაობ, ოფისი ვლევი და ხალხსაც ვანათლებ. ჰო მართლა, ახალი ჩვენსა კიდევ ისაა, რომ ჩემი სანაქებო მაშკა-ლორი შველმა მიირთვა, დამსახურებულნი ვიყავი საძოვრიდან ნომპარეს და მოსამსახურე კიმოთემ ბოლტიანი საბედა მომტაცა და გაიქცა. სულელი, იმანაც ნახა მზეთუნახავი, მე კი სულ სხვა ბედს უმზადებდი. (იციინიან).

თამრო. ნუცა რასა იქს?

იორამი. ნულარა მკითხავ! ჩემი ზეფირივით ნახი და ეთეროვანი მესულლე თავისი ეშხით ფურორს ახდენს მთელს იმ არე-მარეში. მიუხედავად ფეხმძიმეობისა, ამას წინეთ, ცოტას გაწყდა, კინალამ წამართვა ერთმა ატროკეზულმა სოფლის დონ-ეუანმა, გვარად შეხტაბერიძემ, ოი, შეახტეს იმას ეშმაკი და ქაჯი!.. ცოტა არ იყოს, გუნებაში შემეშინდა. ხომ გახსოვს ფაუსტიდან მეფისტოფელის სიტყვები: „დედაკაცი რომ ატყდება, ღმერთიც ნაშინ გაუწყრებაო“; რომ ვერაფერით მოვიშორე, მოვიგონე ხერხი და ჩავსვი კვახში. ერთხელ ჭადრაკის თამაშობის დროს, სიტყვა ჩაუკარი: „ვინაიდან ჩვენ ერთმანეთის ცოლებს ვყვარობთ, მოდი, ბარემ გავცვალოთ-მეთქი“. ეს უთხარი თუ არა, ისკუბა და ჰერი ბიჭო! კიბეზე ჩარბენისას თავზე გადაახტა ჩვენი სოფლის მთავარ-დიაკონს, ეზოში თავი მიახალა ჭანდრის ხეს, ფეხი ჩაჭკრა გოგირდით სავსე გობში, გადაახტა მალალ ლობეს, ჩავარდა თხრილში და ფეხი მოიტეხა. თურმე იმდენად შეშინებია, რომ ამბობენ გადასახლებას აპირებს ხეცსურეთშიო. (სიცილი).

იორამი. მაშ, ბიძაშვილო, მივდივართ რაღა!.. წარმოდგენილი მაქვს, როგორ გაეხარდება ყველას. მოგივლით ისე, რომ სულ დაგაეიწყებთ დარდსა და ვარაშს. რა გინდა სულო და გულო!.. ჩვენი შხრიალას ნაირ-ნაირი თევზები, რძე ჩიტისა, ფურისა, ვირისა და სხვა პატივცემულ რქიან თუ ურქო პირუტყვთა. საჭმელებში ვიცი ყველაზე მეტად მოგეწონება ფრანგულათ მოხრაკული ბაყაყი, ნამდვილი მწყერია. (ივანე კვდება სიცილით).

თამრო და სალომე. (თვალეზე ხელებ მიფარებით).

იორამი. არაფერია, წინათ ნუცამაც აგრე იტკიცა, მაგრამ მერე ისე შეეჩვია, რომ ეხლა იმაზე გატაცებული ბაყაყიჭამია მგონი პარიზშიც ვერა ნახო. მუდამ დილით, ორი-სამი ცოცხალი ბაყაყუნა უთუოდ უნდა გადაყლაპოს.

ივანე. (იციინის და უეტრივ წამოდგება) იორამ, გეთაყვა, სიკეთეს მიშვრები, ბარემ გამაცილე.

- იორამი. (წამოდგება) წავიდეთ, წავიდეთ. თამრო, მე მალე დაებრუნდები. (სალომეს) ძალო, სახლიდან რაღაცეები გამოგიგზავნეს, იქაა ხურჯინ-ში. (გადიან ერთი ხურჯინით, რომელსაც ივანე წაიღებს).
- სალომე. ერთობ სანაქებო ბიძაშვილი გყავს, შვილო (ხურჯინიდან აბოლაგებს: პატარა ტიკით ღვინოს, მოხარულ ქათამს, ნახუქებს, ხილს და სხ. თამარის დახმარებით შკაფში შეინახავს).
- სალომე. თუ შარლატან ძმობილებს არ შეასწევ, ეს ღვინო მხოლოდ მგებნობაა.
- თამრო. ახ, დედა, როდის აქეთ გახდი ასეთი კრიტიკი?! (ხარი)
- თამრო. ალბათ ისინი არიან. (სალომე გადის და წუთის შემდეგ შემოცქრიან-დებიან სცენაზე პონტიო და ანტონიო)
- ორივენი. (თამროს დანახვაზე) ა-ა-ა თამროც შინა ყოფილა!... ვაშა, ურა-ა-ა. (ხელზე ეანბორებიან).
- პონტიო. სხვა, ხალხნო, რასა იქთ, როგორა ხართ?
- თამრო. ვართ რაღა!
- პონტიო. ხუთი დღეა არ ვყოფილვარ, ეს ხომ მთელი საუკუნეა!
- სალომე. თქვენ ეს მითხარით, რა ამბავი მოიტანეთ: ვაჯია თუ ქალი?
- ორივენი. ვაჯია, ვაჯი.
- სალომე. პოი, გისმინოთ უფაღმა და იყოს კურთხევა მისი თქვენზე.
- პონტიო და ანტონი. (პირჯვარს იწერენ) იყავნ, იყავნ!
- სალომე. თქვენ ეი, თათრებო, ფრთხილათ მანდ!
- ანტონიო. (თამროს) თურმე თათრები ვყოფილვართ და არ ვიცოდით.
- თამრო. დაჯექით, დაჯექით! (პონტიო და ანტონიო სხდებიან)
- პონტიო. შართლა, ახალი ამბავი! ევროპიდან ჩამოსულა ერთი ვინმე კუე.
- სალომე. კუე-მუე არ ვიცი. თქვენ ის მითხარით, რა გაარიგეთ, რა ამბავი მოიტანეთ?
- პონტიო. ჯერ ტომბახი, მერე ამბავი.
- თამრო. აბა, დედა, მიდექ-მოდექი.
- პონტიო. დიახ, დიახ. თუ გინდათ, რომ კარგი ამბები გითხრათ, ჯერ გვაჭამეთ რამე!
- ანტონიო. გვაჭამეთ, გეშია.
- პონტიო. მე მშია, შენ გშია, ყველას შია.
- ანტონიო. მშია. მშია.
- სალომე. ისეთი ლობიო მოგართვათ, რომ თითებს ილოკავდეთ.
- ანტონიო. რა კრიტიკია! რაც რამ კარგია, ალბათ გადამალა, ჩვენ კი ლობიოთი უნდა გამოგვბეროს.
- სალომე. (სალომე მიართმევს ლობიოსა და პურს) თქვენმა გახარებამ, სხვა არა გამაჩნია-რა.
- პონტიო. მამიდა სალომე, ღვინო!
- სალომე. სადა მაქვს ღვინო!
- ანტონიო. იქ არის ტიკში.
- სალომე. შენ რა იცი?

პონტიო. კახეთიდან ჩამოსულა ერთი ვინმე იორამი...

სალომე. დამიდგეს თვალები, გაუცივარ საძაგელს! (წამოდგება, გამოიღებს შკაფიდან პატარა ტიქს, ბოთლსა და ძაბრს) აბა მოდით, უბატრონეთ.

პონტიო და ანტონიო. (მივარდებიან და ასხამენ ღვინოს. მერე ტიქს ინახავენ, განჯინიდან გამოაცოცებენ თითო ნახუქს, მოხარულ ქათამს თითო ბარკალს მოგლეჯენ და პირში იტენენ ნახუქთან ერთად და სხობებიან).

სალომე. ახ, გიყებო, გიყებო!

პონტიო. აბა ანტონიო, შევექცეთ და ჭამის პროცესში დინჯათ და აუჩქარებლათ გავშალოთ საქმის ვითარება.

ანტონიო. რა თქმა უნდა (იტენიან პირში საჭმელს და ღვინოსაც გადაჰკრავენ)

პონტიო. ზრასტი-პრანჩაი! (გადაჰკრავს)

ანტონიო. დობრი-უტრო! (გადაჰკრავს და პონტიოს) შენ იწყებ თუ მე?

პონტიო. შენ, თამრო ჩემო! სანამ არსებით მხარეს შევეხებოდეთ, ნება მოგვეცი გაგაცნოთ შენი მეტოქის ქმარი, ვინმე პროფესორი ყიასაშვილი, განთქმული თავისი საარაკო გაფანტულობით.

თამრო. ეს მეც გამიგონია—მერე?

ანტონიო. ორი წელია ჩაკეტილა ოთახში, რაღაც იშვიათ სამეცნიერო შრომას გაუტაცნია და ამ ნიადაგზე აღარც ოჯახი აგონდება, არც ჭამა და არც სმა.

პონტიო. იმას ჯერაც არ გაუგია თუ ვინ იყო მისი ცოლის პირველი საყვარელი. მგონი ვერ ამჩნევს სიკოს ჩასახლებასაც. მის შესახებ მთელი ანექლოტები შეუთხზავთ ქალაქში. ამ უთვალავ კურობებიდან მოგი-თხრობთ სანიმუშოდ მხოლოდ ერთს.

ყველანი. აბა, აბა!

ანტონიო. ერთხელ ერთ ნაცნობს სალამოს ჩაიზე დაუპატიენია, მაგრამ შეცდო-მით სხვაგან მისულა, საცა იმ ღამეს ნათლობა ჰქონიათ, სხვებთან ერთად ამ დაუპატიებელ სტუმარსაც უქეიფნია და ნაშუალამევს კარგათ გამომთვრალი წასულა სახლისაკენ, მაგრამ შეცდომით შეჭრილა ერთ ოჯახში, საცა მშობიარე იწვა. იმისი შესვლა და ბავ-შის აჭყვიტინება ერთი იყო თურმე. დაფეთებული უკან გამობრუნებულა, შესულა ერთი ყასბის ბინაზე და მისწოლია განიერ საწოლზე მძინარე ცოლ-ქმარს. დილით სამივეს ერთად გამოჰღვიძებიათ, და როცა გაუგიათ საქმის ვითარება იმდენი უცინიათ, რომ კინალამ გული შეჰლონებიათ. (იცინიან).

სალომე. კარგი გეყოფათ, შეუდექით საქმეს!

პონტიო. ამ წინასიტყვაობის შემდეგ გადავდივარ საქმეზე.

ანტონიო. ერთი სიტყვით, ჩვენ ისინი ვინახულეთ.

პონტიო. ჩინებული ოჯახი ჰქონიათ.

ანტონიო. ევროპიულათ მოწყობილი, კარ-ფანჯრებით, ფარდებით და გერმეტი-ული ფეჩით.

პონტიო. პიანინო, ძვირუფასი სურათები და ავეჯი.

ანტონიო. მზე იქაც ამოდის და ჩადის.

პონტიო. ხან კარგი ამინდია, ხან წვიმა, ხან ქარი.

ანტონიო. დიასახლისი გულკეთილი, სტუმართ-მოყვარე და ლამაზი.

სალომე. იპ, მოჰყვენ თავისებურათ.

პონტიო. მისი თვალების შინაბვა—ბერსაც კი გააგიჟებს.

სალომე. (თავისთვის) ოი, გაგაგიჟოთ ჩემმა გამჩენმა.

ანტონიო. სამჯერ ვიყავით ზედი-ზედ.

პონტიო. მიგვიღეს აუწერელი სიხარულით.

ანტონიო. გვაჭამეს, გვასვეს, მუსიკით გაგვართეს და გამოგვისტუმრეს.

სალომე. რაკი გაჭამეს, თქვენც დადნით, განა!

პონტიო. სატრფოს ოჯახში სიკოს მეორე რომანი დაუწყია:

ანტონიო. ის ქალი საქართველოს კეთილი ანგელოზია.

სალომე. (თავისთვის) ჩხუბის გუნებაზე ვდგები!

პონტიო. (ანტონიოს) რას ამბობს ამის შესახებ ეფრემ ვერდი? ხა-ხა-ხა-ხა!

თამრო. ყოჩაღ, ძმათ ნაფიცნო, სჩანს ბევრი გიმუშავნიათ ჩემთვის!

ორივენი. რაც შეგვეძლო, რაც შეგვეძლო!

სალომე. მოციქულნიც ასეთები უნდა.

პონტიო. ნათქვამია: მოციქულს ოცი იქსიო.

ანტონიო. გამომგზავნელს ოცდა ექვსიო.

პონტიო. სიკოს სატრფო მეტათ განვითარებული ქალი ყოფილა, ემანსიპაციისა და თავისუფალი სიყვარულის უკიდურესი მოტრფიალე.

თამრო. თქვენ ეს შითხარით, რა გაარიგეთ?

პონტიო. ჯერ-ჯერობით ვერაფერი.

სალომე. (იფეთქებს) მოდი ეხლა და ნუ გასკდები გულზე. აკი ვაჟიაო?

პონტიო. ვაჟი მერე იქნება.

ანტონიო. ისეთი აღგზნებით უყვართ ერთმანეთი, რომ ხელის შეშლა უპატივ-ბელი ცოდვა იქნებოდა.

პონტიო. თამარ ჩემო, თუმც საქმე ესეა, მაგრამ საბოლოო გამარჯვება მაინც შენია.

თამრო. როგორ?

პონტიო. აღრე იქნება თუ გვიან, ვნების აღში ისიც დაიწვის.

ანტონიო. უკვე იწვის.

პონტიო. (სიმღერით) იწვის შქერი, იწვის შქერი.

ანტონიო. (სიმღერითვე) და წაიღებს მას ნამქერი, მას ნამქერი.

სალომე. ოი, წაგიღონ შენ ეშმაკებმა და ქაჯებმა.

პონტიო. ისეა საქმე, რომ მალე ალბათ სულ გამოიწრიტება.

ანტონიო. სწორეთ მაშინ აიკრავს ბარგს და მოგაშურებს შენ, ვით უკანასკნელ და საიმედო ნავთსაყუდარს.

პონტიო. მოგაშურებს, რათა სული თავისი შენს გულმკერდზე განუტეოს.

სალომე. კარგია, გეყოფათ!



პონტიო. ესე იგი, რაც უნდა იხტუნოს, მის კუბოს მაინც ამ ოჯახიდან გაიტანენ.

ხალომე. გასკდა გული სწორეთ.

თამრო. განა ეს დამიბრუნებს სულის სიმშვიდეს, ესაა განა ჩემი გულის წადილი?

პონტიო. ესაა თუ ისაა, ასე კია და...

თამრო. კარგი, ნებსომება. რაკი თქვენ განიმეტეთ და ჩემი მწუხარებები ასე აიტრიზიავეთ, ვისურვებ რომ თქვენც მენახოთ ამ დღეში.

ხალომე. უარესში, უარესში.

ანტონიო. ერთი სიტყვით, არ წაუგია.

თამრო. სისწორით გადაეცით ჩემი სიტყვები?

ორივენი. გადაეცით, გადაეცით.

თამრო. მერე?

ანტონიო. „გადაჭრილი პასუხი როგორ მივსცე, როცა თამროც ძვირფასია ჩემთვის“-ო.

პონტიო. „ჩემი სრული ბედნიერებისათვის ერთიც საჭიროა და მეორეცაო“. „ყველამ უნდა შემიწყოს ხელი, ყველამ უნდა შემსახუროთო.

ანტონიო: „ვინაიდან მე ვარ მეფე, როგორც შემომქმედი, მეფე როგორც შეყვარებული“-ო.

თამრო. არ ხუმრობთ, მართლა ასე სთქვა?

ანტონიო. ძმობას გეფიცებით.

თამრო. გარყვნილი მამაკაცი!

პონტიო. ამის შესახებ ეფრემ ვერდისაც უწერია პირველ ტომში, რომ „ამა და ამ წელს ქართველთ ცნობილი რომანისტი სიკო მარუაშვილი წაართმევს რა ცოლს, პროფესორ ყიასაშვილს, თავის თავს მეფეთ გამოაცხადებს და ოცნებით შექმნილ ტახტზე ავა“-ო.

ხალომე. ეს არის თქვენი ვაჟი?

პონტიო. ვაჟი უთუოდ მოვა, მხოლოდ ის იქნება მეორე.

ანტონიო. რომელიც ჩამქრალ კერას კვლავ ააგუზგუზებს.

ხალომე. (ხელებს ასავსავენს).

თამრო. დაანებე, დედა თავი!

ანტონიო. (წამოდგება) ეს არის და ეს. რაკი ჩვენი ვალი თამროს წინაშე მოხდილია, შეგვიძლიან წავიდეთ.

პონტიო. (წამოდგება) წავიდეთ, წავიდეთ!

ხალომე. თუ შეტი არაფერია, თქვენი წასვლა და აღარ მოსვლა. (თამროს) მოგიკვდეს დედა, მოგიკვდეს.

ანტონიო. წავიდეთ, წავიდეთ. მაღლიანი დრო თავის დროზე ყველაფერს მოაშუშებს. (თამროს) ნახვამდის თამრო! ჩვენ ხშირათ გნახავთ. მაგრათ იყავი, არ გნახოს მტერმა ძაბუნათ! ამჟამათ მივეშურებით ერთი ლამაზი ქვრივისკენ, საცა ვახშამზე ის ახირებული პროფესორიცაა მიპატიებული. (გადიან)

- თამრო. (წამოდგება) პონტიო, პონტიო! (შედგება) მაგრამ არა, მეც რასა ვბო-
დავ. (ჩაეშვება საფარძელში)
- სალომე. არ დამლუპო შვილო, სულით არ დაეცე!
- თამრო. არა დედა, არაფერია, მალე გაივლის.
- სალომე. ჩემო გოგონავ, ნუ მიეცევი დარღსა და ვარამს. ჯერ კიდევ ახალგა-
ზრდას, ლამაზსა და ნასწავლს, ვინ იცის რამდენად უმეცრეა ქვეყნის
კიდევ.
- თამრო. (გადაეხვევა დედას) როგორ დაგტანჯე დედიკო, როგორ დაგტანჯე!
- სალომე. ოი, დაიტაჯონ ისინი, ვინც ამ დღეში ჩაგაგდეს. (მოეხვევა) ჩემი ნუ
გეფიქრება, ოლონდ შენა მყვავდე კარგათ და ჩემი თავი შენი ქი-
რის სანაცვლო იყოს.
- თამრო. აბა ეხლა ცოტას მივწვევი, მერე კი შეუდგები საქმეს. (შედის ოთახში
სალომე მაგიდიდან ალაგებს ყველაფერს და ინახავს ბუფეტში. თეფ-
შები და ბოთლები გააქვს სამზარეულოში. როცა ბრუნდება დაირე-
კება ხარი).
- სალომე. ნეტა ვინ არის? (მიდის კარის გასაღებად და წუთის შენდევ შემოუ-
ძღვება პროფესორ ედიშერ ყიასაშვილს)
- ედიშერ. აქა მშვიდობა! შინა ბრძანდება თქვენი კუდრაქა, ალქაჯი, აჯილდა?
- სალომე. (განზე) ვინ ოხერია?! (იმას) უკაცრავათ, ასეთი არავინა მყავს. ჩემი
შვილი საკმაოდ მორცხვი და თავდაჭერილი ქალია.
- ედიშერ. ხა, ხა, ხა, ხა! ეს ალბათ ფასონისათვის, თორემ ისე თავზე გვახტება
ყველას, მიჩვენეთ, მიჩვენეთ ჩქარა პირის გამტეხი! „ოლონდ მეწვიეთ
და მეც დაგიხვდებით სიმღერა-ცეკვით, ბუკითა და ნალარითაო“.
- სალომე. ღმერთო ჩემო! ეს რეები მესმის! (შეაღებს ოთახის კარებს) შვილო!
გამოდი, სტუმარია.
- ედიშერ. მოახსენეთ ერთი ვინმე შეყვარებული გეწვია თქო. (ხარხარებს). ვიყავი
ჩემთვის, ვმუშაობდი წყნარად, მოვიდა და ამაფორიაქა.
- სალომე. დიდი ხანია, იცნობთ?
- ედიშერ. კაი ხნის ამბავია პირველათ გავიცანი ამ ორი წლის წინათ, მერე რაკი
ბაქოში გადასახლდნენ, დროებით დავემორღით ერთმანეთს. (ცალ
ფებს სკამის ზურგზე გადაჰკიდებს)
- სალომე. (თავისთვის) რეებს მიჰქარავს, რის ბაქო, რა ბაქო! (იმას) შენ კი
გაიხარე! რაკი ასეა, ალბათ გეცოდინებათ თუ რა უბედურება შე-
გვემთხვა.
- ედიშერ. როგორ არა, ბატონო, როგორ არა! იმ სამწუხარო ამბავმა ჩვენ ყვე-
ლანი დაგვალონა.
- სალომე. ქმარსაც ხომ კარგათ იცნობდით?
- ედიშერ. რა თქმა უნდა. რა თქმა უნდა. მეტად მსუქანი და ლორმუცელა რომ
არ ყოფილიყო, ეხლაც ცოცხალი იქნებოდა საწყალი.
- სალომე. (მხრებს აიჩეჩავს და თავისთვის) რეებს მიედ-მოედება.
- ედიშერ. გამოცვლილხართ თქვენც, ქ-ნო ქეთევან.

- სალომე. (განზე) კიდევ აურია. (მას) სალომე და არა ქეთევან.
- ედიშერ. ნუ თუ მართლა, ოჰ რა გულმაფიწყი ვარ, რა გულმაფიწყი! ჰო, იმას მოგახსენებდით, გამოცვლილხართ მეთქი. წინეთ სიძესავეთ მსუქანი იყავით, ცხვირიც სხვანაირი გქონდათ, ეხლა კი გამზდარხართ. მგონი შვიდ ფუთს იწონიდით, არა?
- სალომე. (განზე) აი გეცეს შენ შვიდი ქაჯი. (მას) რასა ბრძანებდა შატოლო, მე და სიძე მსუქანი არასოდეს არა ვყოფილვართ. ბიზ-ლიქი-სიქა
- ედიშერ. კარგია ერთი, ნუ ახირდებით! თქვენი და სიძის სიმსუქნე მთელ საქართველოში იყო ცნობილი.
- სალომე. (თავისთვის) ამ ოხერმა ლამის ჭიჭინაზე გამხეთქოს.
- ედიშერ. მეტად კეთილი კაცი იყო.
- სალომე. კეთილი იყო, მაგრამ ბოლოს აიღო და სულ ჩავვაშხამა.
- ედიშერ. რას იზამთ, ბატონო, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ.
- სალომე. (თავისთვის) ამ კაცისა ვერა გამიგია-რა. რა შუაშია აქ სიკვდილი!? (მას) ამ ცოტა ხანში ხომ არ გინახავთ?
- ედიშერ. ვინა, ბატონო?
- სალომე. ჩემი სიძე.
- ედიშერ. სიძე?
- სალომე. დიახ, სიძე.
- ედიშერ. (თავისთვის) საბრალო, მგონი შექანებულია. (მას) უკაცრავათ და, ეხლა კი ანერია გზა-კვალი.
- სალომე. რითა, როგორ?
- ედიშერ. ქალბატონო, ის ხომ ამ ორი წლის წინეთ მიიცივალა.
- სალომე. ხა-ხა-ხა! შენ კი გაიხარე, ოხუნჯობ ისე, რომ არც კი იცინი.
- ედიშერ. როგორ თუ ვოხუნჯობ?
- სალომე. ბატონო, ის ცოცხალია და სხვას აეკიდა.
- ედიშერ. (თავისთვის) „მკვდარი ცოცხალს აეკიდაო“—ეს არის სწორედ. ქ-ნო ორში ერთი: ან თქვენ მელაპარაკებით საიქიოდან ან მე.
- სალომე. (თავისთვის) ღმერთო, ამას ვის გადავეკიდე?
- ედიშერ. მაშ ის ცოცხალია?
- სალომე. დიახ, ცოცხალია.
- ედიშერ. მოდი ეხლა და ენდე ადამიანს.
- სალომე. როცა კაცი გახდა და სახელიც მოიხვეჭა, აიღო და მიგვატოვა.
- ედიშერ. (გაოცებული) სახელი მოიხვეჭა?
- სალომე. დიახ.
- ედიშერ. რითი, ბატონო, რითი მოიხვეჭა სახელი?
- სალომე. რითა და პოეტობით.
- ედიშერ. (სიცილი წასკდება) ვაი ამ დღეს!
- სალომე. ვერ გამიგია, რა არის აქ სასაცილო!
- ედიშერ. ქალბატონო, ისეთ რამეებს მეუბნებით, რომ სიცილი კი არა, ლამის გონება დავკარგო.

სალომე. მიზეზი, ბატონო, მიზეზი?

ედიშერ. რომელი ერთი ჩამოგითვალთ: ქეთევანი იყავით—სალომე ვარო გაი-
დახით, ვაჭარი სიძე, რომელიც მკვდარი მეგონა, ცოცხალი ყოფილა
და მერე ამ უნიჭო კაცს ისე აუგდია თავი, რომ პოვეტი განხდარა და
სანაქებო ცოლიც კი მიუტოვებია.

თამრო. (გამოდის ისევ საგარეო ტანისამოსში, ედიშერის შიშვენიერად შეკრ-
თება) ახ!

ედიშერ. ნუ გეშინიათ ქ-ნო, ნუ გეშინიათ!

სალომე. (ედიშერს) ესეც ჩემი ქალი.

ედიშერ. (დაბნევით) თქვენი ქალი? ეს ალბათ მეორეა. ორ დას შუა ასეთი გან-
სხვავება? ის ისეთი კისკისა, თავქარიანი, ეს კი დინჯი და სერიო-
ზული.

სალომე. არა, სხვა შვილი არა მყავს, ამ ერთს შეეხარი.

ედიშერ. (ხან თამროს, ხან სალომეს უცქერის) ახირებულა, ღმერთმანი, გამო-
დის რომ... (უეცრივ თამროს) ქალბატონო, თქვენ მაინც მითხარით,
სად ვიმყოფები, ან თქვენ ვინა ხართ?

თამრო. იმყოფებით უცხო ოჯახში.

ედიშერ. მაშ თქვენ არა ხართ და ფეფიკო ხრუტუნაშვილისა, მაშ ის არ არის
ამ ოჯახის წევრი?

თამრო. სრულებითაც არა.

სალომე. დამიდგეს თვალები, დანიდგეს თვალები!

ედიშერ. მაშ ვინა ბრძანდებით?

თამრო. თამარ მარუაშვილისა.

ედიშერ. მარუაშვილისა?

თამრო. დიახ.

ედიშერ. სიკოს მოგვარე?

თამრო. ცოლი მისი.

ედიშერ. (შეკრთება) ღმერთო ჩემო!

თამრო. როგორც ყოველთვის, დღესაც...

ედიშერ. ვაი სირცხვილო, ვაი თავის მოჭრაე?

თამრო. არაფერია, ბატონო, პირიქით სიხარული გვმართებს, რომ ამ გაფანტუ-
ლობის წყალობით დღეს ჩვენ ღარიბ ოჯახში ფეხი შემოსდგა ქართ-
ველთა დიდებამ. (დედას) დედა, გაიცანი ჩვენი ცნობილი მეცნიერი
ედიშერ ყიასაშვილი.

სალომე. ოი, ეს რა გაიგონეს ჩემმა ყურებმა, რა გაიგონეს!

ედიშერ. (სალომეს თავს უკრავს და გულკეთილად ხარხარებს) ეხლა ხომ გეს-
მით, თუ რისთვის ვლაპარაკობდით სხვადასხვა ენაზე?

თამარ. (სალომეს) დედა, მცირე ხნით მარტანი დაგვტოვე!

სალომე. (გადის მეორე ოთახში, გასვლისას ხელებს გაასავესავეს) ატა-ტა-
ტა-ტა!

თამრო. პროფესორო! სანამ საქმეზე გადავიდოდეთ, ნებას მივცემ ჩემს თავს შეგნიშნოთ, რომ ყოვლათ დაუშვებელია სინამდვილიდან ასეთი წარმოდგენელი განვარდნა. როგორც გადმომცეს, თქვენი ვულმაფიწობის შესახებ მთელი ანეგდოტები შეუთხზავთ ქალაქში.

ელიშერ. შენიშენისათვის დიდი მადლობა, მივიღებ ყოველივეს მხედველობაში და ვეცდები მომავალში ავიცდინო ასეთი მარცხი, ჩემთვის დაგარწმუნებთ, რომ ასეთი კურიოზები მეწარმეობა მხოლოდ ქვეყნის პროცესში.

თამრო. (იციინის) დაბრძანდით თქვენი ჭირივე, დაბრძანდით!

ელიშერ. (ჯდება და პაპიროსს მოსწევს).

თამრო. ბატონო ელიშერ, ნება მომეცით ვისარგებლო თქვენი აქ ყოფნით.

ელიშერ. ინებეთ, ინებეთ, გეთაყვა!

თამრო. პროფესორო, მინდა მოგელაპარაკოთ.

ელიშერ. ყურადღებათ ვარ გადაქცეული, მიბრძანეთ და მიმსახურეთ.

თამრო. ჩემი სიტყვა იქნება მოკლე და სხარტი.

ელიშერ. პოქალუისტა, პოქალუისტა!

თამრო. უნდა ნიშველოთ.

ელიშერ. რაში?

თამრო. თქვენმა ცოლმა წამართვა ქმარი.

ელიშერ. თქვენმა ქმარმა წამართვა ცოლი, რა განსხვავებაა?! ხა-ხა-ხა-ხა!

თამრო. გამოსავალი?

ელიშერ. არავითარი.

თამრო. როგორ თუ არავითარი?

ელიშერ. მე ასე ვფიქრობ, და თუ თქვენ მასწავლით, ძალიან მადლობელი დავგრძებით.

თამრო. სხვა არაფერი!

ელიშერ. აბა როგორ! მეოცე საუკუნეში, ორი განათლებული ადამიანი სრულის ნებაყოფლობით ურთერთს უკავშირდება, ურთერთს აბედნიერებს, გეკითხებით, ვის აქვს უფლება ხელი შეუშალოს?

თამრო. გავგონილა ასეთი პასიუობა?

ელიშერ. ქალბატონო, ნუ გამოვიწვევთ ქვენა გრძნობებს და ველურ ინსტინქტებს.

თამრო. მაშ რა გზას დავადგე?

ელიშერ. მოიკრიფეთ ძალ-ლონე და...

თამრო. (ანთებული შეაწყვეტინებს) დიახ, მოვიკრეფ, რათა ამოვსწვა ორივეს თვალები გახურებული შანთით.

ელიშერ. უპ, ეს რა მესმის, ეს რა მესმის!

თამრო. ჩააგონეთ, სანამ დიდი მარცხა არ მომხდარა, დამიბრუნოს ჩემი ქმარი, დამიბრუნოს!

ელიშერ. როცა დამშვიდდებით, ამ სიტყვების თქვენვე შეგრცხვებათ. (თვალს თვალში გაუყრის).

თამრო. (თვალს მოარიდებს) მაშ არავითარი იმედი?

ედისერ. ქალბატონო თამარ, მგონი ჩვენ ოდესღაც ვიცნობდით ერთმანეთს?!

თამრო. (ოდნავ შეკრთება) რაც იყო, იყო. წავიდა. გაფრინდა.

ედისერ. თუ არა ვსცდები, ჩვენს შორის რაღაც ინასკეებოდა კიდეც, მაგრამ...

თამრო. ღირს კი მაგაზე ლაპარაკი?

ედისერ. და დღეს მოულოდნელად შევხვდით ერთმანეთს, ერთმანეთს მყოფნი, ერთნაირათ შეურაცყოფილნი.

თამრო. ბატონო ედისერ, მაგ სიტყვებით თქვენ შიორკეცებით უბედურებას.

ედისერ. არა, ფიქრადაც არ მომსვლია. კარგი, რაკი ეს თქვენი მრავალმეტყველი, მწუხარებით სავსე გიშრის თვალები ასე დაეინებით მთხოვენ დახმარებას, ვეცდები საქმის გამოსწორებას და თუ დავმარცხდი, მაგრამ მოიცათ, ევრიკა! (თამროს) გაიხარეთ, კიდევ არის ერთი ფრიად საიმედო გამოსავალი.

თამრო. (მუდარებით) ღვთის გულისათვის!

ედისერ. დიდებულია, დიდებულია!

თამრო. რაშია საქმე?

ედისერ. უკაცრავათ, ამაზე მეტე. ეხლა კი ნება მომეცით მომავალი შრომის კომპენსაციათ გამოვითხოვო თქვენგან ერთი ქიქა ჩაი. (ხარხარებს და ხელზე ეამბორობა).

თამრო. ეხლავ, ბატონო, ეხლავ. დედა, დედა!

სალომე. (გამოდის).

თამრო. აბა ჩაი სტუმარს! (მოუბრუნდება ედისერს, რომელიც პაპიროსს უკიდებს; წამით იმათი თვალები ერთმანეთს შეხვდებიან, ქალი შეკრთება, ისევ თავს შეიკავენ და ედისერს უჩვენებს მაგიდისაკენ) გთხოვთ!

ედისერ. (თავს დაუკრავს და სალომეს დანახვაზე კვლავ წასქდება სიცილი).

იორამი. (შემოდის).

თამრო. (ედისერს) ჩემი ბიძაშვილი—აგრონომი იორამ გარსიაშვილი. (იორამს ედისერზე) ჩვენი ცნობილი პროფესორი ედისერ ყიასაშვილი.

იორამი. ახ, რა იშვიათი შეხვედრაა! (ხელს ართმევს მაგრად).

ფარდა.

მესამე მოქმედება

დეკორაცია პირველი მოქმედებისა.



ვერიკო. (შემოდის ზალაში საგარეოთ გამოწყობილი. საწერ მაგიდას უზის სიკო და სწერს) ოჰო, ჩემი კაცი ისევ მუშაობს.

სიკო. (თავს აიღებს) ახ, უკვე დაბრუნდი?! ჰო, შენი წასვლის შემდეგ თავი არ ამიღია.

ვერიკო. ვაშა! სჩანს მუზებს შეუტყბიათ ჩვენი ახალი ოჯახი.

სიკო. ალბათ, ალბათ.

ვერიკო. როგორ მიდის საქმე?

სიკო. ჩინებულათ.

ვერიკო. უზომოთ მიხარიან.

სიკო. სიცოცხლის წყაროვ, შენ ჰერ ქვეშ ეს მეორე რომანი იქმნება.

ვერიკო. (ჩაპკოცნის) აი ჯილდოც, აი ჯილდოც!

სიკო. ეხლა მგეყოფა, დავიღალე. მცირე ხნით დაე მუზებმაც წასთვლიმონ.

ვერიკო. დაისვენე გენაცვალე. დაისვენე. მალე ყავას მოგართმევე, ხოლო ჯერ კი ტანისამოსს გამოვიცვლი. (შედის ოთახში).

სიკო. (ჩაჯდება საქანებელში და პაპიროსსაც მოსწევს).

ვერიკო. (საშინაოთ გადაცმული გამოდის და ჯდება სავარძელში) აბა ერთი მეც მომაწევიანე!

სიკო. (უთავაზებს).

ვერიკო. სხვა, როგორ მოგწონს ედიშერის ასეთი აწყვეტა?

სიკო. აიწყვეტა და ისე ძლიერ, რომ მისი წესიერ კალაპოტში ჩაყენება ეხლა, მგონი თვით ფეფიკოსაც გაუძნელდეს.

ვერიკო. გამოგიტყდები, მე ის ასეთი, ჩვენი შეუღლების პირველ დღეებშიაც არ მინახავს.

სიკო. იცის ქვრივმა და!..

ვერიკო. მეტად ყოჩაღია შეჩვენებული.

სიკო. ორ თვეში ასეთი გარდაქმნა. ეს ყველა კარგი, მაგრამ ეს ბზიკი რაღა კირათ აეკიდა?

ვერიკო. არაფერია. ისე, იოლი ფლირტით თავს ირთობს.

სიკო. ფლირტი კი არა, მთელი რომანია, განა ვერ ამჩნევ თუ როგორი თანდათანობით იხრება მისკენ ქვრივი!

ვერიკო. შენ ფეფიკოს ვერ იცნობ და მიტომ გგონია ასე.

სიკო. (უეცრივ კედელს მიაშტერდება)

ვერიკო. რას უცქერი ასე გაშტერებით?

სიკო. ისევ იმ სურათს.

ვერიკო. რა ნიშანში ამოიღე, ხომ არ გიშლის?

სიკო. რომ არ მიშლიდეს არც გეტყოდი.

ვერიკო. მაშ ჩამოვიღო?

სიკო. ჩამოიღე და სულ მოსპე.

ვერიკო. შენ თითქოს ნაგვიანევით ექვიანობ. გიმეორებ მე ის კაცი ოდესღაც
ნიყვარდა და რომ ეცოცხლა, დღეს იმისი ვიქნებოდდი და არა შენი.

სიკო. სულზე უტკბესო, მაპატიე თუ ვამლაშებ. მერწმუნე, ამ ახირების მიზეზი
ჩემი შენდამი იმ ქვეყნიური სიყვარულია.

ვერიკო. კარგი, როცა მეც ასე მიყვარხარ, სხვა გზა არაა, უნდა დავღწიო.

სიკო. დამითმე, დამითმე, იცოდე არ წააგებ.

ვერიკო. (წამოდგება) აბა, მე ეხლა წავალ და ოჯახს მივხელავ, ხოლო ჯერ კი
ყავას მოვართმევ.

სიკო. ყავა არ მინდა. მე აგერ ჩვენს პატარა ბაღში გავალ ყვავილებთან საბაა-
სოდ. სამი დღეა ერთმანეთი არ გვინახავს.

ვერიკო. კარგი, აგრე იყო.

სიკო და ვერიკო. (გადიან).

პონტიო. (რომელსაც შემოჰყვება ფეფიკო, შემოილაპარაკებს) დიახ, ოდესღაც ეს
იყო ჩემი სტიქია. ერთხელ ძველი რეჟიმის დროს, ერთ ისეთ უზარ-
ნაზარ გენერალს გადავახტი ნუშტაიდის ბაღში, რომ თქვენი მოწო-
ნებული, და რომ იმის რისხვა ანეცდინა, მოვკურცხლე რაც ძალი და
ლონე მქონდა. მიხვილის ქუჩაზე გადავახტი ათიოდე ატლემს და ერთ
როტა ჯარისკაცს. აღტაცებულმა ქუჩამ ოვაციები განიშართა. ამით
წაქეზებულმა ზედიზედ გადავახტი რამდენიმე გრუზოვიკს, გაქანებულ
კარეტას, რომელშიაც თურმე ეგზარხოსი იჯდა და ის იყო ამოვიღე
ნიშანში ტელეგრაფის ბოძი, რომ უეცრივ გამომეღვიძა.

ფეფიკო. (კისკისებს) როგორ, ეს იყო სიზმარი?

პონტიო. დიახ, ყოველივე რაც გენერლის შემდეგ შემემთხვა იყო ნხოლოდ სი-
ზმარი.

ფეფიკო. (კისკისებს)

პონტიო. რა ამბავია, ლამის სიცილად იქოეთ!

ფეფიკო. რა ვქნა თუ კი თქვენ მაცინებთ?!

პონტიო. ოღონდ ჩემი გახდით და ამ სიკეთეს არ მოგაკლებთ. ახ, ძვირფასო, ფე-
ფიკო, ვერ წარმოიდგენთ ამ შეუღლებით როგორ გავახარებთ ჩვენებს
და ნამეტნავად კი დედაჩემს. მოგივლით ისე, რომ ცივ ნიავსაც არ
მოგაკარებთ.

ფეფიკო. კარგი ერთი, ასე მალე როგორ იქნება!

პონტიო. არ იქნება და მშვიდობით! (აიღებს სასწრაფოთ ქუდს და მიდის კა-
რებისკენ გაბუტული).

ფეფიკო. მოითმინეთ, მართლა მიდიხართ?

პონტიო. (შედგება კარებთან) არა, მე, ისე ფასონი გავაკეთე, თორემ გიჟი ვარ
წავიდე?!

ფეფიკო. კარგია, გეყოფათ, ოდესმე ხომ უნდა ილაპარაკოთ სერიოზულათ.

პონტიო. რა ვქნა, თუ ქალებთან სერიოზულობა არ ხერხდება!

ფეფიკო. უკაცრავად.

- პონტიო. გინახავთ სადმე დიაცი, რომელსაც უყვარდეს გაზეთის კითხვა, პოლიტიკა, კრიტიკა, პუბლიცისტიკა, ფილოსოფია და მათემატიკა?
- ფეფიკო. ქალთა მოძულე ყოფილხართ, რა სირცხვილია!
- პონტიო. ქალების მეგობარი მაშინ გაფხდები, როცა ფეფიკოს შოფერს ქალებს დაუტოვებ.
- ფეფიკო. ოო, ამას დამსახურება უნდა.
- პონტიო. თქვენ ისევ თავიდან მაწყებინებთ, მიკვირს, რატომ უყვარხართ ქალებს ჩვენი ასე უღვთოთ წვალება! მე ჯანი გამვარდნილი მაგარი მსუბუქი ვარ, ავიტან, მაგრამ რას ერჩით ედიშერს?
- ფეფიკო. არ მესმის რას ამბობთ!
- პონტიო. განა ვერა ვხედავ თუ ვისი წყალობით აღიტიინდა ასე ძლიერ ჩვენი მეცნიერი?
- ფეფიკო. ხა-ხა-ხა, აი თურმე საქმე რაში ყოფილა!
- პონტიო, აკმარეთ ტანჯვა, ერთი მართალი და უწყინარი კაცია, ებრუკებით იმას, გუნებაში კი მე გყუევართ, რა საკადრისია.
- ფეფიკო. ამ იმედით დამიბერდით.
- პონტიო. იწამეთ ღმერთი და დაიჯერეთ, რომ ის სრეყარულისა და ოჯახური ცხოვრებისათვის მკვდარია. მისი ცხოვრების ქვა-კუთხედი იყო, არის და იქნება მხოლოდ მეცნიერება, და თუ ეხლა ასე გამოიცივალა— მიტომ, რომ მოათავა შრომა.
- ფეფიკო. ერთი სიტყვით თქვენს იქით გზა არა მაქვს, არა?!
- პონტიო. ერთის გარდა საცა კი იყო სულ ქვეებით ამოვქოლე.
- ფეფიკო. იცით, ამ საქმეში რა მაყოყმანებს?
- პონტიო. რა?
- ფეფიკო. ისა, რომ თქვენ ხართ მწერალი-მეოცნებე, უარყოფელი წმინდა სიყვარულისა და ოჯახისა. მე კი უალრესათ პრაქტიკული ქალი ვარ და ოჯახის დიდი მოტრფიალე.
- პონტიო. ეგ კიდევ უკეთესი. ვიქნებით ურთ-ერთის დამატება. განა არ იცით თუ ორი წინააღმდეგობისაგან რა წარმოსდგება? თქვენ ჰკვიანი—მე უკულო, თქვენ მძიმე, მე—მჩატე, თქვენ თეთრი, მე—ჟანგის ფერი, თქვენ ვარდი, მე—ეკალი, თქვენ ოჯახი, მე—ქუჩა. თქვენ ეკლესია, მე ზაქსი, თქვენ ფაშისტი, მე სოციალისტი. არა, თუ სხვა წუნს არა მდებთ დანარჩენს მოვიინელებ.
- ფეფიკო. საბუთი ამისი?
- პონტიო. თქვენ მგონი მომჭირნე ხალხი გიყვართ, არა?
- ფეფიკო. მერე, თქვენ რა?
- პონტიო. მომჭირნე და კრიჟანგი ვარ ისეთი, რომ სიპი ქვიდან ზეთს ვადენ ხოლმე.
- ფეფიკო. ანგარიში იცით?
- პონტიო. განა მარტო ანგარიში?!
- ფეფიკო. კიდევ რა?



- პონტიო. რომელი ერთი ჩამოვთვალა, ოღონდ გეთაყვანე, ძველ ტანისამოსს ნუ გამაყიდინებთ და აბანოში მექისეთ ნუ გამამწესებთ. მოდის?!
- ფეფიკო. (იციანის) ვნახათ, ვიფიქროთ.
- პონტიო. კიდევ ნახვა, კიდევ ფიქრი!
- ფეფიკო. აბა ისე, როგორ იქნება!
- პონტიო. თუ დღეს მეტყვით რაიმე გადაჭრილს, ხომ კარგია? — ვერა და — მშვიდობით! მე, ქართველი „ონეგინი“ განა მუდამ ვაჩქარებ ვერ-თვის გუნებაზე?! (უეცრივ) ნართლა, ვინ ოხერი იყო გუშინ პროს-პექტზე რომ გვარშიყებოდათ?
- ფეფიკო. დაინახეთ?
- პონტიო. ვინ იყო მეთქი?
- ფეფიკო. ვიცი, გეწყინებათ, მაგრამ მაინც გეტყვით.
- პონტიო. მე უკვე მეწყინა, მერე?
- ფეფიკო. ღმერთო, რა ექვიანი ყოფილა! ის იყო ერთი მეტოქეთაგანი.
- პონტიო. ვინ არის, რა გვარია?
- ფეფიკო, ბეითალი ბოლოკიძე.
- პონტიო. (გაეციანება) ბეითალი და ისიც ბოლოკიძე?!
- ფეფიკო. ნუ დასცინით, ნიჭიერი ბაქტერიოლოგია.
- პონტიო. დიახ ვიცი, ლუი პასტერი რომ გაახუნა. ვინ იცის რამდენჯერ გაღუ-ნაბეთ თვალები.
- ფეფიკო. მოწყალეო ხელმწიფევ, ეს თვალები ჩემია და ვისაც მინდა იმას გა-ღუნაბავ.
- პონტიო. (ვნებით) ოოჰ, შენი ქირიმე, შენი! (შეეხება)
- ფეფიკო. (ოდნავ შეჰკივლებს).
- მაშო. ვუი!
- პონტიო. ვუი შენ და ბატის კვერცხი! მაშოჯან, თქვენები სად არიან?
- მაშო. ვერიკო სამხარეულოშია, სიკო კი ბალში.
- პონტიო. მაშ, მეც იქ წავალ (გადის).
- ფეფიკო. (მაშოს) ედიშერი სად არის, მაშო?
- მაშო. სძინავს.
- ფეფიკო. ამ დრომდე ძილი?
- მაშო. დღეს მამლის ყივილისას დაბრუნდა და მკვდარივით ჩაეძინა. დამიბარა, როცა ფეფიკო მობრძანდეს გამაღვიძეო, თუ გნებავთ...
- ფეფიკო. ჯერ არა. იძინოს.
- მაშო. აბა ქვრივო, ერთხელ კიდევ შენებურათ, და საქმეც გაიჩარხება. (ხით-ხითებს).
- ფეფიკო. რას ამბობ, მაშო?
- მაშო. (ხითხითებს) თავს ნუ იკატუნებ, განა ვერა ვხედავ როგორ აუძგერე გული ჩვენს ბატონს. მასე, მასე შემოგვევლოს მაშო, ვინძლო გააბედ-ნიერო, თორემ მაგის ცოდვით ვიწვი და ვიდაგები. მის ნაოხარზე სხვამ ბინა გაიჩინა და ეს კი დარჩა ხახა გამშრალი.

ფეფიკო. განა შენ მართლა ამჩნევ რასმე?

მაშო. ქალო, ბრმა ხომ არა ვარ, მას შემდეგ რაც შენ აქ ფეხი შემოდგი, კაცი სულ ერთიან გამოიცივალა, კობტაობა დაიწყო, თმა და წვერ-ულვაში გაილაშაზა. როცა არა გხედავს ერთ ალაგას ვერ ესვენებს, სულ საათს დასცქერის, შემოირბენს თითო წუთად, დაეფსე გაიჭრება გარეთ და იქედან ისეთი ბედნიერი ბუნდულები, სრულ რაღა გითხრა (ხითხითებს). პრაფესორის ცოლი გახდები დედაკაცო, პრაფეცორისა.

ფეფიკო. (იციინის) ღმერთო ჩემო, ვინ მოელოდა, ვინ მოელოდა!

მაშო. (უეცრივ ყურებს აცქვეტს) მგონი ქალბატონი მეძახის. (გადის და კარებში ვერიკოს შეეფეთება).

ვერიკო. ჩხირი კედელს, ძლივს არ მოვაგონდით! სად დაიკარგე ქალო, ასე უნდა მიჯნურის მოძულება! ან იქნებ ამას ტაქტიკური მოსახრებით ჩადიხარ?

ფეფიკო. მოიცა ქა, რა სეტყვასავით მომყარე საყვედურები. არ მეცალა, აი მი'ხეზი.

ვერიკო. როდის მოხველი.

ფეფიკო. აგერ ესლა, პონტიოსთან ერთად და ვნახეთ ოჯახი მიტოვებული. არსაიდან ხმა, არსით ძახილი, ყველა კარები ღია, ვაშა დიასახლისო!

ვერიკო. როგორ, შემოსასვლელი კარები მართლა ღია იყო?

ფეფიკო. სრულიად.

ვერიკო. ღმერთო ჩემო, ეს რა მომსვლია, პონტიო სადღაა?

ფეფიკო. სიკოსთან, ბაღში. მიჯნურთან მოვედი და იმას კი ნაქეიფარზე თურმე სძინავს.

ვერიკო. ჰო, წუხელ მეცნიერთა წრეში ვახშამზე ყოფილა მიპატიუებული.

ფეფიკო. როგორ არის?

ვერიკო. ნულარა მკითხავ. შენ ენით გამოუთქმელი სასწაული მოახდინე ჩემო ფეფიკო, ენით გამოუთქმელი.

ფეფიკო. აკი გეუბნებოდი, ჩემთან ხუმრობა არ გამოადგება მეტქი. იცი, მე უნდა გაგიმჟღავნო ერთი პატარა საიდუმლო.

ვერიკო. რა საიდუმლო?

ფეფიკო. შენი დაბადების დღეს ის გვიმზადებს ორივეს რაღაც დიდ საჩუქარს.

ვერიკო. მე უკეთესს გეტყვი—გუშინ მომაჩეჩა გაყრის ბარათი, სამაგიერო ჩემგან წაიღო.

ფეფიკო. ბიჭოს, ბიჭოს!

ვერიკო. ერთი სიტყვით, რაღაც სასიხარულოს ვუახლოვდებით.

ფეფიკო. „ვერ მოვისვენებ სანამ ხრუტუნაშვილს სხვა გვარი არ შესცვლისო“.

ვერიკო. ჰო და, გიშველა ღმერთმა, ამით ყველაფერი უთქვამს.

ელიშერ. (აღფრთოვანებული შემოცქრილდება) ბონჟურ, ბონჟურ. მომზიბლაო ფეფიკო, ძლივს არ გაგვინათეთ! (ხელზე ემთხვევა).

ვერიკო. (გადის).

ელიშერ. სადა ხართ ამდენ ხანს, განა შეიძლება ასეთი სისასტიკე? განა არ იცით, რომ თქვენი ხშირათ ნახვა მოთხოვნილებათ გადაწყვეტა?

ფეფიკო. ნება მომეცით არ დაგიჯეროთ.

ელიშერ. უკომენტარიოთ. მე მინდა ყოველ წუთს ვსტკებობდე თქვენი ალერ-
სით და ვიწოდებ თქვენის ცეცხლით.

ფეფიკო. ღმერთო ჩემო, რამდენი ქათინაური!

ელიშერ. შენი გულისა, რა ლამაზია! (ტიტველ მკლავებზე მიუთითებს) რომ იცოდეთ როგორ მაგიყებენ ეს ოდნავ მზისგან შერუჯული ტიტველა მკლავები, ფუნჩულა ლოყები, ეს მწველი, ეშხით სავსე თვალები, ვისი ხარ, დიაცო, ვის ელი, ვის უმზადებ ბედნიერებას? (შეეხება მკლავებს).

ფეფიკო. (შეკრთება და უკან დაიხევს) მეტი სიღინჯე, პროფესორო, მეტი სიღინჯე!

პონტიო. (სწორეთ იმ დროს გაჩნდება კარებში) ახ, პარდონ!

ელიშერ. (მიიხედავს ნისკენ და ფეფიკოს) ისიც აქ არის?!

ფეფიკო. დიახ, საცა ჩვენ ისიც აქ.

პონტიო. სალამი პროფესორს!

ელიშერ. Merci! Merci! ყმაწვილო კაცო, მანდ რათა დგებართ. შინ შემობრძანდით!

პონტიო. თუ არ დაგიშლით, მე ავერ ალბომს გადავათვალიერებ.

ელიშერ. ინებეთ. (ფეფიკოს) რა ყორანივით მომჩხავის წყეული!

ფეფიკო. ვინა, პონტიო?

ელიშერ. ისეა ატეხილი, რომ მე მაგ პონტიოს ოდესმე პანტის ხეზე ჩამოვკიდებ.

ფეფიკო. (იცინის) ახ კაკოი ონ ხაროში!

ელიშერ. ვინ ხაროში, მე თუ ის?

ფეფიკო. ამ შემთხვევაში თქვენ.

ელიშერ. მაშ არის კიდევ შემთხვევა, როცა ისიც ხაროშია?

ფეფიკო. არის.

ელიშერ. გაგონებაც არა მსურს, გადაჭრით გეკითხებით, მე თუ ის?

ფეფიკო. ორივენი.

ელიშერ. მაშ დაიღვრება უმანკო სისხლი.

ფეფიკო. ახ, კაკოი ონ ხაროში!

ელიშერ. ხაროში და ხაროში! (პონტიოს) ყმაწვილო კაცო, ცოტა წინ წამოიწიეთ!

პონტიო. (მივა მასთან) მიბრძანეთ!

ელიშერ. ბრძანებით რა გამოვა და, თხოვნით კი ვთხოვთ, სანამ დიდი მარცხი არ მომხდარა ჩამომეცალეთ ასპარეზიდან.

პონტიო. არ შემიძლიან. ეს ცხოვრება ჭიდილია, ვინც მოერევა—ქვეყანაც იმისია.

- ელიშერ. პოო?!
- პონტიო. დიახ! ერთი ობოლი ბიჭი ვარ, საარშიყოთ (გამოსული, თუ გული გერჩით გამოდით, აი ბურთი, აი მოედანიც!
- ელიშერ. (იკარნახებს) რაკი ასეა, ბიჭი ხარ და წინ დამიდგები!
- პონტიო. უკაცრავათ, დუელი—ნერე. (უბრუნდება ალბომს).
- ფეფიკო. (იციინის).
- ელიშერ. (ფეფიკოს პონტიოზე) რა წვერ-ძაღლია! რა წვერ-ძაღლია! (საათს დახედავს).
- ფეფიკო. რა ხშირათ იხედებით საათში, სულ ერთია. არსად გაგიშვებთ.
- ელიშერ. ისე, მცირე ხნით მინდა გავიდე.
- ფეფიკო. ვერსადაც ვერ გახვალთ.
- ელიშერ. არ შეიძლება, სამეცნიერო წრეში საქმე მაქვს.
- ფეფიკო. მე ვსთქვი და გავათავე.
- ელიშერ. ფეფიკო, გენაცვალე, უხერხულია.
- ფეფიკო. უკაცრავათ! თქვენთვის „გენაცვალე“ არა ვარ.
- ვერიკო. (შემოდის და შედის სასაღილოში. ისევ მალე გამოდის).
- სახლის პატრონი. (გამოჩნდება კარებში) გამარჯობათ, ეერა ოთაროვნა!
- ვერიკო. გაგიმარჯოთ, გაგიმარჯოთ ხახარ სტეპანიჩ, მობრძანდით!
- ვერიკო. (შეხედავს რა იმას, გაოცებული წამოდგება და პირ მობრუნებული ნელა იციინის).
- სახლის პატრონი. გმაღლობთ, დრო არა მაქვს.
- ვერიკო. რით შემოძლიან გემსახუროთ?
- სახლის პატრონი. დღეს საღამოს 8 საათზე, ვადიანოი კამისიის ზასედანია არის და მობრძანდით.
- ვერიკო. ძალიან კარგი, გეახლებით, (ფეფიკოს) მე ნუ მეხუმრები, წყლის კომისიის წევრი—მდივანი ვარ.
- სახ. პატრონი. ნახვამდის (გადის).
- ფეფიკო. ღმერთო ჩემო, რანოტელა კაცია.
- პონტიო. ნეტა რამდენს იწონის.
- ვერიკო. 17 ფუთს.
- ფეფიკო. ოი რა კოშმარია.
- პონტიო. მოუკლავთ საწყალი შინშილით. მოუკლავთ.
- ვერიკო. (გადის. დაირეკება ზარი).
- მაშო. (მიდის და შემოუძღვება ანტონიოს გაფშეკილ და ულამაზო ცოლს, რომელსაც ნიკაპზე მოზრდილი ხალი აქვს, მარცხენა ლოყაზე კი თანდაყოლილი წითელი დაღი. აცვია სადათ და სასაცილოთ).
- მაშოს ხმა. გეუბნებით, აქ არ არის შეთქი.
- მარიამის ხმა. ამასაც ვნახავთ.
- მაშო. იპ, რა ჯიუტი ყოფილა!
- ელიშერ. რა ამბავია, მაშო!
- მარიამი. მიჩვენეთ ის ლაჩარი, ის ქალაჩუნა, მიჩვენეთ, რათა ციებ-ცხელება შევ-

ყარო. (შემოდის) როგორ, ისიც კომუნისტი გამიხდა, ხუთ-ხუთი ცოლი რომ შემოიღეს? იგი ყველა ჯურის სოციალისტებო, ჩვენი ასე არევისათვის გაწყდეს თქვენი სინსილა, გაწყდეს. (შენიშნავს პონტიოს) ა-ა-ა თქვენც აქა ბრძანებულხართ ბატონო ბზიკო!

პონტიო. ქალბატონო მარიამ, გონს მოდით, რა გემართებათ!

მარიამი. რა მომიყვანს გონს ამდენ ეულიკებში, რა მომიყვანს!

ედიშერ. ვინა ბრძანდებით, ქალბატონო?

მარიამი. უკაცრავათ, მასპინძლო, შემოგეტყვირით ოჯახში და ავაყენე კორიან-ტელი.

ედიშერ. ეგ არაფერი.

მარიამი. მე ვახლავართ რეპორტიორ ანტონიო ხრიკის ცოლი, მარიამი.

ედიშერ. ანტონიოს ცოლი, ჩვენი ანტონიოსი? სალამი თქვენდა. ქალბატონო მარიამ! (თავს უკრავს)

მარიამი. (ისიც თავს უკრავს)

ედიშერ. დაბრძანდით!

მარიამი. გმადლობთ, მე ეხლავე გიანლებით, ხოლო გემუდარებით, თუ აქ არის განოიხმეთ.

ედიშერ. ამ უამათ არა, მაგრამ ისე კი—ვით ამ ოჯახის ახლათ შეძენილი მეგობარი, პატივცემულ პონტიოსთან ერთად ხშირათ მოგვინახულებს ხოლმე. ამიერიდან თქვენცა გთხოვთ შემოიაროთ. დაბრძანდით გეთაყვა და მიაშბეთ, რაშია საწმე.

მარიამი. ათი შვილის დედას მლაღატობს, ვილაც პარტნიხაზე გამცვალა. ამ ნიადაგზე სრულიად შევიშალე, დაგკარგე გონება, შევეტყრები უდანაშაულო ადამიანებს და ვარ ერთ ამბავში.

ედიშერ. კარგი, ამის შესახებ ჩვენ იმას მოველაპარაკებთ, ხოლო გირჩევთ ამ კორებს ნაკლები ყურადღება მიაქციოთ, თორემ ამნაირი გააფთრებულ ექვებით შეიძლება ნართლა ჩაადენინოთ ის, რაზედაც სულ არ ფიქრობდეს საწყალი კაცი.

მარიამი. იგი, გეთაყვანე, ნუ აფუჩებთ, კარგათ ვიცი ვინცა ბრძანდება.

ედიშერ. დაგარწმუნებთ, ასე ემჯობინება, თორემ თუ ჯიბრზე მიღვა საქმე, პარტნიხას შეიძლება მივბას პოვარიხა, პოღარიხას—კუპჩიხა, კუპჩიხას—სლესარიხა და სხვა ათასი.

მარიამი. კეთილო ადამიანებო, დამეხმარეთ დავიბრუნო ჩემი საუნჯე, ჩემი გვირგვინი ანტონიო. ის ჩემია სულით ხორცამდე. ჩემთან უნდა დაიმარხოს, მე შენაბერდეს. ასე სწერია კაცისა და ღმერთის კანონში.

ყველანი. (იციინიან)

ედიშერ. ქალბატონო მარიამ, როგორ გეკადრებათ თანამედროვე ინტელიგენტ ქალს ასეთი მსჯელობა. ესთქვით მოვიდა თქვენთან ვინმე ვატი.

მარიამი. უკაცრავათ, ჩემთან ვერავინაც ვერ მოვა.

ედიშერ. არა, სიტყვაზე, თორემ თქვენთან რომ საარშიყოთ არავინ მოვა, ეს მეც ვიცი.

მარიამი. ვითომ რატომ!?

პონტიო. მიტომ, ჩემო დაო, რომ ვერა ხართ კარგი საჭვრეტი.

ელიშერ. პონტიო, პონტიო!

მარიამი. შხამიანო ბზიკო, იკბინებით, მაგრამ თუ ქალი ვარ თქვენთვისაც მოვიცილი.

ვერიკო. (მარიამის დანახვაზე შესდგება)

ელიშერ. (მარიამს) ესეც ჩვენი დიასახლისი. (ვერიკოს) ვერეკო, როგორც ვინ გვეწვია, ვინ გვეწვია. გაიცანი ჩვენი ანტონიოს მეუღლე, პატივცემული მარიამი.

ვერიკო. მართლა? (ხელს ჩამოართმევს მოწიწებით)

მარიამი. ეხლა დროა მეც გაგეცალოთ, მგონი საკმაოთ მოგაძულეთ თავი.

ელიშერ. რასა ბრძანებთ, რასა ბრძანებთ.

ვერიკო. რა გეჩქარებათ ბატონო, დარჩით კიდევ! ან მოსვლა რა იყო, ან წასვლა რაა?!

მარიამი. სხვა დროს, შენი ჭირიშე, სხვა დროს. (ელიშერს) თუ რამ შეგცოდეთ, მაპატიეთ! (მიდის, ელიშერი გააცილებს)

პონტიო. (ფეფიკოს და ვერიკოს) კაცი, რომელმაც ასეთი ქაჯი ასე მალე მოარჯულა—სასწაულთმომკმედია სწორედ. აბა, გაიხედეთ ქუჩაში, რა ამბებია. იმის დანახვაზე все лошади пугаются, извозчики ругаются.

ელიშერ. (მობრუნდება) დიდ არს ალლაჰ, დიდ არს ალლაჰ!

პონტიო. (პაპიროს მოსწევს და ელიშერსაც უთავაზებს)

ელიშერ. უნდა გითხრა, ჩემო პონტიო, რომ ბატონ ხრიკს მეტად ხრიკიანი ცოლი ჰყოლია: (ამათ ლაპარაკში ქალები შევლენ ვერიკოს ოთახში, ელიშერი საათს დახედავს) ახ, როგორ დავიგვიანე, როგორ დავიგვიანე! მივდივარ. ძვირფას ფეფოს კი შენ გაბარებ, ჩემო პონტიო, მიუჩინე მას თავი თვისი თანამხლებელათ და როცა გიბრძანოს, სახლამდინაც მიაცილე და იქვე გაქვავდი!

პონტიო. მესმის—სიტყვა თქვენი კანონია ჩემთვის.

ელიშერ. აგრე!

პონტიო. თქვენი მარშრუტი?

ელიშერ. სამეცნიერო წრეში.

პონტიო. (იციინის)

ელიშერ. რას იცინი სატანა?

პონტიო. პროფესორო, გეყოფათ კომედიის თამაში, მე ყველაფერი ვიცი.

ელიშერ. (გაოცებული) რა იცი, კაცო?

პონტიო. ისა, რომ საგანი თქვენი ტრფობისა სულ სხვაა—ფეფიკოს კი თვალის ასახვევათ ეკუნტრუშებით.

ელიშერ. ვინ არის?

პონტიო. ვინც არის—ჩვენ ორივემ ვიცით.

ელიშერ. შეჩვენდი ბელზებელო, შეჩვენდი!

პონტიო. ვინ მოიფიქრებდა თუ ასეთი ქვეშ-ქვეშა იყავით? (იციინიან)

ელიშერ. რაკი გცოდნია ჩემი საიდუმლო, გთხოვ რამოდენიმე დღე კვლავ ჩვენ

შორის დარჩეს. რაც შეეხება შენს რომანს ფეფიკოსთან, რა თქმა უნდა იგი შენი გამარჯვებით დასრულდება. ნამდვილათ ვიცი, იმას მოსწონხარ, მით უმეტეს რომ ქმარი ენატრება და შენისთანა შეეტრუხა ბიჭი ზიარება იქნება მისთვის, მოდის? (ხელს გაუწვდის)

პონტიო: მე და თქვენ ამ დღიდან მოკავშირენი ვართ. თუ გეყვარება, მოკვდეს პონტიო.

ედიშერ. მაშ მე წავედი. (მიდის და კარებში სიკოს შეეფეთება)

სიკო. (პონტიოს) მაშ მოგვარტყა რუსული ატკაზი? კარგი, ვნახოთ ვინც მოიგებს.

პონტიო. გეხუმრე, ნუ მოგეკიდა ცეცხლი. საქმეს კეთილი ბოლო უჩანს.

სიკო. საბუთი?

პონტიო. საცაა მოვა იორამ ვარსიაშვილი და ის დაგისაბუთებს.

სიკო. იორამი ისევ ჩამოსულა?

პონტიო. ჰო. (დაირეკება ზარი) ალბათ ისაა. (თვითონ გაუღებს კარს და შე-
მოუძღვება)

სიკო. ამას ვისა ვხედავ, იორამ!

იორამი. (თავდაქერილი ღიმილით) სალამი, სალამი, განდგომილ სიძეს! (ხელს ართმევენ ერთმანეთს)

სიკო. ვერ წარმოიდგენ როგორ გამახარე შენი მოსვლით. (უჩვენებს სკამზე)
ოთურ!

იორამი. არ შემიძლიან, მეჩქარება. თანროს დავალებით მომირთმევია გაყრის ფირმანი და ჯვრისწერის ბეჭედი. (გადასცემს)

სიკო. ვინ იცის, გუნებაში კიდევ მიჯავრდები, მაგრამ მერწმუნე, სხვა გზა არ იყო.

იორამი. ეგ არაფერი, ცხოვრების საქმეა.

პონტიო. „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო“ ნათქვამია.

იორამი. ჭეშმარიტათ, ჭეშმარიტათ! (გაუწოდებს ხელს) აბა ეხლა ნახვამდის!

სიკო (ართმევენ ხელს) იმედია ეს გარემოება ჩვენს მეგობრობას ჩრდილს არ მია-
ყენებს.

იორამი. არა, არა. (პონტიოს) არ მოდიხარ?

პონტიო. ჯერ არა.

იორამი. (გადის, სიკო გააცილებს)

სიკო. მითხარ პონტიო, ძალიან დარდობს?

პონტიო. პირიქით, თალხი კაბა გაუხდია, ყელიც მოუღერებია, ვილაც ფრანტი
შესჩვევია, გულიც გაუხარებია.

სიკო. იქნება მართლა?!

პონტიო. ვიხუმრე, თორემ ვინ ის და ვინ ასეთი გაბედული ნაბიჯი.

ფეფიკო. (შემოცქრილდება) ბატონო პროფესორო, ბატონო პროფესორო! სად არის?

სიკო. (შედის საჩქაროთ ვერიკოსთან) ვერიკო, ვერიკო?

პონტიო. პროფესორმა თავი დაგიკრათ, ხოლო თქვენი თავი მე ჩამაბარა. (ნელა
ხარხარებს)

ფარდა.

მოქმედება მეოთხე.

იგივე სცენა. სალამო უამია. ვაზებში აწყვია ოთხი თაიგული და სამიოდე ლამაზი კოლოფი შოკოლადისა. ფარდის ახდისას შემოდის მაშო.

ვერიკო. (იმავე დროს ისიც გამოდის თავის ოთახიდან სადღესასწაულოდ გამოწყობილი) როგორაა საქმე, მორჩი? ბიზლიჩიშვილი

მაშო. დიახ, ჩაისთვის ყველაფერი მზადაა.

ვერიკო. ყველაფერი?

მაშო. ყველაფერი.

ვერიკო. აი ყოჩაღ, ჩემო მაშო. ღვინო ხომ მოიტანე?

მაშო. მოვიტანე და ჩავასხი კიდევ ბოთლებში.

ვერიკო. რა იშვიათი თადარიგის დედაკაცი ხარ! შენ რომ გათხოვილიყავ, ვიცა, ქმარს ცივ ქვაზე დაასახლებდი. (შეიხედავს სასადილოში და უეცრივ) მაშო! ეს ტორტი საიდან გაჩნდა აქ?

მაშო. სახლის პატრონმა მოგართვათ.

ვერიკო. ღმერთო ჩემო, ვინ ისა და ვინ ტორტი! თითონ იყო?

მაშო. არა, ბიჭმა მოიტანა—ჩაიზე შემოივლისო.

ვერიკო. (იცინის).

მაშო. მოვა და თვითონვე შესჭამს.

ვერიკო. მაშო, აბა ეგ რა საკადრისია.

მაშო. რა ძალიან გაიკვირვე, განა არ იცი, თუ ხელი მიპყო, იმის მუცელს ოცი ტორტიც ვერ გაავსებს.

ვერიკო. (იცინის) შენ იმას მას შემდეგ ემტერები, როცა ნასვამმა ლოყაზე ხელი მოგიცაცუნა.

მაშო. ოი, მოაჭამოს იმას ტურამ ლოყაცა და ცხვირიც. მაშ როცა მეტყვით სუფრას ხეივანში გავშლი.

ვერიკო. უთუოდ.

სიკო. (შემოდის. აცვია სადა ევროპიული ტანისამოსი).

მაშო. (გადის).

ვერიკო. (სიკოს) ძლივს.

სიკო. დავიგვიანე განა?

ვერიკო. დავიგვიანე და ეგრე?

სიკო. სხვა გზა არ იყო, ჩემო კარგო, დიდი რიგი იყო და, უნდა ვითხრა, ლოდინით გული გამიწყალდა. (უჩვენებს თმაზე და წვერ-ულვაშზე) მოგწონს?

ვერიკო. როგორც ყოველთვის.

სიკო. როგორი ბიჭი ვარ, ჰა!?

ვერიკო. უკეთესი არ შეიძლება.

სიკო. თუ შენც დამეთანხმები, სიბერე მაინცა და მაინც არ მეტყობა.

ვერიკო. აბა რას ამბობ სიკო, ცხოვრებას ეხლა ვიწყობთ.

სიკო. ვილუბები, მგონი იწვის შქერი.

ვერიკო. არ დაიწვის, კიდევ დადხანს იგუზგუზებს.

სიკო. იმედიც კარგი საქონელია.

ვერიკო. რომც ასეც იყოს, მე შენ მაინც არ გიღალატებ; საუკუნოთ შეგეწებე, საუკუნოთ.

სიკო. იწვის შქერი, იწვის შქერი.

ვერიკო. ნუ მალიხიანებ. არ დაიწვის, გეუბნები, სიკვდილამდე უკუბრუნებს.

სიკო. შენ მართალი ხარ, ჩემო ყველავე. ჩვენ შორის უკვე გაიბა სულის მთრთოლვარე ძაფი და გამოსცემს იგი იმ სანეტარო ბგერას, რომელიც ჩვენი სხეულის სახსრებში გაიკვივლებს უცხო მელოდით და შეგვიქმნის ბედნიერების იშვიათ სიმფონიას.

ვერიკო. რომ იცოდე სიხარულო, როგორა მზიბლავს შენი პათოსი, როგორა მზიბლავს (მზურვალე კოცნა)

სიკო. მაშ, სულო ჩემო, ხვალიდან ჩვენ კანონიერი ცოლ-ქმარი ვიქნებით.

ვერიკო. ვერ წარმოიდგენ სიკო, როგორი მოუთმენლობით მოველი ამ ბედნიერი წუთის მოახლოვებას.

სიკო. შეგეშინდა ქორებისა, განა?

ვერიკო. როცა გეტერა მიწოდეს, ვერ დაგიფარავ, მართლაც შემეშინდა.

სიკო. ესეც შენი თავისუფალი სიყვარული და ზესაზოგადებრიობა. სჩანს ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს.

ვერიკო. ყოველ შემთხვევაში თავისუფალი სიყვარული...

სიკო. (გააწყვეტინებს) ჯერ-ჯერობით იდეალია. (შეიხედავს სასადილოში).

ვერიკო. წარმოიდგინე, სიკო, სახლის პატრონმა ტორტი მომართვა.

სიკო. (სიცილი წასქდებათ) ხომ არ გეარშიყება ოჯახქორი?

ვერიკო. კარგი, ნუ დაიწყე შენებურათ.

სიკო. ედიშერი სად არის?

ვერიკო. ეგერაა ბაღში. გამოწყობილ-გამოპრანჭული სტუმრებს ართობს.

სიკო. ყველანი მოვიდნენ?

ვერიკო. თითქმის.

სიკო. ინჟინერი ხარაბუზაც?

ვერიკო. ისიც ცოლითა და შვილით.

სიკო. მაშ ტანისამოსს გამოვიცვლი და მეც მათთან წავალ (შეღას ოთახში).

ვერიკო. მე მანდ ყველაფერი მომიმზადე.

სიკოს ხმა. კარგი. კარგი.

ფეფიკო. (შემოდის ბაღიდან).

ვერიკო. დიდი ამბები გქონდათ. ვინ გაცინებდათ ასე ძლიერ?

ფეფიკო. შენი ყოფილი ქმარი. გაშალა ფრთები და თავისი მოხდენილი ანექლოტებით სიცილით დაგვბოცა.

ვერიკო. ჰო, მისი ტემპი დღეს უფრო აწეულია.

ფეფიკო. ახ, ნულარა მკითხავ. აუწერელი ექსტაზი, განა წარმოვიდგენდი, რომ ესეთი მძიმე კაცი ასე ღრმად შესტოპავდა სიყვარულის მორევში?!

ვერიკო. ასეა თუ ისე დღეს შენ დედოფალი ხარ, მბრძანებელი მისი და სულის მპყრობელი.

ფეფიკო. (ნელა კისკისებს და მოეხვევა) ჩემო კარგო, ჩემო გულკეთილო ვერიკო!

ხიკო. (გამოდის გამოწყობილი ოთახიდან და ფეფიკოს) ა-ა-ა! ამას ვისა ვხედავ (ხელზე ეამბორება).

ფეფიკო. ბ-ნო რომანისტო, დღეს თქვენ, საინტერესო ხარფეიქუნუაი

სიკო. განა მარტო დღეს? მეხსომება (გადის).

ბიზაიქუნუაი

ფეფიკო. (იციინის) ხომ არ ვაწყენინე?

ვერიკო. არა.

ფეფიკო. მაშ, დადგა ეამი როცა ერთხელ კიდევ უნდა მომიტანო მსხვერპლი, ერთხელ კიდევ გამოიჩინო მაქსიმუმი სულგრძელობისა.

ვერიკო. მაგით რა გინდა სთქვა?

ფეფიკო. განა ვერა ხედავ როგორ იწვის, როგორა დელაეს? თვალებიც რაზომ უელვარებენ, სახესაც რა ბედნიერების შარავანდედი უმშვენებს, რილაცის თქმა უნდა ჩემთვის და ვერ ბედავს.

ვერიკო. ჰო, ვხედავ რომ ფლირტი დიდ რომანათ იქცა, რომ შენ მაცლი ნიადაგს—ცხოვრების საფუძველს.

ფეფიკო. ახ ვერიკო, რამდენი საფუძველი გინდა კიდევ.

ვერიკო. ვიხუმრე, რა ცეცხლი მოგეკიდა, მაინც რას ითხოვ ჩემგან?

ფეფიკო. როგორმე შენებური ეშმაკობით გააძხნე და წააქეზე უკანასკნელი ნაბიჯისაკენ.

ვერიკო. ძალიან კარგი, რაკი ითქვა ანი — უნდა ითქვას ბანიც. მეორე პრეტენდენტს რაღა პასუხს გასცენ?

ფეფიკო. იპ, თვალებიც კი გამოსტყლეთია, მომაძულა თავი.

ვერიკო. რატომ, პონტიოც ჩინებულნი ქმარი იქნებოდა.

ფეფიკო. რა ექნა, თუნდ ასეც იყოს! მე ხომ მთელ ქვეყანას ცოლად ვერ გავყვები. (უეცრივ) ღმერთო, რა დიდი მომენტის, რა იშვიათ განცდათა მორეეში გადაინსროლა ბედმა!

ვერიკო. ფეფიკო, იმას რომ ეხლა მთელ ქვეყანას ურჩევნიხარ უდავოა, მაგრამ ვაი თუ შენ ცივ და ნაკლებად ნგრძნობიარე ბუნებაში ვერა ჰპოვოს შესაფერი გამოძახილი.

ფეფიკო. არ ვიცი რა გიპასუხო. ვატყობ თითქო მეც რაღაც მემართება.

ვერიკო. თუ არ ესცდები, პონტიო შეიჭრა შენს არსებაში.

ფეფიკო. ჰო, ეგეც უკია, გამოგიტყდები, რომ ეხლა ჩვენს შორის ედიშერი არ იყოს, შეიძლება იმას გავყოლოდი. მაგრამ არაფერია. რომ ჯვარს მაცვან კიდევ, ედიშერს იმედს მაინც არ გაუტრუებ. რაც შეეხება სიყვარულს, ის ალბათ მოვა ცხოვრების პროცესში.

ვერიკო. აი საქმე რაში ყოფილა!

ფეფიკო. ახ, ვერიკო, რას მალაპარაკებ. მე ის ნომწონს როგორც მამაკაცი. დასაწყისისათვის ესეც კმარა. (შემოდინ ბალიდან შუა კარებით ედი-

შერი, პოლინა ნიკოლაევნა, პაწია ირაკლი, ქმარი მისი ინჟინერი ხარაბუზა და სხვა სტუმრები).

ელიშერ. (ფეფიკოს) ქალბატონო ფეფიკო, მე შინდა საფუძვლიანად გაგაცნობ პოლინა ნიკოლაევნა, ეს ის ძვირფასი რუსის ქალია, რომელიც მოგვევლინა ქართველი დედის როლში და ვინ იცის რამდენი გადაშენებული მოპარუსკე კუდაბზიკა გაახუნა.

სიკო. სამუხეუმო ქალია, სამუხეუმო.

ელიშერ. (პატარა ირაკლის) აბა ირაკლი, ერთი ლექსი შეგვაწიე თუ ძმა ხარ. ვნახოთ რუსმა დედამ როგორი ქართული შეგასწავლა.

ირაკლი. (დედას შეხედავს).

პოლინა. სთქვი: „მე პატარა ქართველი ვარ“.

ირაკლი. (იტყვის).

ყველანი. ვაშა, ვაშა, ვაშა!

ელიშერ. კარგი და პატიოსანი. მაგრამ სად არიან ამდენ ხანს ჩვენი მეგობრები პონტიო და ანტონიო?

ვერიკო. ალბათ არ დააყოვნებენ და თან მოიტანენ სიცოცხლეს და მზიარულეებს.

პონტიო. (შემოდის დიასახლის თაიგულს მიართმევს და ხელზე ეამბორება. მერე ფეფიკოს და პოლინას, სხვებს თავს უკრავს).

(შემოდებიან ანტონიო ცოლით და 10 შვილით).

ყველანი. ა-ა-ა, ვინც მოვიდა გაუმარჯოს, გაუმარჯოს.

ანტონიო. სალამი მეგობრებს, სალამი! (ვერიკოს ხელზე ეამბორება).

მარიამი. (ეხლაც სასაცილოთაა ჩაცმული. გადაჰკოცნის ვერიკოს და მიართმევს თაიგულს).

ბავშვები. (ჩამწკრივდებიან ხელზე ჩაშვებულნი ერთ მხარეზე).

ანტონიო. (გაიწვდის ხელს ცოლ-შვილისაკენ) ჩემი ავლადიდება—კურდღელს აეკიდება.

ელიშერ. არა ძმაო, თავს ნუ იკატუნებ, ეგ შენი-ავლადიდება კურდღელს კი არა, აქლემსაც სულს გააფრთხობინებს. (მიუბრუნდება სტუმრებს), ბატონებო, ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ ჩვენი დამსახურებული მუშკორ-რეპორტიორი ანტონიო ხრიკი, მეუღლე მისი პატივცემული მარიამ ხრიკისა.

ვერიკო. (ანტონიოს) ამხანაგო ანტონიო და თქვენც, ქალბატონო მარიამ, მობრძანებისთვის მიიღეთ ჩემი დიდი მადლობა.

სიკო. დაბრძანდით, ბატონებო, დაბრძანდით!

ელიშერ. ჩინებული ცოლ-შვილი გყოლიათ ანტონიო, ჩინებული.

ანტონიო. რაც არის, არის, ერის წინაშე ჩემი ვალი მოხდილია. „გიყვარდეთ ვნებით, ქალი ლამაზი, დაუზოგავათ ამრავლეთ ხალხიო“. და აი, აგერ, ლამაზი ცოლი და დაუზოგავათ გამრავლებული ხალხიც.

მარიამი. (მუჯლუგუნს წაჰკრავს ანტონიოს) კარგი, გეყოფა!

ელიშერ. (მარიამს) ვაშა, ვაშა ქართულ დედას! (ანტონიოს) და თუ კიდევ არ დაგიშლია აქეთ-იქით ცუნცული, იცოდე ჩემთან გექნება საქმე.

ანტონიო. ხატი, რჯული!

მარიამი. რომ ფიცულობს კიდევ!

ანტონიო. მოქალაქენო, სინდის ქვეშა სთქვით, ვინ წაართმევს ამას ჩემს თავს, ვის რათ უნდა ჩემისთანა კუზიანი, ბრუტიანი, ქაჩაჩი სანაშაბიანი.

ყველანი. (იცინიან).

ვერიკო. ამხანაგო ანტონიო, სანამ ჩაის მოგართმევდეთ, გაიყვანეთ თქვენი ქუციები ჩვენს პატარა ბაღში, გაერთობიან.

ანტონიო. (შვილებს) აბა ამხანაგო შეილებო! ჯერ უნდერეთ მანიდა ვერიკოს ქართული მარში, შერე კი, როგორც დაგარიგეთ...

ბავშვები. (შეასრულებენ მარშს მშობლების დახმარებით).

ყველანი. ვაშა, ვაშა!

ანტონიო. (შვილებს) ეხლა კი პაიდა სახლში!

ვერიკო. როგორ თუ სახლში?

ანტონიო. დაო ვერიკო, ნუ ამიხირდებით, მერწმუნეთ ასე ემჯობინება. (შვილებს) აბა! (ბავშვები თავს უკრავენ ყველას და გადიან)

ვერიკო. (მიმავალ ბავშვებს) საყვარელნო, რაკი არ იცდით, სხვა გზა არაა, უნდა შეურიგდეთ ბედს, ხოლო თქვენ წილ ტკბილეულობას მამის ხელით გაახლებთ.

სიკო. (პოლინას) ქალბატონო პოლინა, დაგვატკბეთ თქვენი მუსიკით.

პოლინა. სიამოვნებით. (მაგრამ სახლის პატრონის გამოჩენამ შეაჩერა).

სახლის პატრონი. (მოიხლახნება ქლოშინით, თაიგულით, მივა ვერიკოსთან) ვერა ოთაროვნა, მე და ვადიანოი კამისია, გილოცავთ მენენიკს და გისურვებთ მნოლი ლეტას. (ხელზე ეამბორება და თაიგულს გადასცემს).

ვერიკო. მადლობთ ზახარ სტეფანიჩ, დიდათ გმადლობთ! აბა სიკო, გააცანი სტუმრები!

სიკო. (სახლის პატრონზე სტუმრებს) ჩვენი სახლის პატრონი—ზახარ სტეფანიჩ აქანდაზოვი. (სახლის პატრონს სტუმრებზე) ინჟინერი ხარაბუზა, მეუღლე და შვილი მისი, ქალბატონი ხრუტუნაშვილისა, ქალბატონი ხრიკისა, მეუღლე მისი ანტონიო—შიპლიპიტო ხრიკი, მოქალაქე პონტიო დიპლიპიტო ბზიკი, მეგობარი ქიქაშუა, მოქალაქე კრაზანა, და სხვები.

სახლის პატრონი. (ამ გვარებზე თანდათან ეცინება და როცა საქმე პონტიოზე მიდგება აუტყდება თავშეუკავებელი სიცილი) ვერა ოთაროვნა, მოგკვდი, მიშველე!

ვერიკო. რა მოხდა, რა ამბავია?

სახლის პატრონი. გეთაყვა, სად შეაგროვეთ ასეთი გვარები; ეს ხარაბუზიო, ეს ხრუტუნო, ხრიკო, ბზიკო, კრაზანო, და სხვ. (იცინის).

ვერიკო. კარგია, გეყოფათ!

სახლის პატრონი. (უეცრივ შედგება) აი რა გამგონე ვარ. მიბძანეთ და შევედეთქი. (უეცრივ შეამჩნევს ანტონიოს, რომელიც უცქერის მას და რა-

ლაცას წიგნაკში იწერავს. პონტიოს მიმართავს:) ვა, ვა, ვა, რა ძალიან იწერავს, ვინ არის, რა უნდა?

პონტიო. ჩვეულება აქვს აგეთი, ვინც მოეწონება, ყველას წიგნაკში ენიშნავს.

სახლის პატრონი. ვააა! მერე და რა მოეწონა ჩემში?

პონტიო. რა მოგახსენოთ, კაცია და გუნება.

ანტონიო (მიუახლოვდება სახლის პატრონს) ზახარ სტეფანიძე გულდროვანე-ბული ვარ თქვენის ახოვანებით!

სახლის პატრონი. რა ყრია შიგ!

ანტონიო. რასა ბრძანებთ; თუ ყრია—მანდ ყრია და! ნამეტნავათ სამშილობის დროს, ანოდენა ხორცი მთელ მაზრას გააძღობს.

სახლის პატრონი. (იციინის).

პონტიო. ანტონიო, ჩქარა აკუშერკა!..

სახლის პატრონი (უეცრივ შედგება) აკუშერკა? რათ მინდა?

ანტონიო. (პონტიოზე) აფრაკი ვინმეა. წარმოიდგინეთ, მაგას ორსული ჰგონინიხართ. (საერთო სიცილი. ზარი).

მაშო. (მიდის დერეფნით კარების გასაღებათ. ყველანი ყურებს აცქვეტენ).

თამრო. (სადღესასწაულოთ გამოწყობილი. ნეტად საინტერესოთ გამოიყურება, შემოდის იორამისა და ორი სხვა ინტელიგენტის თანხლებით).

სიკო. (შეკრთება და ვერიკოს) ვაიმე, ჩემი ცოლი, ნეტა რა უნდა?!

ვერიკო. მაგრათ იყავი, ვერას წაიღებს.

თამრო. (ყველას თავს უკრავს—ისინიც უპასუხებენ. მერე სიკოს და ვერიკოს) მასპინძელნო, უწინარეს ყოვლისა დიდი ბოდიში, თუ ამ უცაბედი დარბაზობით როგორმე დავარღვიე თქვენი სულის სინშიდე. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ თქვენს სახეებზე ამოვიკითხე რაღაც შემფოთება; ვიჩქარი დაგარწმუნოთ, რომ სამტროთ არ მოვსულვარ.

ვერიკო. თუ ასეა, დაო ჩემო, მშვიდობა მოსვლასა თქვენსა! (თავს უკრავს. თამროც იმითვე უპასუხებს და იორამს) მიაართვი თაიგული (იორამიც ასრულებს).

სიკო. ბატონებო, ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ ჩემი...

ელიშერ. (დაასწრებს) უკაცრავათ, თქვენი კი არა, ჩემი მეუღლე.

ყველანი (და მათ შორის ყველაზე ძლიერ ფეფიკო წამოიძახებს) ააჰ! (და პონტიოს მიეყრდნობა).

მაშო. (ხელებს ასავსავეებს) ა—ტა—ტა—ტა! ტა!

ელიშერ. (სიკოს) არ შეიძლება, ბატონო, ყველანი თქვენი იყვნენ.

სიკო. (დაბნევით) ხა, ხა, ხა, საოცარია ღმერთმანი—ყოველივე ეს სიზმარს ჰგავს! ამიხსენით, როგორ მოხდა ეს?

ელიშერ. თუ კი ჩემი თქვენი გახდა, რა დამიშლიდა იმავე წესით, თქვენი გამხდარიყო ჩემი. ან იქნებ ორივენი გინდოდათ? არა ჩემო ბატონო, ამდენ ცოლს ერთ კაცს სოციალისტურ ხანაშიც ვერ ვარგუნებთ. ჩვენი დაახლოვება დაიწყო იმ მიზნით, რათა აღვედგინა პირვანდელი მდგომარეობა. აქეთ ვეცით, იქით ვეცით და რაკი არა გამოდნარა, ჩვენ, ვით შეეფერებოდა საბჭოთა მოქალაქეებს, გავმართეთ ბჭობა და მი-

ვედით სწორედ ამ დასკვნამდე. ერთი სიტყვით, ამ ხშირმა მისვლა-მოსვლამ და ბჭობამ სიყვარულის ისეთი კოცონი დაანთო, რომ კინალამ დავიწვით, კინალამ შემოგვექამა ერთმანეთი, და რომ ეს ასე არ მომხდარიყო, გუშინ წინ ცოლქმარნი გავხდით ფაქტობრივად, გუშინ კი იურიდიულად და მასთან დაერწმუნდი, რომ სხვისი კოლი მართლაც, რომ დიდებული რამ ყოფილა.

ეროვნული
ზიგლომეტი

მაშო. მეორეთ მოსვლაა, მეორეთ მოსვლა!

ელიშერ. ეს არის და ეს, ეხლა კი სასურველია დასრულდეს ზღაპარი ესე, წაიშალოს წარსული და უსურვოთ ურთი-ერთს ბედნიერება. (თამროს) სულთ ჩემო თამარ, განუშეორებელო და ერთად ერთო! ნება მომეცი გაგაცნო ჩვენი ცნობილი მწერალი რომანისტი სიკო ნარუაშვილი, მეუღლე მისი სიმპატიური ვერიკო მარუაშვილისა (ესენი ერთმანეთს თავს უკრავენ).

სიკო. (ვერიკოს ელიშერზე) ჩვენი დადათ ნიჭიერი პროფესორი ფიზიოლოგი ელიშერ ყიასაშვილი, სიმპატიური მეუღლე მისი თამარ ყიასაშვილისა.

მაშო. (ხელებს ასავსავენს) ა—ტა—ტა—ტა!

ელიშერ. ეხლა კი ნება მოგვეცით მიგატოვოთ, ვინაიდან იქ, ჩვენ ახალ ოჯახში გველის გაშლილი სუფრა და ძვირფას მეგობართა მცირე საზოგადოება. მით უმეტეს ჩვენი ერთად ყოფნა ჯერ-ჯერობით ფსიქოლოგიურათაც შეუძლებელია.

პონტიო. ძვირფასო ელიშერ, რომ მიდინხართ, ჩვენ რას გვიბარებთ!?

ელიშერ. ახ, მეგობარნო, მამატივით, საკუთარმა ბედნიერებამ კინალამ დამაღიწყათქვენი თავი. (მიუბრუნდება სტუმრებს) მოქალაქენო! ბედნიერთა ორ წყვილს უნდა მიემატოს მესამეც: ჩვენს ნიჭიერ მწერალს იუმორისტს პონტიო ბზიკს და შექურა ქვრივს ფეფიკო ხრუტუნაშვილისას გაგიყვებით უყვართ ერთმანეთი — გორკო!

უველანი. გორკო, გორკო! გორკო!

ელიშერ. აბა პონტიო, მე ვათარცა ამ დღესასწაულის ცე რემონმეისტერი, გიბრძანებ მიხვიდე და მაგრათ ჩაიკრა გულში.

პონტიო. კარგი, მაგრამ ვაი თუ ესეც შერთული გყავს.

ელიშერ. არა.

პონტიო. პროფესორო, სული არ წაიწყმიდო!

ელიშერ. არა მეთქი, რამდენჯერ უნდა გითხრა!

ანტონიო (თავის ცოლს) შენ რაღას ცმუკავ, ხომ არ გაგიწყრა ჩემი გამჩენა!

ელიშერ (პონტიოს) მიდი, რაღას უყურებ!

პონტიო. მივალ, მაგრამ რომ ამაღოს?!

ელიშერ. მიდი, თორემ ქალი გიწოდებს ზიპოს. ბატონებო გორკო!

უველანი გორკო, გორკო!

ფეფიკო (გაიქცევა ოთახისკენ).

პონტიო (დაეწევა და მაგრათ ჩაჰკოცნის).

მაშო (ხელებს ასავსავენს) წარღვნა იქნება. წარღვნა!

ელიშერ (გაუყრის მკლავში თამროს და მაყრებთან ერთად გადიან. ვაშა-სიმღერით აცილებენ).



ს ა ლ ი

(რომანი)

(გაგრძელება) *

* * *

სოფელს ეძინა. ლამის დარაჯი თუ გაიხნაურებდა, მას ძაღლების ყუფა მოჰყვებოდა. ნათელი ჭდეულებს მიდგომოდა, ვაკეზე მდინარის სარკვეში პირბადრი მოვარე იღიმებოდა. ბაყაყების მუსიკალურ სალამოს სასურველი ამინდი დადგომოდა. ეშხში მოსულთა ხმიანობა არე-მარეს აყრუებდა.

მუსიკოსთა შედგენილება მრავალრიცხოვანი იყო. ყოველი ჰანგი თავთავის დროს სმაშეწყობით მოისმოდა.

სალი სარკმელთან იდგა, არა სჯეროდა თუ საყვარელ სოფელში მოსულიყო. იმ დროს, როდესაც სოფელს ეძინა, სალი ფხიზლობდა, მთელი დღე მტლით ნასიარულევი იოტის ოდნად დაღალვას არ გრძნობდა.

— ერთი მისაბეფი, პატარა ვაკე, გორაკი და სოსიანთ ჭანდრის წვერიც გამოჩნდება. განუწყვეტელად ფანცქალებდა გზაგზა სალის გული...

— მე კი იმათთან მიუდივარ, მაგრამ ისინი ვითომ კიდევ მიცნობენ?..

საკმაო იყო წამომდგარიყო თავისის სიმკაცრით უკანასკნელი საკითხი, რო ტანში გააზრიალებდა, შემდეგ გახედავდა ისევ საამო სანახავეებით მოტენილ მინდვრებს, გაშლილ გზატკეცილს და გულში უცბათ იმედის ნაპერწკალი გაჰკრავდა, ვინ იცის იქნება ისინიც ასევე თანავრძნობით შეხვედროდნენ, როგორც ეს ბუნება.

ზეაწეული, დაქინებული სურვილები ბავშვის სხეულში დაღალვას აყრუებდნენ, მძლავრი სული წინ იჭრებოდა, სალი სარკმელთან მიეყვანა, ლამობდა ამ ლამის ზეიმშიაც მსურვალე მონაწილეობა მიეღო. იცოდა მალე ბინდი გაქრებოდა, ხალხი აიშლებოდა და ადრე გაღვიძებულ მარიამს ბავშვისთვის რო აქ არ მოესწრო, ლოგინთან მიიპარა, მაგრამ ლოგინიდანაც მიჩერებოდა ოთახის ჭერს, რომელიც მრავალთა წელთა განვლის გამო ნოწითალოდ გამომწვარიყო. თვითვეულ ლურსმანს, პატარას თუ დიდს, სალი გულში უაღერსებდა. ერთი-მეორეზე მომდევარი მოგონებანი წინ უდგებოდნენ. შარშან შემო-

დგომაზე, როდესაც მარიაში, ბაბე და სალი და მათთან კიდევ ორი სხვა ბავშვი ჩურჩხელებისთვის ფელამუშს ადულებდნენ, სალისთვის ხელში მიეცათ ხის დიდი ტოტი, რომ ბუზებისათვის აეჭმია, თათარას არ მიტანებოდნენ. მოგერებაში სოფლის ბავშვებიც ეხმარებოდნენ.

გულგახეთქილი ბუზები გროვდებოდნენ სწორედ იმ ადგილს, სადაც დიდი ლურსმანი ერჭო. მაშინ ეს ლურსმანი სალის მეტად აბრაზებდა, ბუზების მშველელად მიუწვდომელ სიმაღლიდან რად იყურებოდა. თვითონ უწყურებდა გრძობდნენ უვნებელ ადგილზე ყოფნას და თითქო ბავშვს დაცინვით ჩამოაყურებდნენ. სალი მაინც გამეტებით იქნევდა ტოტს. კერიდან ბუზებიც თავალით ზომავდნენ მოხერხებულ ადგილს, საიდანაც შეეძლოთ წინანდელზე უფრო მძლავრი იერიში მიეტანათ მათთვის აკრძალულ საკმელზე. სწორედ ამ დროს მალლიდან მოისმა უსიანოვნო ბზუილი, ერთი მათგანი ობობას ქსელში გაბნულიყო, სხვები კი თითქო ვერც-კი ამჩნევდნენ საფრთხეს, მაინც მძლავრად ეტანებოდნენ ლანგარზე დასხმულ ფაფას, მაგრამ ტოტის წყალობით ისევ აქეთ-იქით ირეკებოდნენ. სალი ეხლაც ხედავდა ჭერში ბლომად ობობას ქსელს და ემუქრებოდა დიდის ცოცხით ხვალვე ჩამოეწინდა.

ბავშვი კვლავ უყურებდა სარკმელს, საიდანაც ცის გაფერმკრთალებული სახე მოჩანდა. გათენებასაც ფეხზე შეხვდა, მაგრამ კიაზოს მაინც აესწრო მისთვის, სოფლის კაცებს ელაპარაკებოდა. სალი წუთს რაღაც უხერხულობამ გააკავა და როგორც-კი კიაზო კაცებით თვალს მიეფარა, მსწრაფლ ჩაიბინა მალალი კიბე, ამაყად თავაღებულმა, მკლავებ-გაშლილმა გაპქროლა ვენახისაკენ, რომელიც იქვე იყო. სიმახინჯე დავიწყებოდა, გული უნღერდა, როდესაც ხედავდა საყვარელ საგნებს. პაწია თითების შეხებით რწმუნდებოდა, რომ სწორედ იქ იყო, რისთვისაც დიდხანს ნაღვლობდა. ცის ლაევარდი დაუსრულებელი, ბუნება უხვი, მრავალ საიდუმლოებით აღსავსე. ბავშვის დამშეული სუსტი სხეული ერთბაშად გრძობდა მის სინოყივრეს, პაერის სიმჩატეს. მიესალმა ყოველ ბუჩქს. ნერგები, ტირიფები წვრილფოთილა ეკლებიანი ფშატები საპასუხოდ შრიალებდნენ. სალისაც მათი ენა ესმოდა, სჯეროდა მათი დაპირებანი. ნერგები აღუთქვამდნენ კალათებისთვის მანულებს, რომ ზედ აიკინძლებოდნენ ყურძნის და სხვა და სხვა ხილის ჯაგნები, ფშატის ხეები თან მუქსა და ჯიბეს ნაყოფით გაუვსებდნენ, თან მრისხანე ეკლებიანის სხეულით ნაგარ ღობედ ვენახს გარს შემოვლებდნენ. ხელის წავლების დროს ასკილმა ისე მწვავედ აკოცა ბავშვს ხელზე, რომ სისხლის ცვარები აღუჩნდნენ. ბავშვი მაინც უღიმოდა, რაკი ახსენდებოდა, ერთხელ თინათინას ვასიკომ მისგან საამო ხმაზე შორაკრაკე სტვირი როგორ გამოსჭრა, მაგრამ სალიმ უცბად თავი ძირს დაიღო, გულმა ძალზე ძვერა დაუწყო.

— ბატონები სკირებია!

— ძალიან გაიკვირვე, თითქო ბატონების ხამი იყვე!

მოისმა ჩურჩული. ბავშვების სიტყვები სალის სიმხნევს მატებდნენ, მაგრამ თავის მალლა აღებას ჯერ მაინც ვერ ბედავდა, სანამ ერთმა მათგანმა ხელი არ წაავლო. სალის ხელი ცივი იყო, თრთოდა.

— შენი მოსვლა წუხელისვე გავიგე, მაგრამ რაკი ლოგინში ვიწეჭი, ზეზე აღგომა დაძეზარა, ეხლა ვენახში მიუდიოდი და რაკი იქიდან შენთან ვაპირებდი წამოსვლას, გოგოებსაც შევატყობინე. წამო ჩვენსა!

ბავშვებმა თავისკენ გასწია სალის კაბის სახელოს, გოგოები პარდაპირ სახეში უყურებდნენ და თითქო ვერც-კი ანჩნევდნენ იმ ცვლილებას, რომელიც აწამებდა სალის. ტოლების ამნაირმა მოქცევამ უცბად გულჩანს მგაღწოგორა მძიმე ლადი, დიდი ხნის დატყვევებულ და შემდეგ განთავინსებულ ჩიტსავეით შემსუბუქებულმა სიხარულით შეიფრთხრიალა.

— მიცნეს!... მაშ, ისევ მიცნეს! — უხმოდ ფანჯალებდა და მეტიხსეუტ კმა-ყოფილებისგან აღტაცებული ბავშვიც დაურცხვენლად უღიმოდა.

გოგოებიც გაბნით, დამწკრივებით კრილოსანივით უთვლიდნენ თავიანთ თავგადასავალს, მას შემდეგ რაც სალი ჩამოშორებოდა, სოფლის ბავშვებს უყვარდათ ისევე, როგორც ანას ისინი, და ამ თანაკრძნობისაგან განთბარი ბადნიერი იყო.

VII

თვითვეულ განათხულსა და შემოდგომაზე სოფელსა და ქალაქის შუა სალის ეტლი მაინც განუწყვეტლად მიმოჰქროდა. წლოვანებასთან ახალახალი შთაბეჭდილება-მოსაზრებანი ბავშვი თანად შობილ ზოგიერთ უტყუარ მიდრეკილებათ დღითიდღე აცხოვლებდნენ. თორმეტი წლის სალის, თუმცა სახეზე შავი ლაქები მოშორებოდნენ, მაგრამ ბატონების მძიმე და მწვავე ქუსლი რომ მაინც არ დაეიწყებოდა, თვალები აცრემლებული დარჩენოდა, წამაწმები დაცვიენოდა და მუდამ დაწითლებული კილოები მნახველზე უსიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებდნენ, სახის დანარჩენ ნაკვთის მიმზიდველობას უკარგავდნენ, ზედ ემატებოდა რწმენა, რომ ბატონების რისხვა განუკურნავი იყო და უწყალო, ბავშვი ბედის მომღურავი, შეურიგებელი რჩებოდა. გულჩათხრობილი თავის არსებაშივე ეძებდა თავდახწევის გზას. მტკივანის თვალით იხედებოდა, და ეს თავისებური გამოხედვა ხშირად სხვის სიბეცეს ეჯახებოდა ამასთანავე, რაც დრო მიდიოდა, გრძნობდა, სოფლის ბავშვების ისეთი მახლობელიც არ იყო, როგორც თვითვეული მათგანი ერთი-მეორისა. ამას ისინიც კარგად ხედავდნენ. სალის ესმოდა მათი გულის ძვერა, მათი სიტყვები, სურველები, ცრემლი თუ სიცილი. სიამოვნებით ინახსოვრებდა მათგან ნაამბობ ზღაპარ-ლექსებს, მაგრამ, როდესაც ეს მოუყვებოდა წიგნებიდან ამოკითხულს, ისინი, სახეზე ხელებ მიფარებულები ფრუტუნებდნენ, თავები აქეთ-იქით ნიჰქონდათ, თვალეში შეგნების ხალისი უქრებოდათ, ვალაღულიყვნენ დიდი ხნის შთაგონებით. რომ წიგნი მარტო სალის საქმე იყო, როგორც ბატონის შვილისა, იმათი კი — ხელში სახრე და ბატების დევნა. სალი ლონდებოდა და ბატონის შვილობას, რომელსაც ძალით აკოსებდნენ, ზიზლით უყურებდა. ხშირად ხედავდა, გავარვარებულ თონეში, ერთ მხარეს როგორ ჩაკიდებოდა მართა, მეორე მხარეს სალის ხნის თინა პურის ჩაკვრაში დედას ეხმარებოდა.

ამ დროს სალი უფრო რწმუნდებოდა, რომ თინას ბევრად შორდებოდა, რადგან ვერ შესძლებდა ამ მძიმე, საშიშ საქმეში მოზიარედ გახდომას და არც სურვილი ჰქონდა. ბავშვი ცხადად ხედავდა გრეხილს, რომელიც სოფლის ხალხს შემოხვეოდა. გრეხილს გარედ ფეხის გადმოდგმა ეკრძალებოდათ. თვალწინ დგებოდა ორი ქვეყანა: ერთ ქვეყანაში როცა ბნელოდა, მეორეში მზე იდგა და ამ ორი ქვეყნის მცხოვრებნი ერთმანეთს ვერა ხედავდნენ. ქვეყნისკენ, საითაც სოფელი მოჰყოლოდა, პირუტყვებიც მოჩანდნენ, მსიერი მოშინაურებულები, დასაკლავ-სამუშაოდ მომრავლებულები, ზოგიც გარეულები, რომელთაც მონადირენი თოფებით დასდევდნენ. სოფელი გულგრილად ხვდებოდა იმ მოვლენასაც, თუ რომელიმე მეურმეს ტყეში ხე დაეცემოდა, შეშის მაგივრად სახლში დასახიჩრებულ სხეულს მოიტანდნენ, ან უსულო გვამს მოათრევდნენ. ან რომელიმე საქონელი ფეხს მოიტეხდა ხრამში გადაჩეხილი. წუთს მაგიერები ჩნდებოდნენ, განაგრძობდნენ იმავე მიზნით ტყეში სიარულს. სალი რაც უფრო მეტს წიგნებს კითხულობდა, მათ გავლენის ქვეშ მყოფი გარშემო იხედებოდა, უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ ამ ორ სამყაროს შუა გავლებულ საბედისწერო ხაზზე შემდგარიყო, როგორც ჯამბაზი. ბავშვის ნორჩ არსებობისთვის საჭირო იყო მტკიცე ნიადაგი, რა კი მას ფეხქვეშ ფომფლედა გრძნობდა. რავდენადაც ეს ბნელი ქვეყანა, ათასჯერ ნაგრძობ-ნანახი და ღრმად შესუნთქებული სალისთვის დამალონებელი იყო, იმდენად მეორე მეტად რთული, შესხვაფერებული, ცნობის-მოყვარეობის აღმძვრელი და საშიში.

სალის უფროსი და ვერიკო სასწავლებელს ათავებდა. საუკეთესო მკერავნი საცვალ-კაბებს უმზადებდნენ. ნატო დაუხოგავად თავზე აყრიდა ძვირფას სამკაულებს, ჩვიდმეტი წლის წყალწყალა ჩიტსავით გოგმანა ქალიშვილს და შიგ ალივლივებდა.

— ამ ზამთარს ვერიკო გარემოშვილი „*выйдет выезжать!*“

ეს მრავალ-მნიშვნელოვანი სიტყვა ერთის ქალიშვილისგან მეორეზე გადადიოდა და ყმაწვილი კაცებიც, ყურ-გამაბვილებულები, მოუთმენლად ელოდებოდნენ აღთქმულ დროს. „*Выезжать!*“ ეს სიტყვა რჩეულ ბედნიერის ხვედრი იყო და ბევრი ქალიშვილისთვის მიუწოდომელი. ამ ბედნიერთა შორის თავის დროზე ლიზიკა და დარიკოც იქნება როგორმე მოხვედროდნენ, ვერიკოზე ბევრით უფრო ლამაზები, მაგრამ სხვა ვარსკვლავზე დაბადებულნი. თინას ოჯახური მძიმე წესწყობილება ვერ აეტანა, გარდაცვლილიყო, თინას და ცაცკანას სიკვდილი სალიმ ერთ დღეს გაიგო, ეს მეტად მწვაფი გამხელა სოფლის ბავშვების წყალობით ძლივს გაანელა. ლიზიკა და დარიკოსთანაც სალის საერთო ჰქონდა იმდენად, რამდენადაც ისინი რჩეულ და-ძმათ უკანა რჩებოდნენ. ბევრში არც ესენი სცნობდნენ ერთმანეთს ისე, როგორც უფროსები მათ. სალი ყველაზე ჩამორჩენილი იყო და, როგორც ჩამორჩენილი, უახლოვდებოდა სოფლის ბავშვებს, მაგრამ ეს უკანასკნელებიც თავიანთ ბედ-ქვეშ მყოფებს უფრო ემხრობოდნენ და სალი რჩებოდა ბოლოს სულ მარტოდ.

გადაწყვეტილი იყო, მარიამს სალი თბილისში ჩაეყვანა, ოთარს ლიზიკა, დარო და სალი კარგი მეგობარის ოჯახში მიეზარებინა საქალბო ინსტიტუტი-

სთვის მოსამზადებლად. ამ ზამთარში ვერიკოს უსათუოდ რომელიმე მთავრის შვილი წაიყვანდა, მას მიჰყვებოდა ბაბუცა. შემდეგ ლიზიკასი და დარიკოს დროც დადგებოდა. მათ სიაში სალის სახელი არ ჩანდა. სალისთვის ეს კიბე თვალ უწვდენელი იყო და მტკივან თვალებსაც ეძნელებოდათ მისთვის დიდხანს ცქერა. სალის უნდოდა თბილისში წასვლა. თუმცა კიაზო სოფელში რჩებოდა, მაგრამ მას ნატოსი აღარ ეშინოდა, არც სხვებისა, მას ესწრაფებოდა სკვნა ოჯახში შესვლა, სადაც ბევრს ახალს ნახავდა, ენატრებოდა, ხელში რკინის ჯოხი დაეჭირა, რკინის ქალამანი ჩაეცვა, მოეფლო ცისქვეშეთი და ეპოვა შესაფერი ადგილი, საითკენაც მიიწევდა მისი მოუსვენარი, რილასიც მაძიებელი სული. ამყამად მოამაგე სოფელიც თითქო ვიწრო და პატარა მოჩანდა. ერთგვარი, მძიმე ცხოვრებისგან გატანჯული სახეების ცქერა აღონებდნენ, ამასთანავე თითქო უკმაყოფილებასაც უღვიძებდნენ მაზე, თუ სიბნელეში ჩაცვივნილი ხალხი რატომ არ ფიქრობდა ცხოვრების გაუმჯობესებაზე.

და ერთ დაწყნარებულ დილას მშუოთავ მატარებლით კვლავ მიჰქროდა. ოთქლმავალი თავაწვევებით, გატევით მიაგრიალებდა მრავალრიცხოვან ბორბლებს თვალუწვდენ ღიანდაგზე. სარკმელთან მიმდგარი სალი თვალს არ აშორებდა ვეშაპის საზარლად ხლაკვნა-ქშენას. ტყე, ველი, შენობანი, სოფლები, მთა ღრენი, მათთან ერთად ნატო, ოთარი, ბავშვები, ნათესავებ-ნაცნობები, მარიამი და თვით კიაზოც ამ წუთში მხედველობას წინ დგებოდნენ, როგორც მკრთომარე საგნები, ურომლებოდაც გასავლელი გზა უშინაარსო და უსიცოცხლო იქნებოდა. რავდენადაც გზა სახეებს მსწრაფლ ერთს მეორეთი სცვლიდა, იმდენად სალი კარგ გუნებაზე დგებოდა. მის სხეულში ახალი სიცოცხლის ძარღვი მძლავრად ფეთქდა.

* * *

ოთარისგან დაქირავებული სახლი ქვისგან იყო ნაშენი. მეორე სართულის ხუთი ფართე ოთახი სილამაზით ერთი-მეორეს ეცილებოდა. ყველაზე მოზრდილი შუშის კარებით გადიოდა რკინის აივანზე, რომელიც თვალუწვდენ ქუჩას გაჰყურებდა. მარტო ეს ქუჩა თითქმის უთანასწორდებოდა ქალაქად მონათლულ იმ ადგილს, სადაც სალი დაბადებულიყო და ზამთრობით ცხოვრობდა. აქ კი ეს ქუჩა წერტილად იყურებოდა იმ უზარმაზარ სივრციდან, რომელიც უთვალავის ლამპრებით ბრწყინავდა, როგორც ხევით ცა. სამი დღე იყო, რაც ბავშვი ჩამოსულიყო ამ უზარმაზარ ქალაქში, მაგრამ მისი გონება ერთბაშად ვერ იტევდა ამდენ ახალ სანახავეებს და კრთებოდა. ერთად-ერთი მარიამის დანახვა აგონებდა, რომ დედამიწაზე ედგა ფეხი და ეს პირლია ვეშაპი ვერ ჩაყლაპავდა. ბავშვი მარიამს გვერდში ეკვროდა, თან ცდილობდა, გონება მოეკრიბა და შესახვედრს უფრო გულმაგრა დასდკომოდა. ქალაქი სხვა ბავშვებზე ისე საშიშრად არ მოქმედობდა, როგორც სალიზე. პირიქით, მხიარულად, თავისუფლად დარბოდნენ ოთახებში. მათი შემხედვარე სალიც თანდათან მშვიდდებოდა და კიდევაც გაჰყვა ეზოსკენ, სადაც ორპირი სამსართულიანი შენობა ბაღს შემოხვეოდა. ბაღი სავსე იყო ყვავილებით, საროს ხეებით და ბზით. წვრილ მავთულებით უსურვაზივით ერთმანეთთან შეგრეხილები. ბაღის შუაგულ ამართული თეთრი

ალიბასტრის ქანდაკება, ტიტველა ტანზე თითქო ლეჩაქისებურ ბრწყინავი ნაქსოვით შემობურული, განზე გაღებულ ხელში პატარა სურიდან მთვარის შუქზე ვერცხლის ნაკადსავით კამკამა შხებებს ისროდა. სახლის აივნები ბნლისკენ გადმოკიდებულიყვნენ. აქა-იქ ღია სარკმლებიდან მოისმოდა როიალის სარცნებო აკორდები. მცხოვრებთათვის არსდებოდა საზღაპრო კუთხე, რომელკაბა ბავშვი თვითოთვითოდ ანოეფარა ბზის ერთფერად მოჩინებულ ხის პატარ-პატარა სკამები იდგა. ერთი ბავშთაგანი ალერსით შეჰყურებდა ვარსკვლავებით მოქედილ ცას, რომელიც, ერთად-ერთი, შორს დარჩენილ სოფელს აგონებდა. ბავშვების აღტაცების საწყაო იმდენად აღვსილიყო, მათი გრძნობანი სუბუქ ნისლსავით იშლებოდნენ სივრცეში, ერთმანეთთან გახმაურებას მეტათა სთვლიდნენ, თითქო მზად იყვნენ, აღამიანობაზედაც ხელი აეღოთ და ამავე ადგილზე სუნნელოვან ყვავილებად დარჩენილიყვნენ. ამ დროს სახლის ერთ აივანზე გადმოდგა ორი ახალგაზრდა თეთრხალათებში. ერთ მათგანს ხელში ფლეიტა ეჭირა. ფლეიტამ გაიკრიალა, მოისმა სიტყვები:

Кольцо души девицы я в море уронил,

С моим кольцом я счастье земное погубил.

სალის სიამოვნების ჟრუანტელმა დაუარა სხეულში. თუმცა რუსულს კარგად ვერ ლაპარაკობდა, მაგიერად ყოველი სიტყვა ესმოდა. დაინახა ლიზიკაც ზეზე ამდგარიყო, მომღერალს თვალთ ეძებდა. ამ დროს მეტად ლამაზები იყვნენ, როგორც ლიზიკა, ისე დაროც, რომელი რომელს დასძლევდა, ამ საკითხის გადასაჭრელი სასწორი სალის ხელში გაშეშებულიყო.

Ищи, кто хочет в море богатых янтарей,

А мне—мое колечко с надеждой моей.

არა ჩუმდებოდა მომღერალი, მოპასუხეს ელოდა. მეორე სახლის კიბეზე გამოჩნდა ქალი ყავისფერ კაბაში, ლურჯ-თვალემა, სახე-ნაზი. თათლოსფერი თმა ნაწნავად უკან ბეჭებზე დაშვებოდა, სალის წინ ჩამოუარა. ქალი ბუნებრივ სილამაზეს არ ჯერდებოდა, ხელოვნური სითეთრე მიემატებინა. ქალი ლიზიკასთან მივიდა.

— თქვენ, ალბად, ჩვენი ახალი მეზობელი ხართ... სასიამოვნოა, ერთმანეთი გავიცნოთ. მე მქვიან ეენია, ნათლობის სახელი ევგენია ვარამაშვილი. მაგრამ თქვენ ეენია დამიძახეთ.—უთხრა მან.

— მეც ლიზიკა გარემოშვილი. ესენიც ჩემი დები დარიკო, სალი. სახლში კიდევ ორი უფროსი დები მყვანან: ვერიკო და ბაბუცა. ორი პატარა ძმა... ვერიკო ამ ზამთარს budget выехать.—გაქიანურებით უთვლიდა ლიზიკა დამტვრეულის რუსულით.

ეენიამ გაიღიმა. სალი წინ დაუდგა და დაუწყო გაშტერებით ცქერა. ამისთვის პირველი შეხვედრა იყო ამ უცნაურ ქვეყანაში ცოცხალ არსებასთან და უნდოდა გაეგო, თუ რა ღირსებისგან შემდგარიყო. ეენიამ თუმცა დარიკოს და სალისაც გაუღიმა, მაგრამ ლიზიკას გრძნობით აკოცა.

— ჩვენ აქ ხშირად შევხვდებით ერთმანეთს.—ეუბნებოდა ეენია, თან მოუსვენრად იხედებოდა აივნისკენ, საიდგანაც სიმღერა ისმოდა. სიმღერა შეწყდა,

აივანი დაცალიერდა. ეენიამ ლიზიკა ბალის დაბურულ ადგილისკენ წაიყვანა, დანარჩენ ბავშვებს აგრძობინა, რო ისინი მეტები იყვნენ, მაგრამ დარიკო და სალი ლიზიკას მაინც არ მოშორდნენ. ფოთლებმა გაიშრიალეს, მალალ ბევობებიდან ქურციკებსავით გადმოეშვა ორი ახალგაზრდა. ეენიამ კეკლუკად შეხედა ორივეს. ყმაწვილებმა ხელზე აკოცეს და როდესაც ლიზიკასკენ გაბრუნდნენ, კაზიროკზე ხელმძღვანელები უცბად გამოიქიმნენ, როგორც სჩვეუდათ მტრებს.

— არტაში ამისოვ...

-- ორესტ ზიბრიაკოვ.

ეენიამ გააცნო მეზობლები. ბავშვები დაიბნენ, ჩვეულნი არ იყვნენ უცხოებთან ასეთ თავისუფალ შეხვედრას. მათთან საერთო ენის გამონახვა გაუძნელდათ, წითლდებოდნენ მაშინ, როდესაც ადგილობრივ ზნეჩვეულება შეთვისებული, ჩვიდმეტი წლის ეენია თამამად იყურებოდა. არტაში და ორესტი არ იმჩნევდნენ მორცხვ ლიზიკასგან წარმოთქმულ მოკლე-მოკლე სიტყვებს და ცდილობდნენ ახლო გაცნობოდნენ.

— ვინც მოვიდა გაუმარჯოს! — შესძახა არტაშიამ, როდესაც დაინახა ხეებში გამომყურე ორი მოელვარე თვალი.

— მობრძანდით! ნუ მორცხვობთ!

ახალგაზრდების პატიჟნი ეენიას ხმა ზარსაფით წკრიალებდა. ხის ტოტებმა გაილაწუნეს, წინ წამოდგა სახეშეწითლებული რეალისტი ზურაბ სასაშვილი. ქალვაჟთა შორის მალე გაქრა ურთიერთისადმი მორცხვობა და გაჩაღდა მხიარული თამაშობა. თამაშობაში უპირატესობა ბატობანას ერგო. მგლობას არტაში, ორესტი და ზურაბი რიგ-რიგობით ჩემობდნენ და მათ კლანჭებში უფრო ხშირად ლიზიკა და დარიკო ვარდებოდნენ. თავდაცვისთვის თავგამეტებული სალი გაქცევაში ყველას წინ უსწრობდა, თვითონ მგლებიც აგრე რიგად არ ეტანებოდნენ, რადგან ხედავდნენ უფრო ლამაზ და მოხდენილ ბატებს, როგორებიც მისი დები იყვნენ. ბალში კარგახანს ისმოდა ნორჩი სიცოცხლის უზრუნველი კისკისი. სახლში დაბრუნებისას მარიამი სალის გაბლევრით დახვდა. აუკრძალა დღის შემდეგ ეზოში უდროოდ უხეირო ხეტიალი, მის აზრით ეს არ იყო სოფელი, სადაც ყველგან და ყოველთვის უვნებლად დარბოდა. ამ არეულ ქვეყანაში შეიძლებოდა ვისმე მოეტაცა, გზა არეოდა, დაკარგულიყო. სალი გაჩუმებული უსმენდა მარიამს, მოტაცების გახსენებაზე ძალით შეკავებულ ღიმილისგან ტუჩები უთრთოდნენ. ამ რავდენისამე წამის წინად სალი უკვე მოწამე იყო არტაში, ორესტი და ზურაბი უკვე როგორ იტაცებდნენ ამის დებს, მაგრამ ეს მოტაცება სალის არ აშინებდა, პირიქით სხეულში რაღაც სასიამოვნო ჟრუანტელსა გრძობდნენ. და სალი ხედავდა, დიდება დაბერებულყო და ველარ მიხვედრილიყო, თუ სალი რა ფერადებით შეხავებულ ოცნებებში შედიოდა, სიამოვნებით საბანში ეხვევოდა, ხვალინდელი დღის მომლოდინე.

ხუთი ოთახი მალე მოეწყო სავარძელ—ფარდებით, ლამპრებით და ყველა საჭირო ავეჯით. მოიტანეს როიალი. შეიძინეს საკერავე მანქანა. ბავშვებს აკრძალული ჰქონდათ ოთახებში ერბინათ. თვითვეულ ავეჯს მორიდებით განზე

უნდა სდგომოდნენ, უცაბედად არა წაეხდინათ რა. მათთვის მიეჩინათ ცალიერი ოთახი, უბრალო ტახტებით გაწყობილი.

ვერიკო მხიარულის ღილინით დაცქრილებდა ოთახიდან ოთახში, ყუთიდან ალაგებდა ძვირფას ტანისამოსს, სამკაულებს. ბავშვები შორიანდო/მოკრძალებით იდგნენ, უყურებდნენ, თუ მათი ბედნიერი და რას აკეთებდა. სხვათა შორის ვერიკომ ყუთიდან ამოიღო შავი ყდიანი პატარა წიგნი, რომელზედაც ოქროს ვარაყით ჯვარი გამოსახულიყო. ეს იყო რუსული სახარება, რომლითაც მოძღვარს ახალ ცხოვრების გზაზე შემდგარი ნამოწათარი დაელოცა. ქალმა სახარება სხვა წიგნებთან ერთად დაუდევრად იქვე მაგიდაზე დააღაგა. ზედ დააყარა საცვლები, რომლის არშიებმა უფრო მიიზიდეს მისი ყურადღება. გამოჩნდა სწავლის დამთავრების მოწმობაც ორთავეიანი არწივებით აკრელებული. ეს ქალაღდი კარგა ხანს ატრიალა ხელში, შემდეგ, წელში ამაყად გასწორებულმა აქეთ-იქით მიმოიხედა, უმცროს დებს დანცინაეის ღიმილით გადახედა, თითქო უსიტყვოდ ეუბნებოდა:

— განზე, განზე!.. აბა თქვენ რა ჩემი ტოლები ხართო!..

ვერიკოს ელოდა დიდება, ფუფუნება. როდესაც გაახსენდა, ამ ქალაღდით ნება ეძლეოდა რომელიმე დაწესებულებაში ემსახურა, შუბლი შეიკრა, დახვეულ ქალაღდს ალისფერი აბრეშუმის ზონარი შემოუჭირა და ყუთის ძირში ჩააგდო, თითქო აგრძობინა, რომ დღეის იქით ის ამისთვის სრულიად საჭირო აღარ იყო და ისევ დებს შეხედა, უცბად მოეჩვენა ღიზიკა და დარიკო სილამაზით მას თითქო სჯობდნენ, სახეზე ჩრდილები აღუჩნდნენ და უკმეხად შესძახა:

— რას მომხვევიხართ ველურებსავეთ? წადით აქედან! იქნება რას ვაკეთებ ისეთს, რაც არ მინდა თქვენა ნახოთ?— ბავშვებმა თუმცა უკან დაიწიეს, მაგრამ არ გავიდნენ. სალი წამოდგა წინ, ჯიბრზე უფრო მეტად მიაჩერდა.

— ჩემ ყურებას გირჩევნიან ვგ თვალეზი მოიწმინდო, ნიანგსავეთ წარამა— რა რო ცრემლით გევსება!..— ამ სიტყვების გაგონებაზე სალი თოფნაკრავსავეთ ოთახიდან გავარდა. ვერიკოს სახეზე დაკრთოდა ჩრდილი. თან ცდილობდა მალევე გაეფანტა, ნებიერი ქალიშვილი მძიმე განცდებს ჩვეული არ იყო. ნატო და ოთარიც აღშფოთებით უყურებდნენ ვერიკოს სწავლის მოწმობის უფლებას და ვერ წარმოედგინათ, თუ რა დრო იქნებოდა ისეთი, როდესაც მათ ცქრილა ლამაზ გოგონას მოუხდებოდა ამ მოწმობით სარგებლობა. ვერიკოს სწავლა მიელო მარტო სახლისთვის და არა სამსახურში შესასვლელად, რაც სამარცხვინო იყო არამც თუ მარტო ამ ოჯახისთვის, არამედ ყველა კეთილშობილისთვის, რომელიც კი ყურს მოჰკრავდა.

გამოვიდა ვერიკო სასწავლებელიდან თუ არა, ოთარმა გადასწყვიტა, საქონლის ყოლაზე ხელი აეღო, მეტადრე მაშინ, როდესაც ანგორის თხებში ზოგი გასწყვეტოდა, ზოგი დაეპარათ, ზოგი გაქეციანებულიყო. ცხვარი და გუთნეული ვალში ვაჭრებისთვის დაერიგებინა. თვითონ დასჯერებოდა მეღვინეობას. დღეს მთელი ამისი ზრუნვა უნდა მიქცეულიყო ქალიშვილებისკენ, რომელნიც დასათხოვრად თანდათან რიგში მწყრივდებოდნენ. ამ მხრივ ოთარს ბედი სწყალობდა, შვილები ლამაზები ჰყავდნენ და ეს ღირსება განზრახულ მიზნის მისაღწევად

ხელში დიდ კოზირს აძლევდა. ქალიშვილებში, როგორც უფროსს, ვერიკოს პირველი რიგი ეჭირა, ოთარსაც, როგორც მზრუნველ მამას და პატრონს, საზოგადოებაში უნდა გაეყვანა და მდიდარი სიძე ეზოვა. შემდეგ დანარჩენი ქალიშვილებიც ერთი მეორეს მიჰყვებოდა. ვერიკოს ხალხში გაყვანა დიდ ხარჯს ითხოვდა, მაგრამ ოთარი არ უშინდებოდა, სჯეროდა, ამ მოკლე დროში ხარჯს ერთი ორად აინაზღაურებდა..

რაინდული გამბედაობა იყო ოთარისთვის ამ მიზნისთვის და ეზოვება-რა და კიდევაც შეასრულა. მამული „პრიკაზში“ დააგირავა, ბედზე „პრიკაზის“ გამგე ანდრე პავლოვიჩი კურგუხოვი ამისი დიდი წეგობარი, რუსეთში თანამოსწავლე აღმოჩნდა და მისი წყალობით ფულიც ერთი-ორათ აიღო. ოთარის გული ფართე იყო, ყველას იტყვდა, თუ ვაჟებისთვის განსხვავებით ზრუნავდა, ეს საშვილიშვილო საკუთრება—მემკვიდრეობას მიეწერებოდა და არა განსაკუთრებულ გრძნობას. ოთარს არავისთვის არა ენანებოდა-რა, მის ხელში არაფერს ფასი არ ედო, თუ დრო მოსთხოვდა, მზად იყო მთელი თავისი სალაროც ერთბაშად პირქვე მოექცია, მოებნია, გაენიაგებინა. არც გულნაკლული დარჩებოდა, ოღონდ კი თვითონ იმ დროს უვნებლად გადარჩენილიყო. ოთარს „პრიკაზში“ მამულის დაგირავება ძალიან უხაროდა, ფული ბლომად აჰქონდა. ხალხს აღარ შეაწუხებდა და თვითონაც შემდეგში სიძეების წყალობით „პრიკაზს“ ნელნელა გაუსწორდებოდა. არჩილ კერძო სასწავლებელში მიეცა, უნცროს შვილებსაც კურკუხოვის ოჯახში მიიყვანდა. თან მოუთმენლად ელოდა ბრწყინვალედ მოწყობილ სალხინო საცეკვაო საღამოს, რომელიც რიგში იდგა. ვერიკოს გულიც მეტად რთულ, წარმოუდგენელ საკვირველებების მომლოდინე განაბულიყო.

მაგიერად სახლში მყოფები ღელავდნენ, ხელის თითებზე ითვლიდნენ, თუ როდის დადგებოდა სანატრელი დღე. მარიამიც მხურვალე მონაწილეობას იღებდა ოჯახის მღელვარებაში, თავის ოთახში ხშირად სტროლაბსა ჰყრიდა, უნდოდა წინდაწინვე გაეგო, თუ რომელი კუთხის მთავრის შვილი ემზადებოდა ამათყენ წამოსასვლელად.

წლის თავზე ბაბუცა გაათავებდა სასწავლებელს. ესეც ხალხში გასაყვანი გახდებოდა. სახლში მარტო დღესასწაულებში მიჰყავდათ, მეტ წილ დროს ჩუმად იყო და თუ იტყოდა რასმე, იტყოდა ხაზგასმით, ძლიერი კილოთი, თუნდ მისი სიტყვა ჭეშმარიტებაზე შორს ყოფილიყო. ბაბუცას თვალშიაც ვერიკო უცილობელ მიუწოდომელ მწვერვალად მიაჩნდა, ცდილობდა შეთანხმებოდა და, თუ მასთან გათანასწორებას ვერ შესძლებდა, ანარეკლად მაინც დარჩენილიყო. თუნდ კიდევაც ბევრში ვერიკოსთვის ეჯობნა, ნატოს მაინც არჩილისა და ილუშას ჩამოდაღმა ვერიკოს ცუდიც სხვა შვილების კარგს ერჩია. ნატოსთვის ვერიკოს სუნთქვა იყო, მზის ნათელი სხივი. მასში თავის თავს ხედავდა—განათლებულს, დასრულებულს, ღღემდე დაკარგულ ჭეშმარიტ სახიერების ლანდს, რომელსაც თავს ევლებოდა, როგორც ფარვანა სანთლის შუქს. სწყუროდა, ეჩქარებოდა ეს ლანდი დროზე ჩაემუქებინა, წაუშლელ სინამდვილედ ექცია და გაშმაგებული დუღილი ამ სურვილების ნაკადისა ოჯახის თვითიული წევრის

არსებაში ჯადოსნურად შეჰყავდა. ოთარსაც, როდესაც მასთან ერთად სარეცელში ჩახვეულიყო, ამავე ჰანგზე განუწყვეტელად, დაულაღავად მოუწყენრად შეღულუნებდა, რომ ვერიკოს სხვა შეილები ვერ შეედრებოდნენ, ქვეყნიერებაზე უჩვეულო მოვლენა იყო და ეს შთაგონება ისეთ მედგარ მიზანშეწონილ ისარს ისროდა, რომ ოჯახს გარედაც დიდ მანძილზე იტყორცნებოდა. ასეთივე რწმენა ნაცნობებსა და ნათესაებშიაც მყარდებოდა. ვერიკოც გაოცებული იყო თავისი უჩვეულობით და არ იცოდა, თავი როგორ დაეჭირა ამოდენა უნარძანარ ქვეყანაში, რომელიც თურმე მარტო ამას ეკუთვნოდა.

* * *

რადგან ოთარის ოჯახის საერთო მაჯისცემა ნატოს ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა, და ქალიც გრძნობდა და პასუხსაგები წუთები დამდგარიყვნენ, ეს მდგომარეობა თვით ნატოსვე აღელვებდა და ცდილობდა, ფარული მოუსვენრობა გარეგან მხიარულება-ღრიანცელით გაეყრუებინა. ნატოს აფრთოვანებულ უზომო სურვილებისთვის დროზე სადავის მოწვევა ავიწყდებოდა, ისეც აღვირაბსნილი განზრახვანი გაქანებით მიჰქროდნენ, ჩქარობდნენ, რაც შეიძლებოდა მალე გაეშროთ გამთიშავი აშმორებული ჰაერი, რომლითაც დღემდის უნებურად სუნთქავდნენ თვითონ და მისი შვილები და დღეს გაახლებულის წინააღმდეგობით აღჭურვილი მედგრათ ელობებოდა უკან დარჩენილ არარაობას.

— შენი საქციელი მაკვირვებს, დედა ჩემო, დაბერდი და მაინც არ ეშვები იმ საძაგელ ეჭვებს, რომ შენს იქით ყველაფერი უწესოა და მიუღებელი. საფუძვლადაც სწორედ ეგ მიზეზი დასდებია შენს ხელში ჩემი ცხოვრების გამწარებით სელას, ერთი მითხარი, ვის რად უნდა ეს საცოდავი თვალე-დაწუწული გოგო, შეამჩნევს კია ვინმე, რომ ქვეყანაზე არსებობს?!. შენ კი თითქო ნატოს თვალი გეპოვნოს, ორივე ხელებით ჩაფრენიხარ და კარზედაც არ გინდა გაახედო.

— არამც თუ სალის არ გავახედებ, ი შენი სხვა ქალებიც, ვილაც უცნობ გოგობიჭებში რო ჩარეულან, არ მომწონს. ძალიან გაიკვირვე: ჯერ ყური არ მოგიკრავს, რადენი ახალგაზრდა ქალი და ვაჟი გაუბედურებულა თავაწყვეტით, კარზე ურიგმარიგო თრევით. შენ თვითონ მეუბნები, ამ მოსაზრების გამო არაფერში დამიზოგიხარ, თუმცა დედისერთა იყავი. თუ ეს ასე იყო, სალის უფრო რალას დავზოგავ?!. ჩემს სიბერესაც ხელი ნუ წამოჭკარი გასათხოვარი ქალების პატრონი ხარ, სიბერე შენც კარზე მოვდგომია, — უპასუხა შუბლშეკრულმა მარიამმა ერთ საღამოს, როდესაც ოთახში ლამპასთან თეთრეულს კერავდა.

იქვე ახლო სალი ლოგინში ფშვიინავდა. მარიამი გულში ბრაზობდა ნატოს ასეთ მსჯელობაზე, უნდოდა კიდევ მეტი საწყენი ეთქვა, მაგრამ როდესაც აგონდებოდა, რომ შვილთან სტუმრად იყო ჩამოსული, მისი მშობლიური უფლებაც დაბერებულებიყო, დარჩენოდათ მარტო-ლა გაშიშვლებული მოვალეობა, რომელიც მათ ერთმანეთთან ოდნავ-ლა აკოწიწებდა და კი აღარ აერთებდა. მოხუცებული, რადენადაც შეეძლო, მღელვარებას გულშივე იბრუნებდა.

— ყოველ საქციელს შესაფერი ნიადაგი აქვს. მაგ მხრივ ჩემი შვილებისა არ მეშინიან. დარწმუნებული ვარ, რა გარემოებაშიაც უნდა ჩაეარდნენ, მაინც

წნეობით სავსენი დარჩებიან, რადგან გარყვნილი არც მე ვყოფილვარ და არც შენა, დედა ჩემო.

— მაინც სიფრთხილეს თავი არ ასტკივა. საქმეს წაახდენს რეგვენი, ფათერაკს დააბრალებსო, — თავშემაგრებით შენიშნა მარიამმა და ნალღლიანად გაიღიმა.

— არც ის შეიძლება, რომ მეტის-მეტ სიფრთხილის გამო კერძის ნაკუჭში ჩასვა ვინმე. ცოცხალ ადამიანს სალი ჰაერი სჭირდება და ეს სალი ჰაერი თუ ვისმეს ესაჭიროება, ყველაზე მეტად ესაჭიროება სალის. კიდევ ვიმეორებ, დედა ჩემო, სალის ნუ აშორებ და-ძმებს. მართალია, შენთან არის, შენთანაც დარჩება, რახან მამაჩემს ასე ესურვება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მაგის ბედის გადაწყვეტაზე მეც უფლება ამხდოდეს.

ნატოს უკანასკნელი სიტყვები გადაჭრით იყო წარმოთქმული და მარიამიც უნდა გაჩუმებულიყო; სალი ისევ ფშვინავდა, მაგრამ არ ეძინა, ყურს უგდებდა დედა-შვილის ლაპარაკს. უკვირდა, ასე თავდადებით რად იცავდა ნატო მარიამის წინაშე სალის, რომელსაც მარიამი უყვარდა და ნატო კი დასანახავად ეჯავრებოდა. ან რა ჰაერი იყო ის ჰაერი, საითაც ასე დაჟინებით სწევდა? ნუ თუ ეს ჰაერი სალის უნდა მოეძებნა ბაღში, სადაც ყოველ საღამოზე გროვდებოდნენ ამისი დები ვილაც უცნობ ქალიშვილებთან? მათ ელოდებოდნენ ვაჟები, რაც უფრო ამ ახალგაზრდების ჯგუფი დღითიდღე იზრდებოდა, სალის ბაღში ყოუნაზე გული აცრუებოდა, რადგან ეს სილამაზის მალმერთებელი ქვეყანა სალის თავისად არა სთვლიდა და უკან აგდებდა.

როგორც ვერიკოს ბაბუცა ჩრდილად ამოსდგომოდა, ისე ლიზიკოს დარიკო. სალი რჩებოდა უტოლოდ, უჩრდილოდ. ყველანი ერთად ხმაშეტკბილებულნი გარს უვლიდნენ ქალის ქანდაკებას, რომელიც თავის მხრივაც წყლის შხებებს ესროდა. სალის თვალში ქანდაკება კვდებოდა და ფხვიერ მიწისგან შეთითხნილ უსულო საგნად რჩებოდა. ბავშვი ამ დამძიმებულ ჰაერისგან ხელნაკრავი განზე ვარდებოდა, როგორც ხიდან ჩამოტეხილი რტო. ნატო თხოულობდა, სალი არ ჩამოშორებოდა დებს, მაგრამ ჩამოშორება მაინც თავისთავად ხდებოდა. სალის ბუნებით თანდაყოლილი, თავდასაცავად მომზადებული თავმოყვარეობა უბრალო წვრიმალსაც ფრთხილად უდგებოდა, ყოველ წუთს საბრძოლველად გამზადებული, გაღიზიანებული ალლოთი ჰაერს ოთხფეხსავით ყნოსავდა. ხუმრობა არ არის, მის დასამცირებლად და გასანადგურებლად არ მოვლენილიყო.

ბავშვი გრძნობდა, თვალითაც ხედავდა საშიშ მტერს, რომელიც განადგურებას უპირებდა და ეს მტერი თვითონ ნატო იყო. სალი დაცინვით ითვალისწინებდა მისგან წამოყენებულ წმინდა ჰაერს. ხედავდა, თავაშეებული ენია როგორ მოურიდებლად აცხადებდა ვისთან უნდოდა ყოფნა და ვისთან არა, სალისაც არა ერთხელ განუცხადა ჩამოშორებოდა მათ, როდესაც ეს ლიზიკასთან იყო, მაგრამ რაკი დარიკოს ულიზიკოდ ყოფნა ვერ წარმოედგინა, სალის კი შეეძლო უარავისოდ დარჩენა, დარიკო ისევ ლიზიკას აედევნებოდა, სალი იკ

განზე რჩებოდა მეტად უკმაყოფილო გულმოსული ლიზიკაზე, თუ ეენიას რად დაახლოვებოდა, მასთან საიდუმლოება რად გაჩენოდა.

ამოსოვი და ხიბრიაკოვიც ლიზიკას ეტორღიალებოდნენ, სასაშვილი დარიკოს, ეენია ყოველ წერიმალზე კაპოსობდა, ეინიანობდა. ეს ყოველ მხრივ ერთი და იგივე მსჯელობა მშვენიერ თვალეზე, ძვირფას ტანისამოსზე, პრილა კოხტა ფეხსაცმელებსა და ხელთათმანებზე სალისთვის მეტად მარტოობის სახეობელი, მოსაწყენი ხდებოდა. რწმუნდებოდა, აქ მისი ადგილი არ იყო და ისეც უკმაყოფილო მარიაში რომ უფრო არ გაეჯავრებინა, ბაღში აღარ მიდიოდა და დიდედასთან ახლო ხან კითხულობდა, ხან კერავდა.

ნატო ამჩნევდა ყველა ამას, ბრახმორეული უბლვეროდა, მაგრამ სალი არ ეპუებოდა. ნატო მაინც ფიქრობდა, რა მოეგონა ისეთი, რომ შეუმჩნევლად ჩამოეცალა მოხუცებულებისთვის ეს საძაგელი გომბიო და მით თვის არსებიდან განედევნა მეტოქეობის დიდი ხნის ფარული შურისძიების ნასახი. რჩებოდა ერთად-ერთი იმედი: მისი სასწავლებელში შეყვანა. სასწავლებელზე სალი უარზე არ იყო. მეტადრე თუ დაინახავდა ვერიკოს როიალთან მიმჯდარს, როდესაც ის სათუთის თითებით აკორდებს იღებდა, ოთახი ივსებოდა ციურის ხმებით, სალის სხეული უცნაურად გაიზრიალებდა, სკამზე კრძალვით ჩამოჯდებოდა და ხმაჩამენდილი ყურს უგდებდა.

სალისკენ მოჰქროდა ნაზი მოალერსე სიო გაურკვეველ მრავალ საიდუმლოებით აღსავსე მხარისა, რომელიც ჯერ არამც თუ ცხადად, ზღაპარშიაც არა სმენოდა, მაგრამ ჯადოსნური ხმები ბავშვის არსებამდე აწვდენდა მის სახიერების უმცირეს ნამცეცს და დღემდე მთვლემარე გონება, როგორც გალიაში ნამწყვდევი და უეცრად განთავისუფლებული ჩიტის, სიხარულისგან ფრთხილებდა. ახალ-მონაბერ სიოთი გულმობრუნებული ეთაყვანებოდა უმაღლეს სულის თრთოლვას, ესწრაფებოდა მოწიწებით ზიარებულყო მის წმინდა-წმინდათა საიდუმლოებით. სალის თვალში ამ დროს ვერიკოც ცისკენ იწევდა, ნარნარ ხმების მოცივლივე ზვირთებში ირხეოდა. თავდავიწყებული სალი ქურდულად მიიპარებოდა ყმაწვილ ქალისკენ. უნდოდა მის თვალეში შეეხედნა, დაენახა საოცარი სული და ეთხოვა ეცნო სალიც, მაგრამ ვერიკოს თვალეები ხარბად მიჩერებოდნენ წინ ამართულ რვეულს, მის ბლაგვ ხაზების ხრახნილებს. ის ხრახნილები უკარნახებდნენ ხმებად გარდაქცეულ სიტყვებს, რომლებსაც ლაღად და დაუზოგავად უკვდავების ნაკადად გადმოაჩქეფდა ხაზების წარმომშობი ხელოვანი. აქ სალის გონება ბურუსით მოცულ ჩიხს აწყდებოდა. როგორც რვეულის მოხაზულობა გაუგებარი იყო მისთვის, ისე შავად მოპრიალე, თან მედიდურად გამდგარი როიალი ცივი. ეჭვი არ იყო, ამ მომხიბვლელ ხმების გამოლება უსულო საგანს თავისთავად არ შეეძლო. ბავშვი გაფაციცებით თვალით ეძებდა ხმების გამომცემ სიციოცხლით სავსე ვნება-ტანჯვით მოცულ ძლიერ სულს. საგნიდან საგანზე გადარბოდა და ისევ მალევე უბრუნდებოდა უცნაურ რვეულს, როგორც ალლოგალიზიანებული მეძებარი ნადირის ბუნაგს.

სალის უკვე სჯეროდა ხმები ამ რვეულიდან უფრო გამოდიოდა, ვიდრე ვერიკოს მწვანე თვალეებსა და თლილ თითებიდან. თუმცა ამისი უფროსი დები

ცხრა წელიწადი სწავლობდნენ, რომ შესძლებოდათ როიალის ასე გაცოცხლება, მაგრამ თვითონ ესენიც სწავლობდნენ ამ რვეულიდან, რომლის შემომქმედნი იყვნენ როგორც თვით რვეულში, ისე იქვე როიალთან კედელზე დაკიდებულ სურათებზე აღნიშნულნი პირნი, სალის მისწრაფება სათავისკენ იწვედა. სალის სურათდება ერთმა სურათმა მიიქცია. ფართე ოთახი, სადა, უბრალო. ოთახიდან განდევნილი ძვირფასი დგამი, მათ ნაცვლად ორი უბრალო მაგიდა და მხოლოდ ერთი მორეული ქაღალდები, იატაკიც ქაღალდების ნახევებით მოწყობილი! სწრაფობუნების აღმზგქდი. დიდი სარკმელი, მაგიდასთან ხის სავარძელში ჩამჯდარი თმაგაჩილი კაცი, რომელსაც სავარძლის მკლავზე დაბჯენილ ხელზე თავი დაეყრდნო. გულგადაღვლილი, პერანგის ამარა, მუხლებზე მძიმედ საბან-შემოკეცილი, საბან ზემოდ თამამად და ნებივრად გადაშლილ რვეულზე საჩვენებელი თითი ფურცლების გადასაშლელად მომზადებულიყო, მაგრამ ამ დროს ფიქრების მძლავრ ტალღას მოესწრო, გაეკავებინა, მისი გონება სადღაც გაეტაცა, სავარძელში დარჩენილიყო მარტო-ლა სხეული.

სალიმ სურათზე წარწერა ამოიკითხა: ბეთხოვენი ლამაზი არ იყო. სალის ეგონა თვალი ატყუებდა და უფრო აკვირდებოდა, არა სჯეროდა თუ ეს უსახური ადამიანი წარმოშობდა მშვენიერ ხმებს, რომ მშვენიერება და უსახურობა ერთ ადამიანში მოთავსდებოდა. აკი სილამაზე უფროთხოდა სიმახინჯეს, სიმახინჯე სილამაზეს?! მაგრამ აქ ამ აზრის წინააღმდეგი ცხადად ჩანდა. სალიმ სიხარულისგან გულზე იტაცა ხელი და უფრო დაკვირვებით შეაშტერდა. ბეთხოვენის კვინიხში შეცვივებული წვრილი ღრმა თვალები ნაღვლიანად იხედებოდნენ, მათ გამოხედვაში მძიმე ნაქაჯად სწვეთავდნენ ცხოვრების სიცხადით შესისხლხორცებულნი განცდანი. სალი თვალს არ აშორებდა ამ უცნაურ ადამიანს და უნდოდა დამიზნულის ცქერით გამოეწვია მისგან ის საიდუმლოებით აღსავსე დიდი სული, რომელიც თურმე ამ უშნო სახეს უკვე დიდი ხანია მოშორებოდა, მის შემავიწროებელ სხეულიდან თავდახწეული გაძლიერებულ-გამშვენიერებულა, ვნება-მორეული როიალის კლავებიდან გადმოშვებული ხან ქვითინსა, ხან საალერსოდ მომზადებულ სიყვარულის ჰიმნებად მსმენელის წინ დაუზოგავად დაღვრილა, რომ დღეს ამ უკვდავი სულის მატარებელი სხეული მტვრად ქცეულა, მარტო ქაღალდზე აღნიშნული მისი ხატებალა ადასტურებდა გრძნეული ხმების ოდესმე გულით მატარებელზე.

მაგრამ როიალის ასეთი აღმაჟრენა სამწუხაროდ სალის იშვიათად ესმოდა, მაგიერად მთელ ოჯახს აბეზრებდა ვერიკოს სავარჯიშო ბრახუნი, როგორც იხსენიებოდა გულმოსულ მარიამისაგან, რადგან დილიდანვე დაწყებული ერთთავად გაბმული თავმომბებრებელი ყლრიალი საკრავისა მოხუცებულს ლოცვის დროსაც სასოებას უკარგავდა. ვერიკოს, ეშხში შესვლა, აკორდების ნაზად ალება ხდებოდა მარტო მაშინ, როდესაც სტუმრები გარს ეხვივნენ, ბავშვებს თავისუფლად არ შეეძლოთ მოსმენა, ეს აკრძალვა სალის ერთხელ კიდევ ზედ-მეტად აგონებდა, რომ ამ შემთხვევაშიაც აქ მას ადგილი არ ჰქონდა. გახელებულ თავმოყვარეობას ბავში ძლივს თავს უქერდა, რადგანაც სჯეროდა, თუ ამ ოჯახში ამ ხელოვნებასთან თუ ვისმეს ადგილი ჰქონდა, იქ სალისაც უდაოდ წილი ედო.

ეს უხამსი ხელის კვრა ამჟღავნებდა მოწინააღმდეგეთა უსამართლობას და ბავშვს თავის რწმენაზე ჯიუტად აყენებდა. ამ დროს ყოველთვის თანამგზავრი ერთგული იდუმალი ხმა ურჩევდა, ემოქმედა აღისავეთ, მათი „არა“, „ჰო“ მიელო, მათი „ჰო“ „არად“. სალიმაც გულიანად გადაიკისკისა და სადასტუროდ თავის გუნებაშივე ამ რჩევაზე სიამოვნებით ხელი მოაწერა. ამ გარდაწყვეტილების შემდეგ ბავშვის შელახული თავმოყვარეობა ამაყად ისევ წელში გასწორდა. საბრძოლველ მინდორზე თავი იგრძნო. სალის მოუნდა უსათუოდ მუხრის მენწავლა, თუმცა თორმეტი წლის გოგოს ჯერ როიალისთვის ხელი არ ეხლო. ერთხელ დრო იხელთა, როიალთან ქურდულად მიიპარა, როიალის კლავიშებზე დაკრეჭილ კბილებსავეთ თეთრად და შავად შემოსცინეს. სალი თითოთ შეეხო. ერთ მათგანს გააღებინა ხმა, მაგრამ არაფერში გამოსადეგი. ბავშვი მაინც არ ჰკარგავდა მოხერხებულ დროს და დიდი ხნის ვარჯიშობის წყალობით, როგორც იყო ძლივს ააწყო ელაბელას კილო, რაც ხშირად ესმოდა შინ თუ გარეთ. ამ მიღწევით ჯერ თავს დასცინა, მაგრამ როდესაც გაითვალისწინა, თუ ბეტხოვენისგან როიალის ახმაურება აღბად ისეთივე უმაღლესი იყო ვერიკოს დაკვრასთან, როგორც ვერიკოს აკორდები სალის ეხლანდელ ჩხაკუნთან, ბავშვი მაინც კმაყოფილი დარჩა. მაგრამ რა გაიხსენა, ის ცხრა წელი, რომელიც უნდა მოენდომებინა ამ სურვილის ასრულებისათვის ისიც მასწავლებლის დახმარებით, დალონდა. სალი თხოულობდა ამას მაშინ, როდესაც თვით მარიამიც კი მტრულად უბღვერდა, სწყევლიდა ამ საკრავის მომგონს, დაუფარავად აღიარებდა, რომ მაზე დროს გაცდენა ბარძაყში მახათის ყრა იყო?!. რის იმედითა უნდა ჰქონოდა ამის შემდეგ სალის, მაგრამ მაინც იმედს არა ჰკარგავდა და დროს ელოდა.

თვით ვერიკოს წინაშე, რაც სახლში მოვიდა, დღიურ გეგმაში თანდათან სხვა უფრო ძლიერი სურვილები შეიჭრნენ, ჩაირაზმნენ. დღემდე პირველ რიგში მდგარი მუსიკა თანდათან მერყეობას მიეცა. ჯერ სიცხის საშინჯ ვერცხლის წყალივით იწყო აღმა-ჩაღმა ნახტომების კეთება და ბოლოს ერთ-ერთ თავშესაქცევ დარგად გარდაიქცა. მეტადრე განზრახულ სალხინო საცეკვაო სალამოს წინა ლამეს დიდი კისკისი და ხუმრობა ატეხილიყო ოთარის სახლში. ვერიკოს წვრთნიდნენ. უკვე გამოცდილი დიდი ხნის გადადულებული საპატიო მანდილოსნები დიდის ხალისით კისრულობდნენ მფარველობა გაეწიათ ჯერ კიდევ გაუშლელ კოკრისთვის.

ვერიკო ლამაზი მათრობელა მატლი იყო ანკესისთვის და ამ ანკესზე მობმული ბაწარი მათ უნდა ხელში სჭეროდათ. ბანოვანნი ძვირფასის საშოვარით დიდი კმაყოფილები იყურებოდნენ, ოჯახიც ამაყობდა ამ გავლენიან ნათესავეებით, ქედმოღებულ გვრიტით, რომელიც ხვალისთვის ეპირებოდა ცხოვრების ლაყვარდში გაფრენას. ოთარი ქალების წვრიმალეებით აღსავსე განკერძოებულ სამოქმედო ასპარეზს გზას უხვევდა, რადგან თავის მაგიერად იქ ნატო ვგულეობდა და თვითონ-კი სხვა გზით ქალაღდის სათამაშო თავშესაქცევ საკრებულოსკენ ეტლით მიჰქროდა.

* * *

მეორე დღეს სალამოს კარებთან ბავშვები შეჯგუფულიყვნენ, მიჩერებოდნენ—პრიალა ნაქსოვებში შეხვეული ვერიკო როგორც ანგელოზი ღრუბლებში,

თვალე მინაბული ლანდოში როგორ ჯდებოდა. ლანდო ცნობილ კნეინა მერის ეკუთვნოდა. მერის მოწეულ სახეზე ფერუმარული ეჭარბა, თან ვერიკოსკენ მუშტრის თვალთ მალიმალ იხედებოდა. ლანდოს კარი დიდის ხმაურობით მიიხურა და წავიდა. ბავშვები ნელის ნაბიჯით გამობრუნდნენ ოთახებისკენ, თითქო ის იყო მათ თვალ წინ ცას მოსხლეტოდა მწველ ნაპერწკლების გამომცემი ცისიერი და ახლო გაეღვებით გამოეწვია გაუძლისი სიცხოველე, ესენი ტყუილად ეთენთა. ვერიკოს ოთახი არეულ-დარეული, უხვად სუნელ ნაკმევი, დამბრტყილი გზალებული კმაყოფილ ღიმილს ჰგვრიდა ნატოს, რომელიც კრიალოსნის თამაშით წინდა-უკან დადიოდა, სახე-გაბრწყინებული ითვალისწინებდა იმ სიდიადეს, როგორსაც მიიღებდა მისი თვალის ჩინი ვერიკო. იქვე სავარძელზე გადაშლილი შავი ხავერდის კაბა ოქრომკედით ნაქარგი სარტყელ-გულისპირი ამოწმებდნენ, რომ თურმე ნატოც აპირებდა წასვლას, მაგრამ ბევრნაირ მოსახრების გამო ერჩია ქალიშვილი მარტო კნეინა მერისთვის გაეყოლებინა, რადგან ვერიკო მერის გვერდით საზოგადოებაში უფრო ერთბაშად დიდ ნაბიჯს წადგამდა, მაშინ ნატოს გასვლასაც მეტი ფასი ექნებოდა. როდესაც ვერიკოს ღმერთი მოხედავდა, მთავარმმართველის ამალიდან რომელიმე რჩეული ყმაწვილი შეირთავდა, ნატოც კნიაგინია ნატალი გახდებოდა.

ამ დროს ძველ ხურჯინსავით ერთხელვე ჩამოკიდებული დიდი ხნის ნალველი წამოედებოდა, მოაგონებდა თვით ამ ბრწყინვალე წუთებშიაც, რომლებსაც ასე ეტრფოდა ნატო, რო მაშინაც ისევ ის ტეტია ქართველი, გაუნათლებელი ქალი რჩებოდა, როგორც წინად იყო და მისი აღფრთოვანება რეზინის ბუშტსავით იჩუტებოდა.

ნატომ საყვედურით გაიხედა მარიამის ოთახისკენ და მისმა თვალებმა უცბად სიბრაზით გაიელვეს.. სალი კარებს ზურგით მიჰყუდებოდა, მიჩერებოდა.. ბავშვის ცქერა გამგმირავი იყო და დამცინავი, მაგრამ როდესაც ორივეს თვალები ერთმანეთს შეხვდნენ, უცბად ოთახის კარი ხმაურობით გაიღო და სალი ძვალს მიეფარა. ნატო მოდუნებულის სხეულით სავარძელში ჩაეშვა.. სალი წუთს მარიამის საწოლთან გაჩნდა, საბანს სწორება დაუწყო, ყურს არ უგდებდა თუ უქეიფოდ მყოფი დიდედა რას ელაპარაკებოდა. ბავშვი ლელავდა, ბრაზდებოდა, მაგრამ კრიკა შეჰკროდა და ხანდისხან კიდევაც უბღვერდა მარიამს.. ბავშვს შესძაგებოდა ეს ქერი, რომლის ქვეშაც მომწყვდეულიყო, ეჯავრებოდნენ გარშემო ყველანი, თითქო თვით დიდედაც, რომლის წყალობითაც სალი დღეს ამ ყოფაში ჩავარდნილიყო. უნდა აქედან დროზე წასვლა, სადმე გადავარდნა.. მაგრამ სად?

— სოფელში?.. არც იქ. სალის გუნებას სწყუროდა უფრო მეტი სინათლე.

— შორს, შორს!.. იქ, სადაც სალის ადგილი ჰქონდა.. მაგრამ სად?— ბავშუგი გაჰქონდა ბავშვის გულს და საით წასულიყო, ვერ არკვევდა..

— რატომ ოთარს მაინც არ მიჰყავდა, თუნდა იმ კურგუზოვებთან, რომლებთანაც უკვე მორიგებული იყო და დღეს თუ ხვალ ბავშვებს მაინც წაყვანას უპირებდა?

— სალი, აბა ჩქარა მოემზადე, მამას ცირკში მივყავართ— ქოშინით შემო-

ვარდა ამ დროს პატარა არჩილი შავ ხავერდისგან შეკერილ მეზღვაურისებურ ტანისამოსში, ხელში პრობკის თოფი ეჭირა.

საღიმი თითქო ვერ გაიგონა არჩილას სიტყვა, სახე გვერდზე შეიღო.

— ვერ გაიგონე ქალო, რაც გითხარი?.. აბა, მაშ, მიჰურე, რატომ გამოგაფხიზლო?.. — ამ სიტყვებით ბავშვმა თოფი დაუმიზნა და პრობკა შიგ შუბლში ჰკრა.

— არც ეხლა გაიგონებ?.. მოგხვდა თუ არა!.. ჩქარა ჩაიცივი, ორი ეტლი დგას ჩვენ კარებთან, ბავშვები და მამა შენ გიცდიან. ჯერ ცირკი რომ არ გინახავს იმიტომ ხარ ეგრე.. წამო, ნახე. მოგეწონება. იმ დღეს მე და მამა ერთად ვიყავით.

სალი გაჩუმებული ყურს უგდებდა არჩილას ტიტინს. კარგა ფიქრის შემდეგ თვითონაც არჩია, რომ აქ დარჩენას ისევ ცირკში წასვლა აჯობებდა, მაგრამ მაინც ორჯერ ღრმად შესუნთქა ჰაერი, და რა დარწმუნდა, აქ საშიში არა იყო რა, გაეღიმა..

— მაშ, წამოვიდე, არჩილ? — ფიქრად გაიმეორა მან..

— წამოდი, მაშ, შე ჩურჩუტო, კიდევ ვერ გაიგე რას გეუბნები?.. წამოდი მეთქი.. — ბუკსავით შეჰყვირა მოუთმენლად ბავშვმა.

— დიდედა? დიდედა რომ მარტო დარჩება? ათრთოლების ხმით დაიჩურჩულა საღიმი, თითქოს რაღაშიც დანაშაულს გრძნობდა.

— წადი, შვილო, ჩემი ჯავრი ნუ გაქვს, ჩემთან დედაშენი იქნება. — მოისმა მარიამის ხმა. საღის თითქო თავზე ცივი წყალი გადაესხა, მსწრაფლ გაბრუნდა კედლისკენ კაბის ჩამოსაღებად, მარიამის დატოვება აღარ ენანებოდა, ცირკი უფრო სწევდა თავისკენ. გზაზე დებთან ერთად ეტლში წინა სკამზე იჯდა, თვალს არიდებდა უკანა ეტლში მჯდარ ოთარს, რომელიც არჩილთან ერთად იყო. ის იყო წარმოდგენა უნდა დაწყებულიყო, რომ ოთარი და ბავშვები საუკეთესო ლოჯიაში შევიდნენ. მუსიკა უკრავდა. სალიც თანდათან გუნებაზე მოდიოდა და მხედველობად გარდაქცეულიყო.

უზარმაზარი ხის შენობა თვალ მიუწვდენ თალად შეკრული, რომლის სიერცეში ქანაობდნენ სხვადასხვა სავარჯიშო თოკები, კიბეები... ბავშვები გაფაციცებით იყურებოდნენ. შეუმჩნეველი არ გადარჩენოდათ-რა. მალე ფართედ შემორაგულ კალოზე გამოჩნდა ლამაზად შეკაზმული ბედაური, გვერდით მოჰყვებოდა ტანზე რეზინგაკრული ქალი, ცოცხალი ქანდაკება. წუთს ბედაურს ზურგზე შეაფრინდა, ცალ ფეხზე შემდგარი, დრო და დრო ცეცხლმოკიდებულ რგოლში გამბტარი უკვე ფეხქვეშ გამოკლილ გაქანებულ ცხენს კიდევ უსწრობდა და გულიდან გაუგებარის ამოძახილით გამხნეებული ცხოველის ზურგს ფეხის დაყრდნობით ისევ ზედ ემყარებოდა, უმაღლესი მიღწევა მიმფრინავ სიცოცხლის სიმკვირცხლე-ნარნარისა, რომლის ცეცხლში გამოვლილი ნაზი არსება დამფასებელთ ხელკოცნას უგზავნიდა, დამფასებელნიც ტაშის გრიალით ხვდებოდნენ. ცხენს და ქალს ცხვირწინ გველსავით ეხლაქნებოდათ გრძელი შოლტი, რომელიც თითქოს რაღაზედაც ემუქრებოდათ..

მეორე გამოსვლა მთელი ოჯახისა იყო. დედ-მამა ოთხი შვილით, ერთფე-

რად ჩაცმულნი, სახითაც ერთი მეორის მსგავსნი, განსხვავდებოდნენ მარტო ცალ-ცალკე მოძრაობით, ამათ დანახვაზე ოთარის და ბავშვების თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. მათში სალის თვალები არ ერივნენ. როგორც თვალებს, ისე სხეულს სალი აღარა გრძნობდა. მის წინ არაჩვეულებრივი სანახავი იდგა: ოჯახს აერთებდა ერთი მისწრაფება, რომელიც თვითელს უნდა შეესრულებინა. ერთი მეორის პირისპირ წვრილ წკირზე შემდგარი ცოლქმარნი ხუმრულად კიდურში ერთმანეთთან ბავშვებით ბურთაობდნენ. ბავშვებიც ათასმართხლად გრეხილ-გადაკვანძულები ლამაზის მოხაზულობით ხელიდან ხელში გადადიოდნენ. სალი ხედავდა გადაზნექის დროს ბავშვების კეფა-ფეხის ქუსლებს როგორ უსწორდებოდა, რკლად ქცეულ სხეულს წიბოების ძვლები დასათვლელად გამოსქვივოდნენ, ვარდისფერ რეზინებში მომწყვდელნი დაღეწვით იმუქრებოდნენ. მაგრამ შშობლები შეილებიდან რგოლად შემდგარ სხეულებს აქეთ-იქით ისროდნენ. ქანაობდა საქანელა, მასზე ფეხის ცერებით დაკიდებული მამა საქოჩრეში კბილით შვილს ჩაფრენოდა, თითისტარივით აბზრიალებდა. შთაბეჭდილება მძიმე იყო, თვალის ასარიდებელი, მაგრამ სალი მაინც უყურებდა.

მესამე გამოსვლა პაწია თეთრ ხუჭუჭა თმიან ცუგრიკას ერგო. წინა-ფეხებ-მალლა ამართული, მძივივით ჩასხმულ კრიალა თვალებ გაშტერებული, კალოს ლობეზე შემდგარი ცახცახ-კანკალით წამოვიდა. ამასაც მწვრთნელი ქალი წკეპლით თავზე აღვა. აგონებდა დავალებული პირნათლად შეესრულებინა. ცუგრიკამ სალის ახლო ჩამოუარა, ბავშვმა შეამჩნია საცოდავი პირუტყვი. გასუნთქული, როგორ წვალობდა. სალიმ იგრძნო ამდენ უცხო-უცხო სანახავებთან შეხლართულიყო რაღაც აუტანელი, სასტიკი ძალა და ბრძანება, რომელიც ბავშვს აკრთობდა, ბოლოს მაყურებელთა ტაში მწვრთნელს ერგო და არა ცუგრიკას, ცუგრიკას შემდეგ კიდევ მრავალმა გამოსვლებმა შესცვალეს ერთი-მეორე და წარმოდგენა მასხარებით დასრულდა. ხალხი ხარხარებდა, ხარხარებდა ოთარი ბავშვებთან ერთად, მაგრამ სალი ხმას არ იღებდა.

* * *

— კნიაზს სალამი!—მოისმა უცბად, როდესაც ოთარი და ბავშვები ლოთიდან გასასვლელად წამოიშალნენ. ხალხი ბლომად იყო, მუჯღუგუნებით ძლივს წინ მიიწევდნენ. ოთარმა ხმა იცნო და შუბლშეკრული ისევ სკამზე ჩამოჯდა. მას წინ უდგა სირაჯი აკოფა.

— კნიაზ! გავიგე „პრიკაზიდან“ ფული გამოგიტანია, ძალიან გამეხარდა. მადლობა ღმერთსა! ეხლა კი ეშველებათ განაღდება შენს თამასუქებს, რომლებიც ჯიბეს მაწყვეტენ. ვაჭარ კაცს ორი კაპეიკი ნალდი ფული აბაზად მიღირს. დღეს სწორედ მარჯვენა ფეხზე ავმდგარვარ, რო აქ შეგხვდით. თუმცა ასეც არ მომხდარიყო, თქვენ ბინას მაინც ვიპოვიდი და იქ გიახლებოდით.—დაუმატა აკოფამ, ხუნეშით მიეყუდა სკამის ზურგს. აკოფა რგვალი, მოხარშულ ჭარხალსავით წითური კაცი იყო, ეტყობოდა ოდესმე წითელი ქარი სჭირებოდა.

— მეც ძალიან მიამა შენი ნახვა, აკოფ, მეც დღეს სწორედ მაგ ვექსილების განაღდებაზე ვფიქრობდი.. მართალია „პრიკაზიდან“ ფული გამოგიტანე, მაგრამ... ჩემი უძირო ცხოვრებისთვის ზღვის წყალია კოვზით ამოღებული. შენ

კი მიიღებ მაგ ფულს, მაგრამ...— აქ უცბად ოთარი შეჩერდა, სახე დაეპრანჭა, და შემდეგ, როგორც ცეცხლის მსროლელმა მთის ყელმა მძლავრად ამოიქშინა...

— რასაკვირველია... დიად, მაგას რაღა ოქმა უნდა, რომ მივიღებ, აქამდისაც დიდის ხათრით მოვითმინე და ბევრი ზარალიც ვნახე. რომელ ქუჩაზე სცხოვრობთ?

აკოფას მიმართვა იმდენად დაურიღებელი და მედგარად ოთარი მოიკრუნჩხა, როგორც თავი კატის კლანჭებში. ბავშვებმა შეკრთნენ, მათ იცოდნენ ეს გახუნებულ ტანისამოსში გახვეული, თავზე ჩაჩ-დადებული უშნო ადამიანი როგორ შიგნიშიგან ტრიალებდა ამათ ოჯახში, ვენახსა და ეზოში, ყოველ შემოდგომაზე ურმებს ტვირთავდა საწნახლიდან ახლად გამოშვებულ ტკბილით სივსე რუმბებით. თუმცა ეს კაცი არავის უყვარდა, მაგრამ თითქო თვით განგებას ორი არსება ერთმეორისთვის სამკვდრო-სასიცოცხლედ გაეჩინა და თუ ერთმანეთს ჩამოცილდებოდნენ, უსათუოდ თვითუფლს დაღუპვა ელოდათ, ამას თვითონვე გრძნობდნენ და იმისთვისაც იყო, რომ ერთმანეთს ეპოტინებოდნენ. სალის არც ერთი მათგანი არც აღელვებდა, არც ამშვიდებდა, ორივენი ერთსულ და ერთ ხორცად მიაჩნდა. ამათანა გაორებულ ადამიანებს თავის სოფელშიც ხშირად ხვდებოდა და აღარ უკვირდა ისე, როგორც მის და-ძმათ, რომელნიც აკოფას უბღვეროდნენ. სალის არ უკვირდა ბავშვების ასეთი საქციელიც, რადგანაც ესენი ამ ორ ადამიანს იქით ქვეყანას ვერ ხედავდნენ მაშინ, როდესაც სალის თვალწინ იშლებოდა უზარმაზარი, თვალუწვდენი სამყარო, რომლის მცხოვრებნი უთვალავნი და მრავალნი იყვნენ, ესენი კი თუმცა ორნი, მაგრამ ნებაუფლებით იმ უთვალავზე ღონიერები... სალის აკოფა აგონებდა იმ ვაჭარ კაცებს, რომელნიც ფულს აძლევდნენ კიაზოს, კიაზოც უსწორდებოდა მათ გლეხების ნამუშევართ, როგორც ოთარი გლეხებისგანვე ნაჭირნახულევ, მათის მაგარ კუნთებითვე დასრესილი ყურძნის მარცვლის წვენი.

აქ სალი შეკრთა, როდესაც მისმა გონებამ ოთარს და აკოფას კიაზოც გვერდში ამოუყენა, მთრთოლვარე ხელი შუბლისკენ წაიღო, თითქო უნდოდა სასტიკ უმადურ გონებისთვის საჩქაროდ პირზე მიეთარებინა და ეს უსიამოვნო სახიერება, რომელსაც კიაზოს აყენებდა, პატარა ხელით ჩამოეგლიჯა, ძვირფასი მოხუცი მათგან შორს გაეტყუარცნა. ბავშვის წინ ირაზმებოდა ორი წყება, ერთის მხრივ გლეხობა, მეორეს მხრივ ოთარი, ნატო, მთლად ნათესაობა. კიაზოს და მარიამს სალის ხელში ჯერჯერობით ფეხქვეშ ნიადაგი ეცლებოდათ. ცხადი იყო, მათაც გლეხებთან ადგილი არა ჰქონდათ, ოთარსა და აკოფასკენ სალის გული არ უშვებდა, მაშინ, როდესაც კიაზოსთან ამავე მიზნით კარგად განწყობილნი ვაჭრები სალისგანვე დიდის გამეტებით აკოფასკენ ირეკებოდნენ. კიაზოსა და მარიამის შესახებ კი სალის არსებაში ამტყდარიყო ჯერჯერობით დიდი კამათი, რომლის გადაწყვეტა მეტად გაძნელებულიყო და რომ ეს დამქანცავი ფიქრები თვალისგან მოეშორებინა, ბავშვი დარიკოს გამოელაპარაკა.

— ცირკი როგორ მოგეწონათ ბავშვებო? შეეკითხა ამ დროს ღიმილით აკოფა. მაგრამ ბავშვებმა ხმა არ გასცეს, სალიმ თვალეზზე ხელსახოცი მიიფარა.

— ოჰ, ტირი?.. ცუგრიკა ხომ არ შეგეცოდა?..

— კი არა სტირის, თვალეზი სტკივა.— უპასუხა არჩილმა.

— ყვავილისგან ცრემლი აქვს დატოვებული.— დაუდევრად დაუმატა ოთარმა და ის იყო სიტყვა უნდა შეეცვალა, მაგრამ აკოფამ განაგრძო.

— თვალეზის ტკივილი ეხლა საშიში აღარ არი, როდესაც ქალაქში იმისთანა გამოჩენილი ექიმია, როგორც რეიხი. იქნება კიდევაც დაგვაფიქსიმისთან ეს ბავშვი?

— ოთარმა უცბად შუბლზე ხელი მოისვა, მოხუშულ წარბებიდან სალის გამოხედა, რალაზედაც დარცხვენილმა. აკოფა იღიმებოდა; ღიმილში დაცინვა და სიბრაღული იხატებოდა. პირველი ოთარის მიმართ, მეორე სალისადმი.

— თვალის ტკივილი ყურდასაგდები ავადმყოფობა არ არი. შეიძლება, ცრემლმა თვალის კაკლები დასწვას, დაშრიტოს, ბავშვი დააბრმავოს. რად უნდა მოხდეს ასე, როდესაც შეიძლება, თუ დროზე მიხედავთ?

აკოფას უკანასკნელი სიტყვა ზრდილობის საზღვარს გადაცდა, ოთარს გულში შუბი ჰკრა. აკოფას ეტყობოდა, ცოლშვილის მოყვარული კაცი იყო და ბავშვებს თანაგრძნობით უყურებდა. გული მოსდიოდა თავადის გადაქარბებულ დაუდევრობა-უთაურობაზე, რაც ავადმყოფ შვილზე იჩენდა, როდესაც შენიშნა, ოთარს აწყენა, მის გასამხიარულებლად უცბად აღაპარაკდა მელვინეობაზე და მეხილეობაზე, რაც ოთარს დამშვიდებით არ შეეძლო მოესმინა, აღფრთოვანებით არ აჰყოლოდა. ოთარის ნებისყოფა აქაც ქედს უხრიდა ლაპარაკის საგნის ზეგავლენას. უცხო პირისგან საშიშ ქეშმარიტების მამხილებელი ხმა იხშობოდა ჩვეულებრივ ფართე-ფართე სიტყვებით, დაპირებებით, რასაც სალი დაბლვერით ისმენდა.

სახლში მოსვლისას ბავშვები ერთმანეთს აღარ აცლიდნენ, აზრების გაცვლა-გამოცვლის დროს ჩხუბიც მოსდიოდათ. ოთარი ქეიფზე არ იყო, სალის ხშირად უყურებდა, ფიქრობდა ხვალ უსათუოდ ექიმთან წაეყვანა. ეს საქმე სულ რაღაც სამი-ოთხი მანეთის ხარჯი იყო, თვითონაც პასუხისგებისგან ამოვიდოდა, როგორც აკოფამ უთხრა. ოთარს ფული არ ენანებოდა, ზეგ აკოფასთვის ასი თუმანი უნდა ჩაეთვალა. აკოფას ცირკში გამოცხადებამ თვალით ნახული სიამოვნება სრულიად გაუუგემურა, ნაძალადევის ღიმილით ძლივს პასუხს აძლევდა არჩილას, რომელიც უზრუნველად ეტიტინებოდა. სალის გონება ნისლში იყო შეხვეული, ცირკს მაზედ მეტად ღრმა შთაბეჭდილება მოეხდინა და მთელი არსება რაღაც გრძნეულებით შეებოჭა. თვითეულ ხაზს, თვითეულ სანახავს, თითქმის მთლად ჩაეყლაპა და ჯერჯერობით ვერ გამოარკვეულიყო, რომ სიტყვით გამოეხატა. რავდენჯერაც დააპირებდა რისიმე თქმას, საქმეზე მარტო ღიმილი აღუჩნდებოდა და დამუნჯებულსავით, თვალეზ ფართედ გახელილი იყურებოდა. ამნაირ საქციელს ბავშვისას აწერდენ მის მიუხვედრობას, ველურობას. და სალისაც არა სწყინდა ასეთი განმარტება.

— აბა მოძიყევი, რა ნახე?— შეეკითხა მარიამი, როდესაც ბავშვმა ოთახის კარი გააღო, სალის აქაც დალაპარაკება გაუძნელდა, სიტყვა დაკარგა. ბავშვი ნსწრაფლ ლოგინში ჩაწვა, თავი საბანში ჩანალა, რომ აღარსაიდან არავისი ხმა არ გაეგონა.

* * *

რასაკვირველია, როგორც ცირკმა, ისე სალხინო საცეკვაო საღამომ შე-
საფერი ნაყოფი გამოიღო. ბავშვებს ოთახში იატაკზე საფენი გაეშალათ, ყირაზე
დგებოდნენ. სასტუმრო ოთახშიც მინაზებულ, ფერ-მიტეტკიდ ვერიკოს შემო-
ხვეოდნენ შშობლები, მფარველი ნათესავ-ნაცნობნი ქალები, იშვიათ გამარჯვე-
ბას ულოცავდნენ. ოთარის ხელის თითები უკვე გრძნობდნენსაქმისძირულ დრო-
ში ვერიკოს წყალობით რა უმაღლეს სიმდიდრესა და ბედნიერებას მიიღებდა.
სახლის წინ ეტლები ერთმანეთს ეცილებოდნენ, მოსამსახურეები ველარ ასდიო-
დნენ სტუმრების მიღებ-გასტუმრებას. ამის გამო ოთარს ბრძანება გაეცა, ბავ-
შვებიც ჩარეულიყვნენ. ამ საქმეში ყველაზე მეტად დარიკო იჩენდა დიდ სიმკვი-
რცხლეს, სალი კი მეკარეობაზე დიდ უარს აცხადებდა, როგორც სტუმარი,
რომელსაც ეს გარდაწყვეტილება არ ეხებოდა. სახლში მყოფები მის სტუმრობას
უკვე შესჩვეოდნენ გარდა ნატოსი, რომელსაც ჩვეულებრივად მოსვენებას უფრ-
თხობდა.

ვერიკოს გამარჯვების გამო ოთარს აღარ ენანებოდა აკოფასთვის ფულის
მიცემა, მიზანთან უცბად მიღწევა გულუხვად ქმნიდა. „მთავარმმართველად მი-
ხეილ ნიკოლაევიჩი, მისი ბრწყინვალე ამაღა და ამაღლის ერთ ერთი წევრი ოთა-
რის სიძე“. ამ ფიქრების გამო დიდის სიყვარულით შეხაროდა ვერიკოს. ვერი-
კოს ანდამატი ოთარს დიდი ხანია ეცნო ნატოს სახით უკანასკნელის სიღამაზე
გაუმჯობესებული განათლებით. ოთარი სავარძელში ველარ ჩერდებოდა, პაპი-
როზის წევით ოთახში დარბოდა. მის ოცნებას აძლიერებდა დამატებაც, რომ
ეს ცდა უკანასკნელი არ იყო, რომ ამ პირველს შემდეგი უფრო სახეირო ცდე-
ბი მოჰყვებოდნენ. ოთარი ალერსით თვალს გადაავლებდა ბავშვებს და თვალით
თვითეულად სწონავდა, მაგრამ ამ დროს მისი ყურადღება უცბად შეჩერდებო-
და სალიზე, და არც რწმუნდებოდა რო ეს მოცადი ბუნების მხრივ სწორედ
გამოკამათება იყო გაუგებრობასა და შეცდომის შორის.

სალი გაოცდა, როდესაც ოთარმა ზრდილობიანის კილოთი სთხოვა სი-
დედრს, ამისთვის სუფთად ჩაეცმია, ექიმთან მიჰყავდა. მარიამსაც გაუკვირდა.
ოთარმა სალისადმი ასეთი მზრუნველობა გამოიჩინა უდროოდ, როდესაც მთელ
ოჯახს პირზე მარტო ვერიკოს სახელი ეკერა. როგორც მარიამს, ისე ნატოს
მტკიცედ სწამდათ სალის განუკურნავი სნეულება და მას არამც თუ რეიხი,
ქრისტე ღმერთი რომ ჩამოსულიყო, ისიც ვერ უშველიდა, ეს რწმენა ნატოს
მეტად ამშვიდებდა. მარიამმა პირშიაც დააპირა თქმა, მაგრამ რაკი ოთარს
სიტყვის შებრუნება არ უყვარდა, ბავშვს ექიმთან მიყვანითაც არ დაუშავდე-
ბოდა რა, ფულის ქისიდან თუმნიანი ამოიღო და შემდეგის სიტყვებით გაუწოდა.

— თქვენი ნებაა, რაკი აგრე მოგსურვებიათ, წაიყვანეთ. აი ექიმის ფუ-
ლიც, კიაზოსაგან დაბარებული მაქვს, სალიზე გაღებული ყოველი ხარჯი ჩვენ
გადავიხადოთ.

ოთარმა ასეთი სიტყვა ჯერ იუკადრისა, მაგრამ, როდესაც გაიხსენა, რომ
სალი დიდი ხანია ამ მოხუცებულებს ეკუთვნოდა, ფული ჩამოართვა.

— ჭეშმარიტებაა, როდესაც სალ ხორცში ხიჭვი შევა, ხორცი შეუფერე-
ქურნალი „მნათობი“ № 5—6.

ბელ საგანს ვერ ურიგდება და ცდილობს, როგორმე მოიშოროს. აქ კი ჩემს სხეულში შემოჭრილი ხიჭვი ჩემდა საბედნიეროდ თავისთავად მშორდება. — ფიქრობდა ოთარი, როდესაც ეტლში სალის გვერდით გაწოლილიყო, მაგრამ მალე ისევ ტკბილმა ოცნებამ წარიტაცა. სალი ეტლში მობუზულიყო ძვარბსავით ეკალ-აშვებული. დრო-და-დრო მალვით გამოხედავდა ოთარს, რომელიც ზმუკუნებდა. ბავშვის ყურმახვილ სმენას არ ეპარებოდა ჭეშმარიტებას, რომ ოთართან სასიმღერო ჰანგები მწყრალად იყვნენ.

ბავშვი ოთარის გვერდით თავს ისე გრძნობდა, როგორც გაქეციანებული ლეკვი, როდესაც ბეითალთან მიჰყავდათ.

ექიმს ავადმყოფების მიღება გაეთაყვებინა, თვითონაც სადღაც აპირებდა წასვლას, მაგრამ, როდესაც მსახურმა ოთარის ვინაობის სადარბაზო ბარათი შეუტანა, მიიღო. მკურნალის წინაშე ოთარი მეტად გულმტკივნეულ მშობლის სახეს ხატავდა, სალის ფერაობაც დაუწყო. ექიმიც დიდის პატივისცემით ისმენდა მოსიყვარულე მამისგან შვილის შესახებ ავადმყოფობის ვითარებას. სალი ნთელის სხეულით კანკალებდა, რაღაც წარმოუდგენელ საშინელების მომლოდინე მალ-მალ თვალებს ხუჭავდა. ბავშვი ხედავდა მაგიდაზე დალაგებულ პრიალა სხვადასხვა იარაღებს, მათ შორის პაწია გალესილ დანის მსგავსს რალასაც. გულში სწყევლიდა აკოფას, რომელმაც ოთარს მოაგონა ამ ექიმის ქვეყანაზე გაჩენა. ექიმი კი ამ დროს დაუზოგავად, უხეშად, როგორც ეჩვენებოდა სალის, თვალის კილოებს უბრუნებდა, წამლით ურეცხდა და მის წკმუტუნსა და ტანის გრეხას სრულიად ანგარიშს არ უწევდა.

— ამ ბავშვს წამლობა დიდხანს მოუნდება. ცრემლის მილი შეკრული აქვს, გაწმენდა და გახსნა დასჭირდება; ენახოთ, თუ წამლებმა არ უშველეს, გაჭრაც დასჭირდება, — წარმოსთქვა დამშვიდებით ექიმმა, როდესაც სინჯვა გაათავა.

სალის მოეჩვენა ეს თეთრებში ჩაცმული, მაღალი, ჭალარა კაცი მზარეულად, რომელიც დაკვლას უპირებდა და შესძაგდა. ოთარიც შეფიქრიანდა, არ მოელოდა საქმის ასე გართულებას და ამანაც გულში შეუკუროთხა აკოფას. მაგრამ მალე აქაც მისმა მედიდურობამ სძლია დანარჩენ მერყეობას და რომ მკურნალის წინ თავი არ დაემცირობინა, სთხოვა, ყოველ დღე ეელო მასთან და სალისთვის ეწამლა.

ექიმმა თავის მხრივ დინჯად და მოურიდებლად წარუდგინა ერთხელვე დაწესებული საყოველთაო პირობები, რომ მის ბინაზე მომსვლელთ უნდა ეძლიათ ორ-ორი მანეთი და ვინც სახლში მიიწვევდა, სამი. ოთარს ეოცა ამგვარი პირობა, რადგან სხვა მკურნალებისგან ჩვეული არ იყო ამნაირ ვაჭრობაზე. მაინც არ შეიმჩნია. ამ წუთებში ოთარს სრულიად დაავიწყდა, თუ ეს ვაჭრობა სალის გამო იყო გამოწვეული, არამედ მოქმედობდა ჩვეულებრივ თავის ბუნებასთან შეთანხმებით, როგორც ყოველ ხელშეკრულობის დროს და წარბშეუხრელად ხელს აწერდა, თუნდ ამ ხელშეკრულობას მისთვის ერთი საათის შემდეგ თავზე ცა ჩამოენგრია. ექიმმა ბავშვს წამლები გამოუწერა, ლურჯი სათვალე, აღუთქვა ხვალ საღამოზე მისვლა და შემდეგ ორივე, მამაშვილი, მეორე სართულიდან დიდის პატივისცემით ძირს ჩამოაცილა.

დეკაბრისტები საქართველოში



ქართული
ენციკლოპედია

რედაქციისაგან. იური ტინიანოვის რომანი „კიუხელბეკერი“ ქართული საბჭოთაო დეკაბრისტე, თანამედროვე რუსეთის პროზის ერთი თვალსაჩინო ნაწარმოებია. რომანი აშენებულია კიუხელბეკერის ბიოგრაფიის მასალებიდან — და ისეთი ოსტატობით, რომ შიგ მომწყვდეულია მთელი ეპოქა დეკაბრისტებისა. ამნაირი რომანი დასავლეთში დიდი ხანია რაც იწერება; იმათგან ჩვენ დავსახელებთ: მონრუას „არიელს“ — ამ რომანში ბიოგრაფიულ ცნობების მიხედვით აწერილია ლორდ ბაირონისა და შელლის ცხოვრება. და ვარკოს „მწუხარე ამბავი, ფრანსუა ვიონის ცხოვრება“, რომელშიაც აწერილია ფრანგი პოეტის — ფრანსუა ვიონის ცხოვრება.

„კიუნალია“-ში საერთო ისტორიულ ფონზე მოცემული არიან დეკემბრის აჯანყების გმირები: ყველაზე უკეთესად მაიხც აწერილია ლიციე, რომელშიაც სწავლობდა კიუხელბეკერი პუშკინთან ერთად. შეიძლება ითქვას, რომ ეს თავი განსაკუთრებულ ოსტატობით არის ჩაწერილი: აქ აწერილია ლიციის ცხოვრება იმ მოგონებებთა და ბიოგრაფიულ მასალების მიხედვით, რომელიც დარჩათ ლიციისტებს, განსაკუთრებით პუშკინსა და პუშკინს.

აქ ნათარგმნია ერთი თავი ამ წიგნიდან „კავკასიაში“, სადაც აწერილია კიუხელბეკერისა და გრიბოედოვის ცხოვრება ტფილისში.

კიუხელბეკერი და გრიბოედოვი

ვილჰელმი კავკავში ჩამოშორდა ერმოლოვს, ვილჰელმი ავად გახდა და რამდენიმე კვირა ეგდო მაგარ ლეიბზე რომელიღაც ცუდ სასტუმროში. ტფილისში ის ჩავიდა 1821 წლის ოქტომბერში.

გრიბოედოვთან შეხვედრამ ძალიან გაამხიარულა. მთელი ღამე არ ეძინათ მეგობრებს და ყველაფერზე ერთბაშად ლაპარაკობდნენ: ევროპაზე, მეფეზე, ერმოლოვზე, კორბონარიებზე, პუშკინზე.

გრიბოედოვი იჯდა ახალახში, რომელიც საცვლებზე ეცვა, ხელი ჩამოკიდებული ჰქონდა (ის წინათ გაუხვრიტეს დუელის დროს და შემდეგ როცა ტფილისისაკენ მოდიოდა გზაზე ხელმეორედ მოიტება) და გამოკითხავდა ამბებს მეგობარს, ლაპარაკობდა ნელა, უცქეროდა ვილჰელმის დამწვარ და გამხდარ სახეს და უღიმოდა მას.

— რა ამბები ისმის პეტერბურგში?

— ყველაფერი ისევ ისეა, ჩემო ძვირფასო, ქალაქის ჭორები, პატარა დამცინავი ხალხი გამრავლდნენ, მეც დამცინიან, ვეზიზლები ყველას — მხოლოდ შენ და პუშკინი დარჩით. მე შენთან ძალიან დიდი ხნით მოვსულვარ, დაღლილი ვარ, ვერსად ბინა ვერ დამიგდია, ხუმრობა საქმეა...

— უთუოდ ჩემო მეგობარო, უთუოდ ერთად ვიცხოვროთ. მე და შენ ამასთან ერთად ერთი და იგივე მძიმე ოხშივარი ერთად გვერეკება. აქ ყოველ შემთხვევაში უკანასკნელი პუნქტია. ეს მხარეა დავიწყებისა (უკანასკნელი სიტყვები გრიბოედოვმა თითქმის სიამოვნებით წარმოსთქვა). მიიხედ მოიხედავ და შეგიყვარდება.

II

დილას, საუზმის შემდეგ, რომელიც მოიტანა, ტუფლების შიშველ ფეხზე, ბარტყუნით გრიბოედოვის მოსამსახურემ, (მას რაღაც უცნაურ შემთხვევით ერქვა ალექსანდრ გრიბოვი) მეგობრები გაემგზავრენ ერმოლოვთან.

უცნაურ სანახაობას წარმოადგენდა ტფილისი. ეს იყო რაღაც ერთნაწილ-ზე დაყრილი ქვების გროვა. ორ სამ მთავარ ქუჩაზე იყო მუშაობის ახალი ახალ განიერ შენობის ახლო, ნახევრად გახდილ ჯარისკაცებს მიწინებულ კვარცხლბეკზე და ილუნებოდნენ სიმძიმის ქვეშ. თავები ჯარისკაცებს შეკრული ჰქონდათ სოფელი ტომრებით, შემოდგომის მზე კიდევ ახურებდა ტფილისს. ტფილისი—ტფილი ქალაქი (აქ შეცდომით ავტორს ნახმარი აქვს „Тифликалар“) ნიშნავს ცხელ ქალაქს. წერაქვის ხმა, რომელიც ისმოდა აგურის შესწორების დროს, დილის ჰაერში უჩვეულოდ კრიალებდა.

— აქ ჯარისკაცები მუშაობენ?—კითხა ვილჰელმა ალექსანდრეს.

— აქ ყველა ჯარისკაცები—უბასუხა გრიბოედოვმა—სამხედრო მუშები არიან. ალექსეი პეტროვიჩმა ჩვენ პოლკის უფროსებს ნება მისცა მოიხმარონ ჯარისკაცები სამუშაოზე და ნალე ყველა უფროსებს დიდებული სახლები ექნებათ. სამოქალაქო უწყების ხალხი რას მიეწევიან—სად იშოვი ეხლა შენ მუქთა მუშას? მათ გაიარეს შტაბის ახლოს, რომელიც შენდებოდა. ბრტყელი სახლების იქეთ უკვე მოსჩანდნენ ახალი სახლები. ბრტყელი სახლები მოსჩანდნენ შეზღუდულნი.

— როგორ გაბედულად აშენებს ის ახალ სატაბტოს—სთქვა ვილჰელმა.

— ეს „ეს“ იყო ერმოლოვი. როცა კიუხლია ვინმეზე იქნებოდა შეყვარებული, ის მაშინ მას სახელს არ უძახოდა. ის კი ყოველთვის იყო ვინმეზე შეყვარებული. ამ შემთხვევაში—ერმოლოვზე.

— და, მართლაც ძალიან გაბედულად აშენებს, ჩაიცინა გრიბოედოვმა.

— არც ხალხსა და არც ფულს არ ზოგავს, გეგმა კი არ არის, და არც ბევრი ახალი რამეებია საჭირო, არც სილამაზე და არც მორთულობა—მაგალითად აკრძალა აეშენებიათ დახურული აივანი თავის სახლის ჭარშემო. ეს აივანი კი საჩრდილებელია. აქ კი, ამ ჯოჯოხეთში უჩრდილებლად ცხოვრება შეიძლება? აქ თუ ჩარდახი არ ექნა აგური სიციხისგან გადნება.

— მაშ რატომღა აკრძალა?

— ისე, გადაჭრა და გათავდა.

ჯერ კიდევ ადრე იყო ერმოლოვთან მისვლა. მეგობრებმა გაისეირნეს. რაც შორდებოდნენ ციხეს უფრო და უფრო სიჩუმე ვარდებოდა. ვიწრო და მრუდე ქუჩები უწყესრიგოთ სჭრიდნენ ერთიმეორეს. ჰაერში იდგა სიმყრალის სუნი უწყიდურობისა და გადანაყარისაგან. გამოჩნდნენ ცარიელი სახლები.

— უფრო იქეთ წასვლა არ ღირს, იქეთ სულ ხრიოკებია, სთქვა—გრიბოედოვმა.

— რატომ არის მერე ასე,—იკითხა ვილჰელმა.

— ეშინიათ დაცემისა, ჩანოსახლდნენ აქ ციხის ახლო, ეს ციხე მათ იფარავს. აქ ერთხელ ჩეჩნელები შემოვარდნენ. ხოცვა და ელეტა იყო საშინელი.

— ნიკოლაი ნიკოლაევიჩ პოხვისტნევი — წარუდგინა ვილჰელმს გრიბოედოვმა ახალგაზრდა ყმაწვილი.

პოხვისტნევმა დადი ერთგულებით ჩამოართვა ხელი კიუხელბერგს.

— მაშ შეუძლია, ალექსი პეტროვიჩს ეხლა ჩვენი მიღება? — იკითხა ალექსანდრემ.

— თქვენ ყოველთვის შეგიძლიათ, ალექსანდრ სერგეევიჩ, ჩემს დასავლებით უპასუხა პოხვისტნევმა, — ნება მომეცით მხოლოდ შევიტყუო.

და ის მალე დაიმალა შიგნით ოთახებში.

— ვინ არის ეს კაცი? — იკითხა ნახევარ ხმით ვილჰელმა.

— მიახლოებული ჩინოვნიკია, — შუბლი მოიღუშა გრიბოედოვმა — პიკულოკაციოკულო.

ერთი წამის შემდეგ პოხვისტნევმა თხოვა მათ ერმოლოვთან. ერმოლოვი იჯდა მაგიდასთან. მაგიდაზე ეწყო უწყებები, დახაზული რუკა, შემოსავალ გასავლის წიგნი და გვერდით კიდევ რაღაც ესკიზი.

კედელზე ეკიდენ რუკები. უთვალავი რიცხვი შტრიხებისა, რომელნიც შეჯგუფებულიყვენ შავ წრეებში. მთები გადაჭრილი იყვენ ცისფერი და წითელი ხაზებით.

ერმოლოვი არ გავდა ამ წუთში იმ პორტრეტს, რომელიც დახატა მისგან დოუმ. მსხვილი წარბები შეკუმშული ჰქონდა, განიერი სახე გახსნოდა და სპილოს თვალები რაღაცას ელოდენ და ყოველ შემთხვევისთვის იცინოდენ. მას ეცვა თივთიკის ახალოხი ტიტველ გულზე გადაღედილი. და გულზე ამოსვლოდა ხუჭუჭა შეჭალარებული თმა.

და ის ცოტათი ჩამოგაედა კრილოვს.

როცა შეხედა მეგობრებს, ის წამოდგა და უცებ უხარმაზარი გამოჩნდა. მან გულიანათ ჩამოართვა ხელი გრიბოედოვს და ვილჰელმს კი მოეხვია.

— კეთილი იყოს თქვენი მოსვლა — სთქვა მან ცოტა ყრუ, მაგრამ სასიამოვნო ხმით, მორჩილად გთხოვთ დაბრძანდეთ.

— როგორ იმოგზაურეთ, ჩემო ძმობილო, — კითხა მან ვილჰელმს. — როგორია თქვენი ჯანბრთელობა. — და აშკარა სიამოვნებით ჩახედა მას სახეში. — ხომ არ შეგეშინდათ დარიალში? საშინელი სანახავი ადგილია. აი ხომ არ ინებებთ, — თათურობდა ხელი ქაღალდებში და ნახა croquis — აი ჩემი ოსტატობა.

ერმოლოვის ნახატი სწორი იყო, ჩრდილები მთაზე თითქმის არ სჩანდენ. მთები დახატული იყვენ მარტო ხაზებით.

— ეს კი არ ვიცოდი, თუ თქვენ მხატვარი იყავით, ალექსეი პეტროვიჩ, — სთქვა ღიმილით, გრიბოედოვმა.

— ჰე, ჰე... ის კი არა, მე თვითონ არ ვიცოდი წინათ — და მან გაიცინა. — ყოველ ადამიანში არის მოულოდნელობა, დიახ, თქვენ, ვილჰელმ კარლოვიჩ, უთუოდ გგონიათ, რომ ეუკოვსკი პოეტია. მეც, რომ ვსთქვა, მეც ასე მგონია, მაგრამ თქვენ უთუოდ არ იცით რომ ეუკოვსკი მშვენიერად სწერდა: ბიულეტენებს.

ვილჰელმმა პირი დააღო.

— რომელ ბიულეტენებს?

— სკობელევის ბიულეტენებს 12 წელში. მშვენიერი იყო ეს ბიულეტენები. სწერდა და მორცხვობის გამო მალავდა. და მან კი ისარგებლა დაუმსახურებელი სახელით. ეხლა ეს მითხარი, რას ფიქრობ საბერძნეთის შესახებ? — ეშმაკურად ჰკითხა მან ვილჰელმს, ეტყობოდა მას ახელებდა და თან აგრძელებდა ძველ ნალაპარაკებს.

— ეს ჩვენ, თქვენ უნდა გვითხრათ, ალექსეი პეტროვიჩი!

— როგორ მოგწონთ?! — ხუმრობით უთხრა ერმოლოვმა გრიბოედოვს. — ეს ჩვენი მეგობარი კავკასიამდე აპირებდა ჩემ გაბრიყვებას. გადაიყვანე შენი ჯარი საბერძნეთშიო, ალექსეი პეტროვიჩო, მთელი რუსეთი თქვენთან იქნებაო. არა, ჩემო ძმაო, ვუპასუხე მე. მაშინ, ჩემო ძმაო მე თვითონ გადამისროლიან. ეს კი არა, კინალამ მართლა არ შემაცდინა, — გაიცინა მან გულიანათ.

ძლივს ძლივობით დავაღწიე თავი. რას მეუბნები ჩემო ძმაო მეოქი, ვეუბნებოდი მე. მე კავკასიაში კიდევ რამდენი უბედურება მაქვს რომ იცოდეთქო, სად შემიძლია ასეთი ამბები... პოეტებთან მართლა კარგია ყოფნა...

სამივენი იცინოდენ. ერმოლოვთან ადამიანი გრძნობდა თავისუფლებას.

ვილჰელმი შეჰყურებდა მას შეყვარებული თვალებით.

— მაგრამ მართლა, რაშიც დამარწმუნა მე ვილჰელმ კარლოვიჩმა, ეს იყო ხალხოსნობა, — სთქვა ეშმაკურად ერმოლოვმა. — დიახ, რუსულ ხალხურობაში, უბრალო ხალხშიც პოეზიისთვისაც ძალიან დიდი განძი აწყვია. ეს მართლა კარგი აზრია და მე მგონია რაღაც ამგვარს თქვენც ამბობდით, ალექსანდრ სერგევიჩ?..

გრიბოედოვს გაელიმა.

— ვილჰელმ კარლოვიჩ, როგორც ეტყობა თქვენ გზაში მარტო ბერძენათ კი არა, პოეტადაც გაუხდინართ. — სთქვა გრიბოედოვმა.

— არა, მე ლექსებს არ ვწერ, სად შემიძლია; სუვოროვიც ხომ სწერდა და იმასაც რა საძაგელი ლექსები გამოუდიოდა. რელიაციები, იცოცხლეთ, მე მე-მარჯვებოდეს; მაგრამ როგორ არის შენი ხელი? ალექსანდრ სერგევიჩ. — კითხა მან გრიბოედოვს და შესცვალა საუბარი.

— სულ ისე მტკივა, ეხლა ექიმს უნდა, ხელმეორედ გადამიმტვრიოს!

— და გადაამტვრიე, ღმერთი იყოს შენი მწყალობელი. სპარსეთში ჩვენ თქვენ არ გაგიშვებთ, თუ თვითონ არ მოინდომეთ. მე უკვე მივსწერე წერილი ნესელროდეს. იქნებით აქ ჩვენთან მდიუნად გარეშე საქმეთა ნაწილში. და ბასტა! აღმოსავლეთის შკოლასაც გაიჩენთ. განა, სპარსელებს კიდევ სწავლობთ? — ისევ გაილიმა ერმოლოვი, — ეხლა თქვენ შეიხებზე უკეთესად ლაპარაკობდეთ იქნება? ჩვენ ძველი დავა გვაქვს, — მიუბრუნდა ის კიუხელბეკერს. არ მიყვარს სპარსეთი და არც მათი ჩვეულებები მიყვარს და მათი სიტყვაც მძულს.

— ალექსანდრ სერგევიჩ კი ესარჩლება. სპარსელები თხოულობენ რომ ყველაფერი, სულ ყველაფერი ბოლომდე იყოს დაწერილი. ჩვენ ევროპელები კი დავსვამთ რამდენიმე ადგილას წერტილებს à la ligue — და თითქო არის რა-

მან ეშმაკურად გაუღიმა ვილჰელმს. მანაც საპასუხოთ გაუღიმა შემკრთალი ღიმილით. როცა კარები გაიხურეს და მეგობრები გავიდნენ, ერმოლოვმა შეწყვიტა ღიმილი და მიუჯდა მაგიდას. მის წინ იდგა პოხვისტნევი და მისჩერებოდა თვალებში.

— უცნაური ადამიანი კია, — ფიქრში შესულმა წარმოსთქვა ერმოლოვმა — ვილჰელმ კარლოვიჩ კიუხელბეკერი, — სლავიანოფილია. მაშინ მას კიუხელბეკერი კი არ უნდა რქმეოდა, არამედ ხლებოპეკარევი. — მას გაეცინა ხლებოპეკარ. ასე სჯობია, თორემ ისე წინააღმდეგობა გამოდის.

პოხვისტნევი მოწიწებით იცინოდა მაგიდასთან.

— ხლებოპეკარ, — გაიმეორა მან წვრილი ხმითა და ალტაცებით.

— აქ თქვენთვის თავადისგან კონვერტია მოსული, — სთქვა მან ფრთხილად, — თავად ვოლკონსკიდან. ფრიად საიდუმლოთ.

ერმოლოვმა აიღო კონვერტი.

— შეგიძლია წახვიდე, ჩემო მეგობარო, — უთხრა მან პოხვისტნევს დაბნეულად და შეიკრა წარბები.

მთავარი შტაბის უფროსი სწერდა გრძელ რელიაციებს სატრანზიტო ვაჭრობაზე და ნავთის მრეწველობის დაარსებაზე ბაქოში, აგრეთვე აფხაზეთში არეულობის დაწყნარების ზოგიერთ ღონისძიებაზე და უმორჩილესად აცნობებდა მის მაღალ აღმატებულებას თუ რა ჰქონდა შემდეგში მხედველობაში მთავრობას.

— შენ მანდ უკეთესად ხედავ, — გაიბურღლუნა უხეშათ ერმოლოვმა და ძლივს გაათავა წაკითხვა ბოლომდე.

ბოლოს კიდევ შტაბის უფროსი კითხულობდა ერთ ახალგაზრდა კაცის შესახებ (ვილჰელმ კარლოვიჩ კიუხელბეკერზე), ხომ არ ჩათვლის მისი მაღალაღმატებულება საჭიროთ მოიხმაროს ეს სამოქალაქო ჩინოვნიკი ისეთ საქმეებში, რომელშიც მეტია რისკი, რადგან ამ ახალგაზრდა ყმაწვილის თავქარიანობა და აფეთქებული გული ყველასთვის ცნობილია.

ერმოლოვი ადგა მაგიდიდან. მან იცოდა რას ნიშნავდა ეს. და მოიგონა საუბარი ნესელროდესთან. ის დადიოდა ოთახში, რაღაცაზე ფიქრობდა — შემდეგ მივიდა ისევ მაგიდასთან, ასე ჩაფიქრებული ის გაჩერდა რამოდენიმე წამი.

წარბები შეიკრუნ და დაბლა ყბა წინ წამოუვიდა.

— ნაკოსია, ვიკუსი, — სთქვა მან და უცებ ვილაცას გაუკეთა გრიმასა, სახე მისი განათდა. — არ გნებავს, მე ეხლავე მაგას დაგიყენებ ტყვიის ქვეშ. მე არას დროს არ ვყოფილვარ მხეცი დამსჯელი.

და დაჯდა, რომ დასწეროს პასუხი:

სრულიად საიდუმლოთ.

თქვენო მაღალაღმატებულებავე,

მოწყალეო თავადო!..

სწერდა ერმოლოვი, მსხვილი, მაგრამ ლამაზი ხელით, — თქვენი საიდუმლო მომართვა № 1067 მივიღე, რომლის შესახებ ვიჩქარი გამცნოთ, რომ რაც შეეხება აფხაზეთის მხარის დაწყნარებას მე გამოვიმუშავე ცალკე გეგმა,

რომლის განმარტებას უადგილობისა და აგრეთვე მისი უალრესად საიდუმლოების გამო ამ ჩემ მიმართვაში ვერ ვთვლი შესაძლებლად...

...დაარსება ნავთის სამრეწველოებისა, როგორც სახელმწიფოს სუბრველეს მნიშვნელობის წამოწყებისა...

— ...რაც შეეხება ბ. ვ. კიუხელბეკერს ის მხოლოდ დღეს ჩამოვიდა, იმ ავადმყოფობის მახეზით, რომელიც მას შეემთხვა კავკასიაში მისი მნიშვნელობის საქმეში ჯერ ვერ გამოუცდელი გამოვიყენებ, რადგან ეს ითხოვს დიდ გულადობას. — ერმოლოვმა შეხედა წერილს და გაუხარდა:

— ეხლა მოდი და როგორც გინდა ისე გაიგე, მოწყალეო თავადო! — და მიაწერა:

თქვენი ბრწყინვალეების მორჩილი მონა
ერმოლოვი.

მან ჩასდვა ვოლკონსკის ქალაქი სერიაში „საიდუმლონი“, შემდეგ ამონსუნთქა, შეიკრა ლილები და გამოვიდა ოთახიდან. როცა პოხვისტნევი ნახევარი საათის შემდეგ შევიდა ოთახში, იქ არავინ არ იყო. მიეპარა, მივიდა მაგიდასთან, მონახა პაპკა წაიკითხა ვოლკონსკის წერილი და ჩაუვიქრდა.

III.

ალექსანდრეცა და ვილჰელმიც ყურს უგდებდენ ერმოლოვის რჩევას და მაინცა და მაინც არ ილღებოდენ სამუშაოთი. დილაობით დადიოდენ ცხენით სასეირნოთ, საღამოობით დადიოდენ საკრებულოში, ან და იჯდენ აივანზე და გაყურებდენ კავკასიის მთებს და უსმენდენ ძირს როგორ ელაპარაკებოდენ ერთმანეთს დიასახლისები, რომელნიც ერთმანეთს მოუთხრობდენ ტფილისის „რაამბავია“-ს ამ დღისთვის.

ჩუმად დადიოდა თავისი ტუფლებით მოსამსახურე ალექსანდრე, გადადგამდა რამეს და ცხვირში რალაც წაიმღეროდა...

ლამე გრიბოედოვი მივიდოდა ქორტოპიანოსთან და დაიწყებდა დაკვრას და მერე მიუჯდებოდა და საათობით უკრავდა ფილდს. ქორტოპიანო იყო განსაკუთრებით მოწყობილი, რადგან მარჯვენა ხელი გრიბოედოვს გახვრეტილი ჰქონდა იაკუბოვიჩთან დუელში. იაკუბოვიჩმა საგანგებოთ გაუხვრიტა ხელი, რომ გრიბოედოვს არ შესძლებოდა დაკვრა.

ერთხელ გრიბოედოვი შემკრთალი შეეკითხა ვილჰელმს:

— ჯერ ადრეა საკრებულოში წასვლა, გინდა წაგიკითხო რამე ჩემი ახალი კომედიიდან?

იმ ნიშნებით რომ გრიბოედოვი მთელი საათობით იდგა ხოლმე და ჩაფიქრებული კალამს ხრავდა და რალაცა საიდუმლო ქალაქებში იყო გახვეული და აგრეთვე უძილო ლამეების ხშირი განმეორებით, რომელნიც გრიბოედოვს დაჩემდენ, ვილჰელმა იცოდა, რომ გრიბოედოვი სწერდა.

მაგრამ ეხლა მან პირველად ჩამოუგდო ვილჰელმს ამის შესახებ ლაპარაკი.

— ჩემი კომედია „ვაი ჰკუას“ ხასიათის კომედიაა. ჩემი გმირი ჩვენია,

მაშ ეს არის ზოგი ჩემგან, მეტი კიდევ შენგან. წარმოიდგინე ის ბრუნდება როგორც შენ ეხლა შორეულ ქვეყნებიდან, მას უღალატეს, მაგრამ ვისთან, წარმოიდგინე პოხვისტნევთან, ან ამ ნიკოლაი ნიკოლაიჩთან. წესიერი, დინჯი და ამასთანავე უაღრესად საძაგელი. აქედან არის ეს კატასტროფა, ხასაცილოა, რასაკვირველია.

მან გაიარა ოთახში, თითქო უკმაყოფილო იყო იმით, რაქმე უფრო კობდა.

— მაგრამ საქმე ამაში კი არ არის, სთქვა მან, ხასაცილოა არის მთავარი. პორტრეტები. საჭიროა ჩვენი კომედიის დანჯღრევა, სადაც ინტრიგა ინტრიგას ეკიდება და ადამიანი კი არსად არ სჩანს და სულ ფრანგული კომედიის სუბრეტებია. შენ გესმის რაშია საქმე, — გადადგა ის ვილჰელმის წინ, — მე მოქმედება კი არ მინდა კომედიაში, არამედ მოძრაობა.

მომძულდა მე ეს გადაბმა და გადმობმა, პორტრეტები და მხოლოდ პორტრეტები შედიან კომედიაშიც და ტრაგედიაშიც. მე დავატაკებ გმირის მოწინააღმდეგე ხასიათებს და გამოვიყვან პორტრეტების მთელ გაღერეიას, დაე თეატრში იცხოვრონ.

ვილჰელმი გულმოდგინეთ უგდებდა ყურს.

— რა უბრალოებაა დასახული, — თქვა მან, — მაგრამ შენ ამით თეატრში რევოლუციას მოახდენ. მაგრამ როგორ გააკეთებ შენ ამას? მე დიდხანს ვფიქრობდი ჩვენ კომედიაზე და ჩვენ ლირიკაზე. მეც მომწყინდა ასე გაუთავებელ ოხვრის ელევგიების წერა. მე თვითონ ვიცი, რომ ყველა ამას ერთ მანერაზე სწერს. როგორ არ უნდა იყონ ფრანგული სუბრეტები ჩვენ სცენაზე, როცა ჩვენი განაზებული ენა მხოლოდ სუბრეტებისთვის ვარგა. მეც მოხარული ვიქნები ელევგია გადავაგდო, მაგრამ ამოიოხრებ თუ არა ახალგაზრდობაზე და დაიწყებ წერას თუ არა — გამოვა ელევგია. თვითონ ლიტერატურული ენა მხოლოდ ელევგიას გვიკარნახებს.

— კრილოვი? — იკითხა უცებ გრიბოედოვმა.

ვილჰელმა ვერ გაიგო.

— კრილოვი, — გაიმეორა გრიბოედოვმა, — დერეჟინი? განა მათი ენა ნაზია? — და იმას თვალეები გაუბრწყინდენ. — ჩემო ძმაო, სანამ ჩვენ ამ კარამზინის სისულელეს არ ჩამოვიბერტყავთ, მანამდი ჩვენ არაფერი არ გამოგვივა.

ვილჰელმი მზიარულად უსმენდა.

— მე თვითონ ამის შესახებ ბევრი მიფიქრია, ძმაო, — სთქვა მან ჩუმად. — ო, რომ იცოდე, როგორ მესმის ყველაფერი ესენი. ჩვენში ისე სწერენ, როგორც უცხოელები, ზედმეტად სწორად და ზედმეტად ლამაზად...

ათინაში წინად ერთმა მოვაჭრე ქალმა იცნო უცხოელი იმით, რომ ის ძალიან სწორად ლაპარაკობდა. მე ეხლა ყველაფერი გავიგე. — წამოიძახა იმან და ზევით წამოიჭრა.

— შენ სწერ ტრაგედიას? — ყურადღებით იკითხა გრიბოედოვმა.

— კი, მაგრამ არა იმისთვის, რომ დავბეჭდო. ჩემ ტრაგედიაში კლავენ ტირანს. ხომ იცი ცენზურა კბილებს ჩაასობს.

— მეც ჩემ კომედიაში მგონია ვკლავ ტირანს,—სთქვა წყნარად გრიბოედოვმა—ჩემ უსაყვარლესს მამულს და უძვირფასესს მოსკოვს. იქ ბიძაჩემი ბალებს აწყობს და მართალი რომ ითქვას მეტი არც უნდა რამე სურდეს.

იმან დაიწყო კითხვა.

ვილჰელმი იჯდა სკამზე მიკრული. მისი ლოყები იწვოდენ. ახალგაზრდა ყმაწვილი ბაღზე, რომელსაც არავინ არ უგდებს ყურს, შხაბრ, ჩაჩქლიც ტყუილად იქცეოდა ამ ხალაში—ვილჰელმს ხან თავის თავი ეჩვენებოდა და ხან კიდევ გრიბოედოვი. გრიბოედოვი კითხულობდა წყნარად და დარწმუნებით.

როცა ლაპარაკობდა ჩაცკი, გრიბოედოვის ხმა უფრო ყრუ ხდებოდა, ჩაცკის ის დეკლამაციით კითხულობდა, სხვა ლექსებს კი უბრალოთ.

— როგორია? — იკითხა მან.

ვილჰელმი გადაეხვია კოცნით, სრულიად აღელვებული და დაბნეული გამოხედვით.

გრიბოედოვი კმაყოფილი დარჩა. ის მივიდა ფორტოპიანოსთან და დაიწყო რალაციის დაკვრა. შემდეგ მოიხადა სათვალეები და მოითმუნა თვალები.

როცა ის მობრუნდა, მისი სახე წითელი იყო.

— შენ გესმის, ვილჰელმ, — სთქვა მან, — მე ეს უფრო დიდებულად მქონდა მოფიქრებული და ყველაფერს ჰქონდა უფრო დიდი მნიშვნელობა, მაგრამ რა უნდა ჰქნა, მიყვარს თეატრი, თეატრალური საუბრები, საერთოდ თეატრის ფუსფუსი და ძალიან მინდა ჩემი „ვაი ქკუას“ ვნახო სცენაზე, ამიტომ ზოგიერთს ვაფუქებ კიდევ, რადგან მინდა სცენას მიუდგეს.

მაგრამ რა ვითხრა — არ გინდა გავისეირნოთ ცხენით?

IV

როცა ვილჰელმი შედიოდა საკრებულოში, დამცინავი ღიმილი მიაცილებდა მას. ეს მალალი გერმანელი ცოტა მოლუნული და მოცამცამე თვალებით და ჩქარი და დაბნეული სიტყვით ნიკოლაი ნიკოლაიჩ პოხვისტნევისთვის წარმოადგენდა გამოცანას. როცა ვილჰელმი არ იყო, ზურგს უკან პოხვისტნევი მას დასცინოდა, მაგრამ როცა ვილჰელმი იქ იყო, პოხვისტნევის თავი ძალიან ზრდილობიანათ ეჭირა. და რატომღაც არ შეეძლო პირდაპირ შეეხედა მისთვის თვალებში.

გრიბოედოვის იქ ყოფნა, რომელიც ყოველთვის დაჭიმულ სიმივით იყო, ყველას თავს შეაკავებიებდა.

ერთხელ საკრებულოში გამოჩნდა მალალი და მსუქანი მაიორი დიდი და შავი ულვაშებით. მისი უზარმაზარი თვალები და ყვითელი სახე, როგორც ნილაბი, ძალიან უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენდენ. ის ზრდილობიანათ და ცოტა გულცივად მიესალმა გრიბოედოვს და ჩქარი ნაბიჯით გავიდა შიგნით ოთახებში, სადაც ქალაღდს თამაშობდენ.

— ვინ არის ეს კაცი? — ჰკითხა ვილჰელმმა გრიბოედოვს.

— იაკუბოვიჩია, — ცოტა უგულოთ უპასუხა გრიბოედოვმა.

მაშ ეს არის იაკუბოვიჩი, პუშკინის წარმოდგენის გმირი, და აგრეთვე მისი დიდი ხნის ნაოცნებები, ეს გიჟი დუელიანტი მამაცი და გულჩათხრობილი?!..

— როგორ „საბედისწერო კაცია“ არა? — მრუდეთ ჩაიციხა გრიბოედოვმა, — გინდა გიამბო მაგის უკანასკნელი გმირობა? აქ ბასკანთან ჯარი ჩაუდგა მთიელებს ზურგში, მათ მოუხდათ მთის გვირაბში გავლა, აქ ძალიან ვიწრო ხვრელებია და ამიტომ თითო-თითოთ მიდიოდნენ. იაკუბოვიჩი კი ჩავიდა ხვრელში, მაგრამ შიგვე ჩარჩა. საჭირო იყო ფეხებით ამოყვანა. სრულიად გაუხიეს სერთუკი და აუწყვიტეს ფოლაქები, წარმოგიდგენია სურათი? — მას სიამოვნებისგან გაეცინა. — ეხლა ამ ხვრელს იაკუბოვიჩის ხვრელს ეძახიან.

ვილჰელმს ეძნელებოდა გრიბოედოვის ასეთ მანერების შერიგება. კიუხელბეკერს ბავშობიდან ჰყავდა წარმოდგენის გმირები. ის იყო „შეყვარებული“ ხან დერჟავინზე, ხან ჟუკოვსკიზე და ხან ერმოლოვზე.

და ყოველ შემთხვევის დროს, როცა უხდებოდა ხოლმე ვილჰელმს როგორც ეხლა მოდაა გამოთქმისა „გამოხიბლულიყო“ ეს მისთვის იყო მტანჯველი. გრიბოედოვი კი როცა შენიშნავდა, რომ ვილჰელმი „შეყვარებულია“ — იმ წამსვე დაუწყებდა ცივი წყალის გადასხმას.

საკრებულოში შემოვიდა ერმოლოვი პოხვისტნევიტით და კიდევ ორი სამხედრო პირით. ერმოლოვი ამ ჟამათ არ იყო კარგ ხასიათზე. ის ზრდილობიანი ღიმილით ართმევდა მარცხნივ და მარჯვნივ ყველას ხელს, მაგრამ ამ ჟამათ ღიმილი ვილჰელმს არაბუნებრივად ეჩვენა. ერმოლოვი მალე გავიდა თავის ოთახში. საკრებულოში იყო პატარა ოთახი ოსმალური სავარძელით და მრგვალი მაგიდით, რომელზედაც ერმოლოვი ეთამაშებოდა ქალაღდს ახალგაზრდობას. ერმოლოვი დაჯდა და მოიღუშა. პოხვისტნევიტმა უკვე მოასწრო ჩაეჭურჩულებია რაღაც რესკრიპტზე, რომელიც მიიღო ალექსეი პეტროვიჩმა და რომელიც არ იყო მაინცა და მაინც სასიამოვნო და მალე გაძვრა ერმოლოვისკენ.

— დაუძახე მეგობარო, გრიბოედოვს, ვოვიკოვს, — სთქვა ერმოლოვმა ბუზღუნით და იმ ხლებოპეკარსაც.

— თქვენ — ჩემო ძვირფასო ბატონებო, — მიუბრუნდა ერმოლოვი იმავე უსიამოვნო ღიმილით შემოსულებს, — არ გინდათ დღეს ჩემთან ერთად იყოთ მოწყენით? — ის ცოტა აღელვებული იყო და ხუმრობა არ გამოდიოდა.

— თქვენ კი შეგიძლიათ გამარჯვება იღლესასწაულოთ, მიუბრუნდა ის გრიბოედოვს — მე მივიღე რესკრიპტეცი სპარსეთის შესახებ. უნდა მოუფროთხილდე სპარსეთს რუსეთზე უარესად. დაე ასე იყოს მე რა შენაღვლება. იქ ხომ ყველა დიბიჩი და პასკევიჩები ჰყავთ მრჩეველებათ. ვნახოთ სანამდე წაევა რუსეთი ამ ორი ვანკათი.

კალამბური კარგი გამოვიდა. ყველანი იცინოდნენ და ერმოლოვიც გამხიარულდა. პასკევიჩსა და დიბიჩს ორივეს ერქვათ ივანები. გრიბოედოვი მოიღუშა. პასკევიჩი მისი შორეული ნათესავი იყო და მისი მფარველობით ის სარგებლობდა, თუმცა ძალიან არა ხალისიანათ.

— მაგრამ განა თქვენ ისინი, ალექსეი პეტროვიჩ, თანატოლათ მიგაჩნიათ? — იკითხა მან უკნაყოფილოთ.

— ე, ჩემო მეგობარო, — წამოიძახა ერმოლოვმა. — მე ხომ ბავშობიდანვე მოკლებული ვარ ყნოსვას, ჩემთვის ვარდი და ლენცოფა ერთი და იგივეა. არა, მართლა რა უნდათ ჩემგან, მათ („მათ“ ერმოლოვისთვის ნიშნავდა მთავრობას, მეფეს, და პეტერბურგს საერთოდ). მე არაფერს არ გთხოვ და არც მოვითხოვ, სადღაც უდაბნოში გადმოვიკარგე, ყველაფერი მათ დაუტოვე და არც/საჩუქარს მოვითხოვ, ჩემთვის მაინც დამაყენონ.

— აი თქვენ, ნიკოლაი პავლოვიჩ, მიუბრუნდა ის ვინაღაც მსახურებს დასწერთ და ჩემზე სწორედ ასე ჩაწერეთ: რომ სულ არაფერს არ ითხოვდა, ოღონდ თავისთვის დააყენონ თქო. პოხვისტნევემა დაარიგა ქალაქი. ერმოლოვს ქალაქი ეჭირა ხელში და მარჯვენა თვალი ჰქონდა მიხუჭული. როცა ქალაქს მოკლავდა კიდევ უფრო დახუჭავდა, მას უხაროდა მოგება.

— აი, რომ მართლა საწყენია, ალექსანდრ სერგევიჩ, მიუბრუნდა ის გრიბოედოვს, რომ სულ რაღაცა რესკრიპტებს მწერენ. სჯობია სპარსეთს ეეომოთ, ოსმალეთსაც და ხივა და ინდოეთი ხელში ჩავიგდოთ, ღმერთმანი ცუდი არ იქნებოდა.

ის აჯავრებდა გრიბოედოვს.

— ალექსეი პეტროვიჩ, — მიუბრუნდა გრიბოედოვი, — თქვენ მხოლოდ გაუგებრობით არ ხართ, პეტრ ალექსეიჩ, მისი ბერძნული პროექტები თქვენ დიდებულათ შეგითვისებიათ.

— არა, ჩემო ძმაო ცუდი აზრი არ არის, ღმერთმანი, — თითქმის გულგრილად სთქვა ერმოლოვმა. — ჩვენ გვინდა ვაჭრობა, აღმოსავლეთის ვაჭრობა გვინდა ჩვენ. აბა შეხედეთ რამდენი ინგლისელი დაცანცალებს აქ ტფილისში. ჩემი თვალებისთვის კი არ ჩამოსულან. სპარსეთი, ოსმალეთი, ხივა და მერე ინდოეთი — წავალთ თუ არა ძმაო, როგორ გგონიათ? უნდა კარგა გავქრათ კალაპოტი.

— Ne nous sacrifiez pas, Excellence, si jamais vous faites la guerre à la Perse — სთქვა ცივი ღიმილით გრიბოედოვმა.

— ეს, ჩემო ძმაო, სულ ერთია არაფერი იქნება, ტყუილად ნუ შეწუხდებით.

— „ისინი“ — გააჯავრა გრიბოედოვმა

— „ისინი“ — სთქვა ერმოლოვმა და ფეხებით გასრისა ეს „ისინი“ — ტილ-ზიტში მე „მის“ პირდაპირ ვიჯექი.

— რა გემართებათ ალექსეი პეტროვიჩ, რა ფერი დაგდებიათ, თითქო თავზე პორფირი უნდათ დაგადგანო? ასე უნდა იყოს მეთქი, ვუპასუხე. შევხედე — გაფითრდა და იმწამსვე დაამთავრა:

— „ეს იქნებოდა სხვა იმპერატორის დროსო“.

მას უყვარდა ახალგაზრდებში ასეთი ოხუნჯობა. მეფე, რომელსაც ეშინოდა ერმოლოვის და სძულდა ის, საერთოდ იყო ასეთი ოხუნჯობის საგანი.

ვოეიკოვი პირდაპირ მიჩერებოდა თვლებში ერმოლოვს და ამბობდა:

— აღმოსავლეთის სახელმწიფო — უდიდესი იდეაა, მთელი აზია მაშინ ჩვენთან იქნება. მაგრამ წარმოგიდგენიათ თქვენ ალექსეი პეტროვიჩ „კოლლეესკი ასესორი გარეშე საქმეთა ნაწილში“ აღმოსავლეთის მეფის პორფირში?

— კოლლეგისკი ასესორს, პუშკინი ეძახობა მეფეს. ეს სიტყვა მთელ რუსეთში იყო მოთენილი.

— რატომაც არა, — სთქვა ერმოლოვმა და თვალი მოხუჭა. პორფირიდან შეიძლება მუნდირის შეკერვა. თქვენ, ვილჰელმ კარლოვიჩ, რატომ ხართ მოწყენილი?, — გამოცვალა საუბარი ერმოლოვმა და მიუბრუნდა კიუხელბეგერს.

ვილჰელმმა წარმოსთქვა ყრუ ხმით.

— აღამიანობა დაიღალა ომებისგან, ალექსეი პეტროვიჩი!

— კარგი თუ გინდათ ეს არი, თვითონ კი მაგზავნიდა საბერძნეთში სამრად.

— საბერძნეთი, სხვა საქმეა. ელადის განთავისუფლებისათვის ომი სხვაა, ვინემ ომი სავაჭრო პრივილეგიების შექენისთვის.

ერმოლოვი მოიღუშა.

— მე კი ვიტყვი, რომ საბერძნეთში ომს მხოლოდ ის აზრი ექნებოდა, რომ მერე ოსმალეთისთვის წაგვევლო ხელი.

რა არიან ბერძნები? ბერძნები ვაჭრობენ ღრუბელებით. და სხეანაირ ელადას მე ვერსად ვერ ვხედავ. ელადა კარგი რითმაა, ვილჰელმ კარლოვიჩ! ელადა — ლადა а может и не надо.

— ვილჰელმი წამოვარდა ზევით.

— თქვენ ხუმრობთ ალექსეი პეტროვიჩ; მაგრამ იმ ბერძნებს, რომელნიც ეხლა იბრძვიან განთავისუფლებისთვის ხუმრობისთვის არ სცალიათ.

ერმოლოვს გაელიმა.

— თქვენ ძალიან ცხარობთ, ვილჰელმ კარლოვიჩ: ყველა იმას აკეთებს, რაც მას შეუძლია. აი მაგალითად, მე შემიძლია სიცილი და ვიცინი, თუ არა უთუოდ ვიტირებდი. — ყველანი გაჩუმდნენ და ბასტონი დაიწყო.

ვილჰელმი და ალექსანდრე მიდიოდნენ ჩუმად სახლში.

— არ მიყვარს მე ამისთანა სამ ვარსკვლავიანი ბობოლები, — სთქვა გრიბოედოვმა, — მოუნდება მას ომი სპარსეთთან და მერე მიდი და შენ ანაზღაურე ყველაფერი.

ვილჰელმი მიდიოდა თავჩალუნული. ის ფიქრობდა თავის თავზე. „საბერძნეთი“ არ გამოვიდა, მათ წამოეწია ვოეიკოვი, ის აღელვებული სჩანდა.

— მე თქვენ ცოტას გაგაცილებთ. — და დაიწყო ჩუმად, თითქო ეხატრებაო. — თქვენ ვილჰელმ კარლოვიჩ, გაქვთ თქვენი საბერძნეთის პროექტი, მეც მაქვს ერთი პროექტი. აი, ალექსეი პეტროვიჩი, ლაპარაკობდა ხივაზე, ბუხარაზე, ინდოეთზე. განა ეს აზრი თქვენ არ გეჩვენებათ დიდებულად?

— არა — უცბად მოუჭრა გრიბოედოვმა. უნდა გავამაგროთ ჩვენი სახელმწიფოს საზღვრები, არ შეიძლება საუკუნო ომიანობა.

— აღმოსავლეთი, დიდი აღმოსავლეთის სახელმწიფო, — ჩუმად ლაპარაკობდა ვოეიკოვი, და მისი კლექიანი სახე ძალიან ფერმკრთალი მოსჩანდა — ეს სომ ალექსანდრე დიდის აზრია. რასაკვირველია არა ჩვენი ალექსანდრესი, პირველისა. მე თქვენ გეხდობით, — დაუმატა მან აღელვებით, — საჭიროა დიდი აღმოსავლეთის სამეფო ალექსეი პეტროვიჩის ხელმწიფობით. — გრიბოედოვი გაჩერდა გაკვირვებული.

— ერმოლოვების დინასტია?

— დიახ, ერმოლოვების დინასტია, — გაუძლო მის შეხედვას ვოეიკოვმა. მათ გაიარეს რამოდენიმე ნაბიჯი ჩუმად. შემდეგ გრიბოედოვმა სთქვა და-
მშვიდებულად.

— მერე მემკვიდრეობას რა უყოთ? საჭიროა მალე შევროთ ცილი/ ალექსეი პეტროვიჩს.



ერმოლოვი
გრიბოედოვი

V

ვილჰელმი ამის შემდეგ არ დადიოდა ერმოლოვთან. მას არ მოსწონდა მისი ღიმილი და ეშინოდა არ გაეგონა მისი ყრუ სანდომიანი „ძმობილო“. საქმეები არც ისე ბევრი ჰქონდათ და მეგობრები დასეირნობდნენ და ცხენითაც გადიოდნენ ქალაქ გარეთ. ვილჰელმი დაუმეგობრდა ლისტს. როცა რუხი კაპიტანი შესცქეროდა მას ქვეიანი თვალებით, ვილჰელმს აგონდებოდა ბუნდოვანად თავისი მამა, ასევე მალალი გერმანელი, რუხ სერთუკში მწუხარე და სასტიკი. კაპიტანი ცხოვრობდა გომბორზე, და ვილჰელმი ხშირად შეჯდებოდა კვიცზე და მიდიოდა მასთან, ეს კვიცი მას უშოვა პოხვისტნევი.

პოხვისტნევი ბოლო დროს სცდილობდა ვილჰელმის დამეგობრებას და შემთხვევას არ უშვებდა მისთვის პატივი ეცა.

ეს საექვოთ ეჩვენა გრიბოედოვს და გააფრთხილა ვილჰელმი.

— ჩემო მეგობარო, თავი დაანებე შენ მაგ არამზადას, ის შენ შემთხვევის დროს იაფად გაგყიდის.

მაგრამ ვილჰელმი, რომელიც ყოველთვის ეჭვიანობდა, რომ არ დაეცინათ, საერთოდ ხალხს დიდი ნდობით უყურებდა. შეიძლება საქმე იმაშიც იყო, რომ პოხვისტნევის უყვარდა საერთოდ ვინმესთვის რამე სამსახური გაეწია.

გრიბოედოვმა ამიტომ მიანება კიდევ თავი. ისიც დადიოდა ვილჰელმთან ერთად ლისტთან. იქ კარგი ადგილები სჩანდნენ. იქ იყო მამული ძველი ლოთის ჯაფარასი. ჯაფარა მათ დიდი პატივისცემით ხვდებოდა. დილიდანვე ის ფხიზლობდა და თავი ეჭირა, როგორც მფლობელ პრინცს. რაღაცას ბაღში ბარავდა, უფრო კი რომ შეეხედათ, ისე კი მისი შვილები მუშაობდნენ. გრიბოედოვს ის დიდ პატივს სცემდა, რადგან მან იცოდა არაბული ენა. კაკლის ქვეშ ისხდნენ მეგობრები და კაპიტანი ლისტი ყალიონით პირში უამბობდა მათ საერთოთომის ეპიზოდებს. ის იგონებდა, როგორ ებრძოდა ბებერი ქაიხოსრო გურიელი ათ კაცს, მერე როგორ მოსჭრა მას ხელი ოფიცერმა, და როგორ მოიკლა მერე თავი ბებერმა თავადმა თავისი უკანასკნელი ხელით. ვილჰელმი უსმენდა ამ არა მაინცადამაინც მხიარულ ამბებს დიდი ტანჯვით. კაპიტანმა მოჰყვა თუ როგორ მოარჯულა ერთხელ ერმოლოვმა გერმანელი სექტატორები. სექტატორები სცხოვრობდნენ ვირტემბერგში. მათ სჯეროდათ, რომ მეორე მოსვლა ახლოვდება, რომ ღმერთი მოვა საქართველოდან ან ოსმალეთით ან სპარსეთით. ისინი გადმოასახლეს რუსეთში და დაასახლეს კავკასიაში. მაშინ ერმოლოვმა წინადადება მისცა მათ — აირჩიონ წარმომადგენლები და გაგზავნონ სპარსეთში და ოსმალეთში, რომ დარწმუნდნენ, დაიწყო თუ არა იქ მეორედ მოსვლა. ერთი თვის შემ-

ქართული „მნათობი“ № 5—6.

დეგ დებუტატები დაბრუნდნ დაგლეჯილები და დამშეულები. და ამის შემდეგ გერმანელ კოლონიაში მეორედ მოსვლას არავინ ელოდა.

კაპიტანს არ შეეძლო ნეგობრებთან დიდხანს ჯდომა, მას ძალიან ბევრი ჰქონდა სამუშაო.

ერთხელ გრიბოედოვმა უთხრა ვილჰელმს, როცა კაკლის გვეშ იჯდნ:

— მე არ შემძლია ასე ცხოვრება შემდეგში, მე ასეთ არაჩვეულებრივ დროს სულ არ ვარგივარ. იცო, ერთმოლოვი მეუბნება რომ მე ვაგაფარ დერჟავინს, ყველაფერში, ლექსებში და ცხოვრებაშიც. ეს იმისთვის ეშვაკური კომპლიმენტია. მას დერჟავინი მიაჩნია ყველაზე უფრო უვარგისა ადამიანათ მთელ რუსეთში. პატარა კაცები, სულელური საქმეები და დაუანგული სული.

ამ დღეს გრიბოედოვი აღელვებული იყო და რაღაცაზე ფიქრობდა.

— მესმის—უპასუხა ვილჰელმა,—ჩვენ აქაც დიდხანს ვერ ვიქნებით. მე ერთი თვისება მაქვს, რომელიც არასდროს არ მარყუებს. მე მომეწყინება უნათესავეებით, როგორ გგონია შენ ალექსანდრე,—წაიჩურჩულა მან და შემკრთალი შეჰყურებდა გრიბოედოვს.—განა არ შეიძლება აქედან საბერძნეთში გაქცევა? ჩემო ძვირფასო, ხომ გახსოვს პუშკინი: „დალუპვის წყურვილით იწოდა“... ო, როგორ ესმის ყველაფერი ეს პუშკინს.

გრიბოედოვმა ყრუდ გაიმეორა.

— დალუპვის წყურვილით. დაე ასე იყოს. დრო მიდის, ჩემ სულში ანთია აღი, თავში ახრები იბადებიან, და საქმე კი ვერ დამიწყია, რადგან მეცნიერება წინ მიდის და მე ვერ ვასწრებ სწავლასაც კი, არა თუ მუშაობას. ვინ დაგვწყევლა ჩვენ, ვილჰელმ? თითქო მართლდება წინასწარმეტყველება რომ ყოველი ადგილი იქნება ჩვენთვის მხოლოდ გასავლელი.

— წავიდეთ სახლში.—დაიწყო ვილჰელმა,—წავიდეთ ჩრდილოეთში, აქ უმოქმედობით დავილუბებით. სულ ხომ არ უნდა ვიაროთ ამ დიდ შარაზე.

— მინდა გითხრა, რისგან ვილუბები, არ უსმენდა მას გრიბოედოვი.—მეგობარო მე ვილუბები მოწყენილობისაგან. ერთხელ მე მუცელტომარა შახავსკოიმ მითხრა: „ჩემო ლამაზო, რასაც შენ წერ მშვენიერია, მაგრამ მოწყენა აწერიებს შენ კალამსო“—რა მოწყენაა!.. რა იქნება რეზულტატი ჩვენი ერთი წლის, ერთი საუკუნის სალიტერატურო მუშაობისა? რა გავაკეთეთ და რა შეგვეძლო გავვეკეთებია?

ვილჰელმი წამოვიარდა და დაიწყო წინ და უკან სიარული. უცებ ის გაჩერდა გრიბოედოვის წინ, ცრემლებით აევსო თვალები.

— მე შემძლია დანაშაულობა ჩავიდინო, მაგრამ არ შემძლია ამ უმიზნო ცხოვრების ატანა: სად გავიქცეთ?

გრიბოედოვი აღვა ბალახიდან.

— გასაქცევი არსად არ არი. ეს არის დავიწყების მხარე. ესეც კარგია. როგორც იქნება გაუძლებთ. მოსკოვში ხომ არ წავალთ საცეკვაო საღამოებზე, ჟურნალებში რომ არ წავიდეთ ან ლიტერატურის სისულელესა და კორებში.—მას გაეცინა. ჩემ ბიძას სძინავს მოსკოვში და სიზმრად ხედავს, როდის შევიქნები მე სტატსკი სოვეტნიკი.

VI

ერთხელ ვილჰელმსა და ალექსანდრეს ქუჩიდან შემოესმათ უცნაური ღრი-
ანცელი. იმათ გადმოიხედეს ფანჯარაში. ხალხი მირბოდა ციხეში. მამასახლისის
ბიჭი, ნახევრად ტიტველი სურენა რაც ძალა-და-ღონე ჰქონდა გარბოდა. გრი-
ბოედოვმა იკითხა:

— რა მოხდა?

— ჯამბოტი ჩამოვიდა, — დაუძახა მას სომეხმა, რომელიც გარბოდა.

— ჯამბოტი ჩამოვიდა დააკრაჭუნა ვილაცამ კბილები.

გრიბოედოვი ჩუმად და სერიოზულად შეუდგა ტანისამოსის ჩაცმას.

— წავიდეთ ჩქარა, — უთხრა მან ვილჰელმს, — სერიოზული საქმე იქნება.

ქუჩუქ ჯანბოტოვი იყო ყველაზე უფრო მდიდარი მფლობელი, საჩენედან
დაწყებული აფხაზეთამდე მისი სახელი რგვინავდა. ბებერი ქუჩუქი დიდი დი-
პლომატიც იყო და სრულიადაც არ უნდოდა რომ მისი ცხვრის ჯოგი და საძოვარი
ადგილები გაენადგურებიათ. ამიტომ ის მეგობრობდა ერმოლოვს. მისი იასი-
რები, როცა მათ შეხედებოდა ჩენების რაზმი თავს დახრიდენ და დაცინვას
გადაიტანდენ. ქუჩუქმა იცოდა, რომ ერმოლოვმა დაშვილებული სინდისით
15.000 ცხავრი გარეკა ერთ აულიდან, იმიტომ რომ ამ აულმა გზა მისცა ყუბა-
ნის იქეთა ხალხს. ამიტომ ის სცდილობდა რომ მისი შვილი ჯამულბატიც დაე-
მეგობრებია ერმოლოვთან.

ჯამბულბატი, ან როგორც ყველა ჩერქეზი მას ეძახოდა ჯამბოტი, ერთად-
ერთი მემკვიდრე იყო ქუჩუქისა. მაგრამ ჯამბოტი სხვა ცომისგან იყო მოხელილი.
მართალია, ის იყო ერმოლოვთან მის სპარსულ საელჩოში, მაგრამ ისეთი საი-
დუმლოებით გადაება სპარსელებს და დაუწყო რალაც მოლაპარაკება, რომ ერ-
მოლოვი იძულებული შეიქნა ის სპარსეთიდან გადაესახლებია. და როცა ყუბა-
ნელები დაეცენ რუსულ ჯარს ჯამბოტი ერთი მათი მოთავეთაგანი იყო. ეს ძა-
ლიან დიდ უსიამოვნებას იწვევდა. ჯამბოტი იყო საბელგანთქმული მთელ სა-
ჩენეთში და აფხაზეთში. ის გაჭენებულ ცხენიდან მოახვედრებდა არწივს და
ხნალით თავს გააკდებიებდა ბუღას. ჯამბოტის სახელი თახდათან იზრდებოდა.
ბევრმა ყაბარდოელ ქალიშვილებმა იცოდა სიმღერა ჯამბოტზე. და თვით ერმო-
ლოვსაც, როცა უკანასკნელად იყო წრონტზე მოუსმენია, რომ ერთი ლერწამის
ტანის ქალი მღეროდა სიმღერას, რომლის ყოველი მეორე სიტყვა იყო ჯამ-
ბოტი. მას შემდეგ რაც ყუბანელები დამარცხდენ, ჯამბოტი ცხოვრობდა თავის
მამასთან.

ერთი კვირის წინ ერმოლოვმა გაუგზავნა ქუჩუქს ალერსიანი წერილი, რომ-
მელშიაც სთხოვდა ქუჩუქს, რომ თავის შვილით ჯამბოტით ჩამოსულიყო ერთ
ძალიან საჭირო საქმეზე მოსალაპარაკებლად. და ამასთან დაპირდა მშვიდობა
ქუჩუქს. ყველას უნდოდა ახალგაზრდა ჯამბოტის შეხედვა და ამიტომ მირ-
ბოდენ.

ჩვენმა მეგობრებმა სწორეთ იმ მომენტს მოუსწრეს, როცა ქუჩუქი
თავის შვილით ციხეში შედიოდა. ციხის კარებთან აუარებელ ხალხს მოეყარა

თავი, რომელთაც შიგნით არ უშვებდენ. ქუჩუკს და ჯამბოტს ნელა მოჰყავდაოცხენები. ბებერს თავზე ჰქონდა უზარმაზარი თეთრი ჩალმა, ის იყო მეკაში და მედინაში; სხვა, უფრო ნაკლები თავადები უკან მოყვებოდნენ. ჯამბოტი მოდიოდა მამის გვერდით. ის დიდებულად იყო ჩაცმული, ფერაოი ფარეა ფარავდა მის მუზარადს, გვერდზე ხანჯალი და ხმალი ჰქონდა, უნაგირი ძალიან მდიდარი და უკან კიდევ ეკიდა მშვილდი ისრებით.

ვილჰელმი ხარბად მიჩერებოდა.. ჯამბოტს სახე გრძელსაქმისა ვიწრო და თითქოს ქალწულისა, თვალები ცოცხალი და ყავისფერი — ის მიდიოდა ზარმაცად.

ციხესთან ისინი ჩამოხტნენ ცხენიდან და ცხენები გადასცეს უზდენებს. ვილჰელმი და გრიბოედოვი შევიდნენ ეზოში. ერმოლოვი იდგა აივანთან თავისი ამალით. სახე ძალიან დიდებული ჰქონდა, და თავისი სპილოს კისერი დაბლა დაშვებოდა და ერთი ხელით ეყრდნობოდა ხმალს. მის წინ იდგა თარჯიმანი, მხდალი კაცი ბეწვიანი ქუდით. მარჯვნივ იდგა ერთი როტა მოციხოვნე ჯარისკაცებისა როტა შეხედა ქუჩუკს და ჯამბოტს ერმოლოვმა გადადგა ერთი ნაბიჯი წინ და გაჩერდა. ქუჩუკმა მდაბლად დაუკრა თავი, ხელი მიიდვა შუბლზე, ტუჩებზე და მკერდზე.

ერმოლოვმა დახარა თავი და დაიწყო მისალმება. თარჯიმანი სთარგმნიდა გულმოდგინეთ. შემდეგ ქუჩუკი გადგა განზე. მისი ადგილი დაიკავა ჯამბოტმა. მისი სიარულიც ძალიან მოქნილი იყო, მან ოდნავ დაუკრა თავი ერმოლოვს და წარმოსთქვა ჩვეულებრივი მისალმება.

ერმოლოვი იდგა გაუნძრევლად.

— უთხარი მაგას, — უთხრა მან თარჯიმანს, — მე მიხარია რომ ვხედავ ჩემი მეგობრის ქუჩუკ ჯამბოტის შვილს, მაგრამ მე უფრო გამეხარებოდა მისი ნახვა ორი თვის წინათ, როცა ის იყო ყუბანელებთან ერთად. თარჯიმანმა გადათარგმნა. ჯამბოტმა რალაც წამოიძახა ჩქარა და სხარტულად, როგორც ყველაფერი რასაც ის აკეთებდა.

— ის ამბობს, — სთქვა თარჯიმანმა, — რომ იმედი აქვს გენერალის მეგობრულ განწყობილებისა.

ერმოლოვი კიდევ უფრო მოიღუშა.

— მიხარია მონანიება, — სთქვა მან ყრუ ხმით, მაგრამ ძველისთვის საჭიროა გასწორება. მოიხსნას ხმალი და ხანჯალი.

თარჯიმანს ქრუანტელმა დაუარა და ოდნავ გასაგონი ხმით სთქვა რალაცა.

ჯამბოტმა გააკეთა ნახევარი ნაბიჯი წინ. მისი კისერი გაიჭინა და მთელი ტანი წინ წამოვიდა. სახემ ნელა და სქლად დაუწყო გაწითლება.

გრიბოედოვი, რომელიც ელაპარაკებოდა ქუჩუკს, მარდად მობრუნდა და ჩამოუარა მას, ისე რომ ვერ შეეხედა ვერც ერმოლოვისთვის და ვერც ჯამბოტისთვის.

მოხუცი ლაპარაკობდა ნელა და დინჯათ, თითქმის დამშვიდებლად, მაგრამ თვალები, რომელიც უყურებდნენ გრიბოედოვს ნახევრად დახუჭულიყვენ და სახე გაფითრებოდა.

ვილჰელმი წამოიწია წინ და ჩადგა ამალის გვერდით.. იქვე ახლო იდგა
თაკუბოეჩი, გაუნძრეველი როგორც ქანდაკება და შავი თვალებით ანათებდა.

ჯამბოტი ერთი მოტრიალდა და ხელი დაიდგა ხანჯლის ტარზე, ვილჰელ-
მის გვერდით იდგა ვოეიკოვი. მან ამოიძრო დამბაჩა და აუყენა ჩახმაძი.

ამავე დროს ორმა თუ სამმა კაცმა ამალიდან ამოიძრეს ხმლები და
ერმოლოვმა გადახედა მათ და ხელის ნიშნით გააჩერა
ის იდგა მძიმეთ, ხმალზე დაყრდნობილი მარჯვენა ხელით.

ჯამბოტი გველის მოძრაობით იწევდა მისკენ. მისი სახე გაყვითლებულიყო
და თეთრი კბილები დაეხრჩინა. და თავისი ვიწრო თვალებით მისჩერებოდა
ერმოლოვის რუხ თვალებს.

შემდეგ მან ხელის ერთი მოძრაობით ჩაავო ხანჯალი და დაიძახა რა-
ღაცა სიტყვა. ხმა იყო გაგუდული და მჭრელი.

მან გაიშვირა გამხდარი ხელი კავკასიის მთებისკენ და დაუწყო პირში
ყვირილი ერმოლოვს.

— გადათარგმნე, — უთხრა მან საწყალ თარჯიმანს.

თარჯიმანი შესდგა.

— გადათარგმნე მეთქი, — დაიყვირა ერმოლოვმა და მისი ცხვირის ნესტოები
გაფართოვდნენ, — ყველაფერი გადათარგმნე.

— ის უძახის თქვენ აღმატებულებას, — ბუტბუტებდა თარჯიმანი — ტურას
და მშიშარას, ის ლაპარაკობს თქვენი აღმატებულების საძაგლობაზე.

ჯამბოტი ყვიროდა.

ქუჩუკი ეცა მაშინაღურად ხელში გრიბოილოვს, უსმენდა შვილს და აქ-
ნევდა თავს.

— შეხედე — უყვიროდა ჯამბოტი, — ამ მთებს, და მოიგონე, რომ ეს სწო-
რეთ ის მთებია, რომელზედაც მტვრად აქციეს ჩვენმა წინაპრებმა ნადირ-შახი.
ნადირ შახი-კი ნუ გგონია თავი შე ტურა, შე ძაღლო შენა!

თარჯიმანი სთარგმნიდა პირგამშრალი.

— ეს რუსული საძაგლობა არ გეგონოთ თქვე ნხდალებო თქვენა, თქვე ცეც-
ხლის წამკიდებელნო, ყვიროდა ჯამბოტი — ვინც უფრო მშიშარია თქვენში ის
თქვენი უფროსია, ვინც ყველაზე უფრო გაიძვერაა ის თქვენი ფაშაა. ყველაზე
უფრო დიდი მშიშარა და ყველაზე უფრო საძაგელი ადამიანი — თქვენი უხასია-
თო ხელმწიფეა. ჩვენ თქვენ გადმოგისროლით ამ მთებიდან, როგორც გამხარ-
ტალახს.

თარჯიმანი შედრკა.

— გადათარგმნე!

მან გადათარგმნა როგორც იყო ბუდბუტით და სიტყვების გამოტოვებით.
ერმოლოვი გაჩუმებულიყო მოღუშული. უცებ მან თვალი დაუქნია როტის
უფროსს. ის გამოვიდა როტის წინ და გაჩერდა ფრონტზე.

— უმაღლეს ხელისუფლების საჯაროდ შეურაცხყოფისათვის, — ხრიალით
ამბობდა ერმოლოვი — დაიხვრიტოს.

სამი ჯარისკაცი ხიშტებით წავიდნენ ჯამბოტისაკენ. რაღაცა უცნაურმა ხმამ
გადაუარა ამალას. ქიშკართან ვიღაცამ დაიყვირა გამაზრზენად... ვილჰელმს წა-

ვარდა ხრიალი. ერთ წამში მის წინ გამოჩნდა იაკუბოვიჩის უძრავი სახე გაჩერებული თვალებით. ის ჩავარდა ჯამბოტისა და ჯარისკაცების შუა. მან ასწია ხელები მაღლა და დაიძახა რაღაცა არა თავის, არამედ სხვისი ხმით.

მაშინ ერმოლოვი უცებ ჯაგარაყრილივით წავიდა მისკენ, სტაცა ხელი ხელში და დაუღრიალა.

თქვენ ჰკუთხედ შესცდით. წადით აქედან.

მან თავისი უხარმაზარი ხელის გულთ მოხვია ხელი ვილჰელმს და წაიჭვანათავისკენ. მისკენ წავიდენ ვოეიკოვი, პოხვისტნევი. ერმოლოვმა დაჰკეტა კარები, დააგდო ვილჰელმი სავარძელზე მარდათ და საჩქაროდ დაასხა წყალი და მიუტანა ტუჩთან. ვილჰელმის კბილები რეკავდენ. თვალები ველურად დაქანოდენ. ერმოლოვმა პირისპირ გადახედა პოხვისტნევს და ვოეიკოვს და სთქვა.

ბატონი კიუხელბეკერი ავად არის ნერვების ავადმყოფობით.

ეზოში გაისმა თოფების სროლის ხმა.

ვილჰელმა ჰკრა ხელი ერმოლოვს და გავარდა. გაფითრებული გრიბოედოვი ეხვეოდა საწყალ მოხუც ქურუქს. მოხუცი თითქმის მშვიდათ იყო, თავი დაკიდებოდა გულზე და რაღაცას ბუტბუტებდა, შეიძლება ის ლოცულობდა.

სადღაც ეზოს კუთხეში ფუსფუსებდენ ჯარისკაცები. ციხის წინ ერთი კაცი არ სჩანდა.

ლამე გრიბოედოვი გააღვიძა უცნაურმა ყეფის ხმაურობამ. ვილჰელმი სტიროდა, ყეფდა და ქვითინებდა ლოგინის რკინაზე ჩაბლაუჭებული.

VII

— ერმოლოვმა არავის არაფერი არ მოახსენა ვილჰელმის ყოფა-ქცევაზე. მხოლოდ თავს უკრავდა უფრო ჩქარა და უღიმოდა უფრო იძულებით. სამაგიეროთ პოხვისტნევის ყურადღება ვილჰელმისადმი გაორკეცდა. ის მზად იყო მისთვის უზომო სამსახურისთვის. პოხვისტნევმა აჩვენა ვილჰელმს მშვენიერი ადგილები სეირნობისვის. ეს იყო მანგლისისკენ გზა და მისი მიდამოები. რა დიდებულია, როცა ცხოვრება არ ეწყობა როგორც საჭიროა, აუშვა ცხენი და თავზე ხელაღებული მიჰქროდე ქარიშხლისკენ.

ერთხელ ლისტმა უთხრა ვილჰელმს.

— ნუ დადიხართ თქვენ მაგ გზით ვილჰელმ კარლოვიჩ.

— რატომ?

— შეიძლება ლეკებმა ტყვია გესროლონ.

— მე ხომ დამბაჩები თანა მაქვს.

• ლისტმა თავი გაიქნია.

ერთხელ, როცა ამ გზით მიდიოდა ვილჰელმი შეხვდა, იაკუბოვიჩს. გრიბოედოვის სამწუხაროთ ვილჰელმი ხშირად ხვდებოდა ამ ბოლო დროს იაკუბოვიჩს.

იაკუბოვიჩი ჩამოვიდა კარაგაჩიდან სამსახურის მივლინებით ტფილისში და იქ ჩარჩა.

იაკუბოვიჩიც ხშირად დასეირნობდა თავის შავ კვიცზე და მისი მწუხარე სახე ვილჰელმს აგონებდა რაღაც მონუმენტს, რომელიც მას ენახა პარიზში.

იაკუბოვიჩმა ყურადღებით ჩახედა ვილჰელმს სახეში და მოკვეთილად უთხრა:

— მე თან გამოგყვებით, თქვენ სად მიდიხართ?

— მანგლისისაკენ.

— ჯირითით?

მეგობრებმა გაუშვეს ცხენები გაქენებით.

მათ წინ მთიანი გზა წყდებოდა და მოსჩანდა მტკვარის ველი.

— მე თქვენ გითვალთვალეზდით ციხეში, — სთქვა იაკუბოვიჩმა დაბალი ხმით. — თქვენ შესახებ ბევრი ხმა დადის. მე მიყვარს ისეთი კაცი, რომელზედაც ბევრი ხმა დადის. მაგრამ თქვენ არ ხართ მართალი, ომი და დასჯა არ არის ყველაფერზე ცუდი.

ვილჰელმა შეაფეთა თვალები.

— რა გინდათ თქვენ სთქვათ, ალექსანდრ ივანოვიჩ?

— ომი ჩვენ საზოგადოებაში არის დასვენება. შეგიძლია არაფერზე არ იფიქრო. — მან გადაიგრიხა შავი უღვაშები.

— მე არ შემიძლია რუსეთში ცხოვრება, — სთქვა მან და მოიღუშა ხშირი წარბები. — მე მხოლოდ დამლუპველ ომის დროს ვცოცხლდები. მხოლოდ ტყვიის ზუზუნის მავიწყებს თავის დამცირებას.

აი რატომ მიხარია მე, რომ კავკასიაში გადმომასახლეს. განა ჩემთვის სულ ერთი არ არის სად განიგმირავს გულს ტყვია?

— თქვენ გაბოროტებული ხართ, ალექსანდრ ივანოვიჩ. — მორჩილი ხმით უთხრა ვილჰელმა.

იაკუბოვიჩი შემობრუნდა უნაგირზე.

— მე ვარ გაბოროტებული? — სთქვა მან და თვალები დააბრიალა. — გაბოროტებული კი არა ვარ, ვიხიობი შურისგების გრძნობისგან. მე ყოველთვის თან დამაქვს ბრძანება ჩემი სამსახურიდან დაქვეითებისა. მან ამოიღო გვერდის ჯიბიდან დაქმუკვნილი ქალაღდი და ჰაერში შეატრიალა.

— მეფემ რომ იცოდეს, რას უნაადებს ის თავის თავს ამ ქალაღდით, მე ის გვარღიღდან აქ მაიორად არ გადმომიყვანდა, ჩემო ვილჰელმ კარლოვიჩ. — სთქვა მან და შესცვალა ლაპარაკი. მაგრამ საბეზე ისევ ძველი გამომეტყველება დარჩა.

— მე მინდა თქვენ ერთი საიდუმლო გაგანდოთ.

ვილჰელმი სულ ყურადღებათ გადაიქცა.

— მე ვსწერ ერთ მოხსენებას, რომელსაც აქვს ერთგვარი მიზანი. ერთად ერთი კაცი, რომლისთვისაც შეიძლება მისი ჩვენება და რომელიც იმას გაიგებდა — ჩემი მტერია. თქვენ იცით ვიხედაც ვლაპარაკობ.

ვილჰელმა თავი დაიქნია (იაკუბოვიჩი ლაპარაკობდა გრიბოედოვზე).

— ამის შესახებ იცის მხოლოდ ვოეიკოვმა — განაგრძობდა საიდუმლოთ იაკუბოვიჩი. — მე ვსწერ გლეხების შევიწროვებაზე, მოხელეთა გათახსირებაზე, ოფიცერთა უმეცრებაზე და ჯარისკაცთა მორალურ სიკვდილის კარად მიყვანაზე.

იაკუბოვიჩის შავი თვალები სისხლით გაივსენ, ნესტოები გაუფართოვდნ.

მან კიდევ უფრო გააქენა ცხენი და ასე, დიდხანს, ჩუმად მიაქენებდენ ისინი ცხენებს.

— ალექსანდრ ივანოვიჩი, — დაიწყო ვილჰელმა, — მე თვითონ დიდხანს მიფიქრია ამაზე და უბრალო ხალხის ყოველი ცრემლი შემომჩნევია, მაგრამ მე ვერავითარი გამოსავალი ვერ მომიხატავს.

ისინი მიადგენ ერთ უფსკრულს, იაკუბოვიჩმა შეაჩერა ცხენი და უთხრა: — მე უთუოდ უნდა უკან დავბრუნდე, ვილჰელმ კარლოვიჩი, — ჩუმად სთქვა იაკუბოვიჩმა. — თქვენ გინდათ გაიგოთ გამოსავალი? მისი ნესტოები კიდევ უფრო გაუართოვდენ. — თავიდან არის საჭირო წამლობა. ჯამბოტი ამას წინად მართალს ლაპარაკობდა ჩვენ სუსტ ხელმწიფეზე. პირველი გამოსავალი, რომელიც მე მოვნახე, ეს არის იმპერატორის გვარეულობის სრული ამოხოცვა. მშვიდობით!

მან შემოაბრუნა ცხენი და გაჰქრა.

ვილჰელმი დიდხანს მისჩერებოდა მიმფრინავ მხედარს. შემდეგ თითქო მას ვილაცამ ხელი ჰქრა, მან დაჰქრა დეზი ცხენს და გაეშვა წინ, ის არაფერზე არ ფიქრობდა, არც არაფერს უყურებდა, მხოლოდ გაღებულ პირით იჭერდა ჰაერს.

ის დიდხანს მიჰქროდა. უკვე შესალამოვდა. უცებ ცხენი დაფრთხა და შემოტრიალდა. ხრამის ახლო მისდევდა სილა. მის წინ გაიშალა უცნობი ადგილი. სადღაც ჩირგვებიდან გაიელვა ვინტოვკის პირმა და ვილჰელმის თავზე ტყვიამ გაიზუზუნა.

შემდეგ გაისმა ხრინწიანი ხმა, გზაზე გადმოხტა ვილაც კაცი, მაღალ ქუდში და დაუმიზნა ვილჰელმს.

ვილჰელმა ამოიძრო დამბაჩა სარტყელიდან.

VIII

გრიბოედოვი იჯდა აივანზე, ოთახის კარი ღია იყო. მწუხრი თანდათან წვებოდა. მის წინ მოსჩანდენ მთები — აივანი გადიოდა ჩრდილოეთისკენ. გრიბოედოვი იჯდა უსათვალეზოთ, მას ჰქონდა აბნეული გამომეტყველება, შემდეგ ის მობრუნდა და შეიხედა ბნელ ოთახში. ოთახში დაფუსფუსებდა მოსამსახურე სანთლებით ხელში. ნელა სდებდა სანთელს შანდალში, ანთებდა, გოგირდის ასანთს და აცაცუნებდა ტუფლებს. ის ყველაზე ნაკლებად გრიბოედოვს აქცევდა ყურადღებას. თან დამღეროდა ნახევარი ხმით:

Да какова, братец, неволя

Да и кто знает про нее...

გრიბოედოვი მას პირდაპირ მისჩერებოდა, ალექსანდრ გრიბოვი მისი ძუძუთ შეზდილი ძმა იყო. თხუთმეტი წელი ეს კაცი ცხოვრობდა მასთან და თხუთმეტი წელიწადია ისინი ვერ ამჩნევდენ ერთმანეთს. მაგრამ მათ ერთმანეთი იცოდნენ შეუცდომლათ. ალექსანდრ გრიბოედოვმა იცოდა მაგალითად, რომ თუ ალექსანდრ გრიბოვი მღერის უბედობაზე, ეს იმას ნიშნავს, რომ ის გამოიპრანქება და წავა სადმე საღამოზე, სადმე სოლოლაკში. მაგრამ მას უეჭველად გაუკვირდებოდა, რომ იმისთვის ეთქვათ, რომ ალექსანდრ გრიბოვმა იცის, რას გააკეთებს ამ წამში ალექსანდრ გრიბოედოვი. გრიბოედოვი დღეს არ წა-

სულა არსად ცხენით, არ დაუკრავს ქორტოპიანოზე, არ უთქვამს ერთი სიტყვა. ეს ნიშნავდა, რომ ის ეხლავე მოითხოვს მელანის შუშას და ქალაღდს და უბრძანებს გათაღონ ფრთის კაღამი. გრიბოვი გამოიპრანქა, მივიღა ქორტოპიანოსთან, გააღო და დაჯღა ტაბურეტზე. შემდეგ მან ჩუმაღ დაიწყო დაკვრა.

ალექსანდრ გრიბოედოვი მისჩერებოღა ალექსანდრ გრიბოევს ესე ცოტა გაკვირვებული სჩანღა.

— როგორ, შენ უკრავ ქორტოპიანოზე?—კითხა მან უკმაყოფილოთ.

— ვუკრავ უპასუხა გულგრიღათ გრიბოევმა.

გრიბოედოვი მიუახლოვღა მას. გრიბოვი წამოღღა.

— რას უკრავ?

— უკრავ რაღაცეებს, — უგულოთ უპასუხა გრიბოევმა. — უკრავ „Барыня“-ს.

— აბა დაუკარი.

— გრიბოვი მოწყენიღი სახით დაჯღა ტაბურეტზე და დაიწყო.

Барыня сударыня

Протяните пожку.

გრიბოედოვი ყურაღღებით უსმენღა.

— საღახანა, — უცებ მოიღღუშა ის, — არაფერი არ გესმის, ქრანტი ხარ არ იცი დაკვრა, მხოლოღ ქორტოპიანოს მიფუქებ. უკეთესიღ კოქები ითამაშო.

Пош-шел. აი ასე უნღა დაკვრა.

ის დაჯღა და დაიწყო დაკვრა. გრიბოვი უკმაყოფილო ღარჩა.

— მაშ თქვენებურაღ ეს სჯობიღა?—სთქვა მან შემპარავაღ.

— აი შენ ქრანტო, — მიღამხა გრიბოედოევმა, და გაკვირვებული მისჩერებოღა, — მაშ შენებურაღ როგორ უნღა?

გრიბოევმა არაფერი არ უპასუხა.

გრიბოედოევმა დაიწყო ოთახში ბოღთას ცემა, რაღაც სევღა ახეთქებღა მას კუთხიღან კუთხემღე. ის ნაცნობი სევღა, რომელიც მას სღევნიღა პეტერბურგიღან საქართველოში, საქართველოღან სპარსეთში, რომელიც აწვევიებღა ხაღხს ღუელში და აღაპარაკებღა მოუხეშავ სიტყვებს ქაღებზე.

— საღ არის ვიღჰელმ კარლოვიჩი?—კითხა მან გრიბოევს.

— სასეირნოთ წავიღენ ცხენებით.

— მერე ასე დაიგვიანა? ხომ არ იცა საით წავიღენ?

— მგონიღ მანღლისისაკენ.

გრიბოედოვი შეწუხღა.

თქვეს ნუ შეწუხღებითო, ღღეს ცოტა გვიან მოვაღთო.

გრიბოედოვი მიუჯღა მაგიღას და დაიწყო წერიღის წერა ვოეიკოვთან:

„შე ვკვღები იპოხონღრიით, წინაღვე ვგრძნობ, რომ ღამეს გავატარებ საშინელ მღელვარებაში, კეთიღ ინებე ძვირფასო ნიკოლოზ პავლოვიჩ და გამომიგზავნე სრული ნომრები შარშანღელ „მოამბისა“, თუნღა უკანასკნელი რვეული, იქნება რაიმე მართღა კარგი რამე წავიკითხო.“

თქვენი ერთგული გრიბოედოვი.

თუ ეს წერილი თქვენ სახლში ვერ მოგისწრებთ, როცა სახლში დაბრუნდებით გამომიგზავნეთ თქვენი კაცი...
 — წაუღე ვოეიკოვს — გაუწოდა მან წერილი გრიბოვს. გავიდა კიდევ ნახევარი საათი. უკვე სულ ბნელოდა. ვადალმა ქუჩაზე მოხსლეს ნაბიჯით გაიარა პოხვისტნევა. გრიბოვდოვნა იცნო ის სიარულით. უცებ ის უკვე მართლა შეწუხდა.

— სად უნდა წასულიყო აქამდე ვილჰელმი? ის გამჩიქვანდა. შეკაზმა ცხენი და ჭენებით გაუღვა მანგლისის გზას.

IX.

როცა ამ უცხო კაცმა ამოიღო მიზანში ვილჰელმი, ვილჰელმა უცებ ესროლა მას და გაკრა ცხენს დეზი. ცხენი მიჰქროდა, ვილჰელმა მოიხედა უკან. ეს კაცი მას მისდევდა.

მან მიზანში ამოუღებლად ესროლა მეორედ.

— ეშმაკმა წაიღოს, კიდევ ავაცდინე.

და იმ წამსვე მის ყურთან გაიზუზუნა ტყვიამ. ცხენი შედრკა. ვილჰელმი მიაქანებდა ცხენს ხრამის და უფსკრულების ზევით, გზა სწორი იყო და სადავე ხელში მაგრად ეჭირა. უკან კი უცნაური სიჩქარით და სიმსუბუქით მობოდა ის ადამიანი. ისევ ტყვია. ცხენმა უცებ დაიჭიხვინა, შედრკა, ახრიალდა და ბორძიკით წაიჭცა. ვილჰელმა ვერ მოასწრო ფეხის ამოღება უზანგიდან და ფეხი შიგ გაინასკვა. წაქცევის დროს მაგრად დაშავდა. ასე იყო ის დაწოლილი ერთი წამი და ტკივილისაგან იკლავებოდა, სცდილობდა ფეხი გამოეშვა ცხენიდან. ორი წამის შემდეგ ეს მაღალ ქუდიანი კაცი აქ იქნება. ვილჰელმა რაც ძალა ჰქონდა გამოჰიმა ფეხი და გამოაძრო ცხენიდან. სცადა წამოდგომა, დაიკვნესა და დაიწყო ფორთხვა, თითქო გრძელი ხელიკი ყოვილიყო, ის მოულოდნელი სიჩქარით ათრევედა ფეხს და თითქო ხმაშეწყობილად კვნესოდა.

აქვს აზრი უფრო წინ გაფორთხებას? სულერთია ვერსად წავა.

იმ კაცის ნაბიჯი კიდევ არ ისმოდა. ვილჰელმა გაიხედა წინ. ხუთი ნაბიჯის მოშორებით იდგა უხარმაზარი მუხა. მუხა ამოსულიყო გზის პირად და მისი დაბლა ტოტები უწევდნ ხრამს. ერთი წამი და ვილჰელმა გაბედა. ის მიძვრა ხესთან. მუხა ისეთი იყო როგორც ცარსკოვ სელოს ბაღში. ვილჰელმამ შეენივრად იცოდა ხეზე გასვლა. ტკივილისგან გამწარებული ის დაეკიდა ტოტებს. მან თითქმის დაკარგა გრძნობა, მაგრამ უფრო მაგრად ებლაუჭებოდა ტოტებს, როგორც წინად ცხენის სადავეს. ერთი მიწოლა და მეორე ტოტი, კიდევ მიწოლა და მესამე. შემდეგ გამოჩნდა ღრუ — თითქმის ადამიანის ზომისა. ვილჰელმი დაბლა არ იყურებოდა, ძირს უფსკრული იყო. მან როგორც იყო მოიხმარა ფეხი, დაიყვირა ტკივილისაგან და ჩავარდა ღრუში.

— იმ წამსვე იგრძნო გრილი და დამამშვიდებელი სიდამპლე. ერთ წამში დაბნელდა როგორც ცივ დაბნელ მდინარეში, ტალღამ წაიღო და ჩქერმა მოსტაცა ფეხი. მან გააღო თვალები. ღრუ ბნელია და გრილი და თავზე დაბზუის კოლო. მოისმა ხმა ზევიდან და ვილჰელმის ახლო ჩამოვარდა ტოტი. ვილჰელმა გადმოიხედა. ქვევით იდგა ლეკი და ესროდა მუხას.

მან ის კარგად შეამჩნია. ამ კაცს უნდოდა ჩამოელო ვილჰელმი მუხიდან წყნარად, უხიფათოთ, როგორც ურინველი. ვილჰელმა მოისვა ხელი სარტყელზე, სარტყელში კიდევ დარჩენილიყო ერთი დამბაჩა. მან დაუმიზნა.

ხელი უთრთოდა. ისროლა და ააცილა, კიდევ ერთხელ ისროლა და კიდევ ააცილა. საჭიროა უფრო ნელა სროლა. ვილჰელმა იგრძნობდა რაღაც სევდა. იჯდა ღრუში და ელოდა სიკვდილს. მან ერთხელ კიდევ დაუმიზნა და კიდევ ისროლა. ლეკმა იყვირა, ფეხზე მოიკიდა ხელი და ერთხელ კიდევ ამოიღო მიზანში. ვილჰელმა დალუნა თავი. ტყვია მიესო ღრუს ზედ მის თავთან. მას კი რჩებოდა ერთი გასასროლი დატენა.

X

გრიბოედოვი დიდხანს მიატყენებდა ცხენს. უკვე ძალიან ბნელოდა.

— გაიქცა, გაიქცა, თავზე ხელაღებული. უნდა საბერძნეთში წასვლა და ჩავარდება ტყვეთ, და დაღპება სარდაფში. ეხ, ვილჰელმ, დონ-კიხოტ, ფრანტი ხარ ჩემო კარგო!..

ცხენი აბროტინდა და უცებ მოსხლტა. გზაზე ეგდო ცხენის ლეში. გრიბოედოვს უცებ საშინლად შეეშინდა. უცებ მოაბრუნა ცხენი და უკან გამოაქანა. შემდეგ მისი ყვითელი სახე ვარდისფრად შეიღება. მან ხელმეორედ მოგრიხა სადავე და ისევ გაუდგა წინ გზას. მივიდა მკვდარ ცხენამდე. უცებ მიაგდო ცხენი. ეს ხომ პოხვისტნევის კვიცია. მაშასადამე ვილჰელმი... სად არის ვილჰელმი? ის მივიდა ხრამამდე და ჩაიხედა ქვევით. ალბად მოკლეს და უფსკრულში გადააგდეს. ის აბნეული იცქირებოდა წყვედიადში, არაფერი არ სჩანდა. მის თავის ახლო გაისმა კვნესა.

— ეს კიდევ რა არის. ვინ არის? — იყვირა გრიბოედოვმა და ისევ საშინლად შეეშინდა. ვილაცამ კიდევ დაიკვნესა. კვნესა მოდიოდა ხიდან. გრიბოედოვმა შეაყენა ჩახმახი და მივიდა მუხასთან.

— ვინ არის აქ? — იყვირა მან.

— თუ ძმა ხარ მიშველე, რომ ამოვიდდე ამ ღრუდან, — მოისმა ვილაცის ხმა.

— ეს რა ეშმაკებია, — დაიძახა გრიბოედოვმა. — ეს შენ ხარ ვილჰელმ?

— ჰა, ალექსანდრ, — გაუხარდა ღრუში ხმას.

გრიბოედოვმა უცებ ხარხარი დაიწყო. ვერას გზით ვერ შეიკავა სიცილი.

— კაცო, აქ რა გინდა ამ ღრუში?

ღრუშიც გაისმა სიცილი, მაგრამ ძალიან მისუსტებული.

— აქედან ვისროდი.

ცოტა ხნის შემდეგ:

— მე მგონია ფეხი მაქვს მოტეხილი.

გრიბოედოვი ისევ დადინჯდა. ის გადაძვრა ტოტებზე და ზურგით მიუდგა მუხას.

— აბა დამაჯექი ზურგზე.

გრიბოედოვმა გადმოიყვანა ვილჰელმი. აქ მან შეამჩნია, როგორ გაფითრებულია ის და დასუსტებული.

შემოიჯინა ცხენზე.

— კაცო ვინ გესროდა? სად არის ის კაცი?

ვილჰელმა აჩვენა უფსკრულზე.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

XI

ვილჰელმს დასჭირდა სამი კვირა ლოგინში წოლა. ალექსანდრე მას დიდი სინაზით პატრონობდა. ერთი-ორჯერ იყო მასთან ერმოლოვი; მაგრამ ცოტა ხანს იჯდა ხოლმე და იყო მოლუშული. ხუმრობა არ გამოდიოდა და ვილჰელმი უცებ მიხვდა, რომ ერმოლოვი აღარ არის მისი წარმოდგენის გმირი.

ერთხელ გრიბოევმა მოახსენათ.

— ნიკოლაი ნიკოლაიჩ პოხვისტნევი.

გრიბოედოვმა მშვიდად მოიბრუნა თავი და არც კი ამდგარა, ისე უთხრა:

— ვილჰელმ კარლოვიჩს ამ ჟამად არ შეუძლია ბატონ პოხვისტნევის მიღება.

მთელ ამ სამი კვირის განძავლობაში გრიბოედოვი დალონებული სჩანდა. სადღაც მიდიოდა და გვიან ბრუნდებოდა. ვილჰელმა ვერ გაიგო და ვერა, სად დადიოდა გრიბოედოვი. გრიბოედოვს თავის თავისთვის ვერ ეპატივებია ის შიში, რომელიც მან განიცადა იმ ღამეს, როცა ვილჰელმს ეძებდა. ის ყოველ დღე დადიოდა მანგლისის გზაზე და დიდიხნობით რჩებოდა მუხასთან, ელოდა რომ ვინმე თავზე დასხმოდა.

როცა ვილჰელმი გამომრთელდა, ცხოვრება ისევ ძველ კალაპოტში ჩავარდა: ჯაფარას ბაღი, საუბრები ლისტთან და საკრებულო. ერთხელ, როცა ის შედიოდა საკრებულოში, მას მოავიწყდა, რომ სახლში დარჩა წიგნი, რომელიც ვოეიკოვს აღუთქვა. წინა ოთახში ლაპარაკობდნენ და იცინოდნენ.

— წარმომიდგენია ის ხლებოპეკარი ხის ღრუში—ამბობდა ვილაცის ხმა. ვილჰელმი გაწითლდა და მიუყურადა.

— არა, თქვენ იმას არ იცნობთ, ამბობდა მეორე, ვილჰელმა იცნო პოხვისტნევის ხმა.—წარმოიდგინეთ ჩვენმა ხლებოპეკარმა კარვად იცის, რასაც აკეთებს. მას ეხერხება გულუბრყვილობა, ვისთანაც უნდა მშვენივრად უძვრება სულში.

— მართლა?—იკითხეს უნდობლათ ზოგიერთებმა.

— დიახ, — აგრძელებდა რაღაცათი გულმოსული პოხვისტნევი, — ასე შეუძერა ის ალექსეი პეტროვიჩს. მე ორი დღის წინათ საყვედურიც მივიღე მაგ ღრუს გამო, „თქვენ რატომ აქეზებთ მას ასეთ ადგილებში სახეტილოთ“ და საიდუმლოთ თქვენ გეტყვიო...—და ხმა გადავიდა ჩურჩულში. ვილჰელმა ვერ მოასწრო გაეგონა.

მან დახუჭა თვალები და მიეყრდნო კედელს. მისი გული რეკავდა. მან იგრძნო გაცოფება. კარები გაიღო და გარედ გამოვიდა პოხვისტნევი, მაშინ ვილჰელმა გადააბიჯა მისკენ და შეუხედავით გაარტყა სახეში. პოხვისტნევმა

უხმოთ მიიღო ხელი ლოყაზე და გაიქცა გარეთ. ვილჰელმი წავიდა სახლში. გრიბოედოვიც სახლში იყო. როცა შეხვდა ვილჰელმს, მან საჩქაროთ ჰკითხა:

— რა დაგემართა?

ვილჰელმი ჩუმად იყო.

შემდეგ მან დაირტყა გულზე ხელი და შეხანზარდა.

— ის არამხადა ამბობდა, რომ მე გულუბრყვილობით ვიქცევი. ნდობას ვიპოვებ. ნუ მეტყვი უარს იყავი ჩემი სეკუნდანტი. *სიხარულით*

ალექსანდრე დიდი ინტერესით გადაბრუნდა სავარძელში. მისმა სახემ მიიღო სერიოზული გამომეტყველება. მან აიძულა ვილჰელმი ყველაფერი მოყოლოდა.

— ჩემო კარგო, — სთქვა მან დაჯერებით, — პოხვისტნევი შენთან არ გამოვადუელში. შენ მოწმის დაუსწრებლათ მიგყენებია მისთვის შეურაცკყოფა. ის სრულიად არ გამოეკიდება სატისტიკაციებს. მისთვის სიცოცხლე უფრო ძვირფასია.

— ნუ თუ ის ასე სულდაბალია, რომ უარს იტყვის? — გადმოკაკლა თვალები ვილჰელმა.

— უეჭველია, მე მაგ ქრანტს დიდებულად ვიცნობ. ის არას დროს არ წამოვა კარტელში. ის გიჩივლებს შენ ალექსეი პეტროვიჩთან, ის ორთავეს დაგიძახებთ, წაითამაშებთ კომედიას და ამით ყველაფერი გათავდება.

— არა, გენაცვალე, — სთქვა ვილჰელმა და უცებ საშინლად განრისხდა, — პირზედ დუეი მოადგა. — ის ეხლა ვერსად გამექცევა. მე მაგას ხელმეორეთ გავარტყამ სილას.

— მხოლოდ საჯაროდ, — საქმიანად დაუმატა გრიბოედოვმა.

ვილჰელმი ელოდა ორი დღე. მაგრამ დუელში გამოძახება არ ყოფილა. როგორც ეტყობოდა ერმოლოვმაც არაფერი არ იცოდა. ორი დღის შემდეგ ის წავიდა საკრებულოში. გრიბოედოვმა უთხრა, რომ პოხვისტნევი დღეს იქ იქნებოდა. როცა კიუხელბეკერი საკრებულოში შევიდა, უკვე ჩვეულებრივი თამაში დაწყებული იყო. თუთუნის ბოლი ეკიდა ოთახში. ლისტი განმარტოებული იდგა ფანჯარასთან. რუხი არტილერიისტი ქალაღდს არ თამაშობდა. პოხვისტნევი იჯდა ლომბერის მაგიდასთან ვოეიკოვთან და კიდევ ორ ოფიცერთან. როცა მან ვილჰელმს შეხვდა, ფერი წაუვიდა და მხრები აიჩეჩა. ვილჰელმი პირდაპირი ნაბიჯით მიუახლოვდა.

— მოწყალეო ხელმწიფეო, მე თქვენ გთხოვთ განმარტებას, — სთქვა მან მაღალი ხმით და ხმა შეუწყდა.

პოხვისტნევი წამოდგა და თვალებმა სირბილი დაიწყეს. ის იყო ფერმკრთალი და ვილჰელმს არ უყურებდა. ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა.

— მე თქვენ გთხოვთ, — სთქვა ვილჰელმა, რაღაც არაბუნებრივად წვრილი ხმით, გაიმეოროთ ყველას თანადასწრებით, რაც ბრძანეთ ორი დღის წინათ ჩემზე ამ საკრებულოში.

— მე არაფერიც არ მითქვამს, — წამოიღულულულა პოხვისტნევი და უკან დაიხია.

— მაშინ მე თქვენ გაგახსენებთ—დაიყვირა ვილჰელმა—და ისინი, ვისი თანადასწრებითაც ეს იყო ნათქვამი იმედია ამას დაამოწმებენ. თქვენ სთქვით, რომ მე ჩემი გულუბრყვილობით ალექსეი პეტროვიჩთან ნდობის მოსაპოვებლად დავდვრები.

მათ გარს შემოერთყენ.

მაშინ ვილჰელმა ერთი გაქნევით გააჩუქა სილა პოხვისტნევი.

— აი თქვენ ჩემი პასუხი.

და გააჩუქა კიდევ მეორეჯერ.

ისინი გააშველეს. პოხვისტნევი კბილებს ურტყამდა და ყვიროდა:—

— დურრააკ...

შემდეგ მან წაიტერა და დაიწყო სიცილი. ვილჰელმა იდგა და სულს ძლივს ითქვამდა. მისი თვალები გაწითლებულიყვენ და აქეთ იქით დარბოდენ.

გრიბოედოვი დამშვიდებული და საქმიანი სახით მივიდა ლისტთან.

— ვასილი ფრანცევიჩ, თქვენ რასაკვირველია უარს არ იტყვით იყოთ სეკუნდანი ვილჰელმ კარლოვიჩისა.

ლისტმა სევდიანათ დაუკრა თავი.

XII

პოხვისტნევი თავისი ჩვეულებრივი მოხსენებით იდგა მაგიდასთან..

ერმოლოვი არ იყო ხასიათზე. ის მაგრად კვებტაედა კბილებით ჩიბუხს და ხროტინებდა.

მან ოდნავ გადახედა ორ საქმეს.

— თქვენ მეტი რამ საქმე არ გაქვთ ჩენთან, ნიკოლაი ნიკოლაიჩ!

პოხვისტნევი აირია.

— მე მინდოდა თქვენთვის ერთი საჩივარი შეთქვა, ალექსეი პეტროვიჩ!

— ვიზე?—უცოდველი ხმით იკითხა ერმოლოვმა.

— ბატონ კიუხელბეკერზე, — გათამამდა პოხვისტნევი. — მან მე სასტიკი შეურაცყოფა მომაყენა, ალექსეი პეტროვიჩ, ჩემი მბრძოლველად უმიზეზოთ.

— როგორ მოხდა, რომ თქვენ ასე შეურაცგყოთ, ნიკოლაი ნიკოლაიჩ?—

გაიკვირა ერმოლოვმა. — რა მიზეზი მოიგონა მაინც?

პოხვისტნევი მხრები აიწია.

— თქვენ თვითონ იცით, ალექსეი პეტროვიჩ, მისი გადარეული ხასიათის ამბავი. მან მიზეზათ ის დაასახელა, თითქო მე მანვე შეთქვას, რომ ის თავისი გულუბრყვილობით თქვენ ნდობას იმსახურებდეს.

ჰაა?—მნიშვნელოვანათ იკითხა ერმოლოვმა, — მერე რაო? თქვენ ხომ ამგვარი რამე არავისთვის გითქვამთ?

პოხვისტნევი ფეხიდან ფეხს ინაცვლებდა.

— მერე სად მოხდა შეურაცგყოფა?—ინტერესით გამოიკითხა ერმოლოვმა.

— გუშინდელ საკრებულოში, — უგულოთ უპასუხა პოხვისტნევი.

— ეშმაკმა იცის ეს რა საქმეა, — უცებ განრისხდა ერმოლოვი და მოიღუშა წარბები. — მე ამ საქმეს ასე არ დავტოვებ. — ის მართლა გულმოსული იყო.

— ასე, — განაგრძო მან და მიუბრუნდა პოხვისტნევს. — მერე თქვენ რა გინდათ ნიკოლაი ნიკოლაიჩ გააკეთოთ?

პოხვისტნევმა მრუდეთ გაიღიმა.

— პირველად, ალექსეი პეტროვიჩ, მე მინდოდა უთუოდ დღეში, მაგრამ მერე ვიფიქრე, რადგან ბატონი კიუხელბეკერი ავზნიანია, რაც თქვენც მოგეხსენებათ ალექსეი პეტროვიჩ, და ამიტომ არ შეუძლია ჯანსუფი და შემდეგ ირიცხებოდეს, მე ვიფიქრე, სჯობია სასამართლომ გაარჩიოს ესე სიტყვები.
ერმოლოვი გულგრილათ აქნევდა თავს.

— ძალიან კარგი, ჩემო კარგო, შეგიძლიათ წახვიდეთ, — სთქვა მან ისეთი ხმით, რომელიც არაფერს არ გამოთქვამდა.

როცა პოხვისტნევი გავიდა, ერმოლოვი ადგა და გაიარ გამოიარა ოთახში. შემდეგ დაჯდა, მოსწია ყალიონი, ამოუშვა ბოლი და გაიღიმა. ის მოუჯდა მაგიდას და დაიწყო წერა:

დიდებულო ბატონო

ნიკოლაი ნიკოლაიჩ!

სრულიად დამაფიწყდა თქვენ საქმეზე, ჩემო მეგობარო, გამეხსენებია, რომ ის პატაკები, რომლითაც ჩვენ სამოქალაქო ნაწილები მოგვმართავენ უნდა, იყონ განსაკუთრებით ნუმერაციით აღნიშნული, როგორც შემოსული. გადამწერლები, ეს ეშმაკის ფეხები, ყველაფერს რევენ, რაც ძალიან ართულებს საქმეს. აი სულ ის საქმე, რისთვისაც მე გაწუხებთ და რომელსაც მაპატიებთ. რაც შეეხება თქვენ საშინელ შეურაცხყოფას ბ. კიუხელბეკერის მიერ, მე მგონია, რომ სატიისფაქციებისათვის სამოქალაქო სასამართლო ცოტა იქნება, და თქვენ უთუოდ მოგიხდებათ დღეულში გამოწვევა. მშვიდობით

ერმოლოვი.

მან დარეკა ზარი. შემოვიდა შემთხვევით გადამწერალი. მორიგე სხვაგან წასულიყო. ერმოლოვმა უბრძანა წაეღო მას წერილი პოხვისტნევისთვის. გადამწერალს ის ყურადღებით მისჩერებოდა.

— მ-და — წაიბუტბუტა მან, როცა მარტო დარჩა, — არა მარტო აუდიტორები, არამედ გადამწერლებიც ოცნებობენ, რომ ისინი განსაკუთრებით შექმნილი არსებანი არიან.

XIII

ხვალ დღეულია. შეიძლება ხვალ გაბრწყინდეს დღის სინათლე და ის კი საფლავში იქნება. მან ფიქრით აკოცა თავისი დედის გამხდარ ხელს. მას მოაგონდა დუნია და გააფრთოლა. დაე, ამ შემთხვევით საძაგელმა კაცმა მოკლას ის, იქნებ ეს სჯობდეს კიდევ.

მან დაიწყო წერილების წერა. ერთი პატარა წერილი დასწერა გერმანულად დედისთვის. მეორე — პუშკინისთვის.

მეორე ალექსანდრე აქ არის — ის რაც საჭიროა შეატყობინებს (ალექსანდრე პუშკინი და ალექსანდრე გრიბოედოვი).

უცებ მას მოაგონდა საბერძნეთი, მერე პეტერბურგი.

XIV

დილის ხუთ საათზე მზე უკვე გამოჩნდა.—ამწვანებული ორთაქალის ბალები და იქ ოთხი ადამიანი. ერთმა, სამხედრო სერთუკში, მწუხარე და ბეჯითმა კაცმა გადახომა ათი ნაბიჯი და ანიშნა ბარიერი. მეორე უფრო მოკლე რაღაცას ფუსფუსებს დამბაჩებთან. ვილჰელმის ახლო მწვანე ტოტია ეჩქარებდა იყურებს ამ ტოტს, თუ იმას მოკლავენ უკანასკნელი მოგონება იქნება ისინი და ახლად ამწვანებული ტოტი.

რუხი არტილერიისტი გაჩერდა დუელიანტების წინ.

— ბატონებო, წინადადებას გაძლევთ უკანასკნელად გაათავოთ საქმე მორიგებით.

სიჩუმეა. ვილჰელმი უარის ნიშნით აქნევს თავს. პოხვისტნევი ხელს აქნევს. პირველი სროლა შეურაცყოფილის არის.

გაფითრებული პოხვისტნევი გადადგამს წინ ერთ ნაბიჯს.

ვილჰელმის წინ პატარა დამბაჩის ლულაა. დამბაჩის ლულა თრთის, მალლა იწევა. აი, უყურე ეშმაკს, შუბლში უმიზნებს. არა მგონია, არ უნდა კარიერის გაფუჭება. დამბაჩის ლულა ძირს ჩამოდის, ეხლა ფეხში უმიზნებს, დაარტყამს ჩახმახს—არ გავარდა. პოხვისტნევი იყურება აბნეული სახით. სროლა ეხლა ვილჰელმს ეკუთვნის.

ვილჰელმი თვალებს აყოლებს ცას, მწვანე ხეებს, მთებს, ოდნავ გამოჩენილ მზეს, მძიმეთ ანოიოხრებს, როცა ხედავს თავის წინ გაფითრებულ ადამიანს და ისერის ჰაერში.

XV

ერმოლოვი ჩიბუხს სწევდა და უწერდა კიუხელბეკერს ატტესტატს. მან დასწერა ფორმა და უცებ თავის თავისთვისაც მოულოდნელად მიუმატა— „და ასრულებდა მინდობილებებს ერდგულად და საქები კარგი ყოფაქცევით“. ის გადაბრუნდა სავარძელში და ერთ წამს ფიქრში გაერთო. ხელი უარს ეუბნებოდა დაეწერა სიმართლე ამ ბებერ დედაკაც მინისტრისთვის ამ ხლებოპეკარზე. მას მოაგონდა კიუხელბეკერის ყვირილი, მისი საბერძნეთი. უცებ მოიღუშა და ამოშალა უკანასკნელი ფრაზა. მერე ერთი წამი კიდევ ჩაფიქრდა.

მერე ჩქარა დაწერა: „იმ დროს სიმციროს გამო, რომელიც ის აქ მსახურებდა იყო ცოტათ გამოყენებული სამსახურში და ამიტომ მისი სამსახურის ნიჭი დარჩა გამოუცნობი“.

— მომწყდეს თავიდან, — ჩაიქნია ხელი გულმოსულმა, იქნებ კიუხელბეკერზე და იქნება ატტესტატზე.

XVI

— ალექსანდრ—უთხრა გრიბოვს გრიბოედოვმა, და თვალი გაავლო კიუხელბეკერის ბარგს, — ალექსანდრ ჩემთვისაც შეკარი ბარგი, მეც ვილჰელმ კარლოვიჩთან მივდივარ.

ვილჰელმი უცებ მოტრიალდა.

— საშა, ნუთუ?

გრიბოვი არ ინძრეოდა.

— შენ გესმის რას გიბრძანებ?

გრიბოვი დამშვიდებული წავიდა. რამდენიმე წამის შემდეგ ის შემოვიდა და ხელში ქურქები ეჭირა.

— შენ რა ქურქები მოგაქვს? — გაიკვირვა გრიბოედოვმა.

— შეიძლება რუსეთში ჯერ კიდევ სიცოცხეა, — გულგრილად წარმოსთქვა გრიბოვმა. გრიბოედოვს მოულოდნელად გააჯრყოლა.

— არა, არა, — საჩქაროთ მიუბრუნდა ის კიუხელბეკერს, — ღმერთი იყოს შენთან, ჩემო კარგო და მშვიდობით იმგზავრე, მე ვერ გამიბეღია ჩემ საყვარელ მამულში წამოსვლა — და მან საშინელებით გადახედა ქურქებს.

— მელები, მგლები ჰაერს აყრთლებენ (ქურქები ყარდენ კამფტორით) უსათუოდ ტყავი უნდა გააძრო მხეცს, რომ ისუნთქო დიდებული სამშობლოს დიდებული ჰაერი.

საშა, ძვირფასო, ა, იქნებ მართლა წავიდეთ — შეეკითხა ვილჰელმი.

გრიბოედოვმა აიღო ერთი ქურქი და ჩაიცვა.

— ძალიან მძიმეა, — სთქვა მან დაბნეული ღიმილით, — მხრებს მიწაზე ღუნავს — და მან გამოუცნობი ზიზღით გადაისროლა.

— წადი ვილჰელმ, წადი ძვირფასო, მე სად შემიძლია, მე არ შემიძლია — სთქვა მან და მოეხვია ვილჰელმს.

— ალექსანდრ — მიუბრუნდა ის სასტიკად გრიბოვს და თვალით უჩვენა ქურქებზე — წაიღე აქედან.

ფანჯრის იქით მწუხარეთ აქლარუნდენ ეყვნები.

სახედარი დაიღალა ამდენი ცდით და ფეხებს აბაკუნებდ.

თარგმანი — ტიციან ტაბიძის.



„ა მ ო კ“

1912 წელს მარტში, ნეაპოლის ნავთსადგურში, დიდი ოკიანეს გემის განტვირთვის დროს, მოხდა არაჩვეულებრივი უბედური შემთხვევა, რის შესახებ გაზეთებში დაიბეჭდა დაწვრილებითი, მაგრამ საკმაოდ ფანტასტიური ხასიათის ცნობები. მე თვით, მგზავრი ვიყავ „ოკეანიის“, მაგრამ ისევე როგორც სხვებიც, ვერ გავხდი მოწმე ამ არაჩვეულებრივი შემთხვევის, რადგან იგი ღამით მოხდა, როდესაც გემს ნახშირით ტვირთავდნ და, ჩვენ, რომ თავი დაგვეხსნა ხმაურობისაგან ნაპირს გავედით კაფეებსა და თეატრებში დროს გასტარებლათ. როგორც არ უნდა იყოს, მე პარადათ ვფიქრობ რომ ზოგიერთი მოსახრებანი, რომელიც მე მაშინ საჯაროთ არ გამომითქვამს, შეიცავენ ჭეშმარიტ ახსნას იმ საშინელი სცენისას, ხოლო წელთა დაშორებული ხანი მომხდარი ამბის დროიდან, უფლებას მაძლევენ გამოვიყენო ნდობა, რომლითაც აღმჭურვეს ერთი საუბარის დროს, რომელსაც სწორედ იმ უცნაური ამბავის წინ ადგილი ჰქონდა.

* * *

როდესაც კალკუტაში, გემის სააგენტოში, ვითხოვე დაეკვეთათ ჩემთვის ადგილი „ოკეანიაზედ“, ევროპაში დასაბრუნებლად, კლერკმა მწუხარებით ასწია მხრები. მან არ იცოდა, შესძლებდა თუ არა უზრუნველყო ჩემთვის კაბინა, რადგან ამ დროს, წვიმიან ტაროსის დასაწყისში, ყველა ადგილები უკვე ავსტრალიაშივე იყიდება და, ამიტომ, იძულებულია ჯერ დეპეშას მოუცადოს სინგაპურიდან. მაგრამ მეორე დღეს მან მაცნობა სასიამოვნო ამბავი, რომ შეუძლია დაიკავოს ჩემთვის ერთი კაბინა, მაგრამ არა საკმაოდ კომფორტული, ქვევით, გემის შუა ნაწილში. მე მოუთმენლად ვისწრაფოდი წასასვლელად, დაყოვნება აღარ შემეძლო და ესთხოვე ადგილი აუცილებლად დაეკვეთა.

კლერკმა მართალი მოხრა. გემი გაჭედილი იყო, კაბინა კი ცუდი, პატარა ოთხ-კუთხი, საორთქლე მანქანის ახლოს, განათებული მხოლოდ ილიუმინატორის მიმქრალი თვალით. შეხუთულ და დამყაყებულ ჰაერში ზეთის და ხავსის სუნი სდიოდა, ერთის წამითაც კი შეუძლებელი იყო მოშორება ელექტრონის გამაგრილებელისაგან, რომელიც, როგორც გაგიჟებული ფოლადის ღამურა თავზევით ტრიალებდა და წრიბინებდა. ქვევით ოხრავდა და გმინავდა მანქანა, რომ

გორც ნახშირის მტვირთველი, შეუწყვეტლივ რომ აღის და ჩამოდის კიბეზე; ზევიდან კი დაუსრულებელი ბარტყუნი ისმოდა პალუბაზე მოსეირნეთა ფეხების.

ამიტომ, შევაგდე რა ჩემოდანი პირველსავე ხვრელში, პირდაპირ პალუბისაკენ გავიქეცი, რომ მთელი გულით მესუნთქა ნაპირიდან მოქროლილი რბილი და საამო ჰაერი. მაგრამ პალუბაზედაც საშინელი სივიწროვე და სუფევდა; აქაც სავსე იყო ხალხით, რომელიც უმოწყმედობით ზნაოწყვეტილობისაგან დაუსრულებლივ ლაყბობდა და ბოლთას სცენდა. ტიტანი და ჟღერტული ქალების, შეუწყვეტელი ტრიალი პალუბის ვიწრო გასასვლელებში, შფოთი და ლაქლაქი მგზავრების—ყველაფერი ეს, რაღაც გაურკვეველ ტკივალს მგვრიდა. მე უნახე ახალი გვეყანა, თვალის წინ საშინელი სისწრაფით მიპქროდენ ნახული სურათები და ვეტანებოდი ნებსიერებით, შემეჩერებია მათი გაქანებული ქროლვა, მინდოდა დამელაგებია წესრიგით განცდები, აღმედგინა მებსიერებაში ის, რაც თვალმა ნახა, მაგრამ ამ ვიწრო ბულვარში, ერთის წუთითაც არ შეიძლებოდა დასვენება. სტრიქონებიც კი იბნეოდენ გადაშლილ წიგნში, ჩემს წინ, მოსეირნეთა გაბნეულ ჩრდილებისაგან ამ მზის სხივებით გაქლენთილ და მოძრავ გემის ქუჩაზე სრულებითა შეუძლებელი იყო მარტოთ თავის თავთან დარჩენა.

სამი დღე ვებრძოდი ამ გრძნობას და ვაკვირდებოდი ადამიანებს და ზღვას; მაგრამ ზღვა იყო მუდამ ერთნაირი, უდაბნური და ლურჯი და, მხოლოდ დაისისას თუ აენთებოდა, უეცრად, ცისარტყელას ყველა ფერებით. ყველას სახეები უსიამოვნებამდე ნაცნობნი იყვნენ. ქალების მკაწრავი სიცილი აღარ მამრავებდა უკვე და აღარც, ორი პოლანდიელი ოფიცერის—ჩემი მეზობლების—დაუსრულებელი კამათი მაყვანიებდა გულს. მხოლოდ გაქცევა და დამრჩენოდა აქედან; მაგრამ კაბინაში ცხელოდა, ჰაერი კი შეხუთული იყო, ხოლო სალონში ინგლისელი ქალბატონები, შეუწყვეტლივ ვარჯიშობდენ როიალთან და, ამისთვის ყველაზე უფრო გაცვეთილ ვალსებს არჩევდენ. გათავდა მით რომ, მე სავსებით შევსცვალე დღის წესრიგი და, წინასწარორი ქიქა ლუდით გაბრუებული, ვძვრებოდი კაბინაში პირდაპირ სადილის შემდეგ. ეს მაძლევდა საშუალებას გამომეძინებია ვახშმის და სალამოს ცეკვის დრო.

გამომეღვიძა, როდესაც ჩემს პატარა კუბოში უკვე სავსებით ბნელოდა და სრული სიჩუმე იდგა. შევაჩერე გამგრილებელი; საფეთქლებზე მიცოცავდა ჰაერი მსუყე და სველი; გრძნობები დახშულიყვენ და საჭირო იყო რამოდენიმე წამი, რომ მომესაზრებია თუ სად ვიყავი, ან და რა დრო უნდა ყოფილიყო.

აღბათ შუა-ღამეს უნდა გადაცილებულიყო, რადგან აღარც მუსიკა ისმოდა, აღარც ფეხების დაუსრულებელი ბარტყუნი. მხოლოდ მანქანის—ლევიფანის მსუნთქავი გული, ოხვრით მიათრევდა გემის მძიმე ტანს, წინ უსაზღვროში.

ფორთხვით ავცოცდი პალუბაზე. იგი ცარიელი იყო. და როდესაც ავხედე მილებზე დამდგარ ორთქლის გუბეთა ზემოდ, თვალები უეცრად მაგიურმა სინათლემ გაანათა. ზეცა ბრწყინავდა; იგი მუქი სჩანდა მასში ჩამჯდარ ვარსკვლავთა სითეთრის გვერდით, მაგრამ იგი მაინც ბრწყინავდა, თითქოს ხავერდის ზეწარი

გადაფარებოდეს გაბრწყინებულ ზედა პირს, ხოლო ვარსკვლავნი—ელვარე ნახვრეტნი, ყოფილიყვენ საიდანაც გამოსჰვივის ეს აუწერელი ბრწყინვალება. არასოდეს არ მინახავს მე ზეცა ასეთი, როგორც ამ ღამეს, ასეთი ბრწყინავი და ასეთი ცივი. როგორც ფოლადი, ანაპერწყლებული და აქაფებული მთვარისა და ვარსკვლავებისაგან გადმოსხმულ სინათლით, მაგრამ ანთებული სადღაც იქ, იდუმალ სიღრმეში. პირდაპირ ჩემს თავს ზევით იდუმალი ვახსენებდა—სწორებული იდგა, სანხრეთის ჯვარი, ნიჭედილი უხილავთან ბრილიანტებზე მსგავსი ლურსმებით ისე მოსჩანდა, თითქოს ირბოდა იგი, ნაშინ როდესაც ამ მოძრაობას ჰქმნიდა სულა გემის, რომელიც ოდნავი ქანაობით და მთელი თავისი გულის სუნთქვით, გიგანტის ნაბიჯით ბნელ ტალღებში იკაფავდა გზას.

მე ვიდექი და შევსცქეროდი ზეცას. ვგრძნობდი თავს, თითქოს აბანოში, როდესაც ზემოდან თბილი წყალი გესხმისთ, მხოლოდ ეს იყო სინათლე, თეთრი და თბილი, რომელიც ისხმოდა ბელებზედ და მხრებზედ, ნაზად სდიოდა თავზედ და თითქოს შედიოდა შიგნითაც, რადგან ყველფერი რაც არეულად შფოთავდა სულში, უეცრად დალაგდა და დამშვიდდა. ვსუნთქავდით წმინდათ და თავისუფლად და აღტაცებით ვგრძნობდი ტუჩებზე, თითქოს გამსჰვირვალე სასმელს, რბილს, შუშხუნა, დამათრობელ ჰაერს, ავსებულს ხეხილთა სურნელებით და შორეულ კუნძულების სუნთქვით.

მხოლოდ ეხლა, პირველად იმის შემდეგ რაც ამ გემის კიბეზედ ფეხი შემოვდგი, მთლიანად შემიპყრო ოცნების წმინდა სიხარულმა და გრძნობამ კიდევ უფრო სხვანაირმა, უფრო ვნებიანმა, რომ როგორც ქალს ნიშეცა მთელი ტანი ამ ჰაეროვან სილალისათვის. მინდოდა დავწოლილიყავ აქ და, ცქერით ამ თეთრ იეროგლიფებს მივპყრობილიყავ; მაგრამ ყველა სავარძლები აელაგებიათ და მთელს ცარიელ პალუბაზე არ სჩანდა მოხერხებული ადგილი დასვენებული ოცნებისათვის.

სრულებით დაბრმავებული სინათლით, ყოველის მხრიდან სულ უფრო და უფრო მეტი რომ მესხმოდა თავს, გემის წინა ნაწილისაკენ გავემართე. უკვე ტკივილსაც კი ვგრძნობდი ამ მჭრელ-თეთრ ვარსკვლავოსან სინათლისაგან და, მინდოდა სადმე ჩრდილში მიეფარებოდი, გაეწოლილიყავ კილობზედ, აღარ მეცქირა ამ ბრწყინავ შუქისთვის პირდაპირ თვალში, არამედ მეგრძნო მისი ანაშუქი ნივთებზედ, ისე როგორც უცქერიან გარე სამყაროს, მიბნელებული ოთახიდან. ფორთხვით, ბაწრების გასწვრივ, როგორც იქნა მივალწიე მოაჯირამდე და დაუწყე ცქერა, თუ როგორ სჭრიდა სიბნელეს ფორშტევენი და როგორ ამოდიოდა ქაფათ მთვარის გაღლობილი სინათლე, მისი ბასრი პირის ორივე მხარეს. დაულალავათ ამოდიოდა და კვლავ ჩადიოდა სახნისი შავსა და თხელ ნიადაგში. და ამ ღამს, ამ ანაკვრჩხლებულ თამაშში, მე სავსებით ვგრძნობდი მთელს ტანჯვას დამარცხებული სტიქიონისას, მთელს სიხარულს მიწის ძლიერებისას. ამ ხილაში დავკარგე გრძნობა დროისაც. არ ვიცი, ვიდექი აქ მთელი საათი, თუ მხოლოდ რამოდენიმე წუთი; გემის, განნაცვიფრებელ აკვანს რხევამ, დროთა საზღვრებს გადაეცა. ვგრძნობდი მხოლოდ, რომ ტანს იპყრობდა დაღლილობა, ვნებათა წყურვილის მსგავსი. მინდოდა ძილი, ოცნებობა, მაგრამ არა წასვლა ამ

ჯადოსნურ სიმშვიდისაგან, არა ჩემს კუბოში ჩაშვება. ფეხებით, შეუგნებლად მოვხიდე ბაწრების ხვეული, დავჯექი, დავხუჭე თვალები, მაგრამ ყოველის მხრიდან მდინარე ვერცხლის ანაშუქი, მაინც სდიოდა შიგ. ჩემს ქვევით, ვგრძნობდი წყლის ჩუმ ჩურჩულს, ზევით უსინდლი რეკას სამყაროს თეთრი ნაკადის და ნელი ნელა ამ წყლის ჩურჩულმა ჩემი სისხლი აავსო—ნეტს ვეღარ ვგრძნობდი ჩემს თავს, ვეღარ ვარჩევდი, ჩემია ეს სუნთქვა, თუ გემას შორს ქვევით ცემია. მე ვდნებოდი და, ამ შეუწყვეტელ წყლის ჩურჩულში, შუაღამის სამყაროს უერთდებოდი.

* * *

ჩუმმა, მშრალმა ხველამ ჩემს ახლოს, უეცრად, შემაკრთო.. მყის გამოვერკვიე გაბრუებიდან. თვალები, დაბრმავებულნი თეთრი ბრქუვიანებისაგან, დახურულ ქუთუთოებშიც კი რომ გადიოდენ, ძლივს გაიხსნენ—ჩემს პირდაპირ ჩრდილში პალუბის მოაჯირთან, ელვარებდა რალაც, რაც სათვალეების ანაშუქს გავდა; შემდეგ ამ ადგილზე უეცრად დიდი, მრგვალი ნაკვერცხალი გაბრწყინდა. უეცველად ყალიონის ცეცხლი თუ იქნებოდა. როდესაც გემის ცხვირთან ვიჯექ და აქაფებული ტალღით ვსტკებებოდი, ალბად მე ვერ შევამჩნიე ეს მეზობელი, რომელიც უძრავად მდგარა მთელი ამ ხნის განმავლობაში. უნებლიეთ ჯერ კიდევ არ მოსულმა ჩემსავე გრძნობებში, მე გერმანულად წარმოვსთქვი:

— მაპატიეთ.

— ნუ ირჯებით...—გერმანულადვე მიპასუხა ხმამ სიბნელიდან, მე ვერ გადმოვცემთ თუ როგორ მიმძიმდა ამ დროს ჯდომა სიბნელეში ადამიანის გვერდით, რომელიც არც სჩანდა და არც ხმას იღებდა. მე ვგრძნობდი, რომ ეს ადამიანი მაკვირდება ისეთივედა ქიმული ძარღვებით, როგორითაც მე მას შევსცქერი; მდინარე და მბუხტავი თეთრი სინათლე ჩვენს ზემოთ იყო ისეთი ძლიერი, რომ თვითველი ჩვენთაგანი ხედავდა მხოლოდ ჩრდილში მეორეს მოხაზულობას.. მაგრამ მე შეჩვენებოდა, რომ მესმოდა თუ როგორ სუნთქავდა ეს ადამიანი და როგორ სწუწნიდა თავის ჩიბუხს.

ღუნილი შეუძლებელი შეიქნა. დიდი სიამოვნებით წავიდოდი აქედან, მაგრამ ეს როგორღაც, უეცრად და უხეშად მეჩვენა. ამოვიღე ჯიბიდან სიგარა. იფეთქა ასანთმა და მიაი ცეცხლი ერთის წუთით ათრთოლდა ჩვენს ვიწრო კუთხეში. სათვალეების შუშების იქით, დავინახე უცხო სახე, რომელიც გემზე არასოდეს არ შემიმჩნევია—არც სადილის დროს, არც სეირნობისას და არ ვიცი, ეტკინათ ჩემს თვალებს ასანთის უეცარი სინათლისაგან, თუ ეს ვალიუცინაცია იყო; მაგრამ ეს სახე მე მეჩვენა დაღვრემილი, უეცრად შეცვლილი საშინელების ხილვისაგან, მოჩვენების მსგავსი; მაგრამ, ვიდრე მე მოვასწრებდი ამ სახის ნათლად შეხედვას, იგი უკვე სიბნელემ წოიცვა. მე ვხედავდი მხოლოდ მისი ტანის საერთო მოხაზულობას, მუქს, საერთო მუქ ფონზედ და წუთიერად, ცარიელს სივრცეში გაბრწყინებულს მისი ჩიბუხის ცეცხლიან რგოლს. არც ერთი ჩვენთაგანი არ ლაპარაკობდა და ეს ღუმილი ისე მქეჯნიდა, როგორც ტროპიკების ცხელი ჰაერი.

ბოლოს, მე ველარ მოვითმინე. წამოვდეგ ფეხზე და თავაზიანათ უთხარი:

— ძილი ნებისა!

— ძილი ნებისა! — მიპასუხა სიბნელიდან ხრინწიანმა, თითქოს დაეანგებულმა ხმამ.

მე ფრთხილათ გავემართე ნოაჯირის გასწვრივ. უეცრად უკან მომესმა ხმა აჩქარებული და არა მტკიცე ნაბიჯის. მე უნებლიეთ შეეჩერდნენ ნაბიჯები და ამ სიბნელეში, თითქოს ვიგრძენი გაუბედავი და შეწუხებული ლამიანის ნაბიჯი.

— ბოდიშს ვიხდი. აჩქარებით ალაპარაკდა იგი, — თუ მე თქვენ მოვმართავთ თხოვნით! მე.... მე, — იგი დაიბნა და შემკრთაღმა უცბად ველარ განაგრძო — ნე... მე მაქვს პირადი.... წმინდა პირადი მიზეზები ვეძიო განმარტოება.... მე მგლოფიარეთ ვარ.... მე გაუბი მგზავრების საზოგადოებას.... თქვენ მე აო მყავხართ მხედველობაში... არა, არა.... მე მხოლოდ წინდოდა მეოხოვა თქვენთვის.... თქვენ ძლიერ დამავალეთ, თუ რომ არავის ეტყვიო გემზე, რომ მე აქ მნახეთ.... ამისათვის მე მაქვს.... ასე ვსთქვათ კერძო მიზეზები, რაიც მიშლიან რომ ამ ჯამად ხალხში ვიყო.... დიად... ასე რომ.... მე ძლიერ შემაწუხებს, თუ თქვენ სადმე გაამხელთ, რომ ამ ლამით, ვილაც.... რომ მე....

სიტყვები ისევ გაეჩხირენ მას ყელში. მე მაშინვე მოვიწადინე გამომეყვანა იგი უხერხულ მდგომარეობიდან და დავპირდი უსათუოდ შემესრულებია მისი თხოვნა. ჩამოვართვით ხელი ერთმანეთს.

შემდეგ, მე დავბრუნდი ჩემს კაბინაში და დავიძინე ყრუ, მაგრამ მეტად მღელვარე ძილით, აღსავსე უცნაური მოჩვენებებით.

* * *

მე შევასრულე აღთქმული სიტყვა და ამ უცნაური შეხვედრის შესახებ არავისთან არ მილაპარაკნია, თუმც დიდი იყო ცდუნება. ზღვაზე მოგზაურობის დროს ყოველი წვრილმანი ამბავად იქცევა, იქნება იგი იალქანი ჰორიზონტზე გამოჩენილი, თუ ზღვის ზედაპირზე ამოტივტივებული დელფინი, შემჩნეული ფლირტი, თუ ვისმეს შემთხვევითი ხუმრობა. გარდა ამისა, მე პირდაპირ მაწვალეზდა სურვილი, გამეგო რაიმე ამ არა ჩვეულებრივი მგზავრის შესახებ. მე გადავხედე მგზავრების სიას, რომ მისი გვარი ნებოვნა, ვაკვირდებოდი ყველა გამვლელთ, იქნებ ვინმეს რაიმე დამოკიდებულება ჰქონოდა მასთან; მთელი დღე ვიყავი შეპყრობილი ნერვიული მოუთმენლობით და ველოდი საღამოს, რომ კვლავ შეხვედროდი ამ უცნობს. გამოუცნობი ფსიქოლოგიური მოვლენანი ყოველთვის უძლევეად მიჩიდავენ, მალეღებენ სიგიჟემდე, და ვერაფრით ვერ მოვისვენებ, ვიდრე ვერ მოვახერხებ მათში დაფარულ საიდუმლოების გახსნას. ადამიანებს უცნაური და ახირებული თვისებებით, შეუძლიანთ ჩემში მათი შემეცნების ისეთი სურვილი აღძრან, რომელიც არაფრით არ ჩამოუყვარდება, თუნდაც, სურვილს ქალისადმი დაუფლებსა.

და მართლაც, გამომეღვიძა ინავ დროს, როგორც გუშინ; ფოსფორით დაფარულ საათის ციფერბლატზე, ორივე ისარი ერთმანეთს ისე დაფარებოდენ,

როგორც ანთებული ზოლი. მე საჩქაროდ ავდექი და დახუთულ კაბინიდან არა ნაკლებ დახუთულ ჰაერზე ავედი.

როგორც გუშინ, ისევე ბრწყინავდენ ვარსკვლავები და, აძვივებულ გემს თავისი დაბნეული სინათლით აელვარებდენ. მიუწდომელ ზიმაღლეში ერთო სამხრეთის ჯვარი. ყველაფერი იყო ისევე, როგორც გუშინ, — დღე/და ღამე ტროპიკებში უფრო გვიან ტყუბებს, ვიდრე ჩვენში, მხოლოდ უკვე თითქმის რომ გამჭრალიყო გუშინდელი ნაზი და ოცნებობის/დასმობის გრძნობა. რაღაც მიზიდავდა მე, ამავე დროს მაკრთობდა კიდევ. მე ვიცოდი რაც მიზიდავდა ეხლა იქით, გემის ცხვირისაკენ; მე მინდოდა გამეგო, ზის თუ არა იქ ის, უძრავი და გამოუცნობი. ზევით გაისმა გემის ზარის ხმა. თითქოს, ვიღაცამ მიჯიკავა, ნაბიჯ-ნაბიჯ ვიწვედი წინ, მთლიანად დამორჩილებული რაღაც მიმზიდველ ძალისადმი. ვერ მოვასწარი ნიშნული ადგილამდე, რომ წინ რაღაცამ იელვა, თითქოს წითელმა თვალმა — ნისმა ჩიბუხმა. მაშასადამე იგი იქ ზის. უნებლიეთ დავიხიე უკან და გავსერდი. შემდეგ წუთში მე, უთუოდ, წავიდოდი უკან, მაგრამ სიბნელეში რაღაც ანოძრავდა, ვიღაც ადგა, გადმოსდგა ორი ნაბიჯი და, უეცრად პირდაპირ ჩემს წინ, მომესმა მისი ხმა, ჩუმი და თავაზიანი.

— უკაცრავათ, — სთქვა მან, — თქვენ, ალბათ, გსურთ გახვიდეთ თქვენი ადგილისაკენ და მე მეჩვენა, რომ რადგან მე დამინახეთ, მოისურვეთ დაბრუნება. გთხოვთ დაბრძანდეთ, მე ეზღავე წავალ!

ჩემის მხრივ მე უპასუხე, რომ ვთხოვ იგი დარჩეს, რადგან მე მხოლოდ მისთვის დავიხიე უკან, რომ მსურდა, მისთვის ხელი არ შემეშალა.

— მე თქვენ არ მიშლით, — რაღაც სიმწარით წარმოსთქვა მან, — პირიქით მე მოხარული ვიქნები ერთხანს მაინც მარტო არ ვიქნე. უკვე ათი დღეა, რაც მე ერთი სიტყვა არ წარმომითქვამს... უფრო სწორედ რომ ესთქვათ, რამოდენიმე წელიც კი იქნება... და მე მიმძიმს — პირდაპირ ვიხრჩობი, ალბათ მიტომ, რომ იძულებული ვარ ყველაფერი ვყლაპო, ჩუმად... მე აღარ შემიძლია ვიჯდე მეტი კაბინაში, ამ... ამ კუბოში... აღარ შემიძლია მეტი... ადამიანებსაც ველარ ვიტან, რადგან ისინი მთელი დღე იციანიან... ამის ატანა მე აღარ ძალმიძს... მე მესმის ეს სიცილი თვით ჩემს კაბინაში და ყურებს ვიხშობ, რომ არ გავიგონო... მართალია, მათ ხომ არ იციან, რომ... მათ წარმოდგენაც არა აქვთ, და, ამის გარდა, მათ, უცხოთ, რა საჭმე აქვთ...

მას კვლავ დაება ენა და შემდეგ, მოულოდნელად და აჩქარებით წარმოსთქვა:

— მაგრამ მე არ მინდა შეგაწუხოთ... ბოდიშს ვიხდი ამ უთავბოლო ლაპარაკისათვის!

დამიკრა თავი და წასვლა დააპირა. მე ენერგიულად გადავწყვიტე შემეჩერებია იგი.

— თქვენ სრულგებითაც არ მაწუხებთ. მე თვით ძლიერ მოხარული ვიქნები, აქ, ამ სიწყნარეში, ორიოდ სიტყვით გამოგესაუბროთ... სიგარას ხომ არ ინებებთ?

მან გამომართვა. ავანთე ასანთი. ძიგძივა სინათლეზე კვლავ გამოჩნდა მისი

სახე მოწყვეტილი შავ ფონს; ეხლა იგი პირდაპირ ჩემსკენ იყო მობრუნებული. თვალები სათვალეებიდან, ხარბად და რალაც გაგიჟებული ძალით ჩაერქენ ჩემს სახეს. მე თრთოლვამ ამიტანა. მე ვგრძნობდი, რომ ამ ადამიანს ლაპარაკი სურს და, რომ მან უნდა ილაპარაკოს. და მე ვიცოდი, რომ უნდა დაგდუმებულიყავი, რათა ეს გამეადვილებია მისთვის.

ჩვენ ისევ დავსხედით. მას პალუბის მეორე სავარძელზე ჩქვნიდა, რომელიც მე გამომიწოდა. ჩვენ ვწევდით და იმით, რომ მოსჩანდა, მისი ხმა სხტოდა სიბნელეში მისი სიგარის სინათლის რგოლი, მე ვხედავდი, რომ თრთოდა მისი ხელი. მე ვგრძნობდი, რომ კაცი ღელავდა. მაგრამ მე ვსდუმდი. სდუმდა იგიც. შემდეგ მისმა ხმამ ჩუმათ იკითხა:

— თქვენ ძლიერ დაიღალეთ?

— სრულებითაც არა!

სმა სიბნელეში ერთის წუთით ჩაწყდა.

— მე მინდოდა თქვენთვის რალაც მეკითხა... ე. ი. მე მინდოდა თქვენთვის რალაც მომეთხრო... მე ვიცი, მე მშვენივრად ვიცი, რომ სისულელეა მიმართო პირველ შეხვედრილს, მიუხედავად ამისა... მე... საოცარ პსიქიურ მდგომარეობაში ვიმყოფები... მე მივალწიე იმ საზღვარს, როდესაც, რაც უნდა იქნეს, აუცილებლად უნდა ვისმეს გამოველაპარაკო... თუ ასე არ ვქენი დავიღუპები... თქვენ გამიგებთ მე, როდესაც... დიალ, როდესაც მე, მე თქვენ მოგიტხრობთ... მე ვიცი, რომ თქვენ ვერ დამხმარებით... მაგრამ, მე, პირდაპირ, ავად გავხდი ამ დუმილისაგან... ავადმყოფი კი, ყოველთვის სასაცილოა სხვის თვალში...

მე შევწყვიტე მისი ლაპარაკი და ვთხოვე უმიზნოთ აღარ დატანჯულიყო, და, მოუჩიბლად მოყოლოდა ჩემთვის ყველაფერს. რასაკვირველია მე არ შემეძლო რაიმეს დაპირება, მაგრამ დახმარებისათვის, თავის მიწოდება ყოველი ადამიანის მოვალეობას შეადგენს.

— მოვალეობა... მიაწოდოთ დახმარება... მოვალეობა შეეცადოთ მაინც... ასე, რომ თქვენც... მაშასადამე თქვენც ფიქრობთ, რომ ჩვენი მოვალეობაა... მოვალეობაა მიაწოდოთ დახმარება...

სამჯერ გაიმეორა მან ეს ფრაზა. მე როგორღაც შემძიმა ეს ტლანქი ჩვეულება სიტყვების გამეორებისა.

— შეშლილი ხომ არ არის? ან იქნებ მთვრალია—და თითქოს მიხვდაო ჩემს ფიქრებს, მან უკვე შეცვლილი ხმით მიპასუხა:

— თქვენ იქნება შეშლილად, ან მთვრალად მიგაჩნივართ. არა, ეს არ არის—ჯერ კიდევ არ არის. მხოლოდ თქვენ მიერ თქმულმა სიტყვამ, უცნაურად განმაცვიფრა... განმაცვიფრა მიტომ, რომ ეს არის სწორედ ის, რისთვისაც ვიტანჯები,—გვაწევს თუ არა ჩვენ მოვალეობა... მოვალეობა...

მას ისევ დაება ენა. შემდეგ ისევ დადუმდა და ერთი ხნის შემდეგ კვლავ დაიწყო ახალი ძალდატანებით:

— საქმე იმაშია, რომ მე ექამი ვარ. ჩვენს პრაქტიკაში ხშირია ისეთი შემთხვევა, ისეთი საბედისწერო... დიახ მე ვიტყვოდი განსაზღვრული შემთხვევა, როდესაც არ იცი გაწევს თუ არა შენ მოვალეობა... მოვალეობა ხომ ერთი არ

არის—ახლობელის წინაშე, არის კიდევ მოვალეობა შენი თავის წინაშე, სახელ-
მწიფოსა და მეცნიერების წინაშე... უნდა დაეხმარო, რასაკვირველია, ჩვენ
ამისათვის ვარსებობთ... მაგრამ ასეთი წესი კარგია მხოლოდ თეორიებში... სად
არის საზღვარი ამ დახმარებისა?... აი, თქვენ უცხო კაცი ბრძანდებით და მეც
უცხო ვარ თქვენთვის და მე გთხოვთ თქვენ, არავის უთხრათ, რომ აქ მნახეთ...
კეთილი, თქვენ სდუმხართ,—ასრულებთ თქვენს მოვალეობას... მეც მსხვერპლად მე-
საუბროთ, რადგან მე პირადად ვიხრჩობი დუმილისაგან... თქვენ მზად ხართ
მისმინოთ... კეთილი... მაგრამ ეს ხომ აღვილია... ხოლო, აი მე რომ გთხოვოთ თქვენ,
ხელი მტაცოთ და აქედან ზღვაში გადამიხროლოთ... აი, აქ თავდება თავაზი-
ანობა, დახმარების აღმოჩენის სურვილი... სადღაც იგი უნდა ვათავდეს! იქ, სა-
დაც იწყება ჩვენი საკუთარი ცხოვრება, ჩვენი საკუთარი პასუხისმგებლობა... სა-
დაც იგი უნდა თავდებოდეს... სადაც უნდა თავდებოდეს ეს მოვალეობა...
ან სწორედ იქნებ, ექიმისათვის არ თავდება იგი არსად? ნუ თუ ექიმი ყოველ-
თვის ვილაც მხსნელი უნდა იყოს, ვილაც მსოფლიო დამხმარე, მხოლოდ იმიტომ
რომ, მას აქვს დიპლომი დაწერილი ლათინური ასოებით? ნუ თუ იგი მართლა
უნდა გაშორდეს თავის პირად ცხოვრებას და წყალი შეისხას სასხლში, რო-
დესაც... რომელიმე პაციენტი მიდის მასთან და ითხოვს მისგან კეთილშო-
ბილებას, სიკეთეს და მზად ყოფნას დახმარებისათვის? დიად, თავდება თუ არა
სადმე ეს მოვალეობა... იქ, სადაც აღამიანს აღარ შეუძლია მეტი, სწორედ იქ!..

იგი კვლავ შეჩერდა და შემდეგ განაგრძო:

— ბოდიშს ვიხდი, რომ ასე აღელვებული გელაპარაკებით, მაგრამ მე არა ვარ
მთავარი... თუმცა ეხლა ესეც უკვე ხშირად შემართება და მე, დამშვიდებული,
გიტყდებით ამაში. ამ სატანისებურ მარტოობაში... იფიქრეთ, — მე ეს შვიდი
წელი დაგყავი მხოლოდ აღვილობრივ მცოცრებათა და მხეცთა შორის... მაგრამ,
მოითმინეთ... დიად, მე უკვე ვიცი... მე მინდოდა ნეკიობა თქვენთვის, მინდოდა
მომეთხოვო თქვენთვის ერთი შემთხვევა... გვაწევს თუ არა ჩვენ დახმარების
მოვალეობა... ისე, ანგელოზის სიწმინდით დავეხმაროთ.. თუმცა მეშინია, რომ
ეს საკმაოდ გრძელი ისტორია არ გამოვიდეს. თქვენ მართლა, არ დაიღალეთ?

— არა, სრულებითაც არა!

— თქვენ, თქვენ ძლიერ დამავალდებობთ... ხომ არ მიირთმევთ?

მისმა ხელებმა სადღაც სიბნელეში დაიწყეს ფოთილი, ერთი მეორეს დაე-
ჯახენ ორი, სამი რამდენიმე ბოთლი, რომელნიც მან თავის წინ დაიდგა. შემდეგ
მომაწოდა ჭიქა ვისკით; მე ძლივს მივიტანე ტუჩთან, მან კი ერთი აწევით გამო-
სცალა.

ერთს წამს ჩვენს შორის სიჩუმე ჩამოვარდა. უეცრად ხარმა დაჰკრა —
პირველის ნახევარია.

* * *

— მაშ ასე... მე მინდოდა მომეთხოვო თქვეთვის ერთი ამბავი. წარმოიდგი-
ნეთ ექიმი, ერთს... პატარა ქალაქში... ან უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, სო-
ფელში... ექიმი, რომელიც... ექიმი, რომელიც...

მას კვლავ დაებორკა ენა. შემდეგ უცბად მოსხლტა, და თავის სავარძელთან ერთად ჩემსკენ გამოიწია.

— ასე არაფერი არ გამოვა! მე უნდა მოგიყვებოთ თქვენ პირდაპირ და თავიდან ყველაფერი, თორემ ისე ვერაფერს გაიგებთ... მისი მოთხოვნა არ შეიძლება რაიმე მაგალითით, თეორიული შესაძლებლობის სახით... მე უნდა თქვენ მოგიყვებოთ ჩემი ისტორია. აქ აღგილი არ უნდა ექნეს არაფერი, არც მალულობიას თამაშს... ჩემს წინაშე ხომ იხდიან ტანსაცმელს — მკაცრი და სრულებით ტიტველნი მაჩვენებენ თავიანთ იარებს... როდესაც გინდა რომ მოგეხმარონ, ზედმეტია უხერხულობა, ან სურვილი რაიმეს დამალვის... ასე, რომ მე არ შეუძლები მოთხოვნას იმ ამბავის შესახებ, ერთ რომელსაც ექიმს რომ შეეშთხვა... მე ვიხდი ტანთ თქვენს წინაშე ყველაფერს, სიტიტველმდის და ვამბობ: ამ ძალღურ მარტობაში გადავეჩვიე სირცხვილს... გადავეჩვიე ამ დაწყველილ ქვეყანაში, რომელიც სჭამს ადამიანის სულს და მისი ძვლებისაგან უკანასკნელ ტვინსაც კი სწოვს.

მე ალბათ, რაღაც მოძრაობა დამეტყო, რადგან იგი უცბად შეჩერდა

— აა, თქვენ წინააღმდეგი ბრძანდებთ... მესმის — თქვენ აღტაცებული ხართ ინდოეთით, მისი ტაძრებით, პალმებით, ორი თავის მოგზაურობის მთელი რომანტიკით. დიად, ტროპიკები წარმტაც რამეს წარმოადგენენ, თუ თქვენ მას ხედავთ მხოლოდ რკინის გზით მოგზაურობის დროს, ავტომობილში, ან რიკშაში; მე თვით ასევე ვგრძნობდი, როდესაც ამ შვიდი წლის წინეთ, პირველად ჩამოველ აქ. რაზედ არ ვოცნებობდი მე მაშინ — მინდოდა დამეპყრო ყველა ენების სიბრძნე, ნეკითხა საღვო წიგნები მათ პირველ ტექსტებში, მინდოდა შემესწავლა ავადმყოფობანი, ნემუშავა მეცნიერებისათვის, გამეცნო ფსიქიკა ადგილობრივი ხალხისა; მე ვიყავი, როგორც ევროპულ ჟარგონზე იტყვიან, კაცობრიობისა და ცივილიზაციის მისსიონერი, ყველა, ვინც აქ მოდის, იგივე ესიზმრება. მაგრამ ამ ორანჟერეის უხილავ შუშების ქვევით, ადამიანი კარგავს ძალას; ციება, მას ხომ ვერ წაუხვალთ, რამდენიც არ ულაპოთ ქინაქინი — ასუსტებს ნერვებს ადუნებს ყველაფერს და თან და თანობით ადამიანი ხდება ზანტი, ზარმაცი და ფუყე, როგორც მედუზა. ევროპიელი, თუ რომ იგი დიდ ქალაქებიდან, აი, ასეთ დაწყველილ ქაობში ჩამოვარდება, მის და უნებურად შორდება თან და თან თავის ცხოვრების ბუნებრივ წესს. ადრე თუ გვიან ყველას თავში დაჰკრავს: ერთი სმას იწყებს, მეორე ოპიუმით თრობას, მესამე — ჩხუბს და, გამხეცდება — ასეა თუ ისე ფუჭდება და ეცემა ყველა. ყველა ევროპისკენ მიისწრაფის, ოცნებობენ იმაზე, რომ ისევე გაივლიან ოდესმე ასფალტით დაფენილ ქუჩაზე, იცხოვრობენ ნათელს, ქვის სახლში, თეთრ ადამიანებს შორის, წლიდან წლამდე ოცნებობენ ამაზედ და როდესაც სრულდება მათი აქ ყოფნის ვადა, ან შესაძლებელი ხდება შევზღუდების მიღება, მათ უკვე ადგილიდან დაძვრა ეხარებათ; მათ იციან, რომ უკვე ყველასგან დავიწყებულნი არიან, რომ ყველასთვის უცხონი არიან, როგორც ზღვის ლოკოკინები, რომლებზედაც ყველანი ფეხს აბიჯებენ. და რჩებიან ისინი, შეტობილნი თავიანთ ქაობებში და აღუბებიან ამ ცხელ, ხელ-უხლებელ ტყეებში. წყუღ იყოს ის დღე, როდესაც მე თავი ამ მყრალ ხვრელისათვის გავყიდე.

სხვათა შორის, ეს არც თუ სავსებით ჩემი სურვილისამებრ მომხდარა! მე ვსწავლობდი გერმანიაში, გავხდი ექიმი, ამასთან კარგი ექიმიც და, ვმუშაობდი ლაიპციგის კლინიკაში. ერთ-ერთ იმ დროის საექიმო ჟურნალში ბერს სწორდენ იმ ახალი შხეფის შესახებ, რომელიც პრაქტიკაში მე შემოვიტანე პირველად. აქვე ნომისწრო ამბავმა ერთ ქალთან, რომელიც პირველად იქ, საავადმყოფოში ვნახე; მან სივიუემდე მიიყვანა თავისი საყვარელი, მკაცრული, რევოლუციონით დასკრა ეს ქალი; მალე მეც ანავე წრემდე მიმიყვანა. ამ ქალს ჩვეულებად ჰქონდა, თავი ამყად და ცივად ეჩვენებინა, —ამას კი, მე მოთმინებიდან გამოყავდი. ძლიერი ნებისა და კადნიერი ქალები ჩემზე ყოველთვის ადვილად ახდენდენ გავლენას, ხოლო ამ ქალმა კი, ისე დამატრიალა, რომ სრულებით თავი დავკარგე. მე ჩავდიოდი ყველაფერს, რასაც ის მოისურვებდა. მე და რა საჭიროა, რისთვის არ უნდა მოგვეცემა ყველაფერს, აგერ ხომ რვა წელმა განვლო მას შემდეგ —ნე გავფლანგე მისთვის საავადმყოფოს ფულები და როდესაც ეს გამოაშკარავდა, საშინელი სკანდალი შეიქმნა. მართალია ბიძა ჩემმა მოახერხა მიეჩქმალა დანაშაული, მაგრამ ამის შემდეგ ჩემი კარიერა საბუნდამოდ დაიღუპა. აი, სწორედ ამ დროს გავიგე, რომ ჰოლანდიის მთავრობა იწვევს ექიმებს ახალშენებისათვის და წინასწარ, დღიურებსაც იძლევიან საგზაოთ. მე მაშინვე მოვისაზრე, რომ ეს ალბათ, საშიში საქმე უნდა ყოფილიყო, თუ რომ ასეთი სამსახურისთვის ფულსაც წინასწარ იძლევიან; ნე ვიცოდი, რომ ამ ციებით გავლენათილ პლანტაციებზე სასაფლაოს ჯვრები სამჯერ უფრო ხშირად იზრდებიან, ვიდრე ჩვენში; მაგრამ, თუ რომ კაცი ახალგაზრდაა, უთუოდ მგონია, რომ ციება და სიკვდილი მის გარდა, დაეწევა ყველას, ვისაც არ გინდათ. არჩევანი ჩემთვის, სულ ერთია, აღარ იყო, წავედი როტერდამში, მოვაწერე პირობას ხელი ათი წლის ვადით და, მივიღე ბანკოტების საკმაოდ დიდი რაოდენობა. ნახევარი გავაგზავნე სახლში, ხოლო მეორე ნახევარი კი ნავთსადგურშივე ამომადრო ერთმა ქალბატონმა და, ამომადრო მხოლოდ იმის გამო, რომ საოცრად გავდა იმ წყეულ კატას, რომელმაც მე ჰოლანდიის პლანტაციებზე წასაელა მაიძულა. უფულოთ, უსაათოთ, ყოველივე ილიუზიას მოკლებული, ვსტოვებდი მე ევროპას და არც რაიმე სევდა განმიცდია, როდესაც ჩემი გემი მოსწყდა ნავთსადგურს; ხოლო შემდეგ კი, ვიჯექი პალუბაზე, როგორც თქვენ ზიხართ, როგორც ზიან ყველანი, შევსცქეროდი სანხრეთის ჯვარს. პალმებს, დნებოდა გული საგულეში —ახ, ტყეებო, მარტოობა, მყუდროება! —ვოცნებობდი მე. მარტოობა კი, დიად, საკმაოთ ვიგემე. მე ბატაიაში, ან სურაბაიუში როდი გაუგზავნივართ, ქალაქში, სადაც ხალხია, კლუბები, გოლფი, წიგნებიც, გაზეთებიც, არამედ, — თუმცა სახელი აქ არავითარ როლს არ თამაშობს — დამნიშნეს ერთ-ერთ სარაიონო სადგურზე უახლოეს ქალაქიდან, ორი დღის სავალზე; ორი-სამი გამომხზარი და მოსაწყენი მოხელე, ორი, ნახევრად თეთრი, მცხოვრები —აი მთელი ჩემი საზოგადოება და, ამის გარდა ჩვენს გარშემო, მხოლოდ ტყე, პლანტაციები, უდაბნო და ჭაობები.

დასაწყისში კიდევ არა უშავდა-რა, ასე თუ ისე ყველაფერი მაინტერესებდა და ვაკეთებდი რაც შემხედებოდა. ერთხელ, როდესაც ვიცვ-პრეზიდენტი, საინსპექ-

ციო მოგზაურობის დროს ავტომობილიდან გადმოვარდა და ფეხი მოიტეხა, მე სრულდებით მარტო, უთანაშემწოთ, გაუკეთე მას ოპერაცია, რომლის შესახებ მაშინ ძალიან ბევრს ლაპარაკობდენ. შემდეგ ვკრიბადი შხამებს და ადგილობრივ მცხოვრებთა იარაღებს, თავს ვირთობდი ათასი წვრილმანით, რომ როგორმე არ დავცემულიყავ! ჩემმა ევროპიელებმა ისე მომაბეზრეს თავი, რომ გავწყვიტე მათთან ყოველივე ურთიერთობა, დავიწყე სმა და მთლიანად სმისთვის ფიქრებს მივეცი თავი. დამრჩენოდა სულ რაღაც ორი წელი. შემდეგ კი უმხატვრობადი დამსახურებული პენსიით, შემეძლო დავბრუნებულიყავ ევროპაში და ხელახლა დამეწყო ცხოვრება; მივატოვე ყოველივე მეცადინეობა და მხოლოდ ლოდინში ვიყავი. ვიწეჩი ჩემს ხვრელში და ვიყავ ლოდინში! და ესევე ვეგდებოდი იქ დღესაც, რომ არა ის ქალი... რომ ყველაფერი ეს არ მომხდარიყო...

ხმა სიბნელეში ჩაწყდა. აღარც ყალიონი ბოლავდა. დადგა ისეთი სიჩუმე, რომ კვლავ მოისმა ხმაური წყალის, გემის ცხვირის ქვეშ რომ ქაფდებოდა და მანქანის დაშორებული, ყრუ გულის ცემა. მინდოდა მოწვევა სიგარის, მაგრამ მეწინოდა ასანთის ანთება და ამით მისი სახის უეცარი განათება. იგი კი ისევ სდუმდა. არ ვიცოდი გაათავა მან, იქნებ ჩაეყვინთა, ან სძინავს კიდევ, ისეთი მკვდარი მეჩვენებოდა მე მისი დუმილი.

უეცრად მოისმა მოწყვეტილი ძლიერი ხმა ზარის: პირველი საათია! იგი შეტორტმანდა; და მე კვლავ მომესმა ჭიქის რაკენი. ალბათ მისი ხელი ეძებდა ვისკის. მოისმა ჩემი ხმა ყელში გადაწვებული სასმელის, შემდეგ კი უკვე გაისმა მისი ხმა, მაგრამ ამ ჯანად უფრო დაჭიმული და ვნებიანი.

— და აი ასე... მოითმინეთ... მაშ აი ასე, აი ასე იყო ეს! ვზივარ მე იქ, იმ დაწყვეტილ ხვრელში, ვზივარ უძრავათ, როგორც ობობა ქსელში, უკვე მთელი თვეები. ეს სწორედ წვიმების შემდეგ იყო. კვირიდან კვირამდე რაკრაკებდა წვიმა სახურავზე, არც ერთ ევროპიელს, ერთ ცოცხალ ადამიანს არ შემოუხედნია ჩემსკენ; დღიდან დღემდე ვიჯექ მე სახლში, განმარტოვებული ვისკისთან და ჩემ ყვითელ ქალებთან. მე მაშინ უკვე ვიყავი სავსებით „ძიანი“, სავსებით ავადმყოფი ევროპით: როდესაც რომელიმე რომანში, განათებულ ქუჩებზე, ან თეთრ ქალებზე ამოვიკითხავდი რამეს, თითები პირდაპირ ძივძივს დამიწყებდენ, მე არ შემიძლია გადმოგცეთ თქვენ ეს მდგომარეობა, იგი, ერთგვარად, ტროპიკული ავადმყოფობაა, საოცარი, ციებიანი და, ამავე დროს, ულონო სევდა სამშობლოზე. ასე ვიჯექი მე მაშინ, მგონი გეოგრაფიული ატლასით ხელში და, მოგზაურობაზე ვოცნებობდი. უეცრად კარებში გაისმა აღელვებული რაკენი და, ოთახში შემოვარდენ „ბოი“ და ერთი ქალებთაგანი. ისინი თითქოს არაჩვეულებრივ ამბავს მომითხრობდენ: მოვიდა ქალი, ვიღაც ლედი, თეთრი ქალი. მე წამოვხტი. მე არ გამიგონია ეტლის, ან ავტომობილის ხმაური. თეთრი ქალი აქ, ამ ყრუ ადგილს? მე მზად ვარ უკვე გავიქცე კიბისაკენ, მაგრამ თავს ძალას ვატან და ვჩერდები. საჩქაროდ ვიხედები სარკეში და ნაჩქარევად ვისწორებ თმას და ტანსაცმელს. მე ვლელავ, ვგრძნობ რაღაც უცნაურობას, ნაწუხებს არა სასიამოვნო წინად-გრძნობა, რადგან არ წარმომედგინა მთელ დედა-

მიწის ზურგზედ არავინ, ვისაც მეგობრობის განო შეეძლო მოსვლა აქ ჩემთან. როგორც იქნა ჩავედი ქვევით.

მისაღებში იცდის ქალი და მოემართება ჩენსკენ. საავტომობილო, სქელი პირბადე ფარავს მის სახეს. მე მინდა გამოვეცნაურო მას, მაგრამ იგი თვით იწყებს ლაპარაკს.

— დილა მწვიდობისა, ექიმო!—ამბობს იგი ინგლისურად, სიტყვა მეჩვენება მე მეტად დაწყობილი და, თითქოს, წინასწარ დაწვრილებული. — უკაცრავად, რომ ასე უეცრად და გაუფრთხილებლად შემოვიტერ თქვენთან. მაგრამ ჩვენ სწორედ აი აქ ვიყავით სადგურზე, ჩვენი ავტომობილი იქ დარჩა — „რატომ პირდაპირ მით არ მოვიდა ჩემ სახლთან?“—ელვასებრ გამიელვა ფიქრმა თავში—და აი გამახსენდა რომ თქვენ აქ სცხოვრობთ. მე ისე ბევრი გამიგონია თქვენს შესახებ, ვიცებრეზიდენტთან თქვენ, პირდაპირ, სასწაული მოახდინეთ, მისი ფეხი საუცხოოდ არის მორჩენილი და იგი, უკვე ჩვეულებრივად თამაშობს გოლფს. ო, ჩვენთან ჯერ კიდევ ყველა ამაზედ ლაპარაკობს და, ყველანი დიდის სიამოვნებით დავთმობდით ჩვენს ნოლაყბე სამხედრო ექიმს და, ორ დანარჩენსაც ზედ ნივთობებით, თქვენ რომ ჩვენსკენ გადმოხვიდოდეთ... საერთოდ, რატომ არსად არ სჩანხართ? თქვენ ისე სცხოვრობთ, თითქოს იოგი იყვეთ.....

და აი ასე ტარტალებს იგი დაუსრულებრივ, ეჩქარება და სიტყვის ამოღებას არ მიცლის; რაღაც ნერვიული და დაუწყნარებელი მეგობრობა მე ამ სრი-ალა ტიტინში და უკვე მე თვით მედება ჩემი სტუმარის მღელვარება. რატომ ლაპარაკობს ეს ასე ბევრს? ვაძლევ ჩემ თავს კითხვას, რატომ არ აცხადებს თავის ვინაობას, რატომ არ იხსნის პირ-ბადეს? ციება ხომ არა აქვს? იქნებ ავად არი? შეშლილია? სულ უფრო და უფრო ვღელავ, ვგრძნობ თავს სასაცილო მდგონარეობაში და მაინც ვდგევარ მის წინ გარინდული და ვერ ვახერხებ შევაჩერო ეს დაუსრულებელი ტიტინი. როგორც იქნა ერთის წამით შეჩერდა და შემიძლია ხმა ამოვიღო, რომ ზევით ამოსვლა ვსთხოვო. იგი ანიშნებს „ბოი“-ს, რომ ქვევით დარჩეს და პირველი ამოდის კიბეზედ.

— რა საუცხოოთ ყოფილხართ მოწყობილი—ამბობს იგი და, ჩემს ოთახს ათვალერებს—ო, რა საუცხოოა!—წიგნები!... რა დიდი სიამოვნებით წაეკითხავდი ყველა ამ წიგნებს. იგი უახლოვდება მათ და წიგნების სათაურებს ათვალერებს. პირველად იმის შემდეგ, რაც მე ეს ქალი ვიხილე, გაჩუმდა იგი ერთის წუთით.

— მომცემთ ნებას რომ ჩაი შემოქთაეახოთ?—ვეკითხები მე. იგი არც კი იხედება ჩემსკენ და განაგრძობს წიგნების შინჯვას. „არა, ექიმო, მაღლობთ... ჩვენ ეხლავე უნდა დავბრუნდეთ... ძალიან ცოტა დრო მაქვს... ეს ხომ უბრალო პატარა სეირნობა იყო.... ახ, თქვენ ფლობერი გქონიათ! მე ისე ძლიერ მიყვარს იგი.... საუცხოო, შესანიშნავია მისი „Education sentimentale“ მე ვხედავ თქვენ ფრანგულადაც კითხულობთ.... რა არ იცით თქვენ.. გერმანელები უცნაური ხალხი მართ... ყველაფერს სკოლაშივე სწავლობთ... მართლა რომ ვასაკვირია—ამდენი ენების ცოდნა!.... ვიცე-პრეზიდენტი პირდაპირ ბოდაეს თქვენით და ყოველთვის ლაპარაკობს, რომ თქვენ ერთად-ერთი ქირურგი ხართ, რომლის და-

ნის ქვეშ იგი თავისუფლად დაწვებოდა... ჩვენი კეთილი ექიმი კი, მხოლოდ ბრძის სათამაშოთ თუ ვარგა!... სხვათა შორის, იცით, (იგი ჯერ კიდევ ლაპარაკობს სულ ისე, რომ ჩემსკენ ერთჯერაც არ მობრუნებულა), დღეს მე თვით ახრად მომივიდა თავში, რომ კარგი იქნებოდა, რომ ერთი რჩევა მეც შეკითხა თქვენთვის... და რადგან ჩვენ თქვენს ახლოს უნდა გაგველო, გავიფიქრე... მაგრამ თქვენ იქნებ დღეს არ გცალიათ.... სჯობს მაშინ სხვა ფორმის გამოვიყენო.

„როგორც იქნა, არ გახსნა ქალაქდები“! მაშინვე გავიფიქრე: იქნებ ერთი არ შევანიშნიე და დავარწმუნე, რომ ჩენთვის მხოლოდ პატივს შეადგენს, რითიმე ვიქნე მისთვის გამოსადეგი ეხლავე, ან როდესაც კი მოისურვებს.

— მე ისეთი არაფერი მაქვს სერიოზული, — სთქვა მან, ნახევრად მობრუნებულმა ჩემსკენ, მაგრამ ისე, რომ წიგნის ფურცელს არც კი შეუწყვეტია, „არაფერი სერიოზული“; უსიამოვნებანი ქალური ხასიათის, თავს ბრუს სამევა, გულის წასვლა. დღეს დილით სეირნობის დროს, მოხვეულში, უცრად გული წამივიდა, *zaide morte...* ბოი იძულებული შეიქნა დავეჯინე და წყალი მოეტანა... იქნებ ნიტომ რომ, მოფერმა მეტის სიჩქარით წაიყვანა ავტო... როგორ ფიქრობთ ექიმო?

— ძნელია ასე თქმა! თქვენ ხშირად იცით ასე გულის წასვლა?

— არა... ე. ი. დიად... უკანასკნელ ხანს... სწორედ, სულ უკანასკნელ ხანს... დიად... გულის წასვლა და გულის რევა.

იგი ისევ წიგნის შკაფთან სდგას, სდებს წიგნს თავის ადგილს, იღებს მეორეს და იწყებს ფურცელას. საკვირველია, რატომ სულ ფურცელას ეს ქალი ამ წიგნებს... ასე ნერვიულად... რატომ ერთხელაც არ შემომხედავს ამ პირბადეში დამალულ თვალებით? მე განგებ არაფერს ვუბასუნებ. მინდა ვაიძულო უცადოს პასუხს. იგი ისევ იწყებს თავისი თამამი და მშფოთავი ჩვეულებით:

— ხომ მართალია, ექიმო, აქ არაფერი შეიძლება იყოს სერიოზული? ხომ არ შეიძლება რომ, რაიმე საშიში ტროპიული ავადმყოფობა იყოს?

— მე ჯერ უნდა გაგშინჯოთ! სიცხე ხომ არა გაქვთ? მომეცით თქვენი პულსი?

მე მივემართები მისკენ, მაგრამ იგი გვერდს მიხვევს მსუბუქი მოძრაობით.

— არა ექიმო, მე სიცხე არა მაქვს... უთუოდ, უთუოდ არა მაქვს... მე ყოველ დღე ვიშინჯავდი ტემპერატურას, იმის შემდეგ რაც... იმის შემდეგ, რაც გულის წასვლა დამეწყო, სიცხე არა მაქვს, ყოველთვის ჩვეულებრივი 36,4. სტომატიც სავსებით წესიერია.

ერთ წამს მე ვფიქრობ. ჩემში თანდათან იზრდება უნდობლობა: მე ვგრძნობ, რომ ამ ქალს რაღაც სურს ჩემგან, ასეთს სიშორეს და ყრუ ადგილს მისთვის ხომ არ მოდიან, რომ ფლობერზედ ისაუბრონ. მე ვაიძულებ მას მოითმინოს ერთი წუთი, მეორე, რამოდენიმე.

— უკაცრავად, — ვამბობ მე შემდეგ — მომეცით ნება, სრულებით გულ ახდელად მოგცეთ თქვენ რამოდენიმე შეკითხვა?

— რასაკვირველია, თქვენ ხომ ექიმი ბრძანდებით — მიპასუხებს იგი, მაგრამ იქვე ბრუნდება ჩემსკენ ზურგით და ისევ წიგნებში იწყებს ფათურს.

— თქვენ ბავშვები გყავსთ?

— დიალ, ვაჟი.

— განიცდიოთ თქვენ... განიცდიდით თქვენ წინეთ... მე მინდა/გსუქვა—მაშინ... განიცდიდით თქვენ მაშინ ასეთსავე მდგომარეობას?

— დიალ!

მისი ხმა ეხლა სულ სხვანაირი გახდა:—მარტივი, გარკვეული, ნაკლები უკვე ნერვიულობას—და შესაძლებელია რომ თქვენ... მაპატიეთ ესეთი კითხვა... შეიძლება რომ თქვენ ეხლაც იმავე მდგომარეობაში იყვეთ?

— დიალ!

მოწვევტილი და ბასრი, როგორც დანა, ისეთი იყო ეს გადმოსროლილი სიტყვა, ერთი კუნთიც არ შერხეულა მის სახეზედ.

— უმჯობესი იქნება, ქალბატონო, რომ მე დაწვრილებით გაგშინჯოთ... თუ ნებას დამრთავთ... მაშინ გთხოვთ მეორე ოთახში გაბრძანდეთ...

აქ იგი უცბად მოტრიალდა. მე ვიგრძენი მის სახეზე ჩამოუვარებულ პირ-ბადის ქვევით, დაჭიმული და გარდამწყვეტი ცქერა, პირდაპირ ჩემსკენ მომართული.

— არა, ამას არ მოითხოვს საჭიროება... მე სავსებით დარწმუნებული ვარ ჩემს მდგომარეობაში.

* * *

ხმა ერთი წუთით ჩაწყდა. სიბნელეში კვლავ გამოჩნდა ავსებული ქიქა.

— მაშ მიგდეთ ყური!.. მაგრამ ჯერ ეცადეთ ჩაუკვირდეთ ყველაფერს, რასაც გეტყვით. ადამიანთან, რომელიც მარტოობაში იღუპება, შეიქრება ქალი, თეთრი ქალი პირველად, მრავალი წლის შემდეგ შეადგამს მის ოთახში ფეხს... და აი ამ დროს მე ვგრძნობ რაღაც საბედისწერო ყოფნას ჩემს ოთახში, რაღაც შეუგრძნობელ საშიშროებას. მე უნებლიეთ ვიგრძენი ეს: პირდაპირ თრთოლვამ შემიპყრო ამ ქალის ფოლადური გარდაწყვეტილებისაგან, ქალის, რომელიც უბრალო ტიტინით შემოვიდა და შემდეგ კი, მოელვარე დანასავით, პირდაპირ, მოთხოვნილება დააყენა, მე ვიცოდი, თუ რაც სურდა ამ ქალს, მიუხედი მას უცბად—ეს ხომ პირველად არ იყო, რომ ქალი ასეთის თხოვნით მოსულიყოს ჩემთან. მაგრამ ისინი ასე არ მოსულან: მოსულან დარცხვენილნი და შეწუხებულნი, უტირიათ და უხეწიათ გადამერჩინა უბედურებისაგან. მაგრამ აქ იყო... ო, აქ იყო ფოლადის, წმინდა ვაჟური ნებასყოფა... პირველსავე წუთში ვიგრძენი, რომ ეს ქალი ჩემზე ძლიერია... რომ მის ნებას შეუძლია მე დამიმორჩილოს... მიუხედავად ამისა... მიუხედავად ამისა... ჩემში რაღაც სიბრაზე ჩაჯდა... ნამაკაცის სიამაყე, შეურაცყოფა, მიტომ რომ... მე ვთქვი უკვე, პირველივე წუთიდან, და კიდევ უფრო აღრე, ვიდრე ამ ქალს დავინახე, მე მასში ვიგრძენი მტერი.

მე ვსდუმდი ჯერ, ვსდუმდი უდრეკი და შეუპოვარი. მე ვგრძნობდი რომ ის მიცქერის პირ-ბადის ქვემოდან, მიცქერის პირდაპირ, გამოწვევით და უნდა, რომ ამალაპარაკოს. მაგრამ მე არ ვსთმობდი ასე ადვილად. მე ავლაპარაკდი, მაგრამ... მიკიბ-მოკიბვით. უნებლიეთ გადვიღე მისი ტიტინის თამამი მანერა. მე ვაჩვენებდი, თითქოს ვერ გავიგე მისი სიტყვები, რადგან—არ ვიცი, შევიძლიათ

თუ არა იგრძნობთ თქვენ ეს—მე მინდოდა, რომ მას უფრო მარტივად ელაპარაკა, მე არ მინდოდა წინადადების მიცემა, პირიქით... მინდოდა რომ ჩემთვის ეთხოვა... რომ ეთხოვა მას, რომელიც ასე მედიდურათ მოვიდა ჩენთან... და ამის გარდა, მე ვიცი, რომ ასეთს ამაყ და ცივა გამოხედვის ქილებს, მე ადვილად ვემორჩილებოდი.

მე სულ საგნის ახლოს ვსტრიალებდი, ვამბობდი, რომ ეს ყველაფერი არ უნდა ეზინოდეს, რომ ასეთი ხასიათის გულის ცემა, ბუნებრივი ხარისხის და პირიქით, ორსულობის ნორმალური მიმდინარეობის საუკეთესო მაჩვენებელია. მომყავდა მაგალითები კლინიკურ ჟურნალებიდან... ელაპარაკობდი მშვიდად და დალაგებით და... სულ ველოდი, რომ იგი როგორმე შემაჩერებდა. მე ვიცი, რომ იგი ვერ მოითმენს. და, მართლაც, თითქოს მთელ ამ დამამშვიდებელ ლაპარაკს თავიდან იშორებს, მან ერთი მოკვეთილი ხელის დაქნევით შემაწყვეტია ლაპარაკი.

— მე ექიმო, ეგ კი არ მაშინებს. მაშინ, როდესაც მე ვაფი მეყოლა ჩემი ჯანმრთელობა უკეთესი იყო... მაგრამ ეხლა ჩემში ყველაფერი აღარ არის ასე right, მე უკვე გულის ფრიალი მაქვს ხოლმე....

— რას ბრძანებთ, გულის ფრიალი?—გავინეორე მე და სახით ოდნავი შიშით გამოვხატე—ეხლავე ვნახავთ!

მე მოვაჩვენე, რომ სტრეტასკობის ასაღებად ვდგები, მაგრამ მან მყისვე შემაჩერა. მისი ხმა ეხლა იყო უკვე მჭრელი და მბრძანებელი, როგორც მოედანზედ ჯარის მეთაურის.

— მე ვიცი გულის ფრიალი, ექიმო, და იძულებული ვარ გთხოვოთ დაუჯეროთ ჩენს სიტყვებს. მე არ მინდა გაშინჯვაზე დრო დაკარგო—ვფიქრობ, რომ თქვენ შეგუძლოთ უფრო მეტი ნდობა გამოგეცხადებიათ ჩემთვის. ჩემის მხრივ, ხომ საკმაო ნდობით მოგეპყარით!

ეხლა უკვე ბრძოლა დაიწყო. ღიათ გადმოსროლილი გამოწვევა. და მეც მივიღე იგი.

— ნდობა ითხოვს გულის ახდას. გულის სრულს ახდას! ბრძანეთ მარტივად, მე ექიმი გახლავართ და უპირველეს ყოვლისა, მოიხსენით ეგ ვუალი, დაბრძანდით აი აქ. და დასტოვეთ ეგ წიგნები. ექიმთან ვუალში არ მოდიან!

აიმართა ამაყად და თვალთ გამზომა. დაფიქრდა ერთის წამით. შემდეგ დაჯდა და ასწია ვუალი. მე დაეინახე სახე, ისეთი, რომლის დანახვაც მეშინოდა; მიუწლომელი სახე, დარწმუნებული თავის თავში, სრული, დამოუკიდებლად ხნოვანებისაგან, ძალიან ლამაზი და ეს სახე, რუხი ინგლისური თვალებით, თითქოს მშვიდობიანობით აღსავსე სჩანდა, მაგრამ შიგ, დაფარული ცეცხლი იმალებოდა. ამ ვიწრო, შეკუმშულმა ტუჩებმა იცოდენ საიდუმლოს შენახვა. იგი მიყურებდა მბრძანებელის თვალებით და, ისეთი ცივი, ფოლადისებური სისასტიკით, რომ მე ველარ მოვითმინე, თავი მოვაბრუნე და ყურადღება სხვა საგანზე გადავიტანე.

იგი ნელა აკაკუნებდა თითებს მაგიდაზე. სჩანდა, რომ ისიც ღელავდა: შემდეგ უეცრად წარმოსთქვა:

როგორ ვსთქვა, — აღვიძებდა ყველაფერს დაღწობილს, ყველაფერს დამალულს, ყველა დაბალ გრძობებს. მე კვდიდან მშლიდა ის, რომ იგი თამაშობდა როლს ამაყი ლედის და, ცივი უკარებლობით საქმიან მოლაპარაკებას მართადა მაშინ, როდესაც სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი იდგა. და შემდეგ... შემდეგ... ხომ არ შეიძლება რომ ქალი გოლჟის თამაშით დაორსულდეს... მე ვიცოდი... უცრად საწინელი სიმარტივით წარმოვიდგინე თვალ-წინ, რომ ეს ქალი, ამაყი და ცივი ქალბატონი მხოლოდ პროტესტისთვის ეხლა რომ ასეთი უხელოთ აუწყებია თავისი წარბები ფოლადის თვალების ზემოთ... დიად, მე პირდაპირ სიძულელით შევხედე მას პირდაპირ თვალებში... რომ იგი ამ ორი, ან სამი თვის წინეთ, განუთრებული კოტრიანობდა ლოგინში მამაკაცთან, ტიტველი როგორც მხეცი და შესაძლებელია, სიტყბებისაგან კენესოდა კიდევ და, მათი ტანნი, როგორც ტუჩები ჩასქიდებოდენ ერთმანეთს... აი ეს იყო, ეს იყო ის ფიქრი, მე რომ მწვაუდა, როდესაც მან შემომხედა იაეთი სიამაყით, ასეთი უკარებელი სიცოცხით, თითქოს ინგლისის ოფიცერი... და მე შევამალე ფიქრისაგან, რომ რითიმე დამეცირება იგი!... აი ამ წუთიდან ეხედავდი კაბის ქვევით მას ტიტველ ტანს... აი ამ წუთიდან ვეხივოვდი მე მხოლოდ ერთი აზრით — დავუფლებოდი მას, ამოშეძრა კენესა ძისი სასტრუკი ტუჩებიდან, შეეჭირა ამ ცივი, ამ ამაყ ქალისათვის ვახელებული ვნების აღმწრში, როგორც უცქერდა ალბად ის, მეორე, რომელსაც მე არ ვიცნობდი... აი ეს... მინდოდა ამეხსნა თქვენთვის!

როგორც არ ვიყავ დაცემული იქ, იმ ქაობის ხავსში, მე როგორც ექინს, ჩემი მდგომარეობით არასოდეს ბოროტად არ მისარგებლია... მაგრამ ეხლა, ამ შემთხვევაში ხომ უნს არ ჰქონია ადგილი, ამასში არაფერია სექსუალური, მე მართალს მოგახსენებთ... მხოლოდ იყო რაღაც შეუდრეკელი სურვილი, დამემარცხებია მისი სიამაყე... გაემხდარიყავი, როგორც ნამაკაცი, მისი ბატონი!.. მგონია, უკვე მოგახსენეთ, რომ ამაყი და ცივი ქალები ყოველთვის მიმორჩილებდენ... მაგრამ ეხლა, ეხლა ამას მიემატა ისიც, რომ ამ შვიდი წლის განმავლობაში მე თეთრი ქალი არა მყოლია, და წინააღმდეგობას გადაჩვეული ვიყავი... აქაური ქალიშვილები, ეს მოტიკტიკე ნახი მხეცები ხომ თრთიან სასოფბით, როდესაც თეთრ კაცს ეძლევიან, მათ „ბატონს“... იბინი პირდაპირ დნებიან ნორჩილებაში, ყოველთვის მხად არიან ამისთვის მათი ხმოვანი სიცოლით... მაგრამ სწორედ ეს მორჩილება, ეს მონური მხად ყოფნა სწამლავს ყოველივე სიამოვნებას... წარმოვიდგინებთ, როგორი რეტი დამეხსნა თავს ამ ქალის მოულოდნელი მოწვევებით, ქალის, რომელიც ზაზლითა და მძულვარებით დამიდგა პირის პირ, ქალის, რომელიც ამ სიამაყესთან ერთად, მალიზიანებდა აგერ ახლად, სულ ახლად განცდილი ვნების სიტყბობის საიდუმლოებით... როდესაც ანნაირი ქალი, ასე კანდიერათ შევა ასეთი კაცის გალიაში, ასეთი განმარტობების, დამშეულის, მთელი სამყაროსგან მოწყვეტილის, ნახევრად—მხეცის... აი ეს... ეს მინდოდა მე მხოლოდ მეთქვა თქვენთვის, რომ ყველაფერი დანარჩენი გაგეგოთ... გაგეგოთ რაც მოხდა შემდეგ. და აი ასე... აღსავსე, რაღაც ბოროტი სურვილებით, მოწამლული ფიქრით მასზე, მის სიტიტველზე და ვნებიანობაზე მე, თითქოს, მთლიანად შევაკუმშე ჩემში და გარეგნულად კი სავსებით გულგრილი იერი მივიღე. ცივად წარმოვსთქვი: — თორმეტი ათასი გულდენი... არა, ეს მე არ მაკმაყოფილებს. მან შემომხედა ცოტა ფერმკრთალნა. ალბათ ის უკვე ხვდებოდა, რომ ჩემი უარი ფულის სიყვარულით არ იყო გამოწვეული. მაგრამ მაინც სთქვა:

— მაშ რამდენს ინებებთ?

ამის შემდეგ მე უკვე აღარ მსურდა მშვიდი კილოთი მელაპარაკნა:

— ვილაპარაკოთ ახლიდათ! მე „საქმის კაცი“ არ გახლავართ... არა ვარ ღარიბი ადულიაქარი „რომეო და ჯულიეტაიდან“, ზნამს რომ წყვეული ოქროს-თვის ყიდის... მე ჩემი თავი უფრო საქმიანი კაცის წინააღმდეგობათ წარმომიდგენია... ამ გზით თქვენ ვერ მიაღწევთ სასურველს.

მაშ თქვენ არ გაეზავთ ეს შემოსრულოთ!

— ფულისათვის—არა!

ერთის წუთით ჩვენს შორის სინამე ჩამოვარდა. ისტრაქის მწიგნობარი რომ მე პირველად გავიგონე მისი სუნთქვა.

— მაშ რა შეგიძლიათ თქვენ კიდევ ისურვოთ.

ესლა კი მე თავს ველარ ვფლობდი.

— უპირველეს ყოვლისა მე მინდა რომ თქვენ... რომ თქვენ მე მომმართოთ არა როგორც ვაჭარს, არამედ როგორც ადამიანს. რომ თქვენს თუ დახმარება გჭირდებათ, არ აჩხრიცალოთ თქვენი საძაგელი ფულები... არამედ მთხოვოთ... მთხოვოთ მე, როგორც ადამიანს, დაგეხმაროთ თქვენ, როგორც ადამიანს... მე მარტო ეჭიმი კი არა ვარ... მარტო მისაღები საათები კი არ მაქვს... მე სხვა საათებიც მაქვს... თქვენ იქნებ აი ასეთ საათში მოხვედით!..

იგი ერთ წუთს სდუმს. შემდეგ მისი ბაგე ოდნავ იგრიხება, თრთის და აჩქარებით ანბობს:

— მაშ, მე რომ თქვენთვის შეთხოვა... თქვენ იზანდით ამას?

— აი, თქვენ ისევ პირობა გსურთ შეკრათ, თქვენ თანახმა ხართ მთხოვოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მე წინასწარ დაგპირდებით. თქვენ ჯერ უნდა მთხოვოთ, მე შემდეგ გიპასუხებთ.

მან თავი ისე გადიგდო უკან, როგორც გახურებულმა ცხენმა; მსულვარებით და აღშფოთებით მიყურებს:

— არა, მე არ ვთხოვთ თქვენ; უმჯობესია დავიღუპო!

აქ კი უკვე აღშფოთებამ შენიპურო, წითელმა, გახელებულმა აღშფოთებამ!

— მაშინ მე მოვითხოვ, თუ რომ თქვენ თხოვნა არ გსურთ! მე ვფიქრობ— მგონია რომ არ მჭირდება ზედმეტი განხარტება—თქვენ იცით რა მსურს მე თქვენგან! აი მაშინ, მხოლოდ მაშინ მოგეხმარებით!

ერთის წუთით მას რეტი დაესხა, შემდეგ—ო, მე არ შემიძლია გადმოგცეთ, თუ რა საშინელი იყო ეს წამი—ჩაჩები მის სახეზედ შეიჭმუსუნენ და შენდეგ... შემდეგ უცბათ სიცილი წორთო... დაუმაღავი ზიხლით, პირდაპირ სახეში დამცინოდა ის... ზიხლით, რომელიც მე მანადგურებდა... და ამავე დროს კიდევ უფრო ნათრობდა... აფეთქებას გაედა ეს, უეცარს, ძლიერს... ისეთი საშინელი ძალა ისახებოდა ამ ზიხლით აღსავსე სიცილში რომ მე... დიად... ნე მზად ვიყავ მუხლებზე დავცემულიყავ და მისი ფეხები მეკოცნა, ეს გრძელდებოდა ერთი წუთი... თითქოს ელვას გაეკრა; ძთელს ჩემს ტანში ცეცხლი ენთო... უეცრად იგი მობრუნდა და აჩქარებით გაეშართა კარებისაკენ. მე უნებლიეთ მინდოდა გავყოლოდი... შეთხოვა პატიება... ნემუდარა... ჩემი ძალა ხომ უკვე საესებით მოტეხილი იყო... მაგრამ... მან ერთხელ კიდევ მოტრიალდა კარებთან და სთქვა... მაგრამ ეს ისე იყო თქმული, როგორც ბრძანება:

— არ გაბედოთ და უკან არ გამომყვეთ, ან ჩემს შესახებ ცნობები არ შეკრიბოთ... მაშინ თქვენ ძლიერ ინანებთ!

სთქვა ეს და მოიხურა კარები.

(დასასრული იქნება).

თარგმ. ლელი ჯაფარიძის.



ქართული
ბიბლიოთეკა

კრიტიკა მათემატიკა
და
კომპიუტერული



ქართული
ენციკლოპედია

ვიღებ „ვაფხისტყაოსნის“ გარშემო

ქართულ მეცნიერთულ მუშაობას წარსულში ერთი რამ ახასიათებდა, ეგრედწოდებული ენციკლოპედიზმი: ჩვენში შრომის განაწილების პრინციპს, სპეციალიზაციას, თითქო არ სცნობდენ, ამიტომ ყველას, ვინც კი წერა-კითხვას შეისწავლიდა და კალამს ხელს მოჰკიდებდა, ყველაფრის მცოდნედ მოჰქონდა თავი. ეს მოვლენა განსაკუთრებით ზესამჩნევი იყო პუბლიცისტურ დარგში; ამ დარგში მომუშავე ერთსადამიამვე დროს წმიდა ისტორიულ პრობლემებსაც არაკვებდა და ისტორიულ-ლიტერატურულსაც, ის არქეოლოგიც იყო და ლინგვისტიც, ფილოსოფოსიც და იურისტიც, პედაგოგი-თეორეტიკოსიც და პუბლიცისტიც, ესთეტიკოსიც და, არაიშვიათად, პოეტიც. ძველად ამ მოვლენას ჰქმნიდა ობიექტური პირობები და ჩვენი ცხოვრების სინამდვილე, ამ მხრივ აქ გასაკვირველი არაფერია, გასაკვირველი ისაა, რომ მისი გამოძახილი, სამწუხაროდ, დღესაც გვესმის და ის, ამ პირობების გარეშეც, განაგრძობს აქაიქ არსებობას. ამით აიხსნება, რომ ამათუიმ საკითხის გარშემო ითხზება თავბრუდამსხმელი, უნიადაგო და უალბი თეორიები, რომელთა ავტორები რომის პაპის უცთომელობის პრეტენზიებით გამოდიან და თავალებით გაიძახიან: „ეს ეხლა საბოლოოდ დანტკიცდა“, „მე ექვშიუტანელად გამოვარკვიე“ და სხვ. მაგალითისათვის ავიღოთ ვეფხისტყაოსანი; ამ წლის დამდეგს გამოვიდა ორი ახალი შრომა, რომელიც ამ პოემის პრობლემების გარკვევას სცდილობს, პ. ინგოროსუვასი და ს. კაკაბაძისა. მათი შესუდულებანი ამათუიმ საკითხის შესახებ დიამეტრალურად ეწინააღმდეგებიან ერთიმეორეს, აქედან ცხადია—ან ერთი სცთება, ან მეორე, ხშირად ორივე, ნაგრამ აბა გაბედეთ და ექვს ქვეშ დააყენეთ ან ერთის დებულება, ან მეორესი, ისეთს მაგარი სიტყვებით „დასაბუთებულ პასუხს“ მიიღებთ, როგორც, თუ გნებავთ, მოგვცა პ. ინგოროსუვამ („მნათობი“ 1927 წ. № 3, 4). ვისაც ქეშმარიტებისათვის გული შესტკივა, მოვალეა შეებრძოლოს ასეთს დუბჭირს მოვლენას ჩვენს მეცნიერებაში, რაც არ უნდა მოელოდეს მას ხმის ამოღებისათვის, ამიტომ მეც ნებას ვაძლევ ჩემს თავს ამ შენთხვევაში დაინტერესებულ პირთა უურადლება ს. კაკაბაძის ახალ გამოცემაზე შევაჩერო¹⁾.

¹⁾ ამასთანავე უნდა განვაცხადო, რომ აბაფის „ოფიციალურ მათნენტობას“ მე არ ვკისრულობ, რთვარც პ. ინგოროსუვას ჰგონია (მნათობი III, 1927), მე მიწდა ვაჩვენო მკითხველს მხოლოდ როგორი შეაიჯღიან, დოდიკით და მასალებით უდგებიან „ობიექტური“ და „ექვშიუტანელი“ მკვლევარნი პირველ-ნარისბიკვანი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების გადაწყვეტას.

1.

ს. კაკაბაძე დიდი ხანია ვეფხისტყაოსანზე მუშაობს და მის პრობლემებს არკვევს. მისი შესწავლა ამ პოემის შესახებ რამდენჯერმე შეიცვალა რადიკალურად: 1914 წელს, როდესაც მან პირველად გამოსცა ეს ნაშრომები, ის ამტკიცებდა, რომ სარგის თმოგველს, 1236—1262 წლების მოღვაწეს, უთარგმნია სპარსულიდან პროზაული მოთხრობა ჩვენი პოემისა, რომელიც მერე მასვე გაუღექსავს ნესტან-დარეჯანის ქაჯთაგან შეპყრობის, ამ დროს კოლო დანარჩენი ნაწილი მისი გაუღექსავს ნეთოთხმეტე საუკუნის დამდეგს, 1405—1412 წლებში, ჰერეთელ მეღექსეს შოთა რუსთველსთ (იხ. წინასიტყვაობა 1914 წლის გამოცემისა). ათი წლის შემდეგ ეს შეხედულება ს. კაკაბაძემ ასე გადააკეთა: 1250—1260 წლებში ჩვენში შემუშავებულა პროზაული ამბავი ვეფხისტყაოსნისა, რომელიც ხელში ჩაეარდნია 1292—1297 წლებში სარგის თმოგველს (შვილის შვილს 1236—1262 წლების მოღვაწის სარგის თმოგველისას) და მას ის გაუღექსავს მთლიანად, ვარდა იმ ნაწილისა, რომელსაც დღეს „გაგრძელებას“ და „დამატებას“ ვეძახით. ეს უკანასკნელი ნაწილი ნეთოთხმეტე საუკუნის დამდეგს, თმოგველთა მიერ თმოგვის მიტოვების შემდეგ, ხელში ჩაეარდნია ნესხს შოთა რუსთველს და მას ის გაუღექსავს 1320—1325 წლებში საქებრად და საკამათებლად აფხაზთა მეფის კონსტანტინეს ქალის და გიორგი მცირის ცოლის თამარისათ (საისტორიო მოამბე 1924 წ. № 1, გვ. 121-166). ეხლა კი, 1927 წლის გამოცემაში, ს. კაკაბაძემ ყველაფერი ეს უარყო და ამტკიცებს შემდეგს: სარგის თმოგველს, დილარიანისა და, შეიძლება, ვისრანიანის მთარგმნელს, 1160—1175 წლებში დაუწერია, სპარსულ ლიტერატურულ ნორმებზე დამოკიდებით (გვ. CXXXI), ვეფხისტყაოსნის პროზაული ამბავი: ეს ამბავი მერე, 1196—1197 წლებში, დავით სოსლანის ბრძანებით, გაუღექსავს ჰერეთის, რუსთავის პატრონს შოთას, გვარად ჩახრუხადეს, მანდატურთუხუცესის ჭიაბერის შვილს და „თამარიანის“ ავტორის უფროს ძმას.

ისტორიულ კვლევა-ძიებისას ჩვენში ახრისა და შეხედულების შეცვლა ამათუიმ საკითხის შესახებ ყოველთვის მოხალოდნელია და თან ბუნებრივიც: ჩვენ ვიმყოფებით მასალათა დაგროვების პროცესში, ამიტომ შესაძლებელია ხვალ ისეთი რამ ახალი აღმოჩნდეს, რომელიც ჩვენს შეხედულებას ძირიან-ფესვიანად შესცვლის. მაგრამ, როდესაც მასალა იგივე რჩება, შეხედულება კი რადიკალურად იცვლება, ისიც რამდენჯერმე მოკლე ხანში, როგორც ამას ს. კაკაბაძის ძიებათა პროცესში ვხედავთ, აუცილებელიც იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ მკვლევარს არაფითარი გარკვეული შეხედულება საძიებელი საგნის შესახებ არ აქვს, ანადა მას ჭეშმარიტება კი არ აინტერესება თავისთავად, არამედ რაღაც სხვა, „ტაქტიკური“ (მისი ტერმინოლოგიით) მოსაზრება. მართლაც, ყურადღებით მოისმინეთ ს. კაკაბაძის განცხადება მის ახალს გამოცემაში: „თავისთავად იგულისხმება, რომ ვეფხისტყაოსნის საკითხთან თვალსაჩინოდ დაკავშირებული იყო საკითხი ქართული კულტურის განვითარებისა და დონეს შესახებ საშუალო საუკუნეების ცალკე პერიოდებში, და იმდენად, რამდენად ტრადიციული ახრი მონგოლების ბატონობის დამყარების მიმდევრო პერიოდს (მე-13

საუკუნიდან დაწყებული) სთვლიდა ქართული კულტურის კატასტროფულ ხანად, ქართული შემოქმედების არა თუ დაქვეითების, არამედ მოღონების ეპოქად, იმდენად ვეფხისტყაოსნის დაწერის დროის საკითხის ასალი დაყენება (იგულისხმება ამ დროის გადატანა ს. კაკაბაძის მიერ მის წინააღმდეგ გამოცვლევებში 13—16 საუკუნეებში) წარმოადგენდა არსებული, ეხლა უკვე შეიძლება ითქვას, არსებითად არასწორი შეხედულების წინააღმდეგ პროტესტს.... იმდენად, რამდენადაც მე-13-14 ს-ის შესახებ „საქართველო“ ისტორიოგრაფიაში არსებული წვედიალის შეესების აზრით გატაცება იწვევდა ვეფხისტყაოსნის პრობლემის ძირიანად ახალ დასმას, საკითხი ამჟამად შეიძლება თავისი როლშესრულებულად ჩაითვალოს... ამიტომაც ამჟამად, განვლილი გზისა და გაკეთებული ნუშაობის შემდეგ, შესაძლებელი ხდება საკითხის საფუძვლიანად გადასინჯვა“ (გვ. XXXIX-X L). იცით, მკითხველნო, ეს რას ნიშნავს? ჩვენს ისტორიოგრაფიაში დამყარებული იყო შეხედულება, რომ მე-13-15 საუკუნეებში ქართული კულტურა, მონგოლთა ბატონობის გამო, დაქვეითებული და დაკნინებული იყო. ს. კაკაბაძე თურმე ამ შეხედულების წინააღმდეგ „საპროტესტოდ“ და მის გასაბათილებლად ამტკიცებდა, რომ ვეფხისტყაოსანი თანაზრის ეპოქაში კი არაა დაწერილი, არამედ მონგოლთა ბატონობის დამყარების შემდეგ, მე-13-15 საუკუნეებში. ეხლა კი, როდესაც მისმა აზრმა თითქო თავის მიზანს მიახწია, ესე იგი — დაამტკიცა, რომ მონგოლთა ბატონობისას საქართველო იმდენად მალა იდვა კულტურულად, რომ იქ მაშინ შესაძლებელი იყო ვეფხისტყაოსნისებური თხზულების დაწერა, ეს აზრი საჭირო აღარაა და შესაძლებელია ჯეროვან გზას დაუბრუნდეთ. მაშასადამე, როდესაც ს. კაკაბაძე თავბრუს გვასაამდა თავისი თეორიით, რომ პოემა მე-14-15 საუკუნეებშია დაწერილი, ამას ის სჩადიოდა თურმე იმიტომ კი არა, რომ ამაში დარწმუნებული იყო და ეს ჭეშმარიტებად მიაჩნდა მას, არამედ სულ სხვა მიზნით: რათა გაებათილებია მისთვის ნიუღებელი შეხედულება ქართული კულტურის შესახებ მონგოლთა ეპოქაში, ესე იგი — ის შეგნებულად სცდილობდა თავისი აკვიატებული აზრი ყალბი, მოგონილი და საგანგებოდ შეთხზული დებულებით გაემართლებია. აი ნამდვილი დევიზი ს. კაკაბაძის „მეცნიერული“ კვლევაძიებისა, რომელიც მან თავისი საკუთარი პირით გვაუწყა! ამგვარ დევიზსა და მეთოდს ყოველ წემთხვევაში მეცნიერებაში არ უნდა ჰქონდეს ადვილი!

ასეთი აღსარების შემდეგ განა ღირს ადამიანმა დრო დაკარგოს ს. კაკაბაძის ახალი შრომის არამც თუ გარჩევაზე, წაკითხვაზედაც კი? რა გარანტიაა იმისი, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ ის მოურადებლად არ განაცხადებს, რომ ახალ გამოცემაში წამოყენებული დებულებანი მას გამოათქმევინა არა ჭეშმარიტების სიყვარულმა და ინტერესმა, არამედ ვიღაცას წინააღმდეგ „პროტესტის“ სურვილმა და რომელიღაც „წვედიალის შეესების აზრით გატაცებამ“? მიუხედავად ამისა საჭიროა შეჩერება ზოგიერთ დებულებაზე მაინც, რადგანაც ცნობილია, რომ, თუ თავის დროზე არ გამოესმაურე ს. კაკაბაძის მიერ შეთხზულ უნიადაგო ჰიპოთეზებს და დაუსაბუთებელ დებულებებს და მერე მათი საწინააღმდეგო რაიმე აზრი გამოსთქვი სადმე, ის „უმეცარის, პრიმიტიულად ნოაზროვნის, უბერს-

პექტივო ადამიანის“ და სხვა მრავალი ამგვარი ეპითეტით შეგამკობს და ერთს ვაივავლახს აგიტებს, რაო და როგორ გაბედე სხვანაირი აზრის გამოთქმა, როდესაც მე ესათუის შეხედულება „საბოლოოდ გარკვეული და დამტკიცებული“ მაქვსო?!¹⁾.

2.



ვიღრე ს. კაკაბაძის დებულებათა მიმოხილვას შემდეგნაირად, სპეკირობა ორიოდ სიტყვით აღინიშნოს შემდეგი გარემოება. ცნობილია, რომ ს. კაკაბაძე ს თავისი თავი მიაჩნია „მეცნიერულ ლიტერატურაში ჩვეულებრივი ეთიკის დამყარების“ რაინდად (საისტორიო მოამბე 1924 წ. № 2, გვ. 266, 1925 წლ. № 1, გვ. 298), თუმცა ამ ატესტაციას ის ვერ ამართლებს. მე არას ვანზობ იმის შესახებ, რომ ის ერთის სიტყვითაც არ იხსენიებს იმ პირთ, რომელთაც გარკვეული დეაწლი მიუძღვის ვეფხისტყაოსნის შესწავლის საქმეში (გამონაკლისს შეადგენს ნ. მარარი¹⁾), ეს პირადი „ეთიკის“ საქმეა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სხვების აზრს არ ეთანხმებით, მაგრამ გასაოცარი ის არის, რომ, მისი სიტყვები რომ ვიხმართ, ავტორი თავის გამოცემაში „მიზართავს რაოდენადც მიუღებელს, იმდენად უსარგებლო საშუალებას სხვისი აზრის თავისად გასაღებისას“ („საისტ. მოამბე“ 1925 წ. № 1, გვ. 297) და ეს მის „ეთიკას“ არ ეწინააღმდეგება. აი დამამტკიცებელი საბუთი ამისა:

1. ს. კაკაბაძის ახალი შრომის მთავარი ღერძი არის დებულება, რომ ავტორი ვეფხისტყაოსნისა, შოთა რუსთველი, არის შვილი ნანდატურთუხუცესის ჭიაბერისა, ვინაიდან ნას ხელი უწერია ამ ჭიაბერის ცნობილს სიგელზე. ეს აზრი ეკუთვნის მ. ჯანაშვილს, რომელიც ამ ოცდაწვიდი წლის წინათ სწერდა: „я допускаю, что этот Шота, владетель Минвана, есть сын самого Чиабера и автор известной поэмы Барсова Коба... Дальнейшие изыскания в области грузинской полеографии, надеюсь, устранят всякое сомнение насчет этого вопроса (Парипа Тамара, стр. 126, Тифлис 1900 г.). ს. კაკაბაძეს ერთი სიტყვითაც არ აღუნიშნავს ეს გარემოება და ამ შეხედულებას ეხლა თავისად ასაღებს.

2. ს. კაკაბაძე ამტკიცებს, რომ ვეფხისტყაოსნის პროზაული ამბავი დამუშავებულია სარგის თმოგველის მიერ, არა იმ სარგისის, რომელმაც, მისი ძველი შეხედულებით, მეცამეტე საუკუნის ნახევარში სთარგმნა სპარსულიდან ეს პოემა, არამედ იმ სარგისის, რომელსაც „დილარიანი“ დაუწერია. ეს შეხედულება ეკუთვნის ი. აბულაძეს, რომელიც ვეფხისტყაოსნის ახალს გამოცე-

¹ ის. მაგალითისათვის მისი „შესანიშნავი“ კრიტიკული მიმოხილვანი „საისტორიო მოამბეში“, რომელიც მან აქცია ვილაკებთან პირადი ამგარიშების გასასწორებელ ორგანოდ თავისი რედაქტორობისას 1924 - 6 წლებში.

¹⁾ იმედია, ავტორი, პ. ინგოროყვასაგით („მხათობი“ IV, 199), ამ სიტყვებს ისე არ გაიგებს, რომ მე ნაწყენი ვარ იმით, რომ ის „ჩემს შეხედულებებს“ არ იხილავს. ჯერ ერთი, მე ჩემს თავს არ ვსთვლი ისეთ პირად, რომელსაც დიდი დეაწლი მიუძღვის ვეფხისტყაოსნის შესწავლის საქმეში, მეორე — ჩემთვის არც ისე საჭურადღებოა პ. ინგოროყვაას აზრი და არც ისე „საკატოთა“ მის მიერ ჩემი დებულებების განხილვა.

მაში (ეს გამოცემა, მეტი თუ არა, სანი თვით მაინც უსწრებს წინ ს. კაკაბაძის გამოცემის შესავალს) აგრეთვე ამტკიცებს, რომ „[ავთან]დილ სარგის თმოგველს უქიაო“, ესე იგი ვეფხისტყაოსნის პროზაული ამბავი დაუწერია (გვ. LXXX—LXXXV) იმ სარგის თმოგველს, რომელსაც შემდეგი დროის ტრადიცია დილარის, resp. დილარვეთის ქებას მიაწერსო. ახალი დროის სარგისს არც ამის აღნიშვნა დაუნახავს საჭიროდ.

უკონკრეტო

3. ს. კაკაბაძე „თამარიანის“ ცნობილი მინაწერის [შემდეგი მსგავსი ჩახრუხადეთა ექო თამარი] საფუძველზე ამტკიცებს, რომ ავტორი პოემისა იყო გვარად ჩახრუხადე, ძმა „თამარიანის“ ავტორისაო. ეს აზრიც ინავე ი. აბულაძეს ეკუთვნის, რომელიც თავის ახალს გამოცემაში, ჰიპოთეზის სახით, ამბობს: „იგი (ავტორი პოემისა), შესაძლებელია, ერთი ჩახრუხადეთაგანიც ყოფილიყო, და, ჩახრუხადესა და შავთელთან ერთად, ეკუთვნოდა ერთსადაიმანვე გვარეულობასო“; მერე მას მოჰყავს „თამარიანის“ იგივე მინაწერი და ასრულებს ასე: „შაშასადამე, ამ ბიბლიოგრაფ-მეხობებს ჰქონია ცნობა იმის შესახებ, რომ ჩახრუხადე არა ერთი ყოფილაო“ (გვ. LXXVIII—LXXIX). აქაც, ამ შემთხვევაშიაც, სდუმს ბ-5ი სარგისი¹⁾.

4. ს. კაკაბაძე გვითვალისწინებს „შოთას ცხოვრების უკანასკნელ წლებს“ (გვ. LXXXI—LXXXV) და „თამარიანის“ ცნობილი ელეგიის მიხედვით აგვიწერს მის მოგზაურობას იმ დროს ცნობილი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში როგორც აზრი იმის შესახებ, რომ დასახელებულს ელეგიაში აღნიშნული მოგზაური პოეტი, შესაძლებელია, ვეფხისტყაოსნის ავტორად იგულისხმებოდეს, ასე დასაბუთება წისი, ეკუთვნის ნ. მარრს (Грузинская поэма Вигить в Барсовой шауре... стр. 502—505), ხოლო დეტალური აღწერა ამ ფანტასტიური მოგზაურობის პერიპეტეიებისა— პ. ინგოროყვას („კავკასიონი“ 1924 წ. № 1—2, გვ. 305—316), რომელსაც მოგზაურ პოეტად „თამარიანის“ ავტორი მიაჩნია. არსად ამ გრძელს ექსკურსში ხსენება არაა არც ნ. მარრისა, არც პ. ინგოროყვასი.

5. ნთელი თავი, — „ვეფხისტყაოსანი კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით“, რომელშიაც აღებულია შემდეგი თემები: „ქართული (თუ ქართული?) ფეოდალური სასოგადოება მე-12—14 საუკუნეთა მიჯნაზე“, „შოთა, როგორც ქართული რაინდობის იდეოლოგი“, „ქალის კულტი საქართველოში“ (გვ. CVII—CXVII), წარმოადგენს განმეორებას, ან უკეთ, პოპულარიზაციას ნ. მარრის მიერ თავის დროს წამოყენებული დებულებებისას (Вступительные и заключительные строфы, Иоани Петрицкий, Древнегрузинские исто-

¹⁾ ი. აბულაძის პრიორიტეტობის აღნიშვნას ამათუიმ შემთხვევაში, კერძოდ ეახტანგისეული დედნის პირველადობის აკითხში, პ. ინგოროყვაც გაუბრძის; როდესაც მე ეს შევნიშნე მას (მნათობი II, 183), თავი იმით იმარაჯლა, რომ ასეთი აზრი სხვებმაც გამოსთქვეს, კერძოდ დ. კარიკაშვილმათ (მნათობი III, 196—197). მით უფრო უარესი, როდესაც ჩქმალავ არა ერთის, არამედ რამოდენიმე მკვლევარია აზრს, და არა მარტო აზრს, არამედ მია დასაბუთებამაც. პ. ინგოროყვამ გაიმეორა არა აზრი მათლოდ დ. კარიკაშვილისა, არამედ არგუმენტაციაც (იხ. ვურნალი მნათობი 1913 წ. № 4) და საჭიროდ არ დაინახა ამისა აღნიშვნა.

შიცხე. Грузинская поэма Витязь в бареовой шкуре). მართალია, ს. კაკაბაძე ამ შემთხვევაში აქაიქ ასახელებს ნ. მარს, მაგრამ არა როგორც პირველ წყაროს ან დებულებებისას მთლიანად, არამედ როგორც თანამოაზრეს ს. კაკაბაძისას ამათუი კერძო საკითხში.

ნ. როდეაძე ს. კაკაბაძე ვეფხისტყაოსნის წარმოშობის საკითხს ეხება (გვ. CXXVII-CXXXII), აცხადებს: „პოემის ფაბულა აღგურობდა ქართულ ნიადაგზე არის წარმოშობილი, მაოლოდ ქართული საერო ლიტერატურული წრეების სპარსულ ლიტერატურულ ნორმებზე დემოკიდებულების გამო ამ ფაბულის... ჩამოყალიბებამ... ნიილო საზოგადოდ აღმოსაელური ხასიათი“ და ამიტომ „მოთას შეეძლო ეს პროზაული თხრობა „სპარსულ ამბად“ ნიეჩნიაო“ (გვ. CXXXI): „პოემის ფაბულის ატყვია სპარსული ლიტერატურული ნორმების ზედგავლენა... ეს გარემოება გვანვენებს ქართული საერო ლიტერატურის დამოკიდებულებას მე-12 საუკუნეში სპარსულ ლიტერატურულ ნორმებზე“ და მე-12 საუკუნის განათლებული ქართველი ლიტერატორის და მეცნიერის ნაკითხობას სპარსულს ლიტერატურაშიო (გვ. CXXIX). მაპატიოს ბ-ნმა სარგისმა კადნიერება, მაგრამ უნდა განვუცხადო მას, რომ ეს აზრი განმეორებაა, რანოდენაძე შეცვლილი სიტყვებით, სხვების მიერ წინათაც გამოთქმულის, მაგრამ ჩემ მიერ საბოლოოდ ჩამოყალიბებული შეხედულებისა ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის ორიგინალობის შესახებ. ჩვენი პოემისა და ზოგიერთი სპარსული ნიმუშების ანალოგიების გათვალისწინებამ მე მომცა საბუთი მეთქვა შემდეგი: „საკმაარისია გვანხოვდეს ეს, რომ დაბეჯითებით ვოქვათ: ისეთს ნიჭიერ კაცს, როგორიც ყოფილა ავტორი ჩვენი პოემისა, აღზრდილს სპარსეთის სადეგმირო და სატრფიალო-სამიჯნურო ნაწარმოებებზე, შეეძლო თვითონ შეეთანხა როგორც სიუჟეტი, ისე ამბავი და ზღაპარი ვეფხისტყაოსნისა“, რომ „არც ზღაპარი პოემისა, არც ჩონჩხი მისი არაა შემოტანილი მზანზარულად... უცხო ქვეყნიდან; ერთიკა და მეორეც ავტორს თვითონ გაუკეთებია, ვახტანგის ტერმონოლოგიით, ან შეუთხზავს, და თუ შეიძლება, მას სპარსული ან აღმოსაელური ამბავი ეუწოდოთ, იმდენად, რამდენადაც ზოგიერთი ძვლები ამ ჩონჩხისა და დეტალები ზღაპრისა ამოღებულია სპარსეთის ეპოსის ისეთი ნიმუშებიდან, როგორიცაა ვისრამიანი, ამირანდარეჯანიანი, შაჰნამე, ბარამგურიანი, ლეილა-მეჯნუნიანი და სხვ.“ (ქართული ლიტერატურის ისტორია II, 120, 140-141). ზედმეტი არ იქნებოდა „ლიტერატურული ეთიკის“ უზალო რაინდს ცალიყბით მაინც მოეხსენებია ეს გარემოება.

მე აღარ შევაწუხებ მკითხველს სხვა მრავალი წვრილნანების ამოწერით, რომელიც ს. კაკაბაძეს სხვების შრომებიდან ამოღლია და თავის საკუთრებად გაუსაღებია, შევუდგები ებლა მისი საკუთარის, თუ სხვა ავტორებიდან ამოღებული დებულებების განხილვის.

3.

თავის გამოკვლევას ს. კაკაბაძე იწყებს ხელნაწერთა ანალიზით ¹⁾, სა-

¹⁾ ხელნაწერთა ანალიზმა უუბალ ჩაუარა პ. ინგოილოფასაც. მას ჰგონია, რომ მისი მოსაზრება „პლასტების“ და ცალკე დამატებათა პრონოლოგიური თანმიმდევრობის შესახებ ჩემთვის მისაღებია, რადგანაც ამაში მას არ ვეკამათები (მნათობი III, 207). ტლვილად ჰკონია! მე

დაც ის სცდილობს, სხვათა შორის, მოგვცეს პოემის ტექსტის დადგენის პრინციპი და გაგვიჩვენოს მისი მოცულობა. პოემის ტექსტის დადგენისათვის და მისი გაგრძელებისა და ნართაული სტროფების დასათარიღებლად პირველხარისხოვანი ადვილი მიუნიჭებია მას საისტ.-საეთნოგრაფიო მუზეუმის ხელნაწერისათვის № 1117, სადაც ლაპარაკია რომელიღაც დავით მეფის შესახებ, რომელსაც ვილაც მელექსე ეუბნება:

მეუობა, ტახტი, პორფირი ღმრთისგან გაქვს სჭირებო პირველი,
ერთგულთა დიდად მოწყალე, ორგულთა რისხვით მჭირველი,
შენად სამონოდ მეფენი მოვლენ სხვაგნითა მირ ველი,
ხამს თუმცა პაპი რომისა მასთვისა იყოს მჭირველი.

მიხნად არ დამისაზავს ყველა იმ ზღაპარზე შეფიქრებულობა, რასაც 380 გვერდიან წიგნში აქვს ადგილი, აღვნიშნე მხოლოდ ის, რის უსაფუძვლობა ძალაუბნებურად გეცემა თვალში და რასაც ავტორი კარდინალურ მნიშვნელობას ანიჭებს; აყუთია მისი „პლასტების“ დათარიღება. მეამნე პლასტის ერთერთ დამატებაში მოხსენებულია მე-14 საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწე შანშე ანისელი, მაშასადამე ამ პლასტის შედგენა უნდა დაწყებულიყოს მე-15 საუკუნის პირველი ნახევარიდან. აქ იყუთი უფლოდიკობაა, რომ არ შეიძლება არ ჰკითხო ავტორს: რატომ მე-15 და არა მე-14 საუკუნის ნახევარიდან, მით უმეტეს, რომ შანშე არც იყო დიდი და საბალოვანი მოღვაწე ყოფილა, რომ მისი სახელი ერთი საუკუნის შემდეგაც შესაძარებლად ეხმარათ? ამაზე ავტორი „პაპუნია“ სდუმს და იმეორებს იმას, რაც „რუსთველიანაში“ თქვა. მესამე პლასტის წარმოშობა ავტორმა გადითანა მე-15 საუკუნის იმიტომ, რომ შანშეს დრო, მე-14 საუკუნის ნახევარი, მის ხელგნურ თვარის მეორე პლასტისათვის სჭირდება. ავტორმა ვერც იმის დასამტკიცებლად მოცეცა რაიმე ახალი, რომ მეორე პლასტი მე-14 საუკუნის ნახევარშია შედგენილი, თავის საპასუხო სენიშენაში ის ამ შემთხვევაშიაც იმას იმეორებს, რაც „რუსთველიანაში“ აქვს ნათქვამი; ის მხოლოდ ეკამათება ჩემს მოსაზრებას „კათალიკოს-მაწყვერელის“ შესახებ და ამბობს: „განა შედარებთ პირის ერთად დასახელება იმას მოასწავებს, რომ ისინი სწორ-უფლებიანი და სწორპატივიანი არიანო“ (მნათობი, III, 215)? მე იმას-კი არ ვამბობდი, რომ დამატების ცნობილს სტროფში კათალიკოს-მაწყვერელი „შედარებულნი“ არიან, არამედ „დაპირისპირებული“ მეოთხე (II, 188); რა უნდა გლაპარაკო ისეთ ადამიანს, რომელმაც ისიც კი არ იცის, რომ „შედარება“ სხვაა და „დაპირისპირება“, პარალელიზმი, სხვა? ანუ ვიკითხოთ, რა შედეგმარცობაშია პირველი პლასტი? თუ მეორე პლასტი მე-14 საუკ. პირველ ნახევარში წარმოიშვა, ამბობს ავტორი, იმაზე უფველეთა პირველი პლასტი უფრო ადრე (1267—1318 წ.) უნდა წარმოშობილიყო. არავითარი ლოდიკური დარებულება ამ „ურყვე“ (III, 217) დასკვნას არ აქვს, ყინაიდან ავტორმა ვერ შეაღო იმის დამტკიცება, რომ 1) მეორე პლასტი მე-14 საუკ. პირველ ნახევარში წარმოიშვა და 2) ის, რასაც ის პირველ პლასტს ეახის, უფრო ძველია, ვიდრე მეორე პლასტი. მე არას ვამბობ ვინმე „მესხი მეღუქის“ შესახებ, რომელსაც ვითომცდა დაუწერია უმთავრესი დამატებათა ამ პლასტისა. ჩემს შენიშვნაზე, რომ ვინმე „მესხი მეღუქის“ სახელის შემცველი სტროფი ყველა ხელნაწერებში არ მოიპოვება (II, 189), ავტორი მიპასუხებს, რომ ის ყველაში მოიპოვებოდა, მაგრამ თუ რომელიმეში იგი დღეს არ არის, იმიტომ, რომ ბოლო ნაწილი, სადაც ეს სტროფი უნდა ყოფილიყო ასეთს ხელნაწერებში, დაკარგულიაო (III, 219). სწორედ რომ უცნაურია! თუ ეს ბოლონაკლული ხელნაწერები იმას დასამტკიცებლად არ გამოდგება, რომ აღნიშნული სტროფი მათში არ არის, იმის დასამტკიცებლად როგორ გამოდგება, რომ მათში ის უცქველად იყო? ეს ხომ მართლაც „მარჩიელობა“! ერთი ხელნაწერი (2529) ხომ მაინც არის იყუთი, სადაც ბოლო შენახულია, მაგრამ ეს სტროფი არაა? ის დეფექტური, დაზიანებული დედნიდან მომდინარეობს, გვეუბნება ავტორი. მოდი და ელაპარაკე ასეთს რაონეტს, რომელიც, საჭიროების მიხედვით, ხან ვადმონაწერს გამოაცხადებს დაზიანებულად, ხან კიდევ იმ დედამს, საიდანაც ის ვადმოღებულა!

აქო, ამბობს ავტორი, იგულისხმება ან დავით VII, დიმიტრი თავდადებული ძე, ან დავით VIII, გიორგი ბრწყინვალის შვილი, ვინაიდან სხვა რომელიმე დავითს ამგვარი ქება არ შეეფერებაო; ამიტომ ის არხივეტი, საიდანაც მომდინარეობს № 1117, ეკუთვნის ან ნეცამეტე საუკუნის დასასრულს, ან მეოთხთხმეტე საუკუნის ნახევარსო (გვ. XI). ს. კაკაბაძემ, რომელსაც სიგელ-გუჯრებთან ხშირად აქვს საქმე, კარგად უნდა იცოდეს, რომ მტკიცდნაშტყჩითა და სხვა შეფეთა „მონობით“ არ განისაზღვრება ამათუიმ მტყჩს — მტყჩსაჲთა წონა და ნამდვილი ფიზიონომია. მით უმეტეს პირმოთნე და ენაწყლიან კარის-მეხოტბეს ვერ მოვსთხოვთ წმიდა ისტორიულ ჩარჩოს თავისი ფანტაზიის აღმაფრენისათვის. ამიტომ ნეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეზე აქ შეუძლებელია ლაპარაკი, მით უმეტეს, რომ სიტყვები — „წენად სამონოდ ნეფენი მოვლენ სხვაგნითა“, წარმოადგენს პირდაპირს იმიტაციას დეიმიურაზ პირველის სიტყვებისას, რომელნიც მან წარმოთქვა დავით-გარეჯაში თავარ მეფის „საალერსოდ“ მისი სახის წინაშე:

ნეფენი მოვლენ სურვილით, წენსა სახესა მონებენ...

სხივმოსიერად გიმზერენ, უკვდავმოფელად გმონებენ.


(წერ.-კით. ხელნ. № 3706, ფ. 101-103).

ვინაიდან, როგორც ვხედავთ, № 1117-ის არხივეტის ქრონოლოგიას საუბრეელი ეცლება, ჰაერში გადმოკიდებულად რჩება იმანედ დაშქარებული გამოანგარიშება „ვინმე მესხი ნელექსის“ ცხოვრების დროისა (XIII—XIV ს.) და ვახტანგისეული რედაქციის წარმოშობის თარიღიც (XIV—XV ს.)¹⁾, რომელსაც მკვლევარი გვაძლევს (გვ. XXIII, XXVI).

1) ვახტანგისეულ რედაქციას ცხდი საქმე დაემართა განსაკუთრებით პ. ინგოროყვას ვა. მოკლეფეაში; მისი სიტყვით, ეს რედაქცია შეიცავს უძველეს (1267—1318 წლ.) პლასტს პოეზიისას და წარმოადგენს უცვლელ განმეორებას ისეთი ძველი ხელნაწერისას, როგორიცაა, მაგალითად, ხელნაწერები №№ 4988 და 5006. როდესაც მე შევნიშნე, რომ ეს ხელნაწერები არ იმეორებენ უცვლელად ვახტანგის რედაქციას, რომ, მათში არ არის ვახტანგის ზოგიერთი სტროფები, სამაგიეროდ მათი ძირეული ტექსტი შეიცავს ზედმეტს (90—133) სტროფება, ავტორმა განაცხადა, რომ მას არც უთქვამს „უცვლელად“ (III, 206). ამიტომ საჭიროა მოვიყვანოთ შესაფერისი ადგილები „რუსთველიანადან“: „იბადება კითადა, თუ როგორი ხასიათისაა ის ტექსტი, რომელსაც შეიცავს ვახტანგის გამოცემა: არის თუ არა იგი უცვლელი განმეორება რომელიმე ძველი ხელნაწერისა“ (გვ. 12); „ტექსტის შესწავლადან ეცილობებლად მტკიცდება, რომ ვახტანგს არავითარი შესწორება არ შეუტანია ეფებისტეაოსნის დედანში და მას უცვლელად დაუბეჭდავს რომელიღაც ძველი ხელნაწერი“ (გვ. 12—13); „რომ ვახტანგს არავითარი ცვლილება არ შეუტანია მის მიერ გამოცემულ დედახში, ამას გვიჩვენებს აგრეთვე ვახტანგის კომენტარიები“ (გვ. 13); „ვახტანგისეულ ტექსტს ყველა მე-16-17 საუკ. ხელნაწერები უცვლელად იმეორებენ“ (გვ. 20); „ყველა ამ ხელნაწერებში (16—17 საუკ.) წარმოადგენილია უცვლელად იგივე ტექსტი, რაც ვახტანგისეულ დედახშია“ (გვ. 17, მაზი ყველგან ხვენი). ამ 16—17 საუკუნის ხელნაწერთაგან ის მაზგასმით ასახელება და არჩევს №№ 4988 და 5006-ს, ეხლა მკითხველმა განსაჯოს, მე ვტყუვი, თუ პ. ინგოროყვა იმის დასამტკიცებლად, რომ ვახტანგის გამოცემა ხელოვნურად შემოკლებულ ტექსტს შეიცავს, მე მოვიყვანე, სხვათა შორის, თვით ვახტანგის სიტყვები: „რაც რუსთველისაა, იმას გარდა არა მითქვამს რათ“. პ. ინგოროყვამ ამოწერა ვახტანგის გამოცემიდან მთელი გვერდი, სადაც ეს სიტყვებია მოყვანილი, და დამბგოგიურად განაცხადა, რომ მე ვაყალბებ ვახტანგის სიტყვებს, ვი-

უაღრესად სუბიექტურია ს. კაკაბაძის ცდა პოემის მოცულობის გარკვევისა. პოემის დასასრულად ან, უკეთ რომ ვთქვათ, ეპილოგის დასაწყისად მას მიაჩნია შემდეგი სტროფი:

ეს ამბავი დარჩომოდა სარგისს ლექსთა შეუწყობლად,
მერმე თმოგვი თმოგველთაგან შესავლითურთ დარჩა თბლად,
მე ვნახე და მას უჩვენე, ეინ ჩანს გმართა რაზმთა მტრისა,
მან მიბრძანა — ლექსად ოგვიო, მჭევრ-ქართულად დაუშროვალად.



ეს „ამბავი“, რომელიც „სარგისს ლექსთა შეუწყობლად“ დარჩენილია, ამბობს ჩვენი მკვლევარი, არის მთელი ვეფხისტყაოსანი. სამიოდე წლის წინათ ს. კაკაბაძე ან სტროფის შესახებ ამბობდა: „ექვს გარეშეა, რომ აქ იგულისხმება „ამბავი“ შემდეგ ავთანდილის და თინათინის ქორწილისა“ (საისტორიო მოამბე, 1924 წ. № 1, გვ. 137). ესე იგი ის, რასაც დღეს პოემის „გაგრძელებას“ ვუწოდებთ, ეხლა კი ამ „ამბავად“ მთელი ვეფხისტყაოსანი უნდა გასაღოს. მაგრამ ეს ყოველად უიმედო ცდაა; საქმე ისაა, რომ ეს სტროფი ხელნაწერებში შეადგენს დასასრულს არა მთელი პოემისას, არამედ ერთერთი მისი გაგრძელებისას, რომელსაც ხვარაზმელთა ამბავი ეწოდება. მართლაც, აქ რომ „ხვარაზმელთა ამბავი“ იგულისხმება, ეს ჩანს შემდეგიდან: იგივე ცნობა ამ „ამბავს“ დართული აქვს პროლოგის სახით, სადაც ნათქვამია:

აწ, გონიერნო, სიტყვანი მოსმენით შეიწყნარენით:
ძველი ნარჩომი ამბავი ლექსად ვთქვი, გაიხარენით.
სარგისს დაურჩა უთქმელად, მას ასე დავაბარენით,
ლექსნი მიქენით, ამისთვის ენანი მამახმარენით.

მეორე — ზოგიერთი ხელნაწერები, კერძოდ წერ.-კითხ. № 4499, რომელსაც ს. კაკაბაძე სთვლის არბიგეტიდან მომდინარედ, პირდაპირ აღნიშნავენ, რომ ამ შემთხვევაში იგულისხმება „ხვარაზმელთა ამბავი“ და არა სხვა რამე; აი შესათერისი ადგილი:

ესე ამბავი ნარჩომი მათ ლომთა მორქმით მგონეთა,

ნაიდან აქ ლაპარაკია არა ტექსტის მოცულობაზე, არამედ მის თარგმნა-განმარტებაზე (III, 198—201). ვინ აცალბებს ვახტანგისა და სხვების სიტყვებს, ამის ნიმუშს ჩვენ ვოცაქვევით დავინახავთ, ეხლა შევიჩინოთ შემდეგს: ვთქვათ, რომ ჩემ მიერ მოყვანილი სიტყვები მხოლოდ ახანა-განმარტებისა და კომენტარიების მომენტს გულისხმობენ, რა იცვლება ამით? გამოვარომ ვახტანგი ამბობს: „მე ვიადევი ახსნა-განმარტებას მხოლოდ იმისას, რაც, ჩემი აზრით, რუსთველს უთქვამს, და არა იმისას, რაც მას პოემაში შემდეგიდროის ინტერპოლატორებს შეუტანიათ“; ესაა და ეს, მეტი არაფერი მაგრამ პ. ინგოროყვას გაგება ესაუფაგლოა და ცალმხრივი; ვახტანგს არ შეეძლო ეთქვა ის, რასაც მას ინგოროყვა მიაწერს, სახელდობრ: „მე მხოლოდ იმას ვამბობ განმარტებაში, რაც რუსთველის სიტყვებშია მოცემული“, მე „შოთას სიტყვების პირდაპირ აზრს ვემყარები, ჩემს განმარტებაში იგივეა ნათქვამი, რასაც თვითონ ავტორი ამბობს“ (III, 200). საქმე ისაა, რომ სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, რუსთველის განცხადებით, მისი „ამბავი“ სპარსულიდანაა ნათარგმნი, ვახტანგი კი თავის კომენტარიებში ამას კატეგორიულად უარყოფს და ანტიკრიტიკებს პოემის ორიგინალურ წარმომშობას; ყოველ შემთხვევაში ეს გარემოება არ მისცემდა ვახტანგს ნებას ეთქვა: „ჩემს განმარტებაში იგივეა ნათქვამი, რასაც თვითონ ავტორი ამბობს“.

გაღეჭსვა აკლდა ხვარაზნთა, მეტად ვერ მოვიგონეთა. ¹⁾

ერთი სიტყვით, ზემოდასახელებული სტროფი ს. კაკაბაძეს ამოუგლეჯია იქიდან, სადაც ის მის ავტორს მოუთავსებია, და გადაუსკუპებია იქ, სადაც თავდება ვეფხისტყაოსნის ძირითადი თხრობა. რად დასჭირდა მას ასეთი ოპერაცია? რათა დაგვიმტკიცოს, რომ ვეფხისტყაოსნის პროზაული ვერსია ეკუთვნის სარგის თმოგველს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

4

თავდაპირველად ს. კაკაბაძე ამტკიცებდა, რომ ის სარგის თმოგველი, რომლის სახელთან აკავშირებს ვეფხისტყაოსნს ზემომოყვანილი სტროფი, არის 1236-1262 წლების მოღვაწე სარგის თმოგველი (1914 წლ. გამოცემის წინასიტყვაობა). ათი წლის შემდეგ დაიწყო მტკიცება, რომ ეს სარგის თმოგველი არის შვილისშვილი დასახელებული სარგისისა, ლიტერატურული მოღვაწე 1292-1297 წლებისა (საისტორიო ნოაშვი 1924 № 1, გვ. 121-166). ეხლა მას მოუძებნია უკვე სხვა სარგის თმოგველი, რომელიც 1177 წლამდე ცხოვრობდა და რომელსაც 1160-1175 წლებში დაუწერია ჩვენი პოემის პროზაული ვერსია.

ჯერ პოემის პროზაული ვერსიის შესახებ. ის სტროფი, რომელზედაც ჩვენი მკვლევარი ამყარებს სარგისის ნონიწილეობას ვეფხისტყაოსნის დაბეჭდვებში, სახელდობრ—„ეს ამბავი დარჩომოდა სარგის ლექსთა შეუწყობლად“, როგორც დავინახეთ, ჰგულისხმობს პოემის ერთერთ გაგრძელებას, სახელდობრ—ხვარაზნელთა ამბავს, მამასადაძემ—ხედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ სარგისს, ვინც უნდა იყოს ის, ეკუთვნის პროზაული ვერსია მთელი პოემისა. მეორე—ის სტროფი, რომლის მიხედვით ს. კაკაბაძე დარწმუნებულია, რომ თავდაპირველად არსებობდა პროზაული ვერსია პოემისა, ამბობს: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები... ეპოვე და ლექსად გარდავთქვი“. თუ კაკაბაძისათვის მისაღებია ის ნაწილი ამ სტროფისა, რომელიც პროზაულ ვერსიას თითქო ჰგულისხმობს, რა უფლება აქვს მას არ დაუჯეროს და პირდაპირი მნიშვნელობით არ გაიგოს ის ნაწილიც, რომელიც ამბობს, რომ ეს ვერსია სარგისს ან სხვა ვისმე კი არ დაუწერია, არამედ სპარსულიდან ყოფილა ნათარგმნი? ტყვილად ჰგონია ჩვენს მკვლევარს, რომ ყველაფერი უთუოდ „რაიმე ტაქტიკური მოსაზრებით“ (გვ. CXXXI) უნდა იწერებოდეს, ეს ყველას არ სჩვევია! ასე რომ სარგის თმოგველის ხელიდან გამოსული პროზაული ვერსია ძნელი მისაღებია, უფრო შესაწყნარებელია, შედარებით რასაკვირველია, ს. კაკაბაძის კონ-

¹⁾ იხ. ს. კაკაბაძის 1914 წლ. გამოცემაში სტროფი 1611¹, შეად. E. Такашвили, Описание II, 565. ხედმეტი არაა პ. ინგოროყვამაც მიატკიცოს უფრადღება ამ გარემოებას და აქედან გამომდინარე დასკვნას, რომ, თუ „ლექსად შეუწყობელი“ „ხვარაზნელთა ამბავი“ დარჩენილა, ან ნომდინარეობს, სარგის თმოგველისაგან, ვინც არ უნდა იყოს ის, ეს კიდევ არ ნიშნავს, ლოლიკის თვალსაზრისით, იმას, რომ რაც ამ ამბავს წინ მიუძღვის, იქნება ის მთელი პოემა (ს. კაკაბაძე), თუ ინდო ხატაელთა ამბავი (პ. ინგოროყვა), უთუოდ სარგის თმოგველის ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს.

ცეპციაში ძველი მისი შეხედულება, რომ სარგისი იყო სპარსულიდან მთარგმნელი პოემისა და არა ორიგინალური დამწერი მისი.

უბოძა თმოგვი სარგისის შესახებ. როგორც ცნობილია, 1191 წელს თამარმა უბოძა თმოგვი სარგის ვარამის (თუ ვარდანის) ძეს მხარგრძელს (ქართ. ცხოვრ. მარიამისა, გვ. 444), რომლის შთამომავლობამ ამის შემდეგ კიდევ რა ტიტული „თმოგველისა“. სარგის თმოგველი, რომელსაც მხარგრძელსა ტყვეთ, 1160-1175 წლებში დაუწერია ვეფხისტყაოსნის პროზაული ვერსია, ცხადია, თმოგველთა ამ შტოდან ვერ იქნებოდა. მაშ ვინ უნდა ყოფილიყო ის? სარგის თმოგველი, კაკაბაძის აზრით, 1191 წლამდეც იქნებოდა, ვინაიდან ტიტული „თმოგველი“ მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან გვხვდება მატიაწეში. რასაკვირველია, თუ თმოგვი იყო, იქნებოდა „თმოგველიც“, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ შემთხვევაში „თმოგველი“ ჰგულისხმობს არა ერთ რომელიმე შემთხვევით ან დროებით მფლობელს თმოგვისას, არამედ საგვარეულო ტიტულს, რომელიც 1191 წლიდან შეიქმნა. ეს რომ ასეა, შემდეგიდანა ჩანს: ს. კაკაბაძის საყრდენ სტროფში ნათქვამია, რომ თმოგვი დარჩა ობლად არა „თმოგველისაგან“, არამედ „თმოგველთაგან“. ს. კაკაბაძის აზრით, სარგის თმოგველს, ავტორს პოემის პროზაული ვერსიისას, თმოგვი უნდა ჩამორთმეოდეს, რის შემდეგ ის „ობლად დარჩა“, 1177 წელს დემნას აჯანყებაში მონაწილეობისათვის. თუ ეს ასეა, ეს სარგისი ყოფილა სარგის მხარგრძელი, მამა ზაქარიასი და ივანესი, ვინაიდან დემნას აჯანყებაში გარდა სარგის მხარგრძელისა სხვა სარგისი მონაწილედ ცნობილი არაა. მაგრამ არსაიდან არა ჩანს, რომ ამ სარგისს როდესმე ჰქონოდა თმოგვი; ყოველ შემთხვევაში, კიდევაც რომ ჰქონოდა ის მას, ჩამორთმევაზე შეუძლებელია ლაპარაკი. ცნობილია, რომ სარგისი მალე განუდგა დემნას და გიორგი მეფის მხარეზე გადავიდა, რისთვისაც, მატიაწის სიტყვით, არამც თუ არ ჩამოართვეს მას რამე, პირიქით, იგი „შეიყუარა და შეიტკბო შეფემან და მისცა მისანდობლობა გვარისშვილობისა მისისა მსგავსად“ (ქართ. ცხ. მარიამ, გვ. 387), ხოლო თამარმა, დიდგვარიანთა აჯანყების შემდეგ, ის განაჩინა ამირსპასალარად და „უბოძა ლორე სათავადო და სამთავრო სომხითსა შინა“ (იქვე, გვ. 409). ეს სარგისი გარდაიცვალა 1187 წელს.

როგორც ვხედავთ, ამ სარგისისათვის არავის თმოგვი არ ჩამოურთმევია, ვინაიდან ის მას არც ოდესმე ჰქონია, მაშასადამე—არ მართლდება ს. კაკაბაძის თეორია, რომ 1177 წელს „თმოგვი თმოგველთაგან დარჩა ობლად“.

5

სარგის თმოგველის მიერ დაწერილი პროზაული ვერსია ვეფხისტყაოსნისა, ს. კაკაბაძის ვადმოცემით, 1196 წლის ახლო ხელში ჩავარდნია შოთა რუსთველს, რომელსაც ის გაუღექსავს. ვინ იყო ეს შოთა? შოთა იყო თურმე მანდატურთუხუცესის ქიაბერის შვილი. საიდან ჩანს ეს? იქიდან, ამბობს კაკაბაძე, რომ ქიაბერის სახელით ცნობილს შეწირულებითი სიგელს აქვს ხელის მოწერა, სხვათა შორის, ვადაც შოთასი და აგრეთვე ავაგ და ენეა ორბელიანისა; ამ პირთა ხელის მოწერა, საფიქრებელია, იმით აიხსნება,

რომ „ხსენებულნი პირნი ითვლებოდენ ჭიაბერის ოჯახის წევრებად, ა ლ ბ ა დ მის შვილებადო“ (გვ. LXII). „საფიქრებელია“, „ა ლ ბ ა დ“, აი მთელი არგუმენტაცია იმ დებულებისა, რომელიც ქვაკუთხედად ითვლება ჩვენს ავტორის ახალს გამოკვლევასი, და ამას ეწოდება ახალი მიხწევები რუსთაველოლოგიაში! თუმცა ეს „მიხწევა“ არც ისე ახალია, ის, როგორც ხევეთავე აღვნიშნე, მოგვცა მ ო ს ე ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ მ ა ამ ო ც და შვიდი წლის წინათ, და დღესაც შესაძლებელია იგი, ყოველ შემთხვევაში ის მას აღარ იმეორებს.

1192 წელს, როდესაც რუსთავი ზაქარია ამირსპასალარს მიეცა, ხოლო ყინვანი ჭიაბერს, ამბობს ს. კაკაბაძე, „შეიწყალეს და დალოცეს, სხვათა შორის, ჭიაბერის ძენიც. ამ დროს ა ლ ბ ა დ მიეცა ჭიაბერის ორს შვილს (ავაგს და ენეას) ორბეთი, რის გამო მათ ეწოდა ორბელიო“ (გვ. LXII). ყოველად შეუძლებელი ამბავია! ორბელთა ამოწყვეტის შემდეგ ორბეთი ჯერ ამირსპასალარს ყუბასარს ეჭირა, ხოლო 1187-1191 წლებში — ვარდან დადიანს, და არსაიდან არ ჩანს, რომ 1192 წელს ის მას ჩამორთმეოდეს და ჭიაბერის შვილებს გადასცემოდეს, ყოველ შემთხვევაში ისე ხანგრძლივად, რომ მათ ამის გამო მიეღოთ გვარი ო რ ბ ე ლ ი. ისტორიკოსი ს ტ ე ფ ა ნ ე ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ექვმიუტანელად აცხადებს, რომ ლიპარიტ ორბელიანის ერთერთი შვილი, ი ვ ა ნ ე, თამარ მეფემ დააბრუნა სპარსეთიდან და უკანვე დაუბრუნა მას ორბეთი, და მისგან არიან წარმომდგარნი აწინდელი ორბელნიო. (Н. Е. М. И. В., Исследования и статьи по армянской мифологии, истории и археологии, стр. 358, Москва 1896 г.). ამნაირად, შეუძლებელია, რომ ავაგ და ენეა (თუ იოვანე?) ორბელები ჭიაბერის შვილები ყოფილიყვნენ, ამიტომ, მაშასადამე, არც მათი ძ მ ა (sic) შოთა უნდა ყოფილიყო ჭიაბერის შვილი.

ვთქვათ, შოთა შვილია ჭიაბერისა, როგორ იქცა ის ყინვანის პატრონიდან რუსთავის პატრონად, როდესაც ჩვენ ვიცით, რომ 1192 წლის ახლო რუსთავი საპატრონოდ მიეცა ამირსპასალარს ზაქარიას? რუსთავი, ამბობს კაკაბაძე, 1180 წლებში, როგორც ლურჯი მონასტრის წარწერიდანა ჩანს, დაკავშირებული იყო ყინვანის მფლობელობასთან, ამიტომ შეიძლება ეს კავშირი 1192 წლის შემდეგ კვლავ აღდგენილიყოს. ზაქარიასთვის რუსთავის განორთმევას შეიძლება ადგილი ჰქონოდა სამაგიერო კომპენსაციის მიცემით... შეიძლება ვიფიქროთ, რომ ზაქარიას თავის სამფლობელოების გაფართოების ახალი საშუალება მიეცემოდა ამბერდის დაპყრობისთანავე (1196 წ.), რასაც შეიძლება მოყოლოდა ზაქარიას მიერ რუსთავზე ხელის აღება“ (გვ. LXIII). როგორც ვხედავთ, ასეთი მსხვილი დებულების დასამტკიცებლად ჩვენს მკვლევარს არავითარი სხვა საბუთი არ მოეპოვება, გარდა „შეიძლება“ სიტყვისა. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ეს არც „შეიძლება“. ჯერ ერთი — ლურჯი მონასტრის წარწერას თარიღი არ აქვს, ამიტომ არც შეიძლება იმისი თქმა, რომ იქ აღნიშნული ფაქტი ეკუთვნის 1180 წლებს და არა თამარის მეფობის შუა თუ დასასრულ პერიოდს (ამის შესახებ იხ. მნათობი 1927 წ. № 2, გვ 193, გან-

საკუთრებით შენიშვნა)¹). ნეორე—ყოვლად წარმოუდგენელია და თან დაუშვებელი, რომ ზაქარია მხარგმელისათვის, რომელიც, ს. კაკაბაძის სიტყვითაც, „თამარის მეფობაში თანდათან მხოლოდ უფრო მეტს განდიდებას განაცდიდა“ და თვალსაჩინოდ აფართოებდა საქართველოს საზღვრებს (გვ. LXIII), მაშინ მისი მავიერ რუსთავი ჩამოერთმის ვისმე!²

უარყოფითი

1) ლურჯი მონასტრის წარწერის დათარიღებისა გამოყვანად მოხსენებულ „ქართლის მთავარეპისკოპოს ყოფილ ბაბულს“, რომელსაც პ. იოსელიანი და ექთაყაიშვილ „კათოლიკობად“ სთვლიან. პ. ინგოროყვამ, რომელიც თაყაიშვილის გამოცემით სარგებლობდა, არაერთგვაროვნად შენიშვნა ამ ტიტულაციის გაგებას არ გაუკეთა, მე კი ეჭვი შევიტანე და ვთქვი: „თუ ის მართლაც კათოლიკობია და არა „ქართლის მთავარეპისკოპოსი“ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით“ (II, 193 შენიშვნა). ამის შემდეგ ინგოროყვა გამოსდის და მე მივიჩინებ, თითქმის „კათოლიკობა“ და „ქართლის მთავარეპისკოპოსი“ ვერ ვარჩევდვ ერთმეთრისაგან (IV, 208—209). ახრი ჩემი შენიშვნისა მარტივია: ბასილიან საზღლის ასწნება ვერ დაგვამტკიცებს, რომ ლურჯი მონასტრის წარწერა „ეკუთვნის თამარის მეფობის პირველ წლებს“ (რუსთველიანა, გვ. 168), ვინაიდან, თუ აქ იგულისხმება „კათოლიკობა“, მაშინ წარწერა არ შეიძლება თამარის უკანასკნელი წლების ადრე გაკეთებულად ვცნოთ, ხოლო თუ „ქართლის მთავარეპისკოპოსი“ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, — მაშინ უფრო ძნელდება საკითხის გადაჭრა, რადგანაც ასეთი „მთავარეპისკოპოსის“ შესახებ არაერთგვაროვნად ისტორიული ცნობები არ მოიპოვება.

2) რუსთავის მფლობელთა შესახებ ჯერ პ. ინგოროყვამ შეთხზა თავისებური თეორიები, რომელთა უნიკალაობა უფრო ხათელი გახდა მის საბაბუხო წერილში (IV, 164—214). რუსთავი, მისი სიტყვით, თამარის მეფობის პირველ წლებში ამირათა-ამირას აბულაასს ეკუთვნოდა, როგორც ეს თითქმის აღნიშნულია ლურჯი მონასტრის წარწერაში. მაგრამ, როგორც დაეინახეთ, ამ წარწერის ქრონოლოგია გარკვეული არაა, ამიტომ არ შეიძლება ითქვას, რომ აბულასანი თამარია მეფობის პირველ წლებში იყო რუსთავის პატრონად, მათ უმეტეს, რომ, მემატიანის სიტყვით, რუსთავი („არიშინის თემა“ ინგოროყვა თეორიით) ჯერ კიდევ 1185 წლამდე გამოუთავიდა თავისთვის ჰერეთის ერისთავს ასათ გრიგოლისძეს. ისტორიკოსის ამ კატეგორიულ მოწმობას პ. ინგოროყვა თავის საბაბუხო წერილში გვერდს უზღვეს და კაბუისტიკურად აცხადება, რომ ნატიანეში ამ აღგილას (მარ. დედოფ. გვ. 410-411) მოცემულია არა კონკრეტული ფაქტი, არამედ თამარის მეფობის მთლიანი მიმოხილვა, რომ მემატიანის სიტყვები — „ხოლო ერისთავნი მის გამოსანი“, გულისხმობა „თამარის დროს“ საზოგადოდ 1195-6 წლებამდე (IV, 212). აი სწორედ ამას ეწოდება დოკუმენტების გაყვანება და დამახინჯება, რასაც ინგოროყვა სხვებს უკვირებდა! საკმარისია გადაიკითხოთ მემატიანის შესაფერი აღგილი და დარწმუნდებით, რომ ისტორიკოსი აგვიწერს დიდგვარიანთა აჯანყებია ლიკვიდაციის შემდეგ შექმნილ მდგომარეობას: ის ჯერ ჩამოგვითვლის იმ პირობით, რომელთაც დაიჭირეს უმაღლესი სახელმწიფო პოსტები (შვიგნობართუხუცესი, ამირაპასალარი, მანდატიერთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი, მსახურთუხუცესი, ამილახორი), ხოლო მერე აღნიშნავს „მის გამოსანი“, ესე იგი — ლიკვიდაციის მომენტის, ერისთავებს, და, სწავთა შორის, რუსთავის (თუ „არიშინის თემა“ მართლაც რუსთავია) პატრონს ასათ გრიგოლისძეს. უფრო კურონულია პ. ინგოროყვას გადმოცემაში აბულასანის ბედობალი: ის თავდაპირველად ყოფილა ამირათა-ამირა, რაც თითქმის იმავე „მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალთა“, მერე, 1189—1190 წლების საზღვარზე, მას მოუღია მეჭურჭლეთუხუცესობა, 1190—1191 წლებში კი, გიორგი რუსის აჯანყებია შეთავრობისათვის, ის დაუსჯიათ რუსთავის ჩამორთმევით (IV, 210-211). აქ თვითველი სიტყვა გაუგებრობას იწვევს; მართლაც, საიდან ჩანს, რომ ამირათა-ამირა მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალთა? ავტორი უჩვენებს თამარის პირველ ისტორიას (მარიაშ დედოფ. გვ. 434) და „კარის გარიგებას“ (თაყაიშვი. გვ. 8), მაგრამ თამარის ისტორიაში არც 434 გვერდზე, არც სხვაგან სადმე, არაა ნათქვამი, რომ ამირათა-ამირა მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალთა, რაც შეეხება „კარის გარიგებას“, აი რა სწორია აქ: „დიდი

6.

შოთა, ავტორი ვეფხისტყაოსნისა, ს. კაკაბაძის სიტყვით, ყოფილა ძმა-
„თამარიანის“ ავტორის ჩახრუხაძისა. საიდან ჩანს ეს? პირველი საბუ-
თი: „თამარიანს“ დართული აქვს ბოლოში შემდეგი სიტყვა:

მოხევეს ძეთა ჩახრუხაძეთა
ექო თამარი მეფე წყლიანი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

აქ ლაპარაკიაო, ამბობს კაკაბაძე, ორს (რატომ ორზე და არა სამზე ან
მეტზე?) ჩახრუხაძეზე, რომელთაც თამარ მეფე უქიათო; ერთი მათგანი იქნებოდა

არის მეტურტლეთუხუცესი, ათაბაგობის დაწყებამდე მეოთხე ვეზირი არის. ძველნი ქალაქნი,
ვაჭარნი, სავაჭრო რაც მეფისაა, სადაც წავა ანუ მოვა, და რაც სალაროს ოქროს ტურტელი ანუ
ვერცხლისა სახმარებლად სანიადაგოდ არ უნდა და შეკრული სალაროსა მეს, სწვარი ღარი და
ტურტელი ოქროსი და ვერცხლისა, ჩინური და ქაშანური უსადვინო, ყოველი სატურტლეთა ძეს
და ღვას. სატურტლის ნაცვალი, მუქიფი, მუშრობი, ქალაქის ამირანი, მეტურტლენი ქალაქისანი
და თვით დარბაზს მყოფნი მეტურტლენი მისისა ხელისა არიან“ (ექ. თაყაიშვილის გამო-
ცემა, გვ. 8-9). აბა სად არის აქ ნათქვამი, რომ „ამირათა-ამირა“ მეტურტლეთუხუცესის
ნაცვალია? „ამირათა-ამირა“ სულაც არაა აქ მოხსენებული და, თუ მაინცა და მაინც,
მას დაუკავშირებთ „ქალაქის ამირებს“, ეს უკანასკნელნი და „სატურტლის ნაცვა-
ლი“ (რაც თამარის დროის ტერმინოლოგიით „მეტურტლეთუხუცესის ნაცვალი“ უნდა იყოს,
იბ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, გვ. 170, სტრ. 4-11) აქ
მოდენებული არიან როგორც ორი სხვადასხვა, მეტურტლეთუხუცესის ხელქვეით მყოფ, თა-
ნამდებობის მატარებელნი. ერთი მაგალითი მაინც დაგსახელებია პ. ინგოროყვას, როდესაც ის
ურცხვად აცხადებს, რომ „ამირათა-ამირას“ თანამდებობის შემდეგ სახელმწიფო მოხელენი „მე-
ტურტლეთუხუცესის თანამდებობაზე ინიშნებოდნენ (IV, 206, შენიშ.). აი ამას ეწოდება დოკუ-
მენტების პატივისცემა! საიდან ჩანს, რომ აბულასანი გიორგი რუსის აჯანყების მეთაური იყო?
არსაიდან! მართლაც, მემატთანე ამბობს, რომ სულის ჩამდგელი გიორგია და მეთაური აჯანყ-
ებისა იყო „ნაცვალი მეტურტლეთუხუცესისა“ (მარიაშ. გვ. 434), მაგრამ 1190 წელს, როდესაც
აჯანყება მოხდა, აბულასანი, ინგოროყვასავე სიტყვით (რუსთველიანა გვ. 169-170, მნათ. IV, 206)
უკვე „მეტურტლეთუხუცესი“ იყო. მააქცივთ ყურადღება-რა საუცხოვო ნიმუშს გვაძლევს მსჯე-
ლობისას ჩვენი მეცნიერნი: აბულასანი რომ აჯანყების მთავარი ხელმძღვანელი იყო, ეს იმით
ირკვევა, რომ მისთვის ჩამოერთმევიათ რუსთავი (მნათ. IV, 208, შენიშ.), ხოლო მას რომ
რუსთავი ჩამოართვეს, ეს იქიდანაა საგულვეტელი, რომ ის აჯანყების მეთაური იყო (რუსთველ.
გვ. 170, მნათ. IV, 208)! ამას ეწოდება ლოლიკაში idem per idem. რისთვის უნდა გამადარიყო
აბულასანი აჯანყების მომხრე და სულის ჩამდგმელი? ამაზე ინგოროყვა ასეთს პასუხს იძლევა: თა-
ვისთავად სადიქრებელია, რომ გიორგი რუსის „აჯანყების მომწყობნი და სულის ჩამდგმელნი“
უნდა ყოფილიყვნენ იგივე წრეები, რომელთა ინიციატივით მოწვეულ იქნა პირველად გიორგი
რუსი, პირველ რიგში აბულასანი, რუსთავის მფლობელი. აჯანყება, ცხადია, იმით იყო გამოწვე-
ული, რომ 1189 წელს თამარის საქმროდ მოწვეულ იქმნა დაეით სოსლანი, და ამ დასის გავ-
ლენა თანდათან სუსტდებოდა“ (მნათ. IV, 207). ესეც ლოლიკური მსჯელობის ერთი ნიმუშია;
აბულასანის გაღვინა დავითის მოწვევის შემდეგ არამც თუ არ შესუსტებულა, გაბრდილა კი-
დევაც, ვინაიდან ამის შემდეგ, სახელდობრ „1189—1190 წლებს საზღვარზე, ვიდრე აჯანყება
ფაქტიურად მოწყობოდა“ (IV, 210), მას, ინგოროყვას სიტყვით, დიდი თანამდებობა, მეტურტ-
ლეთუხუცესობა, მიუღია, მაშასადამე—არც საბაბი ჰქონდა უკმაყოფილობისა და აჯანყების მო-
წყობისა. ყველაფერი ეს იმის მაჩვენებელია, რომ 1191 წელს აბულასანისათვის არავის არ ჩა-
მოურუშნვია რუსთავი; მართლაც, 1) ამ დროს მას ის არც ჰქონია და 2) არც საბაბი არსე-
ბობდა ჩამოართმევისათვის, ვინაიდან აბულასანი არ ყოფილა აჯანყების მომწყობი. აქედან, მა-
შასადამე, ინგოყვა ის ვფემერული თეორია, რომელიც პ. ინგოროყვამ შეთხზა რუსთავის მფლო-
ბელთა და მისი ხელიდან ხელში გადასვლის შესახებ.

„თამარიანის“ ავტორი, მეორე კი ვეფხისტყაოსნისაო (გვ. LXXV). ამ სიტყვებზე დაყრდნობა და იქიდან ასეთი დასკვნის გამოტანა შეუძლებელია. ჯერ კიდევ ნ. მარრმა აღნიშნა თავის დროს, რომ ეს სიტყვები წარმოადგენს შემდეგი-დროის, აღორძინების ხანის, დანართს (Древне-грузинские описания, стр. 52), და, როგორც ასეთი, კლასიკური ხანის ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების გადასაწყვეტად არ გამოგეადგება. მართლაც, არ არსებობს არცერთი საბუთი იმისა, რომ თავდაპირველს რედაქციაში იკითხებოდა „მოხევეს ძესა ჩახრუხაძესა“ და არა „მოხევეს ძესა ჩახრუხაძესა“, რომ გვეფიქრნა, რომ აქ ლაპარაკია ორს ჩახრუხაძეზე და არა ერთზე (იხ. ჩემი „ქართული ლიტერატურის ისტორია II, 144)

მეორე საბუთი: ავტორი „თამარიანისა“, ჩახრუხაძე, თავისი მოძმე— მოშაირის შესახებ, რომლის დაღუპვას ის სტირის, ამბობს: „მოყვანდის ქალი, საჩემო სძალი“: მაშასადამე, ასკვნის კაკაბაძე, ეს ქალი უნდა ყოფილიყო ჩახრუხაძის რძალი, საიდანაც ჩანს, რომ ჩახრუხაძე და ეს მოძმე— მოშაირე, რომელიც მას, როგორც ქვემოთ დავინახავთ, პოემის ავტორად მიაჩნია, ყოფილან ძმები (გვ. LXXVI). ეს საოცარი პირდაპირ მოსაზრება, რომელიც ჩვენს ავტორს ნასესხები აქვს პ. ინგოროყვასაგან (იხ. მისი გამოკვლევა ჩახრუხაძის შესახებ, „კავკასიონი“ №1—2, გვ. 275), ჰგულისხმობს, თითქო სიტყვა „სძალი“ უეჭველად მკვიდრი ძმის ცოლს აღნიშნავდეს, ავტორმა არ იცის, რომ ამ სიტყვით აღინიშნება, სხვათა შორის, მეგობრის, ძმად ნაფიცის, ცოლიც, და „საცოლოც“ საზოგადოდ, ვისიც არ უნდა იყოს ის. თუმცა სიტყვები— „მოყვანდის ქალი, საჩემო სძალი“, უფრო უნდა ჰგულისხმობდეს იმას, რომ მოგზაურ პოეტს ამ სიტყვების ავტორისათვის მოჰყავდა სძალი ან საცოლო; ყოველ შემთხვევაში ეს სიტყვები ასე ესმის ნ. მარრსაც (Древне-грузинские описания стр. 32).¹⁾

7.

ს. კაკაბაძე გვირკევეს შოთას დაბადების წელსაც კი; ის ასე მსჯელობს: ქიაბერი, მამა შოთასი, იყო გამზრდელი დიმიტრი (დემნა) ბატონიშვილისა, რომელიც დაიბადა 1150 წლის ახლოს. ქიაბერი, ამისდამიხედვით, შესაძლებელია 1130—1135 წლის ახლოს დაბადებულიყო. შოთა ამიტომ შეიძლება დაბადებულიყო 1156—1160 წლების ახლო ხანაში (გვ. CIV). აი ამას ეწოდება ალბათ „პერსპექტიული“, როგორც კაკაბაძეს უყვარს თქმა, კვლევაძიება! ყველაფერი აქაც „შეიძლება“-ზედაა დამყარებული, თუმცა არა ჩანს, როგორ „შეიძლება“ ეს? მართლაც, რა ქრონოლოგიური ან ლოლიკური კავშირია დემნას, ქიაბერის და შოთას დაბადებათა შორის, ნუ თუ ქიაბერი უთუოდ 15—20 წლით უფროსი უნდა ყოფილიყო დემნაზე, რომ მისი „გამზრდელობა“ შესძლებოდა? ანა და იგივე ქიაბერი უთუოდ 25 წლის უნდა ყოფილიყო, არც მეტი,

¹⁾ მე არას ვამბობ იმ ძალადობაზე, რომელსაც ავტორი ხმარობს, როდესაც „მოხევეს“ მესხეთში ასახელებს, ქიაბერი, შოთა და ჩახრუხაძე თორღელებიდან და მხარგძელებიდან გამოყავს; ეს უფრო ვარჯიშობაა, ვიდრე მეცნიერული კვლევა-ძიება.

არც ნაკლები, რომ შოთას მამობა შესძლებოდა? მაინც საიდან ჩანს, რომ დიმიტრი (დემნა) 1150 წელს დაიბადა? მამა დემნასი, ანბობს კაკაბაძე, დავით მეფე, მოკვდა 1156 წელს, ხოლო 1155 წელს დაწერილი „აბდულ-მესია“ დავით მეფეს იხსენიებს „დიმიტრის მიერ ძალშეზღუდვილად“, დიმიტრი, მამასადამე, ამ დროს რამდენიმე წლის იქნებოდაო (გვ. CIV, შენ. 2). ამ საოცარ მსჯელობაში ის კი არაა საყურადღებო, რომ, რადგანაც დავით მეფე 1155 წელს გარდაიცვალა, ამიტომ მისი შვილი უთუოდ 1150 წელს უნდა დაიბადებოდა, არამედ ის, რომ ეგრედწოდებული „აბდულ-მესია“ 1155 წელსაა დაწერილი; ამ ხოტბისათვის ს. კაკაბაძეს საგანგებო თავიეც კი მიუძღვნია თავის გამოკვლევაში (გვ. XLV—I).

აბდულ-მესიას დაწერის შესახებ ს. კაკაბაძეს, ჩვეულებისამებრ, არაერთხელ შეუცვლია თავისი აზრი. 1911 წელს ის ფიქრობდა, რომ ეს ხოტბა დაწერილია 1360 წელს („სახალხო გაზეთი“ 13 მაისი 1911 წ.), 1913 წელს ამტკიცებდა, რომ ის დაწერილია 1268—1270 წლებში ულუ-დავითის საქებრად (იხ. მისი გამოცემა აბდულმესიასი), ეხლა კი გვეუბნება, რომ ის დაწერილია 1155-6 წლებში დავით მესამის (დიმიტრის შვილი და დავით აღმაშენებლის შვილისშვილი) სადიდებლადო. „აბდულ-მესიას“ ს. კაკაბაძე ათავსებდა წინათ 13—14 საუკუნეებში, რათა დაემტკიცებია, რომ ვეფხისტყაოსანი, რომელსაც უსწრებს წინ ეს ხოტბა, დაწერილია თამარ მეფის ეპოქის შემდეგ, 14—15 საუკუნეებში; ეხლა, როდესაც ვეფხისტყაოსანი მას თამარის ეპოქაში გადმოაქვს, ეს ხოტბაც თამარის ეპოქისათვის უნდა წაემძღვანებია და, რადგანაც შეუძლებლად უცვნია მისი მიკუთვნება დავიდ აღმაშენებლისათვის, როგორც ნ. მარ-რი ფიქრობდა, დავით აღმაშენებელსა და თამარ მეფის შორის მოუძებნია დასახელებული დავითი, დიმიტრის შვილი. აი ერთადერთი გამართლება ამ ახალი ოპერაციისა, არავითარი სხვა საბუთი ამ დავითის სასარგებლოდ მას არ მოჰყავს თავის გამოკვლევაში. განა ოდნავად მაინც შესაძლებელი და დასაჯერებელია — იმ დიდებულ მეფედ, რომელიც ხოტბაშია გამოყვანილი, ვიცნათ დავით აღმაშენებლის შვილისშვილი დავითი, რომელიც რაღაც ერთს წელიწადს მეფობდა, რომლის პიროვნების შესახებ, კაკაბაძის სიტყვითაც, ცოტა არის ცნობილი (გვ. XLVIII), და, თუ რითიმე ვიცნობთ მას, მხოლოდ ძალადობით, რომელიც მამაზე იხმარა, და დიდებულთა ამოწყვეტით?! ასეთი რისამე თქმა შეუძლია გარკვეულ ტენდენციას მხოლოდ. მე ერთხელ საკმაო ისტორიულ-ლიტერატურული ფაქტები მოვიყვანე იმის დასამტკიცებლად, რომ ხოტბა თამარის მეფობაზე ადრე არაა დაწერილი და ის, დავით აღმაშენებელთან ერთად, თამარ მეფესაც შეეკებას (ქართული ლიტერატურის ისტორია II, 154—164); ¹⁾ ამ ფაქტებს, რასაკვირველია, აღარ გავიმეორებ, მოვიყვან მხოლოდ ერთს ახალ

1) პ. ინგოროცვა მიკვირებს, რომ მე ამ საკითხში პ. იოსელიანისა და დ. ჩუბინაშვილის მოძველებულ აზრებს ვერ გავსცილებივარ (მნათ. IV, 200-1); ყოველ შემთხვევაში პ. იოსელიანსა და პროფ. ჩუბინაშვილს ვერ უნდა სწიხლავდეს ის კაცი, რომელიც ვეფხისტყაოსნის პრობლემების გადაწყვეტისას თვითმერაზ ბატონიშვილისა და, რაც უფრო სასაცილოა, ტიმოთე მთავარებისკობაზის პიპოთეზებსა და ცნობებს ვერ გასცილებია!

საბუთს ჩემი შეხედულების სასარგებლოდ. ხოტბაში ნათქვამია: „ქვეყნის მნათენი, მოკამათენი, ბაზიყად გექმნეს სურვილით რეცა“ (58,3). არავის ბაზიყასებური მიჯნურობა (იოსებისადმი) არ გამოუჩენია არც დავით აღმაშენებლის, არც მისი შვილისშვილის დავითის, არც დავით სოსლანის მიმართ, ხოლო თამარისათვის რომ მრავალი „ქვეყნის მნათენი“, — მეფე და მეფისწულები „მოკამათენი“ ესე იგი ერთმანეთის მოცილენი, გიყდებოდენ, როგორც ბაზიყა იოსებისათვის, და ერთი მისი მოტრფიალე მეფისწულთაგანი, უცხო ქვეყნით მოსული, აღესრულა კიდევაც მიჯნურობის სევდისაგან ნიქოზში, როგორც ბაზიყა მოკვდა ეგვიპტეში, იამანეთით მოსული, ეს კარგად კნობილია ისტორიაში (მარიამ ღედოფ. ვარიანტი, გვ. 417.)¹⁾

ამხაირად, ს. კაკაბაძის გამოკვლევაში შოთას დაბადების დათარიღება ყოველს საფუძველს მოკლებულია.²⁾

8

თავის გამოცემაში ს. კაკაბაძე სცდილობს გაითვალისწინოს შოთას უკანასკნელი წლებიც; ამისათვის ის მიმართავს „თამარიანის“ ცნობილ ელეგიას, რომელშიაც ავტორი მისი, ჩახრუხადე, დასტირის თითქო თავისი მოგზაური ძმის, შოთას, უდროვოდ დაკარგვას. პოემის დაწერის შემდეგ თამარზე გამოჯნურებული პოეტი წასულა საქართველოდან, შენოუვლია მთელი თითქმის, იმდროს ცნობილი, მსოფლიო, როგორც ეს აწერილია დასახელებულს ელეგიაში, და ამ მოგზაურობისას ის დაღუპულა 1202 წელსო (გვ. LXXXI—LXXXV. CI—CII).

ს. კაკაბაძეს, რომელსაც, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, დასახელებული ელეგიის გამოყენებაში ნ. მარრისათვის მიუბაძნია, დავიწყნია ერთი რამ: ნ. მარრის შეხედულებით, ეს ელეგია ჩახრუხადეს კი არ ეკუთვნის, არამედ შეთხზულია, აქ წარმოდგენილი პოლიტიკურ-გეოგრაფიული სიტუაციის მიხედვით, მონგოლთა ბატონობის ეპოქაში, 1250—1338 წლებში დაახლოვებით (Грузинская поэма Витязь в барсовой шкуре, ст. 503); მაშასადამე, იმაში რეალური უბიოგრაფია კი არაა გადმოცემული შოთა რუსთველისა, არამედ ტრადიცია მის კანასკნელი წლების შესახებ. ამიტომ ეს ელეგია ბიოგრაფიულ მასალად არი გამოგვადგება, მით უმეტეს, რომ ელეგიაში გამოყვანილი პოეტი—მოგზაური არის მაჰმადიანი, შოთა კი, კაკაბაძის შეხედულებით, ქრისტიანია.

საინტერესოა, როგორ მიიღო ს. კაკაბაძემ 1202 წელი, წელიწადი შოთას ვითომცდა გარდაცვალებისა? ჩახრუხადის ელეგიის საერთო ხასიათის მიხედვით, ამბობს ის, საფიქრებელია, რომ ავტორის ნიერ განცდილი უბედურება (მოგზაური

1) ვერ დავეთანხმები აკადემიკოსს ნ. მარრს, რომ აქ ჩვენ გვაქვს არაბული „ბაზიყი“, რაც „ამხანაგს“ ნიშნავს, და არა იოსებ-ზილიხანიანის ერთერთი გმირი ბაზიყა. სიტყვა „სურვილი“ აქ გვიჩვენებს ტრფობის, მიჯნურობის სურვილს, რომლითაც ბაზიყა იწვოდა. მართალია, იოსებ-ზილიხანიანში ბაზიყა, ქალი, იწვის იოსებისადმი ტრფობის აღით და აქაც, ხოტბაშიც, თითქო „ბაზიყობაზედ“, ესე იგი ქალის მიჯნურობაზეა ლაპარაკი, თამარის ისტორიაში კი—პიროქით, კაცების მიჯნურობაზე თამარისადმი; მაგრამ ეს ჩემი შეხედულების წინააღმდეგ ვერაფერს იტყვის, ვინაიდან ხოტბაში ტრფობის, სურვილის ინტენსივობაზეა საზოგადოდ ლაპარაკი, მიუხედავად იმისა, ვინ ვის ეტრფის.

2) იან, როგორც პ. ინგოროყვას გამოკვლევაში, რომელშიც ჩემი შენიშვნები მისი ფანტასტიური გამოანგარიშების წინააღმდეგ უხმოდ გადაყლაპა.

ძმის დაღუპვა) სულ ახალი ფაქტია. ხოლო, რადგანაც ჩახრუხადის მთელი შესხმის საბოლოო რედაქცია 1202 წელს ეკუთვნის, მისი ძმის დაღუპვასაც ამ წელს უნდა ჰქონოდა ადგილი (გვ. CIII—CIV). ს. კაკაბაძეს, მართლაც, საგანგებო თავი შეუწირავს თავის გამოცემაში „თამარიანის“ დათარიღებისათვის (გვ. LXXIII—LXXV). მთავარი არგუმენტი იმისა, რომ ხოტბის საბოლოო რედაქცია 1202 წელს ეკუთვნის, მისი აზრით, ნდგომარეობს იმაში, რომ ხოტბაში ხსენება არ არის ისეთი შესანიშნავი ამბისა, როგორც იყო ბოლოსტიკის არამეცხველიც 1203 წელს უნდა მომხდარიყო. აქ ორი შეცთომია.

1) „თამარიანში“ არამც თუ ხსენება, ვრცელი აღწერილობაც კია ბოლოსტიკის ომისა, რომელშიაც რუქნადინი დამარცხდა; ეს ამბავი გადმოცემულია მე-XII ოდაში შემდეგნაირად: „გამოჩნდა ვინმე ზეავი, მხეცებრ მძვინვარე, ამპარტავანი, ლალი, რომელსაც თავისი თავი უძღვევლად მიაჩნდა და რომელიც ურიცხვი, ძალდატანებით შეგროვილი, ჯარით გამოემართა ჩვენს წინააღმდეგ ქადილით: მე მათ ქვეყანას შევქნი მოოხრებულადო! შენ, თამარ, შეჰყარე ჯარი, გაამხნევე როგორც ჯარისკაცები, ისე მათი მეთაურნი, და უბრძანე მათ შებმოდენ მტერს ქრისტეს სახელით. ჯარს წაუძღვა დაყითი, რომელმაც შიშის ზარი დასცა მტერს, სასტიკად დაამარცხა იგი, გააბნია, მოსწყვიტა და დაატყვევა. ტყვეები შეწყალებას სთხოვდენ და ეუბნებოდენ: „არ მოველით ნებითო“. სხვათა შორის ტყვედ ჩაუვარდა მას ხელში „ეზინაკს მფლობი“, რომელიც თან წამოიყვანა; ტყვეებთან ერთად ქართველებს დარჩათ დიდი და მდიდარი სამხედრო ალაფი“. ვინ არ დაინახავს ამ აღწერილობაში რუქნადინის ზვიადობას, რომელმაც „მიიტნა თეინიერ ნებისა მათისა შიშით ეზინკელნი, ხალფერდელნი და კარნუქალაქელნი“ და „ოთხმეოც ბევრი“ კაცით, მუქარითა და ტრაბახობით, გამოემართა ჩვენსკენ (ქართ. ცხოვრ. მარიაშისა, გვ. 496—509)? როგორც ვიცით, ქართველებმა, დავით სოსლანის მეთაურობით, სასტიკად დაამარცხეს ის ბოლოსტიკესთან ბრძოლაში და ხელში ჩაიგდეს დიდი ალაფი და ურიცხვი ტყვეები, რომელთა შორის იყო „ეზინკელი ამირაც“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია II, 616).

2) ბოლოსტიკის ომი 1203 წელს კი არ მომხდარა, არამედ 1206 წელს, როგორც ეს ზედმიწევნით გამოიანგარიშა თავის დროს პროფ. ივ. ჯავახიშვილმა სპარსელ ისტორიკოსთა ცნობებით და ლაშა გიორგის მემათიანის შესწორებული ქორონიკონით (ქართველი ერის ისტორია II, 615—617).

9

ს. კაკაბაძე ვეფხისტყაოსნის დაწერის წელსაც კი გვირკვევს: ¹⁾ მისი

¹⁾ პოემის დაწერის დროის ზედმიწევნითი განსაზღვრა მოინდომა პ. ინგოროყვამაც, მაგრამ, როგორც დაინახეთ (მნათობი II, 190—191), მისი ცდა უშედეგო გამოდგა; თავის საბასუბო წერილში (მნათ. IV, 186—199) მან თავიდან ბოლომდე გაიმეორა ის, რაც ერთხელ უკვე გვიამბო „რუსთველიანაში“. აქაც თავისი თეორიის მთავარ საბუთად იგივე „მეფეთა ხოტბა“ მოჰყავს, თუმცა ის გარემოება, რომ ეს ხოტბა არ მოიპოვება ყველა ხელნაწერებში (მაგალითად №№ 2829, 4988), რაც მის თეორიას საღუძველს აცლია, მას ვერაფრით ვერ აუხსნია, გარდა მშრალი განცხადებისა, რომ ხელნაწერა დღევანდელი დედნიდან მომდინარეობს (IV, 190). დავანებოთ ამას თავი, „მეფეთა ხოტბის“ საკითხში მეორე მხარეა ჩვენთვის საყურადღებო. პრადლოგში პირველად მოხსენებულია დავითი და არა თამარი, რაც, თვით ინგოროყვას სიტყვით,

მოქცევათა ეამთა თამარ სამგზის სანატრელისათა“, „ამისსა (თამარის) განგებასა (მშართველობის, მეფობის) ათორმეტსა წელიწადსა შინაო“. მაშასადამე, აქ იგულისხმება 1195—6 და არა 1198—9 წლები.

ამრიგად, პოენის დასათარიღებელი საბუთები უნიადაგო და მთავონილია, ისე, როგორც დათარიღება სხვა ისტორიული ფაქტებისა ამ განოკვეცვაში. ¹⁾

* * *

მე განვიხილე მთავარი დებულებანი ს. საკვაძის ანგარიშგანმარტვისა და ზედმეტად დავრწმუნდი, რომ აქ აღძრული პრობლემების უაწვლაციოდ და „ექვმიუტანელად“ გადაჭრა შეუძლებელია იმ მასალებით, რაც დღეს მკვლევართა განკარგულებაშია. პირადად ს. კაკაბაძე კარგს იზამს, თუ რთული ისტორიულ-ლიტერატურული პრობლემების შეჭიდებას მაგიერ, თავის სიგელ-გუჯრებს დაუბრუნდება; მხოლოდ აქაც საჭირო იქნება წინასწარ დიპლომატიკის საფუძვლების შესწავლა, რათა ეგრედწოდებული „ნატყუარი“ საბუთები „ნამდვილ“ დოკუმენტებად არ იქნეს გასაღებული (იხ. ი. ვ. ჯავახიშვილის ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, გვ. 163, 174, 179 შენიშვნები).

P.S. ამ წერილში გზადაგზა მე მომიხდა ლაპარაკი, შენიშვნების სახით, ვეფხისტყაოსნის მეორე მკვლევარის, პ. ინგოროყვას, შესახებაც, რომელმაც ჩემს რეცენზიას მისი „რუსთველიანას“ გამო (შნათობი 1927, № 2) უძღვნა მეტად გრძელი წერილი (იქვე, № 3, 4). თავდაპირველად ვფიქრობდი საგანგებო პასუხი გამეცა მისთვის, მაგრამ თავს ვიკავებ ამისგან და ვკმაყოფილდები ნათქვამით შემდეგი მოსაზრების გამო. მისი საპასუხო წერილი ისეთია, რომ სპეციალურად იმაზე ლაპარაკი არც ღირს და არც შეიძლება: ცენტრალური ნაწილი ჩემი რეცენზიისა, სადაც მე ვიხილავ მის თეზისებს პოეტის ვინაობის, მისი დაბადების, სამშობლოდან გაძევების და განსაკუთრებით მანიქვეულობის შესახებ, უპასუხოდაა დატოვებული, ავტორმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ერთი სიტყვაც კი ვერ

¹⁾ განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას თამარის გარდაცვალების (1207) წლის შესახებ, რომელიც ავტორს „სამოლოოდ გარკვეულად“ მიაჩნია (გვ. LXVIII) და რომლის მიუღებლობისათვის ერთდროს კაკალს გვამტყრევდა თავზე (საისტ. მოამბე, 1925 წ. № 1, გვ. 301). ს. კაკაბაძეს არ სურს ანგარიში გაუწიოს იმ გარემოებას, რომ, მატთანის თბრობით, თამარი თანამედროვეა მთელი რიგი ისტორიული ფაქტებისა, რომელთაც ადგილი ჰქონდა 1207 წლის შემდეგ, მაგალითად: სპარსეთზე გალაშქრება, ზაქარია მხარგძელის სიკვდილი და ივანეს ათაბაგად დანიშნვა, რომელთა შემდეგ „მეფე თამარ ზამთარს დვინს იყვის და ზაფხულს კოლას და წელის ტბასა, ზოგჯერ გარდვიდის აფბაზეთს, გეგუთს და ცხუმსო“ (ქართლ. ცხოვრ. მარიამ. გვ. 527), მთელთა აჯანყების ჩაქრობა და სხვ. ს. კაკაბაძეს ეს მიაჩნია ანაქრონიზმებად და შეცთომებად თამარის მეორე ისტორიკოსისა, რომელიც „არც თუ დიდი განათლების მქონე“ ყოფილა (საისტ. მოამბე 1924 წ. № 1, გვ. 289—290). მაგრამ რას ბრძანებს ს. კაკაბაძე ეხლა, როდესაც აღმოჩნდა თამარის შესამე ისტორია, რომელშიაც ეს ამბები, ყოველ შემთხვევაში—სპარსეთზე გალაშქრება, თამარის დროინდელ ამბებადაა მოხსრობილი (ი. ვ. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება და თამარ მეფის ატამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება, ტფილისის უნივერ. მოამბე, III, 205—206), ნუ თუ ამ ისტორიკოსსაც გაუნათლებლობის გამო მოუვიდა შეცთომები?

იპოვა თავისი პოზიციების დასაცავად ამ საკითხებში; ის მხოლოდ უიმედოდ აცხადებს: 1) ისტორიკოსის იმ ადგილზე, სადაც საუბარია „კუპარის“ და „მანის ფერის“ შესახებ, უახლოეს მომავალში აკადემიკოსი ნ. მარტი აპირებს გამოსთქვას თავისი აზრი“, 2) ხოლო ქართული ხელოვნების სპეციალისტი შ. ამირანაშვილი ვეფხისტყაოსნის მხატვრობის შეაწავლამ იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ერთი ჯგუფი პოემის სურათებისა შესრულებულია მანიქეურ სამხატვრო სკოლაში (მნათ. IV, 223). საკვირველია, რომ სწორედ ამ მომენტზე ანდებან არსებულ შრომებსაც კი არ უწევდა ანგარიშს, ეხლა, გაჭირვების დროს, არარსებულსა და მხოლოდ მოსალოდნელ შრომებს აფარებს თავს, ყოველ შემთხვევაში უნდა შეენიშნო შემდეგი: 1) ნ. მარტი ცნობილი მეცნიერია და მას თამამად შეუძლია წეროს როგორც „კუპარის“, ისე „მანის ფერის“ და სხვა მრავალი საკითხების შესახებ, მაგრამ რა მნიშვნელობა ექნება ამას სადავო საკითხისათვის? ჯერ უნდა დამტკიცდეს, რომ ავტორი პოემისა არის მართლა შოთა კუპრი და ისტორიკოსის ბუნდოვანი და წარყვნილი ადგილები, რომლებზედაც პ. ინგოროყვა ამყარებს თავის „აღმოჩენას“ [„მანის ფერისათვის კუპრობით უხმობდეს“, და „რინდნიმან“], სწორედ ისე იკითხება, როგორც მათ ინგოროყვა ჰკითხულობს; რა აზრი ექნება ექსკურსებს „მანის“ შესახებ, თუ მათიანე ლაპარაკობს არა „მანის“, არამედ „მელნისა“ და „მუნ“-ის შესახებ? 2) შ. ამირანაშვილს ჯერ არ დაუმტკიცებია ის, რასაც მას ინგოროყვა აწერს, და კიდევაც რომ დაამტკიცოს, დაამტკიცებს მხოლოდ იმას, რომ ავტორი ვეფხისტყაოსნის ზოგიერთი სურათებისა მხატვრული ყოფილა მანიქეური სამხატვრო ტრადიციებისა; მაგრამ აქედან განა ის დასკვნა გამოვა, რომ მანიქეველია ავტორი ვეფხისტყაოსნისა, ანა და მთელი პოემა და მთელი საქართველო მანიქეველობით იყო გაყდენთილი? ერთი სიტყვით, მეორე ნაწილი ჩემი რეცენზიისა და საკუთარი თხზულებისა პ. ინგოროყვასთვის სავალალო შეიქნა, ის მეკამათება მხოლოდ პირველს ნაწილში, მაგრამ არცერთი ახალი საბუთი, არცერთი ახალი მოსაზრება მას აქ არ მოუყვანია, მთელი ეს დაუსრულებელი „პასუხი“ წარმოადგენს პერიფრაზს, ხშირად სიტყვა-სიტყვით განმეორებას, იმისისას, რაც ნათქვამი აქვს მას „რუსთველიანაში“ და რაც საცილობელად და საკამათოდ არის აღიარებული. თუ რამეა აქ ზედმეტი, ეს—მაგარ-მაგარი სიტყვები, პირადად ჩემ წინააღმდეგ მომართული; ალბათ ავტორს დავიწყნია, რომ ლანძღვა-გინება არგუმენტი არაა, დავიწყნია მას ისიც, რომ, თუ მე რამეში ვსცთები (უცთომელი მხოლოდ ინგოროყვას ჰგონია თავისი თავი) და, მაგალითად, ლეილა-მეჯნუნიანის გადმოცემისას ა. ხახანაშვილის შეცთომას ვიმეორებ ეს „საბრალმდებლო ოქმი“ ინგოროყვას ჩამოუყალიბებია ს. კაკაბაძის სიტყვებით (საისტ. მოამბე, 1925 წ. I, 310—311), თუმცა, ჩვეულებისამებრს, ამ წყაროს ის არ ასახელებს, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ მისი თესიზები ვეფხისტყაოსნის შესახებ უცთომელი და მართალია! თავის „პასუხს“ პ. ინგოროყვა იწყებს შენიშვნით, რომ მე არ შემიძლია საერო ლიტერატურისა და საისტორიო მწერლობის დარგში კომპეტენტური ვიყო, რადგანაც ცნობილი ვარ მხოლოდ როგორც პედაგოგისა და ლიტურგიკის მკვლევარი (III, 194). ვპკითხავ

ქართული პოეტური ფოლკლორი

ვინც დაჰკვირვებია ჩვენ ხალხურ ლექსებს, ზღაპრებს, ანდაზებს, ლეგენდებს, მოთებს და სხვ. მას უსათუოდ წარმოუდგებოდა რაღაც დიდი გზნებისა და ფანტაზიის ქვეყანა, რომელიც უცნაური სისადავის და სიღრმის გამო პირდაპირ აჯადოვებს ადამიანს. ეს ქვეყანა რაღაც დიდი ნიშნების თავშესაფარია, რომელნიც ათეულ და ასეულ მოსაკვდავ საუკუნეებს, თითქოს მოსაგონებლად დაუტოვებიათ. მაგრამ ეს ქვეყანა, შეიძლება ითქვას, რომ დღევანდლამდე *terra incognita*-დ არის დარჩენილი.

ქართული მეცნიერული აზრი მას თითქმის არ შეეხებია. ამის მისეზი ორგვარია: 1) თვით ამ ხალხური პოეზიის თუ სიტყვიერების, როგორც ზოგად მეცნიერულ დისციპლინის სიახლე და 2) ქართული მეცნიერული აზროვნების გვიანი აღორძინება. ამ ორ მოვლენის დასაწყისთა შორის თითქმის ერთი საუკუნის მანძილია. ამ ხნის განმავლობაში, ჩვენში, მხოლოდ მოსამზადებელი მუშაობა სწარმოებდა, ისიც სპორადიულად, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი. ეს მუშაობა მხოლოდ დასაწყის საფეხურზე იმყოფება, და ამ მხრივ, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ჩვენი ხალხის შემოქმედება მრავალ მკვლევარს ითხოვს და უკვე დრო არის, დავიწყოთ ამ დიდი ამოცანის თეორიული კვლევა.

მართალია ძნელია ამ მუშაობის წარმოება, რადგან ჯერ ბევრი რამ შეუკრებელია და შეუსწავლელი, მაგრამ კვლევა-ძიების დაწყება უფრო ხელს შეუწყობს ნასაღის დაგროვებას, მით უმეტეს, რომ საკითხი იმდენად დიდია და მრავალმხრივი, რომ მკვლევართა მთელ რიგს მოითხოვს, და დღევანდელი შეცდომებიც შემდეგში იქნება შესწორებული. ამ აზრით ვიწყებთ ჩვენი ხალხური შემოქმედების გარშემო მუშაობას.

მაგრამ, ვიდრე შეუდგებდეთ დასახულ საგანს, საჭიროა მოკლეთ გავითვალისწინოთ, თუ როდის დაიწყო ამ სახის მეცნიერული მუშაობა საზოგადოდ, რა ეტაპები განვლო, და რა მდგომარეობაში იმყოფება იგი დღეს. ხალხური სიტყვიერების და საზოგადოდ ფოლკლორის, როგორც მეცნიერული დისციპლი-

ნის ისტორია, მე-19 საუკუნიდან იწყება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის საკითხები, რომელთაც ხსენებული მეცნიერება განიხილავს, ადრევე არა ყოფილიყვნენ აზროვნების საგნად. ჩვენ ვიცით რომ ჯერ ისევ ანტიურ ეპოქაში, მითოლოგიური საკითხები ფილოსოფიის საგანს შეადგენდნენ, და გარკვეული მეტოდოლოგიური მიმართულებანიც არსებობდნენ ამ საკითხის გასარკვევად, მაგალითად: ფიზიო-ალეგორიული, ფსიქოლოგიური ანუ ეთიური და ისტორიკული ანუ ევგემერისტული. პირველ მიმართულებას ეკუთვნოდნენ ადრინტული ფილოსოფოსები და შემდეგ სტოიკოსები, მეორეს ანაქსაგორი, მესამეს კი ევკემეროსი. ეს კი იმის მაჩვენებელია: რომ ჩვენი მეცნიერების ჩანასახი ანტიურ ქვეყანაშივე ყოფილა. საშუალო საუკუნოებშიაც სწარმოებდა ამგვარი ნუშაობა. პირველი ქრისტიანული მოაზროვნეებიდან მოყოლებული ახალ საუკუნოებამდე მითების წესახებ კვლევა არ შეწყვეტილა. კესარიის ეპ. ევსევი პამფილოსი (მე-4 საუკ) შემდეგ ნეოპლატონიკოსები და სხ. მითებში ეძებდნენ საუკუნეთა სიბრძნეს.

ხოლო მე-18 საუკუნეში, რომელსაც მეცნიერების დიადი საუკუნე ეწოდება, ხალხურ შემოქმედება უფრო მეტი ყურადღება ექცევა. განსაკუთრებით აღმოსავლეთი იქცევა გაღვიძებულ ცნობისმოყვარეობის ცენტრად. ევროპა ეცნობა ინდოეთის საიდუმლოებას, მისიონერები ჩინეთსა სწავლობენ, ტიბეტში მიისწრაფიან დაღაი-ლამას სანახავად. სპარსეთის რელიგიას უკვირდებიან, არაბულ „ათას ერთი ღამის“ ზღაპრებს გატაცებით კითხულობენ, და საერთოდ ევროპის მეცნიერული აზრი უფრო შორ პერსპექტივებსა ჰშლის.

ეს პროცესი მე-19 საუკუნეშიაც გადმოვიდა, რასაც შედეგათ მოჰყვა ხალხური შემოქმედების შემსწავლი მეცნიერების ანუ ფოლკლორის დამოუკიდებელი არსებობა. ამას რამდენიმე გარემოებამ შეუწყო ხელი, რაც აუცილებლად უნდა იქნეს აღნიშნული:

რომანტიზმი. ჩვენ კარგად ვიცით, რომ მე-18 საუკუნეში ხალხი მიჩნეული იყო უხეშ და უვიც ბრბოდ, *populus vultus* ტაციტის სიტყვით რომ ვსთქვათ. განათლებულები ჰჭირდავდნენ ხალხურ პოეზიას, დასცინოდნენ, როგორც მიღმონებას, როგორც ველურობის უაზრო მემკვიდრეობას. ხალხური გადმოცემები სისულელის კატეგორიაზე იყო მიწერილი და მათი ისტორიული მნიშვნელობა გაუგებარი რჩებოდა. უფრო უარესი იყო ამ განათლებულების მოპყრობა გაუნათლებელ ერთადმი. რა უნდა ჰქონოდა მისაზიდი და მნიშვნელოვანი ამ „ველურ ჯოგს“, რომელსაც ვოლტერის თქმისამებრ „არ შეეძლო არც ჰემმარიტების აღმოჩენა, არც ოსტატური ცრუობა, და სახელი „გეომეტრიაც“ არ იცოდა“. ეს მდგომარეობა იქამდე გაგრძელდა, ვიდრე ჟან-ჟაკ რუსსომ არ გამოაცხადა ხალხური ცხოვრებისა და შემოქმედების დიდი ფასი და ცხოველყოფილობა. ამან დიდი გავლენა მოახდინა საზოგადოდ, კერძოდ კი რომანტიკოსებზე, რომელნიც ხალხთან დაახლოვებასა სცდილობდნენ.

რომანტიკოსები დიდათ დაინტერესდნენ ხალხურ შემოქმედებით, რომელიც ერთი მხრით ისე ეწინააღმდეგებოდა ე. წ. განმანათლებლების განყენებულ იდეებს, და მეორე მხრივ ისე კარგად აკმაყოფილებდა მათ გზნებას. რომანტიკოსებს იზიდავდა გარდასულ დროთა პოეტური სახეები, და ამ ცნობისმო-

ყვარებისა და სურვილის დასაკმაყოფილებლად, მათ ხელი მიჰყვეს ეპიურ ყოფის დაკვირვებულ შესწავლას. იმათ დაიწყეს ზღაპრების, ლეგენდების და ძველ ისტორიულ ძეგლთა შეკრება და გამოცემა; ამ მასალას ისინი აკავშირებდნენ ძველ რელიგიურ წარმოდგენებთან, ყოფასთან და ნათი საშუალებით სტრილობდნენ ძველი მსოფლმხედველობის და ისტორიის გათვალისწინებას. ამ მიზნით დაიწყო ხალხურ შემოქმედების გატაცებული კვლევა-ძიება.

ფრ. შლეგელმა რომანტიულად უჩვენა ინდოეთზე, კრეიტერმა თავისი მითოლოგიური გამოკვლევებით დიდი ინტერესი აღძრა, ინგლისელმა მეცნიერებმა გულმოდგინეთ გამოიკვლიეს ინდოეთის ლიტერატურა. ამის შედეგი იყო სანსკრიტის შესწავლა, რომელსაც პირველყოფილ ენათა სთვლიდნენ და სიმბოლურად, ბერძნულ ენაზე მალა აყენებდნენ. ყველაფერი ეს ხელს უწყობდა სიძველეთა შესწავლისადმი დიდი მიდრეკილების გაღვივებას.

შემდეგი დიდი სტიმული იყო გერმანიის პოლიტიკური მდგომარეობა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში. ცნობილია რომ ამ ქვეყანაში ენათმეცნიერება უმთავრესად ეროვნულმა მოტივმა წარმოშვა. პატრიოტულ გატაცების გამო, ხალხური სიძველენი იღვალად იქცნენ. და მათ შესასწავლად ამოძრავდა გერმანული გონება. ძმანი გრიმები, ესენი არიან ემ სიძველეთა შესწავლის საფუძვლის ჩამყვრლნი. იაკობ გრიმმა რომ დასწერა „გერმანული მითოლოგია“ და „გერმანულ უფლებათა სიძველენი“, ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და სამართლიანადაც ითვლება შედარებითი მითოლოგიის ნაშამთავრად. ეს შედარებითი მითოლოგია, შედარებით ენათმეცნიერებასთან დაკავშირებით, საცნაურად ხდიდა იმ ხალხურ მითებს, რელიგიებს, გადმოცემებს და სხ., რომელნიც მანამდე წყვილიადით იყვნენ მოცულნი. ძმათა გრიმების მუშაობამ უდიდესი გახმაურება ჰპოვა, ხალხის რწმუნებისადმი, სიმღერისადმი და საერთოდ ყოფისადმი ინტერესი ყველგან უფრო მეტად გაღვივდა, და უნდა ითქმას რომ ამ მეცნიერების განვითარებას, ყველაზე მეტი აწავი გერმანულ მეცნიერებმა დასდეს.

შემდეგი პირობა, რომელმაც შეუწყო ხელი ფოლკლორის განვითარებას, იყო ევროპის სახელმწიფოთა მიერ წარმოებული ინტენსიური კოლონიზაცია აფრიკაში, ანეროკასა და ავსტრალიაში; წარმოების და ვაჭრობის უდიდესი ზრდა, რაც სულ ახალ ქვეყნებს უშლიდა თვალ წინ მეცნიერებს, და საშუალებას აძლევდა, რომ მრავალი ახალი მასალა შეეგროვებინა მანამდე თითქმის უცნობ ნოდგმათა შესახებ. ექსპედიციის ექსპედიციის მისდევდა და უკულტურო ხალხთა ზნე-ჩვეულება, რელიგია, ყოფა და სხ. ისწავლებოდა. ეს გამოკვლევა იმდენად დიდი მასშტაბით სწარმოებდა და იმდენად ნაყოფიერად, რომ მეცნიერებაში უკვე დაბეჯითებით ამბობენ: აფრიკაში და სამხრეთ ამერიკაში თითქმის აღარ დარჩა არც ერთი კუნძული, რომ ევროპის მეცნიერთათვის უცხო იყვის და შესწავლელი.

ამას გარდა ფოლკლორის განვითარებას ხელი შეუწყო აგრეთვე ევროპის გონებრივი ცხოვრების საზოგადო პირობებმა, რაც მე-19 საუკუნის ნახევარში მეტად დიდ სტიმულს იძლეოდა. განსაკუთრებით კი ე. წ. „კლასიკურ სიძველეთა აღორძინებამ“ რომელიც დაიწყო მე-18 საუკუნეში და მე-19 საუკუნესაც

გადმოცემა. ჯერ ვიკო, ცნობილ „ახალ მეცნიერების“ ავტორი (Principj di una scienza nuova d'intorno alla commune natura delle nazioni 1725.), რომელმაც პომპროსის საკითხი აღძრა, და ილიადა—ოდისეა ხალხურ ეპოსად გამოაცხადა: შემდეგ ვინკელმანი თავისი ცნობილ Geschichte der Kunst des Alterthums-ით სადაც ხელოვნება დაკავშირებულია ხალხის ყოფასთან, ზნე-ჩვეულებასთან, რწმენასთან, სახელმწიფოებრივ წყობილებასთან და სხ. ლესინგის „ცნობილი შრომით „ლაოკონი, ანუ მხატვრობისა და პოეზიის შორის განსხვავება“. ჰერდერი თავისი ისტორიულ-ფილოსოფიური იდეებით, წერილებით საბერძნეთის ლიტერატურისა და სახალხო პოეზიის შესახებ (Über Ossian und die Lieder aller Völker. 1773), რომელიც იმავე დროს ჰერცფელდა ხალხურ პოეზიის ძეგლებს. ფოსსი) რომელმაც პომპროსი გადმოსთარგმნა და ამით თავის ხალხს ამ დიდი ეპიკოსის გაცნობის საშუალება მისცა. (1781—1793). ვილჰელმი, რომელმაც აღმოაჩინა და გამოსცა ილიადის ვენეციური კოდექსი, ალექსანდრიულ სქოლიოებით (1788 წ.) რომელიც ვულგატისაგან ძალიან განირჩეოდა, რამაც კიდევ ახალი ქიმუნჯი ჰკრა პომპროსის საკითხის აღდგენას. შემდეგ გოლდსნიტი, შიტფორდი და სხვა ისტორიკოსები, რომელნიც საბერძნეთის სიძველეებს იკვლევდნენ. ეს მე-18 საუკუნეში. მე-19 საუკუნეში საზოგადოდ, ისტორიული მეცნიერებანი უფრო განვითარდნენ. როგორც ვიცით, საფრანგეთის დიდ რევოლუციას და ნაპოლეონის ბატონობას მოჰყვა ეროვნულ და პოლიტიკურ მისწრაფებათა გამოღვიძება. ამან კვალი დააჩნია ისტორიულ მეცნიერებათა განვითარების საქმესაც. „ეს ის დრო იყო, როდესაც ნაპოლეონის ომებს შემდეგ დამყარებულ მშვიდობიანობის შორის, ევროპის სხვადასხვა ერი, თითქოს ერთმანეთს შეეჯიბრა მეცნიერულ სარბიელზე. მაგრამ ისტორიულ-ფილოლოგიურ მეცნიერებათა სფეროში, პირველი აღგილი უდაოთ გერმანიას ეკუთვნოდა. აქა ვხედავთ მდულარე მოქმედებას, ტალანტების სიჭარბეს. მე-19 საუკუნის დასაწყისში, სიძველეთა შესწავლის დარგში, კორიფეებად სჩანან და არიან კიდევ ვოლფინიბური და შემდეგ ბლეკი. მათთან ერთად იწყება ძველი ისტორიის შესწავლის ახალი ეპოქა“¹⁾ სიძველეთა შესწავლა კი მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენს საგანთან. აი ყველა ის პირობები, რომლებმაც ჩვენი მეცნიერების ჩასახვას და განვითარებას ხელი დიდათ შეუწვეს, რის შემდეგაც ფოლკლორმა როგორც მეცნიერულმა დისციპლინამ, სწრაფად და მტკიცედ იწყო ზრდა და გეოგრაფიულ ფორმების მიღება.

ვნახოთ ახლა თუ რა საფეხურები გაიარა ჩვენმა დისციპლინამ, თავის დაარსების დღიდან ჩვენს ხანამდე. როგორც მოვიხსენიეთ, სახალხო პოეზიამ დიდათ და სავანგებოდ რომანტიკოსები დააინტერესა, და თავის მეცნიერულ დასაწყისსაც, ხალხური სიტყვიერება იქიდან იღებს. ჰერდერს რომ სახალხო პოეზია თვით ხალხის სულის გამოცხადებად ეჩვენებოდა, და ამ აზრებს რომ დაუღალავად ავრცელებდა, ეს მნიშვნელოვანი იყო. ხოლო იაკობ გრიმმა რომ პირველად სცადა სახალხო პოეზიის მეცნიერული კვლევა, ეს იმ დიდი რომანტიული

¹⁾ ია. ბუხესკული. Введ в ист. Гречин. лекции 1904 წ. ხარკოვი. გამოც. მე-2. გვ. 293.

გატაცების შედეგი იყო, რადგან თითონაც ამავე მიმდინარეობას ეკუთვნოდა. იაკობ გრიმმიდან იწყება ხალხური სიტყვიერების ნამდვილი *experimenta lucifera*. ცნობილია მისი მითოლოგიური მეთოდი, რომელმაც შემდეგ თაობებზე დიდი გავლენა მოახდინა, და გამოიწვია მთელი სკოლის შექმნა, რომელსაც მითოლოგიურის სახელით ვიცნობთ. გრიმმი (1785—1863 წ.) დაინტერესებული იყო გერმანულ წარმართობით. მას უნდოდა, როგორც თვით სწერდა, „შეეკრიბა და წარმოედგინა ყველაფერი, რაც გერმანულ წარმართობის შესწავლის საშუალებას მისცემდა“. ეს პოეტი-არქეოლოგი, ანტიურ მითოლოგიით იყო გატაცებული. მას თითქოს გამუდმებულ მგზნებარ მდგომარეობაში ამყოფებდა ელლადის ღმერთთა მწყობრი ოჯახი, რომელიც „პოეტებმა ხოტბის საგნად აქციეს და მოქანდაკეებმა კი მარმარილოში უდიდესი ოსტატობით გამოჰკვეთეს.“ და ანტიურ ოლიმპის მსგავსად, გრიმმს ეწადა გერმანულ ოლიმპის აღდგენა. მისი აზრით ეს არც ისე ძნელი საქმე იყო, როგორც პირველი შეხედვიდანა სჩანდა. თანამედროვე ხალხური პოეზია გრიმმის აზრით, ადგილობრივ მითების სისტემათა ნაშთია. ამ უკანასკნელის მიხედვით, შეიძლება მითების გაცოცხლება. შესწავლა არის საჭირო და მაშინ აღსდგება ძველი გერმანული ოლიმპი. ღმერთების შემდეგ გრიმმის ყურადღება მიიპყრო იმ სულთა და ზებუნებრივ არსებათა გუნდმა, რომელთა შესახებაც, ხალხური პოეზია დიდ მასალას იძლეოდა. გრიმმის გავებით, მითოლოგია არის ხალხურ რწმენათა ისტორია, რომელიც შეიცავს ხალხის გონებრივსა და ზნეობრივ ცხოვრებას, უძველესი დროიდან დღევანდლამდე. დღევანდლამდე, რადგან ხალხი სიძველეებს მტკიცედ იცავს, და უძველესი მითოლოგია ჩვენს ეპოქამდე არის მოხსენიებული სიმღერების, რწმენის და ცრუმორწმუნეობის სახით. და ყველაფერი ეს, იაკობ გრიმმა ისეთი შთაგონებითა და პოეტური გატაცებითა სთქვა, რომ ბევრი მეცნიერი ამ გზისკენ მოაქცია და აამუშავა ¹⁾.

გრიმმის შემდეგ მითოლოგიურ მიმართულებების დამაარსებლად ალბერტ კუნსა (1812—1881) და მაქს მიულერსა (1823—1900) სთვლიან. პირველი არის ე. წ. მეტეოროლოგიურ თვალსაზრისის დამწყები, მეორე კი სოლიარულისა. ამ ორი დიდი მეცნიერის მიერ არის შექმნილი ის დიდი და მწყობრი სისტემა, რომელსაც ინდო-ევროპიულ სახით ვიცნობთ. ამ სისტემის ძირითადი აზრი შემდეგია: ინდო-ევროპიულ მოდგმის ერებს, მრავალი მითი აქვთ, რომელნიც ერთმანეთს ენათესავენ. ეს ნათესაუობა სჩანს როგორც ამ მითების ხასიათიდან, ისე და უმთავრესად მითიურ არსებათა სახელებიდან. ეს სკოლა ეტიმოლოგიის გზით მიდიოდა, და თუ რომელიმე მითი ამ მხრივ რაიმე ნიშანს იძლეოდა, ეს საკმარისი იყო, რომ იგი „პრაირიულ“ ოჯახიდან წამოეყვანათ. ამ თეორიის მიხედვით ისტორიის წინა ხანაში არსებობდა ინდო-გერმანული ერი, რომლის რელიგია ცოტა რამით განსხვავდებოდა ისტორიულ ეპოქაში ცალკე გასულ

¹⁾ იაკ. გრიმმის მთავარი შრომებია: *Deutsche grammatik*—3 ტომი, 1819—1837. *Deutsche Mythologie*. 1839. ამ შრომით მან საფუძველი ჩაუყარა მეცნიერულ ლინგვისტიკას და ფოლკლორს.

ინდო-ევროპიულ მოდგმის ერთა რელიგიებისაგან. მითი ენის საკითხია. ვიდრე კაცობრიობას ენა არა ჰქონდა, მას არც მითი გააჩნდა, რადგან მითი ბუნების მოვლენათა ახსნის პირველი ცდაა აზროვნების საშუალებით, აზროვნება კი ენის გარეშე, შეუძლებელია. მაშასადამე, ენა წინ უსწრებს მითს, ეს უკანასკნელი კი მეტყველების თავისებური ფორმაა. ისე, რომ მითოლოგიური პრობლემა, არსებითად ლინგვისტური პრობლემაა. ასე მსჯელობდა მიულერი.

შემდეგ: მითი ბუნებრივი წარმოშობაა, ე. ი. ლმერთებში მითიური არსებანი, ბუნების მთავარ მოვლენათა განსახიერებას წარმოადგენენ. ხოლო „ენის ავადმყოფობას“ „disease of language“ ინდო-ევროპელები იქამდე მიჰყავდა, რომ ბუნების მოვლენათა შესახებ, როგორც მაგ. ელვა, ჭექა, ქუხილი და სხ. ისინი ლაპარაკობდნენ, როგორც მძლავრ პიროვნებათა შესახებ. მათი სახელი კი წარმოსდგებოდა მათი მოქმედებიდან. ყოველგვარი მოქმედება მომქმედსა ჰგულისხმობს და ამ მომქმედის სახელიც მოქმედების სახელის ძირიდან სწარმოებდა. შემდეგ ამ ზეციურ მოვლენათა მიზეზი — არსება წარმოიდგინეს, როგორც ადამიანისაგან განსხვავებული, რაღაც ზეადამიანური არსება, და სიტყვა — სახელები იქცნენ ღვთაებად, ხოლო მათი მოქმედების აღწერა — მითებად. მაგალღვთაებანი:

ავნი (ცეცხლისა) — პირველად „ნოდრავსა“ ნიშნავდა,

ინდრა — მრწყველს, დამსველებელს,

უშასი — შუქთა მფრქვეველს, მნათობს

და სხვა. მიულერს მითების ისტორიული წარმოშობაცა სწამს, მაგრამ ისე, რომ ამ „ისტორიას“ საფუძვლად იგივე სოლიარული ხასიათის ღვთაებები დაედვნენ. ამ მიმართულებას თავის დროზე ბევრი ცნობილი მიმდევარი ჰყავდა, როგორც მაგ. რენანი, კოქსი, დარმესტეტერი, ბრეალი, გუბერნატისი, ბრატკე, ლინდე, ჯიოვა, დანეზი, არნოლდ, ფორესტი, კანიცცარო და სხვ. ეს თეორია დღესაც განაგრძობს არსებობას, და ჰყავს ისეთი წარმომადგენლები, როგორც ედვინი და ფაი (ამერიკაში), ე. ჰანრი (საფრანგეთში), ერ. ვენდორფი, შრადერი, კრეჩმერი, ოლდენბერგი და სხ. (გერმანიაში). მართალია, ბევრი რამ შეიცვალა ხსენებულ მეცნიერთა წრომებში, ბევრი რამ მიულერ-კუნისა უარყოფილ იქმნა, მაგრამ საფუძველი მაინც საერთო დარჩა.

მითოლოგიური სკოლა შემდეგში თანდათანობით გაიზარდა, განშტოვდა, და მეტი მეცნიერული საფუძველი მიეცა. წარმოიშვა ე. წ. ორიენტალისტური მიმართულება, რომელმაც დასაჯლეთ ევროპის ფარგლებში მომწყვდეული მეცნიერული აზრი აღმოსავლეთისაკენ გადმოაქანა, და ის რაც მანამდე ევროპის ადგილობრივ წარმოშობად ითვლებოდა, აღმოსავლეთიდან წამოსულად გამოცხადდა. ეს მიმართულებაც, თავისი ჩანასახით ძველი იყო. მაგ. ჯერ კიდევ ანტიურ ქვეყანაში, როგორც მოვიხსენიეთ, არსებობდნენ მითების წარმოშობის შესახებ ჰიპოტეზები, შემდეგ წმ. მამები, ლუმანისტები, დეისტები და სხვ. თავის მოსაზრებებს გამოსთქვამდნენ მათ შესახებ. ე. წ. ეკლესიის მამანი ამტკიცებდნენ, რომ წარმართ ერთა მითები ბიბლიურ რელიგიის დამახინჯებას წარმოადგენენ. ეს აზრი დაიცვა ფოსსმა (1577 — 1649), შემდეგ ბრიანმა, გლადსტონმა და სხვ.

მაგრამ წმინდა მეცნიერულ ნიადაგზე ეს თეორია ჯერ ფრ. კრეიცერმა დააყენა (1771—1858) შემდეგ და უფრო ბენფეიმ (1809—1881). ეს უკანასკნელი და მათი მიმდევრები, სწავლობდნენ რა აღმოსავლეთის პოეზიას, ხედავდნენ რომ დიდი ნათესაობა არსებობს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხალხთა პოეზიის შორის. რის შედეგი უნდა ყოფილიყო ეს ნათესაობა? რასაკვირველია ეს უნდა ყოფილიყო პოეტურ სიუჟეტთა სესხების ნაყოფი. ევროპას აქრძნებდა რომ მიუღია ბიზანტიის, არაბების, მონგოლების და სხვათა საშუალებებით, სიხშირით ევროპის ხალხთა სახალხო პოეზია ორიგინალური კი არ არის, ნასესხებია. მათი ახსნაც ისე კი არ შეიძლება, როგორც ადგილობრივ მითოლოგიიდან წარმოშობილისა, არამედ უნდა მოძებნილ იქმნეს მიზანძვის პირველი წყაროები. საამისო გზა შედარებითი მეთოდია, რომელიც იმავე დროს, ისტორიული მეთოდი უნდა იყვეს. ამ მიმართულების საუკეთესო წარმომადგენლებად ითვლებიან: ოტტო გრუპპე, ოტტო კელლერი, ლევი, კრაუტი, ვიქტორ ბერარი, ფ. ბერჟე, რობერტ ბროუნი, ვილამოვიცი, ვინკლერი და სხვ. რუსეთში სტასოვი, ა. ნ. ვესელოვსკი და სხვ.

ანთროპოლოგიური მიმართულება. ეს სკოლა უმთავრესად ინგლისში დაიბადა. მისი საფუძვლის ჩამყრელი არიან: ტაილორი, ლებოკი, ჰერბერტ სპენსერი, ლიპერტი და სხ. ის პოსტულატი, რომელსაც ეს სკოლა ემყარება, არის პირველ ყოფილ ადამიანთა ფსიქოლოგიის იგივეობა. ხოლო თავის ისტორიულ სარწმუნოებრივ კვლევას საფუძვლად უდებს ბიოლოგიაში განმტკიცებულ საყოველთაო ევოლიუციის პრინციპს. ამ მიმართულების წარმომადგენელი ასე მსჯელობენ: ყოველი ხალხი, თავის განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე, იქმნის თავის რელიგიურ წარმოდგენებს, ჩვეულებას, წესებს და სხ. ეს უკანასკნელი, ხშირად ერთ და იგივე ხასიათის არიან სულ სხვადასხვა და სრულიად მოწყვეტილ ხალხთა შორის. ამ იგივეობის მიზეზი გავლენათა სფეროში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ თვით ადამიანთა ფსიქოლოგიის იგივეობაში, რომელიც ცხოვრების ერთსა და იმავე პირობებში, და კულტურულ განვითარების ერთსა და იმავე საფეხურზე, ერთსა და იმავე შედეგებს იძლევა. ამისთვის, კვლევა უნდა სწარმოებდეს ე. წ. ველურთა ფსიქიურ ქვეყნიდან. და რადგან პრიმიტიულ ფსიქოლოგიას საფუძვლად ანიმიზმი უძევს, ანთროპოლოგიურ სკოლის წარმომადგენლებმა, ყოველგვარი რელიგიისა და მითების ძირი ამ ბუნების გაცხოველმყოფელობაში დაინახეს. ტაილორი სრულიად გარკვეულად ამბობდა, რომ მითების პირველ და მთავარ გამომწვევ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის რწმენა, რომლის მიხედვითაც, მთელი ბუნება გასულდგმულებულია. ეს რწმენა, თავის განვითარების უმაღლეს საფეხურზე, განპიროვნებამდე მიდის, ე. ი. ახდენს ბუნების მოვლენათა პერსონიფიკაციას. აქედანაა მითების წარმოშობაც. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტაილორის და ლებოკის თეორიების მიხედვით, მითები სხვა გზითაც წარმოიშვიან, და ხშირადაც, როგორც მაგ. სოციალურ პოლიტიკურ და მორალურ შთავგონების ნიადაგზე. ეს დიდი ნაბიჯი იყო წინ გადადგმული. ეს იმას ნიშნავდა, რომ, თუმც საესებით არა, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანად, ჩვეულებები და წესები მითებს დააშორეს, და საზოგადოებრივ ყო-

ფაში მოუძებნეს მათ სრულიად რეალური და პრაქტიკული საფუძველი. ამ თვალსაზრისმა შემდეგ მანჰარტზე და სხ. მოახდინა გავლენა, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ტაილორისაგან რადიკალურად განსხვავდება ჰერბერტ სპენსერი. მართალია, იგიც იმავე თეორიულ საფუძველზე სდგას, მაგრამ სულ სხვაგვარად ხსნის იგი პირველყოფილ ადამიანის ფსიქოლოგიას. სპენსერი აკვირდება პირველყოფილ ადამიანის ფანტაზიას. იგი მხოლოდ დაკვირვების მიხედვით მასში, და ამის შედეგად აცხადებს იმ რაღაც საიდუმლო დუალიზმს, რომლის ძალითაც ყველაფერს სული ედგმის, და ყოველივე თავისი ორეულით არსებობს. ჩრდილი, სიზმარი, გულწემოყრა, კატალექსია, აპოპლექსია, ექსტაზი და ბოლოს სიკვდილი. აი ამ მოვლენებმა, პირველყოფილ ადამიანის წარმოდგენაში ორეულის იდეა გამოიწვიეს, და აქედანვე წარმოსდგა მითიც, კერპთაყვანისმცემლობაც, ფეტიშიზმიც, რელიგიური ჰიმნებიც, ლოცვებიც და სხ. სპენსერს უახლოვდება ლიპერტი.

ანტროპოლოგიურმა მიმდინარეობამ მეცნიერთა შორის დიდი თანაგრძნობა გამოიწვია. თავდაპირველ ანიმიზმის თეორიამ მრავალი მეცნიერი შემოიკრიბა, როგორც მაგ. გრანტალენი, ტიელე (ინგლისში), ლუტერნო, ნაწილობრივ რეინაპი (საფრანგეთში) როდე, უხენერ, ნაწილობრივ შრადერი, ვიდე, ზეეკი, დრერუპი და სხ. (გერმანიაში) ვილკენი (პოლანდიაში) ზელინსკი, შტერნბერგი, კლინგერი, ხარუზინი და სხ. (რუსეთში). ისე რომ სავსებით გამართლდა აღნიშნული, რომელმაც ამ თეორიას classical theory უწოდა.

ჩვენ აქ არ შეგვიძლიან ყველა ხსენებულ მეცნიერის მოსაზარებათა აღნუსხვა, რადგან ეს არ შეადგენს ჩვენს ამოცანას. ჩვენ მხოლოდ ის მწვერვალები გვაინტერესებს, რომელთ მიხედვითაც შესაძლებელი იქნება ამა თუ იმ მიმდინარეობის ზოგადი წარმოდგენა. ამ მხრივ კი, რომ აღნიშნული მიმართულება მთლიანად იყვეს გათვალისწინებული, გაკვრით უნდა მოვიხსენიოთ ვილჰელმ ვუნდტის გრანდიოზული შრომა „ხალხთა ფსიქოლოგია“ *Wölkerpsychologie*. რომელსაც დასახულ ამოცანის გასარკვევად, უდიდესი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს. ვუნდტი, ფსიქოლოგიის თვალსაზრისით არკვევს ფანტაზიის ბუნებას, შემდეგ წარმოდგენას სულის შესახებ და ბოლოს მითებს, რომელნიც ბუნებას შეეხებიან. როგორც ხელოვნების ყოველ დარგში, ისე მითებშიც, შემოქმედ ფანტაზიას უდიდესი ადგილი აქვს დათმობილი. ესთეტიურ განმსჭვალულობასა (*Finstühlung*) და მითოლოგიურ პერსონიფიკაციის შორის, მხოლოდ ხარისხობრივი გარჩევა არსებობს. არსებითად, ერთიც და მეორეც აპერცეფციის სხვა და სხვა სახეა. ჩვენ ვიკით თუ როგორია აპერცეფციის განმარტება ვუნდტის მიერ. ობიექტის გაგების ყოველ ცალკე შემთხვევაში, ხდება სუბიექტის ნების აქტი. ე. ი. ობიექტში სუბიექტის მეობის პროექცია ხდება და ისე, რომ ადამიანს თავისი საკუთარი სულდგმულობა და სიცოცხლე ობიექტში შეაქვს. ამ თვალსაზრისით, მითოლოგიური აპერპეციაც თავდაპირველია, ძირეული. აქედან გამომდინარეობს პირველყოფილი ანიმიზმიც, რომელიც ვუნდტს რელიგიის ერთადერთ წყაროდ მიაჩნია. მაგრამ ანიმიზმიც თავის მხრივ რამდენიმე ეტაპს შეი-

ცავს. ვუნდტი სამ საფეხურს არჩევს, პირველი: პრიმიტიული ანიმიზმი; მეორე: ტოტემიზმი და მანიზმი; მესამე: დემონთა რწმენა. პირველ საფეხურზე არსებობდა წარმოდგენა მხოლოდ ე. წ. ხორციელ სულის შესახებ. ეს სული სხეულში იყო მოქცეული, სისხლში, გვამში. შემდეგ კი, წარმოიშვა იდეა, ფსიქის ანუ იმ სულის შესახებ, რომელიც სხეულსა სტოვებს როგ. მაგ. ძილში, სიკვდილის შემდეგ და სხვ. ამ წარმოდგენასთან არის დაკავშირებული ჯადოქრობა, სხვა და სხვაგვარი საიდუმლოებანი, მაგია. მის ნიადაგზე არის წარმოშობილი ფეტიშიზმი, შემდეგ გმირებისა და ღმერთების წარმოდგენა და სხვ. და აქვეა ხალხურ შემოქმედების სათავეც. „მითი ენაზე უმცროსია, მაგრამ ყოველი ერის მითოლოგია არის მითისა და პოეზიის შეერთება“. (Einigewelbe aus Mythus-Dichtung).

აღნიშნულ მიმართულებათა გარდა, აღსანიშნავია კიდევ ე. წ. ისტორიულ ფილოლოგიური სკოლა, და დემონოლოგიური მიმართულება. პირველი წარმოიშვა როგორც ერთგვარი რეაქცია, შედარებითი მითოლოგიის უკიდურესობით გამოწვეული. პირველყოფილი ინდო-ევროპიული რელიგიის რეკონსტრუქციის მაგიერ, რაც ამ სკოლის აზრით თვითნებური და დაუმტკიცებელია, მან თავისი კვლევის სფერო მხოლოდ ამა თუ იმ ცალკე მითოლოგიით განსაზღვრა, როგ. მაგ. ბერძნული, რომაული, გერმანული და სხვ. რადგან ამ სკოლის აზრით, მხოლოდ ამ ფარგლებში შეიძლება მეცნიერულ გზით სიარული. ინდო-ევროპიულ ძველ ხანისაკენ გადახედვა კი, მხოლოდ პოეტური გზნებაა და ლამაზი ზღაპარი. ამ სკოლას ეკუთვნიან კარლო მიულერი, დენეკენი, ნაწილობრივ ვილამოვიც—მოლენდორფი და სხ. მათ უარჰყვეს მითისა და ეტიმოლოგიურ ანალიზის შეტოლება, და თუ ზოგჯერ ამ გზას მიჰმართავდნენ, მხოლოდ მიტომ, რომ აეხსნათ ესა თუ ის მითი, მთელი თავისი რაობით და მნიშვნელობით. ისე რომ ძველი უნივერსალობის მაგიერ, მათ კერძობის პრინციპი დაადგინეს და მითოლოგიაში, ლოკალობის თეორია განამტკიცეს. ჩვენის აზრით, ამ სკოლას პრინციპიალურად ახალი არაფერი უთქვამს. ეს მიმართულება უფრო კორექტურული ხასიათისაა ვიდრე ორიგინალური, თუმცა მისი დამსახურება, ამის მიუხედავად, მაინც მნიშვნელოვანია და დიდათ ნაყოფიერი. ასეთივე კორექტურული ხასიათისაა დემონოლოგიური მიმართულება, რომლის მეთაურებადაც ე. შვარცი და ვ. მანჰარდტი ითვლებიან. მათი ძირითადი მოსაზრებაც, მიულერ-კუნის მეტეოროლოგიურ-სოლიარულ თეორიის კორექტივია. და თუ ეს უკანასკნელნი ამბობდნენ, რომ რელიგიის პირველი ფორმა ბუნების მძლავრ მოვლენათა და სტიქიონთა თაყვანისცემა არისო, შვარცი და მანჰარდტი ამტკიცებენ, რომ ამ ფორმას წინ უსწრებდა ბუნების წვრილ მოვლენათა თაყვანისცემაო. ამ მიმართულების და განსაკუთრებით მანჰარდტის დამსახურება და მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მათ ხელი შეუწყეს მითების ნატურალისტურ განმარტების დასაწყისს, რომელსაც, როგორც მოვიხსენიეთ, სათავე ტაილორმა და ლებოკმ-დაუდვეს. მანჰარდტმა, პროფ. ანიჩკოვის სიტყვით „დააჩქარა იმ თვალსაზრისის მოვლინება, რომლის მიხედვითაც წესების უმრავლესობა შეიძლება გახდეს შესწავლის დამოუკიდებელ საგნად, რაიმე უძველეს წარმართულ რწმენის აღდგენის

ცდათა გარეშე¹⁾ ეს „დამოუკიდებლობა“ კი იმაში გამოიხატა, რომ მანპარტმა, წესთა და ჩვეულებათა მთელი წყება განიხილა როგორც პრაქტიკულ მიზნებით გამოწვეული მოქმედებანი და მაშასადამე, რაციონალისტურ ნიადაგზე აღმოცენებულნი. მანპარტის მიერ საკითხის ასეთმა გადაჭრამ (თუმცა ნაწილობრივად) მეცნიერებაში საკმაოდ დიდი რეზონანსი გამოიწვია. მაგ. რობერტსონ/სმიტმა, თავის ლექციებში, ძველ ებრაელთა რელიგიის შესახებ, განსაკუთრებით ქრისტიანულ ეკლესიის ყოველ შტოში ცნობილია, რომ რიტუალს მნიშვნელობა აქვს ნხოლოდ დოგმატთან დაკავშირებით. ისე რომ ქრისტიანთა შორის რელიგიის შესწავლა ნიშნავდა ქრისტიანულ რწმენათა შესწავლას. ყველა ანტიურ რელიგიაში, დოგმატიკის ადგილი მითოლოგიამ დაიჭირა... მაგრამ განსაზღვრულ მიზეზისადმი რწმენა სრულიად არ წარმოადგენდა ნამდვილი რელიგიის სავალდებულო ნაწილს. რწმენა არც რელიგიურ დამსახურებათ თუ ღკაწლად ითვლებოდა, ან და ღმერთთა წყალობის მისაღებ საშუალებად. სავალდებულოდ და საქებურად მხოლოდ ტრადიციის მიერ ნაკურთხი განსაზღვრული საკრალური აქტები ითვლებოდნენ. და თუ ეს ასე არის, მაშ მითოლოგიას აღარ უნდა ეთმობოდეს ის პირველხარისხიანი ადგილი, რომელსაც მას ხშირად აკუთვნებენ ძველ რწმენათა მეცნიერულ შესწავლის დროს²⁾.

ბერარმა ამ მოსაზრებას მხარი დაუჭირა, და თავისი მხრივ ახალ ფაქტებითაც განამტკიცა, თავის გამოკვლევაში არკადიულ კულტების შესახებ, (Arca-diens). ბერარი მოგვითხრობს, რომ როდესაც პავზანიუსი რომელიმე ტაძარში მივიდოდა ტევუსისა იტნებოდა თუ ფიგალიუსისა, იგი ხვდებოდა მრავალ წესებს, ჩვეულებებს, ღვთის მსახურების ნიშნებს, სამღვთო საგნებს და სხვ. რომელთ შესრულებასაც ქურუმები სავალდებულოდ აცხადებდნენ, თუმცა ყველა თავისებურად განმარტავდა მათ. ამის გამო, პავზანიუსმა, ბევრ მითს ღმერთთა შესახებ, უაზრობა უწოდა *αυταπειθε αυταυ παλαιοι*. ისე რომ ბერარის აზრით „მითი კი არ წარმოადგენს რელიგიას, არანედ ალამაზებს. მითი რელიგიის შესამოსია“. ეს ნათქვამი ფრიალ მნიშვნელოვანია. ხალხური შემოქმედება თუ მსოფლმხედველობა მითოლოგიას ნელნელა თავს აღწევს და რაციონალისტურ ნიადაგზე სდგება. ამას კი შედეგად ის მოჰყვა, რომ მითი ყოფას დაუკავშირდა, საზოგადოებრივ ეკონომიურ ცხოვრებას და ამ უკანასკნელის მიხედვით, ბევრი რამ ახალი მხარე გამოჩნდა და დამტკიცდა. ეს იყო ერთგვარი მოსამზადებელი მუშაობა, რომელსაც მოჰყვა ე. წ. სოციოლოგიური სკოლა, რომელიც მითს და საზოგადოდ ფოლკლორს, სამეურნეო ცხოვრებით განსაზღვრავს. ამ მეთოდს დასაბამი მარქსიზმა მისცა. მართალია, ამ მიმართულებით ჯერ ცოტა რამ არის გაკეთებული, მაგრამ იური სოკოლოვის თქმისამებრ: „სოციალურ ეკონომიური მეთოდი ფოლკლორის ანალიზის დროს, განსაკუთრებით ნაყოფიერად შეიძლება გამოყენებულ იქმნეს უპირველეს ყოვლისა ადათ-ჩვეულების პოეზიის განსახილველად. საგანგებოდ ნაყოფიერად სწორედ აქ შეიძლება იქმნეს გამოყენებული მიტომ

1) პროფ. ანიჩკოვი. Весенняя обряд. песня, გვ 37.

2) იქვე გვ. 37.

რომ სინკრეტიული საადათო პოეზია, უშუალოდ და მჭიდროდ არის რეალურ სოციალ-ეკონომიურ ყოფასთან დაკავშირებული“.)

ეს არის ის ძირითადი მიმართულებანი, რომელნიც ხალხურ შემოქმედების ისტორიამ იცის. მართალია, ამათ გარდა არსებობენ ბევრი შერეული ტიპის თეორიები, მაგრამ მათ შესახებ აქ არას ვამბობ არა იმიტომ, რომ მათი მნიშვნელობა მცირე იყვეს, არამედ თვით ჩვენი შრომის ხასიათის გამო, რადგან მხოლოდ გაკვრითი მიმოხილვა გვაინტერესებდა. ასეთ შემთხვევაში კი მხოლოდ მაღალი წერტილები აღინუსხებიან, ზოგადი კონტურების მოსახაზავად. ამ მოკლე ექსკურსის შემდეგ, გადავიდეთ ხალხურ სიტყვიერების თეორიულ მხარეებზე.

* * *

ყოველი მეცნიერული დისციპლინის პირველი საკითხი არის და უნდა იყვეს იმ ცნების გამოარკვევა, რომელმაც უნდა გამოხატოს შესასწავლ ობიექტთა ქვეყანა. ამ შემთხვევაშიც უნდა გარკვეულ იქმნენ ის ტერმინები, რომელთაც სახელად არქმევენ ხალხურ შემოქმედების შემსწავლელ მეცნიერებას. ეს ტერმინები არიან: „ფოლკლორი“ „ხალხური სიტყვიერება“ „ზეპირ სიტყვაობა“ „ხალხური პოეზია“ „მითოლოგია“ და სხ. უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ ტერმინებით განსაზღვრული მეცნიერება, როგორც თვით სახელთა სიმრავლედ გვიჩვენებს, მეცნიერების გრამატიკის თვალსაზრისით, გაურკვეველ მდგომარეობაში იმყოფება. არამც თუ ძირითადი ცნებები, არამედ თვით სახელიც კი, როგორც ვხედავთ, მეცნიერებაში სხვა და სხვა გვარად არის გაგებული. ამის გამო, ხალხური შემოქმედების თეორეტიკოსმა, უპირველეს ყოვლისა უნდა განსაზღვროს ამ დისციპლინას საგანი და საზღვრები. წინააღმდეგ შემთხვევაში უფრო გამრავლდება ის გაურკვეველობა, რომელიც ამ მეცნიერებას თან ახლავს. უპირველეს ყოვლისა უნდა განისაზღვროს:

- 1) მოვლენათა ის ქვეყანა, რომელსაც ეს დისციპლინა სწავლობს;
- 2) ეს მოვლენები, რომელიმე სხვა მეცნიერების მიერ ისწავლებიან თუ არა, და თუ ისწავლებიან რა მხრივ.
- 3) იმ მოვლენებს, რომელსაც ჩვენი მეცნიერება გამოჰყოფს, რა თვალსაზრისით განიხილავს.

ამ საკითხთა გარკვევის შემდეგ, თავის თავად აღიძვრება და გადაწყდება კიდევ კითხვა:

- 1) ხალხური შემოქმედების შემსწავლელ მეცნიერების ავტონომიურობის შესახებ;
- 2) რა ურთიერთობაში იმყოფება იგი სხვა მეცნიერულ დისციპლინებთან, რომელნიც იმავე ობიექტებს იკვლევენ;
- 3) რა სახელი უფრო შეეფერება, როგორც ობიექტის, ისე იმ თვალსაზრისის მიხედვითაც, რომელიც ჩვენს მეცნიერებას აღმოაჩნდება.

რაც შეეხება პირველ კითხვას, უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ საკითხი არ არის ძნელად გასარკვევი. ხალხური შემოქმედების სფეროში ექცევიან: მითები, ლეგენდები, ზღაპრები, რწმუნებანი, კულტი, წესები, ჩვეულებები, შაირები,

1) Худож. Фольклор. Москва 1926 წ. გვ. 25.

სიმღერა, როკვა, თამაშობა, ბინა, მოწყობილობა, და მხატვრობა. მართალია ბევრ აქ ჩამოთვლილ დარგს უყურადღებოთ სტოვებდნენ და უფრო მეტად სიტყვიერ შემოქმედებას იკვლევდნენ, მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა. ჩვენ ის კითხვა გვაინტერესებს, თუ რას უნდა უწოდოთ ხალხური შემოქმედება და ავლნიშნავთ იმ დარგებს, სადაც ცნაურდება ხალხის შემოქმედებითი სული, ანუ ადამიანის ემოციების და გრძნობების განხორციელება თუ განხორციელება ლიტერატურაში საკითხი სწორედ ისე სწყდება როგორც აქ ვამბობთ. სხვა-ნაირად საკითხის გადაჭრა არც შეიძლება. მაგრამ ყველა ზემოდ ჩამოთვლილი ნაწარმოები ამავე დროს სხვა მეცნიერებათა კვლევის ობიექტსაც წარმოადგენენ. ეს ასეც უნდა იყვეს. ხალხური შემოქმედება, ეს ადამიანთა შორის ურთიერთობის დიდი აუზია, სადაც თავს იყრის საზოგადოებრივ ცხოვრების ყოველგვარი გამოსახულება. მაშასადამე, ყველა ის მეცნიერება, რომელიც ამა თუ იმ თვალსაზრისით იხილავს საზოგადოებრივ ურთიერთობას, ე. ი. ყველა ე. წ. სოციალური მეცნიერება, ხალხურ შემოქმედების ფაქტებს მიმართავს. მაგ. ეტნოგრაფია, ეთიკა, მეცნიერება რელიგიის შესახებ, იურისპრუდენცია, ისტორია, არქეოლოგია და სხ. ისე რომ ხსენებულ მეცნიერებათა ობიექტები, თუ სავსებით არა, ნაწილობრივ მაინც ერთი და იგივეა. იბადება კითხვა: რაღა საჭიროა ცალკე დისციპლინა, რომელიც ამ ხალხურ შემოქმედებას შეისწავლის. ამ კითხვაზე ნათელ პასუხს მივიღებთ, თუ თვალსაზრისის საკითხს აღვძრავთ. ვაკსვეილერის თქმისა არ იყვეს „თვალსაზრისი ყველაფერია“. თუ ამ მხრივ შევხედავთ საკითხს, ნათელი გახდება, რომ ყველა ხსენებულ მეცნიერებას, ხალხური შემოქმედების დოკუმენტები, განსაზღვრულ თვალსაზრისით აინტერესებს. მაგ. ეტნოგრაფია, ეტნოლოგია, ხალხთა მცოდნეობა (völkerkunde), ზოგადად რომ ავიღოთ, იკვლევს ხალხთა ზნეს, ჩვეულებებს, ყოფის პირობებს, მოწყობილობას, რწმენას, ხელოვნებას და სხ. მაგრამ ყველაფერი ეს მას სჭირდება ხალხთა დასახასიათებლად, კლასიფიკაციისათვის, განსხვავებათა მიზეზების გამორკვევისათვის, როგორც ფიზიკურ და გარეგან განსხვავების ისე ყოფის პირობებისა, ცხოვრების ხასიათისა, კულტურულობის მიხედვით. ისე რომ ლოდიკური მახვილი აქ შემოქმედებაზე კი არ ეშვება, არამედ შემოქმედზე. აქ ისეთივე განსხვავებაა, როგორც მაგ. იქნებოდა განსხვავება რომელიმე ავტორის ბიოგრაფიისა და მისი შემოქმედების შესახებ მსჯელობის დროს. ეთიკა ანუ მეცნიერება ზნეობის შესახებ, ისიც ხალხურ შემოქმედებას ემყარება, რადგან იქიდან იღებს ადამიანთა ყოფაქცევის იმ ნორმებს და რეცეპტურას, რომელიც აწესრიგებდა სავალდებულო ურთიერთობას. მისთვისაც ხალხური შესოქმედება იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც იქ მოიძებნება მისთვის გამოსადეგი მასალა. ასეთსავე მდგომარეობაში იმყოფება მეცნიერება რელიგიის შესახებ. იგი იკვლევს ხალხურ მითებს, კულტს, რწმუნებებს, ცრუმორწმუნეობას, და სხვ. იმდენად, რამდენადაც ეს დოკუმენტები მორწმუნეთა ურთიერთობის პროცესებს ააშკარავენ. ასეთივე საკუთარი თვალსაზრისით უცქერის მათ იურისპრუდენცია. ამ უკანასკნელს, ხალხურ შემოქმედებაში აინტერესებს ის იურიდიული შეხედულებანი, რომელიც უძველეს

1) იხ. Arnold von genner. le folkeore. Paris. 1924 წ.

დროიდან ხალხს შეუქმნია და რომელიც ხალხურ შემოქმედებაში შერჩენილა ამა თუ იმ სახით, როგორც მაგ. ურთიერთობანი ბატონისა და ყმის, ცოლისა და ქმრის შორის და სხვ. შეხედულებანი საკუთრების, სისხლის და სხ. შესახებ. ასევე ითქმის ისტორიის, არქეოლოგიის, ენათ მეცნიერების და სხვათა შესახებ. რა ირკვევა? ისა რომ, ყველა ხსენებული მეცნიერება ხალხურ შემოქმედებას იყენებს კვლევის ობიექტად, მაგრამ ისე, რომ ყველასა აქვს თავისი თვალსაზრისი, ანუ ფაქტთა გამოყოფის საკუთარი პრინციპი. საკითხავია, თუ რა თვალსაზრისი აქვს ჩვენს მეცნიერებას, ფოლკლორს უწოდებთ, ხალხურ სიტყვიერებას, თუ ხალხთა ფსიქოლოგიას. აღნიშნული მეცნიერება იკვლევს ხალხურ შემოქმედების დოკუმენტებს თვით შემოქმედების თვალსაზრისით. ე. ი. იგი იკვლევს იმ ფსიქიურ პროცესებს, რომელნიც ცნაურდებიან:

1) ხალხურ წარმოდგენების სახით, რაც ამა თუ იმ ერისთვის საერთო მოვლენას შეადგენენ და გამოხატავენ უმრავლესობის გრძნობებს, აფექტებს და სხ. აქ უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს მითლოგიური წარმოდგენები.

2) აქედან გამომდინარე რელიგიური წარმოდგენები და გრძნობები.

3) ნებისყოფის საერთო ნოტივები, რომელნიც საერთო ჩვეულებათა ნორმების სახით იღებენ ფორმას. სოციალური ნორმები, პოლიტიკური ორგანიზაცია, კავშირები და სხ.

4) კულტი და ხელოვნება, როგორც სხვა და სხვა წარმოდგენათა ესთეტიური გამოსახულება.

მაგრამ ამ წარმოდგენების შესახებაც ერთგვარი განმარტება არის საჭირო. პროფ. ანიჩკოვის თქმით „ფოლკლორი როგორ მეცნიერება, იკვლევს წარმოდგენათა ისეთ ტიპს, რომელიც შეიძლება დაუპირდაპირდეს არამც თუ დღევანდელ ჩვენს მეცნიერულ თუ რელიგიურ მსოფლმხედველობას, არამედ ძველთა რელიგიურ მსოფლმხედველობასაც კი. რომაელთა ძველ რელიგიაში მაგალითად ჩვენ შეგვიძლიან ძალიან ადვილად გავარჩიოთ ერთი მხრივ ოფიციალური, ქურუმთა რელიგია და მეორე მხრივ, უფრო ძველი, ხალხური რელიგია. ძველი რომაელები სასტიკად განსაზღვრავდნენ ხალხურ სიმღერას ანუ ლექსს (*oprobria rustica*) პოეზიისაგან, აგრეთვე იმათ მშვენივრად იცოდნენ ზღაპრისა და პოეტურად გამოსახვის ღირსი ლეგენდის ერთმანეთისაგან გარჩევა. მათ არ იცოდნენ ყველა ამას ერთი სიტყვით შეკავშირება, მაგრამ ფოლკლორის არსებობას კი ძველებიც კარგად გრძნობდნენ“¹⁾. მართალია, რადგან ხალხური შემოქმედება უფრო სხვა ტიპისა არის ვიდრე ის შემოქმედება, რომელიც მოცემული გვაქვს მხატვრულ ლიტერატურის ან და საზოგადოდ მხატვრობის სახით. ეს უკანასკნელი, ავტორის ბეჭედს ატარებს, გარკვეული წრის გემოვნებითა და მოთხოვნებით არის განსაზღვრული, ერთგვარი გენეტიური კავშირით არის გადაბმული წინამორბედ თავის გვარ მოვლენებთან და სავსეა ეპოქის დოკუმენტებით. თუ დაკვირვებით შევისწავლით ამა თუ იმ ავტორის ნაწარმოებს, ჩვენ შეგვიძლიან ადვილად იპოვოთ იმ წრის სოციალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რომელმაც ავტორი წარმოშვა. სულ სხვა არის, რო-

1) იხ. ე. ანიჩკოვი, Век. инр. песня, ტ. პირველი გვ. 39.

დესაც ხალხურ შემოქმედებას ვითვალისწინებთ. აქ არ არის ერთი გარკვეული ავტორი. მის მაგიერ, რაღაც შემკრებლობითი პიროვნება იცქირება, უპიროვნო და უსახეო, უცნობი და იმავე დროს თითქოს ნაცნობი, რაღაც კოლექტიური ერთეული. ამ უკანასკნელის შემოქმედება არ არის დაკავშირებული გარკვეულ ისტორიულ ეპოქასთან. პირიქით, მასში ფენებივით, ლაგდებიან ერთმანეთზე სხვა და სხვა დროის წარმოდგენები, ედულებიან ერთმანეთს და ექვემდებარებიან ერთმანეთს. დიდი ხნის დავიწყებული ამბები და სახეები ახლდებიან კომპლექსურ კომპლექსად ხალხის ცხოვრების ახალი პირობები იძლევიან. შეფულე იტყოდა, რომ ენა არის „მთელი ისტორიული სულიერი მუშაობის ერთგვარი სიმბოლიური კაპიტალიზაცია“. ამავე სიტყვების გამეორება შეიძლება მთლიანად ხალხურ შემოქმედების შესახებაც, რომლის შემდგომ ნაწილსაც ენა წარმოადგენს. და ამ „სიმბოლიურ კაპიტალის“ შექმნისა და განვითარების პროცესთა გამორკვევა, მისი საგნობრივი და ფორმალური საუნჯეების ჩვენება, ეს არის ჩვენი მეცნიერების ამოცანა. იბადება კითხვა: მეცნიერებას ხალხური შემოქმედების შესახებ საკმაო საფუძველი არსებობისათვის ჰქონია თუ არა. ზემო თქმულიდან პასუხი თავის თავად გამომდინარეობს. როგორც გარკვეულ ობიექტთა ქვეყნის დამოუკიდებელ თვალსაზრისით განმხილველი დისციპლინა, ხალხური შემოქმედება ავტონომიური მეცნიერება არის.

ვნახოთ ახლა თუ რა ურთიერთობა აქვს და შეიძლება ჰქონდეს სხვა, მონათესავე დისციპლინებთან, რომელნიც იმავე ობიექტებს იკვლევენ. უპირველეს ყოვლისა ვნახოთ, როგორი ურთიერთობა აქვს ჩვენს მეცნიერებს ე. წ. ხალხთა მცოდნეობასთან, რომელიც შეიცავს ეტნოგრაფიას, ანუ აღწერითი ხალხთა მცოდნეობას და ეტნოლოგიას, ანუ შედარებითი ხალხთა მცოდნეობას¹⁾, რადგან ყველაზე ახლო ხალხურ შემოქმედებასთან ეს მეცნიერება სდგას. იმდენათ, რამდენადაც მთლიანად აღებული ხალხთა მცოდნეობა იკვლევს კაცობრიობის ფართო და ბუნებრივ ჯგუფებს, როგ. მაგ. მოდგმა, ხალხი, რასა და სხ. განიხილავს იმ მსგავსებასა და განსხვავებას, რომელიც ამ ჯგუფთა შორის არსებობს, ეძებს ამის მიზეზებს და სხ. ხალხთა მცოდნეობა ჩვენი მეცნიერებისათვის, უახლოეს დამხმარე დისციპლინას წარმოადგენს. განსაკუთრებით ეტნოლოგია, რომელიც თავის კვლევის სფეროში აქცევს:

1) ადამიანთა ფიზიკურ და გონებრივ თვისებებს (ანტროპოლოგია)

2) ბუნებრივ პირობებს, რომელთა გავლენითაც ვითარდებოდა ესა თუ ის ხალხი (ანტროპოგეოგრაფია)

3) კულტურულ საუნჯეებს, როგ. მაგ. ენა, წერა, თვლა, მრეწველობა, რელიგია, ზნეობა, ზნე, ადათი, ჩვეულება, უფლება, და სხ.

სამაგიეროდ, ჩვენი მეცნიერებაც ხალხთა მცოდნეობის უახლოეს დამხმარე დისციპლინად ითვლება. იგი აწვდის მას სპეციალურ ცნობებს ხალხური შემოქმედების შესახებ, რის კვლევაც ხალხთა მცოდნეობის პირდაპირ ამოცანას არ

¹⁾ ამ სახელწოდებას ჩვეულებრივი და გავრცელებული აზრითა ეხმარობთ, თუმც ვიცით, რომ ზოგიერთი მეცნიერი ამ სახელს არ იზიარებს, როგ. მაგ. ცნობილი გეოგრაფოსი კირპილი და სხ. ამ ცნებათა ლოლიკური ანალიზი ამ ყაზად ჩვენს ამოცანას არ შეადგენს.

შეადგენს. რაც შეეხება ისტორიას, ხალხური შემოქმედება მასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. უკეთ: ეს ორივე სფერო ერთად სცოცხლობენ და ერთადვე ვითარდებიან. ხალხური სიტყვიერებისა და საერთოდ შემოქმედების დახმარებით, შესაძლებელია დაახლოებით მაინც აღდგენილი იყოს ესა თუ ის ისტორიული ეპოქა, და ისტორიის მიხედვით კი შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ხალხური შემოქმედების მდგომარეობა. არამც თუ მთლიანად შემოქმედების ან და სიტყვიერების, არამედ მხოლოდ დიალექტების საშუალებითაც კი შეიძლება ამა თუ იმ მოდგომის ისტორიის დაახლოებითი ასახვა¹⁾. ჯერ ისევ ძველად ევგემეროსი, ალექსანდრე ნაკედონელის თანამედროვე, მითებს დამახინჯებულ ისტორიათა სთვლიდა, ხოლო ლმერთებისა და მითიურ პირთა სახით, ოდესღაც მცხოვრებ მეფეებსა და ისტორიულ გმირთა ცხოვრებას წარმოიდგენდა. დიახ, ისტორიასა და ხალხურ შემოქმედების შორის მჭიდრო კავშირი არსებობს, და თუ შულცეს განსაზღვრასაც მივიღებთ, რომ ისტორია ნამდვილად ისტორიული ხალხთ მცოდნეობა არისო, ამ საკითხის შესახებ მსჯელობის გაგრძელება აღარ იქნება საჭირო.

არა ნაკლები კავშირი არსებობს აგრეთვე ჩვენი მეცნიერებისა და არქეოლოგიის, ფილოლოგიის, იურისპრუდენციის და სხ. შორის, რადგან პირველი იკვლევს იმ ნიუთიერ ძეგლებს, რომელნიც ძველმა საუკუნეებმა დაგვიტოვეს, რასაც უეჭველია, ხალხურ შემოქმედებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ხოლო თუ შამპოლიონის განმარტებას მივიღებთ, რომ არქეოლოგიის ამოცანა არის ძველთა საზოგადოებრივ ცხოვრების დახატვა, ჩვენამდე მოღწეულ ძეგლთა მიხედვით, მაშინ არქეოლოგია და ხალხური შემოქმედება სულ ახლო მივლენ ერთმანეთთან. რაც შეეხება ფილოლოგიას, თუ მას ფართოდ ავიღებთ, როგორც ისტორიულ საზოგადოებათა კულტურის შემსწავლ დარგს, მაშინ იგი თითქმის დაჰფარავს კიდევ ჩვენს მეცნიერებას, რადგან იგი ჰგულისხმობს ენასაც, სიტყვლებსაც, ლიტერატურასაც, უფლებასაც და სხ. ხოლო თუ მის სფეროს ენათმეცნიერებით განვსაზღვრავთ, უნდა ვთქვათ, რომ მას უდიდესი კავშირი აქვს ჩვენს მეცნიერებასთან. არამც თუ კავშირი, შეიძლება ითქვას, რომ მის მიერ არის შექმნილი ეს უკანასკნელი. ხომ ვიცით რომ ჯერ შლეგელმა, ბოპპმა, და სხ. შექმნეს ე. წ. შედარებითი გრამატიკა, შემდეგ ჰუმბოლტმა, პოტტმა, გრიმმა, დიციემ და სხ. საფუძველი ჩაუყარეს ისტორიულ გრამატიკას, ამაზე დამყარებით კი წარმოიშვა შედარებითი მითოლოგია, რაც ჩვენი მეცნიერების ძირითად საფუძველს წარმოადგენს. ენა, ხალხის კულტურის, მისი გონებრივი განვითარების უდიდესი მაჩვენებელია. იგი არის იმ უძველეს, ბინდით მოცულ აზროვნების „განძობა საფარი“ საიდანაც მითი გამოვიდა. შემდეგ წარმოიშვა თქმულება, ლექსი, და სხ. აქედანვე მომდინარეობს ხელოვნებაც, რომელიც ჯერ კულტურის მიზნებს ემსახურებოდა, შემდეგ კი, დამოუკიდებელ კულტურულ მოვლენად იქცა. ისე რომ, ხალხურ შემოქმედების შემსწავლი მეცნიერება, მჭიდროდ არის დაკავშირებული

1) იხ. შრადერი, რუს. თარგმ. Сравнит языковед. и первобытная история.

ე. წ. სოციალურ მეცნიერებათა ოჯახთან, რადგან საბოლოოდ ყველანი ერთსა და იმავე ობიექტთა ქვეყანას ევლებიან.


ვნახოთ ახლა თუ რა სახელი უფრო შეეფერება ჩვენს მეცნიერებას, როგორც ობიექტის, ისე თვალსაზრისის მიხედვით.

ევროპაში, მე 19 საუკუნეში, ფეხი ნიოკიდა ტერმინმა „ფოლკლორ“¹. ეს სიტყვა პირველად 1846 წ. იქმნა ნახმარი, ლონდონის ურნალ „ატენეუმში“ და ნიშნავს: „Folk“ ხალხური „Lore“ ცოდნა, შემეცნება. ცნებისა თუ ტერმინის ახალგაზრდობა, თვით დისციპლინის ახალგაზრდობის მაჩვენებელია. ამ პირობებში კი არ არის საკვირველი, თუ ამ დარგში, არამც თუ ძირითად საკითხებში, არამედ სახელწოდებაშიც კი შეუთანხმებლობა და გაურკვევლობა არსებობს. ამ ტერმინის გვერდით არსებობს მეორეც: ხალხური სიტყვიერება, რომელიც განსაკუთრებით რუსეთში დამკვიდრდა, და რუსეთიდან კი, ჩვენშიც შემოვიდა. რაც შეეხება „ხალხთა ფსიქოლოგიას“ ჩვენის აზრით, ეს განსაკუთრებული ამოცანების მქონე დისციპლინაა და ამ სახელზე შეჩერება საჭირო არ არის. ჩვენ ვერ ორ შემოხსენებულ ტერმინებზე შევჩერდეთ და გამოვარკვიოთ, თუ რა სახელი უფრო შეეფერება იმ მეცნიერებას, რომელიც ხალხურ შემოქმედებას განიხილავს, ფოლკლორი თუ ხალხური სიტყვიერება? ან იქნებ ახალი რამ ცნება მოიძებნოს რომელიც უფრო კარგად გამოხატავს იმ ქვეყანას, რომლის კვლევაც ამ დისციპლინას დაუსახავს.

ჩვენის აზრით, ტერმინი „ხალხური სიტყვიერება“ ფოლკლორის „იდენტიფობა არ არის. ეს უკანასკნელი უფრო ფართო ცნებაა, და სიტყვიერების გარდა, სხვა ელემენტებსაც შეიცავს, როგ. მაგ. პლასტიკა, სიმღერა, ჩვეულება, კულტი და სხვ. თუ ფოლკლორი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ხალხის ცოდნას აღნიშნავს, შეუძლებელია რომ ეს ცოდნა თუ სიბრძნე მხოლოდ სიტყვიერი შემოქმედების სახით წარმოვიდგინოთ. ყოველ გვარი ხელოვნება, რუსთველის თქმისა არ იყვეს, „სიბრძნისაა ერთი დარგი“, და გვგონია, რომ სხეულის რატმიულ მოძრაობით თუ ბგერათა საშუალებით, არამც თუ ისეთივე სიბრძნის გადმოცემა შეიძლება, როგორსაც სიტყვა გადმოგვცემს, არამედ უფრო მეტისაც, ე. ი. იმისი, რისთვისაც სიტყვა უძლურია. ისე რომ, „ფოლკლორის“ და „ხალხური სიტყვიერების“ შორის იგივეობის ნიშანი არ გაიყვანება, მაგრამ არც ის შეიძლება, რომ „ხალხური სიტყვიერება“ არსებობდეს როგორც სრულიად დამოუკიდებელი დისციპლინა, რადგან ის ნაწარმოებნი, რომელთაც „ხალხური სიტყვიერება“ განიხილავს, სინკრეტიული ხასიათისანი არიან, ე. ი. ტექსტი, ჰანგი, და მოძრაობა ერთმანეთთან არიან დაკავშირებულნი.

ჩვენ უფრო სწორედ გვეჩვენება, რომ ხალხურ შემოქმედების შემსწავლელ მეცნიერების სახელად უკვე საერთაშორისოდ მიღებული ცნება „ფოლკლორი“ ვიხმაროთ. ეს იქნება ერთგვარი გენერალიზაცია მქმნელი მეცნიერება, რომელიც თავის შიგნით დანაწილდება სიტყვიერების, პლასტიკის, სიმღერის და

სხ.. მხარეთა მიხედვით ისევე, როგ. მაგ. ანატომია: მიოლოგია, ოსტეოლოგია და სხ.



ამ სქემის მიხედვით, ის სფერო, რომელსაც ე. წ. „ხალხური სიტყვიერება“ იკვლევდა, პოეზიის რეალში ექცევა და ამის მიხედვითვე უნდა ეწოდოს სახელი ე. ი. პოეტური ფოლკლორი. მით უმეტეს, რომ თანამედროვე მეცნიერებაში უკვე შემოსულია ფოლკლორის შემდეგი ეპიტეტებით ხმარება: მხატვრული, რელიგიური, იურიდიული, და სხ.¹⁾ ჩვენ „პოეტურ ფოლკლორის“ სახელწოდების მომხრე კიდევ იმიტომ ვართ, რომ ეპიტეტი „პოეტური“ სწორედ განსაზღვრავს იმ მასალას და თვალსაზრისსაც, რომელიც ჩვენი შესწავლის საგანს წარმოადგენს. თორემ „ხალხური სიტყვიერება“ შეიძლება არა პოეტურიც იყოს და მაშინ ეს ტერმინი „სიტყვიერება“ ვურ აღნიშნავს იმ specificum-ს, რომელიც ჩვენს მეცნიერების მასალას, მონათესავე დისციპლინათა მასალისაგან გამოარჩევს. რაც შეეხება ტერმინს „ზეპირი სიტყვიერება“, აქაც იგივე უნდა ითქვას, იმ დამატებით, როცა ცნება „ზეპირი“ არ არის ის გამრჩევი ნიშანი, რომელიც მუდმივობას გულისხმობდეს. ბევრი რამ „ზეპირი“ უკვე დიდი ხნის ჩაწერილია და წიგნის საშუალებითვე ვრცელდება. რა სახელი უწოდოთ ასეთ დოკუმენტებს. ამას გარდა „ზეპირი“ არ გამოხატავს მოვლენის არსებით მხარეს. ჩვენ ის კი არ გვაინტერესებს რომ მოვლენა ზეპირია, არამედ მისი პოეტურობა და მაშასადამე ლოლიკური ასამალლებელი პოეზიაზე ეშვება და არა „ზეპირობაზე“. შეიძლება გვითხრონ რომ არც ცნება „პოეტური“ არის ყოვლის შემძლე, რომ შეიძლება ერთი რამ ერთისთვის პოეტური იყოს და მეორისთვის არა. ამაზე უნდა უპასუხოთ რომ მართალია, პოეზიის და საერთოდ ხელოვნების სფეროში ბევრი რამ არის გაურკვეველი და საზღვარ შემოუვლები, მაგრამ არც ესე, რომ ერთმანეთში აირივნენ ბესიკის ლექსი და ნოტარიუსის ხელწერილი. სჩანს რომ არსებობს რაღაც ნიშანი, რომელიც თავის თავად გაარჩევს პოეზიას არა პოეზიისაგან. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ კუთმარიტებასთან, რომელსაც შინაგანი დამაჯერებელი ძალა აქვს. მაგრამ მართო ეს არ არის პოეზიის გარჩევის საფუძველი. დღეს „პოეტიკა“ უკვე იმდენად არის წინ წასული, რომ შეიძლება უფრო გარკვეული გამრჩევი ნიშნების დესახლება. თანამედროვე პოეტიკა უკვე

¹⁾ იხ. Худож. фольклор. Моск. 1926 წ.

გარკვეულად აცხადებს რომ პოეზია შემეცნების აქტია. ეს დებულება ჰუმბოლტის სკოლას ეკუთვნის და წარმოადგენს პოეტურ შემოქმედებისა და საენო შემოქმედების ანალოგიის წედევს. ისე რომ, პოეტური შემოქმედება მსჯელობაა მხოლოდ სინტეტიური და მეცნიერულ მსჯელობისაგან იმათ განიჩევა, რომ „მეცნიერება ცნებათა მუშაობს, პოეზია გრძობითი წარმოდგენებით მეცნიერება განსჯას მიმართავს. პოეზია ემოციასა და გონებას. მეცნიერება კვდილობს რომ სიტყვას წარუხოცოს მისი პირველყოფილი მხატვრულობის მსჯელობის მიმართ, და ამისთვის იგი ტერმინებსა და ალგებრალურ ფორმულებს მიმართავს. პოეზია სცდილობს დაუბრუნოს სიტყვას ეს პირველყოფილი მხატვრულობა და ამისთვის იყენებს „ტროპებსა“ და „ფიგურებს“. მეცნიერებისათვის სიტყვის ბგერითი აღნაგობას მნიშვნელობა არა აქვს; პოეზიისათვის იგი უმძლავრესი იარაღია, მკითხველის მგრძობელობაზე გავლენის მოსახდენად¹⁾.“ (ვალერი ბრუსოვი) ჩვენ საესებით ვიზიარებთ პოეტ მეცნიერის ამ განმარტებას და გვგონია რომ ამ ფორმულებში უკვე არის მოცემული ის ნიშნები, რომელთ მიხედვითაც შესაძლებელია პოეტურ ნაწარმოებთა გამოჩევა.

ებლა ენახოთ თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ხალხურ პოეზიას და მის შემსწავლელ დისციპლინას, რომელსაც ჩვენ პოეტურ ფოლკორს უწოდებთ. რაც შეეხება ხალხურ პოეზიას, უნდა ითქვას, რომ მას დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ ზემოთ უკვე ვთქვით რომ იგი არის დიდი გზნებისა და ფანტაზიის ქვეყანა, დაუშრეტელი აუზი, სადაც მოგროვილია ხალხის ფიქრი, განცდა და წარმოდგენა. ხალხურ პოეზიის საშუალებით, ჩვენც ვესხეულებით იმ დიდ კოლექტივს, რომელიც თავის არსებობას საუკუნეებით ითვლის, ჩვენც მონაწილე ვნდებით იმ დიდი სიცოცხლისა, რომელიც ხალხსა აქვს. ეს საზოგადოდ. კერძოდ კი ხალხური პოეზია ლიტერატურის სათავე და საფუძველია. მსოფლიო ლიტერატურაში რაც კი რამ შექმნილა დიადი და უკვდავი, უმრავლესობა ხალხურ პოეზიის თესლზე არის აღმოცენებული. „ილიადა ოდესეაღან“ მოყოლებული „ფაუსტამდე“, და „ვეფხვისტყაოსნიდან“ „გველის მჭამელამდე“ მოდის ეს ხალხური პოეზია, როგორც უდიდესი შთაგონება და ჩაუქრობელი ნათელი. იაკობ გრიმი ისე გაიტაცა ამ ხალხურმა პოეზიამ, რომ ხალხურ ეპიურ საგას უფრო მალლა აყენებდა, ვიდრე პიროვნული შემოქმედების რომელიმე დიდ ფაქტსა. მისი თანამედროვე, უდიდესი ისტორიკოსი ნიბური გატაცებით იძახდა: „საგები, ეს ფატამორგანა არის, მირაჟი, რომელსაც ჩვენთვის უხილავი საგანი იწვევს იმ ანარეკლობის კანონის ძალით, რომელიც ჩვენთვის უცნობიაო“. იბსენი ამალელებებელი შთაგონებით იძახდა: „ხალხური ლექსები ჩვენთვის უბრალო ძღვენი კი არ არის, გარედან მიღებული რამ, ეს შენობაა, რომლის ასაგებადაც ყოველნათითო ქვა მივიტანეთ... ისინი გამსკვალავენ მთელი ჩვენი ხალხის სიცოცხლეს, ისინი ჩვენი ხალხის ცხოვრების ყოველგვარი გამოჩენის შემადგენელი ნაწილები არიანო. ხოლო თავის პიესაში „Königsemerne“ ხალხურ პოეზიის შესახებ ასეთ დიალოგსა მართავს:

1) იხ. Пробл. поэтики.

იარლ სკულე: იატგეირ, მითხარი სკალდად როგორ იქეცი, ლექსების ხელოვნება ვინ გასწავლა.

სკალდი: ამ ხელოვნებას არა სწავლობენ ჩემო ბატონო.

იარლ სკულე: არა სწავლობენ მაშ შენ როგორ დაეუფლე.

სკალდი: მე სვედის ნიჭი შევითვისე, და აი სკალდი გაეხდი.



იბსენი იმდენად იყო ამ ხალხურ პოეზიით გატაცებული, რომ მისი გვიანდელი განუკურნებელი სვედიანობით შესცქეროდა ამ მომაკვდავ ხელოვნებას. მისი სწავლაც წიგნი და სტამბა აღრჩობდა. „დაბეჭდილი გამირული ლექსი რაღაც ძველი გამოდის, ფერწასული და თუ გნებავთ, მოდა დავიწყებული. ხალხის პირში კი გამირულ ლექსს ჰასაკი არა აქვსო“. (იბსენი) პუშკინი სწერდა: „ზღაპარი ზღაპრად, და ჩვენი ენა კი თავის თავად რომ ავიღოთ, სად უნდა მივცეთ ის გაშლილობა, თუ არა ზღაპარში. როგორ უნდა მოვიქცეთ რომ რუსული ლაპარაკი ვისწავლოთ, ზღაპრების გარეშე. არა, ეს ძნელია. შეუძლებელიც არის. და რა სიმდიდრე, აზრი და შინაარსია ყოველ ჩვენს ანდაზაში. რა ოქროა. ხელში კი არ გივარდება. რა მშვენიერებაა ეს ზღაპრები. თითოეული თითო პოემა არისო“. გოგოლი სტიქიურად აკავშირებდა თავის შემოქმედებას ხალხის შემოქმედებასთან და ექსტატიურად მიმართავდა: „ჩემო სიხარულო, ჩემო სიცოცხლე შეირებო, როგორ მიყვარხართო“. ლევ ტოლსტოი დიდათ აფასებდა ხალხურ პოეზიას და უმაღლეს, ინდივიდუალურ ხელოვნების მრავალ ქმნილებაზე მალლა აყენებდა¹). ამგვარი ამონაწერების მოყვანა მრავლად შეიძლება, მაგრამ საჭირო აღარ არის. ისედაც ნათელია, რომ ხალხურ პოეზიის მნიშვნელობა ლიტერატურისათვის დიდია. რაც შეეხება მეცნიერებას ხალხური პოეზიის შესახებ, ყველაფერ აქამდე თქმულიდან, გვგონია უკვე გამოირკვა ის მნიშვნელობა, რომელიც მას აქვს. ხალხის მსოფლმხედველობის, მის სხვა და სხვა გვარ წარმოდგენების, მის მიერ ბუნების შეგრძნობის, წარსულისმდმი განწყობილების, მისი ფიქრისა და ოცნების გათვალისწინება, შესწავლა და ერთგვარი კანონ-შეწონილობის დადგენა, რასაკვირველია დიდი საქმეა. ხალხურ პოეზიის კვლევის საშუალებით ბევრი რამ ირკვევა საგულისხმო და მნიშვნელოვანი. სხვა და სხვა ერთა პოეტურ დოკუმენტების პარალელურ შესწავლის საშუალებით ჩნდება ის გზები, რომლითაც მრავალ გავლენებს უვლიათ და რომელთა საშუალებითაც ამა თუ იმ ერს, ესა თუ ის სახელი მიუღია. ამას გარდა, წმინდა ისტორიულ ლიტერატურულ თვალსიზრისითაც მისი მნიშვნელობა განუზომელია, რომ ყურადღება აღარ მივაქციოთ მის მნიშვნელობას სხვა მონათესავე დისციპლინებისათვის. ისე რომ პოეტურ ფოლკლორის მეცნიერულ მუშაობაზე ლაპარაკი და მტკიცება თითქმის ხედმეტია. ვილაპარაკოთ კერძოდ ქართული ხალხური პოეზიის და მისი მნიშვნელობის შესახებ, როგორც ჩვენი მეცნიერული ცხოვრების, ისე საზოგადოდ ფოლკლორისათვის.

ჩვენთვის ჯერ წყვედადით არის მოცული საკითხი, თუ როგორ ხდებოდა ქართული სულის სიტყვიერი განხორციელება. ქართველი ხალხის პოეტური ქვეყანა მეცნიერებისათვის ჯერ კიდევ უცნობია. მართალია, საზოგადოდ კავკასიონ-

¹) იხ. მისი ტრაქტატი: Что такое искусство?

ნის ხალხთა და კერძოდ ქართველთა ყოფა ცხოვრების შესწავლა კარგი ხანია რაც დაიწყო. ასეულმა წლებმა გაიარეს მას შემდეგ, რაც გენუელ ინტერიალომ და ლუკელ იოანემ, ფრანგებმა შერდენმა და ტავერნიემ, პოლანდიელმა სტრუისმა, გერმანელ ქვეშევრდომმა ოლეარიმ და სხ. სცადეს ქართველ მთიელების, ჩერქეზების, ლეკების და ოსების რელიგიურ საზოგადოებრივ და იურიდიულ ყოფის შესწავლა. მათ შემდეგ ეს ცდა დღევანდლამდე გრძელდება. მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნის შესწავლის მარცხ უცხოელ მკვლევრებმა ძალიან ცოტა რამ გააკეთეს. მეტ წილად, მათ გამოკვლევებს ჩაუწვდომლობისა და წინასწარ აზრის დაღი აზის. თვით ისეთი მეცნიერიც კი, როგორც ნაქსინე კოვალევსკი იყო, ისიც კი ვერ ასცდა ამ მხრივ ხსენებულ ნაკლს¹⁾. რაც შეეხება კერძოდ ქართულ პოეტურ ფოლკორს, შეიძლება ითქვას, რომ ეს ქვეყანა ჯერ ხელ მიუკარებელია. არც ქართულ და არც უცხო ენაზე, ჯერ სერიოზული მეცნიერული გამოკვლევა არ დაწერილა. გამოკვლევა კი არა, ჯერ მასალების შეგროვების და დაბეჭდვის საქმეც არ არის მოწესრიგებული. ასეთ პირობებში არ უნდა გვიკვირდეს ის სიღარიბე, რომელიც ამ მხრივ ჩვენა გვაქვს. პროფ. ალ. ხახანაშვილი თავის „ქართულ სიტყვიერების ისტორიის მიმოხილვის“ პირველ ტომში, რომელიც ხალხურ ეპოსსა და აპოკრიფებს ეხება და რუსულ ენაზე არის დაწერილი, მართაღს ამბობდა, როცა წინასიტყვაობაში სწერდა: „წინა მდებარე მიმოხილვა ხალხურ ეპოსისა და აპოკრიფებისათვის მიძღვნილი, ქართულ სიტყვიერების ისტორიის პირველ ცდას წარმოადგენსო“. უცხო ენაზე ეს მართლაც პირველი ცდა იყო, და ისეთი ცდა, რომ ქართულ ენაზედაც არაფერი გამოკვლევა არ არსებობდა. არც თუ მასალა ყოფილა დაბეჭდილი, თითო ოროლა ლექსისა და ზღაპრის გარდა. ისე რომ მკვლევარს, მასალების კრებაც მეტ წილად თვით უხდებოდა და იმის მიხედვით კვლევის წარმოებაც. თანაც ეს შრომა, როგორც თვითვე სწერს, ნაჩქარევი იყო: „ჩვენ არც მიზნათ დაგვისახავს ქართულ აპოკრიფებისა და ეპოსის დეტალური გამოკვლევა, მათ მსგავს ძეგლებთან შედარებით, რადგან მუშაობის ამ მხრივ წარმართვა, და ჯერ ხელ უხლებ განძეულის შესწავლა, ჩვენი წიგნის საზღვრებს განზე გასწევდა, მის გამოსვლას დააგვიანებდა და აგვაცდენდა სურვილისაგან, რომ უახლოეს მომავალში, სპეციალისტებს საშუალება მიეცეთ ქართულ ზეპირ და წერილობითი ძეგლების საკითხის ლიტერატურის წრეში მისაქცევათ“. განზრახვა ფრიად სიმპატიური იყო, მაგრამ ავტორის სურვილმა დღევანდლამდე მიზანს ვერ მიაღწია. უცხოელ მეცნიერებს, ქართული პოეტური ფოლკლორისათვის ჯერ არაფერი გაუკეთებიათ. რაც შეეხება ქართულ მეცნიერულ აზრს, უნდა ითქვას, რომ აქაც იმგვარივე სურათია. გარდა მ. კელენჯერიძის საპოლემიკო წიგნაკისა „ხალხური სიტყვიერების პედაგოგიური და ესტეტიური მნიშვნელობა“ და რამდენიმე საგაზეთო წერილისა, ჩვენ არაფერი მოგვეპოვება. ამ წერილების ატორები იყვნენ: აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა ფშაველა, პ. უმიკაშვილი,

¹⁾ ვგულისხმობთ მის ორ ტომიან მნიშვნელოვან შრომას: Закон и обычай на Кавказе. მოსკ. 1890 წ.

ნ. ურბნელი, გ. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ალ. ხახანაშვილი, მ. ჯანაშვილი, პ. მირიანაშვილი, ალ. მირიანაშვილი, თ. სახოკია, პ. მესხი — გვარამაძე. ეს წერილები მეტ წილად მოწოდებისა და პროპაგანდის ხასიათისანი არიან, ხოლო ზოგიერთები როგ. მაგ. ვაჟა-ფშაველას ეტნოგრაფიული წერილები მკვლევარისათვის ძვირფას მასალას წარმოადგენენ. შეიძლება ითქვას, რომ ქართულ მეცნიერებისათვის ჩვენი პოეტური ფოლკლორი ახალი საქმეა მრავალ დაბრკოლებებით და სიძნელით საგსე. ეს კვლევის მიზანშეწონიერება რაც შეეხება მასალის შეკრებისა, ჩაწერის და დაბეჭდვის საკითხს, უნდა ითქვას, რომ ამ მხრივაც ძალიან ცოტა არის გაკეთებული. ჩვენ ჯერ არ შეგვიძლიან იმის თქმა თუ როდის დაიწყოს ჩვენში ჩვენი პოეტური ფოლკლორის ძეგლთა ჩაწერა. ამ უკანასკნელთა კვალი „ქართლის ცხოვრებიდან“ მოყოლებული ბევრ ისტორიულ და ლიტერატურულ ნაწარმოებში გვხვდება, მაგრამ ეს უკვე გამოყენებაა.¹⁾ ჩვენ ჯერ თვით ძეგლთა აღნუსხვა გვინტერესებს და ამ მხრივ კი ჯერჯერობით ძალიან ცოტა რამ ვიცით. ვიცით რომ ყოფილან უსახელო ჩამწერები, რასაც ჩვენი ხელთნაწერები ამტკიცებენ, მაგრამ სწერდნენ, როგორც სჩანს, მხოლოდ იმას, რაც „გამოსადეგი“ იყო, როგ. მაგ. შელოცვანი, დამრიგებელი ხასიათის ზღაპრები და სხ. მაგრამ ძველათ, ამ ჩაწერას რომ დიდი ადგილა არ ექნებოდა ესეც ცხადია, რადგან ეკლესია ებრძოდა ხალხურ ჩვეულებებს, მეექვსე მსოფლიო კრების დადგენილების ძალით, როგორც ესა სჩანს ჩვენი ისტორიული წყაროებიდან.²⁾ ეს მოვლენა მარტო ჩვენში არა ყოფილა. პროფ. ა. ბოროზდინი სწერს: „ძველ რუსეთში, ხალხურ სიტყვიერების ჩაწერა ვერც იქნებოდა, რადგან ძველი პოეზია წარმართობის გამოჩინებად ითვლებოდა, და საეკლესიო მეუფება მას სასტიკად ებრძოდა, ისე რომ ალბად ხალხური შემოქმედების მრავალი ძეგლი სამუდამოდ დაიკარგაო.“³⁾ ამ მოვლენას ბევრგან ვხვდებით, ისე რომ გასაკვირი არ იქნება, თუ ჩვენშიც, სწორედ ამ მოვლენას ჩვეთვლით ხალხურ შემოქმედების ჩაუწერლობის ერთ მთავარ მიზეზათ. მართალია, აქა იქ გვხვდება ისეთი მასალის აღნუსხვა, რომელსაც ჩვენი დისციპლინისათვის მნიშვნელობა აქვს როგ, მაგ. ანტონ კათალიკოზის „წყობილ სიტყვაობა“ სადაც „ბევრი რამ ავტორს გარდმოცემისა და ზებირ სიტყვაობიდან შემოაქვს“⁴⁾ შემდეგ „საქართველოს მეფის ირაკლის ძის ვახტანგის მიერ“ „ისტორიებრი ახწერა“, სადაც სხვათა შორის ზოგიერთ ზნე-ჩვეულებათა აღწერა არის, როგ. მაგ. ახალწლის შეხვედრა, აღდგომისა, მესძლობისა, დაქორწინების წესისა, ძეობისა, გლოვისა და სხ.⁵⁾ მაგრამ ეს მხოლოდ გაკვრითი ცნობებია, სასხვათაშორისო, ასეთ ცნობებს სხვა მასალებშიაც ვხვდებით. რომელთ აღნუსხვა ამ უამად საჭირო არ არის.

ხალხური პოეტური ძეგლების შეკრება მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო. პირველად „დროება“ იწყებს სახალხო პოეზიის ნიმუშების

1) იხ. ვახუშტის „საქართ. ისტ.“ გვ. 143.

2) უცხო მითოლოგიის კვალის შესახებ ჩვენს ძეგლებში, იხ. პროფ. კ. კეკელიძის „ქართ. ლიტ. ისტ.“ მეორე ტომი, შესავალი.

3) იხ. „Проблемы поэтики“. Москва-Ленинград. 1925 წ. გვ. 15.

4) იხ. პროფ. კ. კეკელიძე — „ქართ. ლიტ. ისტ.“ ტ. მეორე, გვ. 5.

5) იხ. სარგ. კაკაბაძის გამოცემა 1914 წ.

ქართული „მნათობი“, № 5—6.

ბეჭდვას, შემდეგ „ივერია“, რომელმაც ხალხურ პოეზიას დიდი ადგილი დაუთმო, ამას კი მოჰყვა, „აკაკის კრებული“, რომელიც ენერგიულად ემსახურებოდა ამ საქმეს.

ხალხურ პოეზიის შემკრებთა შორის, აღნიშნულ უნდა იქმნენ: დ. როსტომაშვილი, აფშინაშვილი, ივ. ბუქურაული, კ. გვარამაძე — მესხი, ი. კარგარეთელი, ალ. მაჩაბელი, ს. მერკვილაძე, თედო რაზიკაშვილი, იასე რაჭველი, ჭ. ჩხიკვაძე, დ. ხიზანაშვილი და სხ. აქ აღარ მოვიხსენიებ აკაკის, ვაჟას, ყაზბეგის, ი. თურბნელს და პ. უმიკაშვილს, რომელთაც დიდი ამაგი დასდეს ქართულ ხალხურ პოეზიის შეკრებას, განსაკუთრებით აკაკი წერეთელს, რომელიც თავგამოდებით ემსახურებოდა ამ დიდ საქმეს. ეს მე 19 საუკუნეში. რაც შეეხება ჩვენს საუკუნეს, ქართულ პოეტურ ფოლკლორის შეკრებას დიდი სამსახური გაუწია საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ, რომელმაც მრავალ მასალას მოუყარა თავი, ორი ტომი დაბეჭდა კიდევ და მრავალი ტომის მასალა შეკრებილი და დალაგებული აქვს. ამ საქმეში დიდი ღვაწლი განსაკუთრებით პროფ. ექვთიმე თაყაიშვილს მიუძღვის. აღსანიშნავია აგრეთვე ს. გორგაძის შრომა და ამ ბოლო წლებში კი პროფ. შანიძის მიერ რედაქცია ქნილი „ხეცურული მასალები“, რომელიც ნაწილობრივად მის მიერ არის შეკრებილი, ნაწილობრივად კი ბეს. ვაბუურის მიერ. 1) ასეთი არის ქართულ პოეტურ ფოლკლორის ძეგლთა შეკრების მოკლე ისტორია. ჯერ ძალიან ცოტა არის გაკეთებული. დიდი და ენერგიული მუშაობა არის საჭირო, რადგან ჩვენს პოეზიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ჩვენი კულტურისათვის, არამედ საზოგადოდ მეცნიერებისათვის. ამას ქვემო თავებიდან დავინახავთ. პროფ. ანიჩკოვი სწერდა „სლავურ და რუსულ ხალხურ სიტყვიერების გაუცნობლათ, დასავლეთის ხალხურ ლექსის შესწავლა მე შეუძლებლადაც მეჩვენებაო.“ იქნებ ქართულ ხალხურ შემოქმედებაშიც ბევრი რამ იყვეს ისეთი, რაც მეცნიერებისთვის არა ნაკლებად ძვირფასი იქნება.

ჩვენ გვგონია რომ ეს ასე არის.

1) ამონაბეჭდი ქართ. საენათმეცნ. საზ. წელიწადიდან, 1916 წ.



თეატრი და კინო

თეატრის კრიზისის საფუძვლები.

„ფიზიკური ტემპერატურის მგზავსად, რომლის ცვალებადობა იწვევს ამა თუ იმ მცენარეულობის სახის აღმოცენებას, არსებობს მორალური ტემპერატურა, რომლის ცვალებადობა იწვევს ხელოვნების ამა თუ იმ სახის აღმოცენებას“.

ი. ტენი.

„დრამის ფსიქოლოგია გალატაკდა მორალის დოგმატიკისა და კატეგორიული იმპერატივის შესუსტებით“.

პროფ. უ. შლუმბერგერი.

ეპოქის ყველაზე შესანიშნავი რეჟისორი, გორდონ კრეგი, აღმოსავლეთში ეძებს თეატრს, დასავლეთის თეატრი უკანასკნელ ამოსუნთქვის ხანაში ეგულდება. გ. ფუკსი გერმანეთის პლუტოკრატიის ბატონობაში ეძებს გერმანეთის დრამატურგიისა და თეატრის კრიზისს. ი. აიხენვალდი თეატრს ხელოვნების უკანონო სახეთ სთვლის. დრამატურგიაში ველარ ვხედავთ ესხილებს, სოფოკლებს, მოლიერებს, ლაპე-დე-ვეგებს, შექსპირებსა და შილლერებს. მსახიობთა შორის აღარა სჩანან ბერნარი, დუზე, სალვინი, კოკლენი, ლესიური, მოჩალოვი. ინგლისში დავიწყებას ეძლევა შექსპირი, ლონდონში ჰქრება სერიოზული დრამა და ოპერა. საფრანგეთში სცენაზე აშკარა პორნოგრაფია გამოდის. ამერიკაში სერიოზული დრამა და ოპერა არავის აინტერესებს. იტალიეთიდან ფუტურისტი მარინეტი რეცეპტს იძლევა, რომ ერთ საღამოს, შემოკლებულად, მიეცეთ — ბერძნული, ფრანგული, იტალიური ტრაგედია, ალვადგინოთ ბეტხოვენის, ვაგნერის, ჩაიკოვსკის ნაწარმოებები და შეუერთოდ ნიაპოლიტანიის მზიარულ სიმღერებს. სცენაზე სახელოვანი ტრაგიკის გვერდით უბრალო კლოუნი გამოუშვათ. იატაკიც დავქონოთ, რომ ტრაგიულ მომენტში მსახიობს ფეხი დაუცდეს. აუდიტორიაშიაც მივმართოთ სხვა და სხვა ოხუნჯობას, სავარძელზე წებოს დასხმას და სხ.

და განა მართო მარინეტის ფანტაზიაში იშლება ასეთი აზრი? ნიუ-იორკის თეატრ „იპოდრომშიაც“ ხომ 15—20 ნომრისაგან შედგენილი პროგრამებია, რომლებშიაც გამოდის ტრაგიკი და კლოუნი, მომღერალი და აკრობატი, მოცეკვავე და დავეშილი ძაღლები. მთელ ბურჟუაზიულ სამყაროში ხომ ოპერებს ოპერეტები ამარცხებს, დრამას — კაბარე, მუსიკ-ხოლი და ვაროეტე. თანამედროვე სოციალური ტანჯვით განაწამებ მოქალაქეს სურს გართობა, რაც შესაძლებელია ნამდვილი თეატრის შეცვლით ათასგვარი სპექტაკლური რეჟისურების ნომრებით, გარეგანი ეფექტებით, უცნაური ტრაუკებით. ამიტომ, მარინეტის პროექტი შეეფარდება ბურჟუაზიის საშუალო მოქალაქის, წვრილი ბურჟუაზიისა და მეშჩანების სულისკვეთებას. ცხადია, ასეთი რეცეპტებითა და პრაქტიკით არ სწყდება თეატრის კრიზისი. პირუკუ, ეს ნხოლოდ თეატრის კრიზისის უკიდურესი გამოხატულებაა.

სად უნდა ვეძიოთ თეატრის კრიზისის საფუძველი? თეატრის კრიზისი უმთავრესად აუდიტორიის კრიზისია. აუდიტორიის სოციალური ეთიკის, ნორალის რელატივობა და უკიდურესი უმტკიცობა დრამატიული ნაწარმოების ფაბულის გაქრობის წყაროა. აქედან თეატრის, ლიტერატურულ მასალის, დრამატურგიის სიღარიბეა. დასავლეთის თეატრი, იმიტომ განიცდის კრიზისს, რომ საერთოდ ბურჟუაზიამ დაასრულა ისტორიაში თავისი პროგრესიული როლი, ამიტომ გაკოტრდა მასი აზრი და იდეა, ლიტერატურაში გამეფდა სანტიმენტალიზმი, საწოლი ოთახის რომანები, სექსუალურ-ფიზიოლოგიური მომენტები, სიმიშვლე, პორნოგრაფია, ფოქსტროტი, შიმი, ამორალიზმი და იმმორალიზმი. **თეატრი კი, შეუძლებელია მორალურ კათეგორიების გარეშე. დრამა ჰგულისხმობს ადამიანის ურთიერთობის განსაზღვრულ მორალურ ნორმებს, როგორც დრამის განვითარებისა და ტიპების დაპირისპირების საფუძველს.** იმპერიალისტური ბურჟუაზიის მორალური კონცეპციები გამოუსადეგარია დრამატიულ კოლიზიების შესაქმნელად. საბერძნეთის თეატრის ჯანსაღობა საბერძნეთის ცხოვრების ჯანსაღობას ემყარებოდა. დრამა თუ პირველად სარწმუნოებრივ საწყისიდან გამოვიდა, შემდეგ მან შეინარჩუნა ადამიანთა სულიერი განცდების ასახვის არე. საბერძნეთის თეატრის ჯანსაღობა და გრანდიოზულობა იმარხებოდა საბერძნეთის დრამის შინაგან ბუნებაში, რომელიც იძლეოდა ხალხის გულის სიღრმიდან მოცემულ ტიპებს, ხალხის რელიგიურ-მორალურ სულისკვეთებას, ხალხის რწმენასა და იმედს. დღეს ევროპასა და ამერიკაში კაპიტალისტური კულტურის დეგრადაცია უაღრეს გამოხატულებას პოულობს თეატრშიაც, რადგან ჰქრება თეატრალურ შემოქმედების იდეურ-მორალური იმპულსი. ჩვენში, საბჭოთა კავშირში, ძველი ყოფის, მორალის დანგრევისა და ჯერ ახალის დაუმკვიდრებლობის ნიადაგზე იქმნება თეატრის კრიზისი. აქედან, აუდიტორიის ესთეტიურ-მორალური ალღოს რელატივობა იწვევს დრამატურგიის სიღარიბეს. დრამატურგიის სიღარიბე კი, თეატრის სხვა ელემენტების კრიზისს ხელს უწყობს, რა სახით სდგას დღეს მორალის კრიზისი და სად უნდა ვეძებოდ მისგან გამოსავალი?

მორალის კრიზისი

„აღამიანი საზოგადოებრივი ცხოველია“. ის არაოდეს არ ვესდებ საზოგადოების გარეშე. საზოგადოებას ყოველთვის ახასიათებს განსაზღვრული/სოციალური ნორმები—განუვითარებელ საზოგადოებაში—ზნე-ჩვეულებები განუვითარებულში—ზნეობა და კანონი. დღემდე ეთიკა, როგორც სწავლის/ჩვეულებები, აპრიორულ გზით სცდილობდა ზნეობის ახსნას. საბერძნეთის ფილოსოფია, ქრისტიანიზმი თუ იდეალისტური ფილოსოფია ჰქმნიდა ეთიკის დაუსრულებელ დოქტრინებს, მაგრამ მაინც აუხსნელი რჩებოდა ისტორიული ფაქტები. ისტორიულად არ მოიპოვება რაიმე მოვლენა, რომელიც მუდმივ ზნეობრივ თუ არა-ზნეობრივ ხასიათს ატარებდეს. რაც ერთი ეპოქის, ხალხის, ერის, კლასისთვის ზნეობრივია, მეორე ეპოქის, ხალხის, ერის, კლასისთვის უზნეობათ არის მიჩნეული. პროფ. ვინდელბანდი ამ გარემოებით იმ აზრამდე მივიდა, რომ ეთიკაში ვერ გამოდგება ვერც ინდუქტიური (კერძო მაგალითებიდან ზოგადი დასკვნის მიღება) და ვერც დედუქტიური (ზოგადი დებულებიდან კერძო ფაქტების ახსნა) მეთოდი. მართლაც, ისტორიულად რომ შევისწავლოთ ზნეობის ყველა სახე, აქედან ვერ მივიღებთ ზოგად ზნეობრივ კანონს, ისე როგორც რაიმე ზნეობრივი იდეალის თუ დებულების მომარჯვებით, ვერ ავსხნით ისტორიულად მოცემულ ზნეობრივ ნორმებს. პროფ. ვინდელბანდი „მორალის პრინციპის“ ძიებაში მივიდა მოვალეობის აღმოჩენამდე, რადგან, სადაც არ არის მოვალეობის შეგნება, იქ არ არის ზნეობრივი ცხოვრების პირობა. ამ მოვალეობის შინაარსი კი ეპოქალურად იცვლება. ავტორი ვერ უარყოფს, რომ მოვალეობის შეგნება ფორმალური პრინციპია, რომ ის ზნეობის ძირითადი ხმაა—შეასრულე შენი მოვალეობა, მაგრამ ის ვერ მიუთითებს თუ რაში მდგომარეობს ეს მოვალეობა, რა უნდა იქნეს შესრულებული.

მორალის ძიება ფსიქოლოგიაში, ფილოსოფიაში (ზედმეტია რელიგიაზე ლაპარაკი) ვერ მოიპოვებს გადაჭრას. ფორმალური პრინციპების აღნიშვნა კიდევ არ ნიშნავს მორალის ბუნების გარკვევას, რადგან მორალის მატერიალური მხარე, მისი შინაარსი, სწორედ ის, რაც მნიშვნელოვანია სოციალური ცხოვრებისათვის, გაურკვეველი რჩება. მორალის პრობლემა სოციოლოგიის დარგში უნდა გადაწყდეს. მარქსისტული სოციოლოგია იძლევა მორალის პრობლემის სწორ გადაჭრას. მორალური ნორმები, როგორც იდეოლოგიური ზედნაშენების ერთ-ერთი სახე, აღმოცენდება გარკვეული მეურნეობის ნიადაგზე. მეურნეობის ესა თუ ის ფორმა გულისხმობს საზოგადოებრივი ურთი-ერთობის განსაზღვრულ სახეს, წარმოებასა და განაწილებაში კლასების მონაწილეობის მხრივ, ბიოლოგიაში თუ გრძნობა განიხილება, როგორც ორგანიზმის იარაღი, მიუახლოვდეს სასარგებლოსა და დაშორდეს საზარალო მოვლენებს, ისე სოციოლოგიაში მორალი განხილულ უნდა იქნეს, როგორც კლასის იარაღი სასარგებლოსა და საზარალოს გარჩევისათვის. მორალურია ია, რაც სასარგებლოა განსაზღვრული საზოგადოების, კლასისთვის, ამორალურია ის, რაც საზიანოა მათთვის. მორალურ ნორმათა ევოლიუცია დამოკიდებულია ეპოქათა გაბატონებულ და და-

მონებულ კლასთა შემეცნებაზე სასარგებლოსა და საზარალოს შესახებ. კლასობრივ საზოგადოებაში, მორალის თვალსაზრისით, მოცემულია ორი ეპოქა—ეპოქა ორგანიული, როდესაც გაბატონებული კლასი ისტორიულ პროგრესის გზით მიდის, ამ შემთხვევაში ამ კლასის მორალი გამოდის, როგორც საზოგადოების მორალური ფიზიონომიის განმსაზღვრელი, დამყარებულ გარკვეულ სამეურნეო და საწარმოო პირობებზე. მეორე ეპოქა—ეპოქა ებრტყნება; როდესაც კლასი ასრულებს თავის ისტორიულ როლს და იქცევა ჩვეულებრივ კლასად, ამ შემთხვევაში თავს იჩენს მიმავალ და მომავალ კლასთა მორალური ნორმების დაპირისპირება. კლასთა ბრძოლის ეპოქა კლასთა მორალურ დაპირისპირებას ჰგულისხმობს. ამკარავდება მორალის კლასობრივ უტილიტარისტური თვალსაზრისი.

კლასის სარგებლიანობა, როგორც მორალის მატერიალური და არაფორმალური პრინციპი, ცხადია არ უნდა იქნეს გაგებული უხეშათ. პიროვნების მორალური საზომი შეიძლება სრულიად არ იღებდეს მხედველობაში კლასის ინტერესს, შეიძლება ის გატაცებული იყოს განყენებული იდეებით, მაგრამ თვით ეს ეპოქის საერთო ხასიათი, ადამიანთა საერთო სულისკვეთება, ეს იდეები აღმოცენებულია გარკვეულ ეპოქის ეკონომიურ-პოლიტიკურ საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს მოცემულ ეპოქის იდეოლოგიურ ფორმებს, მათ შორის მორალის ბუნებასაც.

ეს თვალსაზრისი სისწორით უდგება იმ დაუსრულებელ მრავალფეროვანებას, რომელსაც ჩვენ გვაძლევს ზნე-ჩვეულებისა და ზნეობის ისტორია. ახსნილია, როგორც „მარადიული მორალის, ზნეობის“ შეუძლებლობა, ისე ზნეობის მრავალფეროვნობის მატერიალური პრინციპი.

ჩვენ აქ ეს საკითხი თავის თავად არ გვაინტერესებს. საკმაოა, აღნიშნულ სახელმძღვანელო დებულებათა განმარტება, რომ მორალის თერმინის გამოყენების დროს სწორი წარმოდგენა გვექონდეს საკითხზე, მაგრამ კიდევ ერთი განმარტება: რატომ ვხმარობთ ჩვენ **მორალს** და არა **ეთიკას**. ჩვეულებრივ სიტყვახმარებაში ეს ცნობები თითქოს ერთმანეთის სინონიმად იხმარებიან, მაგრამ მათ შორის დიდი განსხვავებაა. მორალი პრაქტიკული ხასიათის ცნებაა, ის სოციალური ზნეობის ბუნების დამტვევია. ეთიკა სწავლაა მორალზე, მორალის თეორიაა. ამიტომ, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ მორალზე, ამაში ვგულისხმობთ ფაქტს და არა თეორიას ფაქტის შესახებ. მორალს ვიღებთ ისეთივე პრაქტიკული გაგებით, როგორათაც მას იღებს სისხლის სამართლის მეცნიერება და კანონმდებლობა. საზოგადოებაში ყოველთვის არის მოცემული სხვადასხვა ეთიური თვალსაზრისი, მორალური მსოფლმხედველობა, მაგრამ ამის მიუხედავად, ყოველ საზოგადოებაში მოცემულია მორალური ნორმები, როგორც „საშუალო მოქალაქის“ ეთიური საზომი ადამიანთა საქციელის შესახებ, როდესაც ამ „საშუალო მოქალაქეს“ ხელიდან ეცლება მორალური ნორმების სიმტკიცე, ეს უდრის მორალის კრიზისს. მორალის კრიზისი თავს იჩენს კრიტიკულ ეპოქებში, როდესაც გარდაქმნის პროცესში შედიან საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალური და სულიერი კულტურის სახეები. გარდაქმნის პროცესში,

გარდამავალ პერიოდში, ორი სამყაროს ელემენტებია მოცემული ერთმანეთთან კიდულში. დღეს ევროპაში მორალის კრიზისი კაპიტალისტური კულტურის დეგრადაციის ლოდიკური შედეგია. რამდენადაც ბურჟუაზია რეგრესიულ ძალათ იქცა, იმდენათ ის დაიცალა იდეურ-მორალური კონცეპციებით. ამით აიხსნება ბურჟუაზიული აზროვნებისა და ხელოვნების დაცემა. „მორალური ტემპერატურის“ შემცირებამ გამოიწვია აზროვნებისა და ხელოვნების უკმარისობა.

საბჭოთა კავშირში სხვა სახით არის მოცემული მორალის კრიზისი. ბუჟუაზია კლასის იდეურ-მორალური შეგნება დაუპირისპირდა ძველ სოციალ-ეკონომიურ რეჟიმს და კიდევ შესცვალა ის. მუშათა კლასმა შექმნა თავისი სამართალი, რომელშიაც უპირველესად გამოხატულება ჰპოვა მისმა მორალურმა შემეცნებამ. მაგრამ ამ სამართალმა გაასწრო საზოგადოების მორალურ დონეს, როგორც ამ საზოგადოების ავანგარდის მიერ შექმნილმა სამართალმა. დღეს საბჭოთა სამართლისა და ზნეობის ურთიერთობა იმ დამოკიდებულებაშია, რომ სამართალმა უნდა შეუწყოს ხელი ზნეობის ჩამოყალიბებას. ზნეობას საზოგადოებრივი აზრი უდგას დარაჯათ. ეს საზოგადოებრივი აზრი ნალექია, როგორც წასულ წოდებათა და კლასთა შემეცნების, ისე იმ კლასობრივ ძალთა ურთიერთობის და ფსიქოლოგიის, რომელიც ჯერ კიდევ მოცემულია ჩვენს საზოგადოებაში. სამართალი რევოლუციონური კლასის იდეურ-ზნეობრივი შინაარსით არის მოცემული, მისი გარანტიაა — იძულება, ამ სიტყვის ფართო გაგებით. ამიტომ საბჭოთა სამართალი ზეგავლენას უნდა ახდენდეს დღეს საბჭოთა ზნეობის ჩამოყალიბების პროცესზე. საბჭოთა ზნეობა ჯერ არ არის ჩამოყალიბებული. ეს ბუნებრივი მოვლენაა. კ. მარქსი 50 წელს მიიჩნევდა, როგორც პროლეტარიატის მიერ საკუთარი თავის გარდაქმნის პერიოდს. მართლაც, პროლეტარიატიც, მისი ავანგარდი — კომუნისტური პარტიაც, წარმოიშვა და აღიზარდა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, ყოფა-ცხოვრებაში. ამ საზოგადოებიდან მან მემკვიდრეობით ბევრი რამ გამოიტანა. უპირველესად ზნეობისა და ყოფა-ცხოვრების ტრადიციები, რადგან ესენი იდეოლოგიური ზედნაშენების ყველაზე კონსერვატიულ ბუნების მქონე მოვლენებია, რომლის მოქმედება არ ჰქრება მათი მიზეზის, ბურჟუაზიული მეურნეობის გადახალისებით. ახალი მორალური იდეოლოგიის საბოლოოდ ჩამოყალიბებისთვის საჭიროა სრულიად ახალი სამეურნეო და საზოგადოებრივი ურთიერთობა. ჩვენ მხოლოდ ამ პროცესში ვიმყოფებით. ბურჟუაზიული მეურნეობის ფორმები ჯერ სავსებით ძლეული არ არის, აქედან მატენატიკურის სისწორით ნათელია — არ შეიძლება იყოს სრულიად ახალი, პროლეტარულ-რევოლუციონური ყოფა-ცხოვრება და საბჭოთა მორალი მოცემული. ამას ფაქტებიც ამტკიცებს. მორალის კრიზისით უნდა აიხსნეს „კრიმინალური ხარჯების“ ზრდა ჩვენს საზოგადოებაში. რუსეთში „დამნაშავეისა და დანაშაულობის შემსწავლელ ინსტიტუტის“ შრომები, პროფ. პოზნიჩევის „კრიმინალური ფსიქოლოგია“ და სხ. იძლევა მდიდარ მასალას ჩვენი „კრიმინალური ხარჯების“ ზრდის შესახებ. განსაკუთრებით დიდია ეს „ხარჯები“ სქესობრივ დარგში, სწორედ იქ, სადაც ყველაზე მეტად მოქმედობს არა სამართალის, არამედ ზნეობის კანონები. ცხადია, ეს ავადმყოფური პროცესი ყოფა-ცხოვრების, ზნეობის დარგში, მშობიარობის პროცესშია

პროგრესიული, ახალი ყოფისა და ზნეობის ჩამოყალიბებისთვის, მაგრამ დღეს ზნეობის მორალის კრიზისი ჩვევს წინაშე არის. თუ ასეთი ხასიათით არის მოცემული მორალის კრიზისი, როგორია მისი გავლენა თეატრზე? როგორია საერთოდ რევოლიუციის გავლენა თეატრზე?

რევოლიუციის გავლენა თეატრზე შესაძლებელია სამ ფაზად ვაფასოთ. 1) რევოლიუციონური მხადების ხანა. 2) რევოლიუციის უშუალო ხანა. 3) რევოლიუციის აღმშენებლობითი ხანა. პირველ ფაზაში თეატრი ექსტრემალური იარაღია რევოლიუციონურ-მხატვრული პროპაგანდის. შეიძლება თეატრმა თვით არ იცოდეს ეს, მაგრამ ობიექტიურად დრამატურგია, თეატრში გადატანილი, თავს დასტრიალებს სოციალურ ცხოვრებაში მომწიფებულ საკითხებს, იარებს, რომლის გადაჭრაც საზოგადოების უმრავლესობის ამოცანას შეადგენს. მეორე ფაზაში, უშუალო რევოლიუციის ხანაში, თეატრი ჰკარგავს გზას. წარსული ცხოვრების რეპერტუარი ჰქრება. ახალი ცხოვრების რეპერტუარი შეუქმნელია. მოუმწიფებელია ახალი ტიპები საზოგადოებაში, დაუმყარებელია ახალი მორალური გრძნობები და ყოფა-ცხოვრება. ამიტომ, თეატრი განიცდის პოლიტიკურ გადახრას. თეატრში ან გრძელდება მომქმედ პოლიტიკურ პარტიათა ბრძოლა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საფრანგეთის სცენაზე მემარჯვენე და მემარცხენე პოლიტიკურ დაჯგუფებათა პრიზნით, ან ის იბრება ერთი გაბატონებული პარტიისა და კლასის პოლიტიკურ პროპაგანდისაკენ, როგორც ამას ადგილი ჰქონდა რუსეთში საბჭოთა წყობილების დამყარების პირველ წლებში. მესამე ფაზას — წარმოადგენს ის პერიოდი, როდესაც რევოლიუციამ უკვე გასწმინდა ძველი საზოგადოებრივი ნაშთები და დაამყარა ახალი საზოგადოებრიობა. აქ თეატრი ისევ წელ-გამართული გამოდის, ის თავის მასალას იღებს ახალ ცხოვრებიდან, რომელიც თეატრალური შენოქმედებისათვის დიდ რეზერვუარს წარმოადგენს.

საფრანგეთისა და რუსეთის რევოლიუცია ამ მხრით დამახასიათებელ მოვლენებს იძლევა. **საფრანგეთის თეატრში რევოლიუციის მომზადების ხანამ** მოგვცა — ბერნარ ჟოზეფ-სორენი, ბომარზე, ემბერი, მარი ჟოზეფ შენიე და სხ. ესენი საფრანგეთის რევოლიუციის წინამორბედი დრამატურგები არიან, რომელთა ენით მწიფდებოდა თეატრის სცენიდან ხალხის აღშფოთება ტირანიისა და დესპოტიის დასამხობად. გერმანული დრამატურგიიდან საფრანგეთის სცენაზე მიდიოდა შილერის რევოლიუციონური პიესები და სავსებით გასაგები ხდება, რომ ნაციონალურმა ყრილობამ 1792 წ. 26 აგვისტოს გერმანელ მწერალს შილერს უბოძა საფრანგეთის მოქალაქის საპატიო წოდება.

რევოლიუციის უშუალო პერიოდში საფრანგეთის სცენაზე ჩვენ ვხედავთ ბრძოლის გაგრძელებას რევოლიუციის ზომიერ და უკიდურეს მიმართულებათა შორის. აქ არის რეპრესიები და მსახიობთა დატუსალება. თეატრის ამხედრება იაკობინელების წინააღმდეგ. ჟან-ლუი-ლეიას სატირიული დრამა „კანონთა მეგობარი“, რომელიც შეიცავდა რობესპიერის, მარატისა და სხვა რევოლიუციონერთა დაცინვასა და გაკიცხვას. შემდეგ — ფრანსუა დე-ნევეზატოს კომედია „პამელა“, რომელსაც შედეგად მოჰყვა 30 მსახიობისა და ავტორის დატუსალება. ამ ხანაში თეატრალური შემოქმედება დაეცა. ძველი რეპერტუარი გაჰქრა. ახალი ვერ

მოვიდა. სცენა პოლიტიკური ბრძოლის გაგრძელებათ გადაიქცა. **ს. ფრანგეთის რევოლიუციამ ვერ შესძლო რევოლიუციის თეატრის შექმნა.** თეატრის თავისუფლების აღიარებიდან ტერორის ხანაში ის მოვიდა თეატრის სასტიკ ცენზურამდე და პიესებში „მუსიო“ და „მადამის“ მაგივრად „მოქალაქე“ ჩასწერა, „მეფემ დაადგინა“-ს ნაცვლად „კანონმა დაადგინა“ შემოიღო. საფრანგეთის თეატრმა თითქოს რევანში გადაუხადა ტერორის ეპოქას რომესპიერის, დევიდის, დრამატულ ეფექტებში ნოცემით „საწყალი ქალი“ მარსოლესა და ბელონის შესახებ ცხადია, ამ გზით თეატრი ვერ აღორძინდებოდა.

მესამე ფაზას წარმოადგენს **რევოლიუციის კარიზხალის ჩადგომა.** ამ ფაზაში საფრანგეთის თეატრი შეუდგა რეპერტუარის ძებნას. აღადგინა კლასიკოსები. თეატრი დაუბრუნდა ჩვეულებრივ გზას. გაიწმინდა რეპერტუარი პოლიტიკური გადახრისაგან. ნაციონალური თეატრის მსახიობები სატუსალოდან ისევ დაუბრუნდნენ სცენას რომესპიერის დაცემის შემდეგ. ტალმა რევოლიუციონური ბანაკიდან ისევ რეაქციონურ ბანაკში გადადის. სხვა რევოლიუციონერებიც როიალისტებს ემხრობა. და ხდება „კომედია ფრანზეს“ განახლება. რეპერტუარში შედის კლასიკოსების ნაწარმოები კორნელის „სიდა“ და მოლიერის „ქმრების სკოლა“. თეატრი ეძებს გამოსავალს ახალ ცხოვრების ასახვისათვის. არისტოკრატიული რეპერტუარის ნაცვლად, სადაც „მათი უდიდებულესობა“ გამოდიოდა გმირებათ, იქნება ახალი ყოფის, ახალი მორალის გამტკიცებით ახალი რეპერტუარი, რომელშიაც ხალხის წარმომადგენლებს ვხედავთ ტიპებათ, იწყება ბურჟუაზიული დრამის დასაწყისი.

რუსეთის რევოლიუციაც ანალოგიურ მოვლენებს იძლევა. პირველ ფაზაში აქაც შილერის პიესები, მაქსიმ გორკის, ჰაუპტმანისა და სხ. იწვევდა რევოლიუციის წინა ხანის სულისკვეთების შემზადებას. მეორე ფაზაში—რევოლიუციის უშუალო პროცესში თეატრმა მიიღო პოლიტიკური გადახრა და ფართოდ გავრცელდა აგიტაციური პიესები და დადგამები. მესამე ფაზაში—აღმშენებლობის ხანაში, უკანასკნელ წლებში დაიწყო გადახრა კლასიკოსებისკენ, დადგმის ახალ ფორმებით და აღება იმ რეპერტუარის, რომლისათვის იძლევა მასალას ჯერ კიდევ ძეტად ღარიბი საბჭოთა დრამატურგია. ამ ნიადაგზე გაცოცხლდა ძველი თეატრები, შეიქმნა ახალი მიმართულებანი და ახალი პიესებიც გამოიძებნა.

აქედან აშკარაა, როცა მთლიანია მორალის, სოციალური ნორმები, თეატრალური შემოქმედება მალა მიდის, როცა ირღვევა მორალის, სოციალური რევოლიუცია, მზგავსად საფრანგეთისა და რუსეთის, ამსხვრევს საუკუნოებით გამტკიცებულ უფლებრივ და ზნეობრივ ნორმებს, გრძნობებს, შეხედულებებს—თეატრი შედის კრიზისის პერიოდში.

ჩვენში თეატრის კრიზისი მისი ნხატვრული სიღარიბის შედეგი კი არ არის, არამედ იმ ისტორიული ტენილის, რომლის დროსაც ცხოვრება უსწრებს ხელოვნებას და ხელოვნებას, კერძოდ, ამ შემთხვევაში, თეატრს, არ ძალუძს ახალ ფორმაციაში მყოფი სოციალური ინსტიტუტები და გრძნობები, საზოგადოებრივი ყოფა, ჯერ კიდევ გაურკვეველი, და საზოგადოებრივი ფსიქოლოგია,

ჯერ კიდევ დაუწმენდელი, მხატვრულ სახეებად გამოსახოს და მასობრივი სულსკვეთების საგნად გახადოს. **ჩვენშიაც მორალის კრიზისი ჰქმნის თეატრის კრიზისს.** ასე იყო ისტორიულადაც. რამდენადაც ჩვენ ისტორიის წარსულში, განუვითარებელ სოციალ-ფორმაციაში ვიმყოფებით, იმდენად სოციალური ეპოქა ხანგრძლივად არის მოცემული. აქედანვე — რამდენადაც ეპოქის კულტურა წარმოადგენს გაბატონებულ კლასის კულტურას, მთლიანს, მონოლიტიურს, რომელსაც არ ებრძვის დამონებული კლასის შეგნება, რადგან ხანგრძლივად არსებობს ეს შეგნება, რადგან დამონებულნი ასეულ და ათასეულ წელთა განსაჯლობაში ატარებენ მონობის უღელს და ეჩვევიან მას, ვიდრე ვერ იგნებენ თავის ინტერესებს, ამდენათვე სოციალური ეთიკის მთლიანობა არ არის დაფლეთილი კლასობრივი შემეცნებით, ჯგუფური ინტერესებით, რაც მორალურია, ზნეობრივია გაბატონებული კლასისათვის, ის მორალურია დამონებულისთვისაც. ამ ნიადაგზე ჩვენ გვაქვს ბერძნული დრამებისა და ტრაგედიების განვითარება. ოიდიპოს მეფის ტრაგედია გაუგებარი იქნებოდა, ბერძნებში რომ ბედისწერის ურყევე რწმენა არ ყოფილიყო. ვერც ანტიგონე იქნებოდა, რომ ღვთის კანონის უმტკიცესი რწმენა მიცვალებულის დამარხვის შესახებ არ ყოფილიყო. ბერძნული დრამის კოლიზია ემყარება ხალხის ზნეობრივ-რელიგიურ გრძნობებს, ხალხის რწმენასა და ხასიათს და ამიტომ იქცევა ის მთელი ხალხის სანახაობათ.

რამდენათაც ახალ ისტორიაში მოვდივართ, იმდენად, საწარმოო ძალთა განვითარების გამო, სოციოლოგიურ ეპოქათა ცვალებადობა ჩქარია, მაშასადამე, იმდენადვე ზნეობრივ-მორალური შეგნება საზოგადოების გარდაქმნის პროცესშია. მასაში არის როგორც ახლო წარსულის ნემკვიდრობა, და აწმყოს მიერ შექმნილი კონცეპციები, ისე მომავლის ემბრიონალური ჩანასახები. ამასთან ერთად, ეპოქის შიგნით საზოგადოებაში კლასთა დიფერენციაციის გარკვეულობა ჰქმნის სოციალური ეთიკის მთლიანობის დაშლას, წინ გამოდის არა საზოგადოებრივი ინტერესი და სულსკვეთება, არანედ კერძო ჯგუფური, წოდებრივი, კლასობრივი ფსიქოლოგია და იდეოლოგია, იქმნება ისეთი მდგომარეობა, რომ ერთი კლასის მორალური შემეცნებანი, გრძნობები დიამეტრალურ წინააღმდეგობაშია მეორე კლასის მორალურ შემეცნებასა და გრძნობებისადმი. ასეთ სოციალურ ვითარებაში, ასეთ საზოგადოებრივ მორალურ-ფსიქოლოგიურ წყობაში მკვიდრი საფუძველი ევრება თეატრის კრიზისს.

შეიძლება ვიკითხოთ — მორალის კრიზისი რატომ თეატრის კრიზისს, ჰქმნის და არა საერთოდ ხელოვნების კრიზისს. მართალია, ხელოვნების უმაღლესი კანონები ისეთივეა, როგორც თეატრის, მხატვრული შენოქმედებაც, საზოგადოდ, ემყარება გარკვეულ ეპოქის ფსიქო სოციალურ წყობას. ნაწილობრივად მორალის კრიზისიც გაელენას ახდენს ხელოვნების სხვა დარგების კრიზისზე, მაგრამ ის უფრო გარკვევით თეატრის კრიზისში იჩენს თავს. **დრამის დიალოგიური ფორმა ლოდიკურად ჰგულისხმობს ადამიანთა ურთიერთობას. ადამიანთა ურთიერთობა კი მორალური ან ამორალური ურთიერთობაა.** ქე-შმარტი დრამა მაშინ იქმნება, როდესაც არის ან გმირის მოქმედება დაპირისპირებული სოციალურ ეთიკასთან, როგორც ობიექტიურ ფაქტთან, და ამით

შექმნილი ფსიქოლოგიური კოლიზია, ან, როდესაც ორი საწყისი, კეთილი და ბოროტი, ზნეობრივი და უზნეო უპირისპირდება ერთმანეთს მომქმედ გმირების სახით და ეს ზნეობრივი დაპირისპირება ჰქმნის დრამატიულ კვანძს. იქმნება ბრძოლა პერსონაჟთა შორის, სადაც არ არის ან პირველი, ან მეორე შემთხვევა. იქ არ არის დრამა, იქ შეიძლება იყოს მშრალი ტრაქტატი, რიტორიკა, დიალოგიური მასლაათი. მაგრამ ის ვერ მისწვდება აუდიტორიუმს, ვერ გამოიწვევს მასში სოციალ ემოციებს, ვერ დააკავშირებს აუდიტორებს შექმნილ ხალხებს კოლექტიური განცდითა და გრძნობით, ვერ მოახდენს მასზე ამა თუ იმ გავლენას. ხელოვნების სხვა დარგში მორალის საკითხი არ სდგას ასე მკაცრად. კარგი ლექსი რომ გადმოგვცემდეს ზნეობრივად უმნიშვნელო საქციელს, მაინც სტოვებს ესთეტიურ კვალს, მუსიკა, რიტმიული ხმა, ყოველგვარი მორალური შემეცნების გარეშე, გვაძლევს ესთეტიურ განცდებს. ქანდაკება და ხუროთმოძღვრება მორალური საზომით ვერ განიხილება.

მართალია, ყოველი დარგის ხელოვნური ნაწარმოები ჰქმნის ერთგვარ ფსიქოლოგიურ ნალექს ადამიანში, განსაზღვრულის გზით ამუშავებს მის სულისკვეთებას, თვით შემოქმედებაც მტკიცედ ემყარება სოციალურ ფსიქოლოგიას, რომლის ნაწილია სოციალური მორალი. ბერძნული ქანდაკება სხეულის სილა მაზეს გამოხატავს. ბერძნებისათვის სხეულის სილამაზისადმი მისწრაფება თავდაცვის საჭიროებამ შექმნა და აქედან ამ თავდაცვისათვის მუდმივმა ვარჯიშობამ. ტანსაცმელი დაბრკოლება იყო ვარჯიშობისა და ამიტომ არენაზე ვაყები სავსებით შიშველი გამოდიოდნენ შეჯიბრების დროს. სპარტაში ქალებიც კი თითქმის შიშველდებოდნენ ვარჯიშობის დროს. ეს სილამაზე სხეულის, გამოწვეული სოციალ-პოლიტიკური პირობებით, საფუძვლად დაედო ბერძნულ ქანდაკებას.

საშუალო საუკუნეებში, როდესაც ეკლესიამ ჩაკლა ადამიანური გრძნობები, შეზღუდა ხელოვნება, ქრისტიანიზმმა მიწიდან ზეცას მიაპყრო მორწმუნეთა თვალები და მალალ სივრცეში ცქერით დააბნელა ადამიანთა გონება, ხუროთმოძღვრებაში გოტიური სტილის ტაძრები გაბატონდა, რომელთა ფართო და თვალუწვდენელი კედლები ზეცის სიმაღლისაკენ მოუწოდებდნენ საშუალო საუკუნეების ადამიანებს. გოტიურ სტილს წმინდა რელიგიური საფუძველი უდევს. ის საშუალო საუკუნის ფანატიზმის ესთეტიური განოსახვაა ხუროთმოძღვრებაში.

აბსოლიუტური მონარქიზმის ეპოქამ, გალალეზულ მეფეთა სულისკვეთებამ და არისტოკრატიულმა ფუფუნებამ როკოკოს სტილი გააბატონა. როკოკოში მოცემულია ფუფუნება და სიმდიდრის სიქარბე. აქაც ჩვენ ვხვდავთ, რომ კლასობრივმა ფსიქოლოგიამ შექმნა თავისი ხუროთმოძღვრება. დღესაც ბეტონის ნიადაგზე დამყარებული ხუროთმოძღვრება კაპიტალისტური ტექნიკისა და სულისკვეთების ფაქტს გამოხატავს.

ბურჟუაზიული მუსიკის მიერ მოცემული, არის განცდა სანტიმენტალური, მელანქოლიური, ან რაინდული, სამიჯნურო, კაეშნიანი და სხ.

დღეს რევოლიუციას სურს ჯანსაღი განცდა, რევოლიუციას უფრო შეემატება განცდები ჯანსაღი ელინის, ვიდრე დესპოტიური რომის, დამპყრობელი

პოლიტიკის მატარებლის, ტლანქისა და უხეშის, ან ქრისტიანიზმით გამოთავყვანდბულ საშუალო საუკუნეების გოტიური სტილის თუ როკოკოს, ან ბურჟუაზიული ხელოვნების ამორალიზმის, მელანქოლიისა და პესიმიზმის.

აშკარაა, რომ ხელოვნების ყოველი დარგი არსებულ საზოგადოების იდეოლოგიასა და ფსიქოლოგიას გამოხატავს, თავის შემოქმედებაში, სოციალური მორალის ელემენტებს იტევს, მაგრამ ისინი არ საკიროებენ მათში შემოქმედებაში კოლიზიას მორალის ნიადაგზე. მათი შემოქმედებისათვის საჭირო არ არის ადამიანთა დაპირისპირება, დრამა კი ამ დაპირისპირებისაგან წარმობდგება.

აქედან აშკარაა, თუ ჩვენ რატომ ვეძებთ დრამის კრიზისს მორალის კრიზისში.

გერმანელი პროფ. ე. შლუმბერგერი და თეატრის რუსი თეორეტიკოსი და კრიტიკოსი ა. კუგელი თეატრის კრიზისს მორალის კრიზისით ხსნიან. პირველის აზრით—„დრამის ფსიქოლოგია გალატაკდა მორალის დოგმატიკისა და კათეგორიული იმპერატივის შესუსტებით.“ მეორე სწერს—„ეთიკური მომენტი შეიძლება უარყოთ ხელოვნებისა და ლიტერატურის ყველა დარგებში, დრამის გარდა.“ სხვა საკითხია თუ როგორ ესმის ამ ავტორებს მორალის პრობლემა. არსებითად კი ერთი უდაოა: საზოგადოება ყოველთვის ემყარება მორალის დოღმატიკას და ეს დოღმატიკის სიმძაფრე ორგანიულ ეპოქებში ჰქმნის დრამის საფუძველს.

ამიტომ იმ ეპოქებში, რომლებშიც სოციალური მიწისძვრის ნიადაგზე იღეწება საზოგადოების მორალური შემეცნებანი, თეატრი დებრესიას, დაცემას განიცდის. ასე იყო საფრანგეთის რევოლუციის დროს. ასეა დღესაც. დღეს ჩვენ საუკეთესო თეატრები გვაქვს, მაგრამ ეპოქალური მაჯისცემისა და სულისკვეთების თეატრი კი არა გვაქვს. არა გვაქვს იმიტომ, რომ დღეს კიდევ არ არის სოციალისტური მორალი ბურჟუაზიულ მორალის ნაცვლად მოსული. საუკუნოებით მოცემული უფლებრივი და ზნეობრივი გრძნობები დაიწურა. მორალის ელასტიურობამ მოგვცა დრამის შინაგანი წინააღმდეგობის დრამატიულობის შემცირება. ძველი ფაქტები დრამატიულობის შემცველნი გაიცვითა ისტორიულ ქარიშხალში, ჩვენი გრძნობების ატროფიამ ვეღარ გაიგო მისი ტრაგიული მნიშვნელობა და ამ საფუძვლებზე დრამია აღმოცენება. ამით აიხსნება ლტოლვა კლასიკოსებისადმი, სადაც მორალური საფუძველი პირობითი სახითაა მოცემული წარსულ ეპოქის კონტექსტში. ისტორიულ პრიზმაში გადატანილი ზნეობრივი შემეცნებანი კიდევ წარმოადგენენ ინტერესს, დღევანდელ სინამდვილეში ისინი გაძარცვულნი არიან.

თეატრის კრიზისს, გამოწვეულს მორალის კრიზისით, ემატება თეატრის ტექნიკის ჩამორჩენილობა ცხოვრების ტექნიკისაგან.

თეატრის ტექნიკა მეტად მარტივი დარჩა დღემდე. თეატრის სცენა—მეტად ვიწრო. კ. სტანისლავსკი თავის წიგნში („ჩემი ცხოვრება ხელოვნებაში“) აღნიშნავს—რადიო-ელექტროობა, ათასგვარი სხივები ყველგან სასწაულს ჰქმნიან, მხოლოდ ჩვენთან, თეატრში კი არა, სადაც მათ შეეძლოთ განსაკუთ-

რებული სილამაზით გამოყენება და სამუდამოდ გაძევება თეატრიდან საზოგადოებრივი წებოიანი ფერებისა, კარდონის, ბუტაფორიის. ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ გორდონ კრევის მიერ სამხატვრო თეატრში „ჰამლეტის“ დადგმის დროს ამ რეჟისორის ფანტაზია და შემოქმედება ვერ აიტანა თეატრის ტექნიკამ, ვერ მოთავსდა სცენაზე, ამიტომ ვერ განხორციელდა გ. კრევის მიერ დასახული მხატვრული იდეა.



თეატრის კრიზისის ნაწილს შეადგენს მისი ტექნიკური ჩამორჩენილობა

თეატრის სცენა და მისი ტექნიკური საშუალებანი მეტად მცირეა საინტერესოდ, რომ მან შექმნას დაუსრულებელი ვარაციები მხატვრული კომპოზიციისა. აქედან გამომდინარეობს ნოდუნება, ნელი ტემპი თეატრალურ შემოქმედებაში. ცხოვრების ტემპი აჩქარდა, გამალდა, ცხოვრებაში ტექნიკამ და მეცნიერებამ ყველაფერი კენებაში და სრბოლაში მოიყანა, თეატრი კი ჩამორჩა ამ ტემპს. ვერ გაჰყვა სოციალური პიროვნების ფსიქოლოგიის დაუდგომლობას. გასაგებია, რომ დიდი მხატვარი გორდონ კრევი „ჰამლეტის“ დადგმისას სცდილობდა მოესპო ანტრაქტები და ფარდა. მაგრამ, სცენიური ტექნიკის ჩამორჩენილობის გამო, ეს ვერ შესძლო. ჩვენმა დიდმა მხატვარმა კოტე მარჯანიშვილმა „ჰამლეტის“ დადგმას განუვითარებელი ტექნიკის პირობებში ის გამოსავალი მოუნახა, რომ დეკორატიული მორთულობა დაუკავშირა სცენის ბრუნვას და შექსპირის ეპოქის თეატრისათვის შექმნილ „ჰამლეტში“, სადაც სცენა არ იცვლებოდა. თავისი დაუსრულებელი სურათები ისე გადააბა ერთმანეთს, რომ აუდიტორიის მოაშორა ანტრაქტები სურათებს შორის და სცენის ბრუნვის მომენტი სათანადო განწყობილების მუსიკით ამოავსო. ეს ორი ცდა აშკარა მაგალითია იმ გარემოების, რომ თეატრის ტექნიკა გასაქანს არ აძლევს თანამედროვე ცხოვრების რიტმსა და დინამიკას. ნიჭიერი რეჟისორები იტანჯებიან ამ ტექნიკით და ამა თუ იმ შემთხვევაში ამცირებენ იმ დიდ დეფექტს, რომელიც აქვს თეატრის ტექნიკურ დარგში, მაგრამ ვერც ერთი რეჟისორი სავსებით ვერ სძლევს ამ ფაქტს.

ხელოვნება საერთოდ, უფრო ნაკლებათ არის დამოკიდებული უშუალოთ საზოგადოების ტექნიკაზე, ვიდრე იდეოლოგიის სხვა დარგები. მაგ. მეცნიერება. ხელოვნების ზოგიერთი დარგი პოეზია, სიტყვა-კაზმული მწერლობა უფრო დამოკიდებულია ტექნიკის უშუალო გავლენას. ვიდრე ქანდაკება, ხურთმოდგობა, თეატრი. საზოგადოებრივ ტექნიკასთან უშუალო კავშირის მქონე ხელოვნების დარგი, როდესაც პარალელურად არ მიჰყვება საზოგადოებრივი ტექნიკის ზრდას, ველარ ახერხებს საზოგადოების თანამედროვე ცხოვრებასთან კონტაქტში ყოფნას. საზოგადოების ტექნიკა ცხოვრების ახალ სახეს ჰქმნის. საწარმოო ძალების განვითარება სამეურნეო ორგანიზაციების ფორმების ცვალებადობას იწვევს. ეს მეურნეობა ახალ სახეს აძლევს სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებას. ყოველივე ეს ერთად აღებული აყალიბებს ადამიანის ახალ ტიპს. ახალ სოციალურ ინდივიდს ახალი განცდებით, მსოფლმხედველობით, სულისკვეთებით. ერთი სიტყვით, იქმნება ეპოქის იდეოლოგია და ფსიქოლოგია. ხელოვნების ესა თუ ის

დარგი, რომელიც ველარ იყენებს ახალ ტექნიკურ მიღწევას, საზოგადოებას ველარ აძლევს ახალი იდეოლოგიისა და ფსიქოლოგიის შესაბამ ესთეტიურ ფენომენებს, ველარ სწვდება ის, განუვითარებელ, პრიმიტიულ ტექნიკაზე დაყრდნობით. განვითარებულ გაუმჯობესებულ ტექნიკაზე დამყარებულ ცხოვრებას. ამის დღეს თეატრის კრიზისის ერთი პირობა. რადიო და ელექტრონი შინ — საათიანი აქტები და ნახევარ საათიანი ანტრაქტები თეატრში. მატარებელი, მატარებელი ავტომობილი და ჰაერობლანი მიმოსვლისათვის — უმოძრაობა, უსუსურება, უსუსურებული მონოლოგები სცენაზე. ოთხი ხუთი საათის განმავლობაში მსოფლიო მნიშვნელობის მქონე მოძრაობანი, კაბინეტების კრიზისები, ომები და რევოლუციები ცხოვრებაში — ოთხი-ხუთი საათი ჯდომა თეატრში რომელიმე რომანის განსცენიურებისათვის. ამიტომ, თეატრი თავისი ტემპით, რიტმით, მოძრაობით, სულისკვეთებით დაშორდა ცხოვრების ტემპს, მის მაჯისცემას, ადამიანის დღევანდელ სულიერ სწრაფვასა და ხასიათს.

დროულია თუ არა თეატრის კრიზისი?

თეატრის კრიზისი დროულია. გარდამავალი პერიოდის აღმშენებლობითი ხანა აყალიბებს ახალ საზოგადოებრიობას, მიმავალს ზეკლასობრივი, სოციალისტური საზოგადოებისაკენ. გარკვევა ახალი ყოფის, შექმნა ახალ მორალურ-უფლებრივი გრძნობების საზოგადოებაში. გამტკიცება სოციალისტური ტენდენციის იდეოლოგიისა და ფსიქოლოგიაში გადასჭრის თეატრის კრიზისის უმთავრეს საფუძველს, მორალის კრიზისს. ახალი მიღწევები თეატრში, ახალი ძიებანი თეატრალურ შემოქმედებისათვის აუცილებლად მიიყვანენ თეატრის რეფორმატორებს მაღალი ტექნიკის გამოყენებამდეც. თეატრალური ფარდა, კულისები, ბუტაფორია და ტრაფარეტული, პრიმიტიული თეატრალური ტექნიკა ადგილს დაუთმობს თანამედროვე ტექნიკას, რაც თეატრს დაუახლოვებს ცხოვრების რიტმსა და ტემპს. თეატრი სოციალისტურ საზოგადოებაში, ზოგად ადამიანური მორალის და გრძნობების პირობებში, ალბათ მიიღებს გრანდიოზულ სახეს, რადგან თეატრი დააკავშირებს ყველა პიროვნებას, საზოგადოების ყველა წევრს, თავის ზოგად ადამიანური მორალური და სოციალური იდეებით. თეატრის საბოლოო კრიზისი, როგორც ხელოვნების გარკვეული დარგის, არაოდეს არ დადგება, რადგან როგორადაც არ უნდა შეიცვად ეს თეატრალური შემოქმედება, მასში მაინც რჩება მსახიობის შემოქმედების უშუალო ხასიათი ამთვისებელ აუდიტორიასთან, და აუდიტორიის ისეთი შემოქმედება შემოქმედზე, მსახიობზე, რომელიც ხელოვნების არც ერთ სხვა დარგს არ ახასიათებს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).



საერთაშორისო საკითხები

ანტი-საბჭოთა კამპანიის გაქლიერება

ამჟამად საერთაშორისო პოლიტიკური საკითხებით დაინტერესებულია ყველა ჩვენი მტრებიცა და მეგობრებიც. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ამჟამად შექმნილია მეტად მძიმე ატმოსფერო, რაც გამოხატავს ჩვენი საბჭოთა კავშირის დღევანდელ ურთიერთობას კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან. დღევანდელი მომენტი ავალებს საბჭოთა კავშირს მზად იყოს, დაიცვას ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარნი; ჩვენ ყოველ მხრივ უნდა ვეცადოთ წინ წავსწიოთ ჩვენი მეურნეობა, განვაფითაროთ საბჭოთა მშენებლობა, ხოლო ამავე დროს უნდა ვიდგეთ ჩვენი ქვეყნის საღარაჯოზე, რადგან საერთაშორისო მდგომარეობა ისე დაიხლართა, რომ ჩვენ უხრუნველყოფილი არა ვართ კაპიტალისტური სახელმწიფოების თავდასხმისაგან. დღევანდელ მომენტს აუცილებლად ახასიათებს ზოგიერთ კაპიტალისტური სახელმწიფოების მხრით მტრული განწყობილების ზრდა საბჭოთა კავშირის მიმართ; ამ მხრივ პირველ როლს თამაშობს ინგლისი. რით აიხსნება ეს გარემოება, რით აიხსნება ეს მტრული განწყობილება და ბრაზ-მორეული სიძულვილი, რომელსაც ებღა — 1927 წელში საბჭოთა კავშირის მიმართ იჩენენ? ეს აიხსნება ჩვენი საერთაშორისო გავლენის უეჭველი ზრდით, ჩვენი პოლიტიკური და სამეურნეო გავლენის ზრდით. ჩვენს მტრებს არ შეუძლიათ არ დაინახონ საბჭოთა კავშირის ასეთი ზრდა. მათ არ შეუძლიათ არ დაინახონ, რომ საბჭოთა კავშირის მეურნეობა მავრდება, რომ მას აქვს უდიდესი მიღწევები, როგორც პოლიტიკური თვალსაზრისით, ისე იმ მხრით, რომ მისი გავლენა თანდათან იზრდება დასავლეთ ევროპის მუშათა მასებზე და აღმოსავლეთის კოლონიურ ქვეყნებზე. ეს გარემოება — საბჭოთა რესპუბლიკების პოლიტიკური და სამეურნეო მდგომარეობის განმტკიცება ბუნებრივად იწვევს დაჩაჩანაკებულ კაპიტალისტური ქვეყნიერების მტრობასა და გაცოფებას. ძველი ქვეყანა ვერ შერიგებია იმ აზრს, რომ საბჭოთა კავშირი გიგანტიური ნაბიჯებით მიდის წინ და რამოდენიმე ხნის შემდეგ იდღესასწაულებს თავისი არსებობის ათი წლის თავს. ეს გარემოება, რომელსაც ნოაქვს სიკვდილი კაპიტალისტური ქვეყნისათვის,

იწვევს იმ გაცოდებას, რისი გამომხატველიც არის გამოსვლები ინგლისის შუბლ-
მაგარ კონსერვატორებისა, რომელნიც ყოველ ნაბიჯზე სცდილობენ ძირი გა-
მოუთხარონ საბჭოთა კავშირის სააღმშენებლო მუშაობას.

ჩემბერლენის ნოტა



ქართველნი

ამ მხრით, იმის დასახასიათებლად, თუ რას აკეთებენ ჩემბერლენის
განმავლობაში ინგლისელი კონსერვატორები, ჩვენ გვაქვს ისეთი ფაქტი, როგო-
რიც არის ინგლისის ნოტა და ორი ბანდიტური თავდასხმა, — ერთი პეკინში და
მეორე ლონდონში. სრულიად საკმაოა ამ ფაქტების გათვალისწინება, რომ და-
ვახასიათოთ ამ ხალხის დამოკიდებულება ჩვენდამი. რამოდენიმე ხნის წინად ჩვენ
მივიღეთ ჩემბერლენის ნოტა. ჩვენ შევეჩვიეთ ასეთ არამუსიკალურ ნოტებს,
რომელსაც, რასაკვირველია, სწერს არა კომპოზიტორი, არამედ კონსერვა-
ტორი ჩემბერლენი; მაგრამ ეს ნოტა წარმოადგენს უტიფრობის და საბჭოთა
კავშირისადმი თავხედური მოპყრობის სამაგალითო ნიმუშს. ამ ნოტაში საბჭოთა
კავშირის წინააღმდეგ წამოყენებული იყო სრულიად დაუსაბუთებელი ბრალდე-
ბები, თითქოს ჩვენ დიდი ბრიტანეთის იმპერიის წინააღმდეგ გამოვიდოდეთ.
„ჩვენ წინააღმდეგ გამოდიან პოლიტიკური ნომხსენებლები, საბჭოთა ბეჭდვითი
სიტყვის ორგანოებში თავსდება ესა თუ ის წერილები, რომელიც მიმართულია
ინგლისის კონსერვატორებისა და მინისტრების წინააღმდეგ, ყველაფერი ეს ჩვენ
არ მოგვწონსო“, — ეს იყო ნათქვამი ამ არამუსიკალურ ნაწარმოების პირველ ნა-
წილში. ნოტის მეორე ნაწილში გადაკვრით იყო აღნიშნული, რომ, თუ გაგრძელ-
დება ასეთი მდგომარეობა, ეს გამოიწვევს საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური
ურთიერთობის შეწყვეტასო. ეს იყო ერთგვარი მუქარა საბჭოთა კავშირის
მხმართ.

ჩვენ ვუპასუხეთ, რომ საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია პასუხი აგოს ცა-
ლკე ამხანაგების გამოსვლის შესახებ, რადგან ყველას ნება აქვს გამოვიდეს ისე,
როგორც მას საჭიროდ მიაჩნია და გამოსთქვას თავისი აზრი ინგლისის მმართვე-
ლობის სისტემაზე. ჩვენ არ შეგვიძლია აღუკრძალოთ ჩემბერლენს, ბოლდუინს
და სხვადასხვა ხიკსებს იქონიონ აზრი საბჭოთა კავშირის შესახებ. ეს არ წარ-
მოადგენს საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში ჩარევას. როდესაც შეიქნა ლაპა-
რაკი დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ, ჩვენ მაშინვე განვა-
ცხადეთ, რომ ამით არ შეიძლება საბჭოთა კავშირის დაშინებაო. სხვა საქმეა,
თუ თვით ინგლისს სურს სცადოს, დეე სცადოს, თუ კი ეს ხელსაყრელია ინგლი-
სის ხალხისათვის, თუ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტა მოუხდება
ინგლისის ინტერესებს, — ეს თვით ინგლისის საქმეა. დეე ამისათვის პასუხი თვით
მანვე აგოს, მანვე იკისროს მთელი პასუხისმგებლობა. საბჭოთა კავშირს სრულე-
ბითაც არ აინტერესებს და არ სწადია გაამწვაოს ვისმესთან, კერძოდ ინგლის-
თან, ურთიერთობა. ამ მხრივ ჩვენ საკადრისი პასუხი გავეცით ჩემბერლენის
ნოტას.

ჩან-ძო-ლინის პროვოკაცია

მაგრამ ამის შემდეგ ინგლისის იმპერიალისტების ხრიკები და რიგები მანც არ შეწყვეტილა. ამ ცოტა ხნის წინად ადგილი ჰქონდა თავდასხმას ჩვენს საელჩოზე პეკინში, თავდასხმას, რომელიც მოაწყო ჩინეთის პოლიციამ და რომელსაც ხელმძღვანელობდა გენერალი ჩან-ძო-ლინი. ეს არის მას შემდეგ მოხდისო წესების აღმაშფოთელი დარღვევა, მაგრამ ჩვენ ეს არ გვაქვს რეზონანსი. ჩვენ უფრო უარესს უნდა მოველოდეთ ხუნხუზ ჩან-ძო-ლინისაგან, რომელსაც აქვს ბედნიერება და ამხნევებდენ დიპლომატიური კორპუსი და ყოველი ჯურის იმპერიალისტები. ჩვენი მთავრობა პროტესტს აცხადებდა ასეთ გაუგონარ თავდასხმის წინააღმდეგ, მაგრამ ამავე დროს კარგად ესმოდა, თუ რად დასჭირდა ჩან-ძო-ლინს ასეთი თავდასხმა: მას სურდა ჩვენი საბჭოთა კავშირი დაემცირებია ჩინელი ხალხის თვალში, გამოეცხო ყალბი დოკუმენტები და საყვირით ეცნობებია მთელი ქვეყნისათვის, რომ საბჭოთა საელჩოში აღმოჩენილია ასეთი და ასეთი დოკუმენტები, რომ მოსკოვს სწადია ჩინეთში გამოიწვიოს რუსული რევოლუციაო. ერთის მხრივ ეს, მეორე მხრივ კი იმპერიალისტებს უნდათ პროვოკაციული ფანდი გაგვიკეთონ და ომში ჩაგვითრიონ. ჩან-ძო-ლინთან ომის გამოცხადება აუცილებლად გამოიწვევს იაპონიის ჩარევას, რაც შეიძლება საერთაშორისო ომის საბაბი გახდეს. ამ თავდასხმის მიზანი იყო საბჭოთა კავშირის საომრად გამოწვევა, მაგრამ საბჭოთა მთავრობა არას გზით ამ პროვოკაციაზე არ წამოეგება.

ჩვენმა მთავრობამ განაცხადა, რომ მას ჩინელ ხალხთან აქვს საუკეთესო ურთიერთობა და ჩვენთვის ზედმეტია ავჯვეთ პროვოკაციას, რომელსაც აწყობენ ინგლისისა და ჩინეთის მოსყიდული პირები.

თავდასხმა ლონდონის საბჭოთა წარმომადგენლობაზე და ურთიერთობის შეწყვეტა

ამ ამბის შემდეგ, ამ დღეებში მოხდა მეორე თავდასხმა არკოსზე და ჩვენს სავაჭრო დელეგაციაზე ლონდონში. ეს უცარი თავდასხმა მოახდინა არა ჩინელმა ხუნხუზმა ჩან-ძო-ლინმა, არამედ ინგლისის მთავრობის შუბლმაგარმა კვალიფიციურმა წარმომადგენელმა—შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯ. ხიკსმა. როდესაც მას ჰკითხეს, რაშია საქმეო, მან განაცხადა, რომ გასცა ორდერი ჩბრეკის მოსახდენად, რადგან მსურდა მნიშვნელოვანი დოკუმენტების პოვნაო, აქედან ცხადათ სჩანს, რომ ყალბი დოკუმენტების წარმოებისა და ფაბრიკაციის სისტემა გრძელდება. პეკინში მოახდინეს თავდასხმა და მხოლოდ სამი კვირის შემდეგ დაიწყეს დოკუმენტების გამოქვეყნება ცხადია, რომ სამი კვირის განმავლობაში შეიძლება რაც გინდა დოკუმენტების და ყალბი ქაღალდების გამოცხობა. მარცხით დამთავრებული პეკინის ცდის შემდეგ, ლონდონში მოწყობილ თავდასხმის დროს, პოლიციამ მაშინვე, საელჩოს შენობიდან გამოსვლამდე, მოინდომა დოკუმენტების აღმოჩენა და განხილვა. პოლიცია მოქმედობდა ყოველად უწყესოდ და მივიდა იქამდე, რომ, საბჭოთა წარმომადგენლების მიერ გა-

საღების მიცემაზე უარის თქმის შემდეგ, გასტეხა სეიფები და დაიწყო ხელის ფათური ქაღალდებში. აი, როგორ ბანდიტურ თავდასხმას ქონდა ადგილი ლონდონში.

ინგლისის მთავრობის სულიერი განწყობილება ისეთია, თითქოს არაფერი განსაკუთრებული რამ არ მომხდარიყოს, რადგან ამხ. ხინჩუკი, ჩვენი სავაჭრო წარმომადგენელი, თუმცა სარგებლობს პირადი ხელშეუხლებლობით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამხ. ხინჩუკის ხელშეუხლებლობა ფრთხილად მის შენობასა და ქაღალდებზე. საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ახლო მდგომი გაზეთი „დეილი-ტელეგრაფ“-ი სწერს: „სავაჭრო შეთანხმების ერთ-ერთ მუხლში აღნიშნულია, რომ ხელშეუხლებლობის უფლებას, რომლითაც სარგებლობს საბჭოთა სავაჭრო აგენტი, აქვს წმინდა პირადი ხასიათი და ის არ წარმოადგენს სრულს დიპლომატიურ ხელშეუხლებლობას ამ ტერმინის ჩვეულებრივი გაგებით“. ამხ. ხინჩუკი სარგებლობს პირადი ხელშეუხლებლობით, მაგრამ ეს ხელშეუხლებლობა არ ვრცელდება მის მოსამსახურეებსა და მის მიერ დაკავებულ შენობაზე. აი განმარტება, რომელიც შეეფერბა შუბლმაგარ და ჭკუაბლაკვ კონსერვატორებს. პირადათ ამხ. ხინჩუკი სარგებლობს ხელშეუხლებლობით, მაგრამ თუ მას აქვს ქაღალდები, სეიფები, შიფრები და სხვა, შეიძლება მის შენობაში შეჭრა და ქაღალდებში ხელის ფათური, და ამას ჰქვია თავაზიანობის საერთაშორისო წესები.

ინგლისის მთავრობამ მოაწყო ვერავალი თავდასხმა საბჭოთა კავშირზე და ეხლა სწარმოებს „იდეოლოგიური“ მუშაობა ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკის დასაინკირებლად. არკოსი იყო სავაჭრო ორგანიზაცია. არკოსის საშუალებით ჩვენ ინგლისთან ვაწარმოებდით რამოდენიმე ასი მილიონი მანეთის ვაჭრობას. თუ მათ აღარ ნებავთ გააგრძელონ ჩვენთან ვაჭრობა, თუ მათ სურთ ამ სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტა, ჩვენ ამოვარჩევთ სხვა რაიონს ვაჭრობის საწარმოებლად.

ინგლისის პარლამენტმა ხმების უმრავლესობით მიიღო დადგენილება ყოველგვარი ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ საბჭოთა კავშირთან.

ასეთი დადგენილება იმოქმედებს საერთაშორისო ძალთა განწყობილებაზე.

ინგლისის მთავრობის ასეთი მოქმედება ჩვენთვის არ იყო მოულოდნელი. ინგლისის შუბლმაგართა მთავრობა დიდი ხანია მოითხოვდა ამას, მაგრამ მთავრობის შემადგენლობაში იყო ზომიერი ფრთა. ეხლა, როგორც სჩანს, ეს ფრთა მიემხრო კაბინეტის დანარჩენ წევრებს.

ინგლისის მთავრობა დიდი ხანია ემზადებოდა ამისთვის, მაგრამ აქამდე ვერ მოახერხა ეს. იგი ეძებდა მოკავშირეს, მაგრამ ვინაიდან მოკავშირე ვერ იპოვა, გადაწყვიტა დამოუკიდებლად ემოქმედა.

ურთიერთობის გაწყვეტა ნიშნავს მზადებას ომისათვის პირველი პროლეტარული სახელმწიფოს წინააღმდეგ. ბალდუინმა განაცხადა, რომ ჩვენ, მართალია, ვწყვეტთ სავაჭრო ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან, მაგრამ რუსეთს შეუძლია ივაჭროს ინგლისის ცალკე ფირმებთან. რისთვის დასჭირდა მას ეს? იმისათვის, რომ გაექარწყლებია ამ ნაბიჯის შთაბეჭდილება საქმიან წრეებში,

რომლებსაც უნდოდათ ჩვენთან ვაჭრობა და, რომლებსაც განზრახული ჰქონდათ ჩვენთვის კრედიტების მოცემა. მაგრამ ბალდუინის განცხადება არ არის მართალი. როდესაც ჩვენი წარმომადგენლობა დასტოვებს ლონდონს, ინგლისთან ვაჭრობა შეუძლებელი იქნება.

რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ ჩვენ ურთიერთობის გაწყვეტიდან? კლასიკურიველია ეს ართულებს ჩვენს მდგომარეობას. შეიძლება ჩვენს კლასიკურ ვერ განვაფიქროთ ჩვენი ვაჭრობა, როგორც ეს აქამდე იყო, მაგრამ ურთიერთობის გაწყვეტით უფრო იზარალებს ინგლისი.

ამას გარდა ურთიერთობის გაწყვეტა აძლიერებს ომის მომხრეებს. ამიტომ ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ ის მშვიდობიანობის პოლიტიკა, რომელსაც აქამდე ვატარებდით. ამასთანავე ყველა ჩვენგანი სადარაჯოზე უნდა იდგეს. უნდა გავაძლიეროთ წითელი არმია და წითელი ფლოტი.

მიუხედავად შექმნილ მდგომარეობისა, მაინც უნდა განვაცხადოთ, რომ იგი არ არის ისეთი, რომ ჩვენ პესიმაზმს მივეცეთ. არავინ არ უნდა იფიქროს, რომ ურთიერთობის გაწყვეტა ეს ჩვენი დამარცხებაა, რადგან ეს, უპირველეს ყოვლისა, თვითონ ინგლისის პოლიტიკის დამარცხებაა.

როგორი პოზიცია დაიჭირეს ამ საკითხში ინგლისის მენშევიკებმა — ინგლისის მუშათა პარტიამ. მათ წინადადება შეიტანეს პარლამენტში, რომელშიაც აცხადებენ, რომ მთავრობას პრინციპალობად უნდობლობას არ უცხადებენ, მაგრამ მოითხოვენ კომისიის გამოყოფას საკითხის შესასწავლად. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ ინგლისის მენშევიკები, ეს გამოცდილი მოლაპატეები და გამცემლები, გვერდში ამოუდგენ შუბლმაგარ კონსერვატორების მთავრობას და ხელი მოაწერეს საზიხლარ აქტზე, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

მდგომარეობა ჩინეთში

მეორე საკითხი, რომელიც ახასიათებს საერთაშორისო მდგომარეობას და რომელიც, ცხადია იწვევს ინგლისის კონსერვატორების გააფთრებას, არის საკითხი ჩინეთის მდგომარეობის შესახებ.

ეხლს, არსებითად რომ ვსთქვათ, ჩინეთში ხდება ინტერვენცია, თუმცა კაპიტალისტები ამის შესახებ არაფერს ამბობენ. იქ ხდება ნამდვილი ინტერვენცია და ჩინეთის საემეებში უხეში ჩარევა. როგორ ტარდება ეს ინტერვენცია? იქ ამჟამად თავმოყრილია უცხოეთის ჯარები, როგორც ხმელეთის სამხედრო ნაწილები, ისე საზღვაო და საჰაერო ფლოტი. გარდა ამისა, იმპერიალისტებს სურთ ჩრდილოელი მილიტარისტების — ჩან ძო-ლინისა და სხვა გენერლების დახმარებით გაანადგურონ ჩინეთის რევოლუცია. უნდა აღინიშნოს, რომ ინტერვენციისა და სამხედრო ჩარევის საკითხში იმპერიალისტებს შორის არავითარი უთანხმოება არ არსებობს. მაგრამ დეტალებში მათი ინტერესები ერთმეორისაგან განსხვავდება და, როცა იწყება ლაპარაკი ჩინეთზე ამა თუ იმ სახელმწიფოს გავლენის შესახებ, იმის შესახებ, თუ ვინ უნდა იკისროს ჩინეთის „მზრუნველობა“, შესამჩნევი ხდება შეუთანხმებლობა მათ შორის. ასე, მაგალი-

თად, ინგლისის მთავრობას პირველი ნოტის შემდეგ უნდოდა საგარეო საქმეთა მინისტრ ევგენი ჩენისათვის გაეგზავნა მეორე ნოტა, მაგრამ ეს მან ვერ შესძლო, რადგან მის ასეთ განზრახვას წინააღმდეგობა გაუწიეს სხვა სახელმწიფოებმა — იაპონიამ, ამერიკამ, საფრანგეთმა, რომელთაც არ ისურვეს ხელი მოეწერათ მეორე ნოტისათვის. მიუხედავად ამისა, ფაქტი მაინც ფაქტად რჩება: ერთი მხრით იმპერიალისტები ეხმარებიან ჩრდილოეთის ქვეყნებს იმ მიზნით, რომ გაანადგურონ ჩინეთი, ხოლო მეორე მხრიდან ეხმარებიან მოლაღატე ჩან-კაი-შის იმ მიზნით, რომ შიგნით გაბრწყინდეს რევოლუცია.

უკანასკნელად ისინი იმედებს ამყარებდნენ ჩან-კაი-შზე. მოახერხებს თუ არა ჩან-კაი-ში იმპერიალისტების მიერ დაკისრებულ ამოცანების შესრულებას? ყველა ცნობები, რომელიც ხელთა გვაქვს, ამბობენ, რომ ჩან-კაი-შის საქმე წაგებულა, რომ მან ვერაფრის გაკეთება ვერ მოახერხა. რაში მდგომარეობდა ჩან-კაი-შის ამოცანები? მას სურდა გაეგრძელებია ეროვნული რევოლუციის საქმის კეთება ერთი მხრივ, მას სურდა გაეგრძელებია ბრძოლა ჩრდილოეთის — ჩან-ძო-ლინის წინააღმდეგ, და, მეორე მხრით, მას სურდა ანგარიში გაესწორებია კომუნისტებთან, გომინდანის შემარცხენე წევრებთან, რომელიც, მისი აზრით, არეუ-დარევას იწვევენ ჩინეთში. მას სურდა ბრძოლის წარმოება ორ ფრონტზე, მაგრამ მან ეს ვერ შესძლო. მას იმედი ჰქონდა, რომ მისი წასვლის შემდეგ მის კვალს გაჰყვებოდნენ ნრავალრიცხოვანი მასები, რომ იგი შესძლებდა ისეთი სახელმწიფოებრივი ძალაუფლების შექმნას, რომელიც დაშლიდა გომინდანის შემარცხენე ფრთას, მაგრამ ჩან-კაი-ში მოსტყუვდა, რადგან გომინდანის ცეკას უმრავლესობა არ გაჰყვა მას, კანტონის მთავრობის უმრავლესობა შერჩა თავის თანამდებობას და გამოაცხადა იგი მოლაღატედ. აი რატომ გახდა იგი იძულებული გამოეცხო პარალელური მთავრობა და პარალელური გომინდანი. იგი ფიქრობდა, რომ დიდ დახმარებას პოულობდა ჩინელ მოსახლეობაში, მაგრამ ეს არ მოხდა და იგი აღმოჩნდა სრულიად მოშლილი, გზააპნეული; ჯარი, რომელიც ჩან-კაი-შის ანგარიშით, მას უნდა გაყოლოდა, მიემხრო ფინუი-სიანს — უხანის მთავრობის წარმომადგენელს. აი რატომ მოხდა ჩან-კაი-შის მთავრობის პოლიტიკური და სამეურნეო დეზორგანიზაცია. აი რატომ ვერ გამოიწვია მოლაღატე ჩან-კაი-შის გამოსვლან უხანის მთავრობის მუშაობაში დიდი დეზორგანიზაცია. მართალია, ერთგვარი შეფერხება მოხდა, მაგრამ უხანის მთავრობა მაინც განაგრძობს თავის მოქმედებას. უხანის მთავრობის წინაშე დადგა კითხვა: განაგრძოს შეტევა ჩრდილოეთის წინააღმდეგ, თუ შეეხება ჩან-კაი-შის? მთავრობამ გადასწყვიტა შეტევის გაგრძელება და ჩინეთის დედა-ქალაქის აღება. ჯერ-ჯერობით ეს ამოცანა საკმაოდ წარმატებით სრულდება. უკანასკნელი ცნობები იუწყებიან იმის შესახებ, რომ უხანის ჯარები სწრაფად მიიწვევენ პეკინისაკენ. სხვათა შორის, ბოროდინი, რომელიც ჩინეთის საკითხში ავტორიტეტს წარმოადგენს, აცხადებს, რომ სამი თვე საკმაოა პეკინის ასაღებათ. ასეთივე განცხადება გააკეთა სუნიატ-სენის შეილმა, სუნ-ფუმ, რომელიც ამბობს, რომ ჩან-კაი-შის მთავრობის საქმე წახდა, რომ ჩან-კაი-შის ბედი უკვე

გადაწყვეტილია, რომ უხანის მთავრობა წარმატებით მიიწევს წინ პეკინისაკენ.

პროგრამის ნაწილი უკვე შესრულებულია. ჩან-კა-ში უკან იხეხეს და ისევ ელაქუცება უხანის მთავრობას. ჟურნალისტთან საუბარში ჩან-კა-შიმ განაცხადა, რომ იგი მეტად სთვლის შეიარაღებულ ბრძოლას უხანის მთავრობასთან. შეიძლება ეს განცხადება ერთგვარ ანკესს წარმოადგენდეს, რომელსაც ჩან-კა-ში მიმართავს იმ მიზნით, რომ ჭკუით მოატყუოს უხანის მთავრობა, მასვე დროს, ჩვენ ვიცით, რომ ჩან-კა-შის გზაკვალი აებნა, ის ჩაეფლა წინააღმდეგობებში: მას ძალასა და პათოსს აძლევდა ის გარემოება, რომ ის იყო ეროვნული გმირი, იბრძოდა ჩრდილოეთის მთავრობის წინააღმდეგ, მოიპოვა ერთგვარი ავტორიტეტი და ეხლა, როცა ის გადაბარგდა ბურჟუაზიის ბანაკში, მას არ შეუძლია სთქვას, რომ ის არის უხანის მთავრობის მტერი. იმისათვის, რომ შეინარჩუნოს თავისი ავტორიტეტი, იგი ელაქუცება რევოლიუციას.

რაც არ უნდა გაცხარდენ და გააფთრდენ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა წარმომადგენლები, ისინი ვერ შესძლებენ 400 მილიონიანი ხალხის წინააღმდეგობის მოდრეკას, — პეკინი აღებული იქნება უხანის მთავრობის ჯარების მიერ. ამ ახლო მომავალში.

ეკონომიური კონფერენცია

ჟენევის კონფერენციაზე გამგზავრების საშუალება ჩვენ მოგვეცა მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანებში, როცა ბოლო მოელო შევიცარიასთან ჩვენს კონფლიქტს, რომელიც დაიწყო 23 წლიდან ამხ. ვოროვისკის მკვლელობის შემდეგ. შევიცარიის მთავრობას არ სურდა ოფიციალურად გამოეცხადებია მწუხარება ამხ. ვოროვისკის მკვლელობის გამო. საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ ვიდრე შევიცარია არ შეასრულებს ჩვენს მოთხოვნას, მანამდე მას გამოცხადებული ექნება ბოიკოტი და არც ერთ კონფერენციაზე საბჭოთა მთავრობა თავის წარმომადგენლებს არ ვაგზავნის. ოთხი წლის შემდეგ შევიცარიის მთავრობამ თვითონ მოიხადა ოფიციალურად ბოდიში საბჭოთა მთავრობის წინაშე და ამით კონფლიქტი ამოიწურა. ეს დათმობა მოასწავებს შევიცარიის მთავრობის ერთგვარ სისუსტეს და აიხსნება იმ გარემოებით, რომ ბურჟუაზიას მაინც სურდა საბჭოთა წარმომადგენლების დასწრება ამ კონფერენციაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ისინი ავინებენ საბჭოთა მთავრობას, ისინი ვრძნობენ, რომ ჩვენი წარმომადგენლების გარეშე ვერ შესძლებენ მთელ რიგ ეკონომიური საკითხების გადაწყვეტას. ისინი შეეცადენ კონფლიქტის ლიკვიდაციას და ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი ჩვენი დელეგატების ამხ. ოსინსკის, სოკოლნიკოვის და სხ. დასწრება კონფერენციაზე. ჩვენი წარმომადგენლები გამოვიდნენ ამ კონფერენციაზე. გაზეთებიდან ვიცით, რომ კონფერენცია მოდუნებულად და უფერულად მიმდინარეობს; კაპიტალისტების მიერ მოწვეულ სხვა მრავალ კონფერენციების მსგავსად, ჟენევის კონფერენციას არ შეუძლია საგრძნობი შედეგების მოცემა იმიტომ, რომ თვით იმპერიალისტებს შორის დაიწყო უთანხმოება და განხეთქილება. ამ კონფერენციაზე ინგლისსა და საფრანგეთს შორის დაიწყო უთანხმოება მთელ რიგ საკითხებში, რომლებშიაც მათ ვერ

შესძლეს შეთახმება. რაც შეეხება ჩვენს წარმომადგენლებს, მათ ენევის კონფერენცია გამოიყენეს, როგორც საერთაშორისო ტრიბუნა იმისათვის, რომ განემარტათ საბჭოთა მთავრობის შეხედულებანი მთელ რიგ ეკონომიურ და პოლიტიკურ საკითხებზე, გაეშუქებიათ მსოფლიო მეურნეობისა და საბჭოთა კავშირის მეურნეობის მდგომარეობა. მათ განაცხადეს, რომ ჩვენი მეურნეობის სოციალისტური სისტემა კაპიტალისტურ სისტემაზე მაღლა დგას, რასაკვირველია, ძნელია ყველა ბურჟუაზიული სახელმწიფოებზე წარმოვიდგინოთა წინაშე ერთად-ერთი სოციალისტური ქვეყნის თვალსაზრისის დაცვა და სოციალიზმის უპირატესობის მტკიცება კაპიტალიზმთან შედარებით; სასაცილოა ფიქრი იმისა, რომ შეიძლება ისინი ჩვენ დაგვეთანხმონ. თავს ნუ მოვიტყუებთ იმედებით, რომ ლუშერები და ჟუოები, რომელნიც ცოხნიან ძველ ჭეშმარიტებებს, შეიძლება დავაჯეროთ და დაუმტკიცოთ სოციალისტური სისტემის უპირატესობა; ჩვენ ეს არც გვინდა. ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მთელ მსოფლიოს გავაცნოთ ჩვენი პოლიტიკის საფუძვლები, რომელმაც სოციალიზმის სისტემა მიიყვანა მთელ რიგ ბრწყინვალე გამარჯვებამდე.

1922 წელში, ე. ი. ხუთი წლის წინედ, გენუის კონფერენციაზე შეიკრიბა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა წარმომადგენლების თითქმის ასეთივე შემადგენლობა, რომელნიც ამბობდნენ, რომ დავილუპებით, რომ ვერავითარი ახალი ეკონომიური პოლიტიკის განხორციელებას ჩვენ ვერ შევსძლებთ, ვინაიდან ახალი ბურჟუაზია ჩვენ შეგვჭამს, მაგრამ გავიდა 5 წელი და საბჭოთა კავშირის წარმომადგენელთ, რომელსაც კაპიტალისტებმა დალუპვა უწინასწარმეტყველეს, აქვთ შესაძლებლობა გამოააშკარავონ თავისი მიღწევანი და წარმატებანი, რომელთა უარყოფა არავის შეუძლია. როცა ამხ. ოსინსკიმ დაახასიათა ჩვენი საერთო პროგრამა მეურნეობის საკითხების შესახებ, გამოვიდა კაპიტალისტური მსოფლიოს ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი ლუშერი და განაცხადა, რომ ამხ. ოსინსკის მიერ წამოყენებულ თეორეტიულ დებულებებზე მე არ მსურს ლაპარაკი, ვინაიდან ეს შორს წაგვიყვანს და ამ საკითხის განხილვა გამოიწვევს დავას იმის შესახებ, თუ რომელი სისტემა სჯობია—სოციალიზმი თუ კაპიტალიზმი: მან სთქვა რომ იგი შეეცდება გვერდი აუხვიოს ამ საკითხს და დაიწყოს ჩვეულებრივი კაპიტალისტური ხასიათის დეკლარაცია.

ამხ. ოსინსკის მოხსენების გამო გამოვიდა რეფორმისტი ჟუო, ერთ-ერთი საერთაშორისო მენშევიკი და სთქვა, რომ თუ სოკოლნიკოვი და ოსინსკი მოვიდნენ კონფერენციაზე და სურთ თანამშრომლობა და კაპიტალისტურ სისტემასთან ურთიერთობის მოგვარება ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირმა ხელი აიღო მსოფლიო რევოლიუციაზეო. მაგრამ არა მარტო საზღვარგარეთელი მენშევიკები, არამედ ჩვენი ქართველი ნახევრად—მენშევიკები, როგორც მაგალითად, სეით დევიდარიანი, სიზმარშიაც კი ხედავენ, რომ ბოლშევიკებმა შესცვალეს თავისი ბუნება, მაგრამ ისინი ამას ვერ მოესწრებიან, ეს ნომერი არ გავათუ ჟუომ ეს ვერ შეიგნო, სამაგიეროდ კაპიტალისტური მსოფლიოს სხვა წარმომადგენლებმა საუცხოვოდ შეიგნეს. უცხოეთის პრესა ამბობს, რომ ამ ბოლ-

შევიკებისაგან არაფერი გამოვა, რომ მათ არ სურთ ხელი აიღონ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის პრინციპზე, არ უნდათ ვალების გადახდა და სხ.

ამგვარად, ბურჟუაზიულ განათებას აღარ აქვთ ის იმედები, რომლითაც იკვებება დღემდე ეუო და სხვა პატარა მენშევიკები, მათ აღარ აქვთ ბოლშევიკების ბუნების შეცვლის იმედები. ამხ. ოსინსკი და სოკოლნიკოვი იმით კი არ წასულან ენევაში, რომ ლამაზი სიტყვები წარმოსთქვან და ამით, რომ შესცვალონ საბჭოთა ხელისუფლების ბუნება, არამედ მხოლოდ იმით, რომ გაეცნოთ მათთვის ჩვენი მწყობრი პროგრამა, რომლის შესრულებაც ხელს შეუწყობდა მშვიდობიანობის განმტკიცებას. კაპიტალისტები ფიქრობენ, რომ მშვიდობიანობის განმტკიცება ხელს შეუწყობს ერთა ლიგას და ბევრს გაჰკვივან იმის შესახებ, რომ ბოლშევიკები მოვიდნენ კონფერენციაზე, მაგრამ არ უნდათ ერთა ლიგაში შესვლა. ჩვენ ვამბობთ, რომ ერთა ლიგა დაინტერესებულია იმაში, რომ გაანაწილოს ნაძარცვი, ჩვენი კი, საბჭოთა სინდისიერ ხალხს არ გვინდა ჩავერიოთ ამ საქმეში. ჩვენთვის საჭირო არაა მონაწილეობის მიღება ამ ერთა ლიგაში. რაც შეეხება საგარეო ვაჭრობის მონოპოლიას, ჩვენ მონოპოლიაზე ხელს ვერ ავიღებთ, ვინაიდან იგი საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი საფუძველია.

თუ იმპერიალისტებს სურთ ჩვენთან შეთანხმება და ვაჭრობის გაფართოება, ეს შეიძლება კონცესიების გზით და უცხოელთათვის სხვადასხვაგვარი შეღავათების მიცემის გზით, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ხელი ავიღოთ საბჭოთა ძალაუფლების პრინციპზე. ზოგიერთი სახელმწიფოები აცხადებენ სურვილს, რომ მეგობრული ურთიერთობა დაამყარონ ჩვენთან. არის ცნობები, რომ ამერიკას სურს სავაჭრო ურთიერთობის გაფართოება ჩვენთან. მთელი რიგი სახელმწიფოებისა, როგორც მაგ., გერმანია და ავსტრია, თანახმა არიან მოგვცენ კრედიტები და გვაძლევინ კიდევ. თუ ამ გზით წავლენ სხვა ბურჟუაზიული სახელმწიფოები, ჩვენ ამაზე უარს არ ვიტყვით, ვინაიდან კრედიტების მოცემით ისინი მოგვცემენ საშუალებას განვამტკიცოთ ჩვენი მრეწველობა, მაგრამ თუ ისინი ბოიკოტს განოუცხადებენ საბჭოთა კავშირს, ამით ვერავითარ სარგებლობას ვერ მიიღებენ. ამგვარად ჩვენი პოლიტიკა საერთაშორისო ურთიერთობის დარგში მშვიდობიანობისაკენ მისწრაფებაში მდგომარეობს. ჩვენ უნდა მივიღოთ ყოველგვარი ზომები ომის თავიდან ასაცილებლად, მაგრამ ამასთან ერთად მზად უნდა ვიყუეთ, ვინაიდან ჩვენ არა ვართ უზრუნველყოფილი კაპიტალისტური სახელმწიფოების მხრივ თავდასხმისაგან. ამიტომ, მშვიდობიანობისაკენ მისწრაფებასთან ერთად ჩვენ უნდა განვამტკიცოთ ჩვენი წითელი არმია, წითელი ფლოტი და ყოველთვის ვიყოთ მზად.



ეროვნულ კულტურის საკითხისათვის

(პასუხად ამხ. ვაგანიანის წიგნის „ეროვნულ კულტურის შესახებ“).

კულტურის აღმშენებლობის საკითხები თანდათან პარტიის მეტ ყურადღებას იქცევა. ვასაგებია, რომ ამოცანა მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოოპერაციისა გადაუჭრელი იქნება, თუ მხარე თანდათან კულტურულად არ ამალღდა, სწრაფად წინ არ წაიწია და არ გადაიტანა „კულტურული რევოლუცია“, თუ არ გაიკაფა კულტურულ განვითარების სოციალისტური გზა. კულტურის მშენებლობის ამოცანები განსაკუთრებით რთულია ნაციონალურ რესპუბლიკათა და ოლქთა პირობებში.

ამხ. ვაგანიანის წიგნი „ეროვნული კულტურის შესახებ“ იმისათვის იპყრობს ყურადღებას, რომ მასში წამოჭრილია კულტურის საკითხები ნაციონალურ რესპუბლიკის პირობებში, — საკითხები ეროვნულ კულტურისა, ამიტომ უფრო მკაფიოდ უნდა გამოვეყოთ, რაც შემცდარია და სადავოა ამხ. ვაგანიანის წიგნში.

ნების პერიოდში ჩვენი ეკონომიკის კაპიტალისტური ელემენტები თავის გამობატულებას კპოებს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ პოლიტიკურ ტენდენციების ერთგვარს აღორძინებასა და განახლებაში. მისი მატარებელი — ნეპმანი, კულაკური სოფელი, ახალგაზრდა ინტელიგენციის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია ამ ბურჟუაზიულ ზედაფენასთან, ნაწილობრივ ბურჟუაზიულ ინტელიგენციის ძველი წარმომადგენლები არიან.

ეს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ტენდენციები იღებს ნაციონალისტურ ელფერს და ამით ცდილობს ნიღაბი აიფაროს. ასეთია **უსტრიალოვშიჩინა**, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების „ალიარების“ დეკლარაციის შემდეგ საკმაოდ მალე დარწმუნდა უკანასკნელის კლასობრივ არსებობაში, გადაშალა თავისი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პოზიციები და გამოაჩინა თავისი ნამდვილი რუსული ნაციონალისტური სახე. ასეთია ბელორუსიაში **листопадовщина** — ინტელიგენციის პაწაწინა ჯგუფი, უღონო თავისი მოქმედებით და არსებით სიმპტო-

მატიური, გასამართლებული და დაგმობილი 1925 წლის ფართო პროცესზე. იმანაც თავისი ანტისაბჭოთა არსება დაჰტარა ნაციონალისტურ ლოზუნგებით, „ეროვნულ განთავისუფლებით“, „ბელორუსიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობით“. სწორედ ასეთივეა სიონიზმიც. მისი წარმომადგენლები გამოდიან ებრაელთა ნეპმანურ წრიდან და ესენიც ცდილობენ ებრაელთა ბურჟუაზიისა და წვრილ-ბურჟუაზიულ წრეების ანტისაბჭოთა ნაციონალისტურ დასჯად დატარონ. მე შემეძლო მომეტანა მთელი რიგი მსგავსი ფაქტებზეც.

ნაციონალიზმის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ იდეოლოგიის არსი ცხადად იშლება ს. ს. რ. კ.-ის გარედ. აი, მაგალითად, ბელორუსიის ნაციონალ-დემოკრატიზმი, პილსუდჩინის სასურველ ჰავაში რომ გაიფურჩქნა, როგორც „Селянский Союз“ იარემიჩისა, როგულისა და სხვა გამყიდველ ვაჟბატონებისა, ე. წ. „პოლონეთის ბელორუსიულ მოღვაწეები“-სა. აი, „უკრაინის ნაციონალ-დემოკრატიული გაერთიანება“ უკრაინაში, პოლონეთის საზღვართან, რომელიც აწარმოებს ცხად ნაციონალისტურ და ანტისაბჭოთა პოლიტიკას. ეს გადადის არალეგალურ მუშაობის საზღვრებში, სადაც წერტილი ესმევა ი-ს; აი, „ლისტოპადოვშიჩინა“ ბელორუსიაში.

მაგრამ პროლეტარიატის დიქტატურა ვერ არის შესაფერი ნაციონალ-დემოკრატიზმის პოლიტიკურ პროგრამის თავისუფალ გაშლისთვის. აი რატომ ეძებს ის და ჰპოებს თავის განვითარების სხვა ფორმებს: კულტურულ მშენებლობის არე ჯერ კიდევ წარმომადგენს ცოტად თუ ბევრად მოხერხებულ ასპარეზს ნაციონალ-დემოკრატიულ იდეოლოგიის შესაპარებლად.

ამიტომ არის, რომ ნაციონალურ კულტურის საკითხები ჩვენს ქვეყანაში თანდათან აქტუალური ხდება, რადგან აქ იჩენს თავს კლასობრივი ბრძოლა.

ჩვენს ქვეყანაში თანდათან იზრდება მუშათა და გლეხთა პოლიტიკური აქტივობა. იზრდება კულტურული ცხოვრება და მშენებლობა. რა გზით წავა კულტურული განვითარება? კულტურულ განვითარების პროლეტარული გზა უზრუნველყოფილი იქნება ჩვენი ეკონომიკის სოციალისტურ ელემენტების ზრდითა და პარტიის აქტიურ მუშაობით კულტურის განვითარებისათვის. მაგრამ ჯერ-ჯერობით მთელ რიგ დარგებში კულტურული მშენებლობა მიმდინარეობს პროლეტარიატისა და მისი პარტიის არა საკმაო აქტიურ მონაწილეობით. ამავე დროს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ იდეოლოგიის წარმომადგენლები (მეტად თუ ნაკლებად განოკვეთილნი), ყველაფერთან, კერძოდ — პარტიის ნაციონალურ პოლიტიკასთან, „შეთანხმების“ ნიღაბით აპირებენ თავიანთ „პოლიტიკა“-ს, ვითომდა „ეროვნულ კულტურისათვის“ ბრძოლის ლოზუნგით. ამხ. ვაგანიანს ეს გარემოება აძლევს „უფლებას“ დაგვიმტკიცოს, რომ „ეროვნულ კულტურის“ ლოზუნგი ბურჟუაზიულია და რეაქციონური. ამხ. ვაგანიანს არ ესმის, რომ ეროვნულ კულტურის ლოზუნგი პროლეტარიატის დიქტატურის დროს გადაიქცა ჩვენს ლოზუნგად, — და ეს არის ამხ. ვაგანიანის მთავარი შეცდომა.

ნაციონალიზმის წინააღმდეგ მკვეთრად მიმართულს, თან კიდევ თავის თეორიულობით ამხ. ვაგანიანის წიგნს მივყევართ პარტიის განიარაღებისაკენ

ნაციონალიზმის წინააღმდეგ სწორედ იმიტომ, რომ უმთავრეს საკითხებში პარტიის ეროვნულ საკითხის ხაზს სცილდება, რაც შედეგია იმისა, რომ მას ვერ გაუგია მთელი რიგი მომენტებისა, რითაც ხელმძღვანელობს პროლეტარიატი გარდამავალ პერიოდში—პერიოდში პროლეტარიატის დიქტატურისა.

საბოლოოდ საკითხის ასეთი დასმა იწვევს შეცდომას **ნაციონალურ მომენტის შეუფასებლობისა**, ეროვნულ თავისებურებათა მთელს მნიშვნელობაში, შეცდომას ეროვნულ კულტურის საკითხების „გამარტყვებისა“.

* * *

როგორ აყენებდა ლენინი კულტურის საერთო საკითხს პროლეტარულ რევოლუციის შემდეგ? ის ამბობდა „თუ ვერ გავიგებთ იმას, რომ პროლეტარულ კულტურის შექმნა შეიძლება მხოლოდ ნამდვილი ცოდნითა და გადაამუშავებით იმ კულტურისა, რომელიც მთელი კაცობრიობის განვითარებას შეუქმნია, — მაშინ ჩვენ ამ ამოცანას ვერ გადავჭრით.“

პროლეტარული კულტურა არ არის საიდგანლაც გამომხტარი, იმათ მიერ გამოგონილი, ვინც თავიანთ თავს პროლეტარულ კულტურის სპეციალისტებს ეძახიან. ეს მიქარვია. პროლეტარული კულტურა უნდა წარმოადგენდეს წესიერ განვითარებას ცოდნის იმ მარაგთა, რომლებიც კაცობრიობას გამოუმუშავებია კაპიტალისტურ მემამულეთა, მოხელეთა საზოგადოების უღლის ქვეშ.¹⁾

ან კიდევ მეორე ადგილას:

„ჩვენი ამოცანაა, გლეხობისათვის კულტურული მუშაობის გაღვივება. ამ კულტურულ მუშაობას კი გლეხობაში, როგორც ეკონომიურ მიზანს, მისდევს კოოპერაცია. სრულ კოოპერაციის პირობებში ჩვენ ორივე ფეხით ვიქნებოდით შემდგარი სოციალისტურ ნიადაგზე. მაგრამ სრული კოოპერაციის ეს პირობა იტევს გლეხობის ისეთ კულტურულობას (სწორედ რომ გლეხობისა, როგორც ვეებერთელა მასისა), რომ ეს სრული კოოპერაცია შეუძლებელია მთელ კულტურულ რევოლუციის გარეშე...“

ჩვენთვის ეხლა საკმაოა ეს კულტურული რევოლუცია, რათა გარდავიქცეთ სავსებით სოციალისტურ ქვეყნად, მაგრამ ჩვენთვის ეს კულტურული რევოლუცია წარმოადგენს აურაცხელ სიძნელეს, როგორც წმინდა კულტურულ ხასიათისა (ჩვენ ხომ წერა-კითხვის უცოდინარნი ვართ), ისე მატერიალურ ხასიათისაც (კულტურულნი რომ ვიქმნეთ, ამისათვის ხომ საჭიროა წარმოების მატერიალურ საშუალებათა გარკვეული განვითარება, საჭიროა გარკვეული მატერიალური ბაზა)²⁾.

ლენინის ამ დებულებათაგან გამოდის: 1) ჩვენს ქვეყანაში ვაშენებთ პროლეტარულ კულტურას (არა „პროლეტარულ კულტურას“ პროლეტ-კულტის გაგებით, რის წინააღმდეგაც ილაშქრებდა ლენინი); 2) ის წარმოადგენს ნაყოფს ცოდნის განვითარებისა, კულტურულ დანატოვარისა, რომელიც გამოიმუშავებულია კაპიტალისტურ წყობილებაში და რომელსაც გადაამუშავებს მუშათა კლასი:

1) Ленин—Речь на 3—м Съезде ВЛКСМ.

2) Ленин—„О кооперации“

3) პროლეტარული კულტურა თანდათან ითრევს გლეხობასაც; კოოპერაციით გლეხობა პროლეტარულ ხელმძღვანელობის ქვეშ მიდის მეურნეობის სოციალისტურ გაშენებასთან, მთელ თავის იდეოლოგიის გადაშენებასთან; 4) ქვეყნის ეკონომიკის სოციალისტურ მშენებლობით, კაპიტალისტურ ელემენტთა და მათ წარმოშობის შესაძლებლობათა აღმოფხვრით პროლეტარული კულტურა გამოდის კულტურად ყველა მშრომელისა, ზოგად საკაცობრივ კულტურად.

ამხ. სტალინი იძლევა ასეთ ფორმულას: „პროლეტარული თავის შინაარსით, ნაციონალური ფორმით — ასეთია ზოგად კაცობრიული კულტურა, რომლისაკენაც მიდის სოციალიზმი“¹⁾ ამ ფორმულაში გამოხატულია ყველა ელემენტები კულტურის განვითარებისა პროლეტარულ რევოლუციის შემდეგ: 1) პროლეტარულის, კლასობრივის განვითარება ზოგად კაცობრიულ კულტურად; 2) განვითარება ფორმათა (ნაციონალურ) დიდ სიჭრელის პირობებში მთლიან პროლეტარულ შინაარსით.

ამხ. ვაგანიანი სხვაგვარად აყენებს კულტურის პრობლემას:

„პროლეტარიატს არ გააჩნია თავისი კლასობრივი კულტურა... კულტურა, რომელსაც მუშათა კლასი ჰქმნის კომუნისმისათვის ბრძოლაში, არ არის კლასობრივი კულტურა: ჩვენ მას უწოდებთ... კლასის კულტურას“...²⁾

„პროლეტარიატის კულტურას არას გზით არ შეგვიძლია უწოდოთ კლასობრივი კულტურა, რადგან ის არა მხოლოდ წარმოშობით, არამედ თავის ამოცანებითაც განსხვავდება კლასობრივ კულტურისაგან; მისი ძირითადი მიზანი იმაში კი არ მდგომარეობს, რომ სამარადისოდ განაძლიეროს მუშათა კლასის ბატონობა, არამედ სწორედ წინააღმდეგ, იმაში, რომ მოსპოს ყოველგვარი კლასობრივი ბატონობა“³⁾

„მთელი ჩვენი კულტურა წარმოადგენს შეჯამებას კლასობრივ ბრძოლისა, კლასის მოსპობისათვის ბურჟუაზიასთან მუშათა კლასის ბრძოლის რეზულტატს“.⁴⁾

ამხ. ვაგანიანის ასეთი მსჯელობა შემცდარია. ამხ. ვაგანიანის მიხედვით არ, შეიძლება ლაპარაკი პროლეტარულ კულტურაზე (კლასობრივ კულტურაზე), რადგან „პროლეტარიატის კულტურის მიზანია... ყოველგვარი კლასის ბატონობის მოსპობა“. ჭეშმარიტად, რომ ასეთია პროლეტარიატის მიზანი. და განაფორმულა „პროლეტარული კულტურა“ არ შეიცავს იმ აზრსაც, რომ პროლეტარიატი მიდის სოციალიზმისაკენ, უკლასო საზოგადოებისაკენ, საკაცობრიო კულტურისაკენ? შეიცავს. ფორმულა „პროლეტარული კულტურა“ გარდა იმისა, რომ შეიცავს პროლეტარიატის მიზნის განმარტებას, იტევს აგრედვე გარდამავალ პერიოდსაც, როცა პროლეტარიატმა დასჩაგრა ბურჟუაზია, აძლიერებს თავის დიქტატურას, აშენებს სოციალიზმს, რისთვისაც ხელმძღვანელობას უწევს

1) Сталин.—Речь на собрании студентов КУТВ.

2) Ваганян. Стр. 9.

3) Ваганян. Стр. 12.

4) Ваганян. Стр. 11.

ყველა მშრომელთ, იერთებს მათ და თანდათან აძლიერებს თავის გავლენას, რათა წინააღმდეგობა გაუწიოს კაპიტალიზმის ყოველგვარ ცდას აღორძინებისა და გლეხობის თავის მხარეზე გადაყვანისათვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცნება „პროლეტარული კულტურა“ იტევს გარდამავალ პერიოდს კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ. ფორმულა „პროლეტარული კულტურა“ თავისთავად იტევს დიალექტიურ პროცესს საკაცობრიო კულტურად გარდაქმნისა. აშშ. ვაგანიანი საოცრად ასაბუთებს: პროლეტარიატს არ შეუძლია შექმნას კლასობრივი კულტურა, რადგან მიზნად არა აქვს დასახული — ბურჟუაზიის წინააღმდეგ — საუკუნოდ განამტკიცოს თავისი ბატონობა. მაგრამ აშშ. ვაგანიანის მხრივ რომ კადნიერებაა კლასობრივ-პროლეტარულის შესახებ კლასობრივ-ბურჟუაზიულის ანალოგიურად მსჯელობა! ერთიცა და მეორეც მიზნად უნდა ისახავდეს კლასობრივ ბატონობის სამუდამოდ განმტკიცებას. პროლეტარიატი იბრძვის კლასთა მოსპობისათვის, ისეთ წესწყობილებისათვის, სადაც არ იქნება არც პროლეტარიატი, როგორც კლასი. მაგრამ პროლეტარიატი კლასთა მოსპობისაკენ მიდის ვრცელი მძიმე გზით ბურჟუაზიასთან ბრძოლისა, ნების დროს არსებულ კაპიტალისტურ ტენდენციებთან ბრძოლისა, საშუალო ფენებზე ხელმძღვანელობისათვის ბრძოლისა, რომლებიც წარმოადგენენ წვრილ წარმოებას, — სხვა სიტყვებით, პროლეტარიატი თავის მიზანს აღწევს პროლეტარიატის დიქტატურის ვრცელ გარდამავალ პერიოდით. უკლასო საზოგადოებისაკენ სვლით, მისთვის ბრძოლით, გარდამავალ პერიოდში პროლეტარიატი უნდა გავიდეს მთელ თავის **კლასობრივ საჭურველით**. და პროლეტარიატს სჭირდება თავისი კლასობრივი კულტურა, როგორც ერთი საშუალებათაგანი სოციალიზმისათვის ბრძოლაში, კლასთა მოსპობისათვის კერძოდ, კულტურის კლასობრივ ხასიათის გადაშენებისათვის.

რა თქმა უნდა, პროლეტარიატი ამით არ ჰქმნის სპეციალურ „პროლეტ-კულტის“ კულტურას, — პროლეტარიატი კულტურის შინაარსით უზრუნველპყოფს სოციალისტური მიზნების ასრულებას, ამავე დროს კულტურის ფორმით აახლოებს მას, გასაგებად და საჭაროდ ჰქმნის გლეხისათვისაც; ამით პროლეტარიატი კულტურაშიაც გამოჰხატავს თავის როლს **მუშათა და გლეხთა კავშირში ჰეგემონიისა**.

აშშ. ვაგანიანი ავიწროებს პროლეტარულ კულტურის შინაარსს, განმარტავს რა მას როგორც „მუშათა კლასის კლასობრივ ბრძოლის შეჯამებას, შეერთებას“. რა თქმა უნდა, პროლეტარული კულტურა თავისუფლად იწყებს აღორძინებას მხოლოდ პროლეტარიატის ბურჟუაზიაზე განარჯვების შემდეგ. მაგრამ პროლეტარული კულტურა არ შეიცავს ამ ბრძოლის მხოლოდ უშუალო რეზულტატებსა და გამოცდილებას; ის შეიცავს აგრეთვე კულტურის იმ ელემენტებსაც, რომლებიც წარმოადგენდნენ ბურჟუაზიულ კულტურის შემადგენელ ნაწილს. მეცნიერება, ტექნიკა, ხელოვნება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ემსახურებოდნენ კაპიტალს, პროლეტარულ რევოლუციის შემდეგ პროლეტარიატი იპყრობს ბურჟუაზიულ კულტურის ამ დანატოვარს, ჰქმნის თავის პროლეტარულ კულტურას, რისთვისაც გადაამუშავებს ბურჟუაზიულ კულტურის დანა-

ტოვარს. რა თქმა უნდა, მხოლოდ კლასობრივ ბრძოლის გამოცდილება ეხმარება პროლეტარიატს თავის მიზნებისათვის დაიპყროს და გადაამუშაოს კაპიტალიზმის მიერ დატოვებულ კულტურის სიმდიდრე; ამ აზრით კლასობრივ ბრძოლის შეჯამება და რეზულტატების შეერთება შედის შემადგენელ ელემენტად პროლეტარულ კულტურის ცნებაში. მაგრამ „შეჯამება“ და „რეზულტატების“ „შეერთება“-ც კლასობრივ ბრძოლისა პროლეტარიატის მიხედვით უფრო აუცილებელს ახალ საზოგადოების შექმნისათვის, მისი კიდევ „წესიერი განვითარება“ ცოდნისა—და საერთოდ კულტურისა,—რომელიც პროლეტარულ რევოლუციამდე გამოამუშავებულა,—და მისი გადაამუშავება.

თავის მსჯელობაში „კლასის კულტურის“, პროლეტარიატის კულტურის როგორც „კლასობრივ ბრძოლის შეჯამებისა და რეზულტატების შეერთების“ შესახებ, აშხ. ვაგანიანი ერთი-მეორეს უპირისპირებს ბურჟუაზიულსა და პროლეტარულ კულტურას, არ ესმის კია ერთი-მეორეში განვითარების დიალექტიკა. აშხ. ვაგანიანი ჰშორდება გარდამავალ პერიოდის თავისებურობათ და წინააღმდეგობათ, მისი თვალში ჰხედავენ „უკლასო საზოგადოებას“, როგორც ბურჟუაზიულის პირდაპირ წინააღმდეგობას, და ვერ ამჩნევენ პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდის თავისებურობას. აშხ. ვაგანიანს თავის დასკვნებში აკლია დიალექტიკა.

* * *

თავის საერთო შეცდომას კულტურის შესახებ აშხ. ვაგანიანი იმეორებს ნაციონალურ კულტურის შესახებაც. აშხ. ვაგანიანს როგორღაც ადვილად უსხლტება მხედველობიდან მთელი ის სხვადასხვაობა და სირთულე პროლეტარულ კულტურის განვითარებისა გარდამავალ პერიოდში და მის საკაცობრიოდ გარდაქმნისა,—მრავალფერობა და სირთულე, რომელიც გამოწვეულია ეკონომიურ და კულტურულ განვითარების საფეხურთა განსხვავებით, ეკონომიურ ფორმათა და წყობათა სიკრელით.

აქედან — უთავბოლოა აშხ. ვაგანიანის მიერ იმ კულტურის გაგებაში, რომელიც წარმოიშვის ეროვნულ ერთიერთობის პირობებში პროლეტარიატის დიქტატურის დროს. აშხ. ვაგანიანი, როგორც სჩანს, არ არის კმაყოფილი განსაზღვრით: „წინაარსით პროლეტარული, ფორმით ეროვნული კულტურა“; მის მაგივრად ის იძლევა მეორეს, ბუნდოვანსა, და ამიტომ არეულს: „ინტერნაციონალური კულტურა ნაციონალურ ენებზე“. რა შუაშია ეს?

პროლეტარიატი, რა თქმა უნდა, აშენებს კულტურას მხოლოდ როგორც ინტერნაციონალურს. ამით ცნება „პროლეტარული“ უკვე შეიცავს ცნება „ინტერნაციონალურს“. მაგრამ ფორმულა „ინტერნაციონალური კულტურა“ არ განსაზღვრავს კულტურის კლასობრივ შინაარსს.

ცნება „პროლეტარული კულტურა“ სავსებით ჰფარავს „ინტერნაციონალურ კულტურას“ და არა წინააღმდეგ.

შემდეგ „კულტურა ფორმით ნაციონალური“—ეს ფორმულა იტევს არა მხოლოდ ენას, არამედ ისტორიის თავისებურებასაც, ზნე-ჩვეულებასაცა და სხ. აშხ. ვაგანიანი კი გვერდს უვლის ამ თავისებურებათ, კულტურის ნაციონალურ

მომენტთაგან აღნიშნავს მხოლოდ ერთს—ენას, როგორც პროლეტარულ კულტურის განსაკუთრებულ ნიშანს იმ კულტურისა, რომელიც იქმნის ამა თუ იმ ნაციონალურ ოლქის ან რესპუბლიკის პირობებში.

ამხ. ვაგანიანის ასეთ გაიოლების შესახებ ყველაზე უკეთ პლანდებს მსჯელობა კულტურის ფორმისა და შინაარსის მიმართ. აწარმოებს რა ფართულ პოლემიკას ამხ. სტალინის ფორმულასთან „შინაარსით პროლეტარულ-სოციალური ნაციონალური კულტურა“, ამხ. ვაგანიანი ამბობს:

„როგორ-ღა გადაიქრას საკითხი შინაარსისა და ფორმისა? ეს ხომ ერთგვარი გამომჟღავნებაა ქადაგებულ იდეათა ნაციონალისტური ბუნებისა, ეს ხომ მოტყუების ერთი ფორმათაგანია. წარმოადგენს ენა კულტურის ფორმას? ოპორტიუნისტები ტყუილად კი არ ადარებენ კულტურის ფორმას ნაციონალურის გამომჟღავნებას.

„კულტურის ფორმა არ განისაზღვრება თავისი გარეგნობით, ის მისი აღნოგობაა, მისი „კანონია“, როგორც ჰეგელი ამბობს. ამ თვალსაზრისით მხოლოდ ჩვეულებრივ მეტყველებაში შეიძლება ვილაპარაკოთ კულტურის ნაციონალურ ფორმის შესახებ, მეცნიერული ენა კი, ენა მარქსისტულ მეცნიერებისა, არა სცნობს ასეთ ველურ სიტყვათა წყობას, რადგან კულტურის სტრუქტურა, მისი აღანაგობა (ე. ი. კულტურის ფორმა) საბოლოოდ განისაზღვრება არა ენითა და ზნე-ჩვეულებით, არამედ კლასობრივ ბრძოლით“¹⁾.

ამ მსჯელობით ამხ. ვაგანიანს გამოყავს შემდეგ ის დანასკვი, რომ „ნუშათა კლასის კულტურის ფორმა და შინაარსი..... ერთნაირია ყველა ენაზე“. მართალია ეს? შეიძლება უარყოფა კულტურის სხვადასხვა ნაციონალურ ფორმის არსებობისა?

ამხ. ვაგანიანი მართალია, რომ ფორმა არ არის კულტურის ხატება, მხოლოდ გარეგანი სახე. ფორმა—სტრუქტურაა, აღანაგობა, ელემენტთა ურთიერთ მიმართულება, კულტურის მასალის განლაგება. არ შეიძლება, რა თქმა უნდა, მხოლოდ ენა მივაკუთვნოთ კულტურის ფორმებს, მხოლოდ ენაში აღვნიშნოთ კულტურის ნაციონალური მომენტები. კულტურის ნაციონალურ ფორმად უნდა ჩაითვალოს ყოველივე ის, რაც კულტურაში გამოწვეულია თვით ნაციის არსით. „ნაცია ეს არის ისტორიულად შექმნილი სიმტკიცე, ზოგადობა ენისა, ტერიტორიისა, ეკონომიურ ცხოვრებისა, ფსიქიურ წყობისა, რომელიც შელავნდება კულტურის ზოგადობაში“ (სტალინი). ნაცია დაღს ასვამს, არკვევს კულტურულ განვითარების ფორმებს და ამ განვითარებაში შეაქვს თავისი ელემენტები: 1) ენა, 2) ეკონომიკის თავისებურებანი, სხვადასხვა სამეურნეო წყობათა მიმართებით, 3) თავისებურებანი, ტერიტორიასთან დაკავშირებულ გეოგრაფიულ პირობებით ნაკარნახევი, 4) ისტორიის თავისებურებით გამოწვეული საზოგადოებრივი ტრადიციები, 5) ზნე-ჩვეულების, ყოფა-ცხოვრების თავისებურებანი და სხვა. ყველა ეს პირობა არკვევს ამა თუ იმ ნაციონალურ კულტურის ფორმებს.

¹⁾ Ваганиан стр. 14, 45.

კლასობრივ ბრძოლის გავლენის აღიარება კულტურის განვითარებაზე, სრულებითაც არ გამორიცხავს არსებობას **განსაკუთრებულ** (ნაციონალურ) ფორმებისა მთლიან სოციალისტურ გზაზე განვითარებით და ნაციონალურ ფორმების შინაარსით მთლიან (პროლეტარულ) კულტურისა. პროლეტარიატის გამარჯვება, მისი დიქტატურა, მისი ხელმძღვანელობა ამა თუ იმ ნაციონალიზმის გლებობისა და ყველა მშრომელის მიმართ, ამა თუ იმ ნაციონალიზმის განვითარების სოციალურ მშენებლობასა და სოციალიზმისაკენ განვითარებაში ხორციელდება განსაკუთრებულ ნაციონალურ პირობებთან შეგუებით, — იმ პირობებთან, რომლებიც შექმნილან ვრცელ ისტორიულ პროცესის შედეგად, რომლის რეზულტატებს გვერდს ვერ აუვლით, რომელმაც თავისი დალი დაასვა ამა თუ იმ ნაციონალიზმის საზოგადოებრივ ურთიერთობას. პროლეტარიატის დიქტატურა, ეკონომიკის სოციალისტური გადაშენება, სოციალიზმისაკენ მოძრაობა ჰხორციელდება ლენინგრადშიაც, მოსკოვის გუბერნიაშიაც, დონბასსა, ყაზახსტანსა, იაკუტსა, მცირე აზიასა, ადერბეიჯანსა, ბელორუსიაში. მაგრამ ეს განვითარება და სოციალიზმისაკენ მოძრაობა მიმდინარეობს ფორმათა უდიდეს სიჭრვლით და დამოკიდებულია იმაზე, თუ ეკონომიურ და კულტურულ განვითარების რა საფეხურზე მოუწია პროლეტარულმა რევოლუციამ ამა თუ იმ მხარესა და ნაციონალურ ას ჩვენს კავშირში. სწორედ ასევე — პროლეტარული კულტურა, — მთლიანი თავისი შინაარსით, კლასობრივ მნიშვნელობით, კპოულობს სხვადასხვა ფორმებს არა მხოლოდ ენის, არამედ ყველა ნაციონალურ თავისებურების მიხედვით.

განვიხილოთ კულტურის ზოგიერთი ელემენტი. **მეცნიერება**, კერძოდ სამეცნიერო დაწესებულებათა და სკოლათა მუშაობა მიზნად ისახავს: 1) ამა თუ იმ ნაციონალიზმის მშრომელთა ეკონომიურ და კულტურულ საერთო ამაღლებას; 2) ქვეყნის (მხარის, ოლქის, რესპუბლიკის) ინდუსტრიალიზაციას; 3) სოფლის კოოპერაციას; 4) საერთოდ მთელ ეკონომიკის სოციალისტურად გადაშენებას; 5) განვითარებას კულტურის სოციალისტურ, ინტერნაციონალურ ელემენტებისა. ეს მიზანი, — ე. ი. მეცნიერების, მეცნიერულ დაწესებულებათა და სკოლების მუშაობის **შინაარსი** — არის მთლიანი საბჭოთა ყველა ნაციონალურ რესპუბლიკასა და ოლქში, პროლეტარული ე. ი. მიმართული პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისაკენ, სოციალისტურ მშენებლობის განვითარებისაკენ, სოციალიზმის დამყარებისაკენ ყოველ ნაციონალურ რესპუბლიკის პირობებში. მაგრამ ფორმების („აღნაგობის“, „სტრუქტურის“) მხრივ ეს მუშაობა მრავალფეროვანი ხდება ყოველ ნაციონალურ რესპუბლიკისა და ოლქის პირობებში ნაციონალურს თავისებურებათა მიხედვით. მაგალითად, ბ. ს. ს. რ.—ში მეცნიერულ მუშაობის უდიდესი ყურადღება მიქცეულია ენის საკითხებზე და განსაკუთრებით განავითარებს შესაფერ დისციპლინებს მეცნიერულ დაწესებულებათა, უმაღლეს სასწავლებლის გეგმაში; რ. ს. ფ. ს. რ.—ში ეს საკითხი არ იჭერს შედარებით ასე დიდ ადგილს, უ. ს. ს. რ.—ში მეცნიერული აზრი ეკონომიკის დარგში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მრეწველობის ეკონომიკასა და ტექნიკის საკითხებს, ბ. ს. ს. რ.—ში კი, მაგალითად, ეს ყურადღება მიმართულია განსაკუთრებით ტყისა და სასოფლო

მეურნეობის მრეწველობის პრობლემისაკენ. ბუნებრივი პირობებიც აგრძელებს უკარნახებენ ამა თუ იმ დისციპლინის განვითარების აუცილებლობას, ამა თუ იმ მეცნიერულ დარგის აყვავებას. შეიძლება ბევრი მაგალითის მოყვანა, ყოველივე ეს თავის გამოხატულებას ჰპოებს „მშენებლობაში“ მეცნიერულ ცხოვრებისა და აზრის მთელ მასალაში, მის ფორმაში, — მოკლედ მეცნიერულ ინსტიტუტთა მუშაობის გეგმაში, თვით მის ხასიათში, სკოლის მუშაობაში.

ლიტერატურას (ხელოვნებას საერთოდ) ნაციონალურ (ადაპტაციურ) ადგილობრივ) თავისებურებასთან დაკავშირებით საქმე აქვს ამა თუ იმ მასალასთან, მასალასთან ქალაქისა, სოფლისა, დაბისა, სხვა-და სხვა ეკონომიურ წყობისა. ეს მასალა მეტად მრავალ ფეროვანია: ერთია — ლენინგრადში ან დონბასსა და ბაქოში, მეორე — შუა აზიის რაიონებში, რომლებსაც ჯერ კიდევ შეუნარჩუნებიათ პატრიარქალური ურთიერთობა; მესამე — ბელორუსიის დაბაში; მეოთხე — ციმბირის ძარღვიან გლეხობის რაიონებში. მაგრამ ლიტერატურა (საერთოდ — ხელოვნება) მასალის ასეთ სხვადასხვაობასთან ერთად მიზნად ისახავს (ყოველ შემთხვევაში უნდა ისახავდეს) ერთსა და იმავეს — იყვეს ერთი — პროლეტარული — შინაარსი, ერთი კლასობრივი მნიშვნელობა: პროლეტარიატის ერთ-ერთ საშუალებად გარდაქცევა ყველა მშრომელის სახელმძღვანელოდ, სოციალიზმის მშენებლობა და დამყარება, უჭრელეს ნაციონალურ თავისებურებათა მიუხედავად. ამასთანავე, თუ ლიტერატურა (ხელოვნება საერთოდ) არ მიიღებს ნაციონალურ ფორმებს, ე. ი. ისეთ ფორმებს, რომლებიც ახლოს და მჭკიცედ სდგას ყოველგვარ ადგილობრივ პირობებთან, ისტორიის, ეკონომიკის, ყოფა-ცხოვრების თავისებურებასთან, ეკონომიურ და კულტურულ განვითარების დონესთან, კლასობრივ დაჯგუფებათა ურთიერთობასთან — მაშინ ხელოვნება მოწყვეტილია მუშათა და გლეხთა მასებს, ვერ აღწევს მასსამდე, იკარგება პროლეტარიატის ხელიდან, როგორც ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობის ერთერთი იარაღთაგანი. რა თქმა უნდა ლიტერატურის ესა თუ ის ენა სრულებით არ განმარტავს იმას თუ რაოდენად პროლეტარული (ინტერნაციონალური) შინაარსი ლიტერატურაში თავის ფორმებით მიაღწევს მასებს, შემოიკრებს მათ პროლეტარიატის ამოცანათა გარშემო.

სწორედ ასევე მთელი კულტურული მშენებლობის სისტემა (მაგალითად, სკოლის სისტემა, პოლიტგანათლებითი მუშაობის სისტემა და სხვა), ასევე გამოყოფა და მომზადება, ადგილობრივ კადრების ზრდა ყოველ ნაციონალურ ოლქსა და რესპუბლიკაში — ეს არის კულტურის მშენებლობის უდიდესი ნაწილი. და ეს სამუშაო უნდა ჩატარდეს არა მხოლოდ „ნაციონალურს ენაზე“, არა მხოლოდ ენასთან შეთანხმებით, არამედ ყველა ნაციონალურ თავისებურებასთან შეფარდებით.

ამგვარად, კულტურის ფორმა — ეს არ არის მხოლოდ ენა, — კულტურის ნაციონალური ფორმა ეთანხმება ნაციის ჩვენებურ მარქსისტულ გაგების მთელ შინაარსს.

რა თქმა უნდა, პროლეტარულ კულტურის ნაციონალურ ფორმათა ერთერთ განსხვავებულობის აღიარებით, ჩვენ არ უპირისპირებთ ფორმას შინაარსს.

არის კია ასეთი ცდა? არის. ნიღაბ ამოფარებული ნაციონალ-დემოკრატიზმი ნაციონალურ ფორმით, მთელ რიგ შემთხვევებში, აპარებს თავის ბურჟუაზიულ შინაარსს. პროლეტარიატი არ მიიღებს, ებრძვის იმ კულტურას, რომლის შინა-არსი არ არის პროლეტარული, რომელშიაც გაპარულია ბურჟუაზიული ელემენტები, თითქოს ამით შეინახებოდეს და დაიცვებოდეს ნაციონალური ფორმა.

შეიძლება მაგალითების მოყვანა ბელორუსიიდან, როცა ნაციონალური კულტურა ჰკარგავს კლასობრივ შინაარსს, „პროლეტარულ კულტურას ფორმას კი არ აძლევს“, არამედ „უარყოფს პროლეტარულ კულტურას“.

„ბელორუსელ ენის შესახებ აკადემიურ კონფერენციის“¹⁾ დარბაზის მორთულობა ისე იყო მოწყობილი, რომ ნაციონალურ ფორმას არ ჰქონდა კლასობრივი მნიშვნელობა; ნაციონალური ფორმა იყო ისეთი, რომ შიგ სავსებით შედიოდა ბურჟუაზიული შინაარსიც, გამოცლილი იყო ყველაფერი რაც კი ეკუთვნის პროლეტარულ შინაარსს: არ იყო ლენინის პორტრეტი, თითქმის სრულებით არ იყო — წითელი ტონები — პროლეტარულ რევოლიუციის ფერისა, — წითელი ვარსკვლავის ნაცვლად იყო დამახინჯებული „სტილიზაცია ქმნილი“ „კაცი რომ ველარ იცნობდა“ ისეთი წითელი ვარსკვლავის მინაგვარი. წარმოადგენს თავისთავად მორთულ დარბაზის სტილი (ბელორუსული ნახაზები, ტილოები) პროლეტარულ შინაარსთან შეუთავსებელ რამეს? სრულებითაც არა: ლოზუნგები, პროლეტარულ რევოლიუციისა და ლენინიზმის სიმბოლოები არ ეწინააღმდეგებოდნენ ამ სტილს, ფორმას კი შინაარსი მისცეს.

მეორე მაგალითი: ბელსახელგამის კედლის კალენდრების ზოგიერთი ყდა. სურათები სავსეა ბელორუსულ ნახაზებით, შიგ არის პოეტთა პორტრეტები, სკარინას — „პირველ ბელორუს მბეჭდავისა“ და სხვა. მაგრამ მათი ფორმა ისეთია, რომ არაფერი სცხია პროლეტარულ შინაარსისა. თითქოს წვრილმანი: არ არის პროლეტარულ რევოლიუციის ლოზუნგები. ყველაფერი ჩაბატულია ყვითელ ტონებით, მაგრამ, ეს „წვრილმანი“ ამ ყდას უცხო ჰყოფს პროლეტარულ კულტურის სულისათვის. ამიტომ თავის გარეგან სახით მასსებში ფართოდ შეჭრილი ეს კალენდარი ვერ ეწევა ლენინიზმის პროპაგანდას (რაც წარმოადგენს მის ერთ-ერთ ამოცანას). (თითქოს „მიუმხვდარი“ ამხანაგები მკითხავენ: კი, მაგრამ, როგორ შეიძლება, მაგალითად, სკარინას პორტრეტიან ყდას მივცეთ სხვანაირი შინაარსი? უბრალოდ: დაიბეჭდოს პორტრეტის გვერდით „პირველი ბელორუსი სწავლული — სკარინა. მისი ნაშრომის გამოყენება მხოლოდ ეხლა დაიწყო. მხოლოდ პროლეტარულმა რევოლიუციმ შეჰქმნა სრული შესაძლებლობა ბელორუსულ კულტურის განვითარებისა მუშათა და გლეხთა ინტერესებისათვის.“ ან იქნებ უფრო მოკლედაც დაიწეროს. შესაძლოა ეს გაუგებარი იქნეს რომელიმე სწავლულისათვის, მაგრამ ამას მართებულად ვაიგებს ყოველი მუშა და გლეხი).

1) ა. კ. „მუშაობდა მინსკში 1926 წლის დასასრულს მისი სამეცნიერო ანგარიშები, რომლებიც წარმოადგენენ რეზულტატს ბელორუს, რუს და საზღვარგარეთელ მეცნიერთა ნაშრომისა, მეტად მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია.

შესაძლოა გამონახულ იქნეს შესაფერისი მაგალითები, რომლებიც დაახასიათებენ ნაციონალ-დემოკრატიზმის გამომჟღავნებას როგორც რუსულ, ისე უკრაინულ ნიადაგზე. ამხ. ვაგანიანს მოჰყავს მაგალითები ა/კავკასიის/ გამოცდილებიდან.

ასეთ ფაქტებისა და მის მსგავსთა წინაშე (რომლებიც მოჰყავს თავის წიგნში) ამხ. ვაგანიანი მსჯელობს:

„საკითხს თუ მივუდგებით კლასობრივ ბრძოლის თვალსაზრისით, ლიალექტიკის თვალსაზრისით, უნდა ითქვას, რომ მუშათა კლასის კულტურის ფორმაცა და შინაარსიც, ენათა სხვადასხვაობის მიუხედავად, ერთია ყველა ენაზე — ინტერნაციონალურია“.

სხვა სიტყვებით, საკითხი მეტად მარტივად იჭრება: რადგან ზოგიერთი ბურჟუაზიული იდეოლოგი სცდილობს ნაციონალურ ფორმის ქვეშ გაატაროს არაპროლეტარული შინაარსი, მაშ სრულებით უნდა შემოვიცალოთ ნაციონალური თავისებურებანი — ამასთან მივყევართ ამხ. ვაგანიანის თეორეტიულ მსჯელობას, წიგნის პრაქტიკულ ნაწილში მის მიერ თავის მართლებების მიუხედავად, გვერდი უნდა აუაროთ კულტურის განვითარების თავისებურებათ ლენინგრადსა, მცირე აზიასა, სომხეთში და სხვაგან, ფრჩხილებში კი დავტოვოთ მხოლოდ ენა. ასეთი ხაზი პარტიას წაიყვანდა თავის პოზიციების ნაციონალ-დემოკრატიზმისათვის ჩაბარებისაკენ, რადგან მაშინ ის გამოიყენებს კულტურის ფორმებს, რომელიც უფრო მისაწვდომია ამა თუ იმ ნაციონალობის მშრომელთათვის და შიგ ჩაურთავს თავის ბურჟუაზიულ შინაარსს. ჩვენ კი, თითქოს ინტერნაციონალის პრინციპების სიწმინდისათვის ბრძოლით, გვერდს აუვლით და ავსცდებით ეროვნულ ყველა თავისებურებას, კულტურის ნაციონალურ ფორმას, რითაც შევასუსტებთ პროლეტარიატის ხელმძღვანელობას.

* * *

ამხ. ვაგანიანის შეცდომის მთავარი მიზეზი იმაში მარხია, რომ მას ვერ გაუგია, თუ:

„ნაციონალურ კულტურის ლოზუნგი ბურჟუაზიის ლოზუნგად მანამ იყო, სანამ ხელისუფალი ბურჟუაზია იყო, ერის კონსოლიდაციაც ხდებოდა ბურჟუაზიულ წყობილებების გავლენით. როცა ხელისუფლება პროლეტარიატმა აიღო, ეროვნულ კულტურის ლოზუნგიც პროლეტარული გახდა, ერის კონსოლიდაცია კი საბჭოთა ხელისუფლების გავლენის ქვეშ მოიქცა“¹⁾.

ამიტომ არის, რომ ამხ. ვაგანიანი ლენინის მიერ 1913—14 წლებში პროლეტარულ რევოლიუციამდე ნათქვამს, მიმართავს პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ ეროვნულს საკითხში პროლეტარულ რევოლიუციის შემდგომ.

ამხ. ვაგანიანი სცდილობს დაეყრდნოს ლენინს, ლენინით დაასაბუთოს თავისი შეცდომები ეროვნულ კულტურის საკითხში. ვერ გამოეძებნით უკეთეს ნიმუშებს იმისა, თუ როგორ შეიძლება „გამოყენებულ იქნეს მარქსისტული ან-

1) სტალინი.—სიტყვა წარმოთქმული KVTB-ს სხდომაზე.

ბანი მარქსიზმის სულის წინააღმდეგ“;—საუკეთესო მაგალითებს იძლევა ამხ. ვაგანიანი. მისი ასეთი მითითება ლენინზე მაჩვენებელია იმისა, რომ მის „თეორიას“ აკლია ისტორიულ გარემოს გაგება, გაგება პარტიის პოლიტიკისა და ლოზუნგების მნიშვნელობისა; მეტად მცირეა დიალექტიკა, რაც მრავალ და მრავალ ადგილას შეუცვლია ციტატებისა და მაგარ ფრაზების მოხერხებულ გამოყენებით.

ეროვნული

მართალია, ლენინმა 1913 წელს (ვანსაკუთრებით „კრიტიკულ შენიშვნებში ეროვნულ საკითხზე“) მეტად საფუძვლიანად წარმოსთქვა „ეროვნულ კულტურის“ შესახებ. მაგრამ როგორა სთქვა, როდის, როგორ პირობებში, ვის წინააღმდეგ?—განა შეუძლიან სერიოზულ მარქსისტს მიმართოს ლენინს ამ კითხვებზე პასუხგაუცემლად?

მართალია, ლენინი ამბობს: „ყველა ეროვნების ბურჟუაზია ავსტრიასა და რუსეთში „ეროვნულ კულტურის“ ლოზუნგით ნამდვილად აქუცმაცებს მუშებს, ასუსტებს დემოკრატიას, მებატონებთან აწარმოებს ვაჭრულ საქმიანობას, რათა მიჰყიდოს ხალხის უფლებანი და თავისუფლება.“

მუშურ დემოკრატიის ლოზუნგია არა „ეროვნული კულტურა“, არამედ დემოკრატიზმისა და მსოფლიო მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალური კულტურა. დაე ატყუებდეს ბურჟუაზია ხალხს ყოველგვარ „პოზიტიურ“ ეროვნულ პროგრამებით“¹⁾.

„ბურჟუაზიული (და ბურჟუაზიულ-ბატონყმური) ტენდენცია ეფარება „ეროვნულ კულტურის“ ლოზუნგს. ეროვნულ კულტურის—ველიკორუსულ, პოლონურ, ებრაულ, უკრაინულ და სხვ.—სახელით რეაქციონურსა და ბინძურ წვრილ საქმეებს ეწევა შავრაზნიელი და კლერიკალი, შემდეგ კი ყველა ეროვნების ბურჟუაზია“²⁾.

ლენინი გვეკითხება:

„დასაშვებია მარქსისტთათვის, ასე თუ ისე, ეროვნულ კულტურის ლოზუნგი, თუ აუცილებელია მის წინააღმდეგ ვიქადაგოთ ყველა ენაზე, — „ადგილობრივ პირობებთანა და ეროვნულ თავისებურებასთან შეგუებით—მუშათა ინტერნაციონალიზმის ლოზუნგი?“³⁾.

და უპასუხებს:

„ეროვნულ კულტურის ლოზუნგი არის ბურჟუაზიული (ბშირად კი შავრაზმულ-კლერიკალური) სიცრუე. ჩვენი ლოზუნგია დემოკრატიზმისა და მუშათა მსოფლიო მოძრაობის ინტერნაციონალური კულტურა“⁴⁾.

რის წინააღმდეგ გამოდის აქ ლენინი? წინააღმდეგ მუშათა დაქუცმაცებისა, ნაციონალისტურ ლოზუნგებით მათი მოტყუებისა, პროლეტარულ ინტერნაციონალიზმის სანაცვლოდ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმისა, წინააღმდეგ „ეროვნულ კულტურის“ ისეთ ლოზუნგისა, რომელიც დაჰფარავდა ბურჟუის, მებატონ-

1) ლენინი. ტ. XIX, გვ. 40, 41.

2) იქვე, გვ. 42.

3) იქვე, გვ. 43.

4) იქვე, გვ. 42.

ნის, შავრაზმელისა და კლერიკალის პოლიტიკას. ლენინი ჰხედავს, რომ სწორედ „ეროვნულ კულტურის“ ლოზუნგი გადაქცეულა ბურჟუაზიის უძლიერეს იარაღად მამინდელ თანამედროვეობის პირობებში (1913 წ.)—ის ამბობს:

„ბურჟუაზიის ეროვნული კულტურა ფაქტია (ვიმეორებ, რომ ბურჟუაზია მუდამ საქმეს აწყობს შემამულეებთანა და სამღვდელეობასთან—**მებრძოლი ბურჟუაზიული ნაციონალიზმი**, რომელიც ატუტუცებს, ასულელებს, ამორიშორებს მუშებს, რათა გააყოლოს ისინი ბურჟუაზიის ნებას,—**აი ესე იქნა თანამედროვეობის ძირითადი ფაქტი**“¹⁾.

მებრძოლი ბურჟუაზიული ნაციონალიზმი... თანამედროვეობის ძირითადი ფაქტი! მუშათა ინტერნაციონალურ გაერთიანებისათვის (ლენინი კი ჰხედავდა, თუ როგორის სისწრაფით უახლოვდებოდა ინტერნაციონალი აღსასრულს)—აი რატომ ებრძვის ლენინი „ეროვნულ კულტურის“ ლოზუნგს, **ბურჟუაზიის ხელში საბრძოლ იარაღად რომ გადაქცეულა**. ლენინი ებრძვის აგრედვე ბურჟუაზიის აგენტებსაც მუშათა კლასში, ამ შემთხვევაში ბუნდოვლებს, რომლებთაც ბურჟუაზია ხელში აჩეჩებს თავის იარაღს; ის ამბობს ბუნდის ბურჟუაზიულ პოლიტიკის შესახებ:

„ბუნდოვლები სტოვებენ ინტერნაციონალურ კულტურის ლოზუნგს, აშენებენ ვეგმასა და პრაქტიკულ პროგრამას ე. წ. „კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიისა“, ბუნდოვლები საქმით გამოდიან ბურჟუაზიულ ნაციონალიზმის მატარებლად მუშათა წრეში“²⁾.

გადაქრით უარპყოფს ლენინი ეროვნულ კულტურას, როგორც ლოზუნგს, რომელიც კერძობითი იქნება ერთა და ენათა თანასწორობის, ერთა თვითგამორკვევის ზოგად პრინციპის მიმართ? არა და არც შეიძლებოდა რომ ყოფილიყო. ლენინი გამოდის „არაკლასობრივ ეროვნულ კულტურის“ წინააღმდეგ (გვ. 43), ის წინააღმდეგია „ერთ ეროვნულ კულტურის მთლიანად მეორე, ვითომდა მთლიან ეროვნულ კულტურის დაპირისპირებისა“, წინააღმდეგია არამარქსისტულ, არაკლასობრივ ანალიზისა, ლოზუნგის მიღებისა ეროვნულ კულტურის კლასობრივ შინაარსის აურიცხველად.

და ამის შესახებ მეტად ბევრს, მეტად მტკიცედ ამბობს ლენინი. რატომ უვლის გვერდს ამხ. ვაგანიანი ლენინის ამ აზრებს? იმიტომ, რომ მას სჭირდება სქოლასტიურ ოპერაციის მოხდენა ლენინის მარქსისტულ ანალიზზე ლოზუნგისა. ლენინი ამბობს:

„ინტერნაციონალური კულტურა არ არის პრინციპიალური“³⁾.

„ყოველ თანამედროვე ნაციაში არის ორი ნაცია—ვეტყვით ყველა ნაციონალ-სოციალს. ყოველ ეროვნულ კულტურაში არის ორი ეროვნული კულტურა. არის ველიკორუსული კულტურა პურიშკევიჩებისა, გუჩკოვებისა და სტრუვესი მაგრამ არის აგრედვე ველიკორუსული კულტურა ჩერნიშევსკისა და პლახანოვის სახელებთან დაკავშირებული. არის ასეთივე ორი კულტურა უკრაინაშიაც, როგორც გერმანეთსა, საფრანგეთსა, ინგლისში, ებრაელთა შორის და სხვა“⁴⁾.

და ამხ. ლენინი გვაძლევს გასაღებს ეროვნულ კულტურის საკითხის გასაგებად:

„ეროვნულ კულტურის მნიშვნელობა განიმარტების ამა თუ იმ ქვეყნისა და მხოფლიოს ყველა ქვეყნის ყველა კლასის ობიექტურ ურთიერთ მიმართებით“⁵⁾ (ხაზი ჩუბია ა. კ).

¹⁾ ლენინი—ტომ. XIX გვ. 44.

²⁾ იქვე, გვ. 45.

³⁾ ლენინი ტ. XIX გვ. 43

⁴⁾ იქვე, გვ. 50.

⁵⁾ ლენინი ტ. XIX გვ. 43.

რა ჰქნა ამხ. ვაგანიანმა, რომ მარქსისტულად გაეშალა „ეროვნულ-კულტურის“ ლოზუნგის მნიშვნელობა პროლეტარულ რევოლუციამდე და რევოლუციის შემდეგ; ეს საჭირო იყო ჩვენი ქვეყნის კლასთა ურთიერთობის განსხვავების ანალიზისათვის, განსაკუთრებით ეხლა რომ დგას ეროვნული საკითხი ჩვენს ქვეყანაში, საზოგადოდ — ყოველ ქვეყანაში პროლეტარულ რევოლუციის შემდეგ? ამხ. ვაგანიანს არაფერი უქნია გარდა იმისა, რომ ქვეყნის მთელ თეორეტიულ ნაწილში ხან ნათლად, ხან თავისავე საწინააღმდეგოდ, არია ამხ. ლენინისა და სტალინის მიერ დასმული საკითხები და ამით გაამრუდა პარტიის ხაზი ეროვნულს საკითხში; ამხ. ვაგანიანი, ლენინის გაბრთხილების მიუხედავლად, გაიტაცა „ფუჟმა ზოგადმა პრინციპებმა“, „დეკლამაციამა და ფრაზებმა“, იმის მაგიერად, რომ „ლოზუნგები შეეთარღებინა კლასთა ინტერესებისათვისა და პოლიტიკისათვის“.

არა მხოლოდ „ეროვნულ-კულტურის“ ლოზუნგი იცვლის თავის მნიშვნელობას პროლეტარულ რევოლუციის შემდეგ. მოვიგონოთ თუნდაც „სამშობლოს დაცვის“ ლოზუნგი: ბურჟუაზიის რაოდენი გამცემლობა, გაიძვერობა, ოპორტუნიზმი, ზოოლოგიური შოვინიზმია დაკავშირებული ამ ლოზუნგთან, როცა ეს ბურჟუაზიის იარაღს წარმოადგენს. მაგრამ აზრადაც არავის მოუვა, ხმა აღიმალლოს სოციალისტურ სამშობლოს დაცვის პროლეტარულ ლოზუნგის წინააღმდეგ. დაჩაგრულ ერის მიმართაც კი, როცა მის ბრძოლას აქვს მნიშვნელობა იმპერიალიზმის წინააღმდეგ გამოსვლისა, ლენინს „სამშობლოს დაცვის“ ლოზუნგი მართებულად მიაჩნია:

„აღბად ვერაფერს გაჰბედავს იმის უარყოფას, რომ ანექსია ქმნილი ბელგია, სერბეთი, გალიცია, სომხეთი უწოდებს თავის „აჯანყებას“ „სამშობლოს დაცვის“ გამო ანექსიის წინააღმდეგ და სთვლის მართებულად“¹⁾.

კიდევ ბევრი მაგალითების მოყვანა შეიძლება იმისა, თუ კლასთა ახალი ურთიერთობა როგორ აძლევს ლოზუნგს ახალს შინაარსს, აქცევს მას იარაღად პროლეტარიატის ხელში, — ბურჟუაზიულ ლოზუნგიდან ჰქმნის პროლეტარულ ლოზუნგს.

მართალია, ამხ. ვაგანიანთან გამოსკვივის ერთგვარი გაგება იმისა, რომ ის თავის მსჯელობაში კულტურის შესახებ უშვებს შეცდომებს მარქსიზმის წინააღმდეგ, მაგრამ მსწრაფლ გაურბის ამ აღსარებას და უმატებს ახალ შეცდომებს.

ამხ. ვაგანიანი სწერს:

„მოითმინეთ, — მიპასუხებენ, — ლენინი ყოველივე ამას სწერდა ჯერ კიდევ როდის? ეს იყო იმპერიალისტურ ომამდე, ჩვენ კი ეხლა გადავჭერთ ეროვნული საკითხი. მერმე რა? განა ამით იცვლება რაიმე „ეროვნულ კულტურის“ საკითხში. იმასაც თუ თავს გავანებებთ, რომ, საუბედუროდ, „ბურჟუაზიის ეროვნული კულტურა“ ჯერ კიდევ „ფაქტია“ დედამიწის 5/6 ნაწილზე, — ჩვენს მიერ ეროვნულ საკითხის გადაჭრა არა თუ არ სცვლის ეროვნულ კულტურის საკითხის ძველს გადაჭრას, არამედ აყენებს უფრო მტკიცედ და გაბედულად.

მოკამათენი პრევენ „ეროვნულ კულტურას“, რომლის ბუნების გამორკვევას ჩვენ ზემოდ შევეცადეთ, საკითხთან კულტურისა ეროვნულს ენაზე“²⁾.

აქ რამდენიმე სტრიქონში რამდენიმე შეცდომაა: 1) საქმე იმაში კი არ არის, თუ რა იყო „იმპერიალისტურ ომამდე“, საქმე ომში კი არ არის, არამედ პროლეტარულ რევოლუციამდე. ომს თავის თავად ძირიანად არ შეუცვლია კლასთა ურთიერთობა, რევოლუციამ კი რუსეთში არსებული ეს მიმართება ძირიანად შესცვალა. ამხ. ვაგანიანის მიერ იმპერიალისტურ ომზე მითითება და

1) Ленин XIX т. стр. 191.

2) Ваганян, стр. 140.

არა პროლეტარულ რევოლუციებაზე, განსაკუთრებით ცხადპყოფს, რომ მას ვერ გაუგია მთელი მნიშვნელობა ოქტომბრის შემდეგ კლასთა ურთიერთობის შეცვლისა ლოზუნგისათვის. 2) თუ „ეროვნული კულტურა“ ფაქტია დედამიწის $\frac{5}{8}$ ნაწილზე, ს. ს. რ. კ-ის პროლეტარიატს არ შეუძლია ისე მსჯელობა, როგორც დედამიწის $\frac{5}{8}$ ნაწილში, როგორც კაპიტალისტურ ქვეყანაში. ბურჟუაზიის ბატონობა მსოფლიოს $\frac{5}{8}$ ნაწილში არა სცვლის აუცილებლობას, თუ ფაქტია აღრიცხვისა, რომ დანარჩენ მეექვსედ ნაწილში პროლეტარიატის ბატონობა ფაქტია. 3) „ეროვნულ კულტურის“ ლოზუნგის მიმართ სრულიად ცხადია, რომ კლასობრივ ძალთა ახალმა ურთიერთობამ ჩვენს ქვეყანაში, ბევრი ახალი რამ შეიტანა ძალთა ურთიერთობაში ჩვენი ქვეყნის გარედაც; ეროვნულ პრობლემის გადაჭრამ ს. ს. რ. კ-ში სრულიად ახალი გაშუქება მისცა ეროვნულ პოლიტიკის ლოზუნგებს მთელს მსოფლიოში, ორგანიზაციას უყოფს დაჩაგრულ ქვეყანათა მუშებს და გლეხებს, აძლიერებს მათი შეტევის პოზიციებს, — სხვა სიტყვებით, ბევრი ახალი რამ შეაქვს მთელ მსოფლიოს ეროვნულ საკითხში. ამიტომ „ეროვნულ კულტურის“ ლოზუნგიც სახეს იცვლის ქვეყნის მშრომელთა ცნობიერებაში, უფრო დიფერენციით ყალიბდება, რამდენადაც ს. ს. რ. კ-ის გამოცდილება ანიჭებს ახალ ხელშესახებ მნიშვნელობას ჩვენს ლოზუნგს „პროლეტარული (შინაარსით), ეროვნული (ფორმით) კულტურა“. ს. ს. რ. კ-ის გამოცდილება აჩვენებს ყველა მშრომელს, რომ **პროლეტარიატის დიქტატურის** პირობებში ეროვნულ კულტურის ლოზუნგი იქცევა მშრომელთა ლოზუნგად. მეორეს მხრივ, ს. ს. რ. კ-ის გამოცდილება თანდათან ცხადპყოფს მთელი ქვეყნის მშრომელთა თვალწინ, თუ როგორ სცდილობს ბურჟუაზია ამ ლოზუნგით გააპაროს თავისი გავლენა მშრომელთა მასებზე.

შეიძლებოდა მიგვეთითებინა ამხ. ვაგანიანის შეცდომათა მთელ რიგზე — რუსულ და უცხო კულტურის ურთიერთობის მცდარ განმარტების მაგალითებზე, საკითხზე ინტელიგენციის, კოლონიების შესახებ და სხვა. შეიძლებოდა მიგვეთითებინა მის წიგნში წინააღმდეგობათა მთელ რიგზე, — დავეკმაყოფილდეთ უმთავრეს საკითხებით, რომლებიც წამოჭრილია წიგნში „ეროვნულ კულტურის შესახებ“.

უნდა ითქვას, რომ ვაგანიანი — პრაქტიკოსი უფრო ახლოა სწორ ხაზთან, ვიდრე ვაგანიანი — თეორეტიკოსი. ცხადია კულტურის მშენებლობის გამოცდილება კარგად ასწორებს თეორეტიკულ შეცდომასა და დამახინჯებას, თან უკარნახებს პრაქტიკულ კითხვათა სწორს დაყენებას. ასეთი წინააღმდეგობანი მრავალია წიგნში, რაც მაჩვენებელია საკითხის დამუშავების მნიშვნელოვან „აჩქარებისა“. მაგალითად დამახასიათებელია ამხ. ვაგანიანის დებულება: „ინტერნაციონალური კულტურა“... ვერ შევა ამა თუ იმ ეროვნების მშრომელთა ცნობიერებაში, თუ არ გაეხვია ამ მასის პირმშო ყოფა-ცხოვრებისა და ისტორიის კონკრეტ სამოსელში“ (გვ. 146). „ყოფა-ცხოვრების“ და ისტორიის კონკრეტი სამოსელი — ეს უკვე, რა თქმა უნდა, არა მხოლოდ „გამოხატულებაა“, არამედ — კულტურის ფორმა; ეს არის უკვე არა მხოლოდ „ეროვნული ენა“ პროლეტარულ შინაარსით ინტერნაციონალურ კულტურისა.

ვათავებთ.

ამხ. ვაგანიანის წიგნი შეიცავს უხეშ თეორეტიკულ შეცდომებს. მათი არსია: გაუთვალისწინებლობა გარდამავალ პერიოდის თავისებურობათა, რომლებიც გამოწვეულია ქვეყანაში წვრილ წარმოების დიდ ხვედრითი წონით, აქედან გამომდინარე გაუთვალისწინებლობა ეროვნულ მომენტისა მთელს მშენებლობაში. ამიტომ ამხ. ვაგანიანის წიგნი ს. კ. პ-ს ეროვნულ ორგანიზაციებში განაძლიერებს ამხანაგთა მცდარ ტენდენციას „ადგილობრივ ეროვნულ თავისებურობათა გაუთვალისწინებლობისაკენ“. მთელ რივ საკითხებში ამხ. ვაგანიანი იძლევა იმის ნიმუშებს, თუ „როგორ შეიძლება მარქსისტული ანბანი გამოყენებულ იქნეს მარქსიზმის სულის წინააღმდეგ.“

გიგლიოგრაფია



ელიზბარ პოლუმორდვინოვი — „ვერცხლის ქამარი“ (მოთხრობები) — საქელგამი.

154 გვ. ფასი 1 მან. 1927 წ. ტფილისი

პროლეტარული ბელეტრისტიკა, რომელიც პოეზიასთან შედარებით სუსტია, — თანდათან იზრდება. საქართველოში პროლეტარული პროზის ზრდის ერთ-ერთი მაჩვენებელთაგანია ელ. პოლუმორდვინოვის შემოქმედება. რა თქმა უნდა ბევრი არის ამ მწერალში ჩამოყალიბებელი და იდეოლოგიურად ბუნდოვანი, მაგრამ მთელი რიგი ფაქტების მიხედვით პოლუმორდვინოვი მაინც პროლეტარულ მწერლად შეგვიძლია ჩავთვალოთ.

სარეცენზიო წიგნში, რომელიც სადებიუტო ავტორისათვის (თუ არ ჩავთვლით პატარა დრამას „მალაროებში მომუშავენი“-ს, გამოცემულს ცალკე წიგნად) — შეგროვილია ექვსი სულ სხვადასხვა და ხშირად საწინააღმდეგო ხასიათის მოთხრობები, ნოველები და ესკიზები.

ადგილი მოქმედების მოთხრობების უმრავლესობაში — ტფილისია. დრო — გასაბჭოების შემდეგი წლები, თემა კი უმთავრესად სექსუალური. ამ უკანასკნელ მომენტში (თემაში) არის ბევრი საშიშროება. საქმე იმაშია, რომ ჩვენი ყოფა-ცხოვრების მიერ ჯერ არ არის ჩამოყალიბებული ახალი კომუნისტური დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი. მწერალს მასალების შეკრება ამ თემისთვის ჯერ კიდევ არა კომუნისტურ ყოფიდან უხდება და ამიტომ აქ ძლიერ ადვილია სინამდვილესთან მისვლისას კომუნისტური პერსპექტივის დაკარგვა, — მით უმეტეს ახალგაზრდა მწერლისთვის, რომლის იდეოლოგიური და მხატვრული ჩამოყალიბება ჯერ არ დამთავრებულია. ამიტომ არის რომ პოლუმორდვინოვს, რომელიც იდეოლოგიურად უფრო ნაკლებად არის ჩამოყალიბებული, ვიდრე მხატვრულად — აქ სისუსტე ემჩნევა. ვიტ-

ყვით მოკლეთ: საქმე გვაქვს გადამლამებასთან სექსუალურ საკითხში.

„ორ მზე“-ში, რომელშიაც მთავარი თემა სოციალისტური აღმშენებლობა უნდა ყოფილიყო, არსებითად ორი თემაა: „სიყვარულის“ პრობლემა და სოციალისტური აღმშენებლობა. მხოლოდ ამ მოთხრობაშია შედარებით წორად გადაჭრილი ოჯახის პრობლემა. ძველი ოჯახი, „ცოლი“ ან „ქმარი“ რაღაც კერძო საკუთრებითი გაგებით უნდა მოისპოს. ეს მთავარია! მშრომელთა კომუნისტურ ოჯახში ძნელი უნდა გახდეს „ქმარის“ და „ცოლის“ განსაკუთრებული გამოყოფა. აქ ყველანი ერთი ვართ, აქ ჩვენს შორის განსხვავება არ არის“ (გვ. 54). ასეთია პრინციპიულად ამ საკითხის მხატვრული გადაჭრა.

მაგრამ ავტორი, როგორც მხატვარი მეტის მეტად ამუქებს საღებავებს „სიყვარულის“ შიშველი ფიზიოლოგიური მხარეების აღწერის დროს: „შემდეგ კი ისევ ტკბილსა და სანეტარო წუთებს განიცდიდენ, ისევ ალერსის ბადეში გაეხვიენ“ (გვ. 50), „მისი თეთრი მკერდი ათრთოლდა თავის თავად ახალგაზრდა ყმაწვილის დანახვაზე და სრულიად უნებლიედ აუჩქროლდა გული...“ (გვ. 52). ასე წინეთ არციბაშევის და ეხლა პ. რომანოვის გმირმა ქალებმა და ვაჟებმა იციან „ათრთოლება თავისთავად“ და „სრულიად უნებლიედ“. სექსუალური თემების ტალღა ამ „დასვენების“ და ზოგიერთებისთვის კი რევოლიუციიდან რენეგატული გაქცევის დღეებში მეტის მეტად ემუქრება ჩვენს და განსაკუთრებით რუსეთის ლიტერატურას, თუ ამ საკითხში ჩვენმა მწერალმა ვერ გააბატონა პროლეტარული მსოფლხედვა.

სოციალისტური აღმშენებლობის თემა

კრებულის ამ მთავარ მოთხოვნაში რომანტიულად არის დამუშავებული. ავტორს წარმოუდგენია (რა თქმა უნდა განზრახ) ზაპესის მუშა და ქალაქი კომუნად, სადაც ყველა თანასწორად შრომობს, კომუნისტურად სცხოვრობენ და კმაყოფილნი არიან. ნოდარი—ცოტა მორომანტიკოსო კომუნისტი, რომელსაც ძლიერ ეხარება განეპმანებული ქალაქი—იღუად აქვს დასახული ეს ზაპესის კომუნა. მაგრამ მეორე კომუნისტი ჯავარი უფრო რეალური ტიპია და მან იცის, რომ არ შეიძლება კომუნა იყვეს იქ, სადაც ჯერ კიდევ მოქმედებს ფული: „ეზ თავის მოტყუილებაა. ეს არ არის კომუნა. შრომას ჩვენც ფულით ვყიდულობთ“ („ორი მზე“). მაგრამ შენება ამ კომუნის სწარმოებს და ამ შენებისათვის ნოდარიც და ჯავარიც სწირავენ მთელ თავის სიცოცხლეს.

ბელეტრისტიკისათვის სამი რამ არის საჭირო: იდეა, საგნის ზედმიწევნით, ფაქტიური ცოდნა და საკუთარი მხატვრული საშუალებების ყოველმხრივი გამოყენება. ჩვენ ეპოქაში დიდი იდეა მხოლოდ კომუნიზმია. აქ არის ავტორიც. მაგრამ ავტორს აკლია საგნის მეცნიერული ცოდნა. საგნის, სინამდვილის კარგად ცოდნაზე შეეძლო ავტორს გაეშალა მომავლის რომანტიკა და მაშინ ეს რომანტიკა ყალბი არ გამოვიდოდა. ეხლა საგნის სუსტი ცოდნა და რომანტიკა სიყალბის შთაბეჭდილებას იძლევა. ყალბად არის მოცემული ჯავარის ტიპი, ის მეტად სქემატიურია და შაბლონიურადაა მოცემული, როგორც არის „მიღებული“ ლიტერატურაში კომუნისტის მოხაზვა: მტკიცე, ტყავის ქურთუკი, ცოტას ლაპარაკობს, ბევრს მუშაობს, (პილნიაკის „Енергично функционер“) და სხვ. მაგრამ ეს მოხაზვა არ გამოიწვევდა გაუგებრობას, რომ იგივე ჯავარი ოჯახში ძველის-ძველი სანტიმენტალური მამაკაცი არ იყვეს. არის სიყალბე იმაშიაც, რომ თითქოს მუშები ყოველივეთი კმაყოფილი არიან. არის რიტორიული ადგილებიც. მაგრამ მოთხოვნა მაინც მნიშვნელოვანია, როგორც პირველი ცდა ავტორისათვის აღმშენებლობითი თემის, ოჯა-

ხის პრობლემებთან პარალელურად გადაჭრის.

ჩვენ ლიტერატურაში ამ თემების შემოჭრა და განმტკიცება მეტად დადებითია, თუმცა პირველ ხანებში ამ თემების გაშუქებაში შეცდომები უმეტესია. უეტველი იყო ნაწილურად მუცდომები პოლუმორდინოვის ფუნქციონირება

მეორე მნიშვნელოვანი ნაწარმოები წიგნში „საქეები“-ა. აქ მოცემულია ყალბი, პარტიაში შემოპარული კომუნისტის ტიპი, რომელიც ძველ „მამულიშვილურ“ დამპალ ჩვეულებების მიხედვით იტაცებს ქალს, მაგრამ უშედეგოდ და ჰკარგავს პარტიბილეთს, შემდეგ სიცოცხლესაც. მოთხოვნის დადებითი მხარეები სტილში და თემის თანამედროვეობაშია. მაგრამ ცუდი ის არის, რომ „ობიექტიურობა“ რომლითაც მუშაობს ავტორი, იძლევა მხოლოდ უარყოფით სურათს სინამდვილისას და ამით მკითხველზე ვერ ახდენს საჭირო პროლეტარულ ზეგავლენას. მკითხველი ავტორის თითქმის ყველა დაკერძოთ ამ მოთხოვნის წაკითხვის შემდეგ თითქმის ინდიფერენტულ (გაურკვეველ) განწყობილებით რჩება, რაიც ერთის მხრივ უპერსპექტიობის და მეორე მხრივ „ობიექტიურობის“ ბრალია.

განსაკუთრებით კარგადაა დაწერილი და შინაარსის მხრივაც გამართლებულია „მეგობარი“. ამ პატარა ესკიზში ავტორი იძლევა სურათს იმისას თუ როგორ გარდაიქმნა მენშევიკი ჩვენი საზოგადოებრიობის ზეგავლენით.

რაც შეეხება „ლურჯ სუფრას“ უნდა ითქვას, რომ ეს ნაწარმოები სრულებით არ შეჰფერის პროლეტარულ მწერალს. აქ ყოველგვარი გეგმის გარეშე ყარაჩოხელთა „სიყვარულის“ ამბავია. ორივე მოთხოვნა ყარაჩოხელთა ცხოვრებიდან („ვერცხლის ქამარი“ და „ლურჯი სუფრა“) ფორმალურად კარგადაა გაკეთებული.

„ვერცხლის ქამარი“ უფრო მთლიანი და გამართლებულია. აქ მხატვრულად მოცემულია ეპოქის ზეგავლენით მიმდინარე ცვლილებების პროცესი ყარაჩოხელთა ცხოვრებაში. (ყარაჩოხელი იცვ-

ლის ვერცხლის ქაშარს, ძველის რომანტიკას, ახალ ტანთსაცმელზე).

ერთი დამახასიათებელი დეტალი: ავტორს განსაკუთრებით უყვარს მოთხრობის სიკვდილით დასრულება. იგი კლავს ხალხს, მიუხედავად იმისა, არის ამის მოტივი თუ არა. (ყაზბეგის გავლენა ხომ არ არის?) სრულიად არ არის გამათრლებული მოტივიროვკა „ორ მზე“-ში ბავშვის სიკვდილისა.

განსაკუთრებით სდგას წიგნში „მოხეტე“, რომელიც მეტის-მეტად „ნეიტრალური“ ხასიათისაა და წარმოადგენს სურათს ერთი მოხერხებული ავანტიურისტის განავარდებისას. ასეთი „ნეიტრალური“ ხასიათის მოთხრობები კიდევ აქვს ავტორს, რომელიც არ გადაუბეჭდავს წიგნში („ენრიკო“). გასაგებია რატომ არ არიან ისინი შეტანილი წიგნში. მაგრამ გაუგებარია, რატომ შინაარსით უფრო გამართლებული მოთხრობები („კანდიდატი“, „სიცოცხლე ცეცხლში“, „ოქტომბერში გაგიჟებული“), დაბეჭდილი სხვადასხვა ორგანოებში, არ შეუტანა ავტორს წიგნში.

უმთავრესი სიძლიერე ავტორისა სტილშია! პოლუმორფინოვს უკვე ეხლა აქვს თავისი სახე და ძლიერი, ეპოქისათვის შესაფერისი სტილი: არც ერთი ზედმეტი სიტყვა, ლაკონიურობა, არც ერთი ადგილი ინტელიგენტური მრავალ-სიტყვაობით დატვირთული, საქმიანი კილო, ცინიკური დიალოგების ნიჭი („მოხეტე“), სიუჟეტის კარგი შენება, ექსპოზიცია (задержанная экспозиция) მოხერხებულად ნასწავლი ო. გენრისაგან საიდუმლოებათა რომანის (роман тайн) მეთოდების ცოდნა, კარგი გავლენები, კარგი და დიდი მწერლების (მაგ. „ორ მზე“-ში ადგილები შრომისა კელერმანის „ტუნელი“-ს გავლენით არიან დაწერილი, ადგილები ოჯახის შესახებ კი გლადკოვის „ცემენტის“ გავლენით), დინჯი და ძლიერი ეპიური თხრობა (эпический сказ) ლირიკული დახვევები და ლირიკული მიმართვები მკითხველისადმი, რასაც მკითხველსა და მწერალს შორის ინტიმობას და ნდობას იწვევს („მკითხველო, თუ

მოთმინება გაქვს დავიცადოთ ბოლომდე და წერილი შემდეგ წავიკითხოთ, ეხლა მივხედოთ რას იზამს პეტე“ გვ. 121), პოეზიიდან მოხერხებულად გამოტანილი სახეები, პროზისთვის დამახასიათებელი პერიოდული და ეპიურული სახე — შედარებები (მაგ. პეტე და ენრიკოს მიჯნის ავტომობილი, მიჯნის და უკან როგორც ჯანყება იშლება მტვერი, იშლება და რუჰ ფერით ჰფარავს უკვე განვლილ სივრცეს“, ეპიური სახე იხ. გვ. 77), გამოყენებული აქვს ავტორს აგრეთვე ხალხური ეპიური ქებათ-ქების და ოდების სტილი, სადაც მოვლენის უფრო მძაფრად გამოსახატავად ან მოქმედებისთვის მკითხველის განსაკუთრებული ყურადღების მისაქცევად მეორდება ფრაზები, ზმნები, სახელები და სხვა განსახლავრულ კონტექსტში. ხშირად ასეთი ხერხი ამპლიფიკაციაში გადადის, მაგრამ ავტორს ასე არ მოსდის („ავტომობილი კვლავ მიჰქროდა, მიჰქროდა სწრაფად და მესაქვს ეჭირა საქე და საქე მიჰყავდა სწორად, მიჰყავდა სადღაც შორს, მწვანე მთებსა და მწვანე გორაკებს გადაღმა“ გვ. 139).

მაგრამ სტილშიაც აქვს ნაკლი ავტორს: ეს ნაკლი თანამედროვეობისათვის შეუფერებელ ტერმინების სენტიმენტალურ — ობივატელურ ლექსიკონის ხმარებაში მდგომარეობს („მათ არა ჰყავთ სულიკო“, „გულის ძარღვები“, „შეხმატკბილებული სიყვარული დაავიროვინა“, „მათ მოევლინა ქალი, რომლისადმი სიყვარული ორივეს გულში სწრაფად დაინთო“, „სანეტარო წუთები“, „ალერსის ბადე“ და სხვ.).

ასეთია პოლუმორფინოვის წიგნი. ვიმეორებთ: პროლეტარული ბელეტრისტიკის განვითარებისთვის და ჩვენი მკითხველისთვის ამ წიგნს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. წიგნი იკითხება ინტერესით. სტილი კარგია, სისუსტე კი უმთავრესად იდეოლოგიურ და თემატიურ ხასიათისაა და ამიტომ ამ მხრივ გამოსწორებას მწერალმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს.

პლ. ქიქოძე.

Ткварчели—Чнатура—Дашкесан.— წერილების კრებული. „საქართველოს ეკონომისტის გამოცემა“—ტფილისი 1927 წ. 151 გვ. ფახი 1 მან.

მეტალურგიულ მრეწველობას განსაკუ-
რებული ადგილი უჭირავს ყოველ ქვე-
ყნის სამეურნეო ცხოვრებაში. დღეს
სავსებით მიღებულია ის დებულება,
რომ მეტალურგიული მრეწველობა არის
მთავარი დარგი მძიმე ინდუსტრიის,
რომლის გარეშე წარმოუდგენელია
ქვეყნის მრეწველობის აღორძინება.
საბჭოთა ხელისუფლების მიერ დასახულ
ინდუსტრიალიზაციის განხორციელება
შეუძლებელია, თუ განვითარებული არ
იქნა მეტალურგიული და ქვანახშირის
მრეწველობა.

ამიტომ, განსაკუთრებულ ინტერესს
იწვევს ზემოთ დასახელებული კრებუ-
ლი, რომელიც შეეხება ამიერ-კავკასია-
ში მძლავრ მეტალურგიულ კომბინატის
შექმნის პროექტს. **ტყვარჩელის კოქსზე,
დაშქესანის რკინის მადანზე და ჭია-
თურის მარგანეცის საფუძველზე.** კრე-
ბულში მოთავსებული წერილები ტეხნი-
კურ და ეკონომიურ თვალსაზრისით
იხილავენ განზრახულ მეტალურგიულ
კომბინატის საორგანიზაციო ფორმებს.
ახასიათებენ კომბინატის წევრებს და
დასახელებული მეტალურგიული ქარხნის
ადგილს არჩევენ.

განზრახული ტყვარჩელ-ჭიათურა-და-
შქესანის მეტალურგიული კომბინატი
თავის მნიშვნელობით და ეკონომიურ
სიძლიერით გვერდში უნდა ამოუდგეს
ბაქოს ნავთის მრეწველობას. მეტია
იმაზე ლაპარაკი, თუ რა გრანდიოზულ
ხასიათისაა თავის თავად ეს პროექტი,
რომლის განხორციელება სავსებით შე-
უცვლის სახეს საერთოდ, ამიერ-კავკა-
სიის და კერძოდ საქართველოს სახალ-
ხო მეურნეობას.

სარეცენზიო კრებულში მოთავსებუ-
ლი წერილების უმრავლესობა უკვე და-
ბეჭდილი იყო ტფილისის ეურნალ-გა-
ზეთებში, რაც რასაკვირველია უკარგავს
კრებულს ცხოველ ინტერესს. ასე მაგა-
ლითად ამხ. ავაქოვის, ბახტაძის, ინჟ.
ტერ-დავიდოვის, გულისაშვილის, წუ-

ლუკიძის, კონიუშევსკის წერილები უკვე
იყო გამოქვეყნებული ჩვენს პერიოდულ
პრესაში. კერძოდ ავ. ავაქოვის წერილი
ორჯერ იყო გამოქვეყნებული ერთად-
ერთი წერილი, რომელიც კრებულში
პირველად იბეჭდება, ესაა **გეოლოგი
მოკრინსკის** მეტად საგულისხმო წერი-
ლი „ტყვარჩელის ქვანახშირის ბუდო-
ბი“. ინჟ. გეოლოგ მოკრინსკის მიერ—
1926 მოხდენილია სპეციალური გამო-
კვლევა ტყვარჩელის ქვანახშირის ბუ-
დობის, საკავშირო გეოლოგიური კო-
მიტეტის დავლებით, რომელი გამო-
კვლევის შედეგების შესახებაც მოგვი-
თხრობს დასახელებულ წერილში ავტო-
რი.

ცენტრალური საკითხი, რომელიც
გაშუქებულია კრებულის სხვადასხვა
წერილებში, ეს არის შესაფერი ადგი-
ლის არჩევა იმ ქარხანა-გიგანტის ასა-
შენებლად, სადაც უნდა გადამუშავდეს
დაშქესანის მადანი თუჯად და შემდეგ
რკინა ფოლადათ. რომ მადანი და ნახ-
შირი ერთმანეთის მეზობლად მდებარე-
ობდნენ, მაშინ ეს საკითხი არც დაი-
სმებოდა, მაგრამ ისინი დაშორებული
არიან ერთმანეთიდან 500 ვერსის მანძი-
ლით, ამიტომ ისმება საკითხი: მადანი
მივზიდოთ ნახშირთან, თუ ნახშირი
მადანთან. ამ საკითხს მეტის-მეტი და-
კვირვებით უნდა გადაწყვეტა, რადგან
აქ დაშვებული შეცდომა შემდეგში
სრულებით გამოუსწორებელი იქნება.

ამხ. ავაქოვი, რომლის აზრს იზი-
ავენ ინჟ. გულისაშვილი და ინჟ. წულუ-
კიძე, ფიქრობს, რომ მეტალურგიული
ქარხანა უნდა აიგოს სამტრედიის რაი-
ონში, რიონის პიდრავლიურ ენერჯის
გამოყენებით, უნდა მოეწყოს თუჯის
ელექტროდნობა და აგრეთვე ფერო-
მანგანუმის ელექტროდნობა. საჭიროა,
რომ დაშქესანიდან მადანი მივზი-
დოთ სამტრედიის რაიონში, ვინაიდან
ცნობილია, რომ რკინის მეტალურგიის
საქმეში მადანის ტრანსპორტი გაცი-

ლებით ხელსაყრელია, ვიდრე ქვანახშირის. ინჟ. ტერ-დავიდოვი კი ფიქრობს, რომ ელექტროდნობის მეთოდი ჩვენს პირობებში არ არის ეკონომიურად გამართლებული. მისი აზრით საჭიროა მიემართოთ დომენის ლუმელებს. მისი აზრით უფრო ხელსაყრელი იქნება ნახშირის გადაზიდვა და ამგვარად ქარხნის აგება დაშქესანის მახლობლად.

ჩვენ სავესებით ვეთანხმებით ინჟ. წულუკიძეს, რომ ისეთი საკითხის გადაჭრა, როგორცაა ქარხნის ადგილის არჩევის „არამც თუ გადაჭრა, არამედ დაახლოვებითი გამორკვევაც არ შეიძლება საეურნალო წერილის ფარგლებში“.

სარეცენზიო კრებულში კი მოთავსებული წერილები არ სცილდებიან საეურნალო წერილების ხასიათს.

მეტად საინტერესო და საგულისხმო ცნობებს იძლევა ინჟ. გეოლოგი მოკრინსკი და ინჟ. ყიფშიძე წერილებში, რომლებიც სპეციალურად შეეხებიან ტყვარჩელის ქვანახშირის ბუდობს. აქ მოყვანილია ჯერ გამოქვეყნებული ანალიზები ტყვარჩელის ნახშირის სხვა და სხვა ფენების. ინჟ. ყიფშიძეს გამორკვეული აქვს ტყვარჩელის ბუდობის ექსპლოატაციის ეკონომიური მხარე (ტრანსპორტის საკითხი, ნახშირის თვითღირებულება, მისი გასაღების და ბაზრის პირობები, მუშათა საკითხი) ხოლო ინჟ. გეოლოგ მოკრინსკის აღწერილი აქვს ტყვარჩელის ბუდობის ბუნებრივი მხარე (ოროგრაფია და ჰიდროგრაფია, რელიეფი, მცენარეულობა, გეოლოგიური აგებულება, ტექტონიკა და სხვა).

კრებულში თავმოყრილი მასალა

ურთიერთ შორის არ არის შეთანხმებული, წერილები ეკუთვნიან სხვა და სხვა ავტორებს და ხშირად ერთი და იგივე ცნობა კრებულში მოთავსებულ წერილებში სხვა და სხვა ნაირათაა გადმოცემული. ასეთ მახლობლად ინჟ. გულისაშვილი მიგვჩვენებს, რომ „აქამდე არსებულ დაშქესან-ტყვარჩელის კომბინატის პროექტს ამხ. ავაქოვმა დაუკავშირა ჭიათურის მადნიდან ფეორომანგანუმის გამოდნობის საკითხი და პირველად წამოაყენა სამპიროვანი დაშქესან-ტყვარჩელ-ჭიათურის კომბინატის პროექტი“ (გვ. 130) მაშინ როდესაც ნ. ბახტაძის წერილში გამოქვეყნებული ცნობებიდან ირკვევა, რომ ჯერ კიდევ 1915 წელში შედგენილი იყო პროექტი ე. წ. კავკასიის კომბინატის, რომლის საქმესაც გვაცნობს ავტორი; ამ საქმიდან სჩანს, რომ განზრახული კომბინატი აერთიანებდა 1) ტყვარჩელის ქვანახშირის ბუდობს, 2) დაშქესანის რკინის ბუდობს, 3) ჭიათურის მარგანეცის ბუდობს, 4) ცხენის წყალის მძლავრ ჰიდრავლიურ ენერჯიას და სხვა.

აღნიშნულ დეფექტთა მიუხედავად, კრებული მეტად საინტერესო და შინაარსიანია. ასეთი კრებული დიდ დახმარებას გაუწევს მეტალურგიულ კომბინატის იდეის პოპულიარიზაციას, ის აუცილებელია ყველასათვის, ვისაც აინტერესებს ამიერ-კავკასიის სამეურნეო მომავალი, რადგან ცხადია, რომ განზრახული მეტალურგიული კომბინატი გადამწყვეტ როლს ითამაშებს ამიერ-კავკასიის მომავალ ცხოვრების გაჯანსაღების და გამტკიცების საქმეში.

ეკონომისტი.

უ ინ ა ა რ ს ი:

მხატვრული ლიტერატურა

საქართველო



1. გალაქტიონ ტაბიძე—ქალაქი წყალ ქვეშ	1
2. კარლო კალაძე—შუბლმაგარ მტრების შესახებ	4
3. ბიძინა აბულაძე—მანიფესტი ჩინეთის ხალხს	5
4. ვარლამ ფურული—კავკასი	8
5. კ. ლორთქიფანიძე—საბარგო ავტომობილი	10
6. ლეო ქიაჩელი—სისხლი (გაგრძელება)	13
7. ბასილ მელიქიშვილი—ტარიგი	43
8. ტრიფონ რაშიშვილი—მონადირე ქალები (პიესა)	54
9. ანასტ. ერისთავ-ხოშტარია—სალი (გაგრძელება)	94

რუსეთი

10. ი. ტინიანოვი—დეკაბრისტები საქართველოში (თარ. ტიციან ტაბიძის)	115
--	-----

დასავლეთი

11. სტეფან ცვაიგ—„ამოკ“ (თარ. ლელი ჯაფარიძის)	146
---	-----

კრიტიკა მხატვრობა პუბლიცისტიკა

12. პროფ. კორ. კეკელიძე—კიდევ ვეფხის ტყაოსნის შესახებ	167
13. ვახტანგ კოტეტიშვილი—ქართული პოეტური ფოლკლორი	189
14. ს. ამაღლობელი—თეატრი და კინო	211
15. შიხ. კახიანი—საერთაშორისო საკითხები	223
16. ა. კრინიცი—ეროვნულ კულტურის საკითხისათვის	232

ბიბლიოგრაფია

17. პლატონ ქიქოძე—ელიზბარ პოლუმორდვინოვი. „ვერცხლის ქამარი“	247
18. ეკონომისტი—Ткварчели - Чиатура—Дашкесан.	250